

114
1959 / 3

საქართველოს
საბავშვო
საბავშვო

მნათობი

11

ს. მ. მ. მ. მ. მ.



1959

მ ნ ა თ მ რ



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწ. დი 36-ე

№ 11

ნოემბერი 1959 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

მ
ნ
ა
თ
მ
რ

შ ი ნ ა ა რ ს ი


გიორგი ლეონიძე — ქართული სიტყვა. ლექსი	35
არჩილ ხუდაკაური — წყალდიდობა. მოთხრობა	5
მიქელ პატარიძე — ლექსები.	32
კლავდია დედუაიანი — დაქარგული საყურე, რომანი. დასასრული.	34
გრიგოლ აბაშიძე — მამულეების გახსენება ეგვიპტეში. ლექსი	63
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	70
ე. სმირნოვი — მეგობრებს, ლექსი, თარგმანი გ. ცეცხლაძისა	73
სიმონ წყვარავა — ხუთნი. ნარკვევი	74

კრიტიკა და კვლევითი

ვლ. მაკავარიანი — მეტი გარკვეულობისათვის ლიტერატურულ კრიტიკაში	95
ჯემალ შარაშიძე — თანამედროვე თემის დაუფლებისათვის	101
ნოდარ რუხაძე — ლადო ავალიანის მოთხრობები	106
ი. მირცხულავა — კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზისა და სოციალიზმის კომუნისტური გადაზრდის კანონზომიერებათა შესახებ	111
ე. ქობინაშვილი — „ქართული ეროვნული კომიტეტი“ და ქართველი რევოლუციონერები პეტროგრადში	117
ა. კაპანაძე — შეიარაღებული აჯანყება შორაპნის მაზრაში 1917—1918 წლებში	126
ხ. ვართანიანი — აზერბაიჯანის მოძვე ხალხთა მეგობრულ ოჯახში	132
შოთა რევიწვილი — შილერი მარქსისა და ენგელსის კონკრეტიაში	136
ვალერიან მაქარაძე — რუმინეთის დიდი ეროვნული პოეტი	140
მაქსიმე შეტრეველი — ალაგირელი ქართველები	145

(იხ. მეორე გვ.)

გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»



ლიბერატორული მიმკვიდრეობა



შალვა ნუცუბიძე — სიბრძნის ცნება ს.ს. ორბელიანის ნააზრევში	150
პაატა გუგუშვილი — ტექსტილური მრეწველობის ორი ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“	158
მ. მახათაძე — შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი დაზიანებული და დაზიანებული ბელი ადგილის შესახებ	164
მოსე გოგიბერიძე — ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ესთეტიკური ანალიზი	169
ნიხეილ კეკელიძე — ა. წერეთელი კატკოვის წინააღმდეგ	175

კუბლიკაციბა

მ. გოზალიშვილი — ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მესხისადმი (გაგრძელება)	178
---	-----

წიგნების მიმოხილვა

პროფ. შ. ჩხეტია, პროფ. ი. ანთელავა — მონოგრაფია რეფორმამდელი აფხაზეთის ეკონომიურ განვითარებაზე	184
დ. კოდორიძე — წიგნი ბორჯომის ზეობაზე	188
დოცენტი ა. ნეიშანი — პასუხის პასუხი	189

ახალი წიგნები

გარეკანის შესაშვ გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ზეღმწერილია დასაბეჭდად 28/XI-59 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7¼×12¼. დიზიურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 08110. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 804.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილი ქ. 5.



ქართული სიტყვა

1

თანამედროვეთ გული და გემო
მათ ნებისამებრ
თუ ვერ გავთაფლე —
ხომ შემიძლია ვთქვა, დავიჩემო, —
ქართული ლექსი არ დავადაბლე!
არ დავამცირე!
მე მაქვს იმედი,
თუმცა ნალეაწი მიძღვის მცირედი,
მაგრამ ოცნება არი იმ ერთის,
და გულიც მისთვის შემიწირია —
ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა
მასთან ყოველი, ო, რა მცირეა!
ხომ კარგად იცი, რაღადა მკითხავ, —
რა დიდი ზღვაა, რა უძიროა!
მოკვდი და მხოლოდ მისათვის აღსდეგ,
ამ სიტყვისათვის, პოეტო, მხოლოდ
და პანთეონში თუ გამილალდე,
მისი წყალობით — ბოლოს და ბოლოს!
სიტყვა ძლიერი, ვით ანთეოსი,
მე ეპოვე ერის გამაცოცხლებლად,
მან ზიდა ბედი საქართველოსი,
ცრემლი, დიდება, ვნება, ოცნება!
მეორე მზედ მაქვს გამოსახული
და მზეზე აღრე მე მას ვუგალობ,
თუ კი გავმხდარავარ მისი მსახური —
მამ, როგორ უნდა გავქრე უკვლოდ?

2

ცაში რამდენი ვარსკვლავიც არი,
მიწად იმდენი ვარდი ყოფილა,
ვარღად ქართული სიტყვა ვიცანი
და გულმა ვარდი არ იმყოფინა!
ყვავილი — მიწის არი ღიმილი,
ქართული ლექსი — ქართველი ერის...
იქნება ლხინი თუ სიმძიმელი,
შეხედე, როგორ უკვდავად მღერის!





3

თურმე ითვლიან ჩემს წელიწადებს,
 მიკიჟინებენ, ხომ არ დაებერდი?
 კიდევ და კიდევ ბევრი იცადეთ,
 სანამ მაგრად ვარ ჩემი თავბედით.
 თქვენ იცით ბუდე ჩემი გულისა,
 სადაც ელვარებს მწვანე მაისი?
 თქვენ იცით სიტყვა გაზაფხულისა
 უძველეს დროშის სიდარბაისლით?
 თუ მარგალიტში მე ვურევ ხელებს,
 თუ ვაელვარებ უთვალავ ფერებს,
 თუ ქართულ სიტყვას შევასახელებ,
 რა მომადუნებს, რა დამაბერებს?!
 თავს სიღარიბით ვერ შეგაცოდებთ,
 თვითულ დილას ვანთებ მარჯანით,
 და ვხვდები, თითქოს ხელთ მომაწოდეს
 აელვებული მზით ოქროს ჯამი.

4

ვნანობ, ვინც დასთმო ქიკვიკი მერცხლის,
 ვინც აღრიანად სიკვდილს მოუწვა,
 ვინც ეს აგური გამოსწვა ცეცხლით,
 ეს ჩემი გულიც მას გამოუწვავს!
 ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა
 მე გამაცოცხლებს ყოველგვარ დროსა,
 ვერავითარი დელგმა და სეტყვა
 ქარს ვერ გაატანს ჩენს ქართულ დროშას!
 მოგესალმები, მომავალ დღეთა
 ქართული ლექსის ლაღო მხედარო,
 დაგაგვირგვინებს ახალი მცხეთა,
 სიმღერის ძალით თუ მას ედარო!
 შენ თუ გაგიტანს—ქართული სიტყვა—
 გამღერებინებს ლხინსაც და ჭირსაც...
 და თუ რჩეულად ის მოგიკითხავს,
 მემკვიდრე ყივჩაღს
 გადაეცემ სირჩას!..

5

სიტყვა ძლიერი, ვით ანთოსი,
 მე ვპოვე ერის გამაცოცხლებლად,
 მან ზიდა ბედი საქართველოსი,
 ცრემლი, დიდება, ვნება, ოცნება.
 არ დაიდება მისი საზღვარი,
 მისი ლაღარი არ იშრიტება,
 დე, მან აზიდოს კიდევ ახალი
 საქმე და აზრის ჭეშმარიტება!

ხშირად დაგვატარებდა ზღაპრულ ქვეყნებში.

დიდი ხნის შემდეგ ისევ ჩვენს აივანზე ვიდექი და მტკვარს დავცქეროდი. დავცქეროდი და ველარ ვცნობდი ჩემს ძველ მეგობარს: ბეტონის ჯებირებში მომწყვდეული დადინჯებულაყო, შეუმჩნევლად მიედინებოდა. გლუვ ზედაპირს აერეკლა განთიადის ფერმკრთალი ცა, სანაპიროს ქვის მოაჯირი, ხის წვეროკიანები და მთაწმინდა.

ორივე სართულის აივანზე სიცარიელე დამხვდა, სიჩუმე. ბოძებს შორის გაბმულ თოკებზე არ ფრიალებდა თეთრეული, არ ისმოდა მეზობლების გაუთავებელი ყაყანი, ეზოს მტკვრის მხრიდან სანაპირო მოსწოლოდა, დავიწროებულაყო. სახლიც საბრაღისად გამოიყურებოდა; დაბერებული, დაჩაჩანაკებული ოდნავ წინ გადახრილიყო. იფიქრებდი, მოახლოებული ფათერაკი უგრძენია, გასაქცევად მომზადებულა, მაგრამ წელი ველარ აუთრევიო.

დაედიოდი დაცარიელებულ ოთახებში... ყველა კარი ღია დამხვდა.

ამ ვიწრო ოთახებში ჩვენ ვცხოვრობდით. ჩვენს შემდეგ ვინ სახელობდა, არ ვიცი. კედლები დანესტიანებულა, ქერი ჩამონგრეულა...

აქ ვილა ცხოვრობდა? — ამ სახლის პატრონი! სახელი დამეიწყებია. მის ოთახებს აღარც კარები აქვს, აღარც ფანჯრები. ჩამოუხსნია კარ-ფანჯარა და თან წაუღია, ონკანიც მოუძვრია. ნეტავი რად უნდოდა? სადაც ვადასახლდა, იქ კარიც დახვდებოდა, ფანჯარაც, ონკანიც და კიდევ ბევრი სხვა. მაგრამ მაინც მოუხსნია, მოუძვრია, თან წაუღია — ჩემი იყო და სხვას არ დარჩევს.

აქ კი ჩემი ბავშვობის მეგობრები ცხოვრობდნენ... სადა ხართ ახლა გურამ და ნანა, გახსოვართ თუ აღარა?! მე ხშირად მაგონდებით, არ მავიწყდებით... ნანა, შენ მაშინ სიფრიფანა გოგონა იყავი, დიდი თაფლისფერი თვალები გქონდა, წყლიანი თვალები... მხრებზე წვრილი, გაფშვილი ნაწნავები გეწყო თეთრი ბაფთებით შეკრული...

მაგრამ ეს პაწაწინა ოთახი ვილასია?! გამარჯობათ, ბებია მაკო! თქვენც წასულხართ, აბარებულხართ... რამდენჯერ გადმოვისხიათ ჩვენთვის ამ აივანიდან წყალი, ბავშვები ცელქობისათვის რომ დაგესაჯეთ? სად დაკუნელებთ ახლა, შემოდგომის ფოთოლივით დამქვანარი? რამე ხომ არ დაგრჩათ ოთახში? თქვენს ცნობისმოყვარე თვალებს იქნებ რაღაც გამოეპარა, გამოჩნა? არა მგონია... თუმცა როგორ არა! დამტვერილ თაროზე იესო განისვენებს მარტოდ-მარტო მიტოვებული. მაცხოვრისათვის შარშანდელი ბზის ტოტი და ნახევრად დამწვარი თაფლის-სანთელი გაგიმეტებიათ. ბებია მაკო, წასვლისას დაგვიწყებიათ თქვენი იესო, რომლის წინაშე სამოცი წელი დანოქილი ლოცულობდით... ბებია მაკო, რატომ დაგავიწყდით ღმერთი?!

ისევ სუფთა ჰაერზე გამოვედი და ეზოში დავეშვი. ეზოს მეორე ნახევარს გოლიათი ქადარი გადაფოფრებოდა. დაბალ ერთსართულიან სახლისკენ გადაზნექილიყო, თითქოს უნდოდა ეს ძველი სახლი ილღიაში ამოეჩარა და თან წაეღო.

ამ სახლში ცხოვრობდა მეთევზე ლადო — ყველაზე კეთილი და ყველაზე ღონიერი კაცი მთელს ჩულურეთში. მხრებზე გაცრეცილი, მზისაგან გახუნებული ხაყისფერი ხალათი უმაღლავდა დაკუნთულ სხეულს.

სად არის ნეტავ იუღია — მეთევზის ლამაზი ცოლი? იუღიას ყოველთვის, ტანზე შემოჭერილი შავი კაბა ეცვა. გულისპირი ღრმად ჰქონდა ამოჭრილი და ისე ჩანდა, თითქოს მოქნილი, ქათქათა სხეული შავი სამოსელიდან დასხლტომას ლამობდა...

ამ ცაცხვის ქვეშ გატეხილი წისქვილის ქვა ეგდო მეწისქვილეს უყვარდა აქ ჯდომა. ჰო, მართლა, მეწისქვილე სტეფანე სულ დამეიწყდა — ეს ახოვანი, მუდამ კეთილად მომლიძარე კაცი. შავ, პატარა უღვაშს აიგრეხდა, წისქვილს გახედავდა და ამაყად იტყოდა ხოლმე: ჩემი ბებრუტუნა მღერის! მართლაც

სტეფანეს წისკვილი „მღეროდა“: კრია-
ლებდა, ტლამუნობდა, ბუბუნებდა და ამ
ხმაურში მკაფიოდ მოისმოდა სარეკელას
ზომიერი რაკენი...

მოგონებებისთვის დრო აღარ მრჩე-
ბოდა. ჭიშკარზე უკვე პირველმა მუშამ
გაღმოაბოჯა. მხარზე წერაქვი და ნიჩაბი
გაედო და დინჯად მოირბეოდა. მალე
სხვებიც შემოჩნდებოდნენ.

იმ დღეს პირველად გამამწესეს სამუ-
შაოთა მწარმოებლად და ისე ვღელავდი,
როგორც პირველ გამოცდაზე. სამუშაო-
ზეც ყველაზე ადრე გამოცხადდი, მაგ-
რამ მუშა დაეინახე თუ არა, გული მეთა-
ნალრა, თითქოს დღეს ჩემი ცხოვრების
განუყოფელი ნაწილი უნდა დამენგრია.
უნდა დამენგრია ის, რასთანაც ჩემი
ცხოვრების უბედნიერესი დღეები იყო
დაკავშირებული.

მუშა კი უკვე ეზოში მოალაგებდა.

მან წერაქვი და ნიჩაბი კედელზე მია-
ყუდა, კიბეზე ჩამოჯდა. ჩემთვის არც კი
შემოუხედავს, თითქოს იქ არ ვიდექი.
ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა. მინ-
დოდა, მიეუსულიყავი და გამოვლაპარა-
კებოდი. მეთქვა, რომ აქ მე ვარ უფ-
როსი, თან განმემარტა, საიდან და რო-
გორ დაეწყით სახლის დანგრევა.

ორიოდე ნაბიჯი გადავდგი. მუშის სა-
ხე მეცნაურა. უფრო დავაკვირდი და
ვიცანი კიდეც, ნამდვილად ვიცანი: იგი
მეთევზე ლადო იყო.

მისმა გულგრილობამ გამოაცა. მშვი-
დად შემოვიდა, კიბეზე ჩამოჯდა და თა-
ვი გაზეთში ჩარგო. თავის ყოფილ სახ-
ლისკენ არც გაუხედავს, თითქოს იქ არ
ეცხოვროს, თითქოს იქ არ ყოფილიყოს
მისი კერა.

— გამარჯობა, ძია ლადო! — ვეღარ
მოვითმინე და მივესალმე.

— გაგიმარჯოს! — ძველმა მეთევზემ
თავი აიღო და შემომხედა, თვალეში
ოდნავ მოხუცა, დამაშტერდა.

მე წინ დავუდექი და ვკითხე:

— ვერ მიცანი, ძია ლადო?

ძველი მეთევზე წამოდგა და პირი
ცისკენ მიმბარუნებინა, დაკვირვებით
შემათვალისწინა, გაიღიმა და მითხრა:

— ვერა, შვილო, ვერ გიცანი.

— მამუცა ვარ, ძია ლადო!

— აბა მამუცა?

— აი, იქ რომ ვცხოვრობდი, — მივ-
ბრუნდი და ხელი გავიშვირე მეორე
სართულის კუთხისაკენ.

— ო, შენ ხარ, ბიჭო? — ისე მკითხა,
თითქო ყოველდღე მხედებოდა.

ძველი მეთევზე ისევე კიბეზე ჩამოჯ-
და. პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. ვერ
მივხვდი, ესამოვნა თუ არა ძია ლადოს
ჩემი ნახვა. დაფიქრებული იჯდა და
ღრმა ნაფაზით ქაჩავდა პაპიროსს.

დაბერებულიყო, მაგრამ მოტეხილი
არ ჩანდა, ჯერ ისევე ჭარმაგად გამოიყუ-
რებოდა, თმა გაქალარავებოდა, გამეჩხ-
რებოდა. მზით გარუჯული სახე და კი-
სერი ღრმად დაღარვოდა. თვალეში ად-
რინდელი ცეცხლი მინავლულიყო, ჩამქ-
რალიყო. მომეჩვენა, თითქოს თავის
ქალა დაპატარავებოდა, ამიტომ მხარ-
ბეკი ზედმეტად ფართო მოუჩანდა ასე-
თი ქაბუტური მხრები სხვა ბერიკაცის-
თვის ჯერ არ შემემჩნია.

კარგ გუნებაზე ვიყავი და მინდოდა,
ისეთი რამ მეთქვა, ან ისეთი რამ გამეხ-
სენებინა, რაც ორივეს გაგვაშხიარულე-
ბდა და ტბილ მოგონებებში გადაგვიყ-
ვანდა. მაგრამ დუმილი ძველმა მეთევ-
ზემ დაარღვია:

— შენზე ამბობდნენ, ომში დაიღუ-
პაო...

— როგორც ხედავ, არ დავღუპულ-
ვარ, — ვიხუმრე.

— ვხედავ... დედაშენს მაშინ ერთი —
ორჯერ შევხვდი ბაზარში, თალხები
ეცვა... ნუგეშის თქმა მეძმამა და თვალი
ავარიდე. დიდი ხანია აღარ შევხვედრი-
ვარ.

— ახლა არა უშავს რა, კარგად არის.

— აქ ბეერნი იყავით... ბავშვები —
დაიწყო ძია ლადომ, — კარგი ბავშვე-
ბი... შოთა სად არის, რას აკეთებს?

— ექიმია...

— ნოღარი?

— ომში დაიღუპა

— გოგია?

— ისიც.

— აი, ის, პატარა გოგო რომ იყო...

— ნანა?

— ჰო, ნანა.

— გათხოვდა... მგონი სამი შვილი ჰყავს...

— იმისი ძმა?

— გურამი? მშენებელია... რუსთავს აშენებს.

— ძია ლადო გაჩუმდა. მერმე უცებ მომიბრუნდა:

— შენ რაღას აკეთებ?

— მე?

— რისთვის გარჯილხარ ასე ადრინად.

სამუალება მომეცა და ვუთხარი კიდევ, რისთვის ვირჯებოდი. ძია ლადო წამოდგა, თუჯივით მძიმე და უხეში ხელი დამადო მხარზე.

— ადვილი საქმე მოუნდვით... დანგრევა ადვილია... აი, მე ბევრი რამ დამინგრევია... წლობით ნაშენები ერთ დღეს დამინგრევია, — მან ხელი ჩაიჭინა და დამშორდა. მერმე ისევ მომიბრუნდა. თვალები ნალველით ავისებოდა. — თუმცა ამის დანგრევა მაღლია... ამას დაანგრევ და უკეთეს ააშენებ... მაგრამ, რაც მე დაეანგრე, ვეღარ ავაშენე... ვეღარ ავაშენე...

გუნება შემეცვალა. დამეკარგა ის მღელვარება და სიხარული, რამაც დღეს გათენებამდე წამომახტუნა ლოგინიდან. ვიდექი, ძია ლადოს უაზროდ ვადევნებდი თვალს. იგი ახლად მოსულ მუშებში იდგა. როცა ლაპარაკი დაასრულა, ჩემთან მოვიდა და მითხრა: სახლის დანგრევას ასე და ასე ვაპირებთო. მე ჩემი გეგმა მქონდა შემუშავებული, სიტყვის სათქმელად პირიც კი დავადე, მაგრამ ძველმა მეთევზემ დამასწრო:

— დანგრევით ნუ დაიწყებ ცხოვრებას, ვითუ დაგებდოს...

მე მაშინ მივხვდი. ძია ლადო ცხოვრებაში ყოველგვარ წერილმანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...

მუშები სახლს შეესივნენ.

ძია ლადომ კიბეები მშვიდად აიარა. მისი ფართო მხარბეჭი მეორე სართულზე დავლანდე.

მოწმესავით ვიდექი. მუშების მოქმედებას მხოლოდ თვალს ვადევნებდი, თითქოს ეს საქმე მე არ შემეჩვენებოდა.

მზერა ჩვენი სახლის სახურავისკენ გამექცა. სახურავზე ძია ლადო გადმომდგარიყო და მტკვარს ვასცქეროდა. დიდხანს უმზერდა დაეინებით, შემდეგ თავი მოაბრუნა, ეზოს გადმოხედა, თვალი მოავლო დაბრეცილ, რიკულუბჩაცვინილ აივნებს, კუჭყიან შუშაბანდებს, ჩანგრეულ კიბეებს, ნესტიან კედლებს... ძველი მეთევზე იღიმებოდა... მის ზევით, მის გარშემო ლურჯი ცა იყო, ლურჯი, გამჭვივრავი.

ინგრეოდა ძველი სახლი, ჩემი ბავშვობის ბუდე... მის კედლებში მალე დაინთქებოდა უღარდელად უზრუნველად გატარებული დღეები. გული მეკუშმებოდა: ჩემშიც ირღვეოდა რაღაც... ეს იყო ბავშვის გულით ნაგრძნობი და განცილი, ბავშვის თვალით დანახული სამყარო. ამის ნაცვლად ჩემს წარმოდგენაში ცოცხლდებოდა სხვა ცხოვრება, რომელსაც მაშინ გვერდით ჩაუპარე და ვერ დაეინახე, ვერ განვიცადე; რომელსაც ახლა ვჭკვრეტ სხვა თვალებით და განვიციდი სხვა გულით.

*
*
*

მოდიდებული მტკვარი კალაპოტში ძლივს ეტეოდა.

მოდოდა ამღვრეული, თიხისფერი. ტალღებს ზათქით მოავგორებდა, წისქვილის ბორბალს ლინიერად ატრიალებდა, ატლაშუნებდა, მღვრიე შხეფებს პაერში ასროლინებდა.

ეზოში თივისა და ნაკელის სუნი იდგა. ბორჩალოელ თათრებს აქლემები დაეჩოქებინათ და ზედ ფქვილით გატენილი საცალოებს ჰკიდებდნენ. იქვე კეხიანი ვირი ზეზუერად თელეპდა. ულლიდან გამოშვებული ხარები ზარმაცად იცოხნებოდნენ.

სტეფანე და სახლის პატრონი ცაცხვის ჩრდილში იხსდნენ და ნარდს თამაშობდნენ. ცაცხვს ფუტკარი ეხვეოდა და ხე უზარმაზარ სკასავით ზუზუნებდა.

ქვედა სართულზე მავო სარეცხსა ფენდა.

შუადღის ზარმაცი თვლენა გაბმულმა სტეენამ შეამფოთა. ასეთი სტეენა იმას ნიშნავდა, რომ მტკვარზე რაღაც სახიფათო ამბავი ხდებოდა, ან კაცი იხრჩობოდა, ან მტკვარს მოჰქონდა ისეთი რამ, რისი გადარჩენაც ღირდა — სახეირო იყო.

აივანზე მებობლები გამოიშალნენ, ზოგმა ეზოში ჩაირბინა, ზოგი წისქვილზე გადავიდა, იქ მონახა სეირის საყურებლად მოხერხებული ადგილი.

შორს შავი წერტილი გამოკრთა.

— კაცია! — წამოიძახა ვიღაცამ.

საიდანღაც მეთევზე ლადო გამოჩნდა. ისიც მტკვარს გადაადგა. აღმა გახედა მდინარეს. მოუსვენრობა დაეტყო, აწრიალდა, ნაპირის გასწვრივ გაიარ-გამოიარა. მისი ნავი ახლა ნაპირზე ეგდო, — გულმინწინ ამოათრია შეჰაკეთებლად.

— რის კაცი, ძაღლია! — იყვირეს მეორე სართულიდან.

მტკვარს ნამდვილად ძალღი მოჰქონდა. ახლა უკვე გარკვევით ჩანდა წაგრძელებული თავი და დაცქვეტილი ყურები.

ხალხი გამხიარულდა. მძაფრად აღარ განიცდიდა ძაღლის დაღრჩობას. სტეენამაც ხელი ჩაიქნია, ცაცხვის ჩრდილს დაუბრუნდა.

მღვრიე ტალღებში ხან გამოკრთებოდა დაცქვეტილი ყურები, ხან იმალებოდა; ძალღი მოცურავდა, სწრაფად უახლოვდებოდა ნაპირს. ხილის ცოტა ქვემოთ მდინარე იცვლიდა მიმართულებას და ტალღები თავისთავადაც ისროდნენ ძაღლს ნაპირისკენ.

ბოლოს ნაგაზი შემოისროლა მორევში, რომელსაც მტკვარში შეჭრილი აგურის კედელი აჩენდა. აქ თიხისფერი წყალი ბღღინავდა, ტალღა ტალღას ეწინებოდა, ეგრიხებოდა, ჩნდებოდა დიდი ძაბრულები, რომლებიც თითისტარებით სწრაფად ტრიალებდა. ასეთი ძაბრულა კარგ მოცურავესაც წამსვე გამოასალმებდა წუთისოფელს.

ძაღლი ორ-სამჯერ ძალღემად დაატრიალა ჭავჭავი, ჩაძირა, კვლავ ამოაყურყუმალავა.

ლადომ თოკი მოარბენინა, ერთი ბოლო ღონიერ ბიჭებს დააკერინა, მეორით თვითონ დაეშვა კედელ-კედელ...

ამასობაში ძაღლის პატრონიც გაჩნდა, მისწი-მოსწია ხალხი და მტკვარს გადაეყვდა.

ლადომ წყლისაგან გამოლოკილ კედელში შეჰყო ცალი ფეხი და ჩაიკუზა. მარტყენა ხელით უკვე წყალს ეხებოდა. ნაგაზი სულ ახლოს ჩაატარა დინებამ, მაგრამ ლადო ვერ მისწვდა.

ძაღლი მტკვარში შეჭრილ კედელს წინა თითებით მოებლაუჭა და რამდენიმე წუთს დაყოვნდა. მეთევზე კი თავისკენ უხმობდა, ხელი წინ ჰქონდა გაშვებული, ცერს საჩვენებელ თითზე უსვამდა, ტუჩებით უწრუპუნებდა. ძაღლი ლადოს წვალებას ყურადღებას არ აქცევდა, ჰკვიანური თვალებით პატრონს შესჩერებოდა, მისგან მოელოდა შეველას.

პატრონი მოუსვენრად წრიალებდა, ძაღლს შორიდან უყვავებდა, ეუბნებოდა, კედელს მოეშვიო. ნაგაზი კი კედელს ვერ ელეოდა. წყალმა მაინც თავისი გაიტანა: ძაღლი ჯერ დაღალა, მერმე ტალღა დაჰკრა და წაიღო, ისე წაიღო, მორევში აღარ შემოუთრევიო.

ძაღლი წყალს მიჰქონდა, საბრალო თვალებით ისევ პატრონს მისჩერებოდა. პატრონმა თავში იტაცა ხელი, რაც ნაგაზისთვის მცირე ნუგეში უნდა ყოფილიყო.

ბიჭებმა თოკის ამოქაჩვა დააპირეს, მაგრამ თოკი უკვე დამსუბუქდა და ბიჭები, ხალხი რომ არა, უსათუოდ გაიშობებოდნენ მიწაზე. ლადო ტანსაცმლიდან დაღაეშვა წყალში, ძაღლს ცურვით დაედევნა. წისქვილთან დაეწია. იქ ორივე ჩააყურყუმალავა წისქვილის ბორბალში. კარგა ხანს არ ჩანდნენ არც ერთი, არც მეორე.

ხალხმა იხუვლა, მეორე ეზოს მიამურა. ახლა იმ ეზოში იწყებოდა სეირი.

ჭადრის ქვეშ იღლია გამოჩნდა. ახლაც ტანზე ვიწროდ შემოჭრილი შავი კაბა

ეცვა. მტკერის ნაპირთან მივიდა და იკითხა:

— რა მოხდა?

არაფერი, ძალო, იღრჩვებოდა. — უპასუხა სტეფანემ.

— მერმე?

— მგონი დაიღრჩვა.

— ლადო სად არის?

— ძაღლს გაეკიდა.

იულიას არ უყვარდა, როდესაც მისი ქმარი სეირის ყურების მიზეზი გახდებოდა ხოლმე... მეთევზის ცოლი უხმოდ გაეცალა ნაპირს.

იგი ყველაზე ჩუმბი ქალი იყო მთელს ეზოში. არასოდეს არ ერეოდა მეზობელთა ყაყანაში. გარეთაც იშვიათად გამოდიოდა. ამიტომ ყველა მეზობელი ერთგვარი რიდიტა და პატივისცემით ეკიდებოდა.

სტეფანემ მეთევზის ცოლი ოთახის კარამდე მხერით გააცილა. მაკოს ეს როგორ გამოეპარებოდა, ჩაიხიბოდა, ოღონდ ისე ჩაიხიბოდა, რომ სტეფანეს გაეგონა.

— რას იცინი, შე დამქნარო! — უთხრა სტეფანემ.

მაკომ თვალი ჩაუკრა და ანიშნა — ახლოს მოდიო.

სტეფანე მოაჯირთან მივიდა. დედაბერმა მიიხედ-მოიხედა და ხმადაბლა ჩამოსძახა:

— ერთი ჩიტი დავიჭირე, სტეფანე.

— სადაური?

— უცხო.

— მაინც?

— უცხოა-მეთქი!

— როგორია?

— ჯერ ფრენა არ იცის.

— როდის ენახო?

მოსაუბრენი ხალხის ყაყანა გააჩუმა. ეზოში თავით ფეხამდე დასველებული, გატალახიანებული ლადო შემოვიდა. ნაგაზი ფეხებში ეგლისებოდა, უკან კი ჯგროდ მოსდევდა ხალხი.

ძაღლის პატრონი დაქმუნულ ფულს აჩრიდა ჯიბეში, მაგრამ ლადო ხელ-უხელმა იცილებდა, სიცილით ეუბნებო-

და: მაგ ფულიანად, მაგ ძალოიანად მომწყდი თავიდანო.

ხალხი კმაყოფილი იყო — სეირი კეთილად დასრულდა. იცინოდნენ, ეხუმრებოდნენ ლადოს, ლადოც სიცილითვე უბრუნებდა ხუმრობას.

დაბალ აივანს მეთევზის ცოლი გადმოადგა. იგი ჯერ გაოცდა, ასეთ ყოფაში რომ დაინახა ლადო, მერმე გაიღიმა, კი არ გაიღიმა, მკრთალი შეუმჩნეველი ღიმილი გამოკრთა დიდ თვალებში.

მხოლოდ ლადომ იცოდა, რას ნიშნავდა ასეთი ღიმილი. გატალახიანებულ ტანისამოსზე დაიხედა, შუბლზე ჩამოშლილი, სველი ქოჩორი გაისწორა და ხელები გაშალა — რას იზამ, ხდება ხოლმეო. ბოლოს, როგორც იყო, მოიშორა ძაღლის პატრონი და აივანისკენ გასწია. მაგრამ ძაღლი აღარ გაჰყვა პატრონს, მეთევზს აეტმასნა და არ შორდებოდა. გაოცებულმა პატრონმა ძალით წაყვანაც სცადა. ტყუილად გაისარჯა: ნაგაზი ვერ მოაცილა მეთევზს...

ღამით აგრილდა, იმდენად აგრილდა, მეზობლებმა აივნებზე გამოფენას, ოთახებში ყოფნა ამჯობინეს.

ეზოში ბნელოდა.

სიბნელეში ვიღაც დაშლივინებდა. რამდენჯერმე დააპირა წისქვილზე გადასვლა, ვერ გაბედა. ბოლოს ფრთხილად გაიარა ბონდი და გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, აჩქარებული ბონდზე მოკუნეკულბდა. ნაპირზე რომ გადმოვიდა, კაცის ხმამ შეაკრთო:

— მაკო, ამ ღამეში რას დაწრიალებ?!

— შენა ხარ, ლადო, გული გამიხეთქე.

— გულს რა გაგიხეთქავს, ეშმაკების ბებია ხარ.

— შენისთანა ეშმაკებსა, — მიუგო დედაბერმა და უცებ ისე შეხტა და ისე შექყვარა, რომ ახლა კინაღამ ლადოს გაუსყდა გული.

— რა მოგივიდა, მაკო!

— ჯანდაბას მაგისი თავი, რაღაც მო-

მედო ფეხებზე, — მოითქვა სული მაკომ.

— ნუ გეშინია, ძალღია.

— შენი ბეწვი დაიწვას, — შეუტია მაკომ ძალღს.

— ჩიტის გული გქონია.

ლადომ ნაგახს თავზე ხელი გადაუსვა.

— ლამაზი ცოლი გყავს და ახლა ძალღიც გაიჩინე. მაგრამ... ეგ ძალღი ფრთხილი არ უნდა იყოს. — უთხრა მაკომ.

— ფრთხილიც არის და ავიცა.

— მაშ, კარგად გქონია საქმე... იუღიამ რა გითხრა?

— რას მეტყობა?

— ძალღის მოყვანა გაუხარდებოდა.

ლადომ იცოდა, მაკო აღარ გაათავებდა კარტალს. ამიტომ ისე გაშორდა, პასუხი არ გაუცია. დედაბერი დაედევნა და მკლავზე მოეკიდა.

— რას ჩამაცვიდი, მაკო, რა გინდა!

— ლამაზი ცოლი გყავს, ლადო.

— მყავს... მყავს... რა გქნა, სხვებსაცა ჰყავთ...

— ლამაზ ქალებს ნებნივრობა და ფუფუნება უყვართ.

— მარტო ლამაზებსა?

— დამიჯერე, ასეა-მეთქი.

— რატომ არის ასე?

— ასეა და... სილამაზეს სხვა ფასი აქვს, ლადო, ძვირი ღირს... ეს კარგად იციან ლამაზებმა.

— შენ საიდანღა იცი...

— საიდან? შე დალოცვილო, ასეთი კი არ დავბადებულვარ. ჩემისთანა ქალი ჰქვეყნაზე ორი არ დადიოდა.

ლადო ქუჩაში გავიდა.

ქუჩის მეორე მხარეს დუქნის ფანჯრები მკრთალად იყო განათებული. სუსტი შუქი ქვაფენილს ეღვრებოდა და ტრამვაის ლიანდაგი ცივად ელავდა.

ლადომ ქუჩა გადასჭრა და დუქნის კარი შეაღო. დუქანში შეხუთული პაერი დახვდა. შემწვარი ხორცის და თამბაქოს სუნს ტრიალებდა.

მედუქნემ ახლად შემოსულს თავი დაუქრა და დახლთან მიიპატიჟა. მეთევზემ მოქიფივებს გადახვდა, მიესალმა. მოქიფენი ხმაურით წამოიშალნენ, დაიწვი-

ეს — შემოგვიერთდით, ლადომ უარის ნიშნად თავი გაიქნია და ფანჯრის სახელოს ცარიელ მაგიდას მრუჯდა. ნაგახიცი მის ფეხებთან მოკალათდა.

— ერთი არაყი მომიტანე, ანტონი — გასძახა ლადომ მედუქნეს.

— კარგი ღვინო მაქვს, ლადოჯან.

— არაყი მომიტანე!

— ჰავისა თუ...

— ჰავისა!

მედუქნემ წელში გამოყვანილი ღვინის ჰიქა არყით აავსო, თეფშზე დადგა, გარშემო პურისა და ყველის ნაჭრები მოუწყო. სამიოდე ქორფა, ვარდისფერი ბოლოცი დაუმატა, ლადოს მიართვა.

— ძალიან სუქდები, ანტონ? — მიაგება ლადომ.

— რა გქნა, ლადოჯან.

— კაცი ხარ, ხორცი როგორ უნდა მოგერიოს?

— შენ ეგა თქვი და! — ისე უპასუხა მედუქნემ, თითქოს სიტყვა მოუქრა მეთევზეს.

ლადო დუქნის ფანჯრიდან ნახევრად-ბნელ ქუჩას გასცქეროდა. ცხენებმა თქარათქურით გააქროლეს ეტლი. მერმე ცარიელი ტრამვაის ვაგონი გარიხინდა.

მეთევზემ არაყი გადაჰკრა. ცეცხლოვანი სითხე ჩაელვარა სხეულში და სისიამო ყრუანტელად მოექცია, დაქიმული ძარღვები მოედუნა...

— ერთიც დამისხი, ანტონ!

მედუქნე ლადოს მაგიდასთან მოთუბთუბდა და მალევე გაბრუნდა უკან.

ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო...

ნაღვლიანად მღეროდნენ მთვრალეები. გაბზარულ და ჩახლელილ ხმებში იმდენი სითბო ერია, რომ ლადოს ყელში მოეხვინა გული. ან გოლიათ მეთევზეს სიმღერა გულს უჩვილებდა, გაინაბებოდა, გაყუჩდებოდა და თვალმდებუქული უსმენდა ხოლმე.

მეთევზემ მეორე ჰიქა გამოცალა.

— ანტონ, კიდევ მომიტანე!

ლადომ შესამე ჰიქა დაიდგა წინ. იგი ახლა იუღიაზე ფიქრობდა მხოლოდ.

განაწყენებული დატოვა შინ და წამოვიდა.

იულიას სიტყვა არ უთქვამს, არც ლადოს უთქვამს სიტყვა იულიასთვის. დაიბანა, გამოიცვალა ტანსაცმელი და ტახტზე დაჯდა გაყუჩებული. უნდოდა, რალაც ეთქვა ცოლისთვის, თავი ემართლებინა — ძალი შემეცოდო... ცოლი ღუმდა და ღუმელი საყვედურით იყო, მაგრამ ღუმელი ღუმელია, რას ეტყვი, რას განუმარტავ? ღუმელს ღუმელით უნდა უთხრა სათქმელი. ლადოს კი აღარ ეყო მოთმინება და გარეთ გამოვარდა.

„სილამაზეს სხვა ფასი აქვს... ძვირი ღირს...“ — გაახსენდა მაკოს ნათქვამი. „რა ღირს სილამაზე? ჰო, რა ღირს? — ფიქრობდა მეთევზე, — ქალის სილამაზე მამაკაცის სიყვარულზე ძვირი არ უნდა ღირდეს... არ უნდა ღირდეს, არა...“

ლადომ მესამე ჰიქაც გადაჰკრა. არყის გემოს უკვე ველარ გრძნობდა. მედუქნეს კიდევ ერთხელ შეაფხებინა ჰიქა.

ღუქანში მთვრალი კაცი შემოიჭრა. შემოსვლისთანავე ყველას მიესალმა:

— გამარჯობათ, ბიჭებო! ახლადშემოსულისთვის მოქეიფებებს არ მიუქცევიათ ყურადღება.

მხოლოდ ლადოს არ მოეწონა მისი მწვანე ფრენი და გაწეწილი თმა. ხელებზე დააკვირდა: ქალივით პატარა ხელები ჰქონდა, თანაც თეთრი და ფუნჩულა...

მწვანეფრენჩიანი მეთევზის მაგიდას მიუჯდა და არაყი მოატანინა. „ასეთი ბედი მაქვს“, — გაიფიქრა ლადომ და ახლადშემეძინილი თანამესუფრე ერთხელაც შეათვალიერა: სახეც ქალივით ლამაზი ჰქონდა, ეს კი იყო, უაზროდ აცეცებდა არყისა თუ ღვინის სმისაგან დაწითლებულ თვალებს.

მწვანეფრენჩიანს საუბრის გაბმა არ გასძნელებია, ჰიქა ჰიქაზე მიუჭახუნა მეთევზეს, დღეგრძელობა უსურვა და გამოცალა. ლადოს თეფშიდან პურის ნატეხი და ბოლოკი აიღო, შეჭამა.

— ცხოვრება მარტივია, — უთხრა მეთევზეს თანამესუფრემ, — მარტივად

არის მოწყობილი, მაგრამ თვითონ ადამიანები ართულებენ მას.

ლადოს რალაც მოეწონა თანამესუფრის ნათქვამში, თუმცა ბოლომდე ვერ გაიგო, რისი თქმა სურდა, იქნებ ამიტომაც ჰკითხა: როგორ ართულებენო. თან იმაზე ფიქრობდა, ეს კაცი წინათ საღლაც მინახავს, საღლაც შემხვედრიაო, მაგრამ — საღ? ვერაფრით მოიგონა.

— მე მიყვარს ეს ძველი უბანი, — ამბობდა ენისბორძიკით მწვანეფრენჩიანი, — აქ პატიოსნებას, კაცობას ჯერ კიდევ ფასი არ დაუკარგავს, აქ მარტივად ცხოვრობენ, პირდაპირი ხალხია, კაცი კაცის ღვაწლსა და ამაგს არ ივიწყებს...

„ეს კაცი საღლაც მინახავს, — კვლავ გაიფიქრა მეთევზემ, — ღმერთო, გამახსენე... ღმერთო, გამახსენე.“

— მე თვითონაც ასეთი ვარ, — განაგრძობდა მწვანეფრენჩიანი, — მე ვიცი პატიოსნების, კაცობის ფასი, კაცის ამაგისა და ღვაწლის ფასი... მე არ მიფასებენ ოღონდ...

— ყველაფრისთვის ფასი დაუღვიათ ამქვეყნად, — თქვა მეთევზემ, — კაცობისათვის, პატიოსნებისათვის, ღვაწლისთვის, ჰო, სილამაზისთვისაც დიდი ფასი დაუღვიათ. ყველაფერი ძვირად ფასობს, უფრო მეტად ვიდრე ღირს...

მოქეიფებმა ისევ წამოიწყეს სიმღერა, სიმღერამ მედუქნის თვინიერი ფშვინვა დაახშო.

ლადომ ჰიქაში ჩარჩენილი არაყი მოწურუბა და ხმამალა დაიძახა:

— ანტონ, ორი არაყი!

მედუქნემ ორივე ჰიქა აავსო არაყით. მწვანეფრენჩიანი ზედზედ ქაჩაედა პაპიროსს. მომღერლებისკენ ნახევრად შებრუნდა, ხმის შეწყობა სცადა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და ისევ მეთევზეს მოუბრუნდა:

— ცხოვრება ურჩხულს ემსგავსება, — იმდენად მთვრალი იყო, ენას ძლივს აბრუნებდა, — აი, მე, მაგალითად... ხედავ ამას, — მან საფერთქლის ზემოთ თმა აიწია და შუბლის მარცხენა მხარეს ნაკლები გამოაჩინა, — ეს კრი-

ლობა არ გეგონოს... იცი, რა არის ეს... მე არ მინდოდა ამქვეყნად მოსვლა და ძალით გამოიმჩივანეს... მაშებით... საწყალი დედაჩემი... ასეთ დაბადებას რა ვუთხარი!..

მეთევზეს ნაქდევიც გაახსენდა, მაგრამ ვერაფრით მოიგონა, სად ენახა ეს კაცი.

— ზოგჯერ ისეთ ხასიათზე დგები, რომ თავის დაღრჩობა გინდა, — თქვა მწვეანეფრენჩიანმა, ლადოს თეფშიდან ისევ აიღო პური და მოცეცქნა.

მეთევზეს ჩამჭკალი სახე გაუნათდა.

— შენ ხომ ერთხელ უკვე სცადე თავის დაღრჩობა.

— მე? — გაოცდა მწვეანე ფრენჩი.

— ჯერ გადავარდი, მერმე შეგეცოდა შენი თავი და ღრიალი მორათე — მიშველეთო.

— არა... მე ხმა არ ამომიღია... უსინდისო ვიყო, თუ ხმა ამომეღოს...

მეთევზემ გაიღიმა. მაგიდიდან თეფში აიღო, რომელზედაც ჯერ კიდევ ეწყო ყველისა და პურის ნაჭრები და ფეხებთან მიყუჩებულ ძაღლს დაუდგა.

— ჰამე, ძაღლო! — თან დაუყვავა, თავზე ხელი გადაუსვა.

ნაგაზმა თეფში მოასუფთავა.

— იცნობ იმ კაცს, ვინც გადაგარჩინა? — ჰკითხა ლადომ მწვეანე ფრენჩს.

— როგორ არა... — უბასუხა მან და დახლისკენ წაბარბაცდა. თან არყიანი ჰიქა წაიღო.

მეთევზე წამოიმართა, ფეხზე მდგარმა გადაჰკრა არაყი და კარისკენ წავიდა. — ჩემზე იქნება, ანტონი — მიძახა ღია კარიდან.

— შენ იცი, ლადოჯან.

— წამოდი, ძაღლო... წამოდი.

ლადოს სიგრილე ეამა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი შევიდა ეზოში. ნაგაზი მორჩილად მიჰყვებოდა.

წისქვილის ბორბალი ისევ ჰრიალებდა, ჰაერში ასროლილი შხეფები მთვარის შუქზე ციმციმებდა.

მეთევზე გადაბრუნებულ ნაეზე წა-

მოწვა და ცას მიაშტერდა. წყლის ნაცნობ შხუილს მიაყურა, ასეთი შხუილი მდინარემ იცის მხოლოდ დამთავრობის ყველაფერი დადუმებულია. ლადოსწრაფად წამოდგა და მტკვარს ჩააშტერდა, წყლის სწრაფმა დინებამ თავბრუ დაახვია — ახალა იგრძნო არყის ძალა. ცაცხვს ხელი მოაელო, მხრით მიეყარნო.

წისქვილთან მტკვარი იღუმალი და ბნელი ხდებოდა, აქ წისქვილის ჩრდილი ეცემოდა მდინარეს. ჩრდილი ტყავივით მოქნილი იყო, ირხეოდა, თანთალეზდა, ხან ამოიბურცებოდა, ხან ჩაიზნიქებოდა. ტალღები მძიმე ჩრდილის ქვეშ მისრიალებდნენ, დაუსრულებლად მისრიალებდნენ. გინდოდა ხელით დასწვდომოდი და მდინარისთვის ჩრდილი მოგებოდა, რომ გენახა ტალღების ნამდვილი სახე.

ლადომ საყელო გადაიღელა და გახურებული მკერდი მტკვრის ნიავს მიუშვირა. შესცივდა. ისევ შეიბნია საყელო. ძაღლს მიუბრუნდა.

— წავიდეთ... გვეყოფა გარეთ ხეტილი... იულიას არ სძინავს... გველოდება. წამოდი, იულიასთან თბილა... იულიასთან სხვა სიტბოა.

მეთევზეს არ შეუშინებია, მისი გამოჩენისთანავე როგორ აწრიალდა მკო. აივანს მთვარე ანათებდა და დედაბერი ხან ბოძს მიეფარებოდა, ხან ჩაცუტქდებოდა და რიკულებიდან იჰყიტებოდა ეზოში.

მეთევზე და ძაღლი სახლისკენ წავიდნენ. ჰადართან ლადო შეჩერდა და მტკვარს მოხედა. სიბნელეში მოესმა, წისქვილის კარმა თითქოს გაიჭრიალა, თან, მგონი, ქალის ხმაც გაიგონა.

ლადომ აივნიდან გადახედა წისქვილს.

წისქვილის კარი ერთხელაც გაიღო და მიიხურა — ვიღაცა გამოვარდა გარეთ. კარი ისევ გაიღო. ახლა სტეფანე გამოჩნდა ლამფის შუქზე. იგი კარებშივე მისწვდა ადრეგამოსულს და უჩანე მოუნდომა შეთრევა.

მეთევზემ ხუთიოდე კიბე ჩაიბრინა და

ნაპირთან გაჩნდა. გაყუჩდა, სმენად იქცა...

— გამიშვი! ხელი გამიშვი! — გაიგონა ქალის მუდარა...

— გოგო, გამიგონე, სიტყვა მინდა გათხრა...

— თავი დამანებე! წყალში გადავვარდები, დედას გეფიცები, თავს დავიღრჩობ!

— გოგო, ხომ არა გკლავ, ერთი სიტყვა მათქმევინე.

ლადომ ველარ მოითმინა და ბონდი გადაირბინა, სტეფანეს მიექრა.

შეშინებულმა გოგომ მეორე მამაკაცი რომ დანახა, იქვე ჩაიკეცა. სტეფანემ კარი გამოხურა, ბანზე გამოვიდა, წისქვილი ისევ სიბნელეში გაეხვია.

— რა გინდა, რისთვის მოხვედი?

— თქვენი ხმა გავიგონე და მოვედი.

— მე შენთვის არ დამიძახია.

— არც მე მოვსულვარ შენთან.

— ლადო!

— ცოდოა ეს გოგო, გაუშვი თავისი გზით წავიდეს...

— ძმობას გეფიცები, მეწყინება.

— აღეჭი. გოგო... — ლადო დანიხარა და გოგო წამოაყენა, — აქ რამ მოგიყვანა?... არც შენ იქნები კეთილი სული.

— მთვრალი ხარ, რა უნდა გელაპარაკო.

გოგო ფრთხილად გადავიდა ბონდზე. წისქვილის ყრუ ბუბუნში მკაფიოდ ისმოდა სარეკელას ხმა. მდინარე ნავეზის ქიმებს მკერდით ეხებოდა. წყალი შხუოდა... წისქვილის ბორბალი ძალუმიად ტრიალებდა, ტლამუნობდა.

ბონდი ნელა ირწეოდა და მეთევზის წაგრძელებული ჩრდილი წყალში შეჭრილ აგურის კედელზე ცახცახებდა.

ძალდი ნაპირზე წამუტუნებდა, ყეფდა.

— შეგეშინდა, ძალოო? — ნაპირზე გადმოსვლისთანავე შეეკითხა მეთევზე, — ნუ გეშინია!

ლადომ შუა ეზოში ონკანი მოუშვა. წყალი თქრიალით წამოვიდა. ლადო დანიხარა და გახურებული შუბლი შეუშვირა წყალს. ასე დაყოვნდა ერთხანს. მერ-

მე წელი გამართა და თავი გაიქნია წყლის წვეთები მოიშორა, თვალეზი გაახილა და გაოცდა. ის გოგონა მკაცრ კიბესთან ატუხული იდგა და არც აპირებდა წასვლას.

— რატომ არ წასულხარ, გოგო.

— სად წავიდე?

— საიდანაც მოხვედი, იქვე წადი.

გოგო ხმას არ იღებდა.

— რა გქვია?

— ტასო.

— აქ რა გინდოდა?

— მაკომ ბაზრიდან მომიყვანა.

— ბაზარში რაღა გინდოდა?

— მეზობლებს წამოვეყვი სოფლიდან.

— დედ-მამა არა გყავს?

— არა.

— მაკოს რად წამოყვევი?

— მითხრა, სამუშაოს გიშოვნო, ფულს მოგცემენო...

— არ მოგეწონა სამუშაო? — გაიღიმა მეთევზემ.

— სამუშაო არავის მოუტია... იმ კაცმა ცოტა მაქამა, ლეინო დამალევიდა და... ტომრებზე წამაქცია...

— წაგაქცია?..

— მე შემეშინდა და გარეთ გამოვარდი.

— აქ რაღას უდგახარ.

— არ ვიცი... ბებია მაკომ შინ არ შემიშვა...

— ჩემთან წამოდი. მე გაგათევინებ ლამეს.

ლადომ შეატყო, გოგო დაეჭვდა და შეყოყმანდა.

— წამოდი... თახსირი ვინმე არ გეგონო, შინ ცოლი მყავს.

ლადომ სველი შუბლი ხალათის სახელოთი მოიწმინდა და ტასოს ხელი მოაკიდა, მაკოს კიბეს მოაშორა.

ხუთიოდე საფეხური აიარეს და ვიწრო კარს მიადგნენ. ლადომ კარი შეაღო და შეიხედა, მაგიდაზე ლამაზ ბუტბუტა, სუსტად ანათებდა ოთახს. იულია ლოგინში იწვა, აბურდული თმა, ბალიშზე მძიმედ ეყარა, მკლავები წითელ საბანზე ელავდა.

მეტევე ფეხაკრეფილი შევიდა და ლამფას ოდნავ აუწია. ოთახში სინათლემ იმატა და იულიას ქუთუთოები შეუთამაშდა. ლადო საწოლთან მივიდა, დახედა, ცოლმა დიდი, შავი თვალები გაახილა. ღრმა თვალებში საყვედური არ გამოკრთოდა, არც სხვა რამ საყვედურის მსგავსი. ღია თვალები მისჩერებოდნენ ლადოს, მისჩერებოდნენ, სხვა არაფერი.

— იულია...

იულიამ თვალები უფრო ფართოდ გაახილა.

— იულია...

— კარი დახურე, გრილა. — იულიამ მკლავები საბანში შემალა და გვერდი იცვალა.

— მოიკადე, იქ გოგო დგას, იულია.

— ვინ გოგო?

— ტასოა.

— რომელი ტასო.

— რა ვიცი, ასე თქვა, ტასო მქვიანა, — დაიბნა ლადო.

— შენც მეტი არ გინდოდა, შინ წამოიყვანე.

იულია ლოგინზე წამოჯდა.

ცოლის სხეულიდან და, საერთოდ, ლოგინიდან საოცარი სითბო იღვრებოდა ოთახში. ლადოს მოუნდა ცოლის თბილი სხეულისთვის ხელი ეხლო, მოაღერებოდა, მოაჭერებოდა, თავის მოუხეშავ ხელებს დახედა და ჯიბეში ისე ჩაიწყო, თითქოს მოპარული ნივთები დამალაო.

— ცოდოა, იულია, აქ არც სახლი აქვს, არც კარი.

— ყველას შენ უნდა გადაეყარო.

— ღამე გავათევიანოთ, ხვალ თავის გზას გაუდგება.

იულიამ ფეხები ფოსტლებში წაპყო, ლამფას გადასწვდა, სინათლე მოუმატა.

— ჯანდაბას შენი თავი...

— შემოდი, ტასო... გოგო, შემოდი-მეთქი.

ტასო ოთახში შემოვიდა, იულია გაოცებული მიამტერდა, მერმე ქმარს ახედა.

იულიას რატომღაც ტასო პატარა გო-

გოდ წარმოედგინა, მის წინ კი მოწიფული, ლამაზი ქალიშვილი იდგა. ყელზე დაკურებული ქერა ნაწნავები თეძოებამდე სწვდებოდა, შემკრთალი თვალები დაბლა დაეხარა, გაფითრებულ სახეზე ტუჩები ნაკვერჩხლებივით უღვივოდა.

ლადოც პირველად ხედავდა ტასოს სინათლზე. ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ეს გოგო ასე ლამაზი იქნებოდა.

— იულია, სტეფანე ხომ იცი, რაც არი... პოდა, წისქვილში მიეყვანა...

იულია ისევ საწოლზე ჩამოჯდა. სახეზე ვარდისფერმა გადაკრა. თვალები დაუპატარავდა. ისე უმზერდა ქალიშვილს კი არ უმზერდა, თითქოს ამოწმებდა მის სილამაზეს, სინორჩეს. მეთევზის ცოლის თვალებში წამით გაიელვა უცხო ნაპერწყალმა, იულიასთვის უცხომ, რადგან მას არასოდეს არ უფიქრია იმ წლებზე, რომლებიც ამჟამად ამორებდნენ ტასოს ასაკს.

— მერმე? — იკითხა მან.

— რომ არ მომესწრო, გოგოს დაღუპავდა...

— დაღუპავდა...

— ჰო...

— ჰო... ჰო... — იმეორებდა იულია იმავე კილოთი, როგორითაც ქმარი წარმოთქვამდა.

— რა ვქნათ, იულია?

— რა ვქნათ, — იულიამ ქმარს ხელზე ხელი მოჰკიდა და გაიღიმა, — რაც გულით გინდა, ისა ჰქენი.

— ეს გოგო აქ დავაწვინოთ.

— შენა?

— შე გარეთ დავიძინებ, ტახტზე, იქ მირჩვენია.

— კარგი, ლადო...

ტასო მორჩილად იდგა ღია კართან.

მეთევზემ მეორე დილით ქალიშვილი ანტონთან გადაიყვანა. იცოდა, მეღუქნეს ჭურჭლის მრეცხავი გოგო სპირდებოდა. ხოლო სტეფანეს აღარც კი გახსენებია ის ღამე, ყოველ შემთხვევაში, თავი ისე ექირა, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ჩენი სახლისთვის მუშებს სახურავი უკვე გადაეცალათ. კარ-ფანჯრები ჩამოეხსნათ, აივნები ჩამოენგრათ. შიშველი კედლები უაზროდ გამოიყურებოდნენ, თითქოს შუა გზაზე კაცი გაატიტვლეს და აღარ იცის რა ქნას, საით გაიქცეს, სად შეაფაროს თავი.

ძია ლადო საქმით იყო გართული. მე ვნახე, როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ დანარჩენი მუშები. საქმის კარგ მცოდნედ თელიდნენ და მართლაც ასე იყო. ყოველგვარ წვრილმანზე მიდიოდნენ მასთან და ისიც დაუზარებლად, შეუცთომლად იძლეოდა განმარტებას.

ძველი სახლი კი ინგრეოდა, თანდათან დაბლდებოდა, პატარავდებოდა, პაერში იდგა მტკრის კორიანტელი, რომელსაც ცხელი ქარი ფანტავდა...

ლადო დილიდანვე ცაცხვის ქვეშ იჯდა და ბაღეს კემსავდა.

ეზოში ბავშვები ჟიჟივებდნენ, ონკანთან იროდნენ, იწუწუბოდნენ. მაკომ ბავშვებს ტაშტით წყალი გადმოასხა, დაუცაცხანა — ონკანს მოეშვით, გააფუჭებთო... ბავშვები კი თავისას მანც არ იშლიდნენ.

წისქვილიდან სტეფანე გამოვიდა. უკან გლეხი მოჰყვებოდა, ხელებს შლიდა. გაცხარებული ლაპარაკობდა. ასე ლაპარაკ-ლაპარაკით გადმოვიდნენ ნაპირზე. მერმე გლეხმა ჩამოხსნილი საპალნე ისევ აჰკიდა ვირს და წაეიდა. როგორც ჩანდა, მინდზე ვერ მორიგდნენ...

სტეფანე ლადოსთან მივიდა და გაბრაზებული ქვაზე ჩამოჯდა.

— სულ საზრით უნდა ავუჭრელო ზურგი... — ამბობდა მეწისქვილე. იგი უფრო იმაზე იყო გაწიწმატებული, რომ მტკირთავეებმა უღალატეს, მეოთხედლე იყო აღარ მოდიოდნენ და თვითონ უხდებოდა ისეთი საქმის გაცეთება, რასაც წინათ არ იკადრებდა.

— სატყეავი მაგისია, უნდა დაგაფქვევინებს, უნდა არა... ^{სტეფანე} მტკირთავეებით უთხრა მეთევზემ.

— წისქვილი კი ჩემია, მინდა დაუფქვავე, მინდა — არა.

— შენ არ დაუფქვავე, სხვა დაუფქვავეს... წავა და ელექტრონით დააფქვევინებს.

— პაი გიდი! მერმე ჩემი და იმათი დაფქვილი ერთია!

მაკომ ისევ გადმოასხა წყალი ბავშვებს. ბავშვებმა ერთი ჟიჟილ-ხივილი ასტეხეს და ახლა თვითონ გაწუწუეს დედაბერი. გულზე გახეთქილმა მაკომ წყლით სავსე ვედრო გამოიტანა. ბავშვები სიცილით მიმოიფანტნენ და შორიდან დაუწყეს გაღიზიანება. მაკომ წყალს ველარ აწვდენდა მათ და წყველის ნიაღვარი გადაფრქვია. ბავშვებს აყოლილი ნაგავიც გამწარებულ დედაბერს უყუფლა.

— ვანიყო! — დაუძახა სტეფანემ თავის შვილს.

ქოჩორა, შავგვრემანმა ბიჭმა მოიბინა და მამას წინ მორჩილად დაუდგა.

— ახლავე შინ წადი!

ბიჭმა რაღაცის თქმა დააპირა, მამამ მკაცრად გაუმეორა:

— შინ წადი! ახლავე!

ბიჭი გულდაწყვეტილი გაბრუნდა, სტეფანემ მიაძახა:

— სირბილით!

ლადომ კემსვა მოათავა და წამოდგა. სტეფანეს მიუბრუნდა.

— რატომ გაავადე, ეთამაშა.

— კარგს არაფერს ასწავლიან... ეს პიონერები...

ლადომ ხეზე დაკიდული ბაღე ჩამოხსნა, აყეცა, ეზოდან მტკერისკენ გადაიხარა და ნელ-ნელა ჩაუშვა ნავში.

— ვინ მოგყვება? — ჰკითხა სტეფანემ.

— თომა.

— მუნჯი ბელიანია.

— ალალი კაცი თომა.

— სოლანულში მიდიხარ?

— არა, აქვე... შენი სახლის წინ... სტეფანე რიყეში ცხოვრობდა, ბაზარ-

თან... მისი სახლიც მტკვარს გადაჰყურებდა...

— დილაზე ითევზავებთ?

— ვნახოთ... რა ხელზე გავშლი ბადეს...

სტეფანემ უცებ წისკვილს მიაყურა.

— საფუკავი გამოილია, გესმის, როგორ ხრიალებს... ქვა გამოფუქდება, — თქვა და წისკვილზე გადაიჩინა.

ლადომ სხეუნიდან ნიჩბები ჩამოიტანა და ისინიც ნაეში ჩაყარა.

მტკვარს მომწვანო ფეხი გადაჰკრავდა.

მეთევზე წისკვილზე გადავიდა და მეორე ნაეის ბანზე დადგა. ვაღმა იხედებოდა. ქოხიდან თომას გამოსულას ელოდა.

ბინდებოდა. ლადო დაბლიდან შესცქეროდა ქალაქს.

ქალაქი მაღალი იყო, ბინდისფერი და მყუდროებით მოცული. წისკვილამდე შორეული ხმები აღწევდა, ეს იყო მატარებლების კვილი თუ ბორბლების ხმაური. მაგრამ ეს ხმები ამ მყუდროების მიღმა რჩებოდა.

ქალაქი მაღალი იყო და ბინდისფერი... იგი მტკვარს ზემოდა დასცქეროდა.

ბინდისფერი იყო ნარიყალაც, მეტეხიც. მთაწმინდაც ბინდისფერი იყო.

ქოხიდან თომა გამოვიდა და მეთევზეს ხელი დაუქნია. ლადომ ჯერ ვერ დაინახა იგი, მერმე თვითონაც მოჰყვა ხელების ქნევას. ასე შეთანხმდნენ. კმაყოფილი მეთევზე უკან გამობრუნდა, წისკვილში შევიდა.

წისკვილი ღუმლა. სტეფანეს გაეჩუმებინა წისკვილი.

— მორჩა, დღეს აღარ იმუშავებს, — თქვა მეწისკვილემ.

— მუშტარი არ უნდა გაგებრუნებინა.

— ერთი მაგათი...

— თუ გინდა, ნავით შინ მიგიყვან?

— ჯერ დაერჩები... რა მეჩქარება.

ლადომ წისკვილის ბანიდან კოკათ მოსწია თავისი ბრტყელძირიანი ნავი, ნავას დაუძახა და ნაეში ჩასვა, თვითონაც ჩახტა ნაეში.

სტეფანე ბანის მოაჯირს ნიდაყუებით დაეყრდნო, თვალს აღევნებდა მეფეების მოქმედებას. გოცებულმა ვერ მოქმედებდა, რატომ ხდებოდა ასე: ლადო მიწაზე თითქოს გაუბედავად დადიოდა, თითქოს რაღაცას ეკრძალებოდა, ხოლო როდესაც ნაეში იდგა... აქ ვერაფერი შეედრებოდა მეთევზეს, ნავი თათქოს განუყოფელი ნაწილი იყო მეთევზის სხეულისა. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. თავისი ბრტყელძირიანი ნავით ლადო ყოველთვის ჩაგრავდა მტკვარს, როგორც მშფოთვარე და გახელებულიც უნდა ყოფილიყო მდინარე.

ახლაც აგურის კედელს ჰოკი ჰკრა. ნავი მდინარეში შეაქურა, ჰოკი ნაეში ისროლა, ნიჩაბს დასწვდა და ღონივრად მოუსვა.

ვაღმა რიყეზე თომა იდგა და ელოდებოდა.

სტეფანემ ერთხანს უცქირა, როგორ ებრძოდა ლადოს ნავი ტალღებს. მერმე წისკვილს კლიტე დაადო და ქუჩაში გავიდა.

დაბალი სახლის სახურავზე გულისწამლებად ეივეციებდნენ ბელურები, ხანდახან ფრთების ფრთხილით გამოიშლებოდნენ, ქუჩას ჩაუქროლებდნენ. ისევ ძველი სახლის სახურავზე გაიბაწრებოდნენ და ფრთხილი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ გამველეებს.


სტეფანემ მარჯვნივ გახედა ქუჩას. ღია ფანჯარაში იუღია გადნომდგარიყო.

იუღიამ მეწისკვილს თვალი ააჩინა, თითქოს ვერ დაინახა, როგორ მიესალმა სტეფანე. მეწისკვილემ ხელმეორედ დაუკრა თავი.

პაპიროს ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. იქვე ვილაც დედაკაცმა ნარეცხი წყალი ქუჩაში დაღვარა. ცოტა ზემოთ ხარახებს დუქნის წინ ნარდი გამოეტანათ, თამაში გაეხურებინათ. კამათის ჩხაყუნი და ქვემდს ტაცა-ტაცუცი ისმოდა.

მეწისკვილემ იუღიასკენ გასწია.

— როგორა ხარ, იუღია? ჰკითხა მესვლისთანავე.



იულია უხმოდ დასჩერებოდა ქვაფენილს.

— დიდი ხანია არ მინახავხარ.

— დღეები არ დამითვლია.

— მე ვითვლიდი... როგორა ხარ?

— კარგად.

— შენი ქმარი სათევზაოდ წავიდა.

— მერმე ეგ რას უშლის ჩემს კარგად ყოფნას.

— წინათ არ უშლიდა. ახლა — არ ვიცი.

— არც ახლა უშლის.

იულიამ ახლა-ღა შეხედა მეწისქვილეს — იგი ცბიერად იღიმებოდა.

— რას იღიმები?

— დიდი ხანია არ მინახავხარ.

იულიას ყოველთვის აოცებდა მეწისქვილეს სიკობტავე. სტეფანე მთელ დღეებს წისქვილში ატარებდა იქიდან ერთხელაც არ გამოსულა დამტვერილი თუ ფქვილით დასვრილი. ახლაც ისე ბეწიანად ეცვა, თითქოს წისქვილიდან კი არა, შინიდან გამოსულიყო... ფანჯრის რაფას დაყრდნობილი იულია აღმაცერად დასცქეროდა სტეფანეს და უცებ თვალი შეასწრო, მის შიშველ მკერდზე როგორ აფათურებდა მზერას სტეფანესწრაფად წამოიმართა და გულისპირი გაისწორა.

— დღეს მოვალ, იულია...

— არა.

— მოვალ...

— არა. — ჯიუტად გაიმეორა მეთევზის ცოლმა.

— იცოდე, მოვალ.

— არა, არა-მეთქი.

იულიამ ფანჯრები მიხურა. მეწისქვილე სილაგაწნულივით გამობრუნდა.

სტეფანე დაღამებამდე წისქვილის ბანზე იჯდა. მუხრანის ხიდიდან ბიჭები მტკვარში ხტებოდნენ და მათ გაკყურებდა.

დაღამდა.

წისქვილი ნელა ირწეოდა.

სტეფანემ უცებ სმენა გაამახვილა, დაძაბა: წისქვილი დუმდა. მეწისქვილე-

მაც ამ დუმილს მიაყურა. წისქვილი სხვა დროსაც ყოფილა გაჩერებული, მაგრამ სტეფანეს მოეჩვენა, რომ ამასწინა მარტო გაჩერებული არ იყო. წისქვილი დუმილა. ეს დუმილი რატომღაც ცუდად ენიშნა მეწისქვილეს, შეერთა კიდევ სწრაფად შეალო წისქვილის კარი და შევიდა. შიგნით ბნელოდა. ვერ თვებში ერთი ვაიშლიგინეს და მიყუჩდნენ.

წყლის ნელი შხუილი ისმოდა. მაგრამ წყალი თითქოს იმისთვის შხუოდა, რომ ეს დუმილი უფრო შემზარავი გაეხადა.

სტეფანე ერთხანს იდგა გაოგნებული. მერმე ხეიმირთან მიიჭრა და ჩაიხედა. ხეიმირი ცარიელი იყო. ჩამოხტა. ხისა და თუნუქის სარწყავები გადმოაქოთა — ხორბლის ნამცეციც ვერ იპოვა ვერსად.

მეწისქვილე მიხვდა, რომ წისქვილში მარტო დუმილი არ სუფევდა, აქ სიცარიელესაც მოეკიდა ფეხი. ეს დუმილი სიცარიელისა იყო.

სწრაფად გაიჭრა გარეთ, ეზოში გადავიდა, საწყობის კარი გააღო. ბნელ სარდაფში ნოტიო სივრცე დახვდა. ასანთს გაკჭრა, სარდაფში მკრთალმა შუქმა იფეთქა და სტეფანემ იქვე კუთხეში ცარიელი ტომრები დაინახა: კობტად დაკეცილი ტომრები რამდენიმე წყებად ელაგა. ხელმეორედ გაკჭრა ასანთს, ისევ განათდა სარდაფი. მეწისქვილე სიბნელეში სათითაოდ ამოწმებდა ტომრებს, ხელები უთრთოდა, ტომარას ტომარაზე ისროდა უკან.

სარდაფიდან მეწისქვილე მაკოსთან ავარდა. ფანჯრიდან ოთახში შეიხედა. დედაბერი მაცხოვრის ხატის წინ იდგა და პირჯვარს იწერდა, თან ტუჩებს აცმაცუნებდა.


— მაკო! — დაიყვირა სტეფანემ.

დედაბერი შეხტა და შეშინებული ფანჯარასთან მიცუნცულდა. ფარდა გადასწია და გარეთ გამოიხედა. სტეფანე დაინახა, გაუკვირდა, კარი გაუღო.

— ხორბალი მომეცი! — კარის გაღებისთანავე მიაგება სტეფანემ.

— მე როგორ მოვერევი, შემოდი და წაიღე.

მეწისქვილემ მაკოსთან მიბარებული



ერთი ტომარა ხორბალი, რომლის დაფქვას ჯერ არ აპირებდა, საწოლის ქვეშოდან გამოაცურა. მხარზე შეიგდო და გარეთ გავარდა.

სტეფანე თითქმის სირბილით გადავიდა წისქვილზე. სწრაფად მოხსნა ტომარას პირი და ხორბალი ხეივანში ჩაუშვა. მუხრატთან მივიდა, მარცხნივ მოაბრუნა. წისქვილის ბორბალმა კრიალი გაიღო, წყალი ატლამუნდა, ვეებერთელა ქვა დატრიალდა და საპირედან ფქვილმა ალატში დაიწყო თოვა.

მეწისქვილემ შვებით ამოისუნთქა და ჯიბეებში ასანთი მოძებნა. ლამა აანთო. ყვითელი შუქი აპარბალდა და ჩრდილები დაიჩხა კედლებზე.

სტეფანე ყურს უგდებდა სარეკელას რაკუნს, როგორც ექიმი ავადმყოფის გულისცემას, ისე ამოწმებდა წისქვილის ხმაურს, მერმე გაიღიმა და გარეთ გამოვიდა. ერთხანს კიდევ მიაყურა, წისქვილი მძლავრად ბუბუნებდა.

— ჩემი წისქვილი მღერის, — თქვა შვებით და ახლა-ღა იგრძნო, რომ გაოფლიანებულიყო, თან წყურვილი აღრჩობდა.

ტანისამოსიდან მტვერი ჩამოიბერტყა. ქამარი გაისწორა. მერმე წისქვილის კარი დაკეტა და ეზოში გადავიდა.

სარდაფის კიბეები ფრთხილად ჩაიბრა და ბნელი ტალანის კედელს ხელისფათურით გაჰყვა. ერთ კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო და ჩია, გრძელუღვანოანი მკეზოვემ გამოიხედა.

— არმალუმ, — უთხრა სტეფანემ, — ამა, გასაღები, საფქვეს მიხედე.

კარი ისევ მიიხურა.

მეწისქვილე ცაცხვთან მივიდა. ახლა ნაპირიდან მიუგდო ყური წისქვილის ბუბუნს.

— მღერის, ჩემი ბებრუცუნა ძველებურად მღერის, — თქვა ხმამაღლა და ქიშკარსკენ გაეშურა.

შინ წასვლამდე წყურვილის მოკვლა გადაწყვიტა და ისევ ანტონას მიაკითხა. დუქანი ხალხით იყო გაქედილი. ხმამაღალი ლაპარაკი, ხორხოცი, სიძღვრა, ქალების კისკისი თამბაქოს კვამლით და-

ნისლულ ოთახს ქაოსური ხმებით ავსებდა. სტეფანე ამ ხმებში შეფერხდებოდა ხმებში გაითქვიფა. ხმაურში უხარბოდა ხმაური ალაპარაკებდა, აცინებდა, ხმაური ახორხოცებდა, და ამღერებდა. სიმღერა კი არა, მეწისქვილეს სიტყვა არ დაუძრავს, სიცილი კი არა, არ გაუღიმი. როგორც ყოველთვის, მარჯვენა ნიდაყვით დახლს დაყრდნობილი იდგა და ხმას არ იღებდა. მაგრამ მისი სული ხორხოცებდა, მღეროდა, ხმაურობდა.

სტეფანემ ერთი ბოთლი ღვინო გამოცალა.

დუქანში ტასიკო ტრიალებდა. მეწისქვილე თვალს არ აშორებდა და, როცა ქალიშვილმა გვერდით ჩაუარა, ხელი მოჰკიდა, გააჩერა.

— რატომ გამირბი, გოგო?

ტასო მორჩილად გაჩერდა. სახეზე აღმურმა დაჰკრა.

შაეხალათიანი ვაჟი, რომელიც განმარტოებით იჯდა, დაიძაბა. მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, როდესაც სტეფანემ მამა-შვილურად გადაუსვა ტასიკოს თავზე ხელი. შაეხალათიანის წუთიერი აღელვება დუქანში არავის შეუმჩნევია.

სტეფანემ მალე დატოვა დუქანი.

ეზოში ბნელოდა იგი კედელ-კედელ წავიდა, ხუთიოდე საფეხური ფრთხილად აიარა და ლაღოს ოთახის კარი დაუკაკუნებლად შეაღო. გული ძალუმად უტემა, მანც ეგონა, მეთევზის ცოლი დაუკითხავად სტუმრობას შეიცხადებდა. იულისას სტეფანეს გამოჩენა არ გაჰკვირვებია, თითქოს ელოდაო, ისე ჰკითხა:

— დაგინახა ვინმემ?

ამ კითხვამ სტეფანე დაამშვიდა და მშვიდადვე უპასუხა:

— არა.

იულიამ თმის ვარცხნა მიატოვა და დარაბები მიხურა, მოტრიალდა, კედელს მიყრდნობილი, უხმოდ მიაჩერდა მეწისქვილეს, რომელიც ასევე უსიტყვოდ უახლოვდებოდა.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა ქალმა.

— სულ ერთი არ არის, საიდან მოვდივარ?.. შენთან მოვედი.

- სად ყოფილხარ, გეკითხები.
- ანტონასთან ვიყავი.
- ანტონასთან?
- იულია, შენ სხვა ხარ, იულია...
- ის?
- ის სხვაა... — ის ლამაზი ბავშვია...
- შენ კი... შენ ლამაზი ქალი ხარ...
- შენ რაღა ხარ?

— მხოლოდ მე ვიცი შენი ფასი, იულია. ლადომ რა იცის, თევზი რომ იყო, მაშინ სხვაა, ლადომ მხოლოდ თევზის ფასი იცის.

იულია ოდნავ გაფითრდა... ტუჩები აუთრთოლდა.

— შენ რაღა ხარ, რა? რატომ არ შეუბნები?!

— კარგად იცი, რაცა ვარ და როგორიცა ვარ.

— სხვის ცოლთან ყველა კაცი მაგარია.

— ლადოც? — დამცინავად ჰკითხა სტეფანემ.

იულიას არ ეგონა, თუ ასე ეწყინებოდა ქმრის აბუჩად აგდება. ბევრჯერ ყოფილან ერთად, მაგრამ სტეფანეს ლაღოზე სიტყვა არ დაუძრავს. ამ კაცთან ყოფნისას იულიას ყველაფერი ავიწდებოდა და ისიც არაფერს ახსენებდა. ჰო, ცდილობდა არაფერი გაეხსენებინა.

— თუ გინდა, შენს ცოლსა ჰკითხე. — უთბრა სტეფანეს და ღიმილში გესლი გაურია.

სტეფანეს ცოლის ხსენებაზე სახე აელეწა.

- რა გკითხო?
- ჰკითხე, ისიც გეტყვის.
- რას მეტყვის?
- იმას, რომ სხვის ცოლთან ყველა კაცი მაგარია.

— იულია!

— რა გინდა!

— იულია! — ხმას აუწია სტეფანემ. უცებ მოაგონდა, რომ ლადომ მისი სახლის წინ თევზაობდა. შუბლზე ოფლმა დაასხა. დასცხა. საყელო შეიხსნა და დაჟინებით დაუწყო ცქერა იულიას, თითქოს უსიტყვოდ უნდოდა დაეტყუებინა

ის, რასაც იგი ქალური ეშმაკობით მალავდა წარმოთქმული სიტყვების მიღმა.

მაგრამ იულიას ღიმილი სწრაფად გუბნებოდა მეწისქვილეს. თუმცა ამ არაფერში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც სტეფანეს სულს უშფოთებდა, თანაც ვერაფრით მოიშორა იქვი: რად თევზაობდა ლადო მისი სახლის წინ? თევზაობდა კი? — ჰო, თევზაობდა, ბადეს შლიდა, მაგრამ ბადეში ვის აბამდა?

მეწისქვილე გარეთ გაეარდა. სირბილით მიიჭრა შინ, აივანს გადაეყუდა მტკვარს გახედა: მთვარის შუქი ვერცხლისფრად ეღვრებოდა მდინარეს. ნაეზე ორნი იღვნენ. ნავის ბოლოში მდგარი დაიხარა, სწრაფი მოძრაობით ბადე აეცეცა, წელში გასწორდა და ხელი მარჯვედ მოიქნია. ბადემ მთვარის შუქზე გაიბზინა და მოვერცხლილ ტალღებში დაინთქა.

— ლადო! — გაისმა სიბნელეში სტეფანეს ხმა.

- ჰე-ჰე!
- შენ ხარ, ლადო?
- ჰო, მე ვარ, მე!

მეწისქვილემ შევებით ამოისუნთქა, მაგრამ ეს მცირე ხნის სვება იყო, გულის სიღრმეში ტკივილს გრძნობდა. ტკივილი ჩრჩილივით უღრღინდა გულს.

„მაინც რა გეუბრის დღე იყო“, — გაიფიქრა მან და ოთახის კარი შეაღო...

მეთევზე გათენებისას დაბრუნდა...

ონკანი მოუშვა, ბადე გარცხა. მერმე აივნის ბოძზე ჩამოკიდა გასაშრობად. თევზს წყალი გამოუცვალა და ვედროიანად აივანზე შემოღდა.

ნაგაზი კულის ქნევით დასდევდა უკან, თან თვალბეჭეში შესცივინებდა.

მეთევზემ სველი ხალათი გაიხადა და მოაჯირზე გადაკიდა. მკლავები და მხრები ჩაიბანა. როდესაც ოთახში შევიდა, იულია საწოლზე წამომჯდარი დახვდა.

— არ გძინავს? — გაუკვირდა ქმარს. ცოლმა თევზისა და მდინარის სუნი



იგრძნო. თხელი ნესტოები ოდნავ აუთრთოლდა და დაებერა. ეს სუნი მეთევზის ცოლს ყოველთვის აღნიშნებდა და გულს ურევდა, მაგრამ ახლა ხარბად შეიყნოსა იგი... ქალის სხეული უჩვეულო თრთოლვამ მოიცვა. საბანი გადაიძრო, პერანგის ამარა გადმოხტა ლოგინიდან. ქმარს მიუახლოვდა და თბილი ხელები მოხვია შიშველ მხრებზე.

— რა გრილი ხარ, — უთხრა და სახით მიეკრო გარუჯულ მკერდს, თან ხელებს უსვამდა დაქუნთულ ბეჭებზე: — მღინარესავით გრილი ხარ...

მეთევზემ ბავშვივით აიტაცა ცოლი, გულში ჩაიხუტა. ცოლიც ბავშვივით მოკალათდა ქმრის ღონიერ მკლავებზე.

— შენ ღონიერიცა ხარ... მღინარესავით... მტკვარივით ღონიერი ხარ.

ქმარს პირველად ესმოდა ასეთი სიტყვები ცოლისაგან და უყვირდა. შეიძლება მეთევზის მაგივრად სხვა კაცი რომ ყოფილიყო, უფრო მეტად გააკვირვებოდა, იმდენად გააკვირვებოდა, რომ დაფიქრებულყო კიდევ, მაგრამ მეთევზემ პირველად იგრძნო ცოლის სხეულის ამგვარი სითბო და მინებდა. ეს კი იყო, ერთხელ ჩახედა ცოლს ღრმა გიშრისფერ თვალებში, იქ ცეცხლი ენთო, უცნაური ცეცხლი — ფაქიზად მოელვარე.

— ჰო, შენ კეთილიცა ხარ... ყველაზე კეთილი... მტკვარივით კეთილი.

— განა მტკვარი კეთილია?

— შენთვის სიკეთე მოაქვს... შენ კი ჩემთვის მოგაქვს სიკეთე. — ჩურჩულებდა მეთევზის ცოლი. — შენ ჩემი მტკვარი ხარ...

მეთევზე ხელში ატატებულ ცოლს ისეთი სიფრთხილით დაატარებდა, თითქოს აედამყოფი ბავშვი დაჰყავდა და დაძინებას უბირებდა.

ფანჯრები ღურჯაღ განათებულიყო და ოთახში განთიადის ღურჯი სინათლე იღვრებოდა.

მეთევზეს უცებ მოეჩვენა, რომ ფანჯრიდან ვიღაც უმზერდა, თითქო ვიღაც ჩასაფრებოდა მის ბედნიერებას. უნებურად შეკრთა, ცოლი უფრო მაგრად მიიხუტა და შიშით გახედა ფანჯარას.

შუადღისას ბულდოზერი მოვიდა და შიშვალად დარჩენილი კედლები მიწასთან გაასწორა... ჯერი ძია ლადოს სახლზე მიდგა.

ვიდრე მუშები კრამიტის მოხსნას შეუდგებოდნენ, ძველი მეთევზე თავის ოთახში შევიდა... მე არ შევსულვარ, არც სხვა...

გავიდა წუთი... ორი... სამი... ხუთი... ათი... თხუთმეტი... ძია ლადო თავის ოთახიდან არ გამოსულა.

ველარ მოვითმინე და მივაკითხე. გავოცდი: კედელს მიყრდნობილი მეთევზე გაშტერებული იდგა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, რას იგონებდა, რა ახსენდებოდა... მე მხოლოდ დავინახე: იდგა გაუნძრევლად, ასე ერთავად იდგა.

კარი გამოვიხურე.

მუშები უკვე შესდგომოდნენ ამ პატარა, ძველი სახლის ნგრევას...

სუსხიანი დღეები დაიჭირა.

თევზაობის ალო წავიდა და მეთევზე უმეტესად მეწისქვილეს ეხმარებოდა. ბევრი საქმე არც იქ ჰქონდა, თუმცა წისქვილი იმდენს მაინც იძლეოდა, რომ ულუკმაპუროდ არ დარჩენილიყო.

მაგრამ მტკვარზე უჩვეულო რამ ხდებოდა: ზედიზედ ჩერდებოდა წისქვილები.

მეწისქვილე შიშით გასცქეროდა მტკვარს — ხან აღმა, ხან დაღმა: წისქვილები ხმაგაკმენდილნი იდგნენ... სტეფანე გუმანით ხედებოდა, რომ ეს დუმილი თანდათან ახლოვდებოდა და მალე მის წისქვილშიც დასახლდებოდა. მან ერთხელ უკვე გამოსცადა ამ დუმილის ძალა და მისი გახსენება ახლა თავზარსა სცემდა. ამავე დროს, მეწისქვილეს გულის სიღრმეში მაინც ენთო სიზარულის ნაპერწკალი: მისი წისქვილი ჯერ კიდევ მღეროდა. ჰო, ასე ამბობდა თვითონ.

— ჩემი ბებრუტუნა ისევ მღერის!

მაგრამ ერთ დღეს სტეფანეს ბებრუ-
ცუნაც გაჩუმდა.

მეწისქვილე დაღამებამდე ელოდა
მუშტარს. მუშტარი არც მეორე, არც
მესამე, არც მეოთხე დღეს არ გამოჩე-
ნილა.

— ჩვენი საქმე ცუდად არის, — თქვა
მეწისქვილემ.

მეთევზემ მხრები აიჩეჩა, ძველი გაც-
რეცილი პალტოს საყელო აიწია და
თავი შიგ ჩარგო.

სტეფანე დაფიქრებული გავიდა
ეზოდან და მხოლოდ ორი დღის შემდეგ
დაბრუნდა. გარეგნულად გახარებული
და აღზნებული ჩანდა.

ცხენებმა ეზოში სავსე ტომრებით და-
ტვირთული ფორანი შემოახრიგინეს.

— საფქვავეი მოვიტანე, ლადო. ერთი
შენებურად დატრიალდი.

— საფქვავე?

ის არც ხორბალი იყო, ანც სიმინდი,
არც ქერი. სტეფანეს რომელიღაც არ-
ტელისთვის ორცხობილა უნდა დაეღერ-
და.

ლადომ ფორნიდან ვადმოტვირთა
ტომრები და ეზოში დაახვავა.

— ეს რა გიმოვნიდა, სტეფანე? —
შეეკითხა გაკვირებული მეთევზე.

— საქმე! საქმე ვიმოვე! საქმე კი
ფულია! — და ბოლოს დაუმატა, — ჩემი
წისქვილი ისევ იმღერებს!

მეთევზე წისქვილზე გადავიდა.
მტკვარზე სუსხიანი ქარი დაქროდა და
ტანსაცემელში ყინულის ნემსებივით
ატანდა.

ლადოს ფიცრის დაფა უნდა აეწია,
რომ წყლის დინებისათვის საშუალება
მიეცა მთელი ძალით მისწოლოდა ბორ-
ბლის ფრთებს. მაგრამ ხვესმოდებული
დაფა ორ ნავეს შორის ჩაყინულიყო და
მეთევზემ ძვრა ვერ უყო. წერაქვი მოი-
ტანა და ყინულის სქელ ფენას მხვრევე
დაუწყყო. ბოლოს, როგორც იყო, მო-
ხერხა ფარის აწევა. წყლის მძლავრი ნა-
კადი მიასკდა ბორბალს.

— მოუშვი! — დაუყვირა ლადომ მე-
წისქვილეს.

მეწისქვილემ მუხრუჭი მოატრიალა,
წისქვილის ზეოა ქვა ქვედას დააშორა.
წისქვილის ბორბალი მაინც არ დატრი-
ადა. ისიც ჩაყინულიყო.

ლადო ახლა ბორბალს მიადგა, წერაქ-
ვი მოუქნია, ყინულზე ფეხი დაუცდა.
უნებურად მტკვრისკენ გადაიხარა. თავი
ველარ შეიმაგრა და... ჯერ წერაქვმა
მოატანა წყალში ტყაპანი, მერმე — ლა-
დომ. ლადომ მოახერხა წისქვილის ბორ-
ბალს დააკიდებოდა. ბორბალმა დაიჭ-
რიალა, გაისმა ყინულის მსხვრევის ხმა...
წისქვილის ბორბალი დატრიალდა, ლა-
დოს ჩაყვინთვინა წყალში, შემდეგ ზე-
ვით აიტაცა. მეთევზე გალიპულ ფიც რს
ჩაბლატუქებოდა, ჰაერში ატაცებული
ბორბალმა ისევ წყლისაკენ დააქანა. ლა-
დომ ეზოსკენ გაიხედა. მას უნდოდა და-
ენახა, იუღია იდგა თუ არა აივანზე. ვერ
მოასწრო, ბორბალმა ისევ წყლის ქვეშ
მოაქცია. წყლის ქვეშ გაიფიქრა: „ნეტა-
ვი სტეფანემ ახლა არ გააჩეროს ბორბა-
ლიო“. ბორბალი ისევ დინჯად და
მძლავრად ტრიალებდა.

ბორბალზე დაკიდული ლადო ნელ-
ნელა ზევით მიიწევედა. ეზოში ვილა-
ცებებს მოჰქრა თვალი — ვერ გააჩერია.
მაინც იყვირა:

— გააჩერეთ!

სიტყვა შუაზე გაწყდა და სიტყვის
ნაცვლად წყლის ბუყბუყი გაისმა. ლადო
ისევ წყლის ქვეშ მოექცა.

ეზო უკვე სეირის მაყურებლებით
გაივსო. სტეფანე ხუმრობდა, იცინოდა
და სხვებსაც აციუნებდა.

— გააჩერეთ! — ისევ იყვირა ლა-
დომ.

ნაპირს გამოხედა. ცალკეული სახეები
ვერ გაარჩია. ნაპირზე იდგა მოშეო-მო-
ნაცრისფერო ნისლი — ერთიანი, მთლი-
ანი, რომელსაც ლადო უყვიროდა, „გაა-
ჩერეთო!“ ნისლი მოძრაობდა, ხმაუ-
რობდა, იცინოდა და მცირე ხნით ქრე-
ბოდა. ქრებოდა მხოლოდ მაშინ, როცა
წყალში ჩაყვინთავდა მეთევზე. ამოყვინ-
თავდა და ისევ მოძრაობდა ნისლი, ისევ
ხმაურობდა, ისევ იცინოდა...

ლადომ იგარძნო, რომ გაყინული თითები აღარ ემორჩილებოდნენ. „ბალტო რომ არ მეცვას, გავცურავდი“, — გაიფიქრა და მკლავის ძალა მოსინჯა. მკლავებშიც დაწრეტილიყო ჯანი. წყლით გაყენთილი ტანისამოსი ერთიორად ამძიმებდა მის სხეულს.

„რატომ არ აჩერებენ წისქვილს, — ფიქრობდა მეთევზე, — ალბათ სტეფანეს არ ესმის ჩემი ყვირილი“. ამოყვინთვისას ერთხელაც იყვირა. ბორბალზე დაკიდულს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა...

ბორბალი ტრიალებდა მძლავრად. წისქვილის ყრუ ბუბუნში ისმოდა სარეკელას ზომიერი ცემა.

ნავაზი ნაპირ-ნაპირ დარბოდა გამწვარებული, ყეფდა, წყმუტუნებდა, ხალხს ფეხებში ებლანდებოდა.

აივანზე იულია გადმოდგა.

იგი სწრაფად ჩამოვიდა ეზოში და გაფითრებულმა გახედა წისქვილს.

— გააჩერეთ! — გაისმა ლადოს ბლავილი, ეს უკვე განწირულის ხმა იყო.

— წადი, გააჩერე! — სტეფანემ ფეხი ჰკრა ნავაზს და წყალში გადააგდო.

ნავაზი წყალმა წაიღო.

— რატომ არ აჩერებ წისქვილს? — მიუბრუნდა მეთევზის ცოლი მეწისქვილს.

— მიშველეთო, — რომ ეყვირა, ვუშველიდი. წისქვილს კი... არ გავაჩერებ.

იულია თვალისდახამამებზე გაჩნდა წისქვილზე. სწრაფად ჩაუშვა წყალში ფიცრის დაფა და მუხრუქს ეცა, მთელი ძალით მოატრიალა...

წისქვილის ბორბალი გაჩერდა.

ბორბალზე დადლილო, გაწამებული მეთევზე ეკიდა. იგი მძიკედ სუნთქვდა, გესლიანად იღიმებოდა. თავი გააქნია, სახიდან წყლის წვეთები მოიცილა. უცებ სულ ახლოს, სამ ნაბიჯზე იულია დანახა. იგი წისქვილის ბანზე იდგა ფერდაყარგული. მეთევზე იულიასკენ ფრთხილად გამოცოცდა, ცოლს თვალბეში აღარ უმხერდა. დარცხვენილი ჩანდა.

ლადო ბანის მოაჯირს მოეკიდა. იულია გადაიხარა, ორივე ხელი ჩაჰკიდა და მთლად გაწუწული, სიცივისაგან აცახცახებული ქმარი წისქვილზე ამოათრია. ისინი უხმოდ წავიდნენ ბონდისაკენ. წინ იულია მიდიოდა, უკან ქმარი მიჰყვებოდა. მეთევზე ძლივს მიათრევდა დამძიმებულ სხეულს.

ეზოში გადავიდნენ. მეზობლები უხმოდ შესცქეროდნენ ცოლ-ქმარს.

იულიამ მეწისქვილეს გახედა. მეწისქვილზე უხმოდ იღიმებოდა. იულიას მოეჩვენა — ღიმილი ნიშნისმოგებისა იყო.

მეთევზის ცოლმა ქმარს ტანააცემელი გამოუთვალა. ჩაი აუღღღა და დააღვეინა. მეთევზე ასევე მიწვა ტახტზე და საბანი წაიხურა.

იულიამ ქმარის სველი ტანისამოსი წყალში გაავლო და თუნუქის აგუზგუზებულ ლუმელთან მიაფინა გასაშრობად.

მეთევზე ხმას არ იღებდა, თავზე საბანი წაფარებინა და გაუნძრევლად იწვა.

შუალამე გადავიდა. იულია ვერ ისვენებდა, წრიალებდა. რამდენჯერმე დაძინება გადაწყვიტა, დაწვა კიდევც, მაგრამ თვალებს ძილი არ მიეკარა. ისევ წამოდგა, ლუმელს ცეცხლი შეუკეთა. სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა.

სიჩუმეს მხოლოდ ცეცხლის ნელი გუგუნის არღვევდა.

ხანდახან ფანჯრის მინებს ჰარი აწვებოდა. მალე ჰარიც ჩაღვდა, გარედან უბრალო ჩამიჩუმიც არღარ ისმოდა.

ლადო იწვა გაუნძრევლად, თავზე საბანწახურული.

— ლადო! — ჩურჩულით დაუძახა ცოლმა.

ლადო ოდნავ შეიარხა.

— გძინავს?

— არა.

იულიას ეუცხოვა ქმარის ხმა. მივიდა. თავზე საბანი გადახადა.

ლადოს გამომეტყველებში იყო რაღაც ვედრების მსახავსი. ასე უმხერდა დიდხანს ცოლს, მერმე თვალბეში მოუწყლიანდა და თავი ბალიშში ჩარგო.

— ლადო, — დაიწყო იულიამ, — როდემდე უნდა იცხოვრო ასე?

მეთევზემ ვერ გაიგო, რას გეკითხებოდა ცოლი.

— კარგად გაიგონე, რას გეკითხები: როდემდე უნდა იცხოვრო-მეთქი, ასე თვალდახუჭულმა?

— თვალდახუჭულმა?

— თვალდახუჭულმა, ყველა შენ დაგცინის.

— ვინ დამცინის?

— ჯერ გატყუებს და მერე დაგცინის.

— ვინ გატყუებს.

— ყველა.

— ყველა გატყუებს? — განმეორებით იკითხა მეთევზემ.

— ჰო, ყველა! — დაუდასტურა ცოლმა.

— შეიძლება, — თქვა მორჩილად მეთევზემ.

— ასეა... — იულიამ ხმას ოდნავ აუწია და ჰკითხა. — შენ იცი, რა არის ყველა?

მეთევზე ნიდაყვით დაეყარნო ბალიშს და მიაჩერდა ცოლს, რომელიც ძველებურ კარადას ზურგიით მისწოლოდა.

— ყველა ის არის, რომ... — მცირე ხნით დაყოვნდა იულია და განაგრძო, — მეც გატყუებდი.

— შენც? — მეთევზემ კეთილად გაიღიმა, წაშით ეს ღიმილი შეაცვიფლა სახეზე, ისევე გაიღიმა... მას არ უნდოდა დაეჯერებინა, ან არ სჯეროდა, რომ იულიაც ატყუებდა.

გატყუი და შენ განსაჯე. მერმე, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი... ერთხელ ხომ უნდა გაიგო, ვინა ხარ... ანდა... — იულიამ სათქმელი არ დაამთავრა ისე განაგრძო, — მე ახლა უფრო მეცოდები, ვიდრე მიყვარხარ.

მეთევზე უაზროდ მისჩერებოდა ცოლს. გულმა რაღაც ცუდი უთხრა, მზად იყო ცოლისთვის პირზე ხელი აეფარებინა, გაეჩუმებინა, ან ეყვირა,

ებღავლა და თავისი ბღაილით დაეხშო ცოლის ხმა. მეთევზეს არაფერს ვაპრონიბა არ სურდა.

იულია კარადას მოსცილდა და ტახტზე ჩამოჯდა. ისე ახლოს დაჯდა ლადოსთან, რომ მეთევზემ იულიას ფრთხილი სუნთქვა გაიგონა, ქმარი მიხვდა ცოლს უჭირდა ლაპარაკის გაგრძელება.

მეთევზემ ხელი მოხვია და მკლავზე გადაიწვინა იულია. სახე ცოლის თბილ ყელში ჩარგო და ორთაგანი გაუჭრდნენ.

— იულია, — ძლივს გასაგონად დაიწყო ლადომ, — იულია... მე ვიცი, სტეფანე, დამცინოდა, ვიცი, წისკვილი იმიტომ არ გააჩერა, რომ ხალხს ეცინა. მე არ ვაპატიებ სტეფანეს, აი, ნახავ, არ ვაპატიებ.

იულიამ იგრძნო — ლადო ათრთოლდა. ეს იდუმალი მორთოლვა არება მასში იღვრებოდა. იგრძნო ისიც, მალე ეს ძალა მასაც დაიმორჩილებდა, კი არ დაიმორჩილებდა, თვითონ მინებდებოდა ნებზე-რად. იულიას ტუჩები ძალიან ახლოს იყო ლადოს ყურთან და ამიტომ წასჩურჩიულა:

— შენ არაფერი არ იცი... ლადო...

იულიამ ქმრის ხელები მოიშორა და წამოდგა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ყველაფერი ეთქვა ქმრისათვის.

— შენ სათევზაოდ... ყოველთვის დამათ დადიოდი... სალამოს წახვიდოდა და დილით ბრუნდებოდი.

— ჰო, დილით ვბრუნდებოდი.

— როცა შინ არ იყავი... — იულია გაჩუმდა.

ლადოს ჯერ გული შეეკუმშა, შემდეგ მძლავრად დაუწყო ბავაბუჯი.

— როცა შინ არ ვიყავი, ხდებოდა აქ რამე?

— ჰო.

— მოდიოდა ვინმე?

— ჰო.

— ვინ მოდიოდა.

— სტეფანე.

— სტეფანე?

— გითხარი, სტეფანე-მეთქი.

— მეწისქვილე?

— ჰო, მეწისქვილე.

მეთევზეს სახე მოებრიცა, აელეწა. თვალები დახუჭა და კარგა ხანს დარჩა გაუნძრევლად.

— ის ამაყი იყო და მე მომწონდა მისი სიამაყე... ყოველთვის კობტად დადიოდა... თქვენ ყველანი მათხოვრებივით ჩანდით იმასთან... მერმე სულ სხვა აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი გვიან იყო.

ლადო აღარ უსმენდა.

— იცი, რად გეუბნები, მინდა მოტყუებული არ დადიოდე ამ ქვეყანაზე, არც ჩემგან, არც სხვისგან... შენ ღირსი ხარ იმისა, რომ ქვეყანაზე მოტყუებული არ დადიოდე.

ლადო ტახტიდან ვაღმოვიდა.

... იულიამ დაინახა, როგორ ცახცახებდა ეს გოლიათი კაცი, როგორ ცდილობდა თავის შეკავებას და ვერ ახერხებდა. იულიას კდეც რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიხვდა, ერთი სიტყვაც რომ დასცდენოდა, ლადო იფეთქებდა.

ლადომ თვალი ოთახს მიმოავლო. მზერა იულიაზე შეაჩერა. იულიამ ვერ გაუძლო კმრის მზერას და იატაკს დააჩერდა.

— მამ მოტყუებდით?.. შენც... სტეფანეც... ყველანი მოტყუებდით!

იულია დუმდა.

ლადო მიუახლოვდა ცოლს და ისე დაამტერდა, თითქოს ამ ქალს პირველად ხედავდა. მართლაც, მეთევზეს მოეჩვენა, თითქოს ეს იულია ჯერ არ იყო, არამედ სხვა, ვიღაც უცხო და შორეული ქალი, რომელმაც გუშინ დაღუპვას გადაარჩინა და ახლა ცოლის საადრუმლოც გაუმედავნა. დიდი საიდუმლო გაანდო. ამიტომ იყო, რომ ასე მშვიდად გაუყარა ნახევრად სველ პალტოში მკვლავები და ცივად გასწია კარისკენ.

— რატომ ჩაიკვი, ჯერ კიდეც სველია. — დააწია ხმა იულიამ.

— უნდა წაეიდე. — უპასუხა ლადომ.

— დაბრუნდები?

— არა... აღარ დაებრუნდები.

— მე ვიცოდი, წახვიდოდი... აღარ დაბრუნდებოდი... შენ უფრო ამყარებდი ვიდრე... — იულიამ ვერ დაამთავრა სათქმელი, თვალები ცრემლით ავესო და ხმა ჩაუწყდა. იგი გაქურდულივით იდგა, დაცარიელებული. უეცრად იგრძნო: დაკარგა ის, რაც მისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი იყო, თანაც დაკარგა სამუდამოდ.

ლადო კართან მოუტრიალდა იულიას.

— ვერ დაერჩები... არ შემოდია... — ვიცო... მეც არ შემოდია... და გითხარი... ვიცოდი, წახვიდოდი და... მაინც გითხარი...

გარეთ თოვდა.

ეზოთეთრად იყო გადაბარდნილი.

სიბნელეში თოვლის ფანტელები არ ჩანდა, მაგრამ ლადო გრძნობდა, მაგრად თოვდა, მხრები და თმა ხელად დებარდნა.

მაკოს ფანჯარაში შუქი ენთო. დედაბერი ამდგარიყო, ეს ნიშნავდა, გათენებას ბევრი აღარ უკლდა.

მეთევზეს მაკოს სიტყვები ვახსენდა და ფიქრში გაიმერა: „სილამაზეს სხვა ფასი აქვს... ძვირი ღირს...“

ლადო ქუჩაში გავიდა და გზას გაუყვა ფეხქვეშ თოვლი ზრამუნობდა. მეთევზე უხმოდ მიაბიჯებდა, მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, საით...

სიარულში შემოათენდა... სიარულშივე შემოაღამდა...

შიშვლილმა შეაწუხა და ჯიბეები მოიხიზრია — გახვრტილი კამიკიანიც არ აღმოაჩნდა.

სითბო და მყუდროება მოენატრა. სად წასულიყო... ქვეყანაზე არ ეგულუბოდა კაცი, რომელიც შეიკვდილებდა უცებ ანტონას დუქანი გაახსენდა, რატომ არ უნდა წასულიყო, იქ შეეძლო ნისიად ეკამა... ანტონა ღამესაც გაათევიებდა...

მეთევზემ ნაბიჯს მოუმატა.

დუქანში მართლაც სითბო და სიმყუდროვე დახვდა... ვიღაც ნახევარი ტანით გადაწოლილიყო დახლზე და ანტონა

ნას ეჩურჩულებოდა. როდესაც ლადო მელექნეს მიესალმა, ის კაციც მოტრიალდა და ლადომ სტეფანე დაინახა.

ლადოს დანახვაზე მეწისქვილემ გაიცინა.

— ლადო, შენა ხარ! სად დაიკარგე, ბიჭო... გაშრი, თუ ისევ სველი ხარ?!

მეთევზემ პალტოა ღილებია შეიხსნა და სკამზე დაჯდა.

— ანტონ, რამე მაქამე...

მეწისქვილემ რაღაც გადაუჩურჩულა მელექნეს.

— ლადოჯან... ხომ იცი, ახლა რა დროა... ძველი ვალი ისევ შენზეა, — უთხრა მელექნემ ლადოს.

— ნუ გეშინია, ძველსაც და ახალსაც გადაგიხდი.

— ვერა ლადოჯან... რა ვქნა...

— ეგრე გაქვს საქმე?! — მეწისქვილემ ლადოს მოუბრუნდა. — ადექი და წადი, იულია გავახშმებს.

— იულისა ვახშამს შენცა ხარ დარჩეული... ახლა გაზღვევინებ. — ლადომ ყური გაუხედნა სტეფანეს და წამოდგა. მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი მოულოდნელად მოუქნია, ნიკაპში გაარტყა. მეწისქვილემ კედელს მიენარცხა და იქვე ჩაიკეცა. ვიდრე წამოდგებოდა ლადომ ქამარი მოიხსნა და ორად მიკეცილი სახეზე გადაუქირა... ერთხელ... მეორედ... მესამედ... მეოთხედ...

ქამარის ყოველ მოქნევას ლაზათიანი გინებას აყოლებდა.

მელექნე იმდენად დაიბნა, დახლოდან გამოტყვას ვერ ახერხებდა. დაბნეული ბურტყუნებდა:

— რას შერები, ლადოჯან... არ მოკლა, კაცი... დაექი, პურსაც გაქმევ... ლეინოსაც დაგალევენინებ... ლადო... ლადოჯან...

ლადოს ქამარს პაერში ზუზუნი გაპქონდა.

მეწისქვილემ სახეზე ხელებს იფარებდა, ევედრებოდა, ნუ მომკლავო.

ლადო დაიძალა, ძლივსღა სუნთქავდა ბოლოს და ბოლოს მოეშვა მეწის-

ქვილეს, გაოფლიანებული გამობრუნდა. წელზე ქამარი შემოიჭირა და მაგიდას მიუჯდა.

— ანტონ, მაქამე რამე!

მელექნემ ტასიკოს გახედა. ტასიკოს სამზარეულოს კარი გამოეღო და დუქანში შემკრთალი იყურებოდა.

— რაცა გაქვს, მოუტანე! — უბრძანა მელექნემ.

მეწისქვილემ ძლივს აითრია წელი. სახე ორსამ ადგილას გახეთქოდა და სისხლი სდიოდა, თვალის უბეები ჩალურჯებოდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოისვა. გასისხლიანებული ცხვირსახოცით ხელმოკრედ მოიწმინდა სახე.

შეშინებული მელექნე ხან მეწისქვილეს უმზერდა, ხან ლადოს, ხმას არ იღებდა, ვაითუ ჩემმა სიტყვამ ისევ წაახშობოს ეს ორი დეკაციო.

ლადო ნიდაყვებით დაყრდნობოდა მაგიდას და სახე ხელებში ჩაერგო. ტასიკომ ცხელი ყაურმა გამოუტანა და წინ დაუდგა. მელექნემ პური მოართვა. ლადო არ განძრეულა, ცხელი ორთქლი სახეზე ელამუნებოდა, კერძის სურნელი ყნოსვას უღიზიანებდა, მაგრამ ახლა ქამა აღარ შეეძლო. გული ერეოდა. ყელზე რაღაც მობჯენოდა და ნერწყვის ყლაპვას უშლიდა.

სტეფანე კარისკენ წავიდა ბარბაცით... კარი გამოაღო...

— მაშ, ასე ხომ?! — მიუბრუნდა მეთევზეს.

მეთევზემ სახიდან მოიშორა ხელები და ჯიქურ მიამტერდა სტეფანეს.

— ასე ყოფილა და... რას იზამ...

მეწისქვილემ კარი მიიჯახუნა.

მელექნემ არაყი მოუბრუნინა ლადოს.

— დალიე... ლადოჯან... კრიქას გავიხსნის.

— ძველი ვალი მაშ ჩემზეა?!

— სტეფანემ ჩამჩურჩულა და...

— რა ჩამჩურჩულა?

— აი... — მელექნე დაიბნა, — არ

მიუტანოო.

— რადოო?

— მალე წავაო.

— ჩემს მალე წასვლას რა თავში იხლიდა.

მედუქნე ხენეშით დაიხარა და უჩურჩულა:

— ამ გოგოს გადაეკიდა... თითქოს ქვეყანაზე სხვა ქალი არ იყოს. ამაღამ აქ დატოვე, ნუ გაუშვებო.

ლადომ არაყი გადაჰკრა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

მედუქნემ ხელახლა შეავსო ჭიქა. ლადომ პური გატეხა, ჭამას შეუდგა.

— ჩემს ნავს გავეცი და ვალს არ შევირჩინე... ეს უნდა იცოდე...

— ვიცი, ლადო-ჯან, როგორ არ ვიცი, — დაუმოწმა მედუქნემ.

„ნავს გავეცი... — ცუდად ენიშნა მეტევეზს და ფიქრში გაიმეორა, — ნავს გავეცი, ეგლა მაკლია, ნავი გავეცი... ქვეყანაზე ერთი ნავის მეტი არაფერი მაბაღია-რა... ერთი ნავი და ერთი ნაგაზი... ლადოს ახლადა გაახსენდა თავისი ძაღლი.

— ტასო, — უთხრა მეტევეზმ იქვე მდგარ გოგონას, — თუ ღმერთი გწამს, ნუ დაიხარებ, ერთი გადადი და ჩემი ძაღლი გადმომიყვანე.

— შენი ძაღლი, — გააგრძელა მედუქნემ, — შენი ძაღლი ხომ წყალში წაიღო?

— როგორ თუ წაიღო.

— აი... ბორბალზე რომ ეკიდე მაშინ... სტეფანემ წიხლი ჰკრა და წყალში ჩააგდო.

— შენი თვალით ნახე.

— მაშა.

მეტევეზმ კერძი განზე მისწია და ჩაფიქრდა.

გული სტკიოდა, მეტევეზს სადღაც შიგნით, სიღრმეში ყრუდ სტკიოდა გული, თითქოს ვიღაცა ხელით სწრავდა ნელ-ნელა, როგორც ყურძნის მტევანს. იგი უცებ წამოდგა და პალტოს ღილები შეიბნია.

— ქრთიცი დალიე! — უთხრა მედუქნემ.

მეტევეზმ პალტოს საყელო აიწა და ქუჩაში გავიდა. გადაწყვეტილი ჰქონ-

და, ეს ღამე დუქანში გაეთია. გადაიფიქრა, აღარ უნდოდა აქ დარჩენა. ეს ქაერი სულს უხუთავდა. მას შემდეგ მანც, რაც ძეწისქვილე შემოეღობა, გულში უსიამოვნო ნალექი დარჩა, ხელი არ უნდა გამესვარაო, — ფიქრობდა.

ქუჩაში ყინავდა, ფილაქნებზე დადებული თოვლის ზედაპირი მოყინულიყო და სიარული ჭირდა. ლადომ ქვევით გაუხვია. ფრთხილად გაჰყვა ქუჩას. თავის სახლს რომ გაუსწორდა, თვალი უნებურად ფანჯრისკენ გაექცა. ოთახში სინათლე ენთო. სახელს ნელი ნაბიჯით ჩაუარა. შეჩერდა.

იულიას სინათლე ენთო და ეს ყვითელი, ნარინჯისფერი შუქი საოცარი ძალით იზიდავდა მეტევეზს. მას უნდოდა, მხოლოდ ერთხელ შეეხედა თავის ოთახში, უკანასკნელად შეეხედა, უკანასკნელად მოველო თვალი იქაურობისათვის...

რატომღაც მწვანე ფრენიანი გაახსენდა, უფრო სწორედ, მისი ნათქვამი: „ცხოვრება მარტივად არის მოწყობილი, მას ადამიანები ვართულებთო“. გაიღიმა, მაშინ მოეწონა მწვანეფრენიანის ნათქვამი. ახლა კი გაეღიმა: იქნებ ის რაღაც, რაც მარტივად არის მოწყობილი, არც არის ცხოვრება... ნამდვილი ცხოვრება მერმე იწყება, როცა მას ართულებენ... შეიძლება, ასეა... შეიძლება, არც არის ასე...

ლადომ ნაბიჯი გაუბედავად გადადგა, ქუჩა გადასჰკრა. ფანჯარასთან მივიდა და შეიხედა.

იულია ტახტზე იწვა გულაღმა და თვალები ჰერისთვის მიეპყრო. უძრავად იწვა, სახის არცერთი ნაკვეთი არ შერხევია. ეს კი იყო, ფიორი გადაჰკვროდა სახეს. იულიას თითქოს თვალხილულს ეძინა, თითქოს დასძინებოდა და ღიად დარჩენოდა თვალები.

მაგიდაზე ჭიქა იდგა. ჭიქაში ნახევრამდე ესხა წყალი. იქვე პურის ნატეხი ეგდო და ბურბავე ნამცეცები ეყარა. ღუმელი არ ენთო. ლადომ იგრძნო, ოთახშიც ციოდა. ოღონდ ოთახში მოყვითალო, ლამფის შუქის ფერის სიცივე იყო, გარეთ კი — ბნელი.

იულია უცებ წამოდგა და დაფეთებული თვალებით მიამტერდა ფანჯარას.

ლადომ სიბნელეს შეაფარა თავი.

მეთევზის ცოლი ფანჯარას მოადგა. მეთევზემ დაინახა, როგორ მოეკრა იგი მინას ხელებითა და სახით და გაიფიქრა, რომ ეს არ იყო ის ქალი, რომელმაც მას ცოლის საიდუმლოება გაანდო, იგი ნამდვილად იულია იყო, მეთევზის ცოლი, ოღონდ ახლა სასოწარკვეთოდა და სიბნელეს უმზერდა მსასოწარკვეთი თვალებით.

მეთევზის ცოლი ფანჯარას მოსცილდა. ოთახში ჩრდილები აფარფატდნენ, თითქო ორ ნებს შორის მომწყვდეული პეპლები ყოფილიყვნენ... მერმე ოთახში იკლო სინათლემ, შუქი თანდათან დაილია და კედლებიდან ჩრდილები ჩამოცვიდნენ მკვდარი პეპლებივით.

ლადო გატრიალდა და წავიდა.

იგი მიდიოდა მოლუშუდი მას ეჩენებოდა, რომ მის სულშიც ჩაქრა სინათლე... ქუჩას მიჰყვებოდა ბნელი, ცივი და ცარიელი, როგორც ეს ზამთრის დამე.

ხილი გაიარა, წინ მიმავალი ქალი დაინახა, შეიძლება ქალისთვის ყურადღება არც მიეჭია, რომ ქალს ყინულზე ფეხი არ დასხლტომოდა და არ წაქეუთლიყო.

ლადო მიეჭრა ქალს და წამოაყენა. ქალმა მადლობა გადაუხადა და ახედა.

— აქ საიდან გაჩნდი, ლადო? — კითხვა გაოცებულმა.

მეთევზემ ტასიკოს ხმა იცნო. არც შემცდარა, მის წინ ტასო იდგა.

— წამოდი, გაგაცილებ.

მათ უხმოდ გაიარეს რამდენიმე ქუჩა და მოედანზე გავიდნენ. მოედანი გაჩირალდნებული იყო ელექტროშუქით და თოვლზე არეკილი სინათლე თვალებსასტკრიდა ორთავეს.

— მეტს ნულარ გამოყვები... აქედან უკვე ახლოა ჩემი სახლი...

— გინდაც შორს იყოს... მეტი რა საქმე მაქვს...

— შინ წადი... ალბათ იულია გელოდება...

— ახლა მე არავინ მელიოდება.

ტასომ გაოცებით მოხედა მეთევზეს.

— არც იულია... არც სხვა... არავინ მელიოდება... მეც არაა... მიმიჭირება, არავისკენ მიმიწევს გული... სად უნდა წავიდე... ჩემი სახლი ეს ქუჩებია, ეს მოედნები, — ლადომ გაიღიმა, — ახლა ქვეყანაზე არავის აქვს ასეთი დიდი სახლი...

— ქუჩაში გაათეე ღამეს?

— წუხელ ასე იყო, ამალამაც ასე იქნება... ხვალ — ენახოთ.

მათ ვიწრო ქუჩისკენ გაუხვიეს და აღმართს შეუდგნენ... აქ თოვლი უფრო ღრმა იყო და ნაკლებად მოყინული... ფეხი აღარ სხლტებოდა.

ტასოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა მოხდა ლადოსა და იულიას შორის, მაგრამ შეკითხვას ვერ უხედავდა. თვითონ მეთევზე კი არაფერს ამბობდა. პალტოს ჯიბეებში ხელუხაწობილი, უხმოდ მიჰყვებოდა ტასოს.

ასე უსიტყვოდ მიადგნენ ქვის კიბეებს. კიბეებს მარცხნივ პატარა ერთსართულიანი სახლები მისდგომოდა. ერთმანეთში იხლართებოდა ხის რიკულებიანი აივნები, ხისავე სვეტები და ვიწრო კიბეები, ბნელი დერეფნები. ყველაფერს ხელუხაწობელი ქათქათა თოვლი ედო და თოვლის ანარეკლისაგან უცნაურად იყო განათებული. პატარ-პატარა ფანჯრებში შუქი ენთო და თითქოს ის შუქით მხოლოდ ფანჯრებს ანათებდა. რატომღაც სინათლე ქუჩაში არ იღვრებოდა. შიგვე რჩებოდა ოთახებში.

ისინი უსიტყვოდ ადიოდნენ ქვის კიბეებზე...

ლადოს ეგონა ეს კიბეები პირველსავე მოსახვევში თავდებოდა, მაგრამ ხარისხებს დასასრული არ უჩანდა. ისინი ადიოდნენ დაუსრულებლად. მარჯვნივ ახლა ეკლესიის თეთრი კედელი ადიმართა. კედელში მკრთალად განათებული ვიწრო სარკმელი იყო დატანებული. იმ სარკმლიდანაც არ იღვრებოდა ქუჩაში შუქი, თითქოს შუქი აქაც დაეგუბებინათ და გარეთ არ უშვებდნენ.

სახლებს ახლა უკვე ზევიდან დასცქეროდნენ. სახურავეები... სახურავეები...

სახურავები... ეს იყო თოვლის წახნაგები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები, მეტნაკლებად დაფერდილები, დაბრეცილები — ზოგან თეთრად განათებული, ზოგან კი დაჩრდილული.

ისინი უსიტყვოდ აღიოდნენ ქვის კიბეებზე...

ახლა თვალწინ მთელი ქალაქი გადაიშალა: ლაღო გაოცებული დამხვრდა მოციმციმე სიერცეს.

მეთევზეს ეს ქალაქი მხოლოდ მტკვრის ნაპირიდან ჰქონდა დანახული და განცდილი, დაბლიდან შესცქეროდა ხევებს, სახლებს, ხიდებს. მტკვრის ნაპირიდან ყველაფერი მაღალი იყო, დიდი...

ტასო შეჩარდა.

— მოვედით, — თქვა მან.

ისინი ორსართულიან სახლთან, ბანის ქვეშ იდგნენ. ლაღოს მხრების სიმაღლეზე აგურის რუხ კედლებში სამი ფანჯარა ენთო.

— მე აქ ვცხოვრობ, — თქვა ტასომ და ხელი გაიშვირა ჩამქრალი ფანჯარი-საკენ, — შენ რას იხამ, სად გაათევ ღამეს.

— არ ვიცი.

— ჩემთან დარჩი.

ლაღოს უხაროდა ტასოსთან ყოფნა, ასე პირისპირ დგომა. ტასოს თვალები განათებული ჰქონდა, მაგრამ ეს შუქი მასში დაგუბებული არ იყო, იგი იღვრებოდა ლაღოს სულში და უანგარობით ავსებდა. მეთევზე მოთვინიერებულივით იდგა ამ პატარა ქალიშვილს წინ და, ბავშვივით გახარებული, ჩასცქეროდა უნისლო თვალებში. მაგრამ უკვე გვიან იყო... ქალაქს ეძინა... გაიფიქრა: „წავალ, გზა დიღია“.

— გზა დიღია, გზა დიღია, — გაამეორა ახლა უკვე ხმამაღლა და წავიდა. თავდახრილმა ერთხანს იარა... როცა თავი მოაბრუნა, დაინახა, რომ ტასოს ფანჯარაშიც შუქი ენთო...

მეთევზეს დიდი გზა არ გაუვლია. იმავე ღამეს მივიდა თომასთან და მასვე შეეველა.

ახლა თეთრად შეფეთილ პაწია ქობ-ში ორნი ცხოვრობდნენ. დღევანდელგადიოდა, ლაღოს კაცის ხმა მისმობდა. მუნჯის წინ მუჯივით იჯდა.

ხანდახან კბოღეზე ჩამოჯდებოდა და საათობით იხედებოდა გაღმა: მისი ნაღვი იქვე ება. წისკვილი ისევ ტრიალებდა, ბავშვები ეზოში ირეოდნენ, მაკოს ტამტით გამოჰქონდა წყალი და ბავშვებს წუწავდა. მეზობლები ისევ ისე ფუს-ფუსებდნენ აივნებზე, ფენდნენ, ნარეცხს მტკვარში ღვრიდნენ. სტეფანე ცაცხვის ქვეშ ჯდებოდა ისევ და თავის წისკვილს გასცქეროდა... იულია არ ჩანდა ოღონდ...

თებერვალში თბილი დღეები დაიქი-რა.

თომა ბაზარში წასულაყო. ლაღო კბოღეზე იჯდა, გაღმა იცქირებოდა.

უკებ ხიდის თაღებქვეშ ტივი გამოჩნდა. მეთევზე კბოღეზე ჩაყურდა, ტივის შესახვედრად გაიქცა.

მეტრევეები ღონიერად უსვამდნენ ორთაყვირებს, ტივი ნაპირისკენ მიიწეოდა. ლაღო ახლა უკვე სირბილით მოსდევდა ტივს და მეტრევეებს უყვიროდა: — ჩქარა მესროლეთ თოკი! ორნი ტივს კიდესთან მოვიდნენ და მსხვილი თოკები ესროლეს ლაღოს. ლაღო ერთს ვერ მისწევდა, მეორე მოშორებით რიყებზე დაეცა.

თოკი გველივით დაიკლავნა და გასრიალდა. მეთევზე დაედევნა. დაავლო ხელი და მთელი ძალით დაებღაუქა. თოკი მხარზე გადაიგდო და მეორე ხელით იაღლიაში ამოიტარა. იგი ახლა ბეჭებით აკაუებდა ტივს, ზურგით თითქმის მიწამდე წიღებოდა. თებებს რიყის ქვეშეზე აბჯენდა, მაგრამ ტივი მაინც მოარბენინებდა. ერთხელაც დაქიმა კუნთები, დამარღვეული კისერი გვერდზე გადახარა და უკებ მისი თვალები გაღმა ნაცნობ თვალებს წააწყდნენ.

აივანზე იულია იდგა.

ლაღომ თავი მოაბრუნა და კარგად დააკვირდა: აივანზე იულია იდგა.

იულიას ცალი ხელი ბოძისთვის მოეკიდა, მთელი ტანით მოაჯირზე გადმოხ-

რილიყო და დიდი თვალებით მისჩერებოდა ლადოს.

ლადომ იგრძნო, მუხლებში ღონე ეცლებოდა. ერთხელ ჩაიჩოქა კიდეც, ძლიერ წამოდგა, გაიმართა და ისევ დაეკიდა ტივს. თვალი მაინც არ მოუშორებინა იულიასთვის, უმზერდა დაეინებით, მთელი სხეულით მოიწყვედა მისკენ, მაგრამ ტივი ქვევით მიათრევდა.

იულია თანდათან პატარავდებოდა...

ახლა წისქვილი მოეფარა. წისქვილის ბორბალი ტრიალებდა და ისე ჩანდა, თითქოს ბორბალი ასი ხელით სახეში სცემდა იულიას, სახე ხან გამოკრთებოდა, ხან ბორბლის ფრთა მალავდა. იულია ფეხის წვერებზე იწევდა, გვერდზე იხრებოდა, მაგრამ თანდათან ფარავდა წისქვილი.

ლადოს ტივი მიათრევდა. კისერი მოგქცა, უნდოდა კიდეც ერთხელ დაენახა. ამაოდ! იქ მხოლოდ ძველი წისქვილი იდგა...

ლადო მოეშვა.

მეტივეები ყვირილით გადმოცვივდნენ ტივიდან. წელამდე წყალში გამოტოპეს, გინებით გამოვიდნენ რიყზე და ყველანი ერთად დაებლაუქნენ თოკს.

ლადოს შეუტრეს.

მეთევემ უხმოდ გადაიტანა შემოტევა. ტივი დაამბევირა ნაპირზე და მოშვებული წაეიდა ქოხისაკენ.

დაღლილი ტახტზე მიეგდო. დილაშდემწვა ასე მიგდებული.

ასეთი მოდიდებული მტკვარი ჯერ არავის ენახა.

კალაპოტში აღარ ეტეოდა.

მოდიოდა ამღვრეული, თიხისფერი, ღონიერ ტალღებს ზათქით მოაგორებდა...

მტკვარმა კალაპოტი გადმოლახა. ეზოებში შემოიჭრა. სარდაფები წყლით გაავსო.

სტეფანეს წისქვილი ებრძოდა ტალღებს. წყალმა ბონდი მოარღვია და წაიღო. ახლა წისქვილს აწვებოდა მთელი

ძალით. ტალღა ტალღაზე ეხებებოდა, ბანის მოაჯირი გადააწვირა და ნიცი გაიტაცა. სახურავზე ვირთხებმა ამობღებულიყვნენ და შეშინებული დამარწოდნენ.

ბორბალი სწრაფად ტრიალებდა, ასე სწრაფად არასოდეს უტრიალია წისქვილის ბორბალს. თითქოს ცხოვრებას დარჩენილი დღეები გავლა ერთ დღეში უნდოდა მოესწრო.

მხოლოდ სტეფანემ იცოდა, რა ხდებოდა წისქვილში... ხეიმარში საექვაკვი არ იყო და... გინდაც ყოფილიყო, მაინც ვერ გაუძლებდა ასეთ ბრუნვას... წისქვილი შიგნდანაც ირღვეოდა... ხროტივებდა, ხარიალებდა...

მეწისქვილე მაკოს აივანზე ბღღვიანავდა, გამწარებული აწყდებოდა კედლებს.

უცებ გამაყრუებელი სტეენა გაისმა... მაგრამ ამჯერად არც კაცი იღრჩეებოდა. არც ძალი...

მეზობლები აივანებს მოედნენ.


მდინარეს ზემოდან წისქვილი მიჰქონდა. ვისი იყო ვერ გაარჩევდი — წისქვილები ტყუებშივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

სტეფანეს ფერი ეცვლა... მეორე სართულზე აირბინა და ახლა იქიდან გადახედა მტკვარს: მდინარეს წისქვილი მოჰქონდა, წისქვილი მოიარწოდა ურჩხულივით. ვეება ფრთებზე ფარდატით ახოვდებოდა, წყალში მიმედ ჩამჯდარი უფრო და უფრო ახოვდებოდა.

როდესაც აივანს გაუსწორდა, სტეფანემ თავში იტაცა ხელები და თვალები დახუჭა. გაისმა გამაყრუებელი ლაწანი და მსხვრევის ხმა, რასაც მეზობელი ქალების კვილი დაერთო.

წისქვილი წისქვილს დაეჯახა, შეღეწა, შექვლიტა და მიანგრია. სტეფანემ თვალი გაახილა, მის წისქვილს ნახევარი მხარე მოცილილი ჰქონდა მეორე ნახევარიც აყირავდა, აიწია, თითქოს წყლიდან ამობტომას ლამობდა და ჩაინთქა.

მეზობლებმა მხოლოდ ახლა შეამჩნიეს მეთევზის ნავი. ცაცხვზე გრძლად



გამობმული მსუბუქად დასრიალებდა ტალღებზე...

მტკვარს ორ კვირას მძლავრობდა... მერმე თანდათან იკლო, ეზოებიდან წყალი ჩაიწრიათა კალაპოტში.

მეზობლები ეზოში გამოვიდნენ და გაოცდნენ. ეზოდან არასოდეს არ მოჩანდა ასეთი სივრცე... ეზო არასოდეს ყოფილა ასეთი ნათელი, ახალა მიაქციეს ყურადღება, რომ „მადათოვის კუნძული“ ხარაჩოებში იყო ჩასმული და იქ კბოღეზე შემომჯდარი ბაწაწინა ქობიცი გამქრალიყო...

გაღმა სანაპიროს აგებდნენ.
— მტკვარზე სანაპიროს აგებენ! — ასე უთხრა მეზობლებს ლადომაც.

იგი უკანასკნელად მოვიდა თავის ეზოში. მოვიდა ორ კაცთან ერთად. კაცებმა ფული დაუთვალეს მეთევზეს. მერმე ჩასხდნენ მის ნაეში და დინებას ქვევით გააყენენ. ლადო დიდხანს იდგა ცაქებთან და გასცქეროდა თავის ნავს, რომელსაც უცხო კაცები მიაცურებდნენ.

მას ერთადერთი სიხარულია დარჩა — ტასიკო ენახა, ამიტომ სირბილით გავიდა ქუჩაში.

დუქნის კარი შეაღო. დუქანში ანტონას მეთი არავინ დახვედრია.

— ტასო სად არის? — იკითხა ლადომ.

— ტასო? ტასო წავიდა.
— სად წავიდა?
— გათხოვდა.
— გათხოვდა?
— თუ გახსოვს, აქ დადიოდა ერთი შეხებალათიანი ბიჭი...

— არა, არ ვახსოვს.
ლადომ ჯიბიდან ფული ამოიღო და დახლზე დაყარა.

— ანტონ, შენი ვალი მიიღე.

მეთევზეს ყველა ვალი მოსტუმრებულის ჰქონდა.

სალამოვდებოდა...

მუშები წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ ძია ლადო დარჩა. იგი ჯიბეებში ხელეზიწყობილი, ძველი სახლის ნანგრევებზე დადიოდა. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ნასახლარს ტყეპნიდა.

მეც შემეძლო წასვლა. სამუშაო საათები კარგა ხანია ამოიწურა, მაგრამ არ წავსულვარ. სანაპიროზე ვიდექი და ძია ლადოს ველოდებოდი.

— ძია ლადო! — ველარ მოვითმინე და დავუძახე.

— შენ კიდევ აქა, ხარ, ბიჭო?! — გამომეხმაურა ძველი მეთევზე და ჩემსკენ წამოვიდა.

სანაპიროს გავყევით.

— ახლა აქ ახალი სახლი აშენდება, — მითხრა მან.

— ჰო, აშენდება.

— სამუშაოთა მწარმოებლად თუ შენ დაგნიშნეს, ამიყვანე...

— აუცილებლად, ძია ლადო.

— შენ არ იფიქრო მარტო დანგრევა შემეძლოს...

უხმოდ მივიდიოდი დიდხანს. დუმილი მე დავარღვიე.

— ძია ლადო, თომას სად არის?

— არ ვიცი, შეილო, აღარ შემხვედრია.

— სტეფანე?

— არ ვიცი.

— მედუქნე ანტონა?

— არ ვიცი.

— ბებია მაკო?

— არც ეგ ვიცი.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. მთავარი ვერ გავუბედე... ბოლოს გაუბედაობა დაეძლიე და კვითხე:

— იულია?

— არ ვიცი... არ ვიცი...



თურმე რამდენი ხანი მეძინა

თვალთ ამეხილა და... გამეცინა:
თურმე რამდენი ხანი მეძინა:
რა არ ყოფილა, რა არ უქნიათ
მზე ამოსულა, ყველგან შუქია,
მე კი მკვდარივით თურმე მეძინა.

რა არ ყოფილა, თურმე ყოფილა:
ომი, ტრფიალი, ცრემლი, სიცილი...
ეს ყვაეილები აქ ვინ მოჰფინა?
დაფანტა მთებზე თოვლის ციმციმი,
ჯეჯილი მწვანედ ააფოფინა,
რა არ უქნიათ, რა არ ყოფილა!

თურმე მეძინა ამდენი ხანი
და გაღვიძება ვინ მიწყალობა?!
მე არ მსმენია ეს ტყბილნი ხმანი,
არც ფრინველების სტვენა-გალობა,
და გაღვიძება ვინ მიწყალობა?!

მე მძინებია რამდენი ხანი,
არ მსიზმრებია ეს ცა ეს მთანი...
ირგვლივ რამდენი ნაკვალევია,
წასულა ხალხი და ქალაქები;

რამდენს აქ სული დაუღვეია
და დარჩენილა სისხლის ლაქები,
აკლდამები,
ქალა და ქვები.

რა ძვირფას დროში თვალთ ამეხილა,
ვხედავ, წარსულში რაც დამეხილა,
იმ უცნაური ბედის მადლობა,
დღეს ვაღვიძება რომ მიწყალობა.

თურმე რამდენი ხანი გასულა,
მიტომ ხარბი ვარ და ვიწმირები,
ხალისის ზღვაში გულმა გასცურა,
როცა ვიხილე მუხის ძირები
და ვარსკვლავები — ღამის გზირები.

ვიცი, კვლავ შოდის ძილი უძირო,
ვერ გამაღვიძებს ფრინველთ გალობა,
დღეს მიტომ მინდა ვიყო უძილო;
მადლობა იმას, ვინც მიწყალობა:
ეს მზე, ეს მიწა, ფიქრი უძირო,
რომ ამ ლექსებით ანაკვნესებით
სამშობლო მიწას მუდამ ვუმზირო.

ღ ი ლ ა

მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი დილა...
და მაშინ ნათლად ეს არ მიგრძენია,
მის მყუდროებას ვერ შევხვდი
ფრთხილად:


გონებამ გვიან გამოიძია...
ყოველდღე ტყდება სიბნელის გარსი,
მზე გადმოდგება ოქროს ოლარით,
მაშინ იწყება ზეიმის მსგავსი
მწვანე ფოთლების დიდი ხორალი.

დაკარგულ დილას ვიგონებ, ვეძებ
და დღის ხმაურში ნელა შევდივარ.
ნაცნობი ჩიტი დამჯდარა ხეზე,
მღერის: ამ დილით შენი ბედი ვარ.

მახარებს, თითქოს ვიპოვე ნივთი,
ძვირსახეული და სანუკვარი
და სიხარულით სხეული მიკრთის,
ვამბობ: დადექი, სადღა უჩქარი?!

დილის ხმაურში ვიპოვე აზრი,
რომლის ძებნაში დამე ვათიე,
უცებ გამოჩნდა ნანატრი ხაზი,
ხალისი გულში ვერ დავატიე.

თითქოს გადმომცეს პირველი ვაჟი
და გავიგონე კვნესა პირველი...
ფალას მოხედა უეცრად კაჟი
და გაჩნდა ცეცხლი გასაკვირველი.



იმ წუთში ითქვა სიტყვა კაცური,
როცა გაალო შუქმა ცისკარი.
ათასმა გულმა იწყო ფაცური,
რადგან გულს მისწვდა სიტყვის ისარი.

წუთი გახსოვდეს, წუთი არსობის,
დილის სიგრილე და ნაზი სითბო;
ფიქრთა ჯარები მრავალასობით
და უეცარი აღერსის სიტკბო.

ეს იყო დილით, რომ გავიარე
პირველად მარტომ მცირე მანძილი;

სიცოცხლის დილას რომ ვეზიარე,
ხელები მქონდა მისკენ გაწვდილი
კარს მოდგა დილა სხივით, სიოთი,
მზე მთაზე იდგა, როგორც ჯვარცმული,
როცა ვიხილე კავკასიონი
და ჩვენი ქვეყნის დიდი წარსული.

სიკვდილიც მქონდეს დილაადრიან,
მზე რომ შეხვდება პირსაყეს მთვარეს,
დილავე, სიცოცხლის ტბილო გადავ,
მე შენს ხელებზე დაეხუჭავ თვალებს.

იხსენება ფარდა

გამოველ გარეთს!.. ვემღერი ღამეს,
მომბეზრდა ბნელი ბინის კედლები.
ნთვარე ფანჯარას ღრუბლებში ადებს
და მიმოდიან თეთრი ეტლები.

თვლებს თანდათან სცილდება ბინდი,
გამოჩნდა ალვა-ზეცის მოისრე.
თითქოს საგნები უხმონი, მშვიდნი
დაბრუნდნენ შინ და ჩადრი მოიხსნეს.

თითქოს მძინარის რიდი დაიდო
მიტომ ნიავე ფოთოლს არ არხევს.

ცისკარმა როცა ფეხი აიდგა,
ღამე მოკლეს და სადღაც დამარხეს.

ყველას აეხსნა სმენა და თვალი.
დაირბა ფარდა და მზე ამოდის
ისე ცინცხალი, ისე მართალი,
რომ მე სიცოცხლეს აღარ ვნანობდი.

და მომეჩვენა, ხელი პატარა
მისწვდება მზეს და მეხსენება სმენა
და, ვით მეტყველის სიტყვას ანკარას,
გავიგებ მიწის ქარაგმულ ენას.

ე ლ ე მ ი ა

ჩემი სიმღერა არვის სმენია
და არც ზეპირად უთქვამს არავის;
ნეტავ ამ ქვეყნად რა დამარჩენია,
რად არ ავიღე ჩემი კარავი?

თხუთმეტი წელი ვიყავი მუნჯად
და მოლოდინის დავლიე შხამი,
ჩავიდა მზე და ჩამოწვა ლურჯად
ჩემი სიცოცხლის სადამო ქამი.

ვარსკვლავთა ოქრო, ლაქვარდი მუქი,
შორს მოჩანს გემი, ვით ცეცხლის
ურდო,

და ის მიცქერის ანთებულ შუქით,
თითქოს სიცოცხლის წართმევა
სურდეს.

მას პასუხს აძლევს თვალების მზერა,
არ ვმაღავ სევდას და სიმწუხარეს..

და მივეცურავდი ჩვენ თითქოს ერთად,
თუმც მივეცურავდი სხვადასხვა
მხარეს.

ტალღების დენა, სხივების ძაფი,
ეს სასწაულო-მე აბლა მესმის,
როგორც ამ წუთის ტკივილი მძაფრი
და მომავალი ტრფიალის გესლი.



ღაპარგული საყურე*

ნაშუადღევს ციხე-დარბაზის გალავანში გაიფანტნენ ახალგაზრდები, დამალობანას თამაშობდნენ. — ეკატერინე ბროწეულის ბუჩქებისაკენ გაიქცა. ბუჩქს ტატო ამოფარებოდა. ისინი მართო დარჩნენ ალისფრად აყვავებულ ბროწეულის ბუჩქებს შორის. ეკატერინემ ხელი ჩაჰკიდა ტატოს და ბუჩქებს შორის გაიქცნენ, იცინოდა ეკატერინე, გზადაგზა ბროწეულის ალისფერ ყვავილებს კრეფდა და ჰაერში ისროდა, დამფრთხალ ჩიტებზე მიუთითა ბროწეულის ბუჩქიდან რომ წამოიშალნენ. უეცრად ხელი გაუშვა ტატოს, გაიქცა, შორიდან მიიძახა:

— დამიჭირე, ტატო! — გაქცეულს სპილოსძვლის სავარცხელი ჩამოუვარდა, ხუჭუჭა თმები ჩამოეშალა, სავარცხელის ასაღებად დაიხარა ტატო, მათი თავები ერთმანეთს დაეჯახნენ, ეკატერინემ ორივე ხელი თავში იტაცა, ბალახებში ჩაჯდა.

— საძაგლო! — თვლები უღიმოდა ეკატერინეს. ორივემ ხმამაღლა გადაიხარხარა.

ეკატერინემ აყვავებული ბროწეულის ტოტი მოიწია, მოტეხა, თავში სავარცხლით გაიმავრა.

— ლამაზი ვარ? — ტატომ ბალახებში ჩამჯდარ ეკატერინეს წინ ჩაიჩოქა.

— ცისიერო!

ეკატერინე წამოხტა, ტატოს ხელი დასტაცა და ორივენი კვლავ გაიქცნენ. სირბილით მივიდნენ ბატონის წყარო-

მდე. ეკატერინემ პეშვი შეუშვირა მოჩუხჩუხე წყალს და დაეწაფა.

— უ, რა კარგია! — ჩამონადენი წყლის წვეთები გულზე ეღვრებოდა, კაბის გულისპირს უსველებდა. კვლავ დაიხარა წყლით აივსო პეშვი.

— დალიე, ტატო ჩქარა, დაიღვრება! — ტატო წყალს დაეწაფა — კარგი, გეყოფა! — შეიფრთხილა ეკატერინემ და პეშვში დარჩენილი წყალი სახეში შეასხა.

ციხე-დარბაზის ეზოში ქართულს ცეკვავდნენ, როცა ეკატერინემ და ტატომ მიირბინეს.

— სად იყავ? — წარბი შეიკრა სალომემ.

— ვარდებს ვკრეფდი, დედილო. — ეკატერინემ ვარდების თაიგული გაუწოდა დედას. სალომემ გაჯავრება ვედარ მოახერხა. დედის გაშლილი წარბები რომ დაინახა ეკატერინემ, გამხიარულდა, მოცეკვავეთა წრეში შეიქრა, მკლავები გაშალა და გედევით ყელმოღვრებულმა ჩამოუარა. ირხეოდა ეკატერინეს თმებში გამაგრებული ალისფრად აყვავებული ბროწეულის ტოტი და ჰაერში გაისმოდა მისი წკრიალა ხმა:

— ბროლის ფიცარი, აფიცარი. — ეკატერინეს ხმა ალაზნის ველზე იკარგებოდა და ტატოს ეგონა კი არ ცეკვავს დაფრინავსო ეკატერინე.

— ცისიერო, ცით მოფრენილი ხარ და ვით შეგბედო? როგორ მოუღვრებია ყელი, მისცურავს თუ მიფრინავს? — უყურებდა ტატო მისი ფეხების მოძრაობას, მიფრინავს, ფეხს მიწას არ აკარებს, როგორ ხმარობს გაშლილ

ხელეხს ვინ მისცა ასეთი სახე, სინაზე. ვინ დაწერა ნახ ტუჩებზე ეს ლიმონი? თვალთ უბნელდება ტატოს, ეკატერინეს, მხოლოდ ეკატერინეს ხედვს ამდენ ხალხში, მის ცეცხლივით ანთებულ თვალეხს, ლალ მოძრაობას სიცოცხლისაკენ, ცხოვრებისაკენ რომ მიისწრაფის.

სტუმრების წასვლის შემდეგ მოწყენილობამ დაისადგურა წინანდალში.

ქალები ყოველდღე დასეირნობდნენ ცხენებით, ქარგავდნენ, თამაშობდნენ ბილიარდს და ჭადრაკს, თავს ირთობდნენ კითხვით, ვარჯიშობდნენ ლექსებსა და ზღაპრებში, ხატავდნენ. ავღრიან ღღებეს კი ატარებდნენ ბიბლიოთეკაში, ისხდნენ ცეცხლის პირს, სასახლის ქვედა სართულში და უსმენდნენ მოხუცების ნაამბობს, ხალხურ სიმღერებსა და ანდაზებს.

• •

წინანდლის ზვრებში კრეფას იწყებდნენ, კვირა დღით აღრიდანვე გაგზავნეს თბილისში „დროშა“ და ცხენები სტუმრების ჩამოსაყვანად. მზიარულება დაუბრუნდა ჭავჭავაძის სახლკარს. უამრავი ხალხი ირეოდა მარანში — რეცხავდნენ, აშრობდნენ, ხარშავდნენ.

კვირა ღამიდან ღამისთევა იწყებოდა ზვრებში. სტუმრებმა სამხრობისას მოიყარეს თავი, მოვიდნენ თელავიდან, გარშემო სოფლებიდან, წინანდალში ხომ არავინ დარჩენილა, დიდი და პატარა ეწვია ჭავჭავაძეების მამულს. ვეებერთელა კოცონები დაანთეს ვენახის ნაპირებზე. რიგი უკრავდა, რიგი მღეროდა, რიგი ჭიდაობდა, ლექსის მოქმედლებიც გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დაცვარული ყურძნის მტევნები გადადიოდა ხელიდან ხელში. ასე იღუოდა ღამე ზვრებში.

— ნახე, ტატო, როგორი მტევანია. — დაიხარა ეკატერინე და ჩამკვრივებულ რქაწითელის მტევანს ხელი მოჰკიდა.

— აი, ესეც მშვენიერია, ეკატერინე.

— არა, ეს სჯობია, მოდი, ნახე. — ტატო მივიდა და ვაზთან დაიჭრა. ეკატერინემ ორი მარცვლი გამოაცვალა მტევანს, პირში ჩაიდო, ყურძნის მარცვალმა აწითლებული ზაგეები დაუსველა. — შენც ჭამე, ტატო. — კვლავ გამოაძრო მტევანს ორი მარცვლი და ტატოს გაუწოდა.

ტატომ ეკატერინეს თითების სითბო იგრძნო და სწრაფად დაიხია უკან, ეკატერინე შეკრთა, ვაზებს გაჰყვა. ბროწეულთან შეჩერდა, დაიწია ტოტი მძიმე ნაყოფს დაემძიმებია და დაეზიდა. გახლჩილი ბროწეული ეკატერინეს ზაგესავით უღიმოდა ტატოს.

— აქ რას აკეთებთ? — ჩაესმათ მაიკოს ხმა.

— ბროწეული მინდა მოვწყვიტო, ვერა ვწვდები, ტატო კი არ მეხმარება. აი, ხედავ, იქ, ზევით, რა კარგია!

— მოიცა, მოგვხმარები, დავიწვე, შენ კი მოსწყვიტე.

ტატო ჩუმად იდგა და, მისჩერებოდა.

— მოდი, ტატო, მოწყვიტე, ხომ არ დაგეძინა?

ტატო ხესთან, მიიჭრა ბროწეული მოსწყვიტა, ეკატერინეს გაუწოდა.

ცეცხლის კოცონს დაუბრუნდნენ ეკატერინე, ტატო და მაიკო. ცეცხლის პირას მუთაქაზე ნინო იჯდა, მისი თითები ჩონგურის სიმებზე დათამაშებდა და კენესოდა ჩონგური ნინოსთან ერთად. გარშემო მსხდომნი განაბულიყვნენ. შეჩერდა ტატო. ცეცხლის ალი და ნაგვიანევი მთვარის შუქი უნათებდა სევდიან სახეს, უცნაურად შვენოდა მრავალნაცრემლი დაწვეები, ნაშალი თმა ყელზე ეყარა, ყუყუნა თვალეხში უსაზღვრო სევდა ციმციმებდა.

ტატომ ნინოს სევდას ველარ გაუძლო, განაპირდა, ბალახებში გაწვა, ბალახის ღერს კბილით სწიწკნიდა და გულნალვლიანი ფიჭრობდა — უსამართლო ხარ ბედო, რად დაისაჯა კეთილი და სათნო ნინო? რაოდენ სასტიკი უნდა იყოს ის, ვინც სამუდამოდ ცრემლისათვის გაიმეტა მისი ყუყუნა თვალეხი, მუდამ

კენესისათვის მისი მშვენიერი ბაგე, რომლებსაც ვარდის ფურცლებივით მხოლოდ ლენა შეეძლო მოეტანა. ანაზ-დად ძია გრიგოლი გაახსენდა: ინატრა — ნეტავ ძია გრიგოლი ხედავდეს ახლა ნინოს.

— სად დაგვეკარგე, ტატო! — თავს წამოადგნენ მაიკო და ეკატერინე. ტატო სწრაფად წამოხტა.

— ნახე, რამდენი ციციანთელები დაევიკირე — ეკატერინემ თავი დახარა. მის თმებში მიუყუთულიყვნენ ციციანთელები და ხანგამოშვებით ანათებდნენ. — მუდამ ბრწყინვალეებისაყენ მისწრაფის ეკატერინე — გაუელვა ტატოს.

აღმოსავლეთს აღისფერი წაეკილა, ჯადოსნურმა შუქმა გაანათა ვენახის ზვარი. განთიადთან ერთად ტოროლები მამხალელებით ავარდნენ ვაზებიდან და აიჭრნენ სულ ზევით და ზევით. ამომავალ მზის სხივებზე ძვირფასი თვლებივით ბრწყინავდნენ ყურძნის მარცვლები და ირხეოდნენ ფოთლები.

სალომე ვენახის თავში იღვა. გადიამ თეთრი ხელთათმანები და მაკრატელი მოართვა, სალომემ პირველსავე ვაზს მტევანი შეაჭრა.

— ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და ბარაქავე, დაილოცოს შენი მადლი. — ამ სიტყვებით ყურძნის მტევანი გამდელს ჩაუდო მოწნულ ხელკალათაში, ამ კალათში სალომე და გამდელი ზედაშესათვის აგროვებდნენ ყურძენს. კრეფა დაიწყო. მკრეფავების სიმღერამ დაფარა მიდამო.

— ხედავ, წეროები მიდიან თბილ ქვეყნებში. — ტატომ ზევით აიხედა. გამწკრივებული მიფრინავდნენ წეროები, მორჩილად მიჰყვებოდნენ გზის მანვენებელს. ნეტავ მასაც გაუჩნდებოდეს ცხოვრებაში მეგზური — ინატრა ტატომ და თვალს აღარ აცილებდა მათ. უეცრად წეროებს ერთი გამოეყო და ჩამორჩა.

— რა არის ეს? — შეჰყვირა ეკატერინემ. — წერო, წერო, რატომ ჩამორჩა? — ვერ ისვენებდა ეკატერინე. ქა-

რავანი კი წინ მიიწვედა. ჩამორჩენილი ხანგამოშვებით ჩერდებოდა და განწირული ხმით ეძახდა წმინტაწირებულებს. ერთი კიდე შეჰყვირა და შურდულივით წამოვიდა ძირს.

— ვაიმე!! — ეკატერინე ტატოსა და მის შორის დავარდნილ წეროს დააჩერა. ტატო დაიხარა. წეროს ფრთები უსიცოცხლოდ გაეფოფრა, თავი გვერდზე გადაეგდო, ხელის შეხებაზე პატარა თავი ოდნავ გაანძრია და ისეთი ნაღვლიანი თვალებით შეხედა ტატოს, თითქოს ეკითხებოდა — შეგიძლია მიშველო!!

— ტატო, მოკვდება მოკვდება? — მესაჯერ ეკითხებოდა შემფოთებულ ეკატერინე.

— წყალი დავალეწინოთ, წყალი! — გაიძახოდა მაიკო.

ტატო კი იღვა, დასჩერებოდა ეკატერინეს კალთაში უსიცოცხლოდ თავგადაგდებულ წეროს და ფიქრობდა:

— ძნელი სავალია ცხოვრების გზა, ვერც მეგზურმა უშველა წეროს შუა გზაზე უღალატა ბედმა.

ხმა იღუმალი

ნოემბრის მზიანი დღე იყო. მსუსხავი ქარი დათარეშობდა ქალაქში. მზეს საც მცხუნვარება დაჰკარგოდა. ჭირხლი გადაჰკროდა მიდამოს. კარგა ხანია გათენდა. ქალაქს გაღვიძება არ ეტყობოდა და ქუჩაში მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა მგზავრი, რომელიც გადაუდებელ საქმეზე მიეშურებოდა.

ორსართულიანი სახლიდან თვალეზის ფშვენტით გამოძერა ფეხშიშველი, თმაბურძგნული პატარა ბიჭი და სახლის დარაბების გაღება დაიწყო. ბიჭი ქარის ყოველ შემოჭროლებამზე ძაგძაგებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება, მალე გამოეღო დარაბები.

ცხვრის ტყავის ქუდებით თავზე ჩამოფხატულ მეთულუნჩიებს გაყინული

ხელები ილღობში ამოდნოთ, ჩაქჩა-
ქით მომავალ სახედრებს მისდევდნენ.

მხოლოდ ტატო მიდიოდა ნელი ნა-
ბიჯით, თავშიშველს ფართო შუბლი
მსუსხავი ქარისთვის მიეშვირა. გამო-
ხედვანე ეტყობოდა არც ქარს გრძნო-
ბდა და არც სიცივეს. ქარი უწიწავდა
უკან გადავარდცხნილ თმას და უფრია-
ლებდა ყელზე გამოსკვნილ შავ ბაფთს.
მიდიოდა უზენაესი სასამართლო პა-
ლატის მოხელე აქტებისა და ოქმების
საწერად.

ტატო ორსართულიანი შენობის ქვე-
და სართულში შევიდა. კარი ხმაურით
მიიხურა და გრძელ ოთახში აღმოჩნდა,
რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ
მაგილებთან ისხდნენ ჩინოვნიკები. ისი-
ნი თავაულებლად მუშაობდნენ. დარ-
ბაზის ბოლოს სამუშაო მაგიდას მისჯ-
დომოდა მაღალი, ხმელ-ხმელი მოხუცი.
მოხუცმა ტატოს მისალმებაზე სათ-
ვალეებს ზემოდან გადმოხედა და, მა-
ნამ არ მოაცილა მზერა, სანამ სამუ-
შაო მაგიდას არ მიუჯდა. მოხუცი სა-
მუშაოდ გამზადებულ ტატოს მიუბ-
რუნდა:

— თავადო ნიკოლოზ მელიტონის-
ძე ბარათოვო, მომართვა მოვიდა სა-
ქართველოს უმაღლესი მთავრობის სა-
სამართლო ექსპედიციიდან თქვენთვის
ფიცის ჩამორთმევის შესახებ.

ტატო ფეხზე ადგა, ისე უსმენდა
მოხუცს.

— ეს ყველაფერი ორშაბათისათვის
უნდა გამზადდეს. თავადო ბარათოვო,
საჭიროა დასდოთ ფიცი. როგორც აქა-
მდე, არც მომავალში მიეკუთვნებით
რაიმე ფარულ საზოგადოებას. დაფიცე-
ბის აქტს ხელს მოაწერს მრჩეველი
თავადი თუმანოვი, საქმის მწარმოებე-
ლი ბატონი დროზდოვი და მაგიდის
უფროსი, ბატონი გრიგორევი.

— კეთილი! — ტატომ თავი დაბლა
დახარა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოეარდა, მხო-
ლოდ ხანგამოშვებით ქარი აზანზარებ-

და მინებს და ზოგჯერ გაისმოდა, რო-
გორ წრიპინებდა ქალალზე, მაგიდის
უფროსის კალამი.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ტა-
ტო ფედორ გავრილენკოსთან ერთად
გარეთ გამოვიდა. ქარი მომძლავრე-
ბულიყო და გამკვალავად უბერავდა.
ფედორმა ქუდი ჩამოიფხატა, მოსას-
ხამის საყელო აიწია.

— არასოდეს დამეიწყებდა ის დღე,
როცა ფიცი ჩამომართვეს სამსახურის
ერთგულებაში. ეს ყველაზე ღირსშესა-
ნიშნავი დღეა ადამიანის ცხოვრებაში.
უფროსი მაგრად, მაგრად გართმევს
ხელს, როგორც მის სწორს, გული სი-
ხარულით გვეცემა. — წრიპინა და თავ-
მომაბეზრებელი ხმა ჰქონდა ფედორს.
ტატოს ნოემბრის ქარზე უფრო
მეტად სუსხავდა ის, უეტრად წარმო-
იდგინა, რომ მუდამ ასე უნდა იაროს
ფედორთან ერთად, მუდამ ასე უნდა
ესმოდეს ეს წრიპინა ხმა.

— მწუხრის ლოცვა უნდა მოვის-
მინო მამადავითზე, ამიტომ აქეთ გეა-
ხლებით!

ფედორმა მხრები უსიამოვნოდ შეარ-
ხია, თვალები დააჭყიტა, ეჩოთირა, ეგო-
დენ საინტერესო საუბარი რომ შეაწყ-
ვეტინეს.

— რა დროს მამადავითია ასეთ ამინ-
დში, აქ შებრძანდით ქაშუეთში.

ტატოს ფედორის რჩევისათვის ყუ-
რი აღარ მიუღდია, ჩქარი ნაბიჯით შეკ-
ყვა მთაწმილისაკენ მიმავალ გზას. ქარი
არხევდა გაძარცული ხეების ტოტებს,
ზოგჯერ აიტაცებდა შემორჩენილ გაყ-
ვითლებულ ფოთოლს და ჰაერში აფ-
რიალებდა. ახლა უკვე ნელა მიაბი-
ჯებდა ტატო, ფედორის თავმომაბეზ-
რებელი ხმა აღარ ესმოდა.

უკაცურობა იყო მთაწმიდაზე. ტატომ
მყუდრო ადგილი მოძებნა. — უბესავით
გამოკვეთილი. ქარი არც თუ ისე ძლიე-
რად ხედებოდა. პირველი რამაც ხედვა
მოსტაცა, გიმნაზიის შენობა იყო, დაშ-
ტერდა შენობას, აქ ამ ნაცრისფერ შე-

ნობაში გაირბინა მისმა ყმაწვილკაცობამ სწორთა, თანზრდილთა და მიგობართ შორის. აქ შეიცნო ტატომ პირველად წუთისოფელი. მის შემდეგ, რაც ეს ადგილები დაავდო, გულს ჩუმი ნალექელი გაუჩნდა და ხმა იღუმალი თან სდევს მის ყოველ ზრახვას. ცხადად თუ სიზმრად სულ ერთს ჩასძახის:

— ეძიე, ყმაო, შენ ხვედრი შენი! მაგრამ სად, სად იპოვოს ტატომ თავის ხვედრი? ნუთუ მისი ხვედრია, მთელი დღეები გაატაროს ფედორსა და ვასილთან. ნუთუ მისი ხვედრია მაგიდის უფროსს თვალებში შესჩერებოდეს და სერთუკიდან მტვერს უწმენდდეს? ცივი ქარი სახეს უსუსხავდა, მაგრამ ვედარაფერს გრძნობდა და ჩუმიად ჩურჩულებდა: — ხმავ იღუმალო, ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, თუ მაცთური, ვინცა ხარ, მითხარ, რას მომისწავებ.

კრაქის ალი აციმციმდა ტატოს სახეზე. გზად მიმავალმა ბერმა, რომელსაც ნალამოს ლოცვა დაემთავრებინა, კრაქი მიანათა სახეზე და პირჯვარი გადაიწერა.

— თუ მაცთური ხარ, ამ წმინდა ადგილს ვით მოეკარე?

— ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, წმინდაო მამავ!

— ძეხორციელო, ამ ცუდ ამინდში აქ რას დაეძებ, რა დაგიკარგავს?

— იღუმალი ხმა არ მასვენებს, მამაო, ხვედრის საძებრად მომიწოდებს.

— ყმაო, ნუთუ რაიმე შეუწყნარებელი ცოდვა მიგიძღვის ამქვეყნად?

— არა, მამაო, თვალს გადავავლებ ჩემი ცხოვრების განვლილ გზას და იქ ვერ ვპოვებ ავს, ჩემი სინდისის საშფოთველს და საქეჯნავსა.

— მაშ, რად შფოთავს სული შენი, შვილო ჩემო?

ტატომ ბერისაკენ გაიშვირა ხელები.

— მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ და მით კაეშანს ვედარ ვიშორებ!

ბერმა უკან დაიწია, ტატოს გაბრწყინებულ თვალებს ჩააშტერდა.

— ყმაო, ვისი სიტყვებით შელაპარაკები? არ წამიკითხავს ეგ სიტყვები ჩემ წიგნთა შორის, არცა მსმენია ვისმესგან ჯერ წარმოთქმული.

— ჩემი გულის ნალექელი მალაპარაკებს, მამაო, ხმა იღუმალი თანა მსდევს და ჩამძახის ამ სიტყვებს.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ბერი თვალს არ აცილებდა ტატოს. მიუახლოვდა. მხარზე ხელი დაადო. ქალაქისაკენ მოაბრუნა, ვეებერთელა ხელი სივრცეში გაიშვირა:

— იქ, იქ არის შენი ხვედრი, ყმაო, იქ უნდა ეძიო იგი და გწამდეს, რომ ჰპოვებ უთუოდ. შენი ხვედრი დიდია ამ ქვეყნად. მისდევ მაგ ხმას იღუმალს, იგი მფარველი ანგელოზია შენი, ის მოგაცილებს გულის კაეშანს და მიგიზღავს ამ სოფლად შენს წილს. — ბერი სწრაფად მოტრიალდა ტაძრისაკენ. — აქ არ არის შენი ხვედრი, ყმაო, აქ მხოლოდ ბრძოლით დაქანცულნი ამოდიან დასასვენებლად, როს დაკარგავენ იღუმალი ხმის საკვირველ ძახილს.

ქალაქს ეძინა, როცა ტატო მთაწმიდიდან ჩამოვიდა. ჩაბნელებული იყო ყველაფერი, მხოლოდ ჭავჭავაძეებიდან გამოდიოდა შუქი. ფარვანასავით იზიდავდა ეს შუქი ტატოს, რას უქადდა იგი? სამუდამოდ გაუნათებდა ცხოვრების გზას თუ ფრთებს შეტრუსავდა და დაუნზობდა ფრენის უნარს.

ს ა ჟ უ რ ი

სიონის ტაძრისაკენ მიედინებოდა დიდი და პატარა. ერთმანეთს მისდევდნენ „დროშკები“, კარტები, ცხენოსნები, ქვეითები. ტაძრის შესავალში შეყრილები ერთმანეთს ესალმებოდნენ, ჯგუფდებოდნენ, ჩამორჩენილებს ელოდნენ და ერთად შედიოდნენ საზეიმოდ მორთულ ტაძარში.

გადასახლებიდან ალექსანდრე ჰავ-
ჰავაძის მშვიდობით დაბრუნებისათვის
პარაკლისს იხდიდნენ სიონის ტაძარ-
ში. ეშურებოდნენ, ენახათ ალექსანდ-
რე. მთელი ღამე თოვდა და ჰრაქუნებ-
და ფიფქად ნაყარი თოვლი მომავლე-
ბის ფეხქვეშ. ტაძარში წინა რიგებს
ორბელიანები, ბარათაშვილები და ჰავ-
ჰავაძეები იჭერდნენ.

— მოდიანი!

— ჰავჰავაძეები მოდიანი! — შეიქნა
ჩურჩული.

ტაძრის შესასვლელში ქუდი მოიხა-
და ალექსანდრემ და, როცა ტაძრის
კიბეზე ჩასვლა დაიწყო, ტაძარში მყო-
ფებმა მზერა მიაპყრეს მშვენიერ ვაე-
კაცს, რომელსაც ქუდი მარჯვენა ხელ-
ზე ედო და გვერდს სალომე და ნინო
უშვებდნენ.

— ისევ ისეთია, როგორიც წაიდა!

— არ დაუქარგავს სიმშვენიერე და
ლაზათი!

— გარსევან ჰავჰავაძის შვილს სიმ-
შვენიერეს რა დაუქარგავს!

ხალხი შუა გაიყო, გზა დაუთმეს,
ჰავჰავაძეებმა საკურთხევის წინ დაი-
ჭირეს ადგილი.

გამოვიდა ეფრემი. მისმა ხმამ დაი-
გუგუნა, საცეცხლური მიმოატარა თავ-
დაბრილ მლოცავების წინ და საკმევე-
ლის სუნი დააყენა ირგვლივ.

დედის გვერდით იდგა ტატო, ხედავ-
და, როგორ ჩამოდიოდა ფერმკრთალ
ლაწებზე ცრემლები, თვლები ღვთის-
მშობლის ხატისათვის მიეპყრო და უხ-
მოდ შესთხოვდა რაღაცას. — ნეტა ძია
გრიგოლი როდის დაბრუნდება? — გაუ-
ელვა ტატოს და მიხვდა, ამასვე ფიქ-
რობდა ეფემიაც.

— მაღლი უფალს!! — გუგუნებდა
ეფრემი და საცეცხლურიდან საკმეველის
სუნს ფანტავდა.

ტატომ თვალი შეავლო საკურთხევე-
ლის წინ თავდახრილ ალექსანდრეს.
კოცონივით გიზგიზებდა მის ხელში კე-
ლაპტარი. ასეთივე კელაპტარი ეჭირათ

სალომეს, ნინოს, ეკატერინეს. სალომეს
ლაწებზე ცრემლი ნაკალავს! ტრფეზ-
და. თავდახრილ ნინოს ცრემლი გულ-
მკერდზე ეფრქვევოდა. რა მშვენიერი
იყო კელაპტრის შუქით განათებული
ეკატერინე! როგორ აწითლებოდა ღაწ-
ვები და უბრწყინავდა თვლები! მუხლ
მოყრილი იდგა ეკატერინე ხატის წინ,
თავი დაეხარა. მოციმციმე სანთლის
შუქი ოდნავ უნათებდა სახეს. მონა-
ზონთა გალობა სადღაც შორიდან ეს-
მოდა ტატოს და ამ ვეებერთელა ტა-
ძარში მხოლოდ ეკატერინეს სახეს ხე-
დავდა, სანთლის მკრთალი შუქით ვანა-
თებულს. სანთელი თანდათან იწვოდა
ეკატერინეს ხელში.. შეიძრნენ ეკატე-
რინეს ბაგეები. რას შესთხოვს ეკატე-
რინე ღვთისმშობელს? სანთელი ჩაიწვა
ტატოს ხელში, თითების დაწვამ გამო-
აფხიზლა და ძლივსდა მოსწყვიტა მზე-
რა მავედრებელ ეკატერინეს.

დამთავრდა პარაკლისი.

გზა შეუკრეს ჰავჰავაძეებს წინანდ-
ლიდან ჩამოსულმა გლეხებმა. გარსევა-
ნის თანამებრძოლებმა გულში ჩაიკრეს
მათი მოჭირახულის შვილი, მიულო-
ცეს მშვიდობით დაბრუნება.

ქუჩის ბოლოს „დროშა“ ელოდა
ჰავჰავაძეებს. შავი ცხენები ერთ ად-
გილზე ვერ ისვენებდნენ, თოვლში ფე-
ხებს აბაკუნებდნენ და ნესტოებიდან
გამონადენი ორთქლით ბულს აყენებ-
დნენ. ალექსანდრე რომ დაინახეს, თა-
ვები ზეაიღეს, ყურები დაეკვიტეს და
მზიარული ჭიხინით შეეგებნენ, ჰვეუ-
ნას ამცნეს — დაგვიბრუნდით პატრონი.

დაცარიელდა სიონის ქუჩა. ტატო და
ლევანიც გამოვიდნენ. ჩუმად მიდიოდ-
ნენ, თავთავიანთ ფიქრებში გართულნი.
მოსახვევიდან პატარა ბიჭი გამოჩნდა,
თავზე თაბახი ედგა პურებით და გაპ-
ყვიროდა:

— ცხელი პური, აბა, კარგი ცხელი
პური!... პურს ოზშივარი ასდიოდა და
გარშემო სასიამოვნო სუნს ფანტავდა.

— მანანასთან კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, ტატო!

— აუცილებლად, რვა საათზე იწყება წვეულება.

— დიდი ქეიფი მოგველის.

— ალექსანდრეს საპატივისცემოდ განა მანანა თავს დაზოგავს?

ტატო და ლევანი ერთმანეთს დასცილდნენ და თავთავისი გზით წავიდნენ.

რვა საათზე ახმაურდა მანანას სახლკარი. გახშირდა მიმოსვლა. ფარეშებმა აანთეს შუა დარბაზში ჩამოკიდებული მრავალსანთლიანი ქალი. ჩამოუარეს კედლებზე გამაგრებულ სამსამსანთლიან სასანთლებებს. ოთხივე კუთხის ბუხარში გუზგუზებდა ვეებერთელა კვინციის კუნძები.

ოთახებში ყველა ჯურის ხალხი ირეოდა. — ევროპელები და აზიელები, ერთმანეთს სცვლიდნენ ფრანგი და ინგლისელი მოგზაურები, სპარსელი და ინდოელი ვაჭრები, რუსი სამხედრო პირები და მოხელეები. ერთმანეთში ირეოდა ფრაკები, ჩალმები, მუნდირები და ქულაჯები.

მამაკაცები დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ. ლამაზ-მანები კი გარშემო სკამებზე ჩამწკრივებულიყვნენ და სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ტატო ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა მანანასაკენ. მის წინ ფრანგი მეფუნთუშის ბიჭი გარბოდა ვეებერთელა კალათით და ცხელ-ცხელი ფუნთუშები მიჰქონდა. დარბაზში შესულ ტატოს თვალები აუბრჭყვიალდა, წუთით შედგა, ვერც ერთი სახის გარჩევა ვერ შეძლო. დარბაზის ღია კარიდან მოსჩანდა ოთახების გრძელი რიგი.

დარბაზის შემდეგ ოთახში ეკატერინე იდგა. შიშველი მხრები და გედვიით მოღერებული კისერი ბრწყინვალეობას უქარგავდა თვალმარგალიტს, რომელიც ეკატერინეს გულ-მკერდს უმშვენებდა. მასთან ახოვანი ტაბუკი იდგა,

ბრწყინვალე მუნდირში. ისინი საუბრობდნენ. ეკატერინეს თანგონამაყად ზეაქვია და ლალად უღიმოდა ბრწყინვალე თავადს, რომელსაც ლამაზი, ვაკეცური სახე ასწითლებოდა და მით ეშხი მომატებოდა.

ტატო ეკატერინესაკენ გაეშურა, გულმა შეიფრთხილა მის დანახვებზე და უცნაურად მოუნდა მასთან საუბარი. შედგა, თავით ფეხებამდე შეათვალერა ეკატერინეს მოსაუბრე, მზერა კვლავ ეკატერინეზე გადაიტანა, თითქოს ბრწყინვალეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეკატერინე და უცხო თავადი. ვინ უნდა იყოს ის? — გაუელვა ტატოს და შედგა. ეკატერინე მისკენ მოტრიალდა, გაუღიმა. მიუახლოვდა. წამს გაქრა სიტყვები, რომლებიც შეამზადა მის შესახვედრად, და თავდახრილმ დადგა მის წინ.

— სამეგრელოს მთავარი დადიანი, თქვენ რომ ლექსი მოგეწონათ, მთავარო, მისი ავტორი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი. — გააცნო ეკატერინემ ისინი ერთმანეთს.

ტატოს მოუნდა სრულიად გასცლოდა აქურობას, როგორ ელოდა ამ დღეს, შეხვედრას ეკატერინესთან. რად შემოკენისი გული ამრიგად? ნუთუ პირველად ხედავს ეკატერინეს, ბრწყინვალე თავადებთან მოსაუბრეს? არა, ეს სხვაა, ეს სხვაა, ჩასძახა ვილაცამ, ვერ ხედავ, ეკატერინეს როგორ უბრწყინავს თვალები, როგორ შევნიან ისინი ერთმანეთს! მისი სიხარულის სანთელი ერთი სულის ჩაბერვით ჩაუქრო ვილაცამ. გარშემო ჩამობნელდა და ბიჯის წადგმა ველარ მოახერხა. თავი გაიქნია, უსიამოვნო ფიქრების მოსაცილებლად. სწრაფად გაეშურა ოთახების ბოლოს მოთავსებულ რვაკუხიან ბუდუარისაკენ. ბუდუარის კუთხეებში სავარძლები იდგა. ოთახი მოფენილი იყო აბრეშუმის ხალიჩებით. მაგიდაზე გადაფარებულ ატლასზე ამოქარგული იყო ნაირ-ნაირი ფერის ყვავილები. კედლების

გასწორებ მდგარ დაბალ ტახტებზე გადაფარებული იყო აბრეშუმის ხალიჩა დიდი დორით და მინანას ხელით ნაკერი ბალოშებითა და მუთაქებით. ოთახში მზიარულად გუზგუზებდა პატარა ბუხარი, რომლის წინ თავი მოეყარათ მაიკოს, ტასოს, მართას, მარიამს, ლევანს, კონსტანტინეს, ილიას, დავითს. ტატომ დარდი ჩაიხშო, შეკრებილ ქალებთან მიიჭრა.

— ხედავთ, ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავებს სად მოუყარათ თავი! — ტატო ქალებს შორის ჩაჯდა. — რა მომკლავს ამდენ ლამაზმანებში. — მარიამმა თმებში ხელი წაატანა ტატოს.

— ჩემო ტატო, პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია, ფედორის ყურებით სევდა გაგბშირებია.

ტატო მარიამისაკენ მიბრუნდა, ვაუღიმა.

— მე რად მყვედრით ფედოროს,
თქვენვე მოგხვდებოთ სიძეთა.
თუნდაც კნენა სოფლის ჰკითხეთ,
რამდენი წლისა ხართ;
მაგას რომ ქმარი შეურთავს,
დაბადებული ყოფილხართ,
პაპუნაშვილი თქვენი ყმა, თქვენი
ლალაც ყოფილა,
იმის თქმითა მარიამ ოცდაათისა
ყოფილხარ.

— ხა, ხა, ხა, მარიამ ქალო, გაჯობა, გაჯობა!

მუსიკის ჰანგმა დაფარა ქალების ხარხარი.

— აღეკით, აღეკით, ცეკვა იწყება! — წამოფრინდნენ ქალები, მარიამიც ზეზე წამოდგა, ტატოს ქოქოლა მიიყარა.

— ჩვენ არა ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია.

სანამ საცეკვაო დარბაზში გავიდოდა ტატო, ლოტოს მოთამაშე ხანში შესულ მანდილოსნებს მიუახლოვდა.

— არ წააგო, ფეფო! — წასჩურჩულა დედას.

— შენს სახელზე ვთამაშობ, შეილო! გაუღიმა ეფემიამ.

ახლა ბანქოს მოთამაშე მამაკაცებს მიეჭრა ტატო, როცა საცეკვაო დარბაზში გავიდა, პოლონეთი დაწყებული ჰქონდა ალექსანდრე ჰაეჰაეჰის ნინოსთან ერთად. ეკატერინე სამეგრელოს მთავართან ცეკვავდა, მალე ტატომაც მათ რიგში დაიჭირა ადგილი მაიკოსთან ერთად.

დამთავრდა კადრილი. მოქანცული ქალები ოთახებში გაიფანტნენ წყლებისა და ტბილელისათვის.

ვალსი მხოლოდ ახალგაზრდების მცირე ჯგუფმა დაიწყო. ტატო ეკატერინესთან ცეკვავდა და მისი მზერა არ სცილდებოდა საყურის თამაშს. საყურის ჩრდილი მოძრაობდა ეკატერინეს ყელსა და მხრებზე, თითქოს პეპელა დაფარფატებსო და არხვეს ლამაზ შროშანას. საყურე შროშანა — რაღაც შორეული მოაგონდა ტატოს და თვალი ვეღარ მოაცილა საყურის ჩრდილის თამაშს ეკატერინეს ყელზე, სურვილი იპყრობდა ხელში მოეჭვია მოფარფაცე ჩრდილი. ძლიერი იყო სურვილი, ხელი ეწოდა, არასოდეს ეკატერინეს საყურის თამაშს ასე არ მოუხიბლავს. ნუთუ პირველად ხედავს შროშან საყურეს ეკატერინეს ყელზე მოთამაშეს? მთლიანად დაეუფლა სურვილი, ბაგით შეხებოდა საყურის ჩრდილს. ძლიესლა მოახერხა წრის შემოვლა. გარეთ გამოვარდა, გამოსასვლელში ლევანი შემოეყარა.

— სად გარბი, ტატო? — ლევანმა თვალი გააყოლა, როგორ გარბოდა ტატო ფიფქ თოვლზე?

ბამბის ქულებივით ცვიოდა ვეებერთელა ფანტელები. ჩამოხურულიყო ყველაფერი და ამ ბურუსში ტატო ხედავდა, როგორ თამაშობდა ეკატერინეს საყურის ჩრდილი — მის მხრებსა და ყელზე. ბარდნიდა თოვლი. მიდიოდა ტატო, მისდევდა ეკატერინეს საყურის ჩრდილს... ნეტავი იმას, ვინც მის ჩრდილში მოიბრუნებს სუნთქვას და მისი

შერხევით, მისი სიოს მობერვით გულის
სიცხეს გაიფრინებს.

• •

ბინდი ჩამოწოლილიყო. ოთახს მხო-
ლოდ ბუხრის ალი ანათებდა. საეარ-
ძელში მაიკო იჯდა. ბუხარში ცეცხლის
აღის თამაშს შესჩერებოდა, როცა
ადამიანის ჩრდილი ძირს გაგებულ ხა-
ლიჩაზე გაწევა, მაშინ მოიხედა.

— შენა ხარ, ტატო!

— რადა ხარ ნაღვლიანი, მაიკო?

— წუხანდელმა დამემ დამალა,
შენც ფერმკრთალი ხარ, ტატო.

— უძილობამ გამაწამა.

— რას ფიქრობდი ასეთს. — ტატომ
ორად მოკეცილი ქაღალდი უბიდან
ამოიღო.

— წავიკითხო!

— შენი უძილობა უკვალოდ არასო-
დეს რჩება, წამიკითხე.

ტატომ დათვის ტყავზე მოიკეცა
მაიკოს ფერხითით და კითხვა დაიწყო:

— შენ უკვდავების

შარბათი ვინ სვას?

ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

კითხვით გატაცებულებმა, ვერ შენიშ-
ნეს ეკატერინეს შემოსვლა, შუა ოთახ-
ში რომ გაჩერდა და იქიდან უსმენდა
ტატოს კითხვას. მაიკომ ხელი მოხვია
ტატოს და ჩურჩხულით უთხრა.

— ჩემო ტატო, ჩემო დაჩაგრულო
ტატო, მაგრამ არა, ვერავის ბრწყინე-
ლება, ვერავის სიმძლავრე ვერ დაგჩაგ-
რავს, შენ ძლიერი ხარ ძლიერთა შო-
რის.

— ვის მიუძღვენი ეგ ლექსი, ტატო?

— გაისმა ეკატერინეს ხმა. ტატო ზეზე
წამოიჭრა, თავდახრილი დადგა მის
წინ.

— შენ გეკუთვნის ის, ცისიერო! —
ეკატერინემ ლექსი ჩამოართვა; დაბალი
ხმით დაიწყო კითხვა:

„ვითა მებელა

არხევს ნელ-ნელა

სმეტაკ შროშანას, ლამაზად აბრილს,
ასე საყურე, ეკატერინე!
უცხო საყურე, გიგანტური
ეთამაშება თავისა აბრდის*.

გულდახტრული ხავერდის კაბა ეცვა
ეკატერინეს. აღარ თამაშობდა საყურის
ჩრდილი მის მხრებსა და ყელზე. მზერა
მოსწყვეტა ტატომ, არ უნდოდა დაპ-
კარგოდა საყურის ჩრდილი. ეკატერი-
ნემ თავი შეარზია. ყურიდან საყურე
გამოიღო, ტატოს გაუწოდა. ბრწყინე-
ვლა საყურე ეკატერინეს ხელზე. შრო-
შანს ცვარვით დაფრქვევოდა მარგა-
ლიტები.

— აილე, ტატო, შენ გეკუთვნის
იგი, ცალს დავითოვებ ამ დღის მოსა-
გონებლად, ამიერიდან ვერავინ იხი-
ლავს შროშანას საყურის ჩრდილს ეკა-
ტერინეს ყელზე.

ტატომ საყურე ბაგეებთან მიიტანა.

• •

ტატოს ოთახიდან ახალგაზრდების
ხმამალალი საუბარი გამოდიოდა. ზუთ-
შაბათი იყო და ჩვეულებისამებრ ბარა-
თაშვილებისას იკრიბებოდნენ. ზამთა-
რი ხელს უშლიდათ ქალაქგარეთ გასე-
ინენებას და ისლა დარჩენოდათ, ტატოს-
თან შეეფარებინათ თავი.

გამდელმა დილიდანვე გააჩაღებინა
ფარეშებს ბუხარი. ეფემია ყოველ-
თვის განსაკუთრებული მზრუნველო-
ბით ამზადებდა დარბაზს ტატოს შეკ-
რებისათვის.

მწვანე მალღადაფარებულ მრგვალ
მაგიდაზე ვერცხლის ლანგრებით ბლო-
მად ეწყო: ხმელი ხილი, ჩურჩხელები,
ვაშლი, მსხალი, თხილი, წაბლი და
ტუბილეული. გამდელი ვახშამს ამზა-
დებდა. ზუთშაბათობის ეს ჩვეულება
დამკვიდრდა ბარათაშვილებთან.

მაგიდის ზემოდან ჩამოკიდებული სა-
სანთლე მხოლოდ მაგიდის გარშემო
მყოფებს ანათებდა. კედელთან მდგა-
რი ფართო ტახტები და საეარძლები კი

წყვილადმი რჩებოდნენ. გარედან ქარის ზუზუნნი შემოდინდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — ტატო კარისაკენ გაეშურა. შემოსულ პლატონს სახე მოსასხამის საყელოში ჩაემალა და თვალები-ლა უჩანდა. მოსასხამი ჩამოართვა ტატომ.

— ხა, ხა, ხა, კაცო ეს რა მოგსვლია? ბანქოს, ჭადრაკსა და ნარდის თამაშს თავი ანებებს, პლატონსა და მოხარხარე ტატოს შემოეხვივნენ.

— შეხედეთ, ხალხო, შეხედეთ, ძილში კატა დაწოლია ბაკენბარდებზე, ეს-ლა აკლდა ამის ფილოსოფიურ სახეს!

მოსასხამის საყელის პლატონის ბაკენბარდები, მართლაც, უცნურად აებუძგა და მის დანახვაზე ყველას ხარხარი აუტყდა.

პლატონმა ხელი ჩამოისვა ბაკენბარდებზე და მორცხვად გაიღიმა. შეჩვეული იყო ტატოს კვიმატ ენას, თანაც პასუხს ვერცთუ ვერე ენამახვილად გასცემდა და საბოლოო დამარცხებას მუდამ გაჩუმებას ამჯობინებდა.

— კმარა, გაათავეთ! — ილიას მკვეთრმა ხმამ ხარხარი შეაწყვეტინათ. ილიას მრავალჯერ გამოეცადა ტატოს ენის სიმწვავე და ბრაზობდა, როცა ყველას აიყოლებდა.

თავთავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ სტუმრები. საუბარმა საერთო ხასიათი მიიღო!

— ხედავთ, სენატორ განს თავი როგორ ამყად უჭირავს! ყურადღებას არ აქცევს ქვეყნის არც პოლიტიკურ, არც ეკონომიურ, კულტურულ ვითარებას. არც მცხოვრებთა ზნე-ჩვეულება და ადამ-წესები შეუსწავლია. პირდაპირ დაიწყო პროექტის შედგენა, იმ საფუძველზე, როგორც რუსეთის გუბერნიები მოწყობილი. მართველობის მხრივ ერთმანეთს უთანასწორებს ქრისტიანულ და მუსლიმანურ პროვინციებს. — დიმიტრი აღელვებული ხელს იფშვნეტდა, ოთახში წინდაუქან დადიოდა.

— რას დაგიდევთ განი ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამს, მისი მიზანია მხოლოდ პირადი სარგებლობა და სამსახურში დაწინაურება, ვფიქრობ, მისი ერთადერთი სურვილია, გახდეს საქართველოს მთავარმართველი.

— ვაი ჩვენი ქვეყნის ბრალი, ყველა გზაბნეულის ხელი ჩვენეკნ არის გამოწვდილი. განი სრულებით ვერ ერკვევა კანონმდებლობის და შინაგან მმართველობის საკითხებში. სიტყვა ჩამოართვა ტატომ.

— განის რეფორმები უკმაყოფილებას აძლიერებს ხალხში. ყველაფერი საშინელმა ფორშალიზმმა მოიცვა. მახრის უფროსისათვის თხოვნა ვერ მიგიცია უბნის მსაჯულის გარეშე. — ლევანს ხმაში აღშფოთება დაეტყო.

— ჭირი არ ელევა ჩვენს ხალხს.

— ჭირს რა გამოლევს, როცა კანონების დასამტკიცებლად ისეთები გამოგზავნეს, როგორც სენატორი განია.

— ამბობენ, ალექსანდრე ჭავჭავაძე არ უთმობსო განს.

— ბრძოლისათვის უნდა მოვემზადოთ, ასე ხომ ვერ დავუთმობთ!

— დავაქალოთ ჭავჭავაძეს, ჯერჯერობით არა მგონია საჭირო ვიყოთ.

— დღევანდელი ჩვენი შეყრის მიზანი ისტორიის სახელმძღვანელოა. დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს.

— მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს გავუზიარე ჩვენი წინა თათბირის შედეგები ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ. მან ჩვენი აზრი მოიწონა.

— მაშ, ახლა ის-ლა დაგვრჩენია, წავიკითხოთ მხოლოდ ჩვენი დაწერილი ნაწილები.

— ჯერჯერობით წასაკითხად არც ერთს არა გვაქვს მზად.

— მაშ, ისევ ოდისეას დაუბრუნდეთ. — ლევანმა მაგიდიდან წიგნი აიღო. სკამი სინათლისაკენ მიიწია და დაიწყო. — სიმღერა მეხუთე. სათათბიროდ შეიკრიბნენ ღმერთები. — განაგრძობდა კითხვას ლევანი. უეცრად

გარედან მენახშირის ვირის ყროყინი შემოიჭრა. ვირს შინ დაბრუნება დაგვიანებოდა და თავის უკმაყოფილობას გამოხატავდა. ილიამ დაბალი ტახტიდან წამოიწია და იკითხა:

— ამ ბერძნებსა და რომაელებს ყველაფრის ღმერთი რომ ჰყავდათ, ნეტა, ვიცოდე, ვირების ღმერთიც ჰყავდათ?

ტატომ გასატეხად გამზადებული თბილი მუჭში ჩამალა.

— ეგ, ილიავ, პლატონს ჰკითხე, ჩვენში ეგ არის ბოგოსლოვი.

— ხა, ხა, ხა, ეგ საიდან მოიგონე? — ილია შედგა, მასაც მოეწონა ტატოს ნათქვამი და გადაიხარხარა.

პლატონი გაწითლდა, მიიხედ-მოიხედდა, დარწმუნდა, მხარს არავინ მიჰქრისო, ზეწამოიჭრა.

— სულელები ხართ ყველანი, აყოლიხართ ამ ფუჭსავატს.

•
•

— ქრისტე აღდგა! ქრისტე აღდგა!... გუგუნებს სიონის დიდი ზარი.

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! — წერიალებენ პატარა ზარები.

სიონის დიდი ზარის გუგუნს ეხმაურება ქაშუეთი, გაღმიდან დიდუბის ზარი უერთდება. მთაწმიდიდან მამადავითის ზარები ხმას აძლევენ და გუგუნებენ აპრილის მთვარიან ღამეში ზარები თბილისში.

ახმაურდნენ თბილისის მიძინებული ქუჩები. თბილისელები ზარის ხმაზე მიეშურებიან დროშეებით, ცხენებით, ქვეითად.

ზარები, ზარები უხმობენ დიდსა და პატარას.

ტაძრის შესასვლელში ჩამწკრივებულან ტატო, ილია, ლევანი, მიხეილი და გზას უთმობენ ქალებსა და მოხუცებს.

ეკატერინემ გაუღიმა ტატოს და აგიზგოზებული თვალები მიანათა, აგერ მოხუცი ქიტესა მხრებში გასწორებულა,

ლა, ლოპიანა, კელაპტრით ხელში, ყველას ზემოდან დაჰყურებს.

სიონის ტაძარი ხალხს ველარ იტევს.

გაიღო აღსავლის კარები. შემოსილი ეფრემი ჩვეულებრივზე მაღალი ჩანდა დღეს. ტაძრის სანთელთა ციმციმი ნათელს ჰფენდა მის მშვენიერ სახეს. გარდამოხსნა ხელში აიღო ეფრემმა. მჭეკარე ხმით დაიძახა:

— ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად! — შეჰლაღადა არეულმა ხმამ. სიონის ტაძრის კედლებმა და გუმბათმა აიტაცა ხმა და ზეცას შესტყორცნა. მთვარესაც მიწვდა ეს ხმა და თბილისისაკენ აჩქარებით წამოცურდა.

წირვა დაიწყო.

შემოსილი ეფრემი, ხატით ხელში, გაეშურა გასავლისაკენ. კელაპტრებით ხელში გაჰყვა მღვდელთა კრებული. დაიძრა ხალხიც და უფროს-უმცროსობის მიხედვით გამოვიდნენ ტაძრის კარიდან.

— ქრისტე აღდგა მკვდრებით! სიონის დიდი ზარივით გუგუნებენ ვაჟკაცები. — სიკვდილითა სიკვდილისა... — წერიალებენ წვრილი ზარებივით ახალგაზრდები, ციმციმებენ მათს ხელში სანთლები და ქვეყანას ქრისტეს აღდგომას ულოცავენ.

სამჯერ შემოუარეს ეკლესიას.

გაგრძელდა წირვა.

მამლების ყვილმა ამცნოთ განთიადის შემოსვლა.

მზის პირველმა სხივებმა ნათელი გადმოაბნია თბილისს.

ცივმა ალიონმა სახე აუწითლა ტაძრიდან გამოსულებს.

— ქრისტე აღდგა!

— ჭეშმარიტად! — გაისმოდა ირგვლივ, დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, წითელი კვერცხით ხელში ულოცავდნენ ერთმანეთს დღესასწაულს.

— ქრისტე აღდგა, ტატო!

— ჭეშმარიტად!

ხელი ჩაჰკიდა ეკატერინემ ტატოა და ისინი ერთად წავიდნენ დროშეებისაკენ. აჩერებდნენ, ულოცავდნენ, ძლივს-ლა მიიკვლევდნენ გზას.

სალომე და ნინო დროშაში ისხდნენ, როცა ეკატერინე და ტატო მივიდნენ. ალექსანდრე მიესალმა ტატოს და შუბლზე აკოცა.

დადიანმა „დროშაში“ ასეღა უშველა ეკატერინეს. დაიძრნენ „დროშები“. ტატომ გახედა მიმავალ „დროშას“, რომელსაც გვერდით შავ ბედაურზე ამხედრებული დადიანი მისდევდა.

— ქრისტე აღდგა, ტატო! — მხარზე ხელი დაჰკრა ქიტესამ და ფართო მკერდზე მიიკრა. — რას გაჩერებულხარ, წამოდი, ჩვენთან წამოდი, ხელოსნების ლხინი გაჩვენო.

• •

— რას ინატრებ, ეკატერინე, დედოფლობას? — გუტყინა ნინომ ეკატერინეს და ცხენი, ეკატერინეს ცხენს მიავლო.

— დედოფლობას? — ჩუმად გაიმეორა ეკატერინემ და ცხენი შეაყენა. მთაწმიდის აღმართიდან გადმოხედა თბილისს.

— დამშვენდება დედოფლობა ჩვენ ეკატერინეს. — ალერსიანად გადახედა მანანაჲ ეკატერინეს.

— დედოფლობას აპირებ, ეკატერინე? — ცხენი შეაყენა მაიკომ.

ეკატერინემ გამომშვევედრად გადახედა მაიკოს.

— როგორ ფიქრობ, მაიკო, არ დამშვენდება გვირგვინი? სეფე ქალად ავიყვან იცოდე. — ცხენს მათრახი გადაჰკრა, გააჰქენა, შორიდან ისმოდა მისი კისკისი.

მამადავითობა იყო. გამრავლდა მთაწმიდის აღმართზე ქალთა ჯგუფები, მიეშურებოდნენ ისინი მთაწმიდისაკენ. ნატერის დღეა და ყველა ქალს თან მიაქვს ნატერით საესე გული.

მიდიან ფეხშიშველი შეთქმულნი;

ახალგაზრდა გასათხოვარი ქალები — კარგ ქმარს ნატრობენ, უშვილოები — შვილს, სნეულები — განკურნებას და მიდიან მოხუცები, ახალგაზრდები, მოზარდები.

სახედრებს მოაჩაქჩაქებენ მათდის ჩოხებში გამოწყობილი პატარა ბიჭები. მიდიან ვაჭრები სახელდახელო დუქნების მოსაწყობად. მოჯირითეები ცხენებს მიაქროლებენ.

მთაწმიდიდან ისმოდა ზარის რეკა, ზურნის კიჟყინი, დუღუკის ტბილი ჰანგი და ტაშის ხმა, მოჩანდნენ ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნე ქალები.

ეკატერინემ ცხენი შეაყენა. სხვებმაც შეაჩერეს ცხენები. აქედან ფეხით უნდა ასულიყვნენ.

ქალები ტაძრის გალავანში შევიდნენ, ტაძრის საძირკველთან დაიჩოქეს.

ნინო გალავანში მოსეირნე ქალებს შეუერთდა, არაფერი ჰქონდა სანატრელი, უშვილოდ დარჩენილ გრიბოედოვის ქვრივს.

ტაძართან მივიდა ეკატერინე. კენჭი აიღო. ტაძრის საძირკველთან დაიჩოქა. კენჭი მიაღო საძირკველს, წამით თვლები დახუჭა, შემდეგ ფართოდ გაღებული თვალები დააშტერა კედელზე მიკრულ კენჭს. კენჭი ტაძრის კედელს აკვროდა და თავისიანივით შეთვისებოდა. ნატერა აუსრულდება ეკატერინეს, მაგრამ რომ აღარ ახსოვს, რა ინატრა? დედოფლობა — ნუთუ მართლა დედოფლობა ინატრა? სახეზე აღმური წაეკიდა. გახურებულ ლაწვებზე ხელეები აიფარა, ზეწამოდგა, გვერდით სამეგრელოს მთავარი დადიანი დაუდგა და მოხრილი მკლავი გაუწოდა. ეკატერინემ მკლავში ხელი გაუყარა და გაჰყვა. მთავარი რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ ეკატერინეს არ ესმოდა, მისი გონება მხოლოდ ერთ აზრს დასტრიალებდა. — რა ინატრა, დედოფლობა თუ სხვაც? და კვლავ სახე წამოუწითლდა ეკატერინეს და ის სხვა თავისთავსაც ვერ გაუმხილა.

— ტატო ცეკვაეს, ტატო! — ჩაენმა ეკატერინეს შეძახილები და დადიანმა ეკატერინე მოცეკვავეთა ჯგუფისაკენ წაიყვანა.

• •

კანცელარიიდან დაბრუნებული ტატო აივანზე იჯდა, ქალაქს გადასცქეროდა. საღამოს სიო ეალერსებოდა ყველაფერს.

აივნის ბოლოში გამდელი ძაფს ართავდა. დახედავდა თითისტარს, ძაფს თვალს ააყოლებდა და წამით შეაცქერდებოდა მატყლის ფთილას. ეხვეოდა თითისტარზე ძაფი, იზრდებოდა გორგლად ქცეული ტატოს ფიჭვებიც.

— შეილო ტატო, რა ფიჭვმა აგიყოლია? — ტატომ დედის ხელი იგრძნო მზარზე, ახედა, გაუღიმა.

— ჩემს ხვედრს ვეძებ, დედი, გაშლილი ადგილი მინდა, ასპარეზი მინდა. ეფემიამ თვალეში ჩახედა შეილს. თვალეში აუწყლიანდა, ძლივს ჩურჩულით უთხრა:

— მამაშენის ვანცხადებაზე უარი უთქვამს ნეიდგარტს.

ტატოს ხელები ჩამოუცვივდა, თავი ჩაჰკიდა, გულს კენესა აღმოხდა. მაშ, ისევ კანცელარია, ისევ ფედოროვი, ისევ უაზრო მოხსენებების წერა.

სული შეეხუთა. დედას ხმა აღარ გასცა, კიბეზე დაეშვა, ქუჩაში გავიდა, მოიღალა. მის სულს დასვენება უნდოდა. მზის უკანასკნელი სხივები ციმციმებდნენ ხეების ფოთლებზე. შორს ცის დასალიერზე მოჩანდა თოვლით დაფარული ყაზბეგის მწვერვალი, რომელიც დიდებულად აღმართულიყო ცის სილურჯეში, თოვლიან ქედებზე მალა.

ფეხს აუჩქარა, მთავარმართებლის ბაღიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ჩაუარა მოედანზე ჩამწკრივებულ დროშეებს. გაუსწორდა მოედნის გასწვრივ ლამაზ სახლებს. ახედა სამხრეთით ერთმანეთში ჩახლართულ გორებს და გაჰყვა

მარჯვენა მხრის ვიწრო უსწორმასწორო ქუჩას, საიდანაც ბაზარი იწყებოდა. ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ ლამაზო ლია დუქნები. თერძები კერავდნენ ტანსაცმელს, მეწაღეები — ფეხსაცმელებს, ხარშავდნენ ფლავს, წვავდნენ ცხვრებს, ჰედავდნენ ცხენებს, აცხობდნენ ლავაშს.

ბლოტის მაღაზიიდან ეკატერინე გამოვიდა, უკან მოახლე მოსდევდა, აბრეშუმის ქსოვილებით დატვირთული.

უეცრად ვიღაცამ დაიძახა:

— ქარავანი მოდის, ქარავანი!! — ყველა მოსახვევისაკენ გაიქცა, ერთმანეთში აირია ქართული, სომხური, თათრული, რუსული და გერმანული შეძახილები. ეკატერინემ ტატოს ხელი მოჰკიდა.

— გამიყვანე აქედან, ტატო, ხედავ, რა ამბავია!

ტატომ ვიწრო ქუჩით გაიყვანა ეკატერინე.

გასცდნენ ქუჩას. ჰავკავაძიანთ სახლისაკენ გაეშურნენ. ჰავკავაძეების ორსართულიანი კრამიტით დახურული შენობა შორიდანვე მოჩანდა, თავის თაღოვანი ფანჯრებითა და განიერი ხატოვანი აივნებით. აივანზე თალალა და დარეჯანი ფუსფუსებდნენ.

— ჯერ ადრეა, ტატო, ბილიარდი ვითამაშოთ. — ტატომ და ეკატერინემ ვეებერთელა დარბაზი გადასჭრეს რომელიც მცენარეების კედლით შუაზე იყო გაყოფილი და კედლის იქით ბილიარდის მაგიდასთან მივიდნენ. ეკატერინემ კი ხელში აიღო, თორმეტი შარი, გადათვალა და ერთ-ერთს დაუმინა.

— ასეთ საღამოს ბილიარდს ვინ თამაშობს? წამოდით ბაღში, ყველანი იქ არიან.

ისინი ბაღში გავიდნენ. წყლის აუზის ახლოს ფანჯრულში სალომე, მაიკო, ლევანი, კონსტანტინე და მიხეილი ისხდნენ. ქუჩიდან სიმღერისა, დაირის და



ჩონგურის ხმა ისმოდა. ხალხი ქუჩებში სასიეროდ გამოსულიყო.

ფანატურიდან მთელი თბილისი მოჩანდა, მტკვარი, ყაზბეგი. ბაღს სტუმრები თანდათან ემატებოდნენ, მოდიოდნენ: ნათესავები, რუსი მოხელეები. გამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, მას დიმიტრი ორბელიანი მოჰყვებოდა.

— რაღა თქმა უნდა, ჩვენ მოთხოვნილებას ვერ შევცვლით. ვახტანგის კანონების დატოვება აუცილებელია.

— განს ვახტანგის კანონის მხოლოდ ის მუხლი დაუტოვებია, რომელიც წისკვილებსა და წყლებს შეეხება.

— ეგ ხომ თვალის ახვევაა!

— მალე რუსეთისთვისაც გამოაშვარავდება განის რეფორმის უაზრობა.

— მოგზაურ სიუზანეს საფრანგეთში გამოუქვეყნებია წერილები, ჯერ-ჯერობით ხელთ ვერ ჩაივადე, მაგრამ, ამბობენ, მოურიდებელი წერილებიაო. მთაერობის საქმიანობის მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტია გამოაშვარავებული და გამოტანილიო. აქ პირველი ადგილი მეფეს უჭირავს. ამბობენ, ნიკოლოზი შეშფოთებულიაო.

— ხო, ხო. — ჩაიხიბითთა დიმიტრიმ, რაღა თქმა უნდა, მეფისათვის ხელსაყრელი არ გახლავთ, ევროპაში გახმაურდეს მისი შინაური საქმიანობა.

— როგორც გინდათ, ის თქვით, ხალხს კი სანატრელი გაუხდა წინანდელი მმართველობა. — ლაპარაკში ჩაერია ყაფლანი.

— როდემდე გავფიქროთ ასეთ დაკვირვებულ მდგომარეობას, ფიქრიც კი ძნელია ამოზე! — ალექსანდრემ ფართო შუბლზე ხელი გადაისვა, წამწამები შეიკრა.

მოახლემ სალომეს, მანანასა და ანას მობრძანება აუწყა. ბაღის შემოსასვლელში ქალები გამოჩნდნენ, ალექსანდრე შესაგებებლად გაეშურა.

— მობრძანდით, საყვარელო რძლებო, მობრძანდით:

„სევმ მიწვიმა მანანა:

მომივლინა მან ანა;

მას თან მოჰყვა მანანა“.

ალექსანდრეს მუნასიბმა ყველა მოხიბლა და თავი მის გარშემო მოიყარეს.

კვლავ ბაღში გაიფანტნენ. ტატო ქალების შუა იდგა, დაბალი ხმით ლილინებდა:

განთიადით ღამემდე შევეფრფინედი
კოკრობას,

არ ვზოვავდი სიცოცხლეს,
უძილობას, გალობას;

მჭონდა მცირე წადილო, ვერ მივხვდი
კი ძნელობას,

მსურდა გამლა ვარდისა, არ
ვფიქრობდი დაჰკრობასი“

სახლში გვიან ღამით შევიდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის დარბაზში ფრანგულ რბილ ავეჯს ჯერ კიდევ ვერ გაედევნა ქართული ბალიშ-მუთაქები და ვეებერთელა სპარსული ხალიჩები, რომელთა ანარეკლი ტერამდე აზიდულ სარკეებში ჩანდა. ციმციმებდნენ მრავალი სანთლით განათებული ბროლის ქალები.

სალონის კედლებზე აკრული იყო ფრაგრული შპალერი, რომლის ზევით სარტყელზე სფინქსის ფიგურები იყო გამოხატული. შპალერი კი მთლიანად აფერადებული იყო მითოლოგიური სცენებით.

ტატო კედელს მიუახლოვდა, თვალი შეავლო პირამიდის მშენებლობის გამოხატულებას. ეტლში მდგომ ფარაონს, რომელიც მტერს შვილდ-ისრით ხოცავდა. იმ სურათის წინ გაჩერდა, სადაც ოდისეესი იყო სირინოზებთან გამოხატული. მიახლოებულმა მაიკომ აზრი გაუწყვიტა.

— რას დასცქერი, ტატო?

— აი ოდისეესის ხომალდი სირინოზების კუნძულთან მისულა, მას სირინოზების სიმღერით დატკობდაცა სურს, თანაც დალუპვის ეშინია. თანამგზავრებს უბრძანა, მაგრად მიაკრან ან-

ძაზე. ამნაირად ოდისევესმა სირინოზების სიმღერაც მოისმინა, დაღუპვასაც გადარჩა. შემდეგ გაეშურა პენელოპასაკენ, რომელიც მას ოცი წელი ელოდებოდა. ზედავ პენელოპას ლოდინით განაწამებ სახეს!

მაიკო დაფიქრებული მიაჩერდა პენელოპას გამოხატულებას, ალექსანდრეს ხმამ გამოარკვია ისინი.

— აბა, ყმაწვილებო, წამობრძანდით, სუფრას შევეუტიოთ.

სანთლებით გაჩირაღდნებულ დარბაზში ვეებერთელა სუფრა გაეშალათ. სუფრის თავში ალექსანდრე დაჯდა, აქეთ-იქით დიმიტრი და ყაფლანი მიუსხდნენ. ალექსანდრეს პირდაპირ სალომე მოთავსდა მანანასთან და ანასთან ერთად.

• •

— ტატო შინ არის? — ქუჩიდან ამოსძახა მიხეილმა ეფემიას. ეფემიამ ზელსაქნარს თავი ანება, მოაჯირზე დაეყარნო.

— შინ გახლავს, თავის ოთახშია.

მიხეილმა კიბე აირბინა, ეფემიას ზელზე აკოცა, ტატოს ოთახისაკენ გაეშურა. ეფემიამ თვალი გააყოლა მიხეილს. მამამისი მოაგონდა; ახოვანი კაცი იყო ბირთველი, გიორგი მეფის მდივანი, მოუხეშავი, მაგრამ, როცა სიმღერას წამოიწყებდა, მისი მსმენელი ვერასოდეს დაივიწყებდა ბირთველთუშანისშვილს. როგორ უყვარდა მისი სიმღერა ეფემიას!

ტატო ფანჯარასთან იდგა. მაგიდაზე და იატაკზე ფურცლები მიმოფანტულიყო. მიხეილმა ფურცელი იატაკიდან აიღო.

— ეს რა არის, ტატო, ასე რომ მოგიძულებია? — ტატო მოტრიალდა, გაულიმა შეგობარს.

— ესეც შენი ნიაგი, შემოვარდება, ოთახს აგიფორიაქებს, სულსაც ჩასწვდება, ფიქრებს აგიშლის.

— რას საქმიანობდი, ტატო?

— იულიუს ტარანტელის თარგმნა დავამთავრე, ჯერ ისევ წინანდალში აღუთქვი მანანას. შენ რად მოგიწყენია?

— უმოქმედება მაწუხებს.

— ზომ მუშაობ ჩვენს ისტორიაზე?

— უქმად არა ვყოფილვარ, მაგრამ ამოებად მომეჩვენა ყველაფერი.

— ჩვენ უნდა შევივანოთ ჩვენი ხალხის საჭიროება. მომავლისათვის მომზადება უნდა ხალხს. ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ ქვეყნის წინაშე. მრავალი საქმე გვაქვს. ავიღოთ თუგინდ ისტორია, განა ხალხმა არ უნდა იცოდეს, რა გადახდა ჩვენს ერს? მომავალ შეკრებაზე ჩვენი დაწერილი თავები უნდა წავიკითხოთ, სამუშაო იმდენი გვექნება, ნეტავ შევძლებდეთ ყველაფრის გაკეთებას, რაც გულს უნდა!

— ეპ, ჩემო ტატო, გულის სურვილი უსაზღვროა, ათი სიცოცხლეც რომ გქონდეს, მაინც ვერ აღისრულებ.

— მითხარ, მიხეილ, რად აქვს ადამიანს ეგოდენ დიდი სურვილი? რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი, საწყაული ალუქსებელი? ვერ დააკებ ადამიანის სურვილს, ვერ დააკმაყოფილებ ნატურის ახდენით.

— ჩემო ტატო, შევარდნის ფრთები ჩამოგვაცალეს და ქათმის ფრთებით ძირს ბორიალი შეგვიძლია მხოლოდ.

— მაგრამ რადგანაც კაცი გვექვია — შეილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

— შენი მადლიანი სიტყვის ჭირიმე, ტატო, მოქნეულ ხმალს სჯობს შენი სიტყვა.

— მეფე ერეკლეს სურვილი იყო, ხმალი ჩაეგო ქართველ ხალხს და გუთანს ემუშავა! ხმალი ჩავაგეთ და ესლა დავკრჩინია, სიტყვას — მივსცეთ ხმლის ძალა. სიტყვას ნუ დავაჩლუნგებთ, თორემ რაღა უშველის დასნეულებულ ჩვენს ქვეყანას? თუ შევარდნით ფრენას ვერ შევძლებთ, რომ

უვლადების წყალი ვასვით, ყავარჯნე-
ბად შეეუდგეთ მანც.

სიჩუმე ჩამოვარდა, თავთავიანთმა
ფიქრებმა წაიღო ორივე, ისევ ტატომ
დაიწყო:

— შენი ლექსები მომეწონა, მიხეილ,
შევიგრძნე უდაბნოში ციურის ცეცხ-
ლით ჩამომწვარი ხის მწუხარება და
თელწინ მიდგას:

„მაღალ კლდეზე მარტო, მწუხარედ
გამოკიდული დამკნარ შტოებით“.

— ახალი ლექსი მოვიტანე, წაგი-
კითხავ „სალამური“. — ლექსის კითხვა
დამთავრა მიხეილმა.

— რა გაახარებს ქვეყნის მწუხარე-
ბით დატანჯულ გულს, რა გაწყვეტს
ჯაჭვს მონობისას? წავიდეთ, მიხეილ,
გავიაროთ, ველარ ვეტევი ამ კედლებში.

გამოვიდნენ. ვიწრო ქუჩით მიდიო-
დნენ. ქუჩის ორივე მხარეს ჩამ-
წკრივებული იყო ბრტყელსახურაიანი
შენობები. სახლების კარები და
ფანჯრები ღია იყო. მცხოვრებლები
აივანზე გამოკრეფილიყვნენ. მოედნი-
დან სამხრეთით გაუხვიეს. აქ საცხოვ-
რებელი სახლები მხოლოდ მარცხენა
მხარეზე იყო გაშენებული, მარჯვენა
მხარე კი ვენახებს ეკავა. ვაზი, ბროწე-
ული, ატამი, ნუში, კაკალი ცვლიდა
ერთმანეთს.

ღართის კართან მიხეილი დასცილდა
ტატოს. ახლა მინდორზე გავიდა ტატო
და გზას დაადგა. ეს ერთადერთი სწო-
რი ქუჩა იყო, რომელიც მთავარმარ-
თებლის სახლის უკან იწყებოდა. ტატო
მტკვრისაკენ ჩაპყვა ქუჩას, აქ გზის
ნაპირზე ქოხმახები იყო ჩამწკრივე-
ბული. ღია იყო ყველა ქოხის კარი.
ქოხების წინ ხის სკამებზე მოხუცები
ჩამწკრივებულიყვნენ და შხის ჩამავალ
სხივებზე ძვლებს ითბობდნენ. ბალ-
ვენახებიდან ახალგაზრდების ყიყინა
ისმოდა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ტატო.
თითქოს საღლაე მიეჩქარებო. მტკვრის
შხილმა შეაჩერა. მოსარკულიყო ლურ-

ჯი ცა, მთვარის შუქზე ქარქაშიდან
ამოდებული ხმალივით დაკლავებდა
თბილისის გულზე გაწოლილი მტკვ-
რი, მის ზვირთებში კრთოდა თბი-
ლისის ლაქვარდი ცის კამარა. ყური
მიუგდო ტატომ წყლის ჩხრიალს, გა-
ხედა შორს, შორს, ცის დასავალს
ღრუბლის თეთრი ქელის გრებილი
გაპყვროდა. თხელდებოდა ღრუბლის
თეთრი გრებილი მთვარის მკრთალი
შუქით განათებული, და ვარსკვლავები
თავისაკენ იწვევდნენ ტატოს.

მტკვრის პირად ჩამოჯდა. მიწას ნეს-
ტის სუნი ასდიოდა. გამოღვიძება დაე-
წყო ყველაფერს. ჩურჩულებდნენ მინ-
დერის ყვავილები. უცნაური მოწყენა
ეტყობოდა ყველაფერს, მიწას დაემო,
რომ თავისი ქვეყნის მიწის სურნელი
შეეგრძნო.

დიდხანს იყო დამხოზილი. მტკვრის
ტალღები ეტყლაშენებოდნენ ნაპირს.

— თუ ამ სოფლად ყველაფერს
ბოლო უნდა მოვღოს, მაშ, რაღა არის
ჩვენი საქმე, ვინ საღდა იყოს? — მწარე
ფიქრები არ ასვენებდა ტატოს. ვერ
მოუპოვა ნაცნობმა ადგილებმა განსვენ-
ება, რა უნდა მტკვარს, რად ბუტბუ-
ტებს დაუსრულებლად? ნუთუ ტატოს
ესაყვედურება? წამოიწია, მიღამო მოა-
თვალეირა, მხნედ წამოიძახა:

„არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემზავოსო,
იყოს სოფელში და სოფლისათვის
არა იბრუნოს“.

სიმარტოვე აღარ უნდოდა ტატოს.
აშინებდა ჩამოწოლილი ბინდი და სი-
ჩუმე. სიციცხლე მოუნდა, სოფლისა-
თვის ზრუნვა მოუნდა, ჩქარი ნაბიჯით
გასწია ქალაქისაკენ, აპყვა ვიწრო ქუჩას.
ქოხმახებიდან შუქი გამოდიოდა. აქა-
იქ ეხოებოდა ხმამაღალი ლაპარაკი
ისმოდა. გასცდა ქოხმახებს. მეტეხის
ციხისაკენ აუხვია. ყავახანას გაუსწორ-
და. აშულთა სიმღერა ისმოდა ყავახა-
ნიდან. — ტიტეყო იწყება. — თავის-

თავს წასჩურჩულა ტატომ, ესიამოვნა სიყვარულის მეგობრის ხმის გაგონება. ყავახანა ხალხით იყო საესე. თამბაქოს ბოლი ნისლივით ჩამოწოლილიყო და ახლადშესულს ხედვას უხშობდა. ვის არ ნახავდით აქ: ხელოვნები, გადაყენებული მოხელეები და იფნაყრები, ბუღალის გამყიდველები, აზარტული თამაშობებით ერთობოდნენ, თან მღეროდნენ.

მაგიდაზე მიმოფანტულიყო: საყავის გატეხილი ჩაიდან, პირმომტერეული ფინჯნები.

ტატოს შესვლისთანავე სიმღერა შეწყვიტეს.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

— ჩვენს ტატოს გაუმარჯოს!

— შენი ჭირიმე, ბიჭო ტატო!!

— შენი გულის ჭირიმე, ჩვენი ფსიხომ იცი! — გაისმოდა აქეთ-იქიდან. გარს შემოეხვივნენ. ტატომ ხელი ტიტიკოს გადახვია და ახლა მან წამოიწყო სიმღერა.

— გამოცანა, გამოცანა ვის უნდა! — ლოპიანამ ხელში ბაღდადი ააფრიალა.

— გვითხარი!

— გამოცანა გვითხარი!

ლოპიანა მაგიდაზე იდგა ხელში აფრიალებდა ბაღდადს, რომელზედაც ქაღალდის პატარა ნაჭერი იყო მიკრული. ტატო მაგიდაზე შეხტა, ბაღდადის ყურს ხელი წაავლო, ქაღალდს დახედა.

— „ღვთისა შვილი მოესტაცე, სხვას მივაბარე ეულსა, ისიც იმას სტიროდა, ვაი რა უყო სწულსა“.

აშულებო აბა გამოიციანით, ვისაცა გსურთ ყალამქარის ბაღდადი.

ახმაურდნენ, ბაღდადის გარშემო შეგროვდნენ.

რკინის ნაჭერზე, რკინისავე აქანდახმა გაიფრიალა და ლოპიანას მკეპარე ხმამ ხმაური დაფარა.

— დადექით! იპოვა!

— იპოვა!

— იპოვა!

— ნამყენი, სწორია!

ლოპიანამ ტატოს ყალამქარის ბაღდადი კისერზე შემოახვია.

ქალმდია ღვთაბრძანებნი

• • •

სამსახურიდან გამოსულმა ტატომ ბიბლიოთეკისაკენ შეუხვია. გადასახადი უნდოდა შეეტანა, თანაც ჟურნალ-გაზეთებს გადაათვალიერებდა. ბიბლიოთეკის დახურვამდე ორ საათნახევარი იყო.

შორიდანვე გამოჩნდა ყიფიანების სახლი, სადაც ბიბლიოთეკა იყო. ბიბლიოთეკის ვეებერთელა ოთახები დიდიდანვე ივსებოდა ხალხით. ტატოს ესმოდა სიცილი, მსჯელობა და კამათი, ლიტერატურის მოყვარულთ რომ გაემართათ ბიბლიოთეკის ფართო აივნებზე.

ბოლო დროს ქალებმაც დაიწყეს ბიბლიოთეკაში სიარული და ტატომ დარბაზში შესვლისთანავე შეამჩნია მაიკო და ეკატერინე. ტატო ქალებთან მივიდა, მიესალმა.

— რისთვის გარჯილხართ, ლამაზ-ჩანებო?

— ფრანგული ჟურნალები მიგვაქვს ნინოსათვის, უღონოდ არის, წამოსვლა ვერ შეძლო. შენ რიდასთვის გარჯილხარ?

— შექსპირის ტრაგედიები მინდა. ფულიცა მაქვს შესატანი.

დარბაზში თამბაქოს ბოლის ბუდი იდგა.

— წავიდეთ აქ იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, სუნთქვა შეუძლებელია.

— მეც ამ წუთში დაგეწევი.

კიბზე ჩამომაველ ქალებს წამოეწია ტატო, მაიკოს მიუბრუნდა:

— ლევანის წერილმა დაიგვიანა, შენ არაფერი მიგიღია, კარგო!

— გუშინდელი ფოსტით მივიღე.

— მაიკოსათვის ლექსების რვეული მიგირთმევი, ტატო! — საყვედური ისმოდა ეკატერინეს ხმაში.

— თქვენთვისაც გავამზადე. აქედან გაპირებდი გამოვლას. — რვეული ამო-

ილო უბიდან. ეკატერინემ გაშალა. ყდაზე დიდი ასოებით ეწერა „ეკატერინეს“.

ეკატერინემ რვეული ყურნალში ჩასდო.

ისინი წელი ნაბიჯით გაჰყვნენ ქუჩას. აქა-იქ სახლის ფანჯრები გაეღოთ. ზოგან ბანებზედაც გამოსულიყვნენ. ჩადრები გაზაფხული მშვიდად სუნთქვდა.

ზალიცმანის ლუდხანას გაუსწორდნენ. ლუდხანიდან მთავარმართებელი გამოვიდა, დროშაში ჩაჯდა და ცხენები გაჰანდნენ.

ეკატერინეს სახლის შესასვლელთან გამოეთხოვნენ მაიკო და ტატო. ტატო მაიკოს გაჰყვა. ლევანის წერილი უნდოდა წაეკითხა.

ეკატერინე პირდაპირ მამის ოთახისაკენ წავიდა, უნდოდა მამასთან ერთად წაეკითხა ტატოს ლექსები. უყვარდა ტატოს ლექსები ალექსანდრეს, უჭებდა კალამს. მამის კაბინეტის წინ გამდელი შემოხვდა, თითქოს საიდუმლოს ეუბნებოდა ისე წასჩურჩულა:

— მამას არ სცალია, ჩემო სიცოცხლე. სამეგრელოდან მოციქულები მოუვიდნენ.

ეკატერინე თავის ოთახისაკენ გატრიალდა. ოთახში შესულმა ახლა მიაქცია ყურადღება გამდელის სიტყვებს. — სამეგრელოდან მოციქულები მოვიდნენო. — უთხრა გამდელმა. — რად მოვიდნენ სამეგრელოდან მოციქულები? რა საქმე აქვთ მამასთან? — ფანჯარასთან მივიდა, გარეთ დაიწყო ყურება. საათის რეკამ შეაკრთო. სადარბაზოდ გასვლის დრო იყო. ეკატერინემ ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

სადარბაზო ოთახში ალექსანდრე, სალომე და ნინო ისხდნენ. ისინი ხმადაბლა თათბირობდნენ.

— წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ მენანება იმ სიშორეს გასაგზავნად. — სევდა გამოსჰვივოდა სალომეს სიტყვებში.

— ნინო რომ განსვენებულ ალექსანდრეს გავაყოლებ და გავემეტებ შორს გასაგზავნად?

— განსვენებული ალექსანდრე საბოლოოდ ჩვენთან აპირებდა დასახლებას და ჩვენც ამით ესულდგმულობდით, რა ვიცოდით, თუ სამუდამოდ დაეკარგავდით. დადიანი კი არასოდეს დატოვებს თავის სამყოფელს.

— არც იქნება კარგი, რომ დატოვოს. სამეგრელოსათვის ისეთი განათლებული პიროვნება, როგორც დადიანია, საჭიროა. მე ყოველთვის ვფიქრობ ჩვენი შვილების ბედნიერებაზე, მაგრამ, სალომე, არ უნდა დაგვევიწყდეს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაც. განა სამეგრელოს უპატრონოდ დატოვება და დადიანის აქ გადმოსახლება ქვეყნისათვის საკეთილო იქნება?

— მაგაში გეთანხმები, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ვერ გასძლოს ჩვენიდან შორს, ამიტომაც ვფიქრობდი, ისევე ჩვენში ავეერჩია ვინმე. ვინ იცის, რა მოხდება, განა ნინოს მაგალითი...

— ექ ჩემო სალომე, ვინ იცის, ვის სად დაეწევა ბედის ეტლი. ჯერჯერობით არც ჩვენებს შორის მეგულება დადიანზე უკეთესი სასიძო. — დაფიქრებით წარმოთქვა ალექსანდრემ და თვალი სივრცეს გაუშტერა. — გარდა ამისა, ამ ქორწინებას მრავალი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. ეს ქორწინება ხელს შეგვიწყობს, დაეუახლოვდეთ სამეგრელოს. ამით განმტკიცდება კავშირი დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. დამერწმუნე, სალომე, ასე დამორბეული ერთმანეთისაგან არასოდეს ყოფილა ჩვენი ქვეყანა. ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება გაერთიანება და განმტკიცება. ამისათვის კი აუცილებელია დადიანთან დამოყვრება. დადიანი მოწინავე კაცია, ესმის ჩვენი ქვეყნის პირვარამი, ასეთების დაახლოება აუცილებელია. განა ნინოს ჯერისწერაზე დასტურის მიცემის დროს მხედველო-

ბაში არ მქონია ქვეყნის კეთილდღეობა?! შენ რაღას იტყვი, ნინო?

— მეც შეძნელება ეკატერინეს მოცილება, მაგრამ, მამე ბატონო, თქვენი მოსაზრების საწინააღმდეგო არაფერი მეთქმის.

ოთახში ეკატერინე შემოვიდა. შეინდისფერი ხვერდის კაბა ეცვა, თეთრ არწივებმოვლებული. ალექსანდრემ შუბლზე აკოცა თავის ასულს. ეკატერინე დედის გვერდით დაჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ალექსანდრე სიტყვებს ეძებდა საუბრის დასაწყებად. გადაწყვიტა, გაეყვიღა გატეხილი სჯობსო, და პირდაპირ დაიწყო:

— შეილო ეკატერინე, დარბაისლები მეწვიენენ სამეგრელოდან.

— ვიცო, მამა, შემოსულა მინდოდა თქვენთან, გამდელმა არ შემომიშვა. — ეკატერინემ გაუღიმა, ცნობისმოყვარეობით შეხედა მამას.

— მთავრის მიერ იყენენ წარმოგზავნილი, შენს თავსა მთხოვენ, თუ შენი თანხმობაც იქნება, დედოფლობას მოგილოცათ.

ეკატერინე წელში გასწორდა. მარცხენა წარბი ზეაეწია. სახეზე გაოცება გამოეხატა.

— თქვენ თანხმობა მიეცით, მამა? — ალექსანდრემ პასუხი დააყოვნა. იცოდა თავისი ჰირვეული ქალის ამბავი.

— გადაჭრილი პასუხი უშენოდ არ შემეძლო მიმეცა, მაგრამ, თუ ჩემი აზრი გინდა გაიგო, მე მომხრე ვარ ამ ქორწინების, რადგან ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი საშუალება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაახლოებისა.

— თქვენ მხოლოდ ქვეყანაზე ფიქრობდით? — ეკატერინემ ჩუმად მჯდომ დედასა და დას შეხედა.

— ჩვენ, უპირველესად, შენს ბედნიერებაზე ვფიქრობდით. შენი ბედნიერებისათვის საწინააღმდეგოს ამ ქორწინებაში ვერაფერს ვხედავთ, გარდა ამისა, ჩემს შეილებს არ შეშინით, ქვეყნის ბედ-იღბალზე არ იზრუნონ.

ეკატერინემ მამას აღარაფერი უპასუხა. ადგა. თავისი ოთახისაკენ გაეშურა. ოთახში მყოფები კვლავ ჩუმად ისხდნენ. გამდელი შემოვიდა, უხმოდ მჯდომარენი მოათვალიერა და მოახსენა:

— ეკატერინე სადარბაზოდ ვერ გამოვა, თავი სტკივა.

გამდელის გასკლის შემდეგ სიჩუმე ალექსანდრემ დაარღვია.

— შეილო, ნინო, შენთვის მომიწევია ეს საქმე. მე უკვე დასტური მიეცი მთავრის მოციქულებს და სიტყვის გატეხა არ სჩვევია ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

თავის ოთახში შევიდა ეკატერინე. მაგიდაზე რვეული იდო. აიღო.

„პირმცინარითა,

სინარნარითა

მგოსნის ყარიბ გულს ესხვიმფენარე!“

— ამოიკითხა, შეკავებული ცრემლები ყელში მოაწვა. ლოგინზე დაეარდა. თავი საბანში ჩარგო. ხელებს აფათურებდა. საბნის პირის შარი-შურში უნდოდა ჩაეხშო გულის კენესა. მთელი ტანით კანკალებდა. ოთახში ფეხაკრეფით ნინო შემოვიდა. ლოგინზე ჩამოჯდა. ეკატერინეს თავზე ხელი დაადო. თმები ჩამოშლოდა ეკატერინეს, ჩამოშლილ თმებში ლოგინზე დადებული რვეული ჩანდა. ნინომ ეკატერინეს თმებში ხელი შეაცოცა და რვეული გამოიღო. ვაშალა ტატოს ლექსები, თვალები გაუფართოვდა, სახეზე გაოცება და უსაზღვრო სევდა აღებუქდა, თვალები სივრცეს გაუშტერა, თან ეკატერინეს თმებს ეალერსებოდა. — მამ, ეკატერინე, ტატო, ნუთუ... რატომ არასოდეს უფიქრია ამაზე, რატომ ვერ შეატყო? თავნება, დიდების მოყვარული-ეკატერინე! როგორ შეეძლო ფიქრად? დიდი ძალა აქვს ტატოს ლექსებს, თურმე ვინ ყოფილა ეკატერინეს გულის რჩეული! — ამას ვერასოდეს მოიფიქრებდა ნინო. რჩევისათვის მოვიდა, დაღუპდა, ვეღარც სანუგეშო სიტყვა მონახა.

— ეკატერინე, გესმის ბულბულის სტვენა? წავიდეთ ბალში. — თვითონვე გააკვირვა თავის სიტყვებმა.

ეკატერინე უეცრად წამოდგა. სახე გაქვეებული ჰქონდა. თვალები უბრწყინავდა.

ნადრევი გაზაფხულის გრილი საღამო იყო. ბალში ბულბული უსტვენდა. ახლადაკირტული ხეების ჩრდილები გაწოლილიყვნენ ბილიკებზე. მოწმენდილ ცაზე თავისუფლად მიმოდიოდა მთვარე და ქვეყანას გაზაფხულს ულოცავდა.

ნინომ ეკატერინეს ხელი მოხვია, ეკატერინემ შალი ტანზე შემოიხვია. ისინი დიდხანს დადიოდნენ უსმენდნენ ბულბულს.

*
*

მთავარი სამეგრელოს წავიდა ნიშნის ჩამოსატანად. ყველას აინტერესებდა, რა ნიშანს ჩამოუტანდა ეკატერინეს დადიანი, როდის ჩამოვიდოდა და ვინ ჩამოჰყვებოდა.

ჭაჭვაძეები მზითვეს ამზადებდნენ, დადიანის ნიშნის საბადლოს. კერავენდნენ, ჭარგავდნენ, ჰედავდნენ. მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას მზითვის გამზადებაში. მხოლოდ ეკატერინე დადიოდა უმოქმედოდ ოთახებსა და ბალში. იმ დღის შემდეგ არავის უნახავს ქალაქში, ახლაც ბალის ფანჯარტურში იჯდა. მისჩერებოდა, როგორ დაეცურავდა შავი გედი აუზში.

არ შეუმჩნევია ეკატერინეს, როგორ მოიღრუბლა. როცა აქა-იქ წვიმის წვეთებმა დაიწყო ცვენა, მხოლოდ მანძინ მიიქცია ყურადღება. უყვარდა გაზაფხულის წვიმა, როცა მსხვილი წვეთები ხის ფოთლებზე ახმაურდებოდა.

წვიმამ მოუხშირა. დაუბერა. ჩამობნელდა და სეტყვა ახმაურდა ბზის ბუჩქებში. მოაგონდა, სეტყვის დროს გარეთ რომ გამოცვივდებოდნენ ხოლმე, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი მათგანი უფრო მომსხო მარცვალს გადაყ-

ლაპავდა. ერთხელ ტატოს სეტყვის მარცვალი გადასცდა. — ინატრად, სეტყვებულაც ბავშვი ვიყო და სეტყვის მსხვილი მარცვლისათვის დაგრბოდეთო ბალში.

დედოფალი

ფოსტლების ფრატუნით შემოვიდა გამდელი. ფანჯრებზე ჩამოშვებული მუქი ფარდები დღის სინათლეს არ უშვებდა ოთახში. მოხუცმა თვალი მოაულო იქაურობას. მისი გაზრდილი ტახტზე ბალიშებში ჩაფლულიყო და არ ინძრეოდა. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ტახტს. ეკატერინეს მხარს ხელი ოდნავ შეახო და ჩურჩულით უთხრა:

— შეილო, ტატო მოვიდა. — ამ სიტყვებმა იმოქმედეს ტახტზე უძრავად მწოლიარეზე და გამდელის წინ ზედიზემართა. გამდელმა შეხედვა ვერ გაუხედა თავის გაზრდილს, იატაკს დაეინებით დააცქერდა, კვლავ ჩურჩულით ჰკითხა:

— გელოდება, შეილო, შემოვიდეს? ეკატერინეს არ უპასუხია, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია. გამდელი მიხვდა, უნდა მოეწვია სტუმარი. თვალი შეავლო ეკატერინეს. ეკატერინე გარეთ იცქირებოდა, თითქოს დაავიწყდა, რა უთხრა გამდელმა. მარცხენა წარბი ზევით ჰქონდა აწეული. გაფითრებული და მკაცრად მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეხსნა, ჩურჩულით თქვა:

— რამდენი ხანია აღარ მდსულა, საიდან გაჩნდა, სწორედ დღეს...

გამდელი უხმოდ გავიდა, როცა ოთახში ფეხის ხმა გაისმა, ეკატერინე უეცრად მოტრიალდა. მის სახეზე სევდა და სასოწარკვეთილება აღარ იხატებოდა. მზიარული ღიმილით ორივე ხელი გაუწყო და შემოსულს.

— კარგ დროს მოხვედი, ტატო!

— ნახვის სურვილმა მძლია, პირველად თქვენკენ გამოვეშურე.

ტახტზე ჩამოსხდნენ. ტატო აღტაცებით შესცქეროდა ეკატერინეს სახეს: — კიდევ მეტად დამშვენებულხარ, ეკატერინე!

— დიდი ხანია, არ მინახავხარ, ტატო!
— მე კი ყოველ წამს გხედავდი, ცისიერო.

დიდხანს ისაუბრეს მზიარულად. ტატოსაგან მოტანილ საჩუქარს დაჰხაროდა ეკატერინე, კმაყოფილი შლიდა წერილად დაწერილ ფურცლებს. სიამაყეს გრძნობდა. იცოდა, მას ეკუთვნოდა ყოველი სტრიქონი.

ეკატერინემ მოიწყინა. მუთაქას დაეყრდნო. მწუხარე სახით დააცქერდა ფურცლებს, მის სახეზე აღბეჭდილი უჩვეულო სევდა უფრო მომზიბეღელს ხდიდა საყვარელ სახეს.

ეკატერინემ ზეახედა. თვალი შეავლო ტატოს. იგრძნო, უსაზღვროდ ბედნიერი იყო იგი ამ წამს, დაენანა. დე, ბედნიერი იყოსო ეს საღამო მისთვის. ოთახში დაფანტულად მიმოიხედა. უხერხულობა იგრძნო. ტახტიდან წამოდგა. კვლავ მიიხედა ტატოსაკენ. კვლავ შეხედა მის აღტაცებულ სახეს. ნელი ნაბიჯით გაეშურა ფორტეპიანოსაკენ.

კლავიმებზე ათამაშდნენ ეკატერინეს თითები. ოთახში მისი ხმა გაისმა. ტატო ტახტზე იჯდა, ბალიშებზე მიყრდნობილი. თვალები დაეხუჭა ეკატერინეს ხმით მოხიბლულს, დაეიწყებოდა სამეგრელოს მთავარი დადიანი და კვლავ ძველებურად შეხაროდა ბავშვობის მეგობარს.

ეკატერინეს ხმაში ბედნიერება და სევდა შეერთებულიყო, მისმა მწუხარებამ აქ ჰპოვა ნუგეში და გრძნობდა, უკანასკნელად უკრავდა ასე, რადგან უკანასკნელად უკრავდა მისთვის.

სიმღერა შეწყდა. ტატო წამოდგა.
ეკატერინე უძრავად იჯდა სკამზე. ხელები უღონოდ ჩამოეყარა. ტატომ დაინახა, როგორ გაფითრებული მოჩანდა მისი თეთრი ხელი მუქი ფერის ხა-

ვერდის კაბაზე. წამწამზე ცრემლი გადმოეკიდა, ფერმკრთალ დაწვებებზე მჭიმე კვალი დააჩნია და ბეჭდის თვალზე აციმციმდა. ტატომ ორივე ხელი მისკენ გაიშვირა.

— ეკატერინე! — ეკატერინე ამ ხმამ გამოარკვია. წამოხტა.

— დამტოვე, ტატო!
დაფიქრებული მიდიოდა ტატო. რად ტიროდა ეკატერინე?

ახალგაზრდების ჯგუფი მზიარული ყიყინით შემოეგრტა გარს.

— როდის ჩამოხველ, ტატო? — გამოეგრკვა. მეგობრებს გაუცინა.

— დღეს ჩამოვედი.

— რატომ არ გვინახულე? — მხარზე დაწვდა ლევანი და შეარხია მეგობარი.

— თქვენკენ მოვეშურებოდი ახლა.

— კარგ დროს შეგვეყარე, ერთად წაეიდეთ!

— სად მიდიხართ?

— ჰავჭავაძიანთ სახლში. დედოფლობა უნდა მიეულოცოთ ეკატერინეს!

— რა დედოფლობა?

— არ იცი? — შენ აქ არ იყავ. სამეგრელოს მთავარმა ნიშანი ჩამოიტანა. დაინიშნა ეკატერინე.

ტატო შედგა. იგრძნო, როგორ აუკანკალდა მუხლები. პირველად ცხოვრებაში დააეიწყა თავისი სიკოკლე და სიფრთხილე გველის დროს.

ამხანაგებმა ვერ შეატყვეს შეერთობა. კვლავ მზიარულად განაგრძობდნენ:

— ნამდვილი სადედოფლოა ჩვენი ეკატერინე.

— „ნამდვილი სადედოფლოა ეკატერინე“. — უხმოდ გაიმეორა ტატომ და გაახსენდა მისი სიტყვები. — დამტოვე, ტატო!

სად მიდის? მაშ, დედოფლობა უნდა მიულოცოს ეკატერინე, ახლა? ამ წუთში? არა, არ შეუძლია. განვლილი ბედნიერება ჯერ კიდევ ახლოს არის მასთან.

— სად მიხვალ?

— მოიცა, ტატო!

— დაანებე თავი, ლევან, ხომ იცი მაგის ხასიათი.

ტატომ გადახედა თბილისს, მთვარე წყლის დასალევად ჩადიოდა მტკვარში. ახლა იგრძნო დაღლილობა. როდის მოვიდა აქ? ისევე მთაწმიდასთან, მინდვრის ყვავილებთან, ფრინველებთან, რომელთა სურვილები მოუსყიდავია. მაშ, ასე ხანმოკლე იყო მისი ბედნიერება? ახლაც შორიდან ესმოდა ეკატერინეს სიმღერა, მის სიყვარულს რომ დასტიროდა უენაასენელად.

დედოფალია ეკატერინე, დედოფალი. იმეორებდა გარშემო ყველაფერი. ამასვე ჩასჩურჩულებდა მთაწმიდის სიოც. მუდამ დედოფალი იყო მისთვის ეკატერინე. მაგრამ, არა! ახლა მისი დედოფალი კი არა, სამეგრელოს დედოფალია.

შუბლზე გადაისვა ხელი, ჩურჩულათ წარმოთქვა:

„აქ მივხვდი მე, უბედური, თვალთა შენთა მეტყველებას: ჟურმე ცრემლი უცნაური ზოგლოდა ჩემს ობლობას“.

მაიკოსთან

აღრჩაფერი ახარებდა ტატოს თბილისში. მაიკოს ავადმყოფობის ცნობამ რომ გული მოუკლა. ლოდივით დააწა გულს დედის სიტყვები — მძიმე სენით არისო შეპყრობილი მაიკო, აღარ ვფიქრობთო გამომჯობინდეს. დაფიქრებული მიჰყვებოდა ქუჩას. ყასებზე ჩამწკრივებულიყვენენ დუქნების წინ, მამლები გამოეყვანათ შესაჯობებლად. ბავშვებს წრე გაეკეთებინათ მამლების გარშემო, ჩაკუზულები მუხლებზე, ხელუდაყრდნობილინი ყინით ეხმარებოდნენ მოჩხუბრებს.

არბელიანების უბანში შეუხვია ტატომ. — მაიკო, ჩემი მაიკო. — ჩურჩულებდა ის. გაზაფხული იყო, სიო სურნელებს ფანტავდა. მეთულუხზე ბიჭს ყვფით მისდევდა პატარა ფინია.

სირბილით ავიდა კიბეზე, უნდოდა მალე ენახა ავადმყოფი. თეთრ ბაღში შებზე მიყრდნობილი, თეთრ სამოსში, ამქვეყნიურს აღარ ჰგავდა მაიკო. შემოსული ტატო რომ დაინახა, ორივე ხელი მისკენ გაიშვირა.

— ტატო, ჩემო ტატო! — ტატოც ხელგაწვდილი მიეგება მეგობარს, უკონიდა ფერმკრთალ ხელებს, სანთელივით რომ ჩამოჰქნოდა სიგამხდრით. მაიკოს თითები ლოყებზე, თმებზე ეალერსებოდნენ და გრძნობდა, როგორი ცხელი იყო ისინი.

— მაიკო, ჩემო, რა დაგემართა, კარგო?

— ავადმყოფობამ დამაძაბუნა, ჩემო ტატო!

— ვის ემეტები ავადმყოფობისათვის, კარგო? აი, დაპირებული კრიალოსანი მოგიტანე, როცა ჩათვლიდე, მომიგონებდე! — კელავ ხელები დაუკონა ტატომ მაიკოს.

— განა დიდხანს შევძლებ ხელში მეჭიროს კრიალოსანი, მაგრამ დავიბარებ თან ჩამატანონ, შენდა სახსოვრად, ტატო!

— თავი ანებე ფიქრებს, კარგო! ასეთს რას ფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო?

— სენმა ლოგინს მიმაჯაქვა, შორიდანლა მესმის სიცოცხლის ძალა, ტატო!

— სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

— დავანებოთ თავი ჩემზე ლაპარაკს, შენი ამბები მითხარი.

— რა-გიხარა, კარგო შენი წერილი მივიღე, დამტანჯა, რომ არ მომწერე, რაც გქონდა სათქმელი; თუმცა ძნელი სათქმელი იყო, არა? მანუგეშებდი მინც!

მაიკო ტატოს თმებს უწეწავდა, ჩურჩულთ ეუბნებოდა.

— ჩემო გაწამებულო, ძმაო, ჩემო ტატო!

— ვისაც საგანი აქვს, ჯერ მისი სიამოვნება რა არის ამ საქაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტობით. სად განისვენოს სულმა, სად მოიდრიკოს თავი.

„ძნელი არის მარტობა სელისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა, მარად ახსოვს მას დეარგვა სწორისა, ოხვრა არის შვება უბედურისა“.

— ეს შენი ახალი ლექსია, ტატო?

— ჩემი ლექსების მთელი რვეული წამოგიღე, კარგო. — ტატომ ჯიბიდან გაკეცილი რვეული ამოიღო, მაიკოს გაუწოდა. მაიკომ რვეული ჩამოართვა. წარწერა ხმამაღლა წაიკითხა „დაო მაიკო ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებს ბევრთა საამოთა დღეთა, ყმაწვილობისათა და შემობრალე შენსა ყარბსა ძმას“. — მაიკომ ტატოს მიაპყრო თავისი მშვიდი თვალები.

— გმადლობთ, ძმაო, მუდამ შენი ერთგული და მოყვარული დარჩება მაიკო. — ფურცელი გაშალა. — ამ ლექსს კი ჩუმად წაგიკითხავ ჩემთვის. — წაიკითხა, კიდევ წაიკითხა, ფერმკრთალი ლოყები წითლად ამოეკვერა.

— რა კარგია, ტატო, ვისაც მარტობის გრძნობა განუღდია, ამაზე უკეთესს ვერაფერს ნახავს. ეს ლექსი ღირს იმ ტანჯვად, რომელიც მოგაყენეს.

— ჩემზე მეტად ვინ განიცდის მარტობას. წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ვრცელ სოფელში!

— ჩემო ტატო, ჩემო ტატო! ჩურ-

ჩულებს მაიკო, ცრემლები დაპალუბით ჩამოსდის ლაწებზე.

— აი, შეგაწუხე ჩემი ამბებით, მაგრამ შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია გამოვიდო. შეინახე ეს ლექსი, სხვა დროისთვის, როცა დაეწყნარდები. — ტატო მაიკოს ნაწნავებს დასწვდა, ბალიშზე რომ იყო მიმოფანტული, დაუყოცნა ისინი.

— შენი ნაწნავების ჭირიმე, ჩემო მაიკო. მაჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთისოფლისა! ტატომ სწრაფად შეიცვალა სახე. — ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯერები მოუვიდათ, რამ დამავეიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რად მოუვიდათ? — მაიკომ მოშვილდული წარბები შეიკრა, ბაგეები მოკუმა, ისე ახედა მეგობარს.

— შენ რა გაჯაერებს? აგრე გაწითლება იქნება? ეგონებათ, სიანჩლოთ გაწითლდი! — გადაიხარხარა ტატომ და გულზე მიიკრა მაიკო.

— საქაგელო, საქაგელო! — ჩურჩულებდა მაიკო, აწითლებულ სახეს ხელებში იმაღავდა.

ტატოს წასვლის შემდეგ კვლავ მისი ლექსი გაშალა მაიკომ. — ჩემო ტატო, ჩემო ტატო, ვის შეუძლია გაიგოს შენი მწუხარება. გული სისჯლიდან ეცლება და კიდევ ხუმრობს, ღმერთო, რა ძალა აქვს. დედოფალი დედოფალი!

• •

ალექსანდრე ჭავჭავაძისას ვახშამი გაემართათ. სტუმრები მხოლოდ ახლობლები იყვნენ: ბარათაშვილები, ორბელიანები, მელიქიშვილები და რამდენიმე რუსი მოხელე. რუსებს ნინოს გარშემო მოეყარათ თავი. დარბაისლები ალექსანდრეს შემოხვეოდნენ. ახალგაზრდებს ეკატერინე მოექციათ-შუაში.

— რად იგვიანებს ტატო?

— გზაში შემომხვდა, სახლისაკენ გარბოდა, მალე მოვალო, დამიბარა. — უპასუხა ეკატერინეს ლევანმა.

— ამბობენ, საინტერესო რამ დაწე-
როს ტატომ.

— მაშას ძალზე მოსწონს, ამბობს:
დიდი შენაძენია ჩვენი ლიტერატურის-
თვისო. მაიკო, არ წაგიკითხავს?

— როგორ არა, წამიკითხა, მაგრამ
მისი მოსმენა ვაცს არ მოსწყინდება.

— აგერ მოვიდა კიდევც. — ეკატერინე
წამოდგა, ტატოს მიეგება. — დაიგ-
ვიანე, მოუთმენლად გელოდებოდით.
— ტატომ გაუღიმა ეკატერინეს და
ალექსანდრესაკენ გაეშურა. ალექსანდ-
რემ მხარზე ხელი დაჰკრა.

— გაგვხარე, ტატო!

სტუმრები რბილ სავარძლებზე მოეწ-
ყვნენ და მხერა ტატოს მიაპყრეს.
ტატომ რვეული გაშალა და დაიწყო:

— „მწყემსო კეთილო, შენს წმიდა
სამწყისოს
შემოგვედრებ ჩემსა სამეფოს“...

გადასახლებიდან ახლად დაბრუნებუ-
ლი გრიგოლ ორბელიანი სავარძელში
იჯდა, თვალს არ აცილებდა ტატოს,
როგორ დაეაქაცებულა. — „გამარჯვე-
ბულნი დარჩნენ რვერნი“. — ესმის ტა-
ტოს ხმა გრიგოლს. — შენც გაგიმარჯ-
ვია, ჩემო ტატო, და უხარია გრიგოლს
საყვარელი დისშვილის გამარჯვება.
ახლა უფრო ახლობელი ხდება მისთვის
ტატო და კვლავ ფიქრები არ ასვენებენ
გრიგოლს: — რად გაგჩენია, ჩემო ბიჭო,
შუბლზე ეგ ნაადრევი ღარები? ქართ-
ლის ბედზე ფიქრმა დაგჩაგრა განა? —
იცის გრიგოლმა, ადვილი არ არის
ქართლის ბედზე ფიქრი. მეფე ერეკლემ
ყველა ქართველს ანდერძად დაუტოვა,
ქართლის ბედზე იფიქრეთო. ამ ან-
დერძს ვაყოლია ტატო და უცნაურად
შეიფრთხილა გრიგოლის გულმა, გაე-
ხარდა, არ დაეიწყებია ტატოს დიდი
ანდერძი მეფე ერეკლესი. ბედი ქართ-
ლისა აწუხებდა მეფე ერეკლესს, ეკრე-
თვე ბედი ქართლისა აწუხებს დღეს
ტატოს და ასე იქნება მუდამ.

უცერამა ხმაურმა გამოარკვია გრი-

გოლი. ტატოს კითხვა დაემთავრებინა
და მადლს უხდიდა გარსშემორტყმულ
ლებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ ტატოსთან
მკლავგაყრილი მიიყვანა, წარმოსადეგი
ყმაწვილი, რომელსაც ევროპული ტან-
საცმელი ეცვა.

— გაიცანი და შეიყვარე შენი ლექ-
სების თაყვანისმცემელი, მიხეილ ბარა-
თაშვილი, მასაც თავისი წველილი შეუ-
ტანია ჩვენი ჭვეყნის კეთილდღეობისა-
თვის, მისი ნამუშევარია „ნუმიზმატური
ფაქტები სამეფოსი“. — ტატომ ხელი
ჩამოართვა მიხეილს.

— ნება მომეცით, შინაურულად მოგ-
მართოთ, ტატო! — გაუღიმა მიხეილმა.
მოსული და ჯამუხი ვაქაყი იყო მიხეი-
ლი. მაგრამ მეტად სათნო და ლმობი-
ერი ღიმილი ჰქონდა.

— ამით მხოლოდ მადლიერი ვიქნები
თქვენი.

— შეიძლება დამემგობრდეთ კიდევც.
— კვლავ გაუღიმა მიხეილმა.

— ტატო, გეყოფა სერიოზული ლა-
პარაკი. — მიეჭრა ეკატერინე.

— იძულებული ვარ, დაგთმოთ,
დედოფლის სურვილი გარდაუვალაია. —
მიხეილმა მდაბლად თავი დაუკრა ჭავ-
ჭავაძის ქალს.

— რას მიზრძანებთ, დედოფალი! —
ეკატერინეს მხნეობა დაუყარგა ტატოს
პასუხმა, ბაგეები ჩაიჭამა და ძლივს
წაიჩურჩულა.

— შენთვის დედოფალი ვარ, ტატო?
ნუთუ დაგაიწყდა, რას მეძახდი?

— მომტაცეს იგი. — ისინი ფანჯა-
რასთან იდგნენ. ნუშის ტოტს ქარი მი-
ნას ახეთქებდა და მოპირდაპირე დიდ
სარკეში ჩანდა, როგორ არწევდა ქარი
ბაღში ხეებს.

— და შენც სამუდამოდ დაივიწყე
იგი?

— მე მისი შუქი აღარ მინათებს,
ჩამქრალმა ცეცხლმა სითბო დაკარგა. —
ისინი დაშუმდნენ.

ღარბაზში დადიანი შემოვიდა.

სალომეს საეკვოდ მოეჩვენა ეკატერინესა და ტატოს განცალკევება. მაიკო მიიხზმო.

— მაიკო, შენს გაზრდას, ეკატერინეს დამიძახე, მხოლოდ არავინ შეგამჩნიოს.

მაიკო ეკატერინეს და ტატოს მიუახლოვდა, მის სმენას ტატოს სიტყვები მისწვდა.

— ესრე დამიხზო ჩემმა ბედმა ნუგეშის კარი.

— დედა გიხმობს, ეკატერინე! — ეკატერინემ წარბები შეიკრა. ისე შეხედა მაიკოს, თითქოს ვერ გაიგო, რას ეუბნებო. უეცრად თავი მალლა აიღო, ტატოს მიმართა.

— „ბედი ქართლისა“ ჩემთვისაც გადაწერე!

ტატომ თვალი გააყოლა სწრაფად მიმავალს, რაღაც უჩვეულო იყო მის ხმასა და მოძრაობაში.

— ნამდვილი დედოფალია, შენ რას იტყვი, მაიკო!

— მკაცრი ხარ, ტატო!

— უკვდავება მხოლოდ მშვენიერი სულის საგანძურია, მას ვერც შემთხვევა, ვერც ხანი ვერ დააბერებს.

— ნუთუ არ ხედავ იმ მსხვერპლს, რომელსაც ეკატერინე იღებს?

— ვერ ვხედავ მსხვერპლის საჭიროებას.

— პირადმა დარდმა გაგიქვევა გული?

— ჩემო მაიკო, თავი ანებე სხვაზე ზრუნვას, შენ როგორა ხარ, კარგო, მიხარია მომჯობინებულს გხედავ.

— ვითომ? — მაიკომ ფანჯარას მიაშტერა თვალი, საიდანაც სიბნელე იხედებოდა.

ტატო და მიხეილი შინ ერთად ბრუნდებოდნენ.

— დიდხანს აპირებთ ჩვენთან დარჩენას?

— თეიმურაზ ბატონიშვილმა პეტერბურგის აკადემიაში მარი ბროსე მიიწვია, იგი ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმეს ჩაუდგა სათავეში. მეც დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ

გადავწყვიტე ისტორიის შესწავლა, ამიტომ გამოვეშურე, ალბათ, რამოდენიმე წელი მომიხდება დარჩენა.

— ჩვენი აზრები ემთხვევა ერთმანეთს, ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლის საკითხი, ჩვენთვის მტკივნეული საკითხია. შეუღლებით კიდევ წიგნის დაწერას.

— მახარებს, რომ უკვე მიგიქცევიათ ამ საკითხისათვის ყურადღება. თუნებას მომცემთ, მეც დავესწრები თქვენს შეკრებას გავეცნობი თქვენს გეგმებს.

— გადავწყვიტეთ, შევადგინოთ საქართველოს ისტორიის საკითხავი წიგნი. მეხუთე საუკუნიდან დავანაწილეთ და ყოველი საუკუნე მივანდეთ თითოეულ ჩვენგანს. პლატონ იოსელიანს კი დავავალეთ, დაწეროს ისტორია ქრისტეს დაბადებიდან მეხუთე საუკუნემდე.

— შემდეგს თათბირს აუცილებლად დავესწრები. კარგი იქნება, ტატო, თუ თქვენ დაივალებთ ქართული მწერლობის ძეგლების ქართული მანუსკრიპტების ნუსხის შედგენას.

— ყოველმხრივ ვეცდები, ვემსახურო ჩემს ქვეყანას.

— იმედი მაქვს, გამოიწვეთ თანამგზავრობას და დამეხმარებით, გავიცნო ჩვენი ქვეყანა. ჩემი წინაპრები ვახტანგ მეექვსეს გაჰყოლიან რუსეთში, მეც იქ დავიბადე და გავიზარდე. დღეს ბევრი რამ უცნობია ჩემთვის. თუმცა უცხოეთში მყოფ ქართველებს არასოდეს შევიწყვეტია მუშაობა. ვებუდავთ ქართულ წიგნებს. ვმუშაობთ მეცნიერების სხვადასხვათა დარგში. ცედილობთ კარგად შევისწავლოთ იმ ერის ენა, მწერლობა და ისტორია, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი.

ტატო შეჩერდა. მიხეილს შეხედა.

— აჰა ასრულდა ერეკლე მეფის, აზრი დღეს ჩვენს მამულში ბრუნდებიან გადახეწილი ჩვენი შვილები და თან მოაქვთ განათლება.

— გამოუვალმა მდგომარეობამ მიგ-

ვიყვანა მაგ დღემდე. გარდა მავისა, ერეკლეს სწამდა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ. ამიტომ რუსეთის მფარველობა ქართველმა მეფეებმა ყველაზე სწორ გამოსავალად სცნეს. სწამდათ, რომ რუსეთი დიციავდა საქართველოს ოსმალეთისა და ირანის თავდასხმისაგან. ამასთანავე ხელს გვიწყობდა რჯულის ერთიანობაც.

— ამიტომაც თაყვანსა ვსცემ მეფე ერეკლეს ნაანდერძევს, აქამდე თუ ხმლითა და ძალით ჰფლობდა ქართველი, ახლა მშვიდობიანი მოქალაქის ხელი მართავს.

— მეფე ერეკლემ იმპერატორს აღთქმა დაადებინა, რომ საქართველოს საუკუნო მფარველობას გაუწევდა და მის მტერს საკუთარ მტრად იფულებდა.

— დღეს ვეღარ ერჩის ქართლს, კასპიის ღელვა.

— რაღა თქმა უნდა, კრწანისის ბრძოლის ღალატსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეგ მხოლოდ მიზეზი იყო. საქართველოს ცხოვრების გზა აღრიდანვე იყო გარკვეული და ეს გზა რუსეთს ვერ ასცდებოდა, ბიზანტიის დამარცხების შემდეგ საქართველო გზას ეძებდა ევროპისაკენ და ამ ძიებამ იგი რუსეთამდე მიიყვანა.

— ერეკლეს სურვილი იყო მშვიდობა ენახა საქართველოს, დიდ სახელმწიფოს მიაბარა თავისი ქვეყნის ბედი და სამუდამოდ ჩააგო ხმალი. მხოლოდ დღეს მივხვდი ერეკლეს ანდერძნამაგარს — სიჩუმე ჩამოვარდა. თავ-თავიანთმა ფიქრებმა წაიღო ორივე.

— თქვენს სადგომამდე მოვსულვართ, მიხეილ.

— შემობრძანდით, განავარძოთ ჩვენი საუბარი.

— არა, გვიანაა.

უგუნებოდ გახდა ტატო საუბრის შემდეგ. მარტობა უნდოდა. ამიტომ აღარ გაჰყვა მიხეილს. დაფიქრებული მიდიოდა. მიაბიჯებდა ტრიალ მინდორ-

ზე. ცვარიანი ბალახები ესალმებოდა და ეჩურჩულებოდა:

— ჩვენთან, ჩვენთან მარტო, ქარგო, მოგიალერსებთ, განუგებთ, გაგიბარებთ მარტობით განაწამებ გულს.

ტატომ მიმოიხედა, უცხოდ მოეჩვენა ნაცნობი ადგილები. ჩაჯდა. სამყურა ჰყვაროდა ირგვლივ. დაწვა, სახე სამყურას რბილ ფოთლებში ჩარგო. სამყურას ყვავილებმა და ბაბუაწვერამ სახეზე მოუალერსა, თითქოს ცრემლების შემრობას ფიქრობსო, თვალბზე მიელამუნა. ეამა სამყურას ალერსი. ნორჩი ბალახისა და თავის ქვეყნის მიწის სუნმა თავბრუ დაახვია. რას ეჩურჩულება სამყურას ფოთლები, რა უნდა, ტატოს რას ეძებს?

— დემტო მამო, მიმიღე ძე შეცდომილი! — მუდამ ასე იქნება დაწოლილი მშობლიურ მიწაზე, შეიგრძნობს მის სუნს და ეს ეყოფა ნუგეშად ამ ქვეყანაზე. მუდამ ილოცებს თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის. მშობელი გაიგებს მის გულისტივილს, როცა ნახავს განსაცდელში, და სჯერა, ტატოს მშობლიური მიწა დაიფარავს მას ყოველგვარი გასაჭირისაგან. მიწას ჩასძახა ტატომ.

— ჰოი, სახიერო, ნუ დამიყარგავ სასოებას, ცხოვრების წყაროვ, მასეი წმინდა წყალი შენი და მით დამიამე გულის სატკივარი. ნუ, ნუ დაჰქროლავს ჩემს ნავს მავნე ქარი, მიეც მას სადგური მყუდროებისა. გულთამხილავო, შენთვის ცხადია ჩემი გულის სიღრმე, შენ უკეთ იცი ჩემი განზრახვა, ნუ დამაჩნევ შავი ბედის ლახვარს, შემიშრე ცრემლი! — ტატოს ცრემლი ეფრქვეოდა სამყურას ფოთლებს და ჩაჩურჩულებდა ტატო მიწასა და სამყურას.

— ვინც მალღის გრძნობის მქონე მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ

განსჯა ჰქონია; ვისი ცრემლიც მეგონა ცრემლად სიბრალულისა, გამოპეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერებისა, წვეთი საშინელი საწამლაისა. სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ყმაწვილობითვე შეჩვეულმა სულმა, როგორღა გადაინაცლოს? — უტყვი იყო მიწა და სამყურაც, ნუგეშს არც ერთი არ იძლეოდა. უეცრად შეიგრძნო, როგორ წამოადგა თავს ხმა იღუმალის, მის ნაკვალევზე კენესოდა სამყურა.

— უჩო, რად არ გესმის ჩემი, დამემორჩილე, გასწავლი, როგორ უნდა მოიპოვო ბედნიერება, დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა და იცოდე იქნები ჰეშმარიტად ბედნიერი.

წამოხტა ტატო, აქედანაც უნდა გაიქცეს, აქაც მოაგნო იღუმალმა ხმამ. მირბოდა ტატო, თითქოს კვალდაკვალ ვილაც მისდევსო, ფეხი წამოკრა, დახედა, სასაფლაოს ქვა თეთრად კიაფობდა მთვარის შუქზე და ოქროსფრად ბრწყინავდა წარწერები.

არც ერთი სული, გარშემო საუკუნოებრივი სიცილიერე. შეაკრთო ტატო სასაფლაოს იღუმალმა. ქვაზე ჩამოჯდა. ხმა იღუმალმა აქაც მონახა ტატო და ჩასჩურჩულა:

— აი, ხომ ხედავ მშვენიერ გამოგონებას. სასაფლაო — ეს აუცილებელია აღაშინანისათვის, რათა მომაკვდავი დროგამოშვებით აქ კითხულობდეს თავის ცხოვრებას.

ტატომ ზეცას ახედა და მისი ჩურჩული გაისმა:

— აი, ბედკრულის ნუგეშისცემა, დასასრული ბედნიერების.

დუმილიც მიმთვალე შენდაამი ლოცვადა!

ლამის წყვილადში ნელ-ნელა იკრებოდა დილის შუქი. თანდათან ნათლებოდა ჩამობნელებული ქუჩა. პირქუშად

ჩამწკრივებულ სახლებსაც ნათელი აღებოდა. ეფემია ახლა უკვე შეტედა სახლის ბანებსა და სარკმელებს. სიცილიერე იყო ქუჩაში, არავინ არღვევდა მყუდროებას. მხოლოდ ეფემია არ აცილებდა თვალს ვიწრო ქუჩას. ხანგამოშვებით მოეჩვენებოდა, ვილაც გამოჩნდაო ქუჩის თავში, მაგრამ მოძალელებული დილის შუქი არწმუნებდა, რომ კვლავ ცარიელი იყო ქუჩა. აგერ ინათლა. ქუჩაში გაისმა ფესსაცმელთა ქუსლების ბაკუნი. ვაკრები მიეშურებიან თავიანთი ღუქნების გასაღებად. შორს, ქუჩის თავში ვილაც მაყალს აღვივებს და შამფურზე აგებს ქებას. პატარა ბიჭს ღუქნის შესაფალთან გამოაქვს გასასყიდი საქონელი.

მტრედების გუნდი აფრინდა ცაში. შიშველ სახურავზე ჩამწკრივდნენ, ფრთებს ისწორებენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებიან, რალაცას უამბობენ, აი ყველა მათგანმა სათითაოდ შეიფრთხილა, დატოვა სახლის სახურავი და სულ ზევით და ზევით აფრინდა. ეფემიამ თვალი გააყოლა, მათი სილაღე ინატრა. ამ დროს ვეებერთელა ფრინველმა ჩამოუჭროლა მტრედების გუნდს და გაფანტა ისინი. — მაგათაც აქვთ თავიანთი დარდი! — გაუელვა ეფემიას და მისი ფიჭვები კვლავ ტატოს დაუბრუნდა.

მთელი ღამე არ უძინია ეფემიას. ასე ზის აივანზე და გასკქერის სიკრცეს. დღეს უგუნებოდ იყო ტატო და შიშობს დედის გული, ამდენხანს რომ დაიგვიანა.

სიშარია თუ წარსულის მოგონება? ფეხმოტეხილი ტატო მოუყვანეს სახლში ეფემიას და მის შემდეგ აღარაფერი უსრულდება ბიჭს, თითქოს გზა შეიკრა მისმა ყოველმა სურვილმა. აი, პირველად გაიარა ტატომ ფეხის მოტეხის შემდეგ, დედის გულმა დაიკენესა დაკოტლებული შვილის დანახვაზე.

ეს ვინ არის, მის მუხლებზე თავი

რომ დაუღვეს და ხელებს უკონის? გამოერკვა, დახედა, ვერ იცნო.

— დედა, რად ზიხარ აქ? — ახლა-ლა შეიციო შეილი ეფემიამ.

— სად იყავ, შეილო, ამდენხანს?

— ორთაქალაში, დედა, მიციდიდი?

— დაიგვიანე, შეილო, შემეშინდა.

— მაპატიე, დედი! მაპატიე. ტატომ ზეაიტაცა ეფემია, ოთახში შეიყვანა, თავის საწოლზე დასვა.

— ბავშვი ხომ არა ვარ, დედი, რად გაიწამე ღამე?

— არ გაგიფრთხილებივარ, შეილო!

— მაპატიე, დედი!

— წადი, შეილო, დაისვენე, საცაა გათენდება.

— როდი მეძინება, დედა, ახლა შემძლია, მთელი თბილისი შემოვიარათ.

— თბილისში ახალი არაფერია, შეილო, მხოლოდ დადიანი ჩამოსულა ქორწილისათვის.

ტატომ დედის ხელს ხელი წაატანა.

— დედა!

ძილი გაუტყდა ეფემიას. შეილის შეძახილმა და მისმა გაბრწყინებულმა თვალებმა აგრძნობინა, რომ არ მოშუშებია ტატოს ჭრილობა. დედის გული მიხვდა, რა მტკივნეულ ადგილს შეეხო. დაენანა შეილი, ძილის შემდეგ მეთქვაო მაინც... ცრემლებით ავესო თვალები. — მაშ, ისევ ძვირფასია ეკატერინე ტატოსათვის? ინატრა, ნეტავ არ გასჩენოდათ ჭავჭავაძიანთ კატომ თავისთვის უსაყვედურა, რად ცლებოდა ამდენხანს, რად ვერ იგრძნო დედის გულმა შეილის ტანჯვა, რად ვერ მიხვდა, რომ ტატოს ჭრილობა მიყუჩებული იყო მხოლოდ და არა განკურნებული.

ნუთუ სამუდამოდ დაბნელდა ტატოს გზა? ნუთუ ვერასოდეს იპოვის თავის ხედრს? ნუთუ ვერასოდეს მოიცილებს კაეშანს? — და აკენესდა დედის გული, შეილის ხედრით განაწამები.

ალარც ტატოს დასძინებია, როგორ სწყუროდა, მის სულს ბედნიერება და სიხარული, მაგრამ საღლა იპოვის მას!

წავიდა ბედნიერი დღეები, მოგონებება-ლა დარჩა ტატოს. არსებულ ეფემიანელია და მომავალი ბნელი... სამუდამოდ დაეხურა ბედნიერების კარი. პოეზია! ღმერთო, მომეხმარე სიყვარულისათვის დაეხშო გული და მხოლოდ პოეზიას ვემსახურო.

ერთხელ, ერთხელ მაინც გამოანათოს ტატოს ბედის ვარსკვლავმა, ერთხელ მაინც განაცდევინოს ნამდვილი სიხარული მხოლოდ ერთი, ერთი წამი ბედნიერებისა, და ტატოს აღარაფერი ექნება ამ ქვეყანაზე სამღურავი.

• •

საზეიმოდ მორთულიყო ჭავჭავაძიანთ დიდი დარბაზი, ჭაღების სინათლეზე ეღვარებდნენ ქალთა ბრილიანტები და მამაკაცების ეპოლეტები.

დაბალ ტახტზე მჯდომ მანანას გრიგოლი უჯდა გვერდით, საიდუმლოდ საუბრობდნენ. ალექსანდრე სასიძოსთან ერთად ბოლთასა სცემდა ოთახში.

ფორტეპიანოსთან ეკატერინე იჯდა და გაისმოდა მისი სიმღერა: „მოციმციმდი, მოდი, გამომედარე, შენგან ბნელი გული გამომიდარე“.

ტატო კარებშივე შედგა. ისევე იჯდა ეკატერინე ფორტეპიანოსთან, როგორც ოდესღაც, ისევე ისე ჩამოშლოდა შავი კულულები მხრებზე, როგორც წინათ, დიდი ხნის წინათ. მაგრამ განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ტატოს ეკატერინე არ უნახავს? ის ხომ ყოველდღე ხედავდა მომღერალ, მოლიმარ ეკატერინეს? განა ერთი წუთი კი ყოფილა ისე, რომ ტატოს ეკატერინეს სახე თვალწინ არ ჰქონოდა. — მართლაც რა კარგად თქვა ძიამ, „ხედ წამწამზე მიზიხარო“, — გაუელვა ტატოს. ასე ახლოს და ასე შორს იყო მისგან ეკატერინე. — ყველა ჩემი ფიქრი შენ გეკუთვნის, ცისიერო. — წაიხურჩულა ტატომ. — როგორ შემძლია უშენობა? მე ხომ მხოლოდ შენს ახლოს შემეძლო სიცოც-

ხლე. შენმა სიყვარულმა გამხადა ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უბედურიც ადამიანებს შორის! ნუთუ ყველაზე უბედური ვარ, რაც კი ქვეყნად ღმერთს გაუჩენია?

ეკატერინემ დაკვრა გაათავა. ტაშის ხმამ დაფარა დარბაზი. გიორგი, ილია, ლევანი, მიხეილი მივიდნენ ეკატერინესთან, ხელზე ეამბორნენ მადლობის ნიშნად. ეკატერინე ღიმილით მადლს უხდოდა ყველას.

ტატოს არ ახსოვს, როგორ გაჩნდა ეკატერინეს წინ, და როცა ტატომ მის პატარა ხელს ბაგეები შეახო, იგრძნო, როგორ თრთოდა ის, და, როცა ზეახედა, ეკატერინეს სახემ შეაერთო. — როგორ გაქვებოდა სახე ეკატერინეს! ტატოს თვალებმა თითქოს გამოარკვია იგი, ნალელიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. უჩვეულო იყო ტატოსათვის ეკატერინეს სევდიანი ღიმილი, წუთით შეჩერდა. შეებრალა ეკატერინე. იქნებ მართალია მაიკო და ეს მსხვერპლი მძიმეა ეკატერინესათვის!

— რად არაფერს შეტყვი, ტატო, არ მოგეწონა ჩემი სიმღერა? — ჩაესმა ტატოს ეკატერინეს ჩურჩული და თითქოს თავისთავად წამოცდა მივიწყებული სიტყვა.

— ცისოერო, დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად! — და თავდახრილი გაჩერდა ეკატერინეს წინ.

ბასრბინილი შროშანი

ქაშუეთში შემავალი ვიწრო ქუჩა ხალხით გაესილიყო. ტაძარში კი ფრთხილად შედიოდნენ რჩეულნი. ყველას გზისაკენ ეჭირა თვალი და აქა-იქ ზოგჯერ გაისმოდა.

— არ მოდიან?

ჭადრის ხეები ბავშვებით შეხუნძლულიყვნენ. მოუთმენლად მოელოდნენ მეფე-დედოფალს. ყველას უნდოდა დაენახა ნამდილი დედოფალი.

საზეიმოდ გამოიყურებოდა მოხუცი

ტაძარიც. უხაროდა, სადედოფლოდ გზავნიდა თავის ასულს. განვლილი დრო აგონდებოდა, კარგა ხნის განვლილი დრო, მუდმივ დედოფლებს რომ ამკობდა გვირგვინით.

— დედოფალი მოდის, დედოფალი!

ხალხი შუა გაიყო. ტაძრის შესავალთან შედგა პირველი ეტლი. ეტლიდან გადმომხტარმა გიორგიმ ხელი მიაშველა ეკატერინეს

— უპ, რა ლამაზი ყოფილა დედოფალი! — აღმოხდა ყველას.

ტაძრის შესასვლელისაკენ გაეშურა თეთრადმორთული ასულებით გარშემორტყმული დედოფალი. ხალხმა მეორე ეტლს მიაპყრო თვალი და კვლავ გაისმა.

— მეფეც რა ლამაზია!

და ბრჭყვიანებდნენ მზის შუქზე ვაჟაკების ბრწყინვალე მუნღირები, იბნიდებოდნენ თეთრი ვარდები.

ჩახჩახებდა უამრავი სანთლის შუქით განათებული ტაძარი. საზეიმოდ იღიმებოდა ყოველი სანთელი. დედოფლის გასაღებელ გზას ანათებდნენ ისინი. სიჩუმე იყო ყველგან, მხოლოდ ჩურჩული თუ გაისმოდა აქა-იქ.

დედოფალი თავდახრილ იდგა საკურთხევლის წინ. აი, მეფემაც დაიკავა თავისი ადგილი. ილიამ ფეხის წვერით გაასწორა მეფე-დედოფლის ფერხთით დაგებული ფიანდაზის გადაკეცილი ყური. უმცროსი დადიანი მიუახლოვდა მათ, შიშველი ხმალი დაუდო ფერხთა წინ. დედოფალმა პატარა ფეხი ლაპლაპა ლითონს დაადო და ოდნავ აეწია მოშვილდული მარცხენა წარბი.

სვეტზე მიყრდნობილი ტატო თვალს არ აცილებდა ეკატერინეს. მან აღრევე დაიჭირა ეს შეუმჩნეველი ადგილი.

თავდახრილი იდგა ეკატერინე. აღარც სახე უღიმოდა მუდამ მზიარულს. იქნებ გრძობს, რომ ვხედავ. — გაუელვა ტატოს. თითქოს სანთლიანი ხელიც უქანალებს მას. თუ ეს სანთლის აღის ციმციმია მხოლოდ?

რა ფერმიხდილი ჩანს თეთრ ტანსაცმელში ეკატერინე! რა მოხდენილად ციმციმებენ სანთლის ალზე ეკატერინეს თავზე ჯილის მარგალიტები! თითქოს ტატოს ცრემლებია, თავზე რომ დასდენია. მხრებზე დაყრილი ხუჭუჭი თმები სითეთრეს უკარგავენ თავსაბურავს და საყურის თვალები დრო და დრო ბუჩქში მიმალულ ციცინათელასავით აშუქებდნენ.

მღვდელმსახურების არც ერთი სიტყვა არ ესმის ტატოს. ვერც ვერავის ხედავს, მხოლოდ ფერმიხდილი ეკატერინე არსებობს მისთვის და ასე ჰგონია, მუდამ ასე ვიდგები განათებულ ტაძარში, მუდამ ასე ვეუყურებ თავდაბრილ ეკატერინესო.

ბავშვობიდან არასოდეს უნახავს დამორცხვებულს. მუდამ ამაყი იყო, იმათითვე დედოფლობის მოსურნე, და მოაგონდა: ბავშვობისას როგორ თამაშობდნენ დედოფლობას, მოაგონდა ეკატერინე, ყვავილების გვირგვინით შემეკული.

— ქვრივად დარჩება ლამაზი დედოფალი. — ჩაესმა ტატოს. მოიხედა, დედაბრები ჩურჩულებდნენ, თვალი გააყოლა მათს მზერას. მეფეს ხელში სანთელი ჩაფერფლოდა.

როცა საამბორებლად დაიხარა მეფე, მხოლოდ მაშინ მოსწყვიტა ოვალი ტატომ და მაიკოს სევდიან თვალებს წააწყდა, მისკენ მომზირალს. — რამოდენა თმები ჰქონია მაიკოს!

— დედოფალი შეწუხდა, დედოფალი — გაისმა ჩურჩული ტაძარში. ეს ხმა ერთიდან მეორესთან გადადიოდა, თითქოს ტაძრის ვეება კედლებიც მწუხარებით იმეორებდნენ.

— დედოფალი შეწუხდა, დედოფალი — ხალხი მდორედ შეინძრა, შუა გაიპო და ტატომ კვლავ დაინახა მისი ფერმიხდილი სახე, ძირს დაბრლია თვალები. რად წართმეგია ჩვეულებრივი სიამაყე ეკატერინეს? რად თრთის ვისი ხელი მაიკოს მკლავში? რად დაკარ-

გვია სიმტკიცე მის ნაბიჯს? — ტატომ მისჩერებია მის ფერმკრთალ სახეს და იცის, ეს უკანასკნელია, დღეოდან! ეკატერინე დაკარგულია მისთვის.

სწრაფად იცლება ტაძარი. ტატომ კვლავ დგას და ეჩვენება: ყველა გასავლისაკენ მიმავალი ეკატერინეს ფერმიხდილ სახეს ატარებს და მის დაბრლილ თვალებს.

ტატომ დაკუთრებს დაცარიელებულ ტაძრის იატაკზე მიმოფანტულ ყვავილებს. ეკატერინეს ნაფებურზე შროშანა აგდია, შროშანა, მკერდს რომ უმშვენებდა ეკატერინეს. შროშანას ასალებად დაიხარა ტატომ.

— გამიკითხე, შეილო! — ჩაესმა. შეკრთა. შეაიხედა. აქ ხომ აღარაჟინ იყო ტატოსა და ყვავილების მეტი. ეს ვინ არის დამკვნარ სახეზე ჯოჯოხეთური ღიმილი რომ უკრთის, გამხმარი ხელით და ვეება შავი ფრჩხილებით მისკენ რომ მოიწვეს? უკან დაიხია ტატომ. ეს, ალბათ, ის კუდიანი დედაბერი იყო, ბებია რომ უამბობდა ოდესღაც, ჭაბუკს გული რომ ამოაცალა.

— გამიკითხე, შეილო! — ტატომ წელში გაიმართა. შროშანასაკენ გაწვდილი ხელი მოხუცისაკენ წარმართა. — დედოფლის საკეთილდღეოდ გამიკითხე! — განაგრძობდა ჩიფჩიფს მოხუცი.

ტატომ თვალი გააყოლა გასავლისაკენ მიმავალ დედაკაცს. გაურკვეველად ისმოდა მოხუცის ბუტბუტი და ასე ეგონა, ლოცვის მაგიერ წყველისო კუდიანი ეკატერინეს, მის ფეხქვეშაი სკრისებოდნენ ტაძრის იატაკზე მიმოფანტული ყვავილები. და აი, დედაბერის ფეხმა ეკატერინეს მკერდიდან ჩამოვარდნილი შროშანა გასრისა. თითქოს მისი კენესა მოესმა ტატოს, სწრაფად დაიხარა. ხელში აიღო გასრისილი შროშანა, ტატომ გაიგონა მისი ნაღვილიანი ჩურჩული.

— შენც დაგკვნობია ჭაბუკობა, ტატომ.

და ქრებოდა ტაძარში სანთლები.

ბნელდებოდა გარშემო. ტატო სწრაფად გამოვიდა ტაძრიდან. მტკვრისაკენ ჩაუხვია. ნელი ნაბიჯით ჩაჰყვა ნაპირს. მზის სხივები წყლის ზედაპირზე იმსხვრეოდნენ. ბავშვობის დროსაც ხშირად ყოფილა აქ, მამის მეთევზეებთან ერთად. ბავშვობის დროსაც უყვარდა ეს განმარტოებულად მდგარი ჩინარი.

— შენი ხნისაა, ტატო, ეს ჩინარი. — ეტყოდა ხოლმე კაკალა. ამ ჩინარს მიეყრდნო, გადახედა მტკვარს, მოხუც მტკვარს.

გულის სიღრმეში ვიდაც აჯანყდა და ტატომ იგრძნო დიდი ძალა, შებრძოლება მოუნდა ბედღუელმართ ცხოვრებასთან. ბოროტი ხმა კი ხარხარებდა.

— განწირულო ადამიანო, შენ კვლავ დარჩები მარტოდმარტოდ ტრიალ მიწდორზე.

უეცრად შური დაეუფლა. შეშურდა სხვისი ბედნიერება, რომელიც მისთვის მიუწვდომელი იყო.

ბუტბუტებდა მოხუცი მტკვარი. შრიალებდა ჭაბუკი ჩინარი და ორივე სულით ობლობაზე შესჩიოდნენ ტატოს.

• •

დილით ადრე გაემგზავრა დადიანი თავისი ამალით სამეგრელოში. ეკატერინე ოქროსფერ ცხენზე იჯდა. ამომავალ მზის სხივებზე ბრწყინავდა დადიანისეული ცხენის ძვირფასი მოსართავი და ჭავჭავაძეების საგვარეულო ნივთები:

შეჩერდნენ მიმავლები.

ეთხოვებოდნენ ეკატერინეს.

ტატო მიეახლა, კაბის კალთაზე ემთხვია და ეკატერინეს სმენას მისწვდა.

— შენც ჩემსავით სულით ობოლი ხარ! — სწრაფად მოსწყვიტა ცხენი ადგილიდან და თბილისისაკენ გააქანა. მაიკომაც მოსწყვიტა ცხენი და ტატოს გამოუდგა. ეკატერინემ უკანასკნელად თვალი გააყოლა მიმავლებს, ამხედრებული მხლებლებმა შუაში მოიქციეს და წაიყვანეს ჭავჭავაძის ქალი დედოფლად.

ტატოსა და მაიკოს ცხენებმა შორს ჩამოიტოვეს გამცილებლები. ჩამორჩენილებს ვეღარ ხედავდნენ. ცხენები შეაჩერეს და ახლა უკვე ჩორთით განაგრძეს გზა. სიჩუმე მაიკომ დაარღვია.

— რა დაგეპართა, ტატო?

— ჰაერი აღარ მყოფნის, მაიკო, სულით ობლობა მაწუხებს.

— თავი ანებე მაგ ფიქრებს, ტატო, იქნებ სცდები და სხვა უკეთესი ჰპოვო.

— არა, მაიკო, ერთხელ დაობლებული სული მხოლოდ ოხერაში ჰპოვებს შევებას.

ცხენის ფეხის თქარა-თქური მოისმა. ლევანი შეეხშიანათ.

— რად გამოიქეცი, მაიკო, გავნებს ჩქარი სიარული.

— ჩვენ აღარ მივიჩქარით, ლევან.

— დღეს აუცილებლად მიდიხარ, ტატო? — ახლა ტატოს მიუბრუნდა ლევანი.

— დავაგვიანე, აღარც გული მიდგება ქალაქში.

— მაიკო ცხენი შეაჩერა და მომავლებს დაელოდა.

• •

ბარათაშვილები ტატოს ამზადებდნენ ნახიჩევანში გასამგზავრებლად. გამდელი უგუნებოდ დაბორილებდა ოთახებში. ეფემიას ხელიდან უვარდებოდა შვილისათვის ჩასალაგებლად გამზადებული ნივთები. აი, ეფემიამ ჩამოიღო ტატოს წიგნები, ყოველი მათგანი გადაფურცლა, მიუალერსა, ყოველ მათგანს დედის ცრემლი გააყოლა.

მოვიდა ტატო. ოთახში შევიდა. დაცარიელებულიყო ოთახი. შეკრული მატრასები ლა იდო შუაში. ცარიელი კედლები. ცარიელი წიგნის თაროები. თითქოს საწვედურით უყურებდნენ. დედას ყველაფერი ჩაელაგებინა. იქაურობა მოათვალიერა. მაგიდის უჯრა გამოსწია, საიდუმლოდ შენახული პატარა ყუთი ამოიღო, გახსნა. ეკატერი-

ნეს ცალი საყურის მარგალიტებმა შემოანათეს. ერთ დროს მისი ჩრდილის თამაშმა ანატრებიანა ტატოს, „მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვასო?“ და ასე ნატვრად დარჩა ტატოს სურვილი. წუთით თვალები დახუჭა, კვლავ დახედა საყურეს. ცრემლი ჩამოუგორდა, საყურის მარგალიტებს შორის დაეცა. ტატო დასცქეროდა საყურეს, ველარ გაარჩია, მარგალიტები ეყარა ზევიდან თუ მისი ცრემლები იყო, ეკატერინეს ცალ საყურეზე რომ ციმციმებდნენ.

მარგალიტები ცრემლებივით დააყარა ოსტატმა და სამუდამოდ დაკრემლილი დარჩა ეკატერინეს ცალი საყურე. ფეხის ხმამ ფიქრი შეაწყვეტინა ტატოს, საყურე გულის ჯიბეში ჩაიდო.

მელიტონი სავარძლით გამოიყვანეს აივანზე ტატოს გამოსათხოვებლად. მან გულში ჩაიკრა გასამგზავრებლად გამზადებული შვილი.

— ჩვენი ოჯახის ნუგეშად შენლა დარჩი, შვილო! ოჯახის დახსნის სურვილმა შორი გზა გაგიშადა. ღმერთმა სურვილები აგისრულოს და ჩვენი დახსნა შეგაძლებინოს ამ გაჭირვებისაგან!

ეფემია უსიტყვოდ ცრემლებს აფრქვევდა შვილის მკერდზე. გულზე ხელებდაკრეფილი მისჩერებოდა დროშაში ჩამჯდარს გამზადებულს და ლოცვასავით მხოლოდ ორ სიტყვას იძეორებდა:

— როდის დამიბრუნდები, შვილო?

ეფემია დიდხანს მისჩერებოდა ვზას. სად მიდის მისი ტატო? რად მიდის? — ოჯახს უნდა უშველოსო. — ამბობს მელიტონი. ვილაც აჯანყდა ეფემიას სულში და ხმამალა განწირული ხმით ყვიროდა: არ წაიდე, არ წაიდე! არ უნდა ეფემიას ოჯახის შევლა, არაფერი არ უნდა ეფემიას, ტატოს მეტი. მაგრამ რა უხმოა ეს ყვირილი, არავის არ ესმის იგი ეფემიას მეტს.

დილით მზის ამოსვლისას ეკატერინე გააილა თბილისმა სადედოფლოდ, მზე 5. „მნათობა“ № 11.

ჩადის და ტატოს აცილებს ბედის საძებნელად მიმავალს.

აყვავებულ იასამნებს შორის მიდის. ტატოს გზა, მოწმენდილ ცაში სრიალებენ მერცხლები და ჩამავალი მზის სხივებზე ლაპლაპებს სიონის ტაძრის გუმბათი. გაახსენდა ის დღე, როცა სიონის ზარის შემოკვრით აპირებდა თბილისის გაღვიძებას და ეს სურვილიც ოცნებად დარჩა მხოლოდ.

ტატო ეთხოვება ყველაფერს. თანდათან შორდება თბილისს. რამდენი ტკიბილი და რამდენი მწარე დღეები ახსოვს აქ! მაგრამ, აი, თბილისის ზოგიერთი ადგილი სივრცემ ჩანთქა, შორიდან მთაწმიდა-ლა მოჩანს და ძლავს-ლა ისმის მწუხრის ზარი. საყვარელი გახდა თბილისში გატარებული მწარე დღეებიც კი ყველა კუნძული, ყველაფერი უყვარს აქ ტატოს და ყველაფერი ენანება.

ყორნების ყრანტალმა ფიქრები შეაწყვეტინა, ჩინარის კენწეროებზე ჩამომჯდარი ყორნები დროშის ხმაურმა შეაშფოთა, ყაყანით წამოიშალნენ.

ახედა ტატომ ცას. უკან რჩება თბილისის ცა და ყაყანით მისდევდნენ ყორნები ტატოს ნაკვალევს. თვალები დახუჭა და ხმა იღუმალი აჩურჩულდა:

„მიქრის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ, ჩემი მერანა. უკან მომჩხვიის თვალბედითი შავი ყორანი“...

ორი გული

ზალიდან მონადენმა ხმაურმა შეაკრთო ეკატერინე. მოჯრილი ფიქრები თავის გაქნევით მოიცალა. წამოდგა. ვეებერთელა სარკეში მთელი ტანით გამოჩნდა, თვალი შეაელო თავის ანარეკლს, ეუცხოვა. შავ თმებს თეთრი ზოლი გადასდევდა შუბლის ზემოდან. ხელი გადაისვა თეთრ ზოლზე, აკრძოვდა კალის სინათლეზე ისინი, სამშობლოდან შორს გატარებული დღე-

ბის მოწმეებად გაჩენოდნენ ისინი ეკატერინეს. მაღალ შუბლსაც გადაჰყვოდა ზოლი მთელ სიგრძეზე. ესეც სამშობლოს სევდამ გაუჩინა ეკატერინეს. უცხოდ მოეჩვენა თავისი თავი. სარკეს მოსცილდა. ფანჯარასთან მივიდა. ორივე ხელით გამოალო. მონადენ სიოს სახე მიუშვირა, სიომ შეარხია მარმამის ფარდები, ოთახში შემოიჭრა, ეკატერინეს სახეს მიუალერსა. შუბლს ზემოთ თეთრი ზოლი აუშალა და მთელ თავზე გადააყარა ვერცხლივით მოელვარე თმები. აშლილ თმებზე ხელი გადაისვა ეკატერინემ. სახეზე ნაღვლიანი ღიმილი გაეკრა. ანაზღად თბილისი მოაგონდა. ფანჯარას რომ გამოაღებდა, თბილი და რბილი სიო იჭრებოდა ოთახში, ალერსით გადაურბენდა სახეზე და ოთახს ფეხბაკეებით შემოივლიდა. ზევიდან თბილისის ცა დაჰყურებდა. შორიდან კი ისმოდა მტკვრის გულჩათხრობილი დუდუნე, გაჩს რომ ეკვროდა კლდიან ნაპირებს. შორს, შორს მეტრეველები გამოჩნდებოდნენ ჩირადნებით და ქაჩს გრიგოლის ლექსის სიტყვები მოჰქონდა — „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიხიხარ“... და ეკატერინეს მოეჩვენა: იქ, იქ იყო, თბილისში, გადასცქეროდა მტკვარს, თვალს ადევნებდა მეტრევეებს და ესმოდა მათი სიმღერა.

ბაღიდან მონადენმა ხმაურმა გამოარკვია ეკატერინე. ფანჯარაში გადაიხედა. მისი ქალ-ვაჟი სკამებზე ისხდნენ და შესჩერებოდნენ მათ წინ მდგარ ახალგაზრდას. შავი კოსტუმი ეცვა ჭაბუქს, განიერი მხრები, მაღალი შუბლი... ხელშემართული იდგა ჭაბუქი, თვალები უბრწყინავდა, რბილი და მელურა ხმა ჰქონდა. მისი სიტყვები არ ესმოდა ეკატერინეს, მაგრამ, ვის აგონებს მისი მოელვარე თვალები, გაბრწყინებული სახე და მაღალი სპეტაკი შუბლი?... შეკრთა ეკატერინე, ფანჯარის რაფაზე დაყრდნობილი ხელი აუკანკალდა, ბაგეები აუთრთოლდა და გულმა

თავისთავად წამოიძახა მივიწყებული სახელი:

— ტატო!.. ჭაბუქმა ^{თბილისში} გამოაგონა ეკატერინეს ჩურჩული, მთელი ტანით მობრუნდა მისკენ და მისმა გაბრწყინებულიმა თვალებმა კვლავ ტატოს თვალები მოაგონეს ეკატერინეს... ეს ხომ ტატო იყო, მათს დიდ დარბაზში მარჯვენა ხელი ზეადემართა და მოესმა მისი სიტყვები: „მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანი“... და, აი, ტატოს ხმას ძალა ემატება და კვლავ ისმის იმედით საესე ერეკლეს ხმა... დიდხანს იდგა ეკატერინე, დიდხანს ესმოდა ტატოს ხმა: „დიდი ხანია გულს ირაკლისა გადუწყვეტია ბედი ქართლისა“... და სინთუმე ჩამოვარდა დარბაზში. ამ სინთუმემ შეაკრთო ეკატერინე, თვალები გაახილა, მიმოიხედა. სამშობლოს სევდა გამოჰყვა თან. დღენიადაც ნატრობდა იმ საოცნებო მხარეს, სადაც პირველად დაინახა სინათლე. ყველაზე ნათლად გადაიშალნენ მის თვალწინ სამშობლო მხარის ის სურათები, რომლებიც გამოთხოვების დროს აღიბეჭდა მის გონებაში. სწრაფად მოსცილდა ფანჯარას, სამუშაო მაგიდის უჯრა გამოალო, ათრთოლებული ხელებით დაუწყო ძველ ნივთებს გადმოლაგება. აი მამის კრიალოსანი, დედის შუბლის ქინძისთავი, პატარა ნინოს თმის კულულო, გრიბოედოვის საპაპიროსე და კვლავ მოეჩვენა ეკატერინეს ეტლის საფეხურზე ფეხშედგმული გრიბოედოვი, უკანსკენლად რომ ეთხოვებოდათ. აი, მინდის ეტლი და კვლავ ზედავს ეკატერინე, როგორ ირხევა პაერში გრიბოედოვის ხელთათმანი. ესეც თბილისიდან წამოღებული აყვავებული ნუშის ტოტი და ტატოს ხელით ნაწერი რვეული. ეკატერინე სავარძელში დაეშვა: ხელები ულონოდ დაუცვივდა მუხლებზე და ათრთოლებულმა თითებმა ფურცვლა დაუწყო ტატოს რვეულის შეყვითლებულ ფურცლებს. აშრიადნენ

ჩვეულის ფურცლები ეკატერინეს თითებში და ეკატერინეს მოეჩვენა, რომ კვლავ იგრძნო ტატოს გულის ძვერა. ეს ხომ ტატოს გული იყო, ტატოს ბობოქარი გული, თავისი ქვეყნიდან წორს რომ ჩაიხვია შავმა მიწამ და შეწყდა მისი გულის ბობოქრობა. შეწყდა მისი მერნის დაუსრულებელი ქროლეა და დაისვენა მისმა გულმა!... ტატოს გული აქ არის, ამ პატარა რვეულში, კვლავ ესმის ეკატერინეს მისი გულის მოძრაობა. ის ხომ ეკატერინეს თავის ხელით მოუტანა ჭაბუკმა! მაგრამ აქ რა უნდა ტატოს გულს? ტატოს გული იქ უნდა იყოს, თავის თბილისში.

ზარი დარეკა ეკატერინემ, მსახურს უთხრა — უხმეო ახალგაზრდებს. როცა ახალგაზრდები ოთახში შემოვიდნენ, ოთახის შუაში იდგა ეკატერინე, ჭადის ელვარებას გაეშუქებინა იგი, მისი თვალები იმედით შესჩერებოდა ჭაბუკს და ლოცვასავეთ გაისმა მისი ხმა.

— დიდხანს ველოდი ღირსეულ შეილს ჩვენი ქვეყნიდან. ილია, დღეს ბაღში ჩემს შეილებთან მოსაუბრე დაგინახე და ვიგრძენ, ღირსეული იყავი გადმომეცა ჩემი ანდერძი — ჩემს დროს თბილისში იყო ჭაბუკი, რომელსაც ისევე უცემდა გული, როგორც შენ. მას თავის ქვეყანაში განსვენებაც არ ეღირსა, უცხო მხარეში ქარიშხალმა

ზარით — ღრიალით მიიყარა მიწა. მისი გული კი მე წამომყვა, ქართლის ბედისათვის ძვერდა ის და ვალდებული ვარ მასვე დავებრუნო.

ეკატერინემ ორივე ხელით გაუწოდა რვეული ილიას. ილიამ ჩამოართვა და თავდახრილი ეამბორა ეკატერინეს ხელს.

ეკატერინეს ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა სახეზე და ეფრქვეოდა შავი ხავერდის კაბაზე. შეილები გაციებული შესჩერებოდნენ დედას, პირველად ხედავდნენ მტირალს.

— იქ, ჩემს თბილისში, მთაწმიდის გულში ჩემთვის წმინდა საფლავებია ნინოსი და გრიბოედოვის, მიდი მათთან, ჭაბუკო, უთხარი მათ, რომ ეკატერინემ ტატოს გული გამოგატანა. გრიბოედოვის ბობოქარი გული იცნობს მას.

ილია ჭევჭევაძე ქუჩაზე ფართო ნაბიჯებით მიიბიჯებდა, მას ორივე ხელით გულში ტატოს გული ჩაეკრა. თავი მაღლა აეწია, ქარი უფრიალებდა შუაზე გაყოფილ თმებს, მისი გაბრწყინებული თვალები სადღაც შორს, შორს იცქირებოდა და გრძნობდა, ტატოს მიერ გათელილ ბილიკზე მიიბიჯებდა, ეს გზა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ტატოს მერნისათვის საეალი გზა და უხაროდა მას, ტატოს გული მიჰქონდა თბილისში, საქართველოს გულთან.

გრიგორ აბაშიძე

ღექსები ნიგნიდან — პირანდეზზე

მამულუკაშის მახსენება ეგვიპტეში



მამულუკობა ქარიშხლიანი,
მიწას გაკრული ბედაურები...
მე შესმის მათი ჯაჭვის ჩხრიალი,
მათ ოხერას შორით ვეხსაურები.

ცას ელვად აკრავს მათი ხმლის კვალი,
მიწას — ცხენებს ნაფეხურები,
ცეცხლს მოაფრქვევენ მრისხანე თვალით
და მოფრინავენ ფრთაშესხმულები.



აქ ბევრი მოკვდა ბეი მორკმული —
მკლავდამაშვრალი და ნაომარი...
სამშობლოს ჯაერით გულგამოკმულის
აფწიოთ, ძმებო, შესანდობარი, —

მათი, ვინც ტახტზეც ყრმობის ჩვენების
ტყვედ დარჩა და სხვა ნატურაც არ ჰქონდა —
ძილში ტოლებთან ჯოხის ცხენებით
თავის სანატრელ ქართლში დაქროდა.

ლანდივით სდევდათ სამშობლოს სევდა
ჩვენი ცისა და მიწის მიჯნურებს.
ვინც სიკვდილის წინ უხშობდა დედას,
მათთვის შენდობას ვინ დაიშურებს!

ჩვენი ლეიძეები და სისხლხორცები
კვლავ დაფუბრუნოთ. ძმებო, ჩვენს წიადს,
მათგან სამშობლოს ზოგი ოცნებით,
ზოგი სტამბითაც შემოეწია.

ყური ვათხოვოთ ჩვენ მათს საჩივრს,
შენდობა ვუთხრათ მათ, ვინც ღირსია!
არც ურჯულობა, არც გარდახვეწა
მათ თავის ნებით არ უქირაიათ.

მაგრამ ნუ ჩავთვლით მათ ჩვენს თვისტომად,
ვინც შეაგინა თვისი ბავშვობა,
მამულუკობა ვინც თვით ინდომა
და თვით ირჩია ყიზილბაშობა.

წყველა და კრულვა მათს გზას შავგზიანს,
ვინც სამშობლოზე მახვილგაწვდილმა
მამულს მტრის ურდო შემოასია
და საქართველოს სისხლი აწვიმა.

ძვირად დაგვიჯდა ვ-სი გაცნობაც,
ვინც დედის საფლავს ჰნავდა სახენელით, —
ჯანდაბას მათი დიდი კაცობაც,
ჯანდაბას მათი დიდი სახელიც!

... მამულუკობა ქარიშხლიანი,
მიწას გაკრული ბედაურები...
მე მესმის მათი ჯაჭვის ჩხრიალი
და ქართლის ოხერას ვეხმაურები.

პანკანე ჯანახანი

★

• •

გაზაფხულივით
წამოიჩიტე,
ხმა დაიმძიმე —
მდინარის მსგავსად;
მაინც ძალიან დიდხანს გიკვირდა,
რატომ მალავენ ქალები ასაკს.
შენი ცხოვრებისა ნახევარ გზაზე
შენ შეგიყვარდა პირველად ქალი,
შენ გადააღვე ცხოვრებას თვალი,
როგორც დიდი ხნის წაქითხულ გაზეთს,
თვალში უცნობმა სხივმა იელვა,
უცნობი რიხი დაეტყო ხმასაც,
და შენ დამალე გრძნობა პირველი,
როგორც ქალები მალავენ ასაკს.
საკუთარ თავის გქონდა იმედი,
ცალი ხაროვით უღელს შეები,
მაგრამ
როდესაც ახლოს მიხვედი,
შენ შეგეშინდა ბედნაერების.
მაინც მიხვედი,
მიხვედი ისე,
როგორც მიდიან თოვლში კოცონთან,
ცოტათი მაღლა იწვევდი კისერს
და თავი ცოტა უფრო მოგწონდა.

როგორც შეგეძლო,
ისე გიყვარდა,
ველარ ახსენი დუმილის რაზა,
და შენ მალავედი გრძნობას პირვანდელს.
როგორც ქალები მალავენ ასაკს.
იგრძენ,
რომ წიგნებს ყმაწვილკაცობის
ძალიან დიდი ნაწილი მიეცე,
რომ „არა“ ზოგჯერ ნიშნავს თანხმობას
და რომ ქუჩაში ყიდიან იებს.
ქუთუთოებმაც იგრძენეს სიმძიმე
და ვერ იპოვნეს თვალებმა რული,
მარცხენა მხარზე ველარ იძინებ,
შენ ზუსტად იცი,
სად არის გული.
შენ იცი დიდი კანონი მიწის,
რომ სხვა სამოთხე არ არის არსად.
აბლა შენ იცი,
შენ კარგად იცი,
რატომ მალავენ ქალები ასაკს.
შენ დღესაც გიყვარს,
როგორც გიყვარდა,
ცალი ხაროვით ეწევი უღელს
და ისე მალავ გრძნობას პირვანდელს,
როგორც ქალები მალავენ მუხლებს.

• •

უნდა გავეძქე,
უნდა გავეძქე
მაღალი მთების ვიწრო დერეფანს,
სივრცეს იპოვნის სული ვაკეზე
და თვალი ლაქვარდს მიეფერება,

გულს გაახარებს ბარის ბალახი,
სადაც ლამაზი დუმილი მეფობს.
...თუ შეიძლება,
ცა დამანახეთ,
ძალიან მაღლა წასულთ მთებო!

• •

სამი წლის წინათ,
სამი წლის წინათ
შენ გიხაროდა პირველი თოვლი,

შენ გიხაროდა პირველი ია
და ჩერო —
შენი ოცნების ტოლი.



სამი წლის წინათ
 წახვედი ზღვაზე,
 ზღვა დაინახე პირველად მაშინ,
 შენ სული გქონდა ტალღებით საესე
 და წვიმის წვეთებს უსმენდი ქარში.
 სამი წლის წინათ
 ეძებდი ვარდებს
 და იმაგრებდი თმებში ლეროთი,
 სამი წლის წინათ

ნაპირთან მარტო
 იდექი,

თითქოს ხომალდს ელოდი:

სამი წლის წინათ
 ზღვა იყო დინჯი
 და შენ ოცნების იაღქნებს ენდე...
 შენთან მოვიდა მაღალი ბიჭი,
 მაგრამ ეს იყო ...სამი წლის შემდეგ.



შენ წამწამები დახარე ოდნავ
 და თვალს არიდებ სარკეებს ცივად.
 თითქოს უეცრად გამოგაღვიძეს
 დიდი და ტყბილი სიზმრების შემდეგ:
 ერთბაშად სახლი გეპატარავა,
 დაგივიწროვდა კაბები უცებ,
 გადაივიწყე ნათესაეები
 და ხშირად გრჩება კარები ღია.
 დასცქერი შენი ბავშვობის სურათს,
 სხვისი თვალებით უმხერ ყველაფერს,
 დახუჭავ თვალებს,

საკუთარ თავსაც
 სხვისი თვალებით უყურებ ზოგჯერ.
 ყველაფერია ოცნება შენთვის, —
 შენთვის მოკლეა იანვრის ღამეც,
 გაწუხებს ვიღაც,
 გაშინებს რაღაც,
 მიტომ დახარე წამწამი ოდნავ
 და თვალს არიდებ მაღალ სარკეებს,
 მაგრამ — გეძახის ბედნიერება,
 რომელსაც ველარ დაემალები.



მე ერთი ძველი სურათი მიყვარს —
 იქ ჩემი თავი ძალიან მომწონს.
 ეს სურათია იმჟამინდელი,
 ოდეს ალალი ბიჭი ვიყავი,
 ერთი ტყუილი არ მეტყვა ჯერაც,
 არ დამეშალა არცერთი ბუდე
 და ერთი ბავშვიც არ გამელაზა,
 რადგანაც თავათ ვიყავი ბავშვი.

აი, ამიტომ,
 აი, ამიტომ
 მე ჩემი ძველი სურათი მიყვარს,
 ძალიან მიყვარს და მინდა, რათა —
 ოდეს ცხოვრების შარას გაევილი —
 წარსული ჩემი მომწონდეს იმე,
 ვითარცა მომწონს სურათი ჩემი.

3. სპირაზი



მეგობრებს

მე ვიზრდებოდი უხალისოდ, ზანტად
და წყნარად,
საგულნაკლულოდ პატარა და მორცხვი
ზედმეტად,
ამოცანების ამოხსნაზე ვტიროდი
მარად,
წლის ყველა დროში წამლების სმა თან
დამყვა ბედად.

ბოლოს ოჯახის მორთულობა
ძლიერ მომწყინდა,
მომწყინდა, როგორც შეჩვეული კარის
კრალი,
მძლე ქარიშხალი და გაშლილი სიერცე
მომინდა,
ხმა აზვირთებულ მდინარეთა, ზღვების
ღრიალი.

დაუნანებლად მივატოვე ოჯახი უცებ,
ვხეტიალობდი,
სად არ ვიყავ, აბა ვინ იცის!
ჩემიანების გასაკვირად, გასაოცებლად,
მე მეტრომშენში
შევიქენი მბურღავი მიწის.

ცვლის შემდეგ, როცა ამოვედი მე
მალაროდან,

მყის მოვიწმინდე შუბლი,
სველი რომ მქონდა ნაპით.
პირველად ვიგრძენ ფეხქვეშ მიწა და
მიხაროდა,
რომ განვიცდიდი მის მშვენებას მთელი
სიამით.

ეს გრძნობა იყო
ვით ნაპოენი და მონაგარი,
დედაქალაქში დაედიოდი არა
ცანცალით:

ჩემი ნაბიჯი უკვე გახდა
მტკიცე, მაგარი,

ბატონ-პატრონის ადვილურვე ღონით
და ძალით.
ავლა-დიდება მთელი ჩემი აი, ეს არი:
სამხედრო ბილეთს და პასპორტსაც
ჯიბით ვატარებ;
მაქვს პატეფონი, დღე-ნიადაგ
მოუსვენარი,
მაქვს ჩემოდანი, იმ ჩემოდნით სად არ
ვიარე.

სხვა საოჯახო ნივთებიც მაქვს,
ჩამოვთვლი რიგით:
სარკმელთან რომ დგას, გასაშლელი
საწოლი არი,
მაქვს კალოშები
გვირაბებში მქირდება იგი,
თალხი მაუდის ტანსაცმელიც მაქვს
საკეთარი.

და ამათ გარდა, სხვათაშორის, ბევრი კი
არა,
მომეპოვება ცოტა გროში,
სახარჯო ფული;
ბოლოს, სხვადასხვა საქაღალდე სავესეა
მარად, —
მასში ვინახავ ხელნაწერებს,
ხეაშიაღს გულის.

სხვა არაფერი გამაჩნია მე შესახიდი.
ყველა ნაცნობი ასე ფიქრობს, ამრიგად
ბჭობენ,
რომ ეს ქონება არ არისო ძალიან ღიდი,
ცოტა არისო, ძლიერ ცოტა, ასე
ამბობენ.

მე არ დაუწყებ ტყუილ დავას მათ
არასოდეს,
გამელიმება
და ჩემს გულში ვიფიქრებ ასე:
ზედმეტი ნივთი გვირაბგამყვანს რად
უნდა ჰქონდეს?

რამი სჭირდება უბრალო კაცს ნივთი
ძვირფასი?

მე სულ სხვა საქმე და სხვა ფიქრი
მიტაცებს, ძმებო?—

მინდა ყოველდღე გამოვინახო დრო,
თუნდ მცირედით.

განმარტოებით ვჯდები მაშინ მე
საგანგებოდ,

ვცდილობ ავწერო თქვენი ყოფა. შრომა,
იმედი.

ყოველ სიტყვაზე მე ბევრს ვფიქრობ,
არ ვზოგავ ძალას,

რომ რასაც დაეწერ თქვენს შესახებ მე
წრფელი გულით,

თქვენს გულს ხედებოდეს,
აღუღებდეს თქვენს გრძნობას

ხალასს,
არ იქნეს ფუჭი, უსარგებლო და
დაკარგული.

დღენი დნებიან შეუმჩნევლად, ჩუმად
გატოვებენ,

ო, რა-რიგ სიბრძნით საეჭო სიტყვებს
გულში ვინახავთ,

ჩვენ იმედები გვამხსნევენ,
გვასაზრდოებენ:

რაც დღეს ვერ შევძელთ დაგვეძლია
ხვალ გადავლახავთ.

ამიტომ არის,
დავას. იმედს,

წუთებს ოცნების,
ჩემს მაგიდას და

მყუდროებას პატარა ბინის,
მე არ გავცვლიდი

თუნდ შემპირდნენ თვით ოქროს
მთები

და ან ზღაპრული მდინარენი შუშხუნა
ღვინის.

თარგმანი გრიგოლ ცხეცლაძისა

ს უ თ ნ ი

ანზორ ნიკოლაშვილს მამა სამამულო ომში დაეღუპა. ყმაწვილი ადრე მოწყვეტიტეს ბავშვურ, უღარდელ ცხოვრებას და ტოლ-ამხანაგებში ნაწარდს. ისე კი, როგორ უნდოდა სულ მათთან ყოფილიყო, ექიდავა, ეხტუნა და ლელო გაეტანა. გული სწყდებოდა ბავშვს, დრო არ ჰქონდა, მტკვრის პირას სილაში ეგორავა და მერე აფოფრილ ტალღებს ქოჩორზე მოჰქცევოდა. ბანაობას რომ მორჩებოდა, გული ბაღებისაკენ მიუწევდა, მაგრამ, როგორც კი გაახსენდებოდა შინ თვალცრემლიანი დედა მელისო, მოზრდილივით ჩაფიქრდებოდა და გულში მისთვის ჯერაც შეუცნობი ნაღველი ჩაუდგებოდა. ათას უბედურებაგადატანა, ხანდაზმული კაცივით მძიმედ ჩაფიქრებული ბრუნდებოდა შინ. შეატყობდა თუ არა დედა უხალისობას, აცრემლდებოდა, მერე, შვილს არ დავანახოო, შებრუნდებოდა, ხელს კაბის კალთას შეავლებდა და მალულად თვალბეჭეში ამოისევამდა. ნაძალადევიად გაღიმებულ დედას ანზორიც უღიმოდა, მაგრამ დედის ღიმილივით მისი ღიმილიც ნაძალადევი იყო.

ანზორი ყველაფერში დედას ჰბაძავდა — ტირილსა და სიცილში. შრომასა და გავლა-გამოვლაშიც. მზრუნველი დედის თვალბეჭე რა გამოეპარებოდა: რაკი ერთხელ მიუხვდა დედა შვილის გულისწუხილს, არა თუ ცრემლს, გულში რომ ცეცხლი ჰქონდა გაჩენილი, იმასაც უშალავდა. როცა ბოღმა შემოაწევებოდა, სახლიდან გარბოდა, სარდაფში ჩაიკეტებოდა და თეთრეულის რეცხვაში იქანებოდა. დარდი

ცოტათი მიუყუჩდებოდა თუ არა, ისევე ოთახში ამოვიდოდა, პატარა ანზორს თვალბეჭეში ჩახედავდა და მერე ნაზიკოსა და ზაურის მოეფერებოდა. ისინი ზომ ანზორზე უმცროსები იყვნენ, მათ ზომ ამ ქვეყნისა არაფერი ესმოდათ! ამ დროს ანზორი მხოლოდ ერთს ამოჰხედავდა დედას და გულში რომ „მატარებელი“ მოუტანა, იმას დაუწყებდა კირკიტს, ხან ორთქლმავალს მოხსნიდა შემადგენლობიდან და ხან ვაგონს.

მეზობლის ბიჭები ფანჯარაში თავს შემოპყოფდნენ, მაგრამ ანზორი, თითქოს იატაკზე ყოფილიყო მიჯაჭვული, ეჭვს შეინძრეოდა, წამოდგომას დააპირებდა, მერე რაღაც გაახსენდებოდა, გული შეეკუმშებოდა და მხრებჩამოყრილი ისევე იატაკზე დაეშვებოდა.

გაბრაზებული ბიჭები ხელს ჩაიქნევდნენ, გამოაჯავრებდნენ და უღარდელი სიცილითა და სიმღერით გარბოდნენ. დედამ არ დამინახოსო და თვალცრემლიანი ანზორი ფანჯრიდან დიდხანს გასცქეროდა ტოლებს, ისინი კი ხელი-ხელჩაკიდებულნი, ქრიამულით გარბოდნენ მტკვრის ნაპირისკენ.

ანზორის გასართობი ისევე ორთქლმავალი იყო. ხან ოთახში დაარბენინებდა და ხანაც ეზოში ჩამოახრივინებდა. ამ დროს მართლაც ჩაესმოდა მას ყურში ორთქლმავლის კვილი. ანზორი ხედავდა, თუ როგორ გარბოდა მატარებელი დიდუბიდან სადგურისაკენ. მობრუნდებოდა და ახლა ისევე ჩაავლებდა ხელს თავის „ორთქლმავალს“.

დიდუბეში, რკინიგზის დარაჯის ჯიხურთან ერთ დღეს საშინელი ყვირილი

და წივილ-კივილი ატყდა, ქალები და მათ შორის სადგურიდან მომავალი ანზორის დედა სასწრაფოდ იქით გაეშურნენ. ჯიხურთან რომ მივიდნენ, საშინელი სანახაობა გადაიშალა მათ წინ: მატარებელს ვილაცის ბავშვი გაეჭანა. ეკატერინემ ანზორიც იქ რომ დინახა, კინლამ გაგიჟდა ქალი.

ის ბავშვი ანზორის ამხანაგი იყო. თურმე ორივენი სახლიდან გამოპარულიყვნენ, უნდოდათ ახლოდან დაენახათ თუ როგორ გარბოდა მატარებელი ლიანდაგებზე, მემანქანე სად იჯდა, როგორ მართავდა საქვს.

გონსმოსული ეკატერინე მიხვდა, შვილი პირველად არ იყო აქ. ხანდაჩან რომ გადაიკარგებოდა, თურმე აქ მოდიოდა, მატარებლის მოძრაობას უყურებდა. ახლა კი თვითონ ხედავდა: რა უბედურებაც მოჰყოლოდა მათს ამგვარ საქციელს. ანზორი გადარჩა, მაგრამ ეს მესობლის ბიჭი რომ დაიღუპა?

შინ რომ მიიყვანა ბავშვი, ეკატერინე მაშინვე სათამაშო მატარებელს ეცა და სულ მიღწე-მოღწეა. ანზორი კედელს აეკრა და ხმა გაემიდა. მას შემდეგ ანზორი დიდუბეში აღარ გაპარულა, მაგრამ მატარებელი ისევ ძველებურად იზიდავდა და იტაცებდა.

ერთხელ ეკატერინემ ანზორის საწოლთან ორთქლმავლის სურათს მოჰკრა თვალი. საცოდავი ჭკრივი, კინლამ შეიშალა, სურათი კედლიდან ჩამოხსნა და ის იყო ნაყუწ-ნაყუწად უნდა ექცია. ანზორი ხელბეში ჩააფრინდა და უძილო ღამეებში ჩუმად ნაცოდვილარი ნახატი ძლივს ვადაარჩინა.

დიდ საგონებელში ჩაეკარდა ეკატერინე. ეს ბიჭი უთუოდ ამ მატარებლის მსხვერპლი გახდებო, ფიქრობდა ის.

იმ ზაფხულს ანზორი ნათესავმა სოფელ მეტეხში წაიყვანა. იქ კი ვერ გაჰყვა დედა, რადგან სამსახურის გაცდენა არ შეიძლებოდა.

ანზორი სოფელში ჩასვლისთანავე თანატოლებში გაერია. ჯერ მტყვარზე გა-

ჰყვა მათ, მერე მწიფე პურის ყანებში. ქართლის ველები ბალნარაგვით ყველადახეხილს ტოტები ნაყოფით დახუნდალოდა.

ანზორმა განსაკუთრებით საადრეო ატმით იჯერა გული. ყვითელი ატმებით უბეები ამოივსო. საღამოს ჭილაობა გაიძარტა. ანზორიც ჩაერია ჭილაობაში. ზოგი თემოს თავზე გადმოიღო და ზოგსაც წელში შეუვარდა.

ამ გაწამაწიამი რომ იყო, ანზორმა შორიდან ხუთევაგონიან მატარებელს მოჰკრა თვალი. მოჰქროდა მატარებელი, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ მას არც ორთქლმავალი ება წინ და არც ელმავალი, არც კიოდა და არც ღულუნებდა, არც ორთქლი ამოსდიოდა მილიდან და აღარც ქშინავდა.

„ნეტა რა უნდა იყოს? რა ძალა მოაგრილებს ამ ვაგონებს?“ ფიქრობდა ანზორი და თან თვალებს არ აშორებდა. ლიანდაგი სწორედ შუაზე სჭრიდა ტრიალ დაბლობზე მოღალანე ყანას.

უცებ რაღაც თავისებური, მოგუდული ხმა გამოსცა მატარებელმა და სადგურის წინ შედგა.

— წამოდით ბიჭებო! — გასძახა ამხანაგებს ანზორმა და მკვიციხლად გაიქრა წინ. რკინიგზელის ფორმაში ვამოწყობილი, შუახნის კაცი, პირველი ვაგონიდან გადმოვიდა, ძირს დაიხარა და ვაგონების ქვეშ დაიწყო ცქერა. შუახნის კაცს იმგვარადვე ჩაცმული ახალგაზრდა გადმოჰყვა. მას ხელში ხელსაწყოები ეჭირა. იმ კაცმა გრძელტარიანი ჩაქუჩი ბორბლებს მიუთაკუნა, ბორბლებმა ზარივით ხმა გამოსცეს.

ანზორი სულ ახლოს იყო მათთან. სადაც ის ორი ძაა მივიდოდა, ისიც იქ ჩაეუტყვლებოდა. ვერაფერი გაეგო, რას მიჰყავდა მატარებელი.

ანზორი ერთხანს კარგა მანძილით მოშორდა მათ. მერე გულმა არ მოუთმინა, ისევ ახლოს მივიდა, საფეხურზე შეხტა და მგზავრებით გაქვილი ვაგონში შევიდა. შიგნით უჩვეულო სისუფ-

თავე იყო, მეორე ვაგონშიც შევიდა, ისიც ისეთივე მიშვიდველი სანახავი იყო, როგორც პირველი. ძირს რომ ჩამოხტა და ვაგონები გარედან კიდევ შეათვალიერა, ახლა უფრო უკეთესი ეჩვენა.

კვლავ იმ რკინიგზელთან მიიხრბინა. ერთი მათგანი მემანქანე იყო, მეორე მისი თანაშემწე. მემანქანე ისე არ მოაბრუნებდა ენას, რომ მაღალი და დაბალი ძაბვა არ ეხსენებინა. ხან კი, როცა ვაგონს ქვემოთ ურიკას უკერეტდა, გოგორწყვილსა და რესორსაც ახსენებდა.

ანზორი ფეხაკრეფით მოჰყვებოდა იმათ უკან. მემანქანემ მოქლონიც ახსენა, თანაშემწეს უთხრა, ურიკაზე მოქლონი გაცვეთილა და ყანყალებსო.

სულ დაიბნა ანზორი, თანაშემწეს თვალს არ აშორებდა, მაგრამ ახლა უფრო ის აინტერესებდა, თუ სად იჯდა მემანქანე და რა ძალას მიჰყავდა ეს უცნაური მანქანა.

— ძია, ამ ვაგონებს ორთქლმავალი არ სჭირდება? — შეეკითხა ანზორი.

— არა, ბიჭიკო.

— ელმავალი?

— არც ელმავალი.

— არც ელმავალი? — თავისთვის ჩაილაპარაკა ვაოცებულმა ანზორმა.

— ელექტრომობტორს მიჰყავს ბიჭიკო.

— მიჩვენე, ბიძია, ელექტრომობტორი? — შეევედრა ანზორი და ისეთი თვალებით ახედა, ქვესაც მოუღებებოდა გული.

მემანქანეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— წამო ბიჭიკო, ბორჯომში წაგიყვანთ და ისევე ჩამოგიყვანთ, იმასაც აგიხსნით და გაჩვენებთ, რას მიჰყავს ვაგონები.

— არა, ძია, დეიდა გამიჯავრდება, ფიქრებს მატარებელმა გაიტანაო.

— აბა, ჩქარა, მოდი, გაჩვენებ. — მკლავში ჩააელო ხელი უფროსმა მემან-

ქანემ ანზორს და ანზორიც მარტად ჩააფრინდა სახელურს.

ანზორმა ბევრი ათვალირა ის ადგილი, სადაც მემანქანე იჯდა, მაგრამ ვერაფერი გაუგო.

— ბიჭიკო, ძალიან გინდა ყველაფერი იცოდე?

— მინდა! — გაბედულად მიუგო ანზორმა.

— მაშინ ხვალ, თბილისში, დეპოში მოდი და ყველაფერს დაწერილებით აგიხსნი, ახლა კი უნდა წავიდეო. — თავზე გადაუსვა ხელი შუახნის კაცმა ანზორს.

ანზორს გული დასწყდა. მეტი ვერაფრის თქმა რომ ვერ მოახერხა. უცებ გაახსენდა ის, რაც უნდა ეთქვა.

— ძია, რა ჰქვია ამ მატარებელს?

— მოტორვაგონ-სექცია, ბიჭიკო. მოდი, ხვალ მოდი დეპოში და ყველაფერს გეტყვი. ახლა კი...

ანზორმა თვალის დახამხამებაში ისკუბა ვაგონის საფეხურიდან.

მატარებელმა დაბალი, გაბზარული ხმით დაიცივლა და ისეთი სისწრაფით გაფრინდა, რომ ანზორმა თვალიც ვერ შეასწრო.

ანზორი ერთ ადგილას იდგა და ფიქრობდა თუ რას მიჰყავდა ეს მატარებელი, რა იყო მაღალი და დაბალი ძაბვა, მოტორვაგონ-სექცია და ურიკა.

— მემანქანე უნდა გავხდე, ბიჭებო, მემანქანე! — წამოიძახა უცებ ანზორმა.

ბიჭებმა ანზორს სიცილი დააყარეს, მას შერცხვა, ერთ ადგილას გაშეშდა.

•
•

ანზორ ნიკოლაშვილს ძალიან უნდოდა ესწავლა, საშუალო განათლება მიეღო და უმაღლეს სასწავლებელშიც შესულიყო, მაგრამ ამისი საშუალება არ ჰქონდა. დედა ჭურჭლების მრეცხავად მუშაობდა სასადილოში. მას ძველებურად აღარ შეეძლო წამოჩატული ობლების მოვლა-პატრონობა. ამიტომაც

ანზორმა გადაწყვიტა დედას მხარში ამოსდგომოდა და მასთან ერთად ოჯახის ხელმძღვანელობა ეკისრა. მეექვსე კლასის ბუჯითმა მოსწავლემ გულისტკივილით დათმო ესოდენ საყვარელი მერხები და მოწიფული ვაჟაკით სამუშაოდ მოწყობაზე დაიწყო ფიქრი. სად არ მიიყვანა დედამ, სად არ ურჩიეს მებობლებმა, მაგრამ არ იქნა და ვერ-სად ვერ გადაწყვიტა მუშაობის დაწყება.

— აბა, სკოლა რისთვის დასტოვე, შეილო? — ბრაზობდა ეკატერინე. ყმაწვილის გულში დიდი ხნით ამოჩემებული აზრი თანდათან იკიდებდა ფესვებს, სულ მატარებლის კივილი, ელმავლის თავისებური ღულუნი და იმ საოცარი მოტორვაგონის მოგუდული დგანდგარი ჩაესმოდა ყურში.

გზოში კვლავ დარბოდნენ ტოლები, ხელს უქნევდნენ, მტკვრისკენ იწვევდნენ.

უცებ იმ ძიას ნათქვამი გაახსენდა, „დეპოში მოდი ზიძიკოო“ და იხანა, რომ თბილისში მობრუნებული არ მივიდა იმ კაცთან. ამ დროს ანზორმა ოთახში შემოგდებული ახალი გაზეთი გაშალა და მეოთხე გვერდზე ასეთ განცხადებას წააწყდა: „თბილისის ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხანა შეგირდებს იღებსო“. ანზორმა იმ განცხადების ქვემოთ მოთავსებული პატარა კორესპონდენციაც წაიკითხა, მასში ზეინკალ ვასო მეტრეველს შრომასა და ხელობას უქებდნენ, იმასაც წერდნენ, მეტრეველი ახალგაზრდებს ძალიან ეზმარებო.

ეს ქარხანა აზირის სახლიდან არც ისე შორს იყო და იმასაც ბევრი არ უფიქრია, კარი გააღო და ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ შედგა. ვერ გადაწყვიტა სად მისულიყო, ქარხანაში თუ დეპოში. იქვე ცრამვაიც ჩამოდგა. ანზორი ტრამვაის შეახტა და ცოტა ხანში თბილისის სადგურში ამოყო თავი.

ანზორმა ერთხანს დეპოში გასასვლელი ვერ იპოვა, ყველგან ელმავლები და ორთქლმავლები ჩამწყვრივებულნი. დიდი ვაიეგლახის შემდეგ, როგორც იქნა, დეპოს მიაღგა. მთელი დღე იცადა ანზორმა დეპოში, მაგრამ ის კაცი მინც ვერა ნახა. კარგად რომ შებნელდა, ისევ ვაგონების ქვეშ გამოძვრა და არაქათგამოლეულმა ძლივს მიაღწია სახლამდე. ისე მიეგდო საწოლზე, ჭამაც არ გახსენებია.

დილით ქარხნის საყვირის ხმას აპყვავა ანზორი და ღრმადელისაყენ გასწია. მალე ლოკომოტივების შემკეთებელ ქარხნის კარებს მიაღგა. ახლა მთავარი ის იყო, თუ როგორ შესულიყო შიგნით და ვინ ენახა. მთელი ორი საათი ალაყაფის კარებთან იტრიალა. დარაჯს ვერ გაუბედა ქარხანაში შემიშეო. ბოლოს თვით მოხუცმა დარაჯმა მიაჭია ყურადღება.

— რა გინდა, ბიძიკო, ვის ელოდები?

— გაზეთში ამოვიკითხე, ქარხანას მუშები სჭირდებათ! — ძლივს ამოიღგა ენა ანზორმა.

დარაჯი მძიმედ შემობრუნდა და მის წინ მდგარი ბიჭუნა მუშტრის თვალით შეათვალიერა.

— მერე, ბიძიკო ჯერ შენ დედის რძე არ შეგშრობია ტუჩებზე და მუშაობას როგორ შესძლებ?!

— ოღონდ შემიშვი შიგ და შეეძლებ, ბიძია შეეძლებ! — შეევედრა ანზორი დარაჯს.

— კი მარა, ბიჭო, დედა არ გყავს ან მამა, ასე მარტო რომ მოსულხარ?

მამის ხსენებამ გული ატყინა ანზორს.

— მამა ომში დამეღუპა, დედას კი... გამოეეპარე, — ნალელიანად ჩაიდუდუნა ანზორმა.

— მამ, ომში დაგეღუპა მამა, არა? ეებს. — ამოიოხრა თანაგრძნობით დარაჯმა და კეთა მოიფხანა.

ანზორმა თავი ჩაღუნა.

— გაზეთში წავიკითხე, ვასო მეტ-

რეველი ახალგაზრდებს კარგად ეხმარებაო, მართალია ბიძია?

მოხუცი ხშირ უღვაშებში ჩაეცინა. ანზორს ხელი გამოსდო მკლავში:

— წამოდი, დირექციაში მივიდეთ.

— დირექციაში რა მინდა?

— აბა, ვასო მეტრეველმა რა იცის შენ ვინა ხარ, პირდაპირ ის ხომ ვერ მიგიღებს, ბიძიკო!

მოხუცი მანამ არ მოშორდა ანზორს, სანამ გამოცდილ ოსტატს, ვასო მეტრეველს არ ჩააბარა მისი თავი.



იმ საღამოს ანზორი სიხარულით ცას ეწია. უბნის ბიჭებთან თამაშით გული იჯერა. შინ რომ მოვიდა, ვერც აქ მოისვენა, რას აკეთებდა თვითონაც არ იცოდა. დედა გაოგნებით შეჰყურებდა უფროს ვატიშვილს და ფიქრობდა, რამ გადარია ეს ბიჭიო.

არც მეზობლებს გამოსჰპარვიათ ანზორის უცნაური საქციელი. მაგრამ ვერავის ამოეხსნა თუ რა ახარებდა აქამდე ნიადაგ დაღვრემილ ბიჭს.

მეორე დღით ოსტატმა გოცებულ ბავშვი საამქროში გაატარა-გამოატარა, უამრავი დაზგები, მანქანები და შესაკეთებლად შემოყვანილი ლოკომოტივები აჩვენა. ანზორი ოსტატს შეშინებული მიჰყვებოდა. მოულოდნელად ანზორის თავის ზემოთ რაღაცა შემხარავად ახრიალდა. დამფრთხალი ბიჭი მყისვე ოსტატს ამოეფარა. მეტრეველს გაეცინა და დაფეთებულ ანზორს აღერსიანად უთხრა:

— ნუ გეშინია, ანზორ, ზევით აიხედე.

ანზორმა მართლაც გაბედულად აიხედა ზევით. გოცდა ბიჭი: მთელს საამქროს გასწვრივ სულ მალა, თითქმის ჭერთან, რკინის ვეებერთელა ხიდის ბოლოს, პატარა ჯიხურში ქალი შენიშნა. იგი ისე დაარბენინებდა აქეთ-იქით ამწეც, რომ ანზორს სათამაშო მატარებელი მოაგონდა. იმ ხიდს ქვევით ღუ-

ზისმაგვარ ჩანგლიან ჯაჭვზე რკინებით საესე უხარმახარ ქუთი იყო გამოზმული. ანზორს ხშირად უნახავს სოფელში ქორი, რომ დაესხმოდა თავს წიწილებს და ზევით აიტაცებდა, მაგრამ ასეთი რამ კი არსად არ ენახა. „ამდენი რკინის ერთბაშად ასე მალა ატაცება ვის გაუგონია?.. ფიქრობდა თავისთვის ანზორი.

ამასობაში ის მოძრავი ხიდი, რომელსაც ვასო მეტრეველმა ხიდური ამწე უწოდა, ზედ მის თავთან დადგა. ლოკომოტივის ნაწილებითა და ბორბლებით დატვირთული ყუთი სრიალით ჩამოეშვა ძირს და მას მუშები მიესივნენ.

— მიანა! — დაიძახა ერთმა და იმ რკინების ურჩხულს ჩანგლიანი ჯაჭვი შემოხსნა. მეორე მუშამ პირველზე უფრო ომხიანად გასძახა ზემოთ:

— ვირა! — და ის ჯაჭვი თვალის დახამამებაში აფრინდა მალა და ხიდური ამწეც რახრახით სწრაფად გაქანდა; ანზორს ასე ეჩვენა, თითქოს თვითმფრინავმა გადაამიარა თავზეო.

ოსტატი სხვებივით როდი იცინოდა, იგი გულდასმით აცნობდა ანზორს საამქროს საქმიანობას. უხსნიდა და თავისი ბავშვობაც ეხატებოდა თვალწინ.

პირველ დღეს ადამიანი არა თუ შეეგუება უცხო გარემოს, არამედ თვალსაც ვერ მიაჩვევს მას. საამქროში კი ათასნაირ მანქანა-დანადგარებთან ერთად შეუნელებელი ხმაური იყო. ანზორს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა ასეთ მანქანებზე, ყველაფერი — ადამიანები, საგნები და მთელი გარემო უცხოდ მოეჩვენა, გულთან ახლოს ვერ მიიტანა, ვეღარ შეეგუა, პირიქით, თითქოს ხელი ჰკრესო, გაქცევაც კი განიზრახა, მაგრამ ოსტატი რაკი მიუხედა ანზორს გულისწადილს, უფრო დაუყვავა, მკლავი გადასდო და ახალ-ახალი ჩარხები, ელექტროდანადგარები და მათთან მოფუსფუსე ადამიანები გააცნო.

ანზორი გონზე ვერ მოსულიყო, აღარ იცოდა რომელ მანქანაზე შეეჩერებინათ თავისი დამფრთხალი თვალები!

ვასო მეტრეველმა ანზორი იმ დღეს საამქროს უფროსს და სხვა ოსტატებსაც გააცნო. მერე დამხმარე მუშად მიამაგრა ურიკების შემკეთებელ ბრიგადას, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

იმ საღამოთი ანზორი დაქანცული და გაბრუებული იყო.



ანზორი მალე შეეჩვია ქარხნის ცხოვრებას. ახლა ხიდური ამწეების ამაზრუნენი რახრახი და ჰაერმჭრელების გაბმული ხმა აღარ აშინებდა.

ვის არ გამოუცდია პირველი ხელფასის მიღებით გამოწვეული სიხარული, მაგრამ ის, რაც ანზორმა იგრძნო და განიცადა არ გავდა არავის სიხარულს. ჯერ იყო და მოლარესთან ძლივს შეიყვანეს, მერე კი იმ ხანდაზმულმა ქალმა რვაასი მანეთი რომ ჩაუთვალა, ანზორმა აღარ იცოდა, რა ექნა.

დღემ ამეანზე ამოსული ფერდაკარგული ანზორი რომ დანახა, თვითონაც ფერი ეცვალა, მაგრამ შეიღს კარგად დააკვირდა და მიხვდა, ანზორის თვალების უჩვეულო ციმციმი ცუდის მთქმელებელი არ უნდა ყოფილიყო.

— რა ამბავია, შვილო?

— არაფერი, დედა, აი, ჩაიბარე! — და ანზორმა გაზეთში გამოხვეული შეკრა მიაწოდა.

ეკატერინემ ფრთხილად გახსნა იგი და...

— შვილო, შვილო! — აჩურჩულდა, მერე ძალა მოიკრიბა, უნდოდა რაღაც ეთქვა. მაგრამ უცბად ტირილი წასკდა.

ანზორი ხედავდა რომ დედის გულში სიხარული და მწუხარება ერთად შედედებულებოდა, სიხარულს მწუხარება დაემარცხებინა.

ეკატერინემ უცებ იგრძნო, რომ ბიჭი ოჯახს საიმედო ბურჯად შეუდგა.

მართალია, ანზორი დამხმარე მუშა იყო, მაგრამ იგი გულდაგულ მუშაობდა ზეინკლის პროფესიისა და ექსპლუატაციის შემდეგ ოსტატმა საამქროს უფროსს წარუდგინა ანზორი.

— ამხანაგო უფროსო, ხომ გახსოვთ რა ტლუ ბიჭი ჩამაბარეთ?

— მახსოვს. — დაუდასტურა მიხეილ კუპრაევამ.

— ახლა მე ზეინკალს გაბარებთ! — და ვასო მეტრეველმა ანზორს ალერსით გადაუსვია ხელი თმაზე.

— ყოჩაღ, ვაჟაკო! — შეაქო მიხეილმა ანზორი. — თქვენ რომელ თანრიგს მისცემდით, ოსტატო?

მეტრეველი ახლა კი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ პასუხი მაინც არ დაუყოვნებია.

— მეოთხეც შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ მესამე იკმაროს, ბავშვია, გაიზრდება და დაოსტატებასთან ერთად თანრიგიც მოემატება.

დღის ბოლოს ანზორი სახლისკენ გარბოდა. აივანზედაც არ იყო ასული, ისე შესძახა დედას.

— დედი, მომილოცე!

— რა მოგილოცო, შვილო? — კარებთან შეეფეთა ეკატერინე.

— რა და, მესამე თანრიგი.

— მესამე? — ვერ მიხვდა ეკატერინე, რა იყო ეს მესამე თანრიგი.

— დღეიდან მესამე თანრიგის ნამდვილი ზეინკალი ვარ, ნამდვილი! — გაიმეორა ანზორმა ხმადაბოხებით საამქროს უფროსისა და ოსტატის სიტყვები.

იმ საღამოს მთელმა დიდებულმა გაიგო, რომ ანზორი უკვე ზეინკალი იყო.

გავიდა რამდენიმე ხანი და მეზუთე თანრიგოსანი გახდა. ამ თანრიგების მომატებასთან ერთად ხელფასიც მოემატა. ანზორმა ათას ხუთასი მანეთი ჩაუთვალა დედას. ორი წელიც არ იყო გასული, ანზორს მეექვსე თანრიგი მისცეს.

— ანზორ! ორ წელიწადში რომ ასეთი სისწრაფით თანრიგები მიმელო

ახლა ამ საამქროს მთავარი ინჟინერი ვიქნებოდი, — მიულოცა ვასო მეტრეველმა ანზორს.

— ოსტატო, თქვენ ჩემთვის მთავარი ინჟინერიც ხართ და უფრო მეტიც.

— ეს მხოლოდ შენთვის, ანზორ, ისე კი ბრიგადირი ვარ, მეტი არაფერი, შენი ოსტატი კი ნოდარ გოგოლაძეა.

— არა, ბიძია, ყველაფერი ხარ, ყველაფერი!

— მაგას თავი დაეანებოთ, შენ ეს მითხარი, დიდი კაცი რომ გახდები, შენთან თუ გადამიყვან სამუშაოდ?

— დამკინი, ბიძია?

— რავე დაგკინი, ბიჭო, მართალს გუბნები, დასაკინი რა გაქვს, ასე მალე ექვსი თანრიგი მიეღოს მუშას და ისიც შენისთანა ბლარტს, მე ჯერ არ გამოგონია, დასაკინი რა გაქვს, საამაყო ბიჭი ხარო! — სიყვარულით ეუბნებოდა ოსტატი ანზორ ნიკოლაშვილს.

— შენს ამაგს ჩემი ოჯახი არასოდეს არ დაივიწყებს. ბიძია ვასო, თუ გვიკადრებთ და სახლში გვეწვევით...

ველარ დაასრულა ანზორმა, თავი მორცხვად ჩაქინდრა.

— მე არ ვიქნებოდი და სხვა გასწავლიდა, ასეთია ცხოვრება!

— შენ მაინც სხვა ხარ, ბიძია, უფროსიც ხარ, ოსტატიც, ბრიგადირიც და... მამაც! — ეს უკანასკნელი სიტყვა თითქმის ჩურჩულით დაამთავრა ანზორმა.

ოსტატი ფიქრებში წავიდა. მამით ობოლი ბიჭის სახით იგი მომავალი, ხვალინდელი დღის საუკეთესო ცვლას ხედავდა.

ოსტატი და შეგირდი იმ ერთ ადგილს იდგნენ და ერთმანეთს მართლაც მამა-შვილური სიყვარულით შეჰყურებდნენ.

• •

ანზორ ნიკოლაშვილს ბავშვობის დროინდელი ნატურა დიდი ხანია ასრულებოდა. ჯერ ერთი, ახლა იგი სულ ორთქლმავლებსა და ელმავლებს ა-

ლო ტრიალებდა, მეორეც — ის მატარებელი, რომელიც მანქანელებს სოფელ ქეტხეში წახა და მანქანებს კაცმა მორავაგონ-სექცია უწოდა. უკვე მისთვის ზღაპრულ რამეს აღარ წარმოადგენდა. ახლა იგი ისეთივე ახლობელი გამხდარიყო მისთვის, როგორც გლეხისთვის ხარ-ურემი.

რა მალე გაირბინეს წლებმა და რა შორს დარჩა ის დღე, როდესაც ანზორმა მორავაგონ-სექცია პირველად დაინახა ქართლის თვალუწვდენელ ველებზე.

ეს იყო შეიდი წლის წინათ.

ახლა ის მორავაგონ-სექცია აგერ მის წინ არის აყირავებული, ანზორი მისი ბეჯითი „მკურნალია“, იცის ზეინკალმა თუ რა „აწუხებს“ და უჭირს შეიდი წლის წინათ ასე უცნობ მანქანას.

ახლა ქარხანაში ყოველ დღე რაღაც ახალი ხდებოდა, მაგრამ ერთ დღეს ისეთი ამბავი დაირხა, რომ ანზორი განცვიფრებული დარჩა. ჯერ კარგად ვერც კი გამოკრეველიყო, რომ საყვირის ხმა გაისმა.

მუშები საამქროში შეიკრიბნენ და მიტინგი გაიმართა.

მიტინგმა ყველას ამცნო ელმავალ-მშენებელი ქარხნის დაბადება თბილისში.

იმ საღამოს ანზორმა მთელ თავის უბანს მოსდო ეს ამბავი, ძალიან უხაროდა, მაგრამ რომ გეკითხათ, გაოგნებული ბიჭი ვერ გეტყვოდათ, რა უხაროდა. სწორედ ასეთი განწყობილებით მივიდა იგი ქარხანაში მეორე დღეს.

— გაიგე, ანზორ?

— რა, ბიძია ვასო?

— მორავაგონ-სექცია ისევ ორთქლმავალ-ვაგონ-მემკეთებელ ქარხანაში გადააქეთ. ყველა მუშა და ოსტატი თან გაჰყვება ჩემს გარდა.

— ბიძია, მიშველე. დამტოვე შენთან?

— ეს უკვე გადაწყვეტილია, მორჩა და გათვალა! — მტკიცედ მოუტრა ოსტატმა. ანზორს იერ წარმოედგინა მეტ-

რეველთან დაშორება, შეილივით იყო მასთან შერდილი და შეჩვეული. იმ ღამეს ჯავრით აღარ ეძინა. მკვიდრი ზამა არ ახსოვდა, პირველი წრთობა ამ პაღლიანი ოსტატის ხელში იგრძნო, ზეინკალიც მის ხელში ვახდა. ხელფასს რომ აიღებდა ანზორი, ოსტატს შინ მიიპატიებდა ხოლმე, მეტრეველიც არ უტეხდა ხატის ობოლ ბიჭს. გულში უჩვეულო სიბზოს გრძნობდა, როცა ეს ნაადრევად დადინჯებული ბიჭი პატარა ქიქას მიაწოდებდა და ოჯახის წევრთა გასაგონად გამოცდილი კაცივით ჩამოილოცებოდა. ვასო მეტრეველს მარჯვენას ულოცავდა მთელი ოჯახი.

ახლა კი? ახლა როგორ უნდა მოშორებოდა ანზორი ასეთ კაცს. არა, უმკველად უნდა დარჩენილიყო ანზორი მეტრეველთან.

ამ გადაწყვეტილებით მივიდა იგი ღირქციანში, მაგრამ იქიდან ცივი უარით გამოისტუმრეს. მაშინ ისევ ოსტატს წარუდგა დაღვრემილი ბიჭი.

— ბიძია, რამდენი სიკეთე გიქნია ჩემთვის, გთხოვ, ახლაც ნუ დაიშურებ მადლს, დამტოვონ შენთან, — შეევედრა ოსტატს.

— მთელი საამქრო გადადის, შენ ახლა ჩემსავით ბრიგადირი ხარ, მეექვსე თანრიგის ზეინკალი, ხომ იცი შენ საგანგებოდ მოგიტხოვეს, უნდა გაჰყვე. — უჭირდა მეტრეველს ამ სიტყვების თქმა, მასაც ენანებოდა ასე მარჯვე და მოსიყვარულე ბიჭთან დაშორება.

— მე მაინც შენთან მინდა, — იმეორებდა ბავშვურად ანზორი.

— მერე და იცი რა ქარხანაში მიდიხარ, მარტო მისი სახელი რად ღირს, ბიჭო? — გამხნევდა მეტრეველი ამ სიტყვებზე და ანზორს თვალბეჭდში ჩახედა.

— ვიცი! — მიუგო ანზორმა და ოსტატის სიმხნევე მასაც გადაედო.

მეორე დღეს მთელი საამქრო ახალ ადგილზე იყო.

— დაგვიბრუნდა, დაგვიბრუნდა! —

იძახოდნენ ძველი ქარხნის მუშები. თითქოს დაკარგული შვილი დაბრუნდა ბოდა მამას.

ანზორი კი თავის გულში ახლა მეტრეველს როდი ევედრებოდა დარჩენას, პირიქით, მასაც სთხოვდა, შენც ჩვენთან გადმოდიო.

ანზორს კარგად ახსოვს, როგორ ჩაუვარდა გულში ლილის სიყვარული, რაღაც ისე მოხდა, რომ გაიცნო თუ არა ის აკმალებელი გოგონა, შინ ველარ დგებოდა, ეკატერინე რაღაცას ამჩნევდა შვილს, მაგრამ რა ემართებოდა ბიჭს, ვერ მიმხვდარიყო. ანზორი წინათ თუ ყოველ საღამოს სახლში იყო, ახლა მოვიდოდა თუ არა ქარხნიდან, ცოტას უგულოდ და ძალისძალათი წახებმებდა და საღმაც ისევ გარბოდა.

— ანზორ, შვილო, ერთხელ მაინც დაისვენე წესიერად, შენი თავი აღარ გეცოდება? — წუხდა დედა, აშკარად ამჩნევდა შვილს ასეთ მოუსვენრობას.

— კლუბში მეძახიან, დედა, მალე მოვალ! — უბასუხებდა ერთსადაიმავეს და ყოველ საღამოს გვიან ბრუნდებოდა შინ.

სულ გამოიცვალა ანზორი.

ცუდად არასოდეს არ ეცვა მას, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მიჰყო ხელი სიკობტავესა და სისუფთავეს. ქონორსაც დაეტყო ცვლილება, ზოგჯერ თუ შუბლზე თმა ჩამოშლილი გაივლიდა ქალაქში, ახლა, თითქოს პირველად ხელავდა სარკეს, მიდგებოდა და დახუჭუჭებულ თმას გულდაგულ ივარცხნიდა. ანზორის მკაფიო, ცოცხალ გამომეტყველებას ვაჟაოჟი იერი მისცემოდა. საშუალო ტანისა იყო ანზორი, მკვრივი და კუნთებმაგარი. ოცი წლის კაბუქს ისეთი გამომეტყველება მიეცა, ყველა მიხედებოდა რაღაც შინაგან დუღილს განიცდიდა მისი გული.

სახლიდან სწრაფად გარბოდა ანზორი

და შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა მძიმედ დაფიქრებული.

ეკატერინეს ვერაფრით ვერ ამოეხსენა შვილის ასეთი ცვლილება, მაგრამ ერთ საღამოს ყველაფერი ნათელი გახდა. ანზორი წინანდელზე უფრო აღრე დაბრუნდა სახლში და ეკატერინეს სთხოვა:

— დედა, თავი დამაბანინე!

— ახლავე, შვილო! — უთხრა დედა და წყალი გააცხელა. ხალათს რომ იხდიდა, გულის ჯიბიდან რაღაც გადმოუცურდა და იატაკს ფარფატივით დაეცა. ეკატერინე ფრთხილად დაიხარა და ხელში სურათი შერჩა, უცნობი ქალი-შვილის მშვენიერმა სახემ მზესავით შემოანათა, მისმა სილამაზემ თვალი მოსჭრა „ჰაა, აი რატომ ვერ ჩერდებოდა შინ“ — ჩაილაპარაკა ეკატერინემ და გადაწყვიტა დაემალა სურთი, მაგრამ აზრი შეიცვალა, სურათი გადმოაბრუნა და წარწერა ჩაიკითხა: „ჩემს ანზორს ნიშნად ჩვენი სიყვარულისა. ლილისაგან“. ეწერა ზედ და იქვე თარიღი იყო დასმული. ეკატერინემ კიდევ მიიტანა სურათი თვალთან, კიდევ დახედა ახალგაზრდა ქალიშვილის მომღიმარ სახეს, და მშვენიერ თვალებს. „ჩემს ანზორს...“ ჩაიჩურჩულა მან. და მერე შვილს მიუბრუნდა:

— ესაა შენი კლუბი?

ანზორმა ველარაფერი უპასუხა.

მთელი თვე დაუბრებულებით გაურბოდნენ დედა და შვილი ერთმანეთს, მაგრამ როგორ იწვოდა დედის გულს შვილის სიყვარულის ცეცხლით, ამას კარგად ხედავდა ანზორი. ხედებოდა, რომ ეკატერინეს ამ საკითხზე ლაპარაკიც აღარ უნდოდა. გაურბოდა და ვერაფრით ვერ შეგუებოდა იმ აზრს, რომ ანზორი ცალკე ოჯახს შექმნიდა.

ანზორის გულში ლილისადმი სიყვარული უფრო და უფრო იზრდებოდა, სხვა გამოსავალი არ იყო, დედისათვის უნდა ეთქვა ყველაფერი, მაგრამ გამბეჯობა დაღატობდა ანზორს. შეიძ-

ლება ვერც კი ეთქვა ვერასოდეს, რომ ისევე დედას არ დაეხსნა შვილი.

— მითხარი, შვილო, გამანდე, — მოეფერა დედა.

— რა გითხრა, დედი... — ჩაქინდრა თავი ანზორმა და ისევე ფანჯრისაკენ შებრუნდა.

— ძალიან გიყვარს? — ჩაეკითხა დედა.

— მიყვარს. — ჩურჩულით წარმოსთქვა ანზორმა.

— მაშ რატომ არ მოიყვან სახლში — თქვა ეკატერინემ.

— ამ ერთ პატარა ოთახში, როგორ დავეტევივით ხუთა სული?

— თუ გიყვარს, შვილო... მოიყვანე... მერე შეიძლება ბინაც მიიღო.

— კარგი დედა, მაშ უთხრა ლილის? — გათამამდა ანზორი.

— უთხარი!

ასე შეირთო ანზორმა ცოლი.

ეკატერინეს მოსიყვარულე გულს რძლისადმი სიყვარული შეემატა. ოჯახში პატარა ჯულიეტამ აქამდე გამეფებული მკუდროება ტირილით დაარღვია.

ხარობდა ეკატერინეს გული, ხარობდა მთელი ოჯახი. დაჰკრავდა ქარანის საყვარი და ანზორი სამუშაოდან სულმოუთქმელად გამორბოდა შინ. სახლში კი ღიმილით ხედებოდა მისი განუყრელა შევობარი ლილი და სიცოცხლის პირველა სიხარული — პატარა ჯულიეტა.

ამასობაში ანზორმა ბინაც მიიღო.

ანზორს იმისი შიში როდი ჰქონდა, ახალ სამუშაოზე ახალი ჩარხები და ახალი მოწყობილობა დამხედვება და ვერ გავერკვევიო. მართალია გარემო ახალი იყო, მაგრამ საამქრო — საუცხბით ნაცნობი, აღამიანებიც — ერთი ოჯახის წევრებივით ახლობელნი. ხალხი ტალღასავით აწყდებოდა ალაყაფის კარებს და მერე ყველანი უამრავ საამქროთა ლაბირინთებში იკარგებოდნენ.

ყოველი საამქრო რაღაც თავისებურ ხმას გამოსცემდა, ხოლო ერთად აღებული კი ერთს მთლიანსა და მხნე ვაჟკაცურ სიმღერას ჰქმნიდნენ. ამ ომახიან „გუნდში“ ძნელი იყო გაგება, რომელი იყო წამომწყები და რომელი ბანის მიმცემი. ანზორმა თავისი ახალგაზრდული ხმაც შეუერთა შრომის ამ მძლავრ ჰანგს, ბევრი რამ შეითვისა აქ ჰაბუკმა, ბევრი რამ საინტერესო გაავიწყველი მუშებიდან. უფრო და უფრო კარგად გაიცნო ქარხნის ისტორია. ახალი დანადგარი იქნებოდა თუ ჩოლდი-შვილის დროინდელი ჩარხი, ანზორი ყველაფერში თავისებურ სიცოცხლესა ხედავდა.

ანზორი ამ ქარხანაში მოწ-ეული იყო. ეს კი უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა მას. აქაც ხომ ბრიგადა ჩააბარეს! პირველ ხანებში ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, შემდეგ კი ანზორს გულში ახალი საფიქრებელი ჩაეჭრა. ეს ახალი იმდენად წარმტაცად ეჩვენებოდა მას, რომ აღარ იცოდა, როგორ დაეძრა იგი გულიდან; როგორ გაეზიარებინა სხვებისათვის.

— ოლივერ, — განძახა მურში ამოგანგულმა ანზორმა ალვის ხესავეთ შნოიანსა და ტანაყრილ ამხანავს.

— რა იყო, ანზორ, — თავზე წამოაღდა ოლივერი და გრძელი მკლავებით სახზე ჩამოშლილი თმა გაისწორა.

— ამდენმა ფიქრმა ლამის თავი გამიხვრიტოს.

— შენც ნუ ფიქრობ...

— მეზუშრები?

— მართალს გეუბნები, ქვეყნის საფიქრებელს შენ მაინც ვერ მოერევი?

ანზორმა ახლა მამია სალუქვაძეს გახედა. მამიას მართლაც არ ენახა ანზორი ასე ღრმად ჩაფიქრებული, ვერ გაეგო თუ რა გასაჭირი ადგა ბრიგადირს.

მამია ბრიგადის წევრებს შორის ყველაზე უფროსი იყო, ცხოვრების საკმაო გამოცდილება ჰქონდა და ყოველთვის

დინჯსა და საქმიან ახალგაზრდას ასე იოლად არაფერი გამოეპარებოდა.

— ბრიგადირო, შენი გასაჭირი ალბათ ჩვენი გასაჭირიც იქნება! — ჩაერია ლაპარაკში მამია.

— მაშ, აბა მომისმინეთ! — მიმართა ანზორმა ირგვლივ შემოკრებილ ამხანაგებს.

ყველანი სმენად იქცნენ.

— უკვე მეორე წელია ამ საამქროში ერთად ვმუშაობთ, მე მგონია მიცნობთ, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, როცა საქმეა გასაკეთებელი მაშინ დაე ენამ იყუჩოს, დაე, ამ ხელებმა ილაპარაკონ. ხომ გაგიგონიათ ხალხში ამბობენ, ნაკლები ილაპარაკე და ბევრი გააკეთეო, მე არასოდეს არ შეგონა, რომ ჩვენ ამ ახალ საქმეში ვინმე დაგვესწრებდა.

— რაში დაგვესწრეს? — გააწყვეტინა სიტყვა თამაზ ქაბუნიძემ. მას ვერ გაეგო რას გულისხმობდა ბრიგადირი, თუმცა არა მარტო თამაზი, სხვებიც ვერ ჩასწვდომოდნენ, რა ალაპარაკებდა ანზორს.

— კომუნისტური შრომის ბრიგადის შექმნაში...

— ვინ დაგვესწრო?

— აი, თუნდაც ნოდარ ნიკოლაძემ, ჩვენსავე ქარხანაში, იშრომეს, იბრძოლეს და გუშინწინ ეს წოდებაც მიიღეს.

— ახლა ყველაფერი გასაგებია, — თქვა თამაზმა.

— ჩვენს ქარხანაში მათ გარდა, თერამეტი კომკავშირული კოლექტივი იბრძვის ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

— ამდენ ლაპარაკს ის სჯობს, პირდაპირ გვითხრა, რას მოითხოვ ჩვენგან, — შეაწყვეტინა ოლივერ ავალი-შვილმა.

— ჰო, თორემ მალე საყვირი იქნება და... — დაუმოწმა მამიამ.

ბიჭებს საამქროს უფროსი მერაბ გაგუნაშვილი და ოსტატი დიმიტრი შავიძე წამოადგნენ თავს.

— ხელს ხომ არ გიშლით? — იკითხა მორიდებულად უფროსმა.

— რას ამბობთ უფროსო, პირიქით თქვენი დახმარება გვჭირდება.

— ილაპარაკე, გისმენთ. — უთხრა გაგუნაშვილმა.

— თავიდან არ დავიწყებ, განვაგრძობ... გვეყოფა უკან-უკან ჩანჩალი...

— მივჩანჩალებთ კი არა, ჯილდოებს ჯილდოებზე ვლებულობთ, — იწყინა მერაბმა.

ალბათ კიდევ კარგახანს გაგრძელდებოდა კამათი, რომ ანზორს კომუნისტური შრომის ბრიგადაზე არ ჩამოეგდო ლაპარაკი.

— ჰოო, ეს კი ჰუუსთან ახლოს არის, ბიჭებო, ამაზე მეც მიფიქრია, თქვენ კომკავშირელები ხართ და ამისთანა კარგ საქმეს თუ წამოიწყებთ, ჩვენს სამაჟორს ნამდვილად დაამშვენებთ. აბა თქვენ იცით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი — გაამხნევა მერაბ გაგუნაშვილმა ბრიგადის წევრები.

ბიჭები ანზორს მიაჩერდნენ, აბა რას იტყვისო.

— რადგან თქვენც ასე გვიჭერთ მხარს, უფროსო, დღეიდან ეს ბრიგადა კომუნისტური შრომის წოდებისათვის მებრძოლ ბრიგადად გამოვაცხადოთ, ავიღოთ ვალდებულებები და ვებრძოლოთ მისი შესრულებისათვის.

— სახვლიოდ ნუ გადავდებთ, დღესვე გამოვაცხადოთ თავი კომუნისტური შრომის ბრიგადად, განა არ შეიძლება? — იკითხა თამაზმა.

— ამ ქარხანაში ცხრაშეტი კომკავშირული კოლექტივი იბრძოდა ამ სახელწოდებისათვის. წოდება ჯერჯერობით მხოლოდ ნოდარ ნიკოლაძის ბრიგადამ მოიპოვა. საქმე ის არ არის, თავი გამოვაცხადოთ, ეს როდი კმარა, მთავარია ბრძოლა.

ურვიკის თავზე წამომჯდარი ოლივერი ძირს ჩამოხტა.

— ანზორი მართალია, ასე ყველა

იტყვის მე ესა და ეს ვარო! — დაემოწმა იგი ბრიგადის.

— მაშ, ასე, წინააღმდეგი ხომ არა ხართ? — იკითხა ანზორმა.

— თანახმა ვართ, მაგრამ...

— ალბათ გვექვემათ, ჯემალ.

— არა, დასაქმებული რა მაქვს. მინდა ვიცოდე, რა უნდა გავაკეთო.

— ამას ახლავე ვეტყვი, უნდა მოვიწადინოთ ძმებო, ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული, ძველებურად მუშაობა აღარ გვარგებს, შევიდწლიანი გეგმა ხუთ წელიწადში შევასრულოთ, ამ ხნის მანძილზე თვითუელმა საშუალო და უმაღლესი განათლება უნდა მივიღოთ. — ანზორი შეჩერდა და წამით თვალწინ განვილიმა გზამ გაიბრინა, მოაგონდა ომში დაღუპული მამა, მოაგონდა თავისი სკოლა, გაჭირვების გამო თოთხმეტი წლისამ რომ დასტოვა, მაგრამ ეს ნაღველი მალე გაუნელდა, როცა წარმოიდგინა მისი ბრიგადის წევრებს უკლებლივ ყველას საშუალო განათლება აქვთ მიღებული, თითონაც შევა საღამოს სკოლაში, ისწავლის, უთუოდ ისწავლის, და სწავლაშიც ისეთივე მოწინავე იქნება, როგორც წარმოებაში. ვისაც მის პირად ანექტაში არ ჩაუხედავს, მაგრამ მუშაობა უნახავს, ყველას ინიენერი ჰგონებია. გააჩენდა ყველაფერი ეს და ისევე მოვიდა ხასიათზე. ისევე ჩაუდგა თვალეში შექი.

— შრომის ნაყოფიერებაც ერთიორად გავზარდოთ, თვითღირებულება კი ათი პროცენტით შევამციროთ, ყოველწლიურად თვითუელმა თითო რაციონალიზატორული წინადადება უნდა შემოვიტანოთ, ვიყოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ყოფაცხოვრებაში! — ანზორმა კიდევ დაასახელა რამდენიმე მუხლი, ზოგმა სხვაც დაუმატა: ქარხნის ეზოში ხეები დავრგათ და სისუფთავე დავიცვათ. ბევრი რამ ითქვა ახალგაზრდებში.

— თქვენი ჰირი ჩემი ჰირი იყოს, ხოლო თქვენი ლბინი — ჩემი ლბინი, —

დასძინა ანზორმა და ამხანაგებს თვალი გადაავლო.

— ესე იგი ერთი ყველასათვის. და ყველა ერისათვის, არა? — შეეკითხა მამია ბრიგადირს.

— ასე, ჩემო მამია, მე ჩემებურად ვთქვი, შენ შენებურად, თამაზიც თავისებურად იტყვის.

— ერთი წინადადება კიდევ დავუმატოთ.

— რომელი, ოლივერ?

— მოდი, ნოდარ ნიკოლაძის ბრიგადა გამოვიწვიოთ შეჯიბრში!.. ნოდარმა ძალიან გაითქვა სახელი, მისი ბრიგადის წევრები ყველგან გამოდიან, ის კი არა, მათივე წინადადებით მგონი კულტურის უნივერსიტეტიც შეიქმნას ჩვენს კლუბში!

— ჰოდა, მაგას რა სჯობია, სწორედ ისინი გამოვიწვიოთ, — გახარებული ამბობდა თამაზი.

• •

ანზორმა იმ ღამეს ბევრი იფიქრა აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე, მაგრამ არც მამიას მოუსვენია. მეორე დღით ისიც ადრე მოვიდა საამქროში. ბიჭებიც ადრე მოსულიყვნენ.

იმ დღეს საოცრად თოვდა. გარეთ ქარბუქი იდგა, მაგრამ ამ დღე საამქროში ბიჭებს გაგანია ცეცხლი წაპყიდებოდათ.

ბრიგადირი კარგად გრძნობდა, რომ ყველას გულისყური მისკენ იყო მიპყრობილი. დღეს მათ სული უნდა ჩადგათ გვერდებჩამტვრეული უროკისათვის, ანზორს უხაროდა, რომ თამაზი და ჯემალი, ეს თვრამეტი-ცხრამეტი წლის ტალიკი ბიჭები ვაჟაკურად შებზოდნენ წამოყირავებულ უროკას.

არც ისე დიდი დრო გასულიყო ვალდებულებების აღების შემდეგ, რომ ერთ დღეს მერაბ გაგუნაშვილმა, მთელი საამქრო კომუნისტური შრომის

წოდებისათვის მებრძოლ საამქროდ გამოაცხადა.

ანზორმა კარგად იცოდა, რომ მისი ბრიგადა მოტორვაგონ-სექციის მთავარი დასაყრდენი იყო. ამიტომაც მერაბი ყოველდღე თავს დასტრიალებდა მათ. ანზორიც ხვდებოდა, საით ეწეოდა მერაბი: ისინი ერთი-მეორეს კარგად იცნობდნენ ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნიდან.

— ანზორ, მართალია ის ამბავი მერაბს რომ უთქვამს? — ჰკითხა შესვენებისას მას თამაზ ქაბზინაძემ.

— არ ვიცი, რა უთქვამს?

— ჩვენს საამქროში მალე ელმავლების შეკეთებას დავიწყებთო.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი ქარხნის ფირნიშზე ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლის ნაცვლად ელმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას წავიკითხავთო.

— მართალია, ბრიგადირო?

— ორთქლმავლებმა თავისი დრო მოჰამეს, თამაზ, მაგრამ ჯერ მაინც დარჩა ისეთი უბნები, სადაც ელმავლები ვერ დადის, მალე იქაც შეაღწეოს ელექტროფიკაცია და მერე ეს ორთქლმავლები სამუზეუმოდ თუ გამოდგება თორემ...

— ნუთუ დასაჯერებელია, რომ ასე იქნება?

— ჰო, ასე იქნება, რათ გიკვირს, ცხოვრება წინ მიდის, ხალხი მთვარეზე გაფრენას აპირებს და რა შეიქნა ეს შენი გარუჯული ორთქლმავალი, სულ ასე ხომ არ უნდა დარჩეს. ეს არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, ჩვენს საამქროს ჯერ-ჯერობით ელმავლის შეკეთება გაუჭირდება! — ფიქრიანად დაასვენა ანზორმა.

— მაშ რა უნდა ვქნათ? — იკითხა შეწუხებულმა ოლივერმა.

— რა და... ელმავლების კაპიტალური შეკეთების კომბინატი შეიქმნება.

— კომბინატი?

— ჰო, ხარკოვის საპროექტო კანტორას შეკვეთილი აქვს, უმოკლეს ხანში დააპროექტოს ეს კომბინატი.

— კმ, ეს როდისღა იქნება, ხომ გავიგონია, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩვენიაო.

— შენ ყველაფერზე ასე იძახი, ოლივერ, აი ვნახავთ მომავალ წელს კომბინატის მშენებლობა დაიწყება და ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ელმავლების შეკეთებას. მანამდე კი სხვაც ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ.

— მაინც რა? — გააწყვეტინა მამია სალუქვაძემ.

— პირველ რიგში ჩვენ ელექტრომობრაჟი შემადგენლობის წევრის ძრავების შეკეთება უნდა ავითვისოთ.

— რანაირად, ბიჭო, ცარიელი ხელებით? — დაეჭვდა მამია.

— ცარიელი ხელებით რატომ, ჩარხები, საშრობი ღუმელები, დანადგარები და სხვა მოწყობილობანი უკვე მივიღეთ.

— საიდან, ანზორ? — იკითხა მამიამ.

— სხვადასხვა მანქანათმშენებელი ქარხნებიდან! — სთქვა ანზორმა და მამიამ იმევე წუთში გაახსენდა აზოვის ზღვის პირას გაშენებული ქალაქი.

თამაზი გულუბრყვილო, მიაშიტი და მართალი თვალებით შეჰყურებდა ანზორს, გასულ წელს მას თავზე დიდი უბედურება დაატყდა, — მამა მივიღინების დროს გარდაეცვალა. თამაზს ალბათ ამ დარდის ვადატანა უფრო გაუჭირდებოდა, ანზორის ბრიგადაში რომ არ მოხვედრილიყო. თავაუღებელმა და აზრიანმა შრომამ მას გულზე შემოწოლილი ჯავრი ცოტათი მაინც შეუმსუქა, ანზორმა, თითქოს მის სულში ჩაიხედაო, მიხვდა ჭაბუკის წდაილს და კითხვებზე მშვიდად უპასუხებდა.

— შენ ყველაფერი გცოდნია, ანზორ!

— ჩაილაპარაკა თამაზმა.

— ბიჭო, რატომ არ უნდა ვიციოდე, ისე კი ჩვენ შორის დარჩეს და მერაბმა მამამო ყველაფერი. ისიც მითხრა, მალე

გზათა სამინისტროდან წევრის ძრავებისა და დამხმარე მანქანების გამოსაცდელ ელექტრონულ სტენდებსაც მიგიღებოთ. მოკლედ, ბიჭებო, მაშინ ჩვენი საამქროს სულ სხვა იქნება.

— კი მაგრამ სად დაეტევა ამდენი დანადგარი ამ საამქროში? მერე და ჩვენ ელმავლების შეკეთებას შევძლებთ?

— მაცალე, მამია, გეტყვი; კომბინატთან ერთად აშენდება სამანქანო, სააპარატურო, საურთიკო, საკომპლექტო და საამწყობო დამხმარე საამქროები. ახლა ჩემი თქმა რად გინდათ, თქვენ თვითონ ხედავთ, ყველაფერი ამ ერთ საამქროში კეთდება, მაშინ კი სხვანაირად იქნება.

* *

ანზორი არც თავის წარმატებებს უმალავდა ლილის და არც მარცხს.

იმ დილით ლილის წინ დიდხანს იყო გარინდებული.

— რა იყო ანზორ, ცუდად ხომ არა ხარ? — შეწუხდა ლილი.

— არა, ისე, რაღაც გამახსენდა, — თითქოს ენა დაეზაო, ისევე გაყუჩდა.

— რა გავახსენდა, არ მერყევი?

— არაფერი, გენაცვალე, დღეს მოვალ და...

— მოხვალ, აბა სად წახვალ?

— ჰო, მოვალ-მეთქი. — დაიბნა ანზორი, მზინც არ უთხრა მეუღლეს, რომ დღეს მისი ორი ნაციონალიზატორული წინადადების ბედი წყდებოდა და თუ კარგად წავიდოდა საქმე, მალარიჩი იყო საქმეო. აბა, ბიჭებო ისე რას მოეშვებოდნენ? ოლივერი, ალბათ წუხელის სიზმარშიც თამაღობდა მომავალ ქეიფს.

მართლაც ანზორს მხოლოდ ოლივერი დახვდა საამქროში.

— მალარიჩი ხომ არ დაგვიწყებია, ანზორ? — საღმის მაგიერ შეაგება ოლივერმა ბრიგადირს. ანზორი ძალზე ამხანაგურად იყო ავალიშვილთან. ოჯა-

ხშიაც იშვიათი სტუმრები როდი იყვნენ ერთმანეთთან. თამაზი და ჯემალი კი გასულ წელს მოვიდნენ ქარხანაში, ჯერ მოწაფეებად მიიღეს ისინი. ანზორმა ცოტა ენერგია როდი დახარჯა, სანამ ხელობას შეათვისებინებდა მათ. ახლა ორივენი ზეინკლები იყვნენ, მაგრამ ისევ ისეთი მოკრძალებულნი დარჩნენ, როგორც პირველ დღეს. ოლივერა კი ისე იყო ანზორთან, როგორც ტოლიტოლთან.

სწორედ იმ დროს მოვიდნენ ჯემალი და თამაზიც, როცა ოლივერმა მეორეჯერ უთხრა, ვქეიფობთ თუ არაო.

ანზორმა ცერის თითი უჩვენა — აი, ასე ვარ პირობაზეო.

ალბათ ოლივერი მალარიჩის ხატრით კიდევ დიდხანს იქაქანებდა, რომ ამ დროს მერაბი, დიმიტრი, ინეინერი კაზიმირ გაზდა და ვილაც ერთი უცნობი კაცი არ გამოჩენილიყვნენ.

ანზორი შეერთა, ოლივერმა ეს მყისვე შეატყო და მეგობრის გამხნეება ხუმრობით სცადა, მაგრამ ანზორს ახლა მისთვის არ ეცალა.

ის უცნობი კაცი მერაბს მოჰყვებოდა; მერაბი უცნობს რაღაცას უხსნიდა და ისიც რაღაცას ეკითხებოდა.

მათს ლაპარაკს თამაზი ყურს უგდებდა. ოლივერი თავის ახოვანი ტანით ყველას მაღლიდან დაჰყურებდა. ურიკას ხან ზევით მოქეცოდა, ხან ქვევით. ნამდვილად კი ყური მათკენ ეჭირა.

— მაშ, ასე? — თქვა უცნობმა, — თქვენ დამტყიცებულად მიგაჩნიათ ეს წინადადება?

— შე მგონია, განმეორება არ არის საჭირო.

— განმეორება საქმეს არ აცნებს! — ჩაერია დიმიტრი შავიძე და მერაბს ანიშნა, უფრო ბეჯითად აუხსენიო. მერაბიც ალაპარაკდა.

— ამ საბუქსო მიმმართველის სადგდების ღარვა ხელით ხდებოდა, ეს კი ძალზე დიდ შრომას მოითხოვდა. ამხანაგმა ნიკოლაშვილმა პნევმატურ ჩა-

ქუჩის მოუწყო სპეციალური ღოჯი, რისი შემწეობითაც სამუშაო დრო ორმაგად შემცირდა და შრომის ნაყოფიერება ერთი ორად გაიზარდა, მეორე წინადადება კი ასეთია: მოტორვაგონ-სექციის საცდელი გარბენის შემდეგ, სარესორო ჩამოკიდების მოწყობა ხდებოდა ძალზე პრიმიტიულად, ხელით, ნიკოლაშვილმა კი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დომკრატები გამოიყენა, რითაც სამუშაო გაადვილა და შრომის ნაყოფიერება სამჯერ გაზარდა. ორივე გამოგონება ჩვენს სამქროს ყოველთვიურად რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს! — განმარტა მერაბ გაგუნაშვილმა.

— თქვენ რას იტყვით, ოსტატო? — შეეკითხა უცნობი დიმიტრის.

— მართალს ამბობს ამხანაგი მერაბი. — დაუმოწმა შავიძემ უცნობს.

— რა კი ასეა, ტექნიკური საბუქო დღესვე განიხილავს თავის სხდომაზე ამ საკითხს, — დაასვენა უცნობმა და სამქროდან გავიდა. მერაბი, დიმიტრი და ინეინერი კაზიმირ გაზდაც თან გაჰყვნენ.

— წერილობითი დასაბუთება და ნახაზები, ანზორ?

— ყველაფერი მათთან არის წარდგენილი, მამია.

— უჰ, გავიხარე და ის არის, ბიჭო.

— სიხარული დღის ბოლოს უნდა ნახო, თამაზ! — და მამია ანზორს გაჰყვა. ანზორი კი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ უკვე შეეკეთებული ურიკა მოტორვაგონის ქვეშ შეედგა და მერე მის გასინჯვაზე თან გაჰყოლოდა ქართლისკენ.

• •

ანზორი კარის ზღურბლზე შემდგარიყო. არავის ესმოდა მისი გულის ძგერა. ბიჭებმა დარბაზში რომ შეიხედეს და ნახეს ტევა აღარ იყო, ეზოში გამოვიდნენ და სასმელი წყლის ონკანთან, სკამებზე ჩამოსხდნენ.

მხოლოდ ანზორი დარჩენილიყო დღი

კარებთან. უკან რომ მოიხედა და ბიჭები ვერ ნახა, თითქო მუხლებში ძალა გამოეღიაო, უძღურებამ და გაუბედობამ მძლავრად ჩასჭიდა უჩინარი ხელები და ვერაფრით ვერ მოახერხა ნაბიჯი გადაედგა წინ და კარის ზღურბლს გამცდარიყო, თითქოს ამ კარის ზღურბლის იქით განსაკუთრებული ღონე თუ საშვი იყო საჭირო, რომ ანზორსაც კჭონოდა უფლება აქტივით გაჭედვილ დარბაზში ლალად და თამამად შესულიყო. ბიჭები არსად ჩანდნენ. მარტოდ მარტო მდგარი ანზორი კი ერთ ალაგას გახევებულიყო.

ანზორმა აქედანვე შენიშნა ის უცნობი კაცი, რომელმაც ამ დღით მისი წინადადებები გაიწყო, გულისგამხერტი ეჭვი აწუხებდა ანზორს, ქარხკომი რა შუაშიაო, ესეც გაიფიქრა მან.

თავმჯდომარემ დღის წესრიგი დაამტკიცა. საკითხები უამრავი იყო. ჯერ ცალკეულ საამქროთა მიღწევები და ჩამორჩენის მიზეზები დაახასიათეს, ბოლოს მომხსენებელმა მოტორვაგონსექციის შესახებ ჩამოავდო საუბარი.

მოტორვაგონ-სექცია ყველა მანქანებლების მიხედვით მესამეჯერ გამოდიოდა პირველ ადგილზე, მერაბი ამას ისე უსმენდა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს, არც ის გაკვირვებია, რომ მის საამქროს სათანადო ჯილდოები და სიგელები მიაკუთვნეს, პირიქით, იგი, თითქოს უფრო მეტს მოელოდა და მთელი ეს ამბები მასში რატომღაც სიხარულს არ იწვევდა.

კარებთან მდგარი ანზორი მომხსენებლის ლაპარაკს უსმენდა.

— ამხანაგებო, კომისიამ გამოარკვია და დადასტურა, რომ მოტორვაგონსექციის საამქრომ ნაყისრი ვალდებულებები ყველა დარგში გადაჭარბებით შეასრულა; წინადადება არის მას კომუნისტური შრომის საამქროს წოდება მიენიჭოს! — დაამთავრა მან და დარბაზში ტაშმა იფეთქა.

ახლა კი შეიშმუშნა და აწრიალდა

მერაბ გაგუნაშვილი, მისი სიღინჯე, თითქოს თვალსა და ხელს შუა გაჭრა, ამდენმა შემოჩერებულმა თვალმა თავი ძირს დაახრეინა.

მერაბს ამხანაგები მორიგ გამარჯვებას ულოცავდნენ.

— მე... მე რა შუაში ვარ, — გამოერკვა მერაბი და ირგვლივ მიმოიხედა, ვიღაცას ეძებდა, — ეს, ზომ იმ ახალგაზრდის წყალობაა! — იმეორებდა იგი, მაგრამ იმ ახალგაზრდას რომ ვერსად მოჰქრა თვალი, წამოდგა და დარბაზს გადახედა.

— მე რა შუაში ვარ ამხანაგებო, აგერ ის... — ხელი გაიშვირა მერაბმა და მთელმა დარბაზმაც იქით გაიხედა.

კარებთან ანზორი იდგა, ისეც მარტოდმარტო და სახეაღწევილი, დამორცხვებული და თვალბმობიციმციმე.

მერაბმა ანზორს მოუხმო, ბრიგადირმა კარის ზღურბლს გადააბიჯა, სიხარულით გაბრწყინებული თვალები მოავლო მეგობრებს, რომლებიც აღტაცებით შესტყროდნენ მას, ანზორი დარწმუნდა, რომ დღეიდან ცხოვრების მორიგი და ძნელი ზღურბლი გადალახული იყო.

სხდომა მუშაობას განაგრძობდა. დიმიტრი შავიძის კითხვაზე კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, ელგუჯა სახვაძემ სიტყვა ითხოვა:

— ამხანაგებო, დიმიტრი შავიძემ განაცხადა, ანზორ ნიკოლაშვილის ბრიგადა რომ არ ყოფილიყო, ჩვენი საამქრო ამ საპატიო წოდებას ვერ მიიღებდაო, თანაც, როგორც ჩანს, ნაწყენია, საამქრო ამ წოდებას ღებულობს და ბრიგადა არაო, საქმე ის არის, რომ დღემდე კომკავშირი ანიჭებდა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებას, ახლა კი ეს უფლება პროფკავშირებს გადაეცა, თუმცა ამით არსებითად არაფერი შეცვლილა, ამხანაგ ნიკოლაშვილის ბრიგადამ თებერვალში იყისრა ვალდებულებები, დადასტურდა, რომ მათ მოლოდინს გადააჭარბეს და თ-

ვიანთი ვალდებულებები სამშაგად შეასრულეს; ამის გარდა, დღეს ანზორის ორი მეტად მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც უკვე დანერგულია წარმოებაში, ტექნიკურმა საბჭომ მოიწონა, ამიტომ ჩვენი წინადადება ანზორ ნიკოლაშვილის დამკვერელ ბრიგადას მიენიჭოს კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება.

კომიტეტის სხდომამ ეს წინადადება მიიღო.

ხალხი წამოიშალა. უჩვეულოდ აღელვებულმა ანზორმა პირველმა დატოვა დარბაზი ფეხაკრებით და ამხანაგებისაკენ გაეშურა. ანზორი დაბნეული იყო და ენას ვერ იღებდა.

*
*

ეკატერინე უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ წუხელის ანზორთან სრულიად შემთხვევით შეიარა. რამდენი რამ ახალი და კარგი გაიგო. ლილის სუფრის თადარიგში წაეშველა, მოუსვენარი ჯულიეტა შეიქცია და თან ცალი თვალი შეილისაკენ დაიჭირა, აბა, რას იტყვის, როგორ გაუძღვება ტოლებს თავისი მასპინძლობითო.

ბედნიერ დედას დილით ადრე გაეღვიძა. გაუკვირდა, რომ ანზორი ფეხზე იდგა, მის თვალში ანზორი ახლაც ისეთივე პატარა იყო, როგორც ამ ათიოდეწლის წინათ, მაგრამ ისევ ისეთივე წლის წინათ, მაგრამ ისევ ისეთივე დინჯი და გამგონე, როგორც ყოველთვის. შეკაყურებდა უსიტყვოდ შვილს, იგონებდა წარსულს და გული სევდით ეკუმშებოდა, მოგონებები ღრუბლების ქარავანივით ერთმანეთს მისდევდნენ. იმ გაუხარელი დღეების ტანჯვით აღსავსე სურათები ერთმანეთს ცვლიდნენ, მაშინ ხომ შვილს ცრემლიან თვალებს არიღებდა, ზოგჯერაც ნაძალადევად გაიღიმებდა, რომ ობოლი ბიჭის გულში ნაღველი არ გაჩენილიყო.

თითქო ყოველივე ეს გუშინ იყო. დღეს კი მისი ღიმილი მაშინდელივით ნაძალადევი როდი იყო, ახლა მთელი დედური არსებით ხარობდა იგი. და ამ ბედნიერი წუთების განცდისას მომდგარ ცრემლებსაც აღარ უშალავდა შვილს.

ანზორი მშვიდად შესცქეროდა მას. არც მისი ღიმილი იყო წინანდელივით ნაძალადევი.

— შეილო, ასე ადრე რათ ადვილ, წუხანდელი ღამენათევი ხარ, ცოტა დაისვენე! — მზრუნველობით მიმართა ეკატერინემ ანზორს და მკერდში ჩაიჭრა, ხუჭუჭა თმა გადაუვარცხნა, მოეფერა. ეს წუთები ორივესათვის რაღაც ისეთი სანეტარო იყო, რომ არცერთს ხმას არ ამოუღია, დედისა და შვილის გული ახლა სხვებისთვის გამოუცნობს, თვალით დაუნახავს, ხელით შეუხებელს, მაგრამ მათთვის კარგად ნაცნობ გრძნობას შეეპყრო.

— დედი, ხაშურისაკენ მივდივართ! — დაუგვიანა პასუხი ანზორმა.

— რათა, შეილო?

— მოტორვაგონ-სექცია გასასინჯად მიგვეყავს, შეეკეთება დავამთავრეთ!

— უძილო რომ ხარ?

— ახლა თავის ტკივილმა გამიარა, დედი.

— მაშინ, აი, ბორჯომის წყალი დელიე... ნეტავ მეც მოვდიოდე გორში, ქალიშვილს ვნახავდი! — და ეკატერინემ ბორჯომის წყლით საცხე ბოთლი მიაწოდა. ანზორმა ერთი აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და მერე ბოთლი ტუჩებთან მიიღო, სული რომ მოითქვა და ცარიელი ბოთლი იქვე ჩამოსდო, დედას მიუხებდნენ:

— წამოდი, დედი, წაგიყვან.

— სამსახური, შეილო?

— მაშინ, სხვა დროს იყოს, ახლა ბაქოს რკინიგზის დეპოს მოტორვაგონ-სექცია მიგვეყავს, მალე ქალაქ ორჯონიკიძისას წაგიყვანთ და იმ დროისათვის მოეშადა.

ანზორმა ხელბირი დაიბანა, წასასვ-

ლელად მოეშადა, მაგრამ ეკატერინემ მკლავში წაავლო ხელი და შეაჩერა.

— ასე უზმოდ, როგორ შეიძლება შეილო, ცოტა წაიხემსე.

— არა, დედი, ახლა ლუქმა არ გადავა ყელში.

— გული მოგიწანწალდება, ბიჭო, ეს ერთი ლუქმა მაინც გაღუქე...

ეკატერინემ ხაჭაპურის ნაჭერი ძალით შეაჩერა ხელში.

— რადგან ასეა, ერთ ჰიქასაც დავლევ!

ანზორი მეორე ოთახში გავიდა, სუფრა ჯერ ალაგებული არ იყო. ზორაჯი ბევრი დარჩენოდით, ინატრა, ნეტავი დღეს კვირა იყოსო, ჩაის ჰიქაში თეთრი ღვინო დაასხა, ცოტა მოსვა და ისევ დიდგა. ტანში რაღაც უსიამოდ გააჩრეოლა, მერე კონიაკს მოჰკრა თვალი, დაასხა და უცებ გადაჰკრა, ის ხაჭაპურის ნატეხივ მიიყოლა, ქუდი დაიხურა და ეკატერინეს უთხრა:

— ეს კი კაი საქმე ჰქენი დედა, ახლა ხასიათზედაც კარგად ვარ.

ანზორს გულმა არ მოუთმინა, საწოლ ოთახში შეიჭვრიტა, ლილის ჯულიეტა მკლავზე გადაეწვინა და ორივეს ტბილად ეძინათ. ანზორმა მათეც წაიწია, მაგრამ დედის ჩურჩულმა შეაჩერა.

— დაეხსენ, შეილო, ცოდონი არიან, გაიღვიძებენ, — ანზორი დედის ნებას დაჰყვა და გარეთ გამოვიდა.

მიდიოდა ანზორი გზაზე და ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა, გუშინდელი კრების ამბები თავში უტრიალებდა, ერთი რამ მისთვის ნათელი იყო, დღეიდან კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ემატებოდა, მაგრამ თავისი ამხანაგების მონდომებასა და საქმისადმი სიყვარულს რომ წარმოიდგენდა, ეს მოვალეობა არც ისე ძნელი ეჩვენებოდა.

აი, უკვე საამქროშია.

ეზოში შემოყვანილ ლიანდაგზე მორტორვაგონ-სექცია დგას. წინ პატარა ორთქლმავალი უბია. მერაბი და დიმიტრიც ჩვეულებრივზე უფრო ცხოვლად ფუსფუსებენ. აქვე არიან შემუხრუქე შურა თედევცი, ძალზე მოსული ვაჟკა-

ცი, მთავარი გამსინჯველ კამო მეზურნოვი, მისი თანაშემწე და სხვები.

მორტორვაგონ-სექციას მს. პატარა ორთქლმავალი რკინიგზის ჩრდილოეთის პარკამდის მიიყვანს, იქ კი ელმავალს მოუბამენ. რატომ ელმავალს? მორტორვაგონ-სექციას ხომ არც ელმავალი სჭირდება და არც ორთქლმავალი? მაშ რა ამბავია? ეს მორტორვაგონ-სექცია ბაქოს ეკუთვნის. იქ და ორჯონიკიძეშიც ათასსულთასვოლტიანი ხაზებია. საქართველოში კი — სამიათასვოლტიანი. ბევრჯერ უკითხავთ ანზორისათვის ამის მიზეზი და ყოველთვის აი ეს პასუხი მიუცია.

— გამარჯობა, კამო, აბა შენ იცი ხელობას თუ არ დავგიწუნებ, — მიმართა ანზორმა მეზურნოვს და განიერ მხრებზე ხელი დაჰკრა.

— ბიჭო, დასაწუნი ხელობა რომ გქონოდა, გუშინ კომუნისტური შრომის წოდებას არ მოგანიჭებდნენ, მართლა მომილოცავს, ძმამო! — სიხარულით მიმართა მან მეგობარს.

— ვითხრეს?

— მითხრეს რომელია, მთელმა ქარხანამ გაიგო, წუხელ რადიომაც გამოაცხადა.

— რას ამბობ, რადიომაც?

— მაშ შენ რა გეგონა!

ანზორს მერაბმა მოუხმო და ყველანი ვაგონში შევიდნენ. მემანქანემ ვაგონები დაძრა და ჩრდილოეთის პარკისაკენ გაეშურა. გახავალში, მგისრეების ჯიხურთან, მორიგე ქალმა, რომელსაც სახე საოცრად მონუსხოდა, სექცია გააჩერა. მერაბი მაშინვე ძირს ჩამოხტა.

— თქვენი ელმავალი სად არის! — გულმოსულად იკითხა იმ ქალმა.

— რა გაჯავრებს, ქალო!

— როგორ რა მაჯავრებს, სად გაგიშვით, რომელ ხაზზე გაგატაროთ, დისპეტჩერი არ იძლევა ხაზს.

— ელმავალი, აი აგერაა, ახლავე მოვაბამთ. დისპეტჩერთან მე მიმიშვი, — მიუთითა მერაბმა დეპოდან ახლად გამოსულ ელმავალზე, რომელიც ცოტა

მომორებით იღვა და ჯიხურში შესული ვილაცას ტელეფონით დაელაპარაკა.

— წამოდი, სადგურის უფროსთან! მერაბს შუბლი თანდათან ექუფრებოდა, თითქოს მოსალოდნელ უსიამოვნებას წინასწარ გრძნობდა.

ორივენი სადგურის უფროსთან იდგნენ. სადგურის უფროსი ჯერ ვილაცას ტელეფონით დაელაპარაკა, მერე პირი უსაშველოდ დააღო და მთქნარებით მერაბისაკენ ზანტად შემობრუნდა.

— არ გიშვებენ, ძმაო, მე რაღა ვქნა.

— აბა, სად გავსინჯოთ ეს ოხერი სექცია, — თავს ძლივს იკავებდა მერაბ გაგუნაშვილი.

— არაფერი შემიძლია, ძმაო, ხომ ხედავ რა მოძრაობაა, სექციის გასინჯვა კი არა, სატვირთო ვერ გამოიტარებია.

— შენ აქედან გამიშვი და მერე მე ვიცი. — მერაბმა სცადა მისი დაყოლიება.

სადგურის უფროსმა თვალები აახამხამა.

— როგორ გავიშვა, შე კაცო, ურემი ხომ არ არის, რავა, საციმბიროდ გინდა გამიხადო თავი მაგ შენი სექციისათვის?

— აბა, რა ვქნათ.

— რუსთავისაკენ გავიშვებ.

— რუსთავისაკენ?

— ჰო, შენთვის სულ ერთი არ არის, საითაც გავიშვებ?

— აჰ, რუსთავისაკენ არა ბიძია, ხაშურისაკენ გამიშვი, — შეევედრა ანზორი სადგურის უფროსს.

— ხაზი თუ არ არის, ზურგზე ხომ ვერ შეგისვამ, ან მთვარეზე ხომ ვერ გაგაფრენ, ბიჭო, რაკეტა ხომ არ არის შენი სექცია.

მერაბისათვის მართლაც რომ სულერთი იყო, მას ახლა ისე ეჩქარებოდა სამჭროში დაბრუნება, რომ აღარ ჩიოდა საით გაუშვებდნენ, ოღონდ კი გაეშვით სადმე.

შეატყო თუ არა ეს ანზორმა სამჭროს უფროსს, ფეხი არ მოიცივალა იქიდან.

— რუსთავისაკენ ჩვენ არასოდეს წავგიყვანია სექცია, იქით რა ხაზია. გასინჯვისთვის უფრო საინტერესო იქნება

ავქალისკენ თუ გაგვიშვებ. ჯერ ხომ არ გამოსულა სატვირთო მცხეთიდან? ავქალამდის ხუთი წუთიც არ გეინდა, შევასწრებთ.

ტელეფონმა გაბმულად დაიწკრილა სადგურის უფროსმა ყურმილი ხელში აიღო და თვალები ძლივს ააფახურა.

— რაო? მეორეში? მეორეში ცისტრინებია, ვერ გავიშვებ, რას მიჯავრდები, დაეგდე მანდ, ნავთი გავაჩერო და წყალი გავუშვა? გონს ვერ მოსულხარ? საბარგოა, მესამეში, მესამეში, გესპის? ვაიც შენ და ვუციც!.. — თავისებურად მიაკრულა ვილაცას და ისევ დაამთქნარა.

— ბიძია, გავვიშვი, — შეევედრა ისევ ანზორი. სადგურის უფროსმა ზანტად გადმოხედა ანზორს, თვალები დაუბრიალა და დაიღრიალა:

— ჯანდაბას შენი თავი, აბა, ჩქარა, მოუსვით აქედან, თორემ ვერ შეასწორებთ ავქალაში, — წითელი ქული მოიხადა სადგურის უფროსმა და მოტყუებული თავი მოიქექა, მერე უსაშველოდ და გაბმული ხველება აუტყდა.

ანზორს შეეშინდა, ვაი, თუ გაბრაზებულმა გადაიფიქროსო და მადლობაც არ უთქვამს, ისე სულმოუთქმელად გაქრა იქიდან.

მემანქანეს ელმავალი უკვე მოება, მაგრამ ონკანი არ შეერთებინა. მერაბი რაც შეიძლება ჩქარობდა. ერთი სული ჰქონდა სექცია დაძრულიყო.

— მუხრუჭები, მუხრუჭები! — დაიძახა ვილაცამ.

— არ უნდა, აქედან გადი და ავქალაში აუშვით.

ანზორმა ერთ ვაგონში მანც მოასწრო მისი აშვება.

ისრებში არ იყო გასული, რომ შუა ვაგონის მარცხენა გოგორწყვილმა საოცარი რაზა-რუხი ატეხა. რამდენადაც უმატებდა სვლას ელმავალი, იმდენად ძლიერდებოდა ეს ხმა და ცეცხლი უჩნდებოდა.

— რა მოხდა, ანზორ? — დაფრთხა ერთი გამყოლთავანი.

ანზორმა გოგორწყვილის ცივსა და ამაზრუნ ხმას ყური მიუგდო. უცებ

ურჩიასა და ბორბლების თავზე მოტორს გარსაცმი ხუფი ახადა, ორივე ბორბალს ჩააცქერდა, ის ერთი მართლაც საოცრად ხმაურობდა, და ნაპერწყლებს ისროდა, ანზორმა გამოცდილ მკურნალივით ყური დაადო, მერე სასწრაფოდ წამოვარდა ზევით და აღმფოთებით წამოიყვია:

— მუხრუქები, ბიჭებო, მუხრუქები! —
— რაო? — გაიკვირვა ერთმა.

— მუხრუქები მოუშვით! — და განიერ მხარბეჭიანი შურა თედევით ვეფხვივით ეცა მუხრუქის საქვეს, ანზორი მეორე ვაგონში გაიქცა, ხოლო მესამეში — მუხურნოვი. ცოტა ხნის შემდეგ ფერდაკარგული ანზორი ისევ პირველ ვაგონში დაბრუნდა.

— ერთი ბეწო დააკლდა, თორემ ყველაფერი დაიღწებოდა. როგორ არ იცოდა მერაბმა ან მემანქანემ, რომ დამუხრუქებული ვაგონები არ შეიძლება ადგილიდან დასძრა? — სულს ძლივს ითქვამდა ანზორი.

— მერაბის ბრალია, ძმაო — თქვა უკმაყოფილოდ ერთმა.

— უნდოდა თავიდან მოვეშორებინეთ, საამქროში მიეჩქარებოდა, ერთი სექციის ზედმეტად გამოშვების ჯავრი ჰქლავდა, ამ სიჩქარეში კინალამ დაგვლუბა. — ბუზღუნებდა თედევით.

— კი მარა, მემანქანე რატომ აპყვა?

— ამ ბრიყვ მემანქანეს უთქვამს, ავკალაში მალე ვიქნები და იქ აუშვებ მუხრუქებსო, მაგრამ ხომ ხედავ, რა მოხდა! — ვერ ისვენებდა თედევით.

— ახლა ხომ აუშვი, რატომ ხმაურობს მაინც? — იკითხა ერთმა გამყოლოთავანმა.

— საპაერო ონკანი არ იყო გაღებულნი, მემანქანე მუხრუქებს უშვებდა, მაგრამ პაერი მუხრუქებში გროვდებოდა, ვაგონებში არ ატარებდა, სამუხრუქე ხუნდები უპერდა გოგორწყვილის არტახს, ვერ ბრუნავდა, ცურვით მოქმედებდა. ამის გამო გოგორწყვილი გახურდა, დნობა იწყო, იგი ხომ ლიანდაგს ვხება, ისიც გახურდა, გააღნო, გამდნარი

ლითონი გოგორწყვილმა ლიანდაგიდან ააგლიჯა, ბორბალს მიეკრა და მასზე პატარ-პატარა ენბულები გაჩინა, ის არის, ახლა გოგორწყვილს რომ ურტყამს და არაჯგუნებს! — ახსნა ანზორ ნიკოლაშვილმა.

— მე'ე რაღა ეშველება?

— არაფერი, რაკი მუხრუქები ავუშვით, აწი საშიში აღარ არის, — დაამშვიდა ანზორმა ის ახალგაზრდა.

ვაგონში ახლილი ხუფიდან კამო მუხურნოვი ყოველი მექანიზმის მუშაობას ამოწმებდა, ანზორი ხან ერთ ვაგონის ურჩიას ახლიდა თავს და ხან მეორეს. იგი არა თუ თავის მექანიკურ ნაწილს — ურჩიებს, არამედ ყველაფერს უკვირდებოდა, წელს ზევით მხოლოდ მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა, ავკალამდის ურჩიებისა და გოგორწყვილებისათვის არ მოუშორებია თვალი, მერე ფანჯარა მალა ასწია და მარცხნივ მის თვალწინ მტერის ვრცელი ხეობა გადაიშალა, მდინარის ნაპირას, კოდბუების გაღმა და გამოღმა ნაპროდები სიმინდის ტყერი შრიალებდა.

ანზორს, თითქოს ბუნება ეთახდა. სურდა მის წიაღში გადაშვებულიყო. გაღელილი გულმკერდი სუფთა პაერით გაეგრილებია, მაგრამ ამ წყეული ურჩიებისათვის რა ექნა? ცალი თვალი მათქენ ეპირა და ცალი ნოხივით მოჩარდახებული მთებისაკენ. აგერ სექციამ ხედზე გადაიგრუნუნა, ახლა ანზორი მარჯვნივ გადაჯდა, ზაპესის ტურბინებში მოგურგურე ჩქერები, თითქოს ფსკერის სიღრმეს ბურღავდა, ისე ბრუნავდა და ხმაურობდა, მღეროე შლამი ზევით ამოქონდა, ზედაპირზე ქაფი დგებოდა.

ანზორს თვალი ამწვანებული მთებისკენ გაექცა. ერთ წამში საგუბართან გაჩნდა. ლენინის ამართული მარჯვენა სულ ახლოს იყო, უნებურად ანზორმაც ხელი გადადო და თითქოს ბელადს ჩამოსართმევად გაუშვირა, საგუბრის ზევით მტკვარი ზღვასავით გადაშლილიყო, ჯვარის მონასტერი ნისლეზიდან ხანდახან პატარძალივით გამოჩნდებოდა, მტკვარში გრიალით შემოჭრილ არაგვს

სილურჯე მინც თავისებური შემორჩენოდა.

მოტორვაგონ-სექცია მცხეთაში გაჩერდა ანზორი ძირს ჩამოხტა, გრძელტარიანი ჩაქუჩი და ქანჩების მოსაშვები გადმოიტანა, ვაგონის ქვეშ შეძვრა და ურიკის რომელიღაც ნაწილს დიდის ვაივაგლახით ქანჩი მოაძრო, მერე სოლით მარჯვალოდან ხრახნილი რკინა ამოაგდო და ახალი გაუყეთა.

ელმავალმა კვლავ დაიღუღუნა და ანზორი და მისი ამხანაგები ვაგონში ავიდნენ.

ვაგონები სრიალით გასცილდა ისრებს, მერე ისეთი სისწრაფით დაეშვა თავქვე, რომ ანზორის წინ ეს მთები, ეს ველები, ხეხილის ბაღები და ბუჩქები ერთწუთს გაიფრებდნენ და ისევ ქრებოდნენ.

ანზორმა ყური მიუგდო, გოგორწყვილების მოძრაობას, ახლა იგი წინანდელივით აღარ ხმაურობდა. ისევ ფანჯარასთან ჩამოჯდა; განსაკუთრებით მოუსვენრობა მაშინ დაეწყო, როცა მეტეხის სიახლოვე იგრძნო, აი, მის თვალწინ ცამდე აწვდილი ალვუს ხეები ამრიალდა, მზის სხივებზე მათი ფოთლები ვერცხლისფრად ალაპლავდნენ. ახლა სულ გამოიცვალა ანზორი, ხან მარჯვნივ მიდგებოდა ფანჯარასთან და ხან მარცხნივ. ქართლის ბარაქთან ველებზე პურის ყანა ზღვასავით ღელავდა, ქერი სიმწიფეში შესულიყო, გულთეთრა და გულწითელა ჩიტები თავთავებს დაფრთხილებდნენ და ქვივლ-ხვილით იქაურობას იკლებდნენ.

ანზორი შესცქეროდა ნაყოფით დახუნძულ ხეხილის ტოტებს, ძეწნებივით მიწას რომ დამხოზოდნენ; იგი უყურებდა ყოველივე ამას და რატომღაც ვერ ისვენებდა, ბიჭებს უკვირდათ, მაგრამ არაფერს არ ეუბნებოდნენ. აი, სექცია მეტეხს მიუახლოვდა, ახლა კი ვერ მოითმინა ანზორმა და თავისდაუნებურად წამოიძახა:

— ის არის, ის! — და ისევ ფანჯარას გადაეყრდნო.

— რა იყო, ანზორ! — შესძახეს ამხანაგებმა, მაგრამ ანზორმა მათ ყურადღება აღარ მიაქცია, თვალბრუნვით მათ წამოებერა, სახე გაუფიქრდა. გარბოდა ვაგონები და ანზორიც თავის ფიქრებში მათ წინ უსწრებდა, სადღაც შორს მიფრინავდა. მას აგონდებოდა თავისი ბავშვობა, ამ ყანების ზღვაში კოტრიალი, მტკვარში ბანაობა, ბუსუსებიანი ატმებით ამოცხებული უბეები, კილაობა, ხტუნვა, აგონდებოდა ყველაფერი, ის, რაც მაშინ აქ, სწორედ ამ ადგილებში ნახა, აი, თითქოს ახლა ვაგონიდან კი არ გაპყურებს ამ წარმატაც სანახაობას, არამედ იმ პურის ყანების შუაგულშია. იმასაც ხედავს, რაღაც უცნაური მატარებელი, რომ გამოჩნდა. აი, გაჩერდა კიდეც, ანზორი ოცნებით გამოეყო ამხანაგებს და იმ ადგილას მიიბრინა, წინა ვაგონიდან ვიღაცა გადმოვიდა, ვაგონქვეშ შეიხედა, ის კაცი იდგა და ილიმებოდა, გაკვირვებულ ანზორს უპასუხებდა: — ეს მოტორვაგონ-სექციაა და ამას არც ელმავალი სჭირდება და არც ორთქლმავალი, წამოდი ბიძიკო, ბორჯომში წავიყვანთ და ისევ ამოგიყვანთო, მაშინ გაიგებ რა მატარებელია ეს და როგორ მოძრაობსო“.

ანზორს გაახსენდა ის ძველი ამბავი, რომელმაც მოგონების ჩარჩო დატოვა და იქიდან ცოცხალივით გადმოვიდა ამასობაში მოტორვაგონ-სექცია მართლა გაჩერდა. ანზორი გამოერკვა, ძირს გადმოვიდა, ამხანაგები უკვე ჩასულიყვნენ, ბიჭები ყანებისაკენ წავიდნენ, ანზორი წინ გაიჭრა და რძემორეულ ბალახებში ლაღად გაგორდა, მალე წამოხტა, იქვე ახლო თავისი ნათესავის ეზოში საადრეო ატმის ხეებს დაერია, ზოგი უბეში ჩაიყარა და ზოგი ჯიბეში.

როგორ უნდოდა ანზორს კიდევ დიდხანს დარჩენილიყო აქ, ბუნების ამ საკვირველებით დამტკბარიყო, მტკვარში მკლავები გაეშალა, ქალებში უჯვო-უკვლოდ ერბინა, ბიჭებს წელდაწელ შევარდნოდა და მერე მხართემოზე გადმოეყვანა.

მაშინაც ხომ ეს დრო იყო, ასე ყვოდა

და დაღანებდა ქართლის დოგლათიანი ბალები და ყანები.

დარჩენა უნდოდა ანზორს. ახლა ხომ ხვალ დეპოში არ იყო მისასვლელი იმ ძიაკაცთან? ახლა ხომ თვითონ არის ამ სექციის „მკურნალი“, მისი შემკეთებელი? ახლა ხომ იმ ძიაკაცივით მასაც შეუძლია დაძრას ვაგონები ადგილიდან? ახლა მას სხვა აღარაფერი ახსოვდა, გარდა ამ ბარაქიანი მიწის სიყვარულისა, თითქოს მასთან ლაპარაკიც მოუნდა, თითქოს მიწის ბუბუნიც ჩაესმა ყურში.

იგონებდა თავის ბავშვობას, ესაუბრებოდა მას და ავიწყდებოდა, რომ ის უკვე ბავშვი აღარ იყო, ადრე დაწყებულ შრომას სულ გამოეცვალა, კაცად ექცია, ზეინკალი გამხდარიყო, ცხოვრების დარჯჯაში გამოვლილს სიბრძნის ნაპერწკლები დაფრქვევოდა, მაგრამ ახლა ბუნების სიმშვენიერით გარინდებულს აღარაფერი ესმოდა, უნდოდა ისევ ბავშვობის მოგონებაში დარჩენილიყო. ფიქრებით მიინც შეეესო ის, რაც ბავშვობაში დაჰკლებოდა, მაგრამ ეს ხომ მიინც მოგონება იყო, სინამდვილე კი სულ სხვაა, ანზორიც სხვაა, ახლა იგი კომუნისტური შრომის ბრიგადირია, ცოლშვილიც ჰყავს, მეგობრებიც და მოყვრებიც.

ელმავალმა დაარღვია ანზორის სულის მყუდროება. ანზორმა ფეხები ძლივს აითრია და გულდაწყვეტილი დაშორდა იქაურობას.

ანზორი ვეღარ ამჩნევდა, რომ დანიშნულ ადგილას მისულიყვნენ. უკან გამობრუნებისას ისევ ცქერად იქცა, ხოლო, როცა სექცია ქარხანაში შემოიყვანა, თითქოს მის წის ჩარხები, მანქანები და დამტვრეული ურიკები კი არ იდგა, არამედ — ქართლის ბალებში ტოტებდახრილი ატმის ხეები.

ამხანაგები ანზორს დაერივნენ.

— სად იყო ამდენი ატამი, ბიჭო? — მიიჭრა ოლივერი მასთან.

— ქართლში?

— მოიტა...

— ჰაა, გაინაწილეთ, მტკიცე მკუთხედებს, — რამდენიმე ცალი ატამი გადაინახა ანზორმა და დანარჩენი ეზოში მღვარ მავიდაზე დაყარა.

— ანზორ! კორესპონდენტები იყვნენ დღეს, — უთხრა მამია სალუქვაძემ.

— ალბათ სურათები უნდოდათ, ვერ მიეცით?

— უშენოთ?

— მე რა ვარ ისეთი, ბიჭო?

— ბრიგადირი ხარ.

— კომუნისტური შრომის ბრიგადისა, ძმობილო! — სიტყვა ჩამოართვა თამაზმა — რაღაც ისე მგონია, თითქოს დღეს ხელმეორედ დავიბადე. ეხ, ეს რომ გამარჩემს ენახა!..

შავგვრემანმა და მოხდენილმა ოლივერმა ბრიგადის წევრები ერთად მოაქუჩა. ანზორი შუაში ჩააყენეს.

— აი, ასე უნდა გადავიღოთ სურათი!

— გაზეთისათვის?

— არა, სამსახსოვროდ, ხომ თანახმა ხართ?

ამას რა კითხვა უნდოდა. სურათის გადაღების შემდეგ ბიჭები ისევ დაიშალნენ, შხაპების მისაღებად სააბაზანოში შევიდნენ.

შიდაღდა ანზორი სახლისაკენ და თვალწინ მოუხვეწარი ჯულიეტა ედგამერე წამით ისევ თავის ბავშვობას დაუბრუნდა. ეს ბატარა სათამაშო მატარებელი, რომელიც დედამ უყიდა და დედამვე თავისივე ხელით დაუღეწა, ახლა მის მოგონებებში ძველებურად დაიძრა და ახრიალდა.

დიდხანს იდგა ანზორ ნიკოლაშვილი საკუთარი ფანჯრების წინ დიდი შენობის ბოძებთან. ფიქრებში წასული ვაჟკაცი, თითქოს ისევ ქართლის მინდვრებზე გადაკიმულ ლიანდაგებს ხედავდა.



მეტი გარკვეულობისათვის ლიტერატურულ პრიტიკაში

ყაანასკნელ წლებში მანძილზე ქართულ ლიტერატურას ბევრი ახალგაზრდა ძალა შეემატა. ავტორების ყოველ დარგში თაობათა უწყვეტი ცვა-ცვა ამ კულტურის ცხოველყოფილობაზე მეტყველებს.

ყოველი კვანძიანი შემოქმედი ახალი თაობა ლიტერატურაში ცდილობს ძველი საკითხებიც კი ახლებურად დააყენოს. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნაა და ხალხს თუ სურს პქონდის დიდი ლიტერატურა და არა ეპიგონური იმიტაზია, ის ყოველთვის ხელს უნდა უწყობდეს ახალს ძიებას. ყოველი ახალი თაობა ეძებს არა მარტო ახალ იდეურ პოზიციებს, ის ეძებს ლიტერატურული გამოსახლების ახალ ხერხებს, ამუშავებს ახალ სტილს, ახლებურად, ძველთაგან განსხვავებულად წერს, ფიქრობს, ოცნებობს, სხვა კუთხიდან, სხვა რაყერსით უფერებს სამყაროს, ისტორიის, ახლებურად აფასებს ტრადიციებს და ხშირად სხვაგვარად იყენებს მათ. თუ ეს ასე არ ხდება, ერის კულტურა საერთოდ, ლიტერატურა კერძოდ, დაკნინების გზას დაადგება. ისიც ცნობილია, რომ ამ ახალს ძიებაში ხშირად ცდებიან და ყოველი ახალი თაობა თავისი შილემწიობის დაწყებით ეტაპზე ნებით თუ უნებლად მიმბაძველობს. შემოქმედების გარკვეულ მომენტში ეს მიმბაძველობა უნდა დამთავრდეს, უნდა დაიწყოს ეროვნული კულტურის ტრადიციებით შეპირებული დამოუკიდებელი შემოქმედება.

ჩვენი დროება მკვეთრად განსხვავდება წარსულსაგან. ეს შეეხება არა მარტო ერის ახალ სოციალისტურ წყობას, რომელიც სრულიად თავსებურ ახალ ხარისხს ანიჭებს ჩვენს კულტურას, მის განვითარებას, მის პერსპექტივებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ცივილიზაცია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ხალხის ცხოვრებაზე. ახალი ცივილიზაციის ხედავლენა ერის, ხალხის სულერ ვითარებზე, მისი მატერიალური ცხოვრების ფორმებზე

დადამინათა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებებია და მას ვერ ერთი სუბიექტური ფაქტორი, დიდაქტიკური ხასიათის მსჯელობა, პათეტური მორალიზაცია, სხვადასხვა სახის განკიცხვა წინ ვერ აღუდგება. დიდი თუ პატარა ერი თავისი კულტურის, თავისი ცხოვრების თვითშეობადობას იმ შემთხვევაში. შეინარჩუნებს თუ ამ ცივილიზაციის სულიერ მხარეს თავის შეგნებაში და შეგრძნებაში იმგვარად გადატეხს, გადაამუშავებს, რომ ცუდს უკეთადებს, კარგს და საჭიროს მიიღებს და მას ხალხისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ სახეს მისცემს და მიინიჭებს.

ამ ზოგადი მოსახრებებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ და მხარს ვერ დავუჭერთ იმ ლიტერატურულ კრიტიკოსთა და მწერართა ერთ წყებას, რომელნიც ცოტა არ იყოს ნერვიულად შეხედნენ სულ ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა ზოგიერთ ნაწარმოებს, მათს ძიებებს, მათს ექსპერიმენტებს. ეს არასაკვირველია, სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ სიჭივირ ახალგაზრდობის ყველა პოზიციას ვიცავთ ან მათ ლიტერატურულ კრედოს უკრიტიკოდ ვიზიარებთ. ამას იმიტომაც არა ვშერებთ, რომ ჯერ-ჯერობით ზოგიერთი ეს ახალგაზრდა მიმბაძველობას განაკრძობს და დამოუკიდებელ შემოქმედებით გზაზე მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, ამიტომ მათ საკეთარი პოზიციებზე მსჯელობა ნაადრევია. სხვათაშორის, მიმბაძველობასაც ნიჭი და უნარი უნდა. დამწყები მწერლის ლიტერატურულ შესაძლებლობაზე ხანდახან მიმბაძველობის ხასიათი და ხარისხიც მოწირობს. რამდენმა ქართველმა პოეტმა დაიწყო გალაცტიონ ტაბოის მიზნებით და რაოდენ დამორბა მას შემოქმედების მომწიფების ხანაში.

ჩვენი ახალგაზრდა კრიტიკოსებიც ახლებურად წერენ. მათ სისტემატური, სპეციალური განათლება აქვთ მიღებული. ბევრმა ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიური თუ ისტორი-

რული ფაქტორები დაამთავრა, ბევრმა ასპირანტურაში ისწავლა, ზოგმა უცხო ენა იცის და სარგებლობს მისი ცოდნით. ზოგიერთი მათ შორის ცდილობს გაერკვეს ლიტერატურული ფაქტის შინაგან კანონზომიერებაში.

ლიტერატურული კრიტიკის ძველ და ახალ თაობასაც ჩვენს დროში განსაკუთრებულად დიდი ამოცანები აქვს. სოციალისტური კულტურული რევოლუციის შედეგად ახალი მთელი საქართველო წიგნს კითხულობს. ქართული წიგნი ათი, ოცი, ოცდაათი ათასიანი ტირაჟით ვრცელდება. კინოს, თეატრის, ტელეხედვის მილიონობით მაყურებელი ჰყავს. კულტურის გაერკველების რიცხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით ჩვენ, ქართველთა წინათაობებისათვის მიუწვდომელ, წარმოუდგენელ მწვერვალს მივალწვიეთ. პატარა ქართველ ხალხს უზარმაზარი ინტელექტუალური ძალა ჰყავს და გააჩნია. ახლა მთავარი ამოცანაა, ვიზრუნოთ კულტურის, ლიტერატურის ახალ, მაღალ ხარისხზე. იმ კეთილშობილურ შეკვიპრებაში მრავალ ხალხთა შორის რომ ვგაჩლიდა, პატარა ხალხის კულტურა მხოლოდ დიდი ხარისხით თუ ვაიმარჯვებს, შეინარჩუნებს თავის თვითმყოფლობას, თავის სახეს, თავის მეობას.

ლიტერატურულმა კრიტიკამ, კანონზომიერებების სხვა დარგებთან ერთად, ხალხს გემოვნება უნდა განუვითაროს, დაუდღობლად ამხილოს მდარე ხასიათის ნაწარმოებები, ვინც არ უნდა იყოს მათი ავტორი. სუბიექტურობა შეფასებებში, ურთიერთ ამხისტობები, უპრინციპო მსჯელობებიდან გამომდინარე ურთიერთ შეკება და სწორად სრულიად არამართებული მკვდარი პოზიციების დაცვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პოზიციებს შენი მეგობარი თუ ამხანაგი იცავს, საქმეს დაღუპავს, ვის, მის კულტურას უდიდეს ზიანს მიაყენებს.

ლიტერატურულმა კრიტიკამ, პირველ რიგში, ძიებაში მყოფ ახალგაზრდა მწერლებს უნდა უჩვენოს მათი შემოქმედების სწორი გზა და თავისი მოსაზრებები დაასაბუთოს საღი, დინჯი და მკაცრად არაგუმინტები. იმპრესიონისტული ხასიათის კრიტიკა, პარადოქსები, ისევე როგორც დღემდე ტრიალ ხასიათის ლანღვა-გინება საქმეს მხოლოდ ავნებენ. ერთი ბრძენი ამბობდა, საშუალოდ განათლებულ კუთხამხვილ ადამიანს, თუ მას უძილობა აწუხებს, ალბათ, თავში დამთ მრავალი პარადოქსის მოსიღისი, დილით, როცა ის აღგებამ ამ პარადოქსების 98 პროც. ბალიშზე უნდა დასტოვოს და დარჩენილი 2 პროც. იმ შემთხვევაში გამოიყენოს, თუ სხვა უფრო საფუძვლიანი და დამაჯერებელი არგუმენტები შემოაკლდება.

ამ ბოლო დროს ახალგაზრდა კრიტიკოსი გ. კანკავა ბევრ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს ბეჭდავს. კერძოდ „მნათობში“. ჩვენ

მისი სტატიების ზოგიერთ დებულებას იმთავითვე ვერ ვეთანხმებოდით, მაგრამ რთვორც ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებშიც კრიტიკულ სტატიებსაც თავისი შინაგანი ლოგიკა ჰქონდა, ავტორი ცდილობდა თავისი პოზიციები მრავალ შემთხვევაში სერიოზულად დაეხსებებინა და რადგან მისი მსჯელობა უმარტულეს შემთხვევაში კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტებს შეეხებოდა, მასთან კამათი საქირი არ იყო.

1959 წლის „მნათობში“ № 3, გ. კანკავამ დაბეჭდა საკმაოდ ვრცელი წერილი „ახალგაზრდა მწერლების მოთხოვნები“. ეს სტატია ზოგიერთ ისეთ ზოგადი ხასიათის საკამათო დებულებას შეიცავს, რომ უცქველად მოითხოვს კრიტიკულ შენიშვნას.

გ. კანკავს ეს სტატია შეეხება ორ, ბუნებით მართლაც რომ ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა მწერლის, გ. რჩეულიშვილის და ო. იოსელიანის მოთხოვნებს. გ. რჩეულიშვილის და ო. იოსელიანის მოთხოვნები, ამ ბოლო დროს, არა ერთხელ უოფილა ლიტერატურულ-კრიტიკული მსჯელობის საგანი და ჩვენ ახლა მას განხილვას აღარ დაუებარუნდებით. ამჯერად მკითხველის უფრადლება გვინდა შევაჩიროთ გ. კანკავას დასახელებული სტატიის ზოგიერთ დებულებასზე.

1. გ. კანკავა წერს: „მოთხოვნაში (გ. რჩეულიშვილის მოთხოვნაში „სიკვდილი მთებში“ ვ. შ.) იგროვება ინტელექტუალიზმი არა მარტო მთავარი გმირის სახის შექმნისას, არამედ ნაწარმოებში ზოგიერთი დასკვნის გამოტანაშიც. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ გ. რჩეულიშვილის მოთხოვნებში არ იგროვება საშინოოება მშრალი გონებისეული ელემენტების ჭარბი ხმარებისაკენ გადახრა. რას ნიშნავს, „ინტელექტუალიზმი გმირის სახის შექმნისას“, ან ეს რაღაა: „მშრალი გონებისეული ელემენტებისა ჭარბი ხმარებისაკენ გადახრა“. აქ ახალგაზრდა კრიტიკოსის ცუდი სტილი როდია დამნაშავე, ახრია მეტად არასწორი და ჩიქორთელი, ავტორის ამ დებულებებს ჩვენ ვერ დავუთანხმებთ. შეიძლება ლამაზაკი ამითუდი მოთხოვნის გმიჩების ინტელექტუალურ დონეზე, ამქდავენებენ თუ არა ისინი ინტელექტს, შეიძლება ისიც ითქვას, მწერალი არ იტყვის ინტელექტს გმირის სახის შექმნისასო (გ. რჩეულიშვილის მიმართ ეს სრულიად უმართებულო ბრალდება იქნებოდა. გ. რჩეულიშვილის ახასიათებს მხივილი ინტელექტი. სხვა საყოთიო, თუ როგორ იყენებს ის ზოგიერთ შემთხვევაში ამ ინტელექტს). ჩვენ ვერ ვავიჯავთ და ვერ მივხვდით, რატომ სწამებს გ. კანკავა გ. რჩეულიშვილს ინტელექტუალიზმს? რა არის ინტელექტუალიზმი? ფილოსოფიაში ინტელექტუალიზმი იდეალისტური თეორიაა, რომელიც წინა პლანზე იყენებს ინტელექტს, ამტკიცებს, რომ

მხოლოდ ინტელექტს (აზრს, აზროვნებას) აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა შემეცნებაში. სრულად უარყოფს გარეშე სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას, ცხოვრების ინტერესებს, ფიქლოლოგიაში ინტელექტუალიზმს ადამიანის მთელი ფსიქიკური ცხოვრება გამოყავს წარმოდგენებიდან. წარმოსახვებიდან, პრაქტიკულ ცხოვრებას მოწყვეტილ განწყვეტულ აზროვნებიდან და სრულიად უარყოფს გრძნობად და ნებასყოფით სამყაროს. გ. რჩეულიშვილს ინტელექტუალიზმთან არათუ არაფერი საერთო აქვს. შესაძლებელია გ. კანკავას ინტელექტუალიზმი რაღაც თავისებურად ემსის, მაგრამ ამ ცნებას სრულიად გარკვეული, უკვე დადგენილი მნიშვნელობა აქვს და მისთვის ნებისმიერი შინაარსის მინიჭება არ შეიძლება.

2. ახალგაზრდა ავტორი ილტვის ინტონაციების სიმკვეთრისაგან. მისი გმირები საუბრობენ ინტონაციურად მდიდარი ფრაზებით, უწვევენ ხმას იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნიათ, მაგრამ სწრაფ ლაიონურად და გულსნივთიერი კილოთი საუბრობენ, წერს გ. კანკავა. ავტორს არ დაეუწყებთ კამათს, თუ რამდენად საჭიროა გაემდიდროთ ქართული ენა ნეოლოგიზმით „სიმკვეთრე“. ჩვენ სხვა ვეინტერესებს. ყოველგვარი ინტონაციური სიმკვეთრის გარეშე შეიძლება გმირები საუბრობდნენ ლაიონურად და გულსნივთიერად. ინტონაციის მომენტში ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს. მაგრამ უნდა რომ არ იყოს, მწერლის რადიდი დამსახურებაა, რომ მისი გმირები ხმას იქ აუწვევენ, სადაც საჭიროა და ხმადაბლა საუბრობენ, თუ იქნა გარემოება მოთხოვს. ეს ისეთი ელემენტარული ლიტერატურული ხერხია, რომ მისი გამოყენება შეუძლია რომელსაც გინდათ, ნიჭიერ თუ უნიჭო მწერალს. ეს კომპლიმენტარული კრიტიკაც აღარ არის. კომპლიმენტსაც ხომ რაღაც ობიექტური საფუძველი უნდა ჰქონდეს.

3. გ. კანკავა წერს: „ავტორი მოხერხებულად იყენებს სარკეების ერთგვარ სიმბოლიკას. ჩვენ არ ვიცით, თუ როდის აქვთ არის სარკე გამოყენებული ლიტერატურაში როგორც ემბლემა სიკვდილის თუ უბედურებისა. ყოველ შემთხვევაში, ცხადი არის, რომ სარკეების პოეზია ყოველთვის ჰქმნიდა ამგვარ შინაგანწყობილებას“. რას ნიშნავს და რას მოასწავებს ეს ფილოსოფია სარკეების სიმბოლიკის შესახებ, გ. რჩეულიშვილის მოთხრობის გარჩევასთან დაკავშირებით, სრულიად გაუგებარია. გ. რჩეულიშვილი მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“ აღნიშნავს ერთ ცნობად და უბრალოდ გარემოებას. ბევრია ადამიანი, რომელიც თავის დიდ სევდას, გასაჰირს ხალხში არ ამქლავებს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს არ გამოამტყაყნოს ის. ასეთია გერმანიელი საზოგადო მოღ-

ვაწე და მწერალი ილტვად ქურდია, რომელსაც მთაში, ხევსურეთში, ამ ორიოდ წლის წინათ უბედური შემთხვევის გამო ცოლი დაეღუპა ამ შემთხვევას ავტორს გ. რჩეულიშვილი თავის მოთხრობაში. იქ მთებში, ხევსურებში ის ცდილობს თავისი სევა გულში დაიმარხოს და კიდევ აღწევს ამ მიზანს. მთაში უბედურების ზოგიერთი თანამახდურს ისიც კი ვეჩვენებ, რომ ა. კურტა არ ვანიცდის ცოლის გარდაცვალებას, გ. რჩეულიშვილი ჰკეტებს მისი გრძნობინებს, რომ ეს ასე არ არის. ა. კურტა რომ თბილისში ჩამოდის, სასტუმროში შევა, იმ ოთახში დარჩება მარტოდმარტო, სადაც ორიოდ დღის წინათ თავის მეუღლესთან ერთად ბინადრობდა, ლოგინურ დაეცემა და რადგან დაწმუნებულია, რომ მარტოა, მთლიანად მიეცემა თავის გრძნობებს, ქეთინებს, ტირის, ღრიალებს. ამ დროს მეორე ოთახში მყოფი ორი ახალგაზრდა უნებლოთ სარკეში ხედავს ა. კურტას, მის განცდებს, მის გასაჰირს. ეს არის და ეს ამ შემთხვევაში მოთხრობის ეპიტოზის არავითარი სარკეების სიმბოლიკა გამოყენებული არა აქვს, „სარკეების პოეზიაზე“ ლამაზი სრულიად ზედმეტი და უადგილოა. გ. კანკავამ გ. რჩეულიშვილი ჯერ ინტელექტუალისტად გამოიყენა, შემდეგ სარკეების რაღაც სიმბოლიკას აღებდა. არ ვიცით, როგორ გრძნობს თავს ასეთ ვითარებაში ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსი.

4. გ. კანკავა აღნიშნავს: „მოთხრობის ავტორი შეტად ძეწვი სიტყვიერი მასალით გადმოგვიყვამ ადამიანის უკიდურეს სულერ ტანჯვას... ემბლემატურად, ქარავმულად, ასოციაციურად“. სხვადასხვა მწერალს წერის სხვადასხვა მანერა აქვს და სხვადასხვა ხერხი გააჩნია. ზოგი ქარავმულად წერს, ასოციაციურად, ზოგს ქარავმად კი არა, მოვლენათა, სავანათა, განცდათა დაწვრილებითი აღწერა უყვარს. ზოგს ასოციაცია, ზოგს მოვლენისადმი პირდაპირი მინიშნება. კაცია და ბუნება. წერის ვერც ერთ სტილს, მანერას ჩვენ ვერ დავაჯანოებთ, უბრატესობას ვერ მივცემთ. ემბლემატურობა კი სხვა საქითია. რატომ მიაჩნია გ. კანკავას ემბლემატურობა ლიტერატურული თხრობის დადებით ნიშნად? ჰქარბი ემბლემატურობა, რამელიც სწრაფ მისტკაში გადადიოდა, დამახასიათებელი იყო პირველ რიგში სიმბოლისტური პროზისათვის. სიმბოლისტური პროზა გარკვეულ მსოფლმხედველობას გამოხატავდა. გ. რჩეულიშვილის მოთხრობებს არათუ არაფერი აქვთ სიმბოლისტურ პროზასთან, არავითარი ემბლემატურობა მათ არ მახასიათებს. ჩვენნი აზრით, გ. რჩეულიშვილის პროზა შესრულებულია სადი რეალისტური მანერით. ინტელექტუალიზმით, „სარკეების სიმბოლიკით“ რომ აღარ დავმავიწყდოდით, ახლა მის ემბლემატურობაც მოვახვიეთ თავზე. არ ვიცით,

გრძნობს თუ არა გ. კანკავა, რა დათეურ სამსახურს უწყევს ის ახალგაზრდა მწერალს.

5. გ. კანკავა აღნიშნავს, რომ ე. ჰემინგუეის უწყრია, „ვევლანზე მარტივი — ის სიკვდილია. მე სიკვდილის აღწერით დავიწყებ მწერლობაო“. ჩვენ ვერ გავიგეთ, რისთვის დასჭირდა გ. კანკავას ე. ჰემინგუეის ამ ცოტა არ იყოს პარადოქსალური აფორიზმის გახსენება. გ. რჩეულიშვილს სიკვდილი ორ შემთხვევაში აქვს აღწერილი, უფრო ზუსტად, სიკვდილი კი არა, სიკვდილით გამოწვეული ფსიქოლოგიური ვითარება: „ნელ ტანგოში“ და „სიკვდილი მთებში“. ამ ორ მოთხრობიდან სრულებით არ ჩანს, რომ გ. რჩეულიშვილს სიკვდილი, მარტივად ჰქონდეს წარმოდგენილი. წინააღმდეგ, სიკვდილი ამ მოთხრობებში მეტად ტრაგიკულად არის განცდილი და აღწერილი. ამას, სხვათა შორის, გ. კანკავაც აღნიშნავს.

ბიოლოგიურად სიკვდილი შენაძლებელია ყველაზე მარტივი რამ არის, ირღვევა ნივთიერებათა ცირკულაციონი ცეცა, ირღვევა არსებობა, სიცოცხლისათვის დამახასიათებელი კანონზომიერია კავშირები. ამის აღწერა ექიმს კი არა, განათლებულ ექთანსაც შეუძლია. თუ არ ვცდებით, სიკვდილის ამ „აღწერას“ მწერლობასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. მწერალი ცდილობს სიკვდილის ფალოსოფიურ გააზრებას, აღქმას, მასში ჩაწყობას, მის გაგებას. კაცობრიობა დღიდან თავისი არსებობისა და გათვითცნობიერებისა ცდილობს ჩაწედს, ახსნას სიკვდილის საიდუმლოება, ალბათ იმიტომაც, რომ მკვდრებით არეინ აღმდგარა, რათა გამოამყდონ სიკვდილის ამავეი. მითიურ გრძნობებს ვერ დაეკარგოს მისამ მიმდევრებში ამ საიდუმლოების ამხსნა. უძველეს სამყაროს მითებიდან, ელდრე „ფათსტამდი“, შემდგომ ხანაშიც, აღამიანი ფიქრობს სიკვდილზე, ზოგი უკუაგდებს მას, კლასიკურ ინდურ ფილოსოფიას ან ეპიკურებს არ იყოს, სიკვდილის რამოდენიმე სიმართლევად ლამაზაკობს გ. კანკავა ეს მას უნდა ვთქვა, ჩვენ გვეუბნები ალარ ვაგვიჩინდებოდა. ნუთუ მართლა ჰგონია ისეთ ნიჭიერ კრიტიკოსს, როგორიცაა გ. კანკავა, რომ გ. რჩეულიშვილის „ნელ ტანგოში“ ან „სიკვდილი მთებში“ როგორღაც მაინც ახსნილია სიკვდილი, მისა არსა თუ ზუნება. რად სჭირდება ასეთი ჭათინარები გ. რჩეულიშვილს ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსი ასეთ ქება-აღიღებს ყურს არ ათხოვება.


6. გ. რჩეულიშვილი მოთხრობაში „უსახელო უფლისისციხელი“ მართლაც რომ ნიჭიერად აღწერს ჩვენი დედამიწის ვასპირის ამ უძველესი, ქალაქურ ტიპის ნაგებობის ისტორიასთან დაკავშირებით. მოთხრობის დედაზარი ეს არის: ქართველობა უბრალო, მშრომელმა კაცმა ახსნა ვასპირისაგან, ეს ვაერმოება დავიწყებას

არის მიცემული, და ხშირად ნამდვილი გვირგვინი, მათი სახელები დაეკარგულა და მათ ნამოდ-ვაწარს, საზოგადოების მალაქ. ცენის წარმო-მადგენლებს მიაწერენო, მოგვიხარბს გ. რჩეულიშვილი. სალი და სწორი აზრია. ამაზე, თავის დროზე, ილია ჭავჭავაძე წერდა ერთ კერძო წერილში, „ქართლის ცხოვრებაზე“, რომ მსჯელობდა. გ. კანკავა, იხილავს რა ამ მოთხრობას, ერთ უცნაურ დასკვნას აკეთებს, არც მეტი და არც ნაკლები, „გ. რჩეულიშვილს კარგად ესმის ეროვნული საკითხი“. სიდან სადამ, წმინდა საბაო! ისევე ჭათინარები. ეროვნული საკითხი, საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი საკითხთაგანია, ის მოიცავს ერის თეორიას, სხვადასხვა კლასების ეროვნულ პოლიტიკის და ა. შ. როგორ შეიძლება, მწერლის ერთი უპრეტენზიო, პატარა მოთხრობიდან დაასკვნა, რომ მას კარგად თუ ცუდად ესმის ეროვნული საკითხი.

ჩვენ კი სულ სხვას ვიხუდით. გ. რჩეულიშვილს შიშავალები დიდი, ეგებ სიზიფეს შრომა დასჭირდება, რომ მატერულ ნაწარმოებში სწორად გაიგოს და მიუთხველს წესიერად გააგებინოს ეროვნული საკითხი, მისი სირთულე და თავიებულება.

7. არჩვენს რა ო. იოსელიანის მოთხრობებს, გ. კანკავა ოლიმპური სიმშვიდით აღნიშნავს, ექი გმირები „მუდამ აღზნებულ მდგომარეობაში იმყოფებიან“. მოთხვეული ვერც მიხედება, მოსწონს კრიტიკოსს გმირების ეს უცნაური მდგომარეობა, თუ ჰკიცხავს მას. აღამიანი თუ მუდამ აღზნებულ მდგომარეობაშია, მან ექიმს უნდა მიმართოს, მის ასეთ პათოლოგიურ ნათარებას ან ნეერასტენია, ან რაც უფრო ხახიფათია, ალბათ, პსიქოსტენია იწვევს. ო. იოსელიანის მოთხრობები ჩვენც წაეკითხეთ და გერავითარ შემთხვევაში ვერ დავთანხმებით გ. კანკავას, რომ ეს მწერალი ნეერასტენიების და ნეერასტენიების ცხოვრების შემტანე იყოს. ეს რამ ასე იყოს, ამას გაკიცხვა სჭირდება და არა ფაქტის მშვიდი კონსტატაცია.

8. გ. კანკავა აღნიშნავს, რომ გ. რჩეულიშვილის წერას მანერა, „20-30 ათიანი წლების ქართული პროზაიკოსებთან უფრო მიმდინარეობს, თუმცა ამერიკელმა მწერალმა (ე. ჰემინგუემ ე. შ.)... ახალგაზრდა ქართული მწერლის შემოქმედებით პროფლის გამოკვეთისას თავისებური, კეთილყოფელი გავლენა“ იქონიაო. „შემოქმედებით პროფილი“ მოიცავს არა მარტო წერის მანერას, წერის სტილს, შემოქმედების ფორმას (ფორმაცხომ-შინაარსის ნაწილია, უფრომ შინაარსი ან უშინაარსო ფორმა არ არსებულა), ის მწერლის იდეოლოგიასაც, მის მსოფლმხედველობას ნიშნავს. მე მგონია შეუძლებელია ლამაზაკი გ. რჩეულიშვილის შემოქმედებაზე ე. ჰემინგუეის ასეთი ხასიათის გავლენაზე, და იმ რტომ. ე. ჰემინ-



გვეი დიდი მწერალია, რომლის ლიტერატურული გავლენა ბევრი ქვეყნის მრავალ ლიტერატორზე იგრძნობა, მაგრამ ის გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელი მწერალია. ეს ხომ ფაქტია, რომ მის მოთხოვნებში ხშირად მთავარი, სოციალურ-ტიპიური ადამიანში, ინაცვლება შემთხვევით-ინდივიდუალურით, ბიოგრაფიკად. ე. ჰემინგუეი იმ თაობების მწერალია, რომელიც კაბიტალიზმის დასის ხანის ადამიანის ფსიქოლოგიას გვიხატავს, ადამიანებისა რომელთა ცხოვრება გადამტყვევლია, რომელნიც ხშირად თავის სულში სიყვდილის ან რადს ატარებენ, იმ „დაკარგულ თაობებისა“, რომლებიც ეძებენ და ვერ მოუძებნიან გამოსავალი დაწინებელი კაბიტალისტური სამყაროს სულიერი ცხოვრების რთულ ლაბირინტიდან. ე. ჰემინგუეის ეს მსოფლმხედველობა შეაპირობებს, განსაზღვრავს წერის მის მანერას, მის სტილს. რადგან ე. ჰემინგუეის ამ იდეოლოგიურ პოზიციასზე სხვა ბევრი დასაყვლელი მწერალი დგას, საყარველი არ არის, რომ მას მიმდევრებიც გაუჩნდა.

სოციალისტური საქართველოს რეალური ცხოვრება მწერლის წინაშე არ აყენებს არც ერთ იმ პრობლემას, რომელიც ესოდნ სტანდარტს, აწვალს ე. ჰემინგუეის და მის მიმდევარ მწერლებს. ამიტომ ჩვენ პირობებში ე. ჰემინგუეის გავლენაზე ლაპარაკი ნებისმიერი, მწიგნობრული მსჯელობაა, რომელიც კონკრეტული ფაქტების ანალიზს არ ეყრდნობა. ყოველ შემთხვევაში გ. რაქელიშვილის მოთხოვნები ასეთ გავლენებზე მსჯელობის უფლებას არ გვაძლევს.

ხშირად გვსმენია, ე. ჰემინგუეი კოსმოპოლიტი, ზოგადკაცობრიული ლიტერატურის წარმომადგენელი არისო. ეს მცდარი აზრია, რადგან არავითარი კოსმოპოლიტიკური, ე. ი. ეროვნულ თავისებურებას მოყვებული მწერლობა არ არსებობს. ე. ჰემინგუეი მკვეთრად გამოხატული ამერიკელი მწერალია, იმიტომ კი არა, რომ ის ინგლისურად, თუ ინგლისურ ენის ამერიკულ დიალექტზე წერს. ის ამერიკელი მწერალია იმიტომ რომ ის ამერიკულ ეროვნულ ხასიათს გამოხატავს ლიტერატურაში. ანაის ერის ეროვნული წყობის მატერიალიზაცია სწორედ ამერიკულ კულტურაში იჩენს თავს. ანაის ერი ნარევი ვრია, ის სხვადასხვა ერის ნაფლდა, ამიტომ არის, მისი ლიტერატურაც სპეციფიკური ხასიათისა. ამერიკული ცივილიზაცია მერტისმეტად თავისებური თვისებების მატარებელი ფენომენია. ე. ჰემინგუეი, როგორც დიდი ეროვნული მწერალი ყოველივე ამას მკვეთრად გამოხატავს. მისი წერის მანერაც, მისი ლიტერატურული ხერხები, წარმოსახებითი საყარო, ამ საყაროს აღქმის გზები სპეციფიკურ ხასიათს ატარებენ. ესეც რომ არ იყოს, ის მერტისმეტად ინდივიდუალური,

თავისებური ნიჭის პატრონია. როგორ შეიძლება მიხამაო ე. ჰემინგუეის წარმომადგენელი მიხამაველობა ბოლოსდაბოლოს უპიკრობამდე მივა. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ მას თვით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში არა ჰყავს დიდი ნიჭისა და ლიტერატურულ შესაძლებლობის მიმდევარი მწერალი. ფოლკ-კროლი, სტინბეკი, პერლ ბაიკი, არტურ მილერი, კოლდევი, საროიანი და ბევრი სხვა, ე. ჰემინგუეისაგან მკვეთრად განსხვავებულად წერენ. მათ საკეთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობა გააჩნიათ.

ქართველი მწერალი ისე ვერ დაწერს და არც უნდა წეროს, როგორც ე. ჰემინგუეი წერს. ქართული მწერლის შემოქმედებაში მატერიალიზირებული უნდა იყოს სულ სხვა პიქიკური ეროვნული წყობა, სხვა ხასიათები. მე აქ არას ვამბობ ჩვენი მწერლის იდეოლოგიურ პოზიციებზე, რადგან ეს მომენტი თავისთავად იგულისხმება.

ფრანზის ლაქონტობა, ხანდახან მისი დამთავრებლობა, მისი ასონანსური წყობა, პროზაული მუსიკალური რიტმის დაშლა, ლიტერატურული მუსიკალური აკორდის მოულოდნელი, არაბუნებრივი შეწყვეტა, ყოველივე რაც დასავლეთის პროზის ზოგიერთ ნიმუშს ახასიათებს უშეალოდ თუ გამეშვებულად მწერლის მსოფლმხედვრებას გამოასახებდა. ჩვენი მწერალი კი სხვა იდეურ პოზიციასზე დგას და ამიტომ სხვანაირად წერს.

არის წერის სხვა მანერაც, რომელიც ახასიათებს მკვერის სოციალური ვლერადობის მწერლობას. გავიხსენოთ იმავე ფოლკნერის პროზა, თუ ამერიკული ლიტერატურაზეა საუბარი, რომელსაც, მაგალითად ნობელის, 1959 წლის ლაურეატი, იტალიელი პოეტი სალვატორე ეკსპიზილო ე. ჰემინგუეის პროზაზე მიღდა აყენებს. ე. ი. ახლაც არსებობს ისეთი პროზა, რომელიც დაწერილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრადიციულ „ნორმალურ“ თხრობის საშუალებით. გავიხსენოთ ისეთი ყოველმხრივ შესანიშნავი, დიდი მწერალი, როგორიცაა ფრანგი, ანტუან დე სენ-ექსიუპერი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი წერის მანერა, რომელიც ამ შემოქმედის დიდ ფილოსოფიურ აზრს და აზროვნებას შეესაბამება, უფრო ახლოს დგას ჩვენ ლიტერატურულ ამოცანებთან, ყოველივე ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე მწერლობის გამოცდილება. ჩვენ გეკვირდება არამთუ ე. ჰემინგუეს, ფრანც კაფკას გამოცდილების შესწავლა. ერთი საბუთი, ქართულ პროზას თავისი ეროვნული სახე უნდა ჰქონდეს, ის მას აქვს, საჭიროა მხოლოდ, ყოველგვარ ეპიგონონის გარეშე, ამ სახის გაღრმავება, განკარგება, მის თანამედროვე გამოხატვითი საშუალებებით გაამდიდრება. ეს ამერიკული მსჯელობა რო-

დია, ეს არც დიდაქტიური ნარაქიაა, ქართული ლიტერატურის განვითარების ასეთ ეროვნულ გზებზე, ჩვენს კანონზღერებების ისტორია მიგვიბრუნებს.

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის იდეები და ამ იდეების ამახვილები ფორმა ქართველმა კრიტიკულმა რეალიზმმა ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებარა და მის ჩვენს ხალხსათვის შესაბამისი ტრადიციული, თავისთავადი ფორმა მისცა.

ცნობილია, რომ „ცისფერი-ყანწები“ ფრანგულ და რუსულ სიმბოლიზმის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ მისი განვითარების ყველა ეტაპზე ის წმინდა ქართული ლიტერატურული მოვლენა იყო. „ცისფერყანწებმა“ ბევრი რამ ახალი შემოიტანეს ქართულ ლექსთწერაში, მათ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების და აზრის ისტორიის გარკვეული ხანაც ასახეს, და ამ ლიტერატურული ჯგუფის გაჩენა ამ ხანამ შეაძირობა, პაოლო იაშვილის თუ ტკიპან ტბაიძის პოეზია არც არტიკურ რემპის, არც ბრიუსტკის პოეზია არ აჩის, ის ქართული პოეზიაა. (ჩვენ სრულიად არ ვეხებთ ამ მწერლების ტალანტს, ნიჭის მოცულობას და შესაძლებლობას). არას ვიტყვით აგრეთვე „ცისფერი ყანწების“ იდეოლოგიურ ევოლუციაზე, როდესაც ამ ჯგუფს დიდი უმრავლესობა გამოეხიზა წერილ-პეტრეპიზულ-ანაქსის-ბრუნულ დეკადენტურ მრწამსს და პროლეტარიატის იდეოლოგიური პოზიციები აღიარა.

სოციალისტური რეალიზმის მსოფლიო რეზონანსის ძალზე ახლა არავენ კამათობს. სოციალისტური რეალიზმის რუსულ და ქართველ წარმომადგენლებს ერთი მსოფლმხედველობა აქვთ, მათ ერთნაირი იდეოლოგიური პოზიციები უჭირათ, ისინი ერთ პოლიტიკურ კონცეფციას იზიარებენ და ხშირად ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები არიან და მიუხედავად ასეთი მკიდროს და ურთველი კავშირებისა, ამა ვინ იტყვის, მაგალითად, რომ გ. ნატროშვილის თუ ვიკტორ ჩიჭუვაძის მოთხრობები არ ატარებენ წმინდა ეროვნულ, ქართულ ხასიათს. მე აქ არას ვამბობ დიდ ქართულ თუ რუსულ რომანზე. შესაძლებელია, ყველაფერი ეს ანბანური კუჭკარბიტებია, მაგრამ დრო და დრო მათი განმეორება, საჭირო და აუცილებელი ყოფილა.

ე. ჰემინგუეის რაოდენ დიდ გავლენას განიცდიდა გ. რჩეულიშვილი, და ო. იოსელიანი ე. კოლდუელისა, მე ეს არ ვიცი. სხვა რომ არა იყოს რა, გ. რჩეულიშვილი და ო. იოსელიანი ამავე ჯერ კოტა რამ გაეკეთეს ქართულ ლიტერატურაში, მათი ნიჭის წყნობის კუჭკარბიტ გამოსხივებას ჩვენ მოუთმენრალად ველოთ. ერთი რამ კი კარგად ვიცი: სანამ ისინი ამ „გავლენას“

ნისაგან“ (თუ ეს გავლენა მართლა არსებობს) არ განთავისუფლდებიან, კუჭკარბიტად ეროვნული მწერლები ვერასოდეს გახდებიან. ყოველი ხალხის დიდი ლიტერატურა ეროვნული ტრადიციების განვითარების ლოკატორი, ობიექტური კანონებს ემორჩილება. ვინც ამ კანონის დარღვევას მოისურვებს, მას ხალხის ლიტერატურა გარიყავს და სხვაე არავენ მისცემს თავის შესაძარს.

ყოველივე ეს სრულიადე არ ნიშნავს, რომ მსოფლიო ლიტერატურა რაღაც დამოუკიდებელ ოაზისებში ვითარდება და ურთიერთგავლენას ადგლი არა აქვს. არამცთუ ახლა, როცა ესოდენ გახშირდა ხალხთა შორის ურთიერთკავშირები, არამედ ძველ დროშიც სხვადასხვა ენის ლიტერატურა ყოველთვის გარკვეულ კონტაქტში იმყოფებოდა. ჩვენ ხომ ვიცი, რომ არსებობს, მაგ., აღმოსავლეთის კულტურა და ლიტერატურა, დასავლეთის კულტურა და ლიტერატურა და ა. შ.

ერთი გარკვეული სოციალურ-ეკონომიური ფორმაცია (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური), მიუხედავად ხალხთა შორის თუ ეროვნულ სხვაობისა, მუდამ ზოგადკავშირული, ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი ელემენტებსაც წარმოქმნის და ეს ზოგადკავშირული ნაყადი გარკვეულ ზოგად ქვალიტეტს ატარებს, რომელსაც სოციალისტური კულტურაც ითვსებს. ჩვენ ასეთ კავშირებზე როდი ვლაპარაკობთ და ეს მომენტი არა გვაქვს მხედველობაში მიღებული.

სხვადასხვა ლიტერატურის ურთიერთგავლენის საკითხი მეტად რთული პრობლემაა, რომელიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ შევეცდებით ამ საკითხს კვლავ დავებრუნდეთ სპეციალურ სტატიაში.

9. კიდევ ერთი მისტიფიკაციის შესახებ. გ. კანკავა იმეორებს ამ რამდენიმე წლის წინათ დარბეულ ხმას, თითქოს ე. ჰემინგუეის საღდად დაუწერია, თუ უთქვამს, ჩემი ყველაზე საყვარელი მოთხრობების მწერალი ვიყავი-ფშევალი იყო. 1959 წლის ტურნად „Иностранна и литература“-ს № 7-ში დაბეჭდილია ე. ჰემინგუეის მოგზაურის დღიურები „აფრიკის მწვანე გორაკები“ („The green Hill of Africa“). ამ ნარკვევებში ე. ჰემინგუეი ბერძენი ქვეყნის მრავალ მწერალს ჩამოთვლის, რომლებსაც ის სიშმათით თუ ინტინათით ემყარობა, ზოგიერთი მისწონს, ზოგიერთი არა, ზოგს მასზე გარკვეული გავლენა ჰქონია, ზოგს არავითარი. ამ გრძელ ხიამი ვიკავშირებს სახელი არ მომანს. ასეც რომ არ-ყოფილიყო, ვერ გაიგავი, რა კავშირი აქვს გენიოს ვიყის პროზას და პოეზიას ე. ჰემინგუეის შემოქმედებასთან?



თანამედროვე თემის დაუფლებსათვის

ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა საკითხს ეხება გრიგოლ ჩიჭოვანის მოთხრობებისა და ნარკვევების წიგნი „სოციალური“. თუმცა კრებულში შრავალი ნაწარმოებია შეტანილი, თვითველი მათგანი ხასიათდება მხატვრული თავისებურებითა და თემატური სიახლით, მათ შიღმა ჩანს ჩამოყალიბებული შემოქმედლი.

კრებული ძირითადში ეძღვნება თანამედროვე ქართული ადამიანის ცხოვრებას, მოსწავლის, კოლეგების თუ ინტელიგენტის პირად და საზოგადოებრივ ყოფას, მათ ტყვიელებს და სიხარულს, ცდუნებას და თავშეკავებას. მაგრამ კრებულს სხვა მხარეც გააჩნია: რამდენიმე მოთხრობა ასახავს იმ სისხლანინ დღეების სიმძიმეს, რომლის წარმატებით დაძლევაშიც ვახადა შესაძლებელი მშვიდობიანი დღეების შრომა და სიხარული.

მოთხრობა „მეგობრები“ დიწერილია ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომის თემზე. ორი ახალგაზრდა პირველად შედის საბჭოთა არმიის რიგებში. საშობლო აგზაენის მათ შორეულ ფინეთის ფრონტზე. ორი თანასოფელლის სიყარმის მეგობრობას წამლავს ერთმანეთისადმი დაპირისპირების გრძნობა: ერთს მშობლიური სოფლიდან მიპყეება საფეარელი ასულის თიხლი სუნაჟა და ერთგულების ფიცი, ხოლო მეორეს იმევე ასულის გულგრილობა და შეუვალობა.

ბარდა ჩუშია და პირქეში. მისი პირქეშობა კარგად შეესაბამება იმ ტყვიელებს, რომელსაც კეთილშობილი სულის ქაბუკში იწვევს უარყოფილი სიყვარული. იგი ვაერბის ჯონდოს. ასე გრძელდება, სანამ ჯონდო ტყვედ ჩავარდნის სამშრობების წინაშე არ დგება. მოფიქრებისათვის არ რჩება დრო, შექმნილი ვარემოება ერთბაშად დანტავს იქვენულობას და ფარულ გაპორტებას, ბარდა თაფანწირით ვეეთება მტერს და მძიმე კრილობის ფსახდ დაიხსნის მეგობარს.

ასე იმარჯვებს კერძო ინტერესებზე ჩვენი ჰეყენის მოქალაქეობრივი საერთო ინტერესი.

მოთხრობაში „ფოსტალიონის სიკული“ კლავ ვხედებით წონა მოთხრობაში გაცნობილ გმირებს: ვევა ისინი მტკიცედ დგას ცხოვრების შიერ მათთვის განკუთვნილ ადგილზე.

ზოგი სახალხო მეტრეწობაში ძეშაობს და ზოგიე ბრძოლას აგრძელებს უევე ახალი მტრის — გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ბარდის მამობილის შვიას სახე. შვია ერთერთი სინტერესო სახეა იმ თავისებრი, უხერხული, ქარმაგი მოხუცების გაღერეაში, რომელთა შექმნის ტრადიცია საკმაოდ მტკიცე ვახდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. შვია რადაკით ენათესაება ლ. ქიაბელის მთის კაცს. ეს ის ადამიანებია, რომლებშიც ვერ შეძლეს თავის დროზე ანთებლიევენენ ქაბუკური ცეცხლით და ახლა ცხოვრების დაღმართზე იღუპებს მათში ახალგაზრდული ვატაცება და მალე ზნეობრივი კეუთება. შვია გრძელდის ერთგვარა შეჯობრების სურვილის გრძნობას ახალგაზრდების მიმართ. ფრონტის წინა ხაზზე შემთხვევით მოხუდერილი იგი ვეყავურად იღუპება მტრის ტანკებთან ბრძოლაში. ასე დიღია ერთიანობა და ვანუყოფლობა ჩვენი საზოგადოების ძველ და ახალ თაობას შორის.

პირნიკიული ვანზოგადების სიძალეზეა აყვანილი მოთხრობა „დაბრუნება“. აქ ერთმანეთის ვეერდით და ერთმანეთთან შინაგანადა ვაერთიანებული ახლობელი ადამიანის დაკარვეთ ვამოწვეული სეედა, სიმძიმელი ახალგაზრდულ ზრახვთა შეესრულებლობის ვამო, სიძულელი ომისადმი და უეეთესი მერმისის რწმენა.

უფროსი სურყანტი ვეანი მიქამე შეეებულეებით ბრუნდება დედასთან. უმარეილობის ოცნებების შეუბლადევი სიწმინდე დედის მოგონებებთანაა დავეშორებული. ვეანი ესწრაფის დედის ნახვას, სურს ჩახედოს მოსიყვარულე თვალბში და მძიმე დალილობის შემდეგ ვანიყადოს ის სიბოთ და სიმშვიდე, რაც არაოთხულ ვანუცლია ხოლმე. მაგრამ ვეანი იმორჩილებს საბლში სასწრაფოდ მისელის სურვილს. იგი მიდის თავისი მეგობრის ოჯახში, რათა ერთხელ კიდე მისსამძიროს მშობლებს მათი ვეის დაღუბვა ვეანი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ხეტას ოჯახს ცხოვრობს ძაბებული მოლოდინით, ერთადერთ ვახე ფიქრებით, მათ არაფერი არ იყიან ხეტას დაღუბვის შესახებ. ვეანი გრძნობს, რომ ხეტი მათთვის უფრო მტრია ვიდრე შვილი: იგი მთელი

ოჯახის მზანაა, მათი მოქმედების ღერძი. ის სასოება და ანაღლება, რითაც ხურტა გარშემორტყმული ერთგვარი სიმბოლიკით გამსახატავს რწმენას, სიყვარულს და პატივისცემას ოჯახის მომავლისადმი.

არა, არ შეიძლება ეთქვას სიშართლე შრომლებს: ეს მათში გამოიწვევდა სრულ სასოწარკვეთას. დღე, იფიქრონ, რომ ხურტა ცოცხალია და გააგრძელონ მისი მშრომლობა. ზოგჯერ აღამიანისათვის უმჯობესია თვალს ხეჭყედეს და არ ხედავდეს გამოუსწორებელ უბედურებას.

ასეთი იყო გვიანის შინაგანი ბრძოლა ხურტას შრომლების წინაშე და მას, სხვისი მწუხარებით და თანაგრძობით მოცულს, არ ეყო გუმანი დაეჭობა ანალოგიური მღელვარება, რომელსაც მისი მასხინალები განიცდიდნენ: ისინი ხომ გვიანის საყვარელი ღელის გარდაცვალებას უშალავდნენ. მწერალს კარგად აქვს ეს დრამატული დაძაბულობა ნაწევრები: სიუჟეტის განვითარება ნელაა, მაგრამ უწყვეტი. მოქმედება იმდენად დიალოგებში და ზოგჯერ წიადსელების მიშველვებით ახალი ნიუანსი ემატება ნაწარმოების სედიანი განწყობილებას.

მოთხრობაში „დაბრუნება“ ერთი სიმბოლიკური ხერხია გამოყენებული: საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ხურტა და გვიანი ინსტიტუტში შესასული გამოცდებისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ მათ არ დაეცადათ, ისინი ჯარში გაიწვიეს და დაჯაზე გამოუყვანელი მაგალითი დარჩათ. წლების განმავლობაში ელოდა ეს მაგალითი გამოყვანს, იგი იყო როგორც ურყევი საყვედური ომის განმალბებულთა მიმართ, იგი იყო როგორც მინიშნება იმ ქუმზარტებაზე, რომ ომი არ არის ედამიანის მიზანი და ომის შემდეგ ის ელავ რჩება ახალი საკითხის გადაწყვეტის წინაშე, ახალი ამოცანის ამოხსნის წინაშე, ახალი ცხოვრების შექმნის აუცილებლობის წინაშე.

ნელა, მაგრამ მტკიცედ შემოდის გვიანის მორალი სუბში ახალი ამოცანის გამოყვანისათვის საჭირო ძალის რწმენა. ღელის გარდაცვალებით მიყენებული ტკივლებს აუჩუებს ცხოვრების წინაშე მოვალეობა. იგი ერთბაშად დინჯი და ასაკოვანი გახდა. არა ადრინდელი გრძნობით, არამედ თავის გადაწყვეტილებაში გარკვეული ადამიანის სიმტკიცით მიღის გვიანი ცხოვრების სიძნელეებთან შესატყვრად.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ აეტორის მოთხრობის ზოგადი იდეური კონცეფციის და ემოციონალური ხასიათის საწინააღმდეგოდ ეს სიძნელე ელავ ომის საბით აქვს წარმოდგენილი. ნაწარმოების ფინალი სხვაინი გადაწყვეტის თხოულობდა. მოთხრობაში ომი აღიქმება განვლილ საშინელებად, რომელშიც ბეერა მწუხარება დასტოვა ადამიანებში, იგი დაძლეული ბოროტება და ამიერიდან საჭიროა მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა. ვინა ნაწარ-

მოების მხატვრული ლოგია უფრო არ მოიგება თუ აეტორი ომგადაბდილ გვიანს ჩვენი მშეიდობიანი ცხოვრების რამეცრმე უნაწნე გაუშვებდა და მის უკანეე აღა დაბრუნებდა ომის ქარცეცხლში? მაგრამ ხდება პირიქით, რითაც მოთხრობის ფინალი ისეე პესიმიზმისაკენ გადაიხარა, ნაწარმოების ასეთი შეუხაბამო დასასრული აღბათ ამით აიხსნება, რომ იგი დაიწერა დიდი სამშელო ომის დღეებში და მწერალს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია რეალური სინამდელიისათვის.

მოთხრობა „სიყვარული“ კრებულის წამყვანი ნაწარმოებია, როგორც აღჩრული საკითხების ისეე ამ საკითხების მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც. ტყელიად კი არ გაავრცელა მწერალმა ამ მოთხრობის სახელწოდება მთელი კრებულის მიმართ. ამ ნაწარმოებში გამოყვანილია ჩვენი ახალგაზრდობის ყველაზე უფრო მშფოთავი ასაკის წარმომადგენელნი, საყვანი ყოყმანით, ძიებით, ფსიქოლოგიური და ფიზიკური იმპულსებით, იმ პერიოდის ახალგაზრდობა, რომელსაც მწეველ დგება ჰებელის საზოგადოებრივი ფორმირების საკითხი, მისი მომავალი ცხოვრების განსაზღვრის აუცილებლობის საკითხი.

ოჯახისა და საზოგადოებისადმი ინტერესი ორგანული აღმოჩნდა გრიგორი ჩიჭოვანისათვის. „მთორე ოჯახიდან“ ეს ინტერესი აეტორის ახალ მოთხრობაშიც შემოყვა და თუ იქ ნორჩი ბავშვი დაუბირისპირა ცხოვრებისაგან ხასიითდამიძებულ მოხუცს, აქ ასაკოვანი ქალიშვილი ილაშქრებს პარტიზოყვარე ღელის ენინიანობის და აქედან გამომდინარე ფეხი ბედნიერების წინააღმდეგ.

მზია მოხდენილი, თვრამეტო წლის ქალიშვილია. მისი აღზრდა თავიდანეე წარმოადგენდა ცილობის საგანს ცოლქმარს შორის. ბავშვის მამა გიორგი ედილობდა მზია უბრალოებისათვის შეეჩვია, მაგრამ სხვა აზრისა იყო დედა. ვერიკო თავიდანეე ახვედა პატარა მზიას თანატოლებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას: დაბალა მდგომარეობის მშობლების ბავშვს ზემოდან უნდა უტყერდო, მაგრამ შორიდებული იყო დიდი კაცის, ვთქვათ, რაიკომის მღენის, ბავშვის მიმართ. ბუნებით იმპულსური, მზია ეტლად ითვისებდა ღელის გაყვითლებს, მაგრამ იგი უფრო მგრძნობიერი აღმოჩნდა აღზრდის იმ ნაწილში, სადაც ვთავალსწინებული იყო მზიაში ქალობის გაღვიძება დე მამაკაცზე ზემოქმედების ხელოვნების, ვაძის გაღვიზინებისათვის საჭირო მანერების შეთვილება. მზიას ქეცევებს თანადთან შეერის რალე უხელო და ქარიფშეტული, რალე ისეთი, რაც ვერ ბოულებოდა ახსნას თავის ვარემოში. ზეენს საზოგადოებაში მამა რომ ხშირად შორის დგას ოჯახიდან, ბავშვებიდან და მათზე ზრუნვა ძირითადში დედას უხდება, განისაზღვრავს

წმობლების გავლენის უთანაბრობას ბავშვების მიმართ. ვერცერთი შეეცადა ამით ესარგებლა, მან ერთადერთი თავისი ქალაქილი დაუქვემდებარა შედეგის, პირდაპირ, თუ არა პირდაპირ, შეაგროვებს, თავისი ცხოვრება წაყვანა ასე, რომ საშუალო სკოლა დაემთავრებინა მედალზე და გამხდარიყო ექიმი. მაგრამ ვერცერთი განერჩევილია მიზნის მიღწევის საშუალებებში: მან ნაცნობობით აღებინა მზიას მედალი და გააშხადა ის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად.

მზია არასოდეს არ მოქცეულა დედის სრულ გავლენაში. მისი წმინდა სული არ იღებდა ანგარების მღვრიე ნაქაღს. მაგრამ მომავალი სტუდენტობის პერსპექტივა იმდენად რომანტიკულად ესახებოდა, რომ მან უყოყმანოდ დასტოვა უახლოესი მეგობარი, ამხანაგები, მშობლები სოფელი და ქალაქში გაემგზავრა.

ელგუჯასათვის მტანჯველი, გაუგებარი და უცხოა მზიას ქვეყა. იგი გუბუღავდა სიყვარულის აღიარებაში. ეს თითქოს არც არის საჭირო. მისთვის ისე მრავალმეტყველია, ახლობელია მზიას თვითონი ქვეყა, რომ მის უკვე მათ შორის ყველაფერი თქმული ჰგონია. მაგრამ მან ვერ შეძლო მზიას გაღმყვებულების შეცლა. საგონებელში ჩაეარდნილი ელგუჯა სოფლად ჩივდა, მაგრამ მისი გული არ ღებულობს იმ აზრს, რომ მზიამ სამედამოდ უარყო იგი.

თბილისში მზია აღმოჩნდება მისთვის წარმტაც გარემოში. აქ სრული ბრწყინვალეობა, ცეკვა, მუსიკა, სუბარო ხელოვნებაჟე, დახვეწილი ქვეყები. მზიას დაეუფლა დამატარებელი ნებარების, გატაცების და ყოველგვარი ზრუნვათა დაეწეყების განცდები. მან დაიფიყვა თავისი, როგორც აბიტარიენტის მოვალეობა და ხელი შეეშვა მეცადინეობას. მზია თავისივე ოცნებების და სურვილების ტყვედ გახდა. გატაცება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქალიშვილში მოდუნდა სინდისის გრძნობაც: იგი სიამოვნებით დათანხმდა მისთან გამოცდებულს ლადო ზეტიაანის წინადადებას თავი დაანებოს სავნის მომზადებას და მიიღოს ნაცნობობით გაჩანტირებული ფრიადი.

მზიას არ აკლია პატიონება, მაგრამ იგი ღებულობს შემოთავაზებულ უპატიონსო საშახურს; თავის მხრივ არც ლადო უწევს ახალგაზრდა, მაგრამ ქალიშვილის გულის მოსაგებად მიმართავს სახიფათო თამაშს. ლადოს ერთდევნა ზომიერება და მისი მორალური სახე ანტიპატიურად წარმოსდგება მზიას წინაშე. ქალიშვილი შთაბეჭდილებათა ბერანოდან გამოჰყავს მისთვის უმშავალითი თაზხედობას, რომელიც ევაძე მზიას მიმართ გამოჩინა მისი დიდუღლის მიზნი. შთაბეჭდილებებმა სახე იცვალეს. ამიერიდან ქალიშვილისათვის ლადო აღარ არსებობს როგორც იდეალი. ორივე თავის ქვე-

ყაში ამრალბობსაყენ გადაიხარა, მაგრამ მზიასთვის ეს გრძნობათა სიჭარბის შედეგი იყო ხოლო ლადოსთვის — განეხიერებულდა ახალგაზრდადის ჩვევა.

ელგუჯა და მზია, როგორც იტყვიან, კარის მეზობლები იყვნენ, მათი მეგობრობის დასაწყისის მოგონებაც ცნობიერების გაღვიძების უკვეშირდება. ყველაფერი, რაც კარგი იყო და დაუფიყვარი, ორივეს ერთად განეცადა. ერთადვე მონაწილეობდნენ ახალგაზრდულ წამოწყებებში. მათი მეგობრობა იმ ასაკში დაიწყო, როცა არ ხდება ურთიერთობის გაყნობიერება. ეს იდუმალი მიმდობლობა და მეგობრული გულისთქმა არც შემდეგ გაუხდითი განსჯის საგანად. პირველ სიყვარულს სიწმინდე და სიღამაზე ფერულად შეებარა. ძნელია მათ ურთიერთობაში გამოაცალკევე ერთმანეთის სიყვარული იმ გარემოს, ცხოვრებისა და მოგონებათა სიყვარულისაგან, რომელმაც ისინი ერთმანეთთან დააკავშირა. ამიტომაც თბილისში გამგზავრებული მზია, მხოლოდ ბუნდოვანდ განიცდიდა ელგუჯასთან განწორების ტყივლებს.

მაგრამ თბილისის მაღალ საზოგადოებაში მზიას მალე შეიპყრობს ჭუნეარება და უკმაყოფილება. დედის მიერ შეაგონებულ პატიუწყვარვობას ებრძვის მასში ცხოვრებით განმტკიცებული დამოუკიდებლობის სურვილი. ქალიშვილი უცხო საზოგადოების მხოლოდ ინერტულ ერთეულად იქცა, მას დაეკარგა თავისი პიროვნების გამომდგენების საშუალება. იმ შორეუნიბითა პატივისცემამ, რომლითაც იგი იყო გარშემორტყმული ვერ გაათავისუფლა მზია შეზღუდვისა და საუთარი „მე“-ს დაკარგვის საშიშროებისაგან.

ეს იყო ნამდვილი მზიეზი, რამაც განაპირობა მზიას მიერ ლადოს დახმარების დიდსულოვანი ზონლით უარყოფა და სწრაფა მშობლიურ საზოგადოებაში დასაბრუნებლად. ამ მიზეზით მოხდა, რომ თბილისში მზია მომეტებულად განიცდიდა ელგუჯასთან სიახლოვის ნდომას და ეს უმაწვილი თითქმის პირველად წარმოეცა მას სხვად, ვეად. არ ვიქნებოდით სწორი მოთხრობის ჩანაფიქრის ვაგებაში, თუ დაეუშვებდით, რომ მზია მხოლოდ ელგუჯას სიყვარულში დააბრუნა სოფელში. არა, ელგუჯასადმი სიყვარული მხოლოდ ნაწილია იმ სიყვარულისა, რომელსაც იგი განიცდის თავის სოფლის, ხალხის, ჩვენი ცხოვრების მამართ, რომლისაგანაც მექნიურად ვასვალზე ვერ დათანხმდა ქალიშვილის ამაყ სულ. გმირის სულში გარდატეხა ხდება აღმანური ტყივლების და იმდგაყრუების საფუძველზე, იგი თვით რწმუნდება საუთარი არჩევანის მცდარობაში და აღარ შეუძლია ცვლავ ამ არჩევანის ერთეული დარჩეს.

მოთხრობა „მზია“ ყურადღებას იქცევს მთე-

ლი რიგი მართალი სახეებით: რიგითი კოლმეურ-
 რე ქალი მარიამი, კოლმეურნე პლატონი,
 ახლგაზრდა ჩაის მერეფეა გვანცა ისეთივე
 სიუვარდიოთა დაბატული, როგორც რაიკომის
 მდივანი-ლევანი. მაგრამ ამ ადამიანებისაგან
 მაინც გამოირჩევა: თავისი შრომით და გმირო-
 ბით ახალგაზრდა ქალი — შაია. თუ რა ახლოს
 იცნობს საბჭოთა სოფელს მწერალი ამას კარ-
 გად აღსატურებს შაიას ცხოვრების აღწერა.
 მწერალმა ჯერ კიდევ ადრე ქართულ სოფელ-
 ში ჩანასახოვან მდგომარეობაში დაინახა ის,
 რაც შემდეგ მთელი საბჭოთა სინამდვილისათ-
 ვის ტიპური გახდა.

შაია ჩაის პლანტაციებში, კოლმეურნეობის
 ველზე შეშაობაში დაქალდა. ამიტომ იგი
 სრულად თავისუფალია იმ გაოტებისაგან, რაც
 რამდენადმე შემორჩა რევოლუციამდელ თაო-
 ბას. შაია ვერ ხედავს სხვაობას საკოლმეურნეო
 და პირად-საყოფარებას შორის. მისი ერთგუე-
 ლი, შემომქმედი, მეზობლი, მჭაიებელი ბუ-
 ნება ცდილობს მაქსიმალურად წაყოფიერი გა-
 ხადოს შრომა, გააუმჯობესოს ჩაის მოყლის და
 კრეფის ეტლტრა. მაგრამ შაიას როდი აინტე-
 რესებს შრომად ჩაის მოყლის ტექნიკური სა-
 კითხები. იგი გრძნობიერია მისი გარემომცვე-
 ლი ადამიანებისადმი. ცუდი ორგანიზაციის ან
 საქმის უყოღინარობით გამოწვეული შრომის
 უფექტურობისადმიც ვერ რჩება გულგრილი.
 მან ნებაყოფლობით ისურვა კოლმეურნეობის
 ველზე ჩამორჩენილ ბრიგადში გადსაყლა. თა-
 ნაც შაიას უკან არ დაუბრუნია საჩუქრად მო-
 სავლის მიღების ვალდებულების წინაშე. შაიას
 ქუშმარიტად შალალი მოქალაქეობრივი გატაცე-
 ბა უცხო დარჩა მისი შეუღღსისათვის. შაი
 შორის პირველად ჩამოწვა უსიამოვნების
 ჩარდილი. „რატომ მაინცდამაინც შენ უნდა წახ-
 ვლდე, ასეთ დაქცეულ ბრიგადში და არა
 სხვა?“ კითხულობს უფრო პატარა პირიზონ-
 ტისათვის დაბადებული ადამიანი. მაგრამ საბო-
 ლოოდ შაია მაინც თავისკენ გაიყოლიებს ცხოე-
 რების მეგობარს.

მოთხრობა „შაია“ ცხადათ ამტკიცებს გვა-
 ნოველთა მოძრაობის ორგანიზულობას საბჭოთა
 საზოგადოებისათვის. ვალენტინა გვანცოვა ერთ-
 ბაშად არ გაჩენილა საბჭოთა სინამდვილეში.
 ადრეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ანალო-
 გური მსოქმედებით ნიადაგს უმზადებდნენ ამ
 სახალხო მოძრაობას.

უნდა აღინიშნოს რომ გვანციონისებური
 შრომითი თაოსნობა კრებულში შეშვეალ სხვა
 ნაწარმოებშიც იჩენს თავს. მთავალიად ნარკ-
 ვევი „სკინას ხიდი“ აღწერილია თუ, როგორ
 ისურვა სახელოვანმა მეჩიემ კარლო გორგილა-
 ძემ გაწია ხელმძღვანელობა შრომის კოლ-
 მურნეობის შესაქონლეობისათვის. თუმცა ეს
 დარგი მისთვის გაიცოლებით ნაკლები პერსპექ-
 ტიული იყო ვიდრე ჩაის პლანტაციები.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობების და ნარკვევების
 კრებულში განსხვავებული ადგილი უკავია მოთხ-
 რობას „ბერძენი“. მოთხრობაში ჩიქოვანის
 მშობლიურ ენაზელ კობროსიდან განდევნილი და
 საქართველოში თავშეფარებული ბერძენის-გი-
 ორგოსის ცხოვრება.

მაგრამ მოთხრობაში გიორგოსის პირადი
 ხედრი, მისი დამოკიდებულება ადგილობრივი
 მოსახლეობისადმი დაუყენებელია იმ გვარ ას-
 პექტში, რომ მოთხრობა იქცევა არა სათაე-
 გადასავლო, არამედ დრამატულ-ტრაგიულ ხა-
 სათის ნაწარმოებად.

მოთხრობის სიუჟეტი აგებულია ისტორიულ
 მოვლენაზე. 1873 წელს ინგლისელები დაე-
 პატრონენ უძველეს ბერძნულ ენაზელ-საბ-
 როსს, რასაც თან მოყვა კიბრელი პატრიოტების
 რბევა. ინგლისელების მიერ დენილი გიორ-
 გოსი მორატისი იძულებული გახდა საშობ-
 ლიდან გადაბეუწიყო. საშობლოში მან
 დატოვა შტრის მიერ გადამწერალი სახლი,
 ცეცხლის აღში დაღუპული მეუღლე და უგზო-
 უკვლოდ დაკარგული გოგონა-ურანია.

მოთხრობის შემდეგი ნაწილი საქართველოში
 ვითარდება. უსაშობლოდ და უოჯახოდ და-
 რჩენილი გიორგოსი შეითვისებს ქართულ მე-
 ზობლებს, განსაკუთრებით შეიღიეთ შეიტე-
 ბობს იბოლ ცირუს. გაპირებება და პატიოსნება
 ერთ ენაზე ლაპარაკობს, გიორგოსისთვის არ
 ხდება დაბრკოლებად ის გარემოება, რომ იგი
 სხვა ეროვნების ადამიანია. მას შტაციე მეგობ-
 რობა აქვს მეზობლებთან, მაგრამ ყველგ არ
 ასვენებს დეტის დაკარგულ ურანიაზე.

სიუჟეტის კენამი ბაზრობაზე იხსნება. აღ-
 შოჩნდება, რომ იმ შეგუბდით ღამეს, როცა
 გიორგოსის სახლი დაწვეს, ურანია ცოცხალი
 გადარჩა და ახლა საქართველოში მამის საქბ-
 რად მოსულა. მაგრამ მამა-შვილი ვერ ეღირსე-
 ბა ერთმანეთთან შეხედრას: გიორგოსი იღუპე-
 ბა ცოფიან ძაღლთან ორთაბროლოში.

არ შეიძლება გაკვირვებით არ შევნიშნოთ
 თუ, რატომ დაუკარგა მწერალმა ამ მოთხრო-
 ბას საოცარული ელერადობა, რისთვის, რა
 იღურა, მით, უმეტეს რა მხატვრული მიზნით
 შეუწავლა მან ეროვნულ უბედურებიდან
 მომდინარე პიროვნების მძიმე ბუნდ უბრალო,
 შემთხვევითი, ბრძად დაღუპვის ფაქტი? გიორ-
 გოსის უბედურება იწყება ინგლისელების
 ბატონობით კიბროსზე. ამ ადამიანის მთელი
 უბედურება მთვან მოდის, მაგრამ მოთხრობის
 ფინალიში მორატისის იღუპება ცუდი სიყე-
 დლით, ცოფიანი ძაღლისაგან დაქცეული. ცო-
 ფიან ძაღლის გამოყენებამ მოთხრობას დაუ-
 კარგა მხატვრული გამართულობა.

მით უმეტეს გაკვირვებას იწვევს ეს, რადგან
 მოთხრობას ეპილოგისებურ მიანწარში აეტო-
 რი კვლე უბრუნდება მოთხრობის ამოსავალს:
 იგი გვაცნობს, რომ ურანია დახეტარტილი იქნა



ინგლისელების მიერ კაპროსის ვინთავისუფლებსათვის ბრძოლაში. მოთხრობა შეუდარებლად მოიგებდა მის დასაწყისსა და დასასრულს შორის შინაგანი მხატვრული და იდეური მთლიანობა რომ ყოფილიყო დაცული.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობების კრებულში არის ორი ნაწარმოები, რომლებშიაც დაგმობილია ძველი, ქართული საზოგადოების მოარისტოკრატი ზედაფენის ავანტიურაში და საზოგადოებისადმი დაპირისპირება.

მოთხრობა „სიცივლი თხრილში“ გრ. ჩიქოვანის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს გუთვინის. ყარაშან ზვინგია სახელოვანი ვაჟკაცი და შალაღი ბუნების აღმიანია, მაგრამ მისი ვაჟკაცობა არასოდეს არ ყოფილა კეთილი მიზნებისათვის გამოყენებული. იგი ხან ჭრდობას მისდევდა და ხანაც კონტრაბანდისტობას. საბჭოთა ბელისუფლების დამყარების შემდეგ ყარაშანს ფეხქვეშ წააღაგი გამოეცალა. ის ვერ ახერხებებს შრომითი ცხოვრების დაწყებას და ეწირება უკანასკნელ ბოროტმოქმედებას, იღუპება მისგან შორეული გაიოზის ხელით.

მოთხრობა „კაცი გამოქვებულში“ აგვიწერს ქართულ მთიან რაიონებში ახალი ცხოვრების შესვლას და ამ პროცესთან დაკავშირებით ძველი ტრადიციის შტონე აღამიანების დაღუპვას.

გრ. ჩიქოვანის ნარკვევები ქმედითი, მებრძოლი ლიტერატურული ნაწარმოებებია. მათში მრავალი აქტუალური საკითხია დაყენებული, მწერალი ზედმიწევნით იცნობს აღებულ მასალას.

ნარკვევში „სოფლის დედა“ ავტორმა წინ

წამოწია ქალის როლი საზოგადოებაში, თამარ ყუფუნია, მხნე, ინიციატიური „ქველანი“ მისი თაოსნობით ბრიგადამ შეძლო სამხედრო ომის დღეებში არა მარტო უმამაკაცობა არ დაემჩნია კოლმეურნეობისათვის არამედ გაცოლებით გავდიდებინა მოსავალი.

ნარკვევში „მორგ ბუნება“ დაყენებულია საკითხი საქართველოს ბუნების კიდევ უფრო გამშვენიერების შესახებ, რაც შეიძლება გაკეთდეს ძვირფასი მცენარეების მოშენების საშუალებით.

გრ. ჩიქოვანის მრავალ ნარკვევში აქცევს ყურადღებას საქართველოში ძვირფასი კულტურების გაშენების საკითხს. კერძოდ ნარკვევში „ახალი თამაჯდომარე“ საქმის დიდი სიყვარულითაა გათვალისწინებული კახეთში მცენახეობის გაფართოება. ერთ მთლიანობაშია გაერთიანებული სამი ნარკვევი „თბილისი“, „ჩაუქრობელი ცეცხლის ქალაქი“ და „ძველი ქალაქის სილაბუკე“. მათში აღწერილია ამიერკავკასიაში მომხდ რესპუბლიკების დედაქალაქების სამრეწველო ცხოვრება და კულტურული საქმიანობა. თითქმის ერთი ისტორიული ზედის ქალაქები, რომლებიც წარსულში არაერთხელ ყოფილა მტრის მიერ აოხრებული, ამჟამად დიდ სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას განიცდიან.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობების და ნარკვევების კრებულს ერთი საერთო მიზანი აქვს: აჩვენოს ჩვენი დღეების გმირული შემართება და მისცეს საბჭოთა აღამიანს ცხოვრებაში ეთიკური დასკვიდრების გრძნობა. უნდა ითქვას, რომ ავტორის ამ მიზანს მტრნაკლებად აღწევს კრებულის თვითველი ნაწარმოები.



ღამო ავადიანის ნოველები

ცნობილია, რომ მწერალი ისეთ ამბავს ვაძღვის მეთხველისთვის ხელშესახებასა და ახლობელს, რომელიც მისთვისაც სისხლხორცეული, ნათესაურია. მწერალი ამალუბული სულისა და ნათელი ჰერტის აღმიახი უნდა იყოს, თუ სურს თავისი გმირების ქირისა და ღვინის არა მხოლოდ „მოთვისება“, არამედ „გახსებისბაუ“. ქვეშაბრტებაა ის ამბავი, რომ მწერლის ბიოგრაფიის ვანუყოფელი, შემადგენელი ნაწილია, მისი გმირების ქმუნეთი და ნათელით აღსავსე დღეებია.

მწერლის და, საერთოდ, ხელოვანის საყუთარი ბიოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული მისივე შემოქმედებასთან. ისიც ცხადია, რომ გამოცდილი თვალი უმალ შეატყობს, შემოქმედების პრაქტისში შექმნილ და გამოძერწილ სტრუქტურებს თუ როგორ ეტყობათ ავტორის სულიერი ბრძოლისა და ხელის ოდნავი თრთოლვის ნიშანწყალიც კი. ამიტომ, რომ ყოველი ქვეშაბრტე ხელოვანის მხატვრული ტიპები გვიხიდავენ და თავსაც სამუდამოდ გვაშხსოვრებენ. ამგვარი „წეითა და დავით“ შექმნილი, ახლად ხორცშესხმული ტიპის შემოყვანას ცხოვრებაში, აღბათ, ისევე ვანიცდის მწერალი, როგორც ახლადდაბადებული ბავშვის ოჯახში შეიღის ძივანსა. უდავლა ისიც რომ, როგორც ბავშვის დღევრძელობა მშობლებზეა მინდობილი, გმირის მზევრძელობა მწერალზეა დამოკიდებული.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ ლადო ავადიანის „ნოველებს“ წიგნს, დავინახავთ, რომ იგი მრავალმხრივია საყურადღებო; უპირველესად თავისი მკვეთრი ინდივიდუალბობითა და მხატვრული სახეების სიცოცხლისუნარიანობით. შესაძლებელია ნოველების წიგნში გმირები თითზეა ჩამოსათეული, მაგრამ ყველა მათგანი იმდენად ენერგიული და ხორცსავსეა, რომ მათ ლიტერატურაში შემოსევისთანავე გმირთა გაღერებაში თვითნაო იდგილი დაიშკვიდრეს.

დღესდღეისობით, — მიუხედავად იმისა, რომ ახალი თაობის პროზაიკოსებზეაც ლიტერატურაში გაბედულად შემოაღეს კარები და დროისა და ეპოქის დამახასიათებელი ემოციები და სტალი მოიტანეს, — ჩვენი მწერლობა მაინც ძველი ქართული კლასიკური პროზის ტრადიციების ფარგლებში რჩება. ლადო ავადიანიც მათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც თავის

სათქმელს კლასიკური პროზის სტილით ახერხებს.

ლ. ავადიანის ნოველების თემა მრავალფეროვანია, თუნდაც იმიტომ რომ, აქ არის ისტორია შორეული და უახლოესი. ნოველების მოქმედი გმირები სხვადასხვა ეპოქის, განსხვავებული სოციალური ფორმაციებისა და ფენის დღივლი შეიღები არიან. ამდენად ავტორის გმირთა გაღერება მეტად მრავალფეროვანია თავისი იდეური მრწამსისა, ინტელექტუალური მონაცემებისა, შთანაფიქრითა და მისწრაფებების მხრივ. მწერალი ისევე კარგად ჩასწვდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ საშვაროს, როგორცაღაც ორი ეპოქის მიჯნაზე მდგომი გომგოთის ვანიცებს.

მწერლის რომელი ნოველაც არ უნდა ავიღოთ (გარდა „სიღესი“, რომელიც საინტერესოდაა დაწერილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას აკლია ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალა, რომლითაც სხვა დანარჩენი ნოველები გამოირჩევა) და ევეცადოთ დამაინტერესებლად მის მოყოლას, ამას ვერ შეეძლებთ. ნოველის სიუჟეტის გაღმოცემა ვაგვიჭრდება იმიტომაც, რომ მათში მოულოდნელი და საფათრიაკო თავგადასავალის აღწერას ნაკლებად ცდილა ავტორი. მართალია, კვანჩის ვახსნა და დეტალი ნოველებში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ იგი მაინც შორსაა წმინდა სათავგადასავლო დამაინტერესებლობისაგან. ნოველები მეტწილად ფსიქოლოგიურ მომენტებზეა აგებული. გმირების სულიერი, ემოციური და ესთეტიკური ვანიცდები მწერალს წინა პლანზე აქვს წამოწული, მათი ოცნებები, გმირებთან ერთად, ჩვენთვისაც ხელშესახები ხდება.

ნოველა „დედის იმედი“ შეეხება დედისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულების ამბავს. ნაწარმოებში წინა პლანზე დედის — ქეთევანის სულიერი ვანიცდებია წამოწული. ნოველა იწყება ასე: კომმუნურების ვენახიდან სამუშაო დღის დათავრების შემდეგ გაღმოსული ქეთევანი კალთას დაიბლერტავს და სახლისაკენ გასწევს, — მთავრდება მოთხრობა იმით, რომ ქეთევანი ჯარში წასული შვილის (ქეთევანმა სხვადასხვა მიზეზებით ვვინ ვაიგო შვილის ჯარში წასვლა) ლოგინის წინ ჩაიშულებს. ნოველის მთელ შინაარსს მთავარი გმირის სულიერი მოძრაობის აღწერა შეადგენს.

დამაჯერებელია და სულში ჩაწვდომი ქე-

თევანის, როგორც შშობელის, განცდები. ყველასათვის აბლობელა მისი დედური სულის დაუღვებარი ფუსფუსი. შვილის ზრუნვაში გავალაგებული თმა ბევრ ისეთ ნიუანსზე მიგვითითებს, რაც წარსულში და აწმყოშიც ქალს არა მხოლოდ დედად გვიბატავდა, არამედ ერის მოჭირნახულდაც. სხვაც ბევრი დანარჩენი: ქეთევანის ირგვლივ თანასოფლელების შრომა და ხელგარჯილობა სრულფასოვანი ხლის მის სახეს. ერთი მხრივ, სოფლის მშვიდი საღამოები, ცუარ-ნამით დაპყრებული ვენახები და ყანები, მეორე მხრივ, ომისდროინდელი თბილისის ჩაუნელებული ქუჩაბანდების სურათი შესანიშნავადაა შესრულებული.

როგორც არქიტექტონიათ, ასევე სიუჟეტური განვითარებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნოველა ერთი დიდი ნაწარმოების შესავალს წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ მწერლის წარმოდგენაში ქეთევანი მთლიანად ვერაა დასრულებული სახე და მთლად ინდივიდუალური მხატვრული ტიპი. იგი ზოგიერთი რამით მოგვაგონებს ოთარაანთ ქვრივის სახეს. ძნელია უფრო ამაღლებული და დახვეწილი სახე დედისა, ვიდრე ოთარაანთ ქვრივია, მაგრამ სხვა იყო ოთარაანთ ქვრივის გულსიტყვილი და სულ სხვაა ქეთევანის დარღის მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გავიგებთ, ასევე კონკრეტული მიზეზებით არაივე ჩამოკვავს ერთმანეთს (თუნდაც რომ მათ ჰყავთ დედის იმედი), მაინც მწერალმა თავი უნდა დაიხდეთ ოთარაანთ ქვრივის შორეული რემინისცენციებისაგან.

მკვეთრად გამობატული ნაციონალური კოლორიტი გამორჩევა ლ. ავალიანის ნოველა „მუხის ჭია“. ამ ნოველას მკითხველი პირველად ეცნობა. ამბავი შეეხება ძველის, დრომოქმელის ნგრევისა და ახლის შენების რთულ პროცესს.

სვანეთში თემური წეს-წყობილებს დროინდელ, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ და ძვალსა და რბოლაში გამჯდარ პატრიარქალურ აღათ-წესებს ბზარი ვაუჩნდა. გომგოთის სახის ნაკეთებზე ჩვენ ვკითხულობთ გარესამყაროს სინამდვილის უტყუარ სურათს. ქორა მახვში ასახიერებს ძველი პატრიარქალური წყობილების ოჯახის უფროსის კლასიკური სახეს.

ნოველა „მუხის ჭია“ პირველი სტრიქონებიდანვე გვიპყრობს; შემოპოკავია და ჩამორევია მისი პირველი სიტყვები, ასე გრძელდება ბოლომდე, მკითხველი მთელი გულისყურით მიჰყვება ავტორის მიმზიდველ თხრობას. ავტორი ამას აღწევს ქორა მახვის — გომგოთის და მისი შრავლიციკოვანი ოჯახის წევრების დასახსიათებლად მიგნებული უარესად თეითყობადი, ლაკონიური და დასამახსოვრებელი შტრიხების გამოხახვით.

ნოველის დასაწყისშივე ჩვენ თვალწინ ამოვლინდება სვანური ოჯახის კოლორიტული სურათი. შთავარი მოქმედი გმირის გომგოთის სახე გახსნილია ამ მრავალციკოვანი თხრობის მხედრით პარპონიულ ანსამბლში. ნოველა სოციალურ დრამაზეა აგებული.

...კვირით განათებულ სვანურ დარბაზში ქორა მახვთის მოლოდინში სუფრას ხალხმრავალი ოჯახის წევრები სულგატრუნული უსხედან; ავტორი ზოგიერთი მათგანის დასამახსოვრებელ სახეს გვიბატავს და ამას ახერხებს რამდენიმე ფრაზით, მაგრამ ეს წინადადებები იმდენად ძარღვიანი და ელასტიურია, რომ გმირთა სახეები ერთიმეორეს მიყოლებით ხორცს ისხამენ ჩვენს წარმოსახვაში.

ქორა მახვში-გომგოთი სუფრასთან მოულოდნელად გაიგებს, რომ მისი საყვარელი შეილიშვილი მირანგულა (რომლის სახითაც იგი მომავალში თავის საქმის განმკარძობს ხედავს) სახლიდან გაპარულა, აღარ მოესურვება სახლში ძველგვარად კარნაყეტური ცხოვრება. მირანგულას მოულოდნელი გაპარვის გამო ერთიანად შიშის ძრწოლას ატრანია გომგოთის ოჯახის წევრები, დიდი და პატარა — ყველამ იცის, გომგოთის რისხვა თეითულ მთავანს გასწვდება, ამიტომ დღემის მოუცავს ოჯახი... მაგრამ სინამდვილეს არ დალატობს მწერალი და ამ შემთხვევაში მეტად რეალურ სურათს გვთავაზობს. მართლაც, ხომ არ შეიძლება ასეთი საყოველთაო შემფოთება ყველას ერთიანად მოსდებოდა, ხომ არ შეიძლება ყველა ერთიანად იყოს შემოქილი და „ყველა ერთ ტრავში იწყოდეს“? რასაკვირვებელია, არა, თურმე ნუ იტყვით და, პატარა შპარბე ისე გართული უკრავდა ჩანგზე, რომ დის ნიდაყვების წაკერასაც ვერ მოეყვანა იგი გონს, (მწერალი ამ შტრიხით თითქოს-და გვაშხადებს იმ ჯანყისათვის, რაც შემდგომში გომგოთის ოჯახში დატრიალდება). მაგრამ გმირის ასეთი მოქმედება ისეა გადმოცემული, რომ შეუძლებელია არ თანავუგრძნოთ „გასაჰირში“ მყოფ შპარბესაც. გომგოთის უფროსი სიმეც, ქარიშხანი, „საქმეშია“ გართული, — ჩოხას ხშირაც ბირკისა და ხმელი ბალახისაგან... ყველაფერი ეს ხდება საერთო ატმოსფეროს დაურღვევლობის ფონზე, გარემო საოცი სიმშვიდეს მოუცავს ქვიქხილის მოლოდინში, მხოლოდ ოჯახის წევრების გულები სცემენ გახშირებულად... აქ ავტორს მიეცეთ სიტყვა, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, არა მხოლოდ მისი წერის მანერა, არამედ მხატვრის ოსტატური თვალთახედვის უნარი: „კვარის აღისაგან განათებული ჩანვის სინამდვილე მობობს ფეხბევიით ოდნავ ირბოდნენ მისი (ე. ა. შპარბეს — ნ. რ.) გამურული პაწაწინა თითები და ლანდებისაგან შტრიტმანებულ დარბაზს უჩვეულო ბევრებით ავე-

ტყველებდნენ. დამით აქ, აბრიალებული
 ავარიის შუაზე აველაფერს იღუმალი რბე-
 ვა და თრთოლვა იპყრობდა. თრთოდნენ აე-
 დელზე უსწრაშასწოროდ მიყრული ჯიბვის
 რქების ერთმანეთში გადახლართული მუქი და
 ბაკი ლანდები: ოღრო-ზღრო იატაკზე წელს
 ირბოდნენ ჯაჭვით დაკიდული ქვაბის, სა-
 კურბილის, დაბალი, სამუხეზა სკამების, ვრძე-
 ლი სუფრის ფართო ლაქებად ვართხმული
 ჩრდილები. ჩრდილების ამ თრთოლვასა და
 ლივლივში უნებლიეთ მოგვიჩვენებდათ, თი-
 თქოს მათთან ერთად ირბოდნენ მკერდიად
 ნაშენი ტლანქი კედლები, ბოლსაგან, გალა-
 ქველივით მშხინავი ქუჩის კოჭები და ჩრდილ-
 სინათლის უთვალავი ლაქებით აფორაჯებულ
 იატაკი..."

...აიის შემდეგ სწრაფად ვითარდება
 მოქმედება, „ძათს თავი უხსნება“ და ერთმან-
 ნეთის მიყოლებით შეშაპრწუნებულ ამბავს
 ამბავზე ივებს ქორა მახვში. ირკვევა, მირან-
 გულას ფეხის ხმას ბევრი აქოლია და სხვებ-
 საც სურთ სახლიდან წასვლა. ამ დრომდე დი-
 ნჯი და დარბაისელი ქორა მახვში ერთი წუ-
 თით ლაშს ემსჯავება, მაგრამ სველაფერი
 ამაოა... გოშგოთი ხელბეჩამოყრილი მოცელი-
 დივით ეცემა სკამზე... გახშობილი სუნთქ-
 ვა ისმის, თითქოს-და გოშგოთი უკანასკნელ
 სამედრო-სასიკოცლო ბრძოლისათვის ძა-
 ლას იყრებს. ერთს კიდევ გაიბრძოლებს გოშ-
 გოთი, მირანგულას შეჩვენებას განიზიზხავს
 იმ მიზნით, რომ სხვების სახლიდან გაქცევა
 იქნებ როგორმე შეაჩეროს. აქ კი გოშგოთის
 დედამისი, სანახევროდ მუშაოდ ქვეული დეამი-
 ნი, აღუდგება წინ. ჩვენ მოკვლით გოშგოთი
 ოჯახის სათავეანბელი აკრას, ერთ წინადა-
 დებას მაინც დაიძახებს: „აბა, შე ისე ვიცხოვ-
 რებ, როგორც ამ დრომდე მცხოვრებობ“,
 მაგრამ აბა ავტორის უტყუარი აღლო საინ-
 ტერესო დეტალს გეთავაზობს. სწორედ იმ
 დროს, როდესაც მკითხველს ჰგონია გოშგო-
 თი რაღაცას მიიმოქმედებს, იგი ჩემ შრიალს
 გაივრებს, უტრს მიუგდებს და მიხვდება,
 ოდნავი გაბრძოლებაც კი მის სიყვარულს და-
 ჩქარებს. თურმე, ნუ იტყვიან და მამაპაპურ
 საყურციხის ჭია გაჩენა და ღრღნის, ღრღნის
 უწყალოდ, დაუნდობლად. (გაეხსენით ქ-
 გამსახურდიას „მთავრის მორტიკაში“ ის ად-
 გილი, სადაც ეს ამბავი აღუვგორილად მუხი-
 რის მოკვლაშია გამაზატრელი). „ზღვას გადა-
 ურჩა და ცვარმა დაღრჩო“ — სწორედ ასეა
 გოშგოთის საქმეც. ჭიის გაბმულმა შრიალმა
 გატება საბოლოოდ მოხუცი, იგი არ გაჯიუ-
 ტებულა, არ გაყრპებულა, უსიტყვოდ მიატოვა
 ბრძოლის ველს. როგორც ქ. გამსახურდიას რო-
 მანში, ასევე ლ. ავილიანის ნოველაში ასახულია
 მთაში ახალი ეპოქის მიახლოება. ქორა მახვში
 ისტორიის ბარდება. გოშგოთისა და ლაფარიანე-

ბის ადგილს მომავალი თაობის წარმომადგენ-
 ლი — მირანგულა და საერო იპყრენ. რომლებაც
 უფრო მედგარად და თვალჩინოდ შეეხებო-
 ლებიან ამ დრომდის იღუმალებით მოცულ ბე-
 ნების საიდუმლოებას. სხვათაშორის, ამ გარე-
 მოებას შინაგანი ინსტიქტით გრძნობენ კიდევაც
 ვოშგოთიცა და ლაფარიანიც.

ახალგაზრდა მირანგულას ქვევასა და მოქ-
 მედებაში გახსნილია ქორა მახვშის — გოშგო-
 თის სახე. „ეს ჩემი შვილიშვილი მიმინია და
 მწყერაივით მოპურობა არ შეუერისო“, ხში-
 რად იმეორებს ქორა მახვში, „გავა დრო და
 ჩემს მავიჯრად ეგ იქნება ქორა მახვში“, —
 იქვე უმატებს იგი.

გოშგოთის მხოლოდ ასეთი შთამომავალი
 შეპფერის და მწერალს მხატვრული აღლო
 არ ლაღატობს, როდესაც საყურციხის, სამეფო
 ტახტის მსგავს მამაპაპურ მუხის სკამს
 გოშგოთის იგივე მირანგულა გამოაცილის, — ეს
 კი სველაფერზე მიგვიანიშნებს...

გოშგოთი მარცხდება იმიტომ, რომ მისი
 დამარცხება ვარდაუვალაა, ისტორიული აუ-
 ცილებლობითაა გამოწყვეული. იგი მარცხდება
 პროგრესულ ძალასთან ბრძოლაში, ამ პროგ-
 რესულ ძალას კი მირანგულაში ზედაეს ავტო-
 რი კედება ძველი და მის სანაცვლად წარმო-
 იშობა ახალი.

იზალება კითხვა: ხომ არ იმსახერებს გოშ-
 გოთი მწერლის ან მკითხველის უარყოფითს
 დამოკიდებულებას? სრულიად აბა გოშგო-
 თისადმი მწერალი პირველ სტრუქტურებიდანვე
 სიმპათიურადაა განწყობილი და ასევე რჩება
 ბოლომდის, და თუ მის გმირს ბრძოლის ეე-
 ლის მოტოვება უხდება და ისიც ყოველგვარი
 ზედმეტი გაბრძოლების გარეშე, ეს ერთხელ
 კიდევ მისდამი სიმპათიით განგვაწყობს. გოშ-
 გოთი ისე შეემატა ისტორიულ არტიკულს,
 რომ თავის შთამომავლობას საყვარლ დეუ-
 ტოვა სანთელ-საყვარელი, რათა ახალ დროში
 და ახალ გარემოში თავისებურად გაენათები-
 ნა გზა: მან ღირსეული მამულიშვილები დატოვა
 ამქვეყნად.

უდავოა, გოშგოთის საყურციხის ჭია ად-
 რეც ღრღნდა, გულს უფუღურებდა, მაგ-
 რამ მისთვის მხოლოდ დღეს გახდა ეს ცხადი
 და ხილული, დღეს შეხვდა იგი თვალ-
 დამთვალ ცხოვრებას და „თვალის თვალში
 გაუყარა“. გოშგოთის სახე დრამატისმი-
 თაა აღსაქვს, იგი ძლიერაა სველა სცენაში,
 იქაც კი, როდესაც საბოლოოდ ვრწმუნდე-
 ბით — გოშგოთმა ბრძოლას თავის მიანება და
 მისთვის მწარე სინამდვილეს დანებდა.

ვერც ერთი ქვეშეში და მისგან ნატყარ-
 ცნი უმეზარა ვერ მოახდენდა ნგრევის ისეთ
 შთაბეჭდილებას, როგორც ამას იქმს უბრალო
 ჭია. ამდენად, ავტორის ხეჩხი გამართლებულია.
 დეტალის ფუნქცია ნოველაში ნათელია, იგი

ტყვადი და აფართოებს მოთხოვნის შინა-
არსს, მის სიერცესა და არს, მით უფრო
ლესტერებს და მიზიდევს ზღის ნოველს.
ამ დეტალში ვახსნილია ნოველის იდეური
აზრი, რაც ნაწარმოებს დიდი ესთეტიკური
ზემოქმედების ძალას ანიჭებს.

ლ. ავალიანის ნოველი „მუხის ქია“ თავი-
დან ბოლომდე ექსპრესიულია და დიდად და-
მაინტერესებლად. ერთი ამოსუნთქვით იკი-
ბება; შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ავ-
ტორმაუ ერთი ამოსუნთქვით დაწერა იგი.

ჩემი აზრით, ეს ნოველი არა მარტო წიგნ-
შია ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი, იგი ყურა-
დღვას იმსახურებს იმ ნაწარმოებთა შორი-
საც, რაც კი შექმნილია ძეგლისა და ახალის
ქედლის თაობაზე.

ლ. ავალიანის ნოველების წიგნის მეორე
ნაწილ მუტად სიანტრერესო და მიზიდულია,
არა მხოლოდ იმტომ, რომ აქ მოთავსებული
ნოველები ნ. ბარათაშვილსა და ლ. გუდიაშ-
ვილს შეეხება. არამედ იმიტომაც რომ ეს
ნაწარმოებები ჯერ კიდევ ჩვენს ლიტერატუ-
რაში, თუ შეიძლება ითქვას, ე. წ. ჩაჯარდნი-
ლი თანრის გამოცოცხლებასა და შეყვებას
ემსახურება.

თანამედროვე დასავლეთ ვერძობის ლიტერა-
ტურაში ბიოგრაფიული რომანის თანრი ძალიან
გავრცელებულია, მაგალითისთვის შეგვეძლო
დავესახებუდებო: ანრი მორეს რომანები შე-
ლისა და ბარონზე, შტეფან ცვაიგის ბიოგრა-
ფიული რომანები ვრახმ როტერდამელსა, ბალ-
ზაცსა და რომენ როლანზე და სხვ. მრავალი.
ჩვენში ასეთი წიგნები თითხვა ჩამოსათვლელი,
მთ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაიმ-
სახურეს ე. გამსახურდიას „გომთეს ცხოვრ-
ების რომანმა“, ნ. ავალიანის „სურვიანტესის
ცხოვრებაში“ და ვ. ქვლიძის წიგნში „ცხოვრება
ივანე მიაბლისა“. ბიოგრაფიული რომანებისა
დ. მოთხრობების ტრადიცია საქართველოში არა
გაუქვს.

ლ. ავალიანის ნოველები — „ყარიბი მგო-
სანი“ და „სოლოავის შლიაბა“ სწორედ ასე-
თი ბიოგრაფიული მომენტების შემკველია.
პირველ მთავანში ასახულია ნ. ბარათაშვი-
ლის ცხოვრების ერთი სახედისწერო დღე, მე-
ორეში კი ვადმოცემულია ტეშმარტი მატე-
რისა და ხელოვანის — ლ. გუდიაშვილის ერთი
ბედნიერი დღის ამბავი. ამ ბედნიერ დღეს
გუდიაშვილი ვერძობა, როგორც დიდი მზა-
ტარი.

ბევრი რამაა საინტერესო ამ ორი ხელოვან-
ის ბედის დაბრისპირებაში. თითქოს ორი-
ვესთვის ერთნაირად თუნდნა ერთი ჩვეუ-
ლებრივი შრომათა და ვარჯიშთ აღსუსვ დღე,
მაგრამ სხვადასხვანაირად კი ლაშდება.

ნ. ბარათაშვილის საიდუმლოებით მოკულ
ბიოგრაფიას ბევრი მწერალი დაუინტერესე-

ბია და მათ თავი იმით უნდევებიათ, რომ
მისივე პოეზია გვთავაზობდა დაუშრეტელ
მასალას პოეტის სულიერი საზრდოობისას,
რამდენიმე ლექსისა და, ასევე, რამდენიმე
პირადი ბარათის გარდა, ისტორიამ ბარათა-
შვილის პირიდან ამოხდენილი ერთი უბრა-
ლო ფრაზაც არ შემოგვინახა. ამ ეს, მოკუ-
ლობით ძლიერ პატარა, მაგრამ ფართო მასშ-
ტაბის პოეზია უმართავს ხოლმე ხელს მწერ-
ლებს, რომლებიც ამ საამუსისმგებლო საქ-
მეს კისრტვობენ.

ჩვენი აზრით, ნოველაში ბარათაშვილის
სახე სწორედ იმიტომაა მიზიდველი, რომ იგი
წარმოდგენილია, ბარათაშვილის სიტყვითვე
რომ ვთქვათ, „არც კაცი ვარგა რომ ცოცხა-
ლი შეედარსა ემსავესოს“ ფონზე. ეს დევიზი
შეიძლება ჩაითვალოს მწერლის ამოსავალ
წერტილად და გმირის სულიერი განწყობისა
და სტიკიური შემართების დედაარსად.

ბარათაშვილის ცხოვრების რომანი რომ და-
წერილიყო, ვფიქრობთ. „ყარიბი მგოსანი“
ერთი დღის მოკლე, მაგრამ ზეტად მნიშუნე-
ლოვანი ისტორიაა ერთ-ერთი შემადგენელი
ნაწილი იქნებოდა დიდი ტილოსი.

ნოველა გვამცნობს იმ სახედისწერო დღის
ისტორიას, როდესაც თელავში გაწქესებულ-
მა ტატომ ელისავეტოპოლს (ვანჯას) მიაშე-
რა... ესაა მთელი ნოველის შინაარსი, მაგრამ
ასე ადვილად არც ტატოს დაუთმია თბილისი
და არც მწერალი ვლევა ტატოს.

ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლობს ძველი
დროის თბილისი, ამის მიზეზი, ერთი მხრივ,
თუ ჩვენ თბილისში ჯერ კიდევ შეიმარტენილი
ისტორიული ადგილებია, რასაც უშუალოდ
ვხედავთ და შევივარძნობთ, მეორე მხრივ, ამა-
ში ჩვენს ქართულ მწერლებსაც დიდი ლეწლი
მიუძღვით, ასე რომ, ძველი თბილისის ვიწ-
რო და ოჯახობოყო ქუჩების დახატვაში ძნე-
ლად რომ ვინმე მოტყუდეს. ამ მხრივ ლ.
ავალიანის „ყარიბი მგოსანიში“ ბევრი რამაა
საგულისხმო.

ძველი ქალქის კოლორიტი ნამდვილი მზა-
ტერული საღებავებითაა შეფერადებული ნო-
ველაში; მწერლის ფანტაზიას ბევრი უღლია
წარმოდგენებით ძველი თბილისის, ბარათაშვი-
ლის დროინდელი ქალქის ქუჩებანდებში...
დიდი ისტორიითაა წარმოდგენილი ტატოსა
და ძველი თბილისელი მოქვიფე დარღმინდი
არიფების პერმაროლობის სურათი ორთაქა-
ლაში... მაგრამ მთავარი მაინც ტატოს სულიე-
რი ბრძოლის სურათის გამოხატვაა ნოველაში;
შთამაგონებელია თბილისის ქუჩებში და მთაწ-
მინდის პლატოზე მოხეტიალე პოეტად... ყველ-
გან და ყოველთვის ჩანს ბედთან უწერივებელი
პოეტის სახე, რომელიც თითქოს უხილავ მე-
რანზე ზის და ბედის საზღვარზე გადავსის

მოლოდინში „უსაქმოდ“ ეხეტება მისთვის საყვარელ ადგილებში.

საწუთრომ მწარედ დასციენა ბარათაშვილს, უბრალო მოხელის მუნდირში გაახვია იგი. იმისათვის, რომ მწერალმა ნ. ბარათაშვილის ირველი შექმნილი მდგომარეობა დავეხიბატოს, ის, რაც პოეტისათვის სულშემუთავი იყო, ლ. ავალიანი მიმართავს ერთ საინტერესო ხერხს. სახლიდან გამოსული ტატო მისდაუნებურად ორ რუს მოხელეს—ჯვან ხარიტონოვიჩსა და ეარლამოვს აედგენება. აი, ეს ორი ჩინოვნიკი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორია თბილისში ცხოვრება, საუბრობენ მათთვის საინტერესო სასმელებზე, მოკლედ, იმაზე, რასაც მათი გონება გასწვდებდა; მათ მიჰყვება ლანდოვი ტატო, და აქ მწერალი ახერხებს დაგვანახოს უზომო ზღვიარი ხარიტონოვიჩებისა და ბარათაშვილის სულიერ საპყარის შორის.

კიდევ ერთი კარგი სურათი აქვს მწერალს ამ ნოველაში დახატული. ტატო და მოიხედ (ეს უკანასკნელი წვრილი ხელისაინი) საუბრობენ, ტატო ერთი შეხედვით დიდი გულმოდგინებით იღებს მონაწილეობას, ამ საუბარში, მაგრამ თანდათან ვრწყმუნდებიან, რომ აქაც ბარათაშვილი თითქოს თვალებით მტრყველებს, „გასწი გაფრინდი, ჩემო მერანო“.

„არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი შევდარსა ემსავასო“— იტყობა ბარათაშვილი, და თავისი სულიერი ტკივილების ნავსაყუდელად შინც უოველდღიურ ცხოვრებას არჩევს, და ამიტომაცა, მასთან სტუმრად მისულ სკოლის მეგობარს, რომელიც მფარველობას სთავაზობს, განჯამი ვაკუყება... „სულ არ დავკარგო შე უბედურბაო!“, წამოსდებდა ეფემიას, აქ მოთვრდება ნოველა.

ერთ კერძო საუბარში უშანგი ჩხეიძემ ამ ნოველის შესახებ შენიშნა: ნოველა ნ. ბარათაშვილის ცხოვრებასავე დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სულ სხვაა ლ. გუდიაშვილის ცხოვრების გზა. როგორც „ყარიბ მგოსანიში“, აქაც ერთი დღის ამბავში გახსნილია მთელი მისი შემოქმედების შინაარსი.

...აი, თითქოს, მოთვრდება პარიზის ერთი ჩვეულებრივი დღე. ლ. გუდიაშვილს თავის საბულოსნოში მუშაობა დღეისათვის უკვე დამთავრებული აქვს. როდესაც მასთან ხელოვნების დიდი მეცენარე ესაჩილა იგნასიო სულაგა შემოაბიჯებდა. საშემოდგომო საღონში წარდგენილი გუდიაშვილის ოთხი სურათი უკვე მიღებულია ეიურის მიერ. ყველაფერი ეს დიდი ხელოვნების შარავისკენ უბიძგებს გუდიაშვილს და სულაგაც თითქოს იმიტომ გამოჩენილა მასთან, რომ გზა დაულოცოს ამ რთულსა და სახიფათოს გზაზე, გუდიაშვილის განუმეორებელმა ნიჭმა მოიყვანა

სულაგა მასთან. ესანელ მხატვარს სურს პირადად გაეცნოს გუდიაშვილს და მის ნახატებს და რამდენიმე სურათიც თავისი სალონისათვის შეიძინოს. საიღ, უბრალო და ძალდაუტანებელია ამ ორი დიდი ხელოვნის საუბარი. სულაგა უკვე ამ დროისათვის დიდების მწვერვალზე იყო ასული, გუდიაშვილი კი ახლა მიაბიჯებდა მტკიცედ დიდების მწვერვალისაკენ... მაგრამ დიდების შარავანდელი მოსილი სულაგა შეგონებებითა და სენტენციებით კი არ უქედავს ყურს გუდიაშვილს, არამედ ისინი საუბრობენ, როგორც ტოლი ტოლთან, მეტიც, როგორც შმა მამასთან. სულაგას სახეზე ეტყობა, რომ მან იხილა ქვეშაშარტი ხელოვანი, რომელიც სრულიად ახალ სიტუვას იტყვის მხატვრობაში, მაგრამ იგი გარეგნულად დიდწი, უშფოთელი და სიტყვა ძუნწი რჩება...

„სულაგას შლიაპაში“ ნაწვენებია ნიჭიერი და ბუნების მადლით ცხებული ხელოვანის დიდ შემოქმედებით გზაზე ფეხის შედგმის ამბავი.

საინტერესოა ერთი გარემოება. „ყარიბ მგოსანიში“ და „სულაგას შლიაპაში“ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქედებს.

„ყარიბ მგოსანიში“ ქუდი სიმბოლოა გარეგნული ეფექტურობის, დეკორუმის, ცარიელი ფორმის... ტატო აღმანანის ღირსებას აღაშინისავე შინაგან ეთილშობილებასა და სულიერ თვისებებში ხედავს, ამიტომაც ის ასე ინდფერენტული მოიხედეს მიერ მიწოდებული ქუდისადმი.

„სულაგას შლიაპაში“ კი ქუდს სხვა სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც გუდიაშვილი შემთხვევით შეეცვლია ქუდს უკან სთავაზობს სულაგას, ამით ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლადო გუდიაშვილი იმთავითვე თავისთავადი დამოუკიდებელი, ორიგინალური ხელოვანი იყო, რომ ის არ აპირებდა გატყეპნილი, ეპიგონური გზით სიარულს... ეს გამოხატულია სულაგას სიტყვებში: „სინიორ ლადო! ის, რაც მოხდა, კარგის მომასწავებელია! სხვანაირად არც შეიძლებოდა! როგორც გივლა, კვლავაც ისე იარე— შენი ქუდით, შენი რწმენით და შენი გზით!“ მართლაც ასეთია ყველა ქვეშაშარტი ტალანტის გზა. ასეთია ლადო გუდიაშვილის, როგორც მხატვრისა და მოქალაქის უაღრესად რთული ძიებით აღსავსე შემოქმედებითი გზა.

ლადო ავალიანის ნოველები, იქნება ის ისტორიულ თემაზე დაწერილი თუ შიძენილი თანამედროვეობისადმი, შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ზევიწერელი შხილოდ და მხოლოდ იმის საზღაურა, რომელსაც მკითხველი წიგნის დახურვის შემდეგ განიცდის ხოლმე.



ი. მიკსეაძე



კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზისა და სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის კანონზომიერებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რევოლუციური XXI ყრილობას, ჩვენმა პარტიამ და ხალხმა სამართლიანად უწოდეს კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა. ყრილობამ სრული ერთსულოვნების, მაღალი ლენინური პრინციპულობისა და საქმიანობის ვითარებაში განიხილა კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში და ყრილობის რეზოლუციაში მოცემულია არა მარტო პარტიისა და საბჭოთა ხალხის პრაქტიკული საქმიანობის გრანდიოზული პროგრამა, არამედ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მდიდარი გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე შეცნობად გაშუქებული ჩვენი შემდგომი წინსვლის გზა და განვითარებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დებულებები სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის შესახებ.

შეცნობილი კომუნიზმის ფუძემდებელია კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აღმოაჩინეს ისტორიული განვითარების კანონები, დაასაბუთეს კაპიტალისტური წარმოების წესის, ახალი სოციალისტური წარმოების წესით შეცვლის აუცილებლობა და შეიმუშავეს სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ გენიალური მოძღვრება.

მარქსისა და ენგელსის საქმის დიდმა განმარტობამაა ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ ვითარების შესაბამისად შემდგომი განავითარა მარქსიზმი, დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა, შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გზები და მეთოდები, მეცნიერული სოციალიზმის იდეა გადაიქცა რეალურ სინამდვილედ.

წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებისა, ანარქისტებისა და ზოგი სხვათა, რომლებიც ოცნებობდნენ თითქოს კაპიტალიზმიდან უშუალოდ უფილიყო შესაძლებელი კომუნიზმზე გადასვლა, მარქსმა და ენგელსმა ნათლევდეს, რომ კაპიტალიზმიდან უშუალოდ კომუნიზმზე გადასვლა შეუძლებელია. ამ გადასვლისათვის საჭირო იქნებოდა მთელი გარდამავალი პერიოდი, მთელი ისტორიული ეტაპი, რომლის განმავლობაში მოსაზრებოდა კაპიტალიზმი და ექსპლოატატორული კლასები და სახალხო მუდრანობის ყველა

სფეროში გამოარჯეებდა სოციალიზმი. კ. მარქსი წერდა: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთი შეორეულ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს თუ არა პარტიატარიატის რევოლუციური დიქტატორა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწარები, ტ. II, გვ. 27).

კ. მარქსი იქვე ასაბუთებს კომუნისტური საზოგადოების ორგანიზაციის პრინციპებს, მიუთითებს, რომ კომუნიზმში თავის განვითარებაში გაივლის ორ ფაზას: პირველი სოციალიზმი, ხოლო მეორე, უშუალოდ ფაზა — კომუნიზმი. სოციალიზმი და კომუნიზმი — ეს ორი სხვადასხვა ეკონომიური ფორმაცია კი არ არის, არამედ ორი ფაზა ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა — კომუნისტური საზოგადოებისა. ახასიათებდა რა კომუნისტური საზოგადოების ამ ორ ფაზას; ვ. ი. ლენინი წერდა: „იმას, რასაც ჩვეულებრივ სოციალიზმს უწოდებენ, მარქსმა კომუნისტური საზოგადოების „პირველი“ ანუ დაბალი ფაზა უწოდა, რამდენადაც წარმოების საშუალებანი საერთო საკუთრება ხდება, იმდენად სრულყოფილი კომუნიზმი“ აქვს შეიძლება ვიხსენიოთ თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი არ არის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 56). სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის არ არსებობს არავითარი „ჩინური კედელი“, ისინი არ არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი არავითარი გარდამავალი პერიოდით. სოციალიზმს და კომუნიზმს, როგორც კომუნისტური საზოგადოების ორ საფეხურს აქვთ საერთო ნიშნები, რომლებიც შემდგომი მდგომარეობენ: როგორც სოციალიზმის, ისე კომუნიზმის დროს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება მოსაზრებულია და დამკვიდრებულია მათზე საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება; წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსაზრება შედეგად, არ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები და ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ; საზოგადოებრივი წარმოების მიზანია საზოგადოების მთლიანი მზარდი მატერიალური და

კულტურული მოთხოვნებთან დაკავშირებული დამატებითი უმჯობესი ტექნიკის საფუძველზე წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და გაუმჯობესების შედეგებით; ეკონომიკის განვითარების განხორციელება წარმოების სახალხო მურგნების გეგმზომიერი განვითარების საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის გაძლიერებისა და ხალხის ცხოვრების დონის განუზრუნველყოფის ინტერესებისათვის; არ არსებობს კონკურენცია და წარმოების ანარქია, კრიზისები, უმუშევრობა და მშრომელთა გარდატეხვა; წარმოებითი ურთიერთობა მშრომელთა ძალის მდგომარეობასთან სრულ შესაბამისობაში არიან. მიუხედავად ამ საერთო ნიშნებისა, სოციალიზმი და კომუნისმი ურთიერთობის განსხვავებებიან მთელი რიგი არსებითი ნიშნებით. მათ შორის განსხვავება ეკონომიკური მოწოდებების ხარისხში და მასების კომუნისტური შეგნებულების განვითარების დონეშია. სოციალიზმი, როგორც პირველი ფაზა კომუნისმისა, „რომელიც ეს არის ახლა გამოდის კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ, მას უფრო მხრივ, — ეკონომიკურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დალი აზის ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდან ის გამოვიდა“ (ე. მარქსი და ფ. ენგელსი, რ. ნაწერები, ტ. II, გვ. 16). ამ საზოგადოებაში გაბატონებულ პრინციპს წარმოადგენს „თეთიფელისაგან — მისი უნარის მიხედვით, თეთიფელს — მისი შრომის მიხედვით“, „ვიცე არ მუშაობს ის, არ სკამს“. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის დროს არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს სრული თანასწორობა, რამდენადაც ანაზღაურება ხდება შრომის მიხედვით, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ხოლო ადამიანები რამდენადაც არ არიან ერთნაირნი თავისი უნარით, კვალიფიკაციით, ჯანმრთელობით, ოჯახური მდგომარეობით, ბუნებრივია თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების დროს მათ ფაქტურად არათანაბარი შრომისაველი ექვემდებარებიან. მართალია, სოციალიზმის დროს გამოირჩეულია კლასობრივი უთანასწორობა, მაგრამ რჩება უთანასწორობა წილში, რასაც იღებენ პროდუქტების განაწილების დროს. მარქსისტული გაგებით სოციალიზმის დროს პირველი თანასწორობა არის არა გათანაბრება ანაზღი მოთხოვნებისა და ყოფაცხოვრების დარგში, არამედ ექსპლოატატორული კლასების მისაძობის საფუძველზე ექსპლოატაციისაგან ყველა მშრომელის თანაბარი განთავისუფლება, ყველასთვის თანაბრად გაქმნება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა, ყველას თანაბარი მოვალეობა იშრომის თავის უნარის მიხედვით და მიიღოს შრომის მიხედვით სოციალიზმის დროს და მოთხოვნების მიხედვით კომუნისმის დროს. მხოლოდ მაშინ, როგორც ე. მარქსი მიუთითებდა, რაღაც შრომა გახდება არა მარტო ცხოვრების საშუალება, არამედ თეთი პირველი სასიცოცხ-

ლო მოთხოვნება, როდესაც ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისათვის ერთდროულად საჭიროება ძალზე დიდად გაიზარდება და შეიქმნება მატერიალური დოვლათის სიუხვე, დამყარდება სრული თანასწორობა და დამკვიდრდება პრინციპი „თეთიფელისაგან — მისი უნარის მიხედვით, თეთიფელს — მისი მოთხოვნების მიხედვით“, ეს იქნება სრული კომუნისმის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმის დროს არ არსებობს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, მისაძობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ინტერესთა დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის, რომ მეუშები, გლეხები და ინტელიგენცია სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში თანასწორფლებიანნი არიან, ჯერ კიდევ მინც არსებობს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. ეს განსხვავება გაპრობუებულია იმით, რომ სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს ორი ფორმით: სახელმწიფო საკუთრება და კოოპერაციული-საკოოპერაციული საკუთრება. ასევე დაპირისპირება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის სოციალიზმის დროს არ არსებობს. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მათ შორის არსებული განსხვავება.

სოციალიზმსა და კომუნისმს შორის განმასხვავებელი ნიშანია აგრეთვე ის, რომ სოციალიზმის დროს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთავარი იარაღია სახელმწიფოს, ხოლო კომუნისმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების დროს სახელმწიფო საჭირო არ იქნება და მოყვდება.

ასეთია ზოგად ხაზებში სოციალიზმისა და კომუნისმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების შესახებ პირველად იქნა ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებული სსრ კავშირში. ჩვენში გაიმარჯვა პირველად სოციალიზმმა, ჩვენში აშენდა პირველი სოციალისტური საზოგადოება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირი ეკონომიკურად, ტექნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი შევიდა, ვადაიქცა მოწინავე ინდუსტრიული, ყველაზე პროგრესიული სოფლის მეურნეობისა და მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის ქვეყნად.

მან დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე. სსრ კავშირმა პირველმა სოციალიზმის ქვეყნამ, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით შორს გაუსწრო დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს და მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში. სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციამ 1958 წელს მნიშვნელოვნად გადააპარბა საფრანგეთის, ინგლისისა

და დასავლეთ გერმანიის სამრეწველო პროდუქციის ერთად. სოციალიზმის წარმატებები სსრ კავშირში კიდევ უფრო განამტკიცა იმან, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და იგი მსოფლიო სისტემად გადაიქცა. იგი მილიარდზე მეტ მოსახლეობას აერთიანებს. სოციალისტური სისტემის ქვეყნების წილად მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მესამედზე მეტი, მარკეტულის მსოფლიო წარმოების ნახევარი. მოისპო ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური, ვაჭრობეა, მოისპო კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხეც. სსრ კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა მთლიანად და საბოლოოდ. მაგრამ ეს არ არის ის საბოლოო მიზანი, საითკენიც ჩვენ მივიწერაფვით. კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანია დედამიწაზე ყველაზე უკეთესი და ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — სრული კომუნისტური საზოგადოების აშენება, რომელიც მშრომელი მასების იდეალს წარმოადგენს.

ამჟამად რა სრული სოციალისტური საზოგადოება, საბჭოთა ქვეყანა შევიდა თავის ისტორიული განვითარების ახალ პერიოდში, კომუნისტური მშენებლობის ახალ პერიოდში, რაკა ხდება სოციალიზმის გადახრდა კომუნისტურში. კომუნისტური პარტიელი ფაზიდან მისი უმაღლეს ფაზაზე გადახრდა კანონზომიერი ისტორიული პროცესია და იგი ხდება არა სოციალური რევოლუციის გზით, არამედ თანდათანობით, დაბალი ფაზის მის უმაღლეს ფაზაში გადახრდის გზით. ვ. ა. ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ მიუთითა სოციალიზმის კომუნისტურში გადახრდაზე: ლენინი აღნიშნავდა: „კაპიტალიზმიდან კაცობრიობას შეუძლია უშუალოდ გადავიდეს მხოლოდ სოციალიზმზე, ვ. ა. წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე და პროდუქტების განაწილებაზე თვითთვის მუშაობის და მიხედვით. ჩვენი პარტია უფრო შორს იხედება: სოციალიზმი თანდათანობით აუცილებლად უნდა გადაიზარდოს კომუნისტურში, რომლის დროშაზე წერია: „თვითთვისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითთვის — მისი მოთხოვნილებების მიხედვით“.

როგორც პარტიის XXI ყრილობაზე თავის მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი მიუთითებდა, კომუნისტურ მშენებლობაში თანდათანობით გადასცდა ეს არის პერიოდ თანამედროვე ინდუსტრიის, მსხვილი მექანიზირებული სოფლის მეურნეობის, მთელი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარებისა კომუნისტური მილიონობით მშენებელთა აქტიური და შეგნებული მონაწილეობით. მისი დაქირავება შეიძლება მატერიალური წარმოების მაღალი განვითარების საფუძველზე. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ამჟამად მთავარი ამოცანაა — კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საწარმოთა ძალების ახა-

ლი მძლავრი აღმავლობა. „საბჭოთა ხალხმა, ნათქვამია XXI ყრილობის რეზოლუციაში, — პარტიის ხელმძღვანელობით ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში სოციალიზმის ისეთ გამარჯვებას მიიღწია, რომლებიც საშუალებას გაუძლევენ პრაქტიკულად განეხორციელოთ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კომუნისტურ გეგმაზომიერი გადასვლის ამოცანები. კომუნისტური განხორციელება შეიძლება მხოლოდ ამ პირობით, თუ ჩვენ გადავაპარბებთ განვითარებულ კაპიტალიტური ქვეყნების წარმოების დონეს და უზრუნველყოფთ შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას, ვიდრე კაპიტალიზმის დროს არის“. ეს არის მთავარი ამოცანა ამჟამად ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში, ვინაიდან კომუნისტურ გადასასვლელად საჭიროა მატერიალური დოვლათის წარმოების ისეთი გაძლიერება, რომ შესაძლებელი გახდეს მატერიალური და სულიერი დოვლათის სიუხვის შექმნა, აღამაანთა მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დასაცავიერებლად. რას ვულისხმობს კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა? იგი გულისხმობს აღნიშნულ ნ. ს. ხრუშჩოვი „დღიად განვითარებულ თანამედროვე ინდუსტრიას, ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, ყველა საწარმოო პროცესის კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ენერჯის ახალი წყაროების, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების, ახალი სინთეზური და სხვა მასალების ყოველმხრივ გამოყენებას, ყველა მშრომელის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდას, წარმოების ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას“.

კომუნისტური აშენების საქმეში უდიდესი ნაბიჯი იქნება სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ განხორციელება, რათა გადავაპარბოთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნების წარმოების დონეს, უზრუნველყოფთ შრომის ახალი, გაიღებთ უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. ეს იქნება კომუნისტური მშენებლობის პირველი ეტაპი და კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში გადამწყვეტი ეტაპი. ამ ამოცანის განხორციელებას დასაქირავება მიმდინარე შედგლიანი გეგმის შესრულებაში შეიძლება, კიდევ ერთი ხედილი. მაშინ მიღწეულ იქნება საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში, მაგრამ ეს არ იქნება კომუნისტური მშენებლობის დასრულება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გავუსწრებთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყ-

ნებს და გაეწეოთ წინ კომუნისტებისა. მაგრამ კომუნისტები გადასვლა არ იქნება უცხადი აქტი, არამედ ეს გადასვლა ხორციელდება თანდათანობით, განუწყვეტლავ, კომუნისტური საზოგადოების მატერიალური და სულიერი პირობების მომზადების მიხედვით. აგრეთვე ეს გადასვლა ხორციელდება არა ერთი საზოგადოებრივი წყობილების, მეორე წყობილებით ძალდატანებით შეცვლის გზით, არამედ ერთი დაბალი ფაზის, მეორე, მაღალ ფაზაზე ორგანიზული გადაზრდის გზით. სოციალიზმი და კომუნისტური „ზინური კედლი“ არ არიან ერთმანეთისაგან დაშორებული. სოციალიზმი შეუძლებელია ერთ ხელშესახებ და ხილულ ნიშნებს კომუნისტურს. ეს ნიშნები, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა პარტიის XXI ყრილობაზე, იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის პირობებშიც მატერიალური და სულიერი დოვლათის მნიშვნელოვანი და სულ უფრო მზარდი ნაწილი საზოგადოების წევრთა შორის ნაწილდება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის დამოუკიდებლად, ე. ი. უფასოდ. ეს არის საზოგადოებრივი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც იხარჯება მოქალაქეთა უფასო განათლებისათვის, უფასო მეტრნალობისათვის, პენსიებით უზრუნველყოფისათვის, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის, კვლევებით, ბიბლიოთეკებით, და სხვ. უფასო მოსახერხებლობისათვის, აგრეთვე კოლმურხანობათა საზოგადოებრივი ფონდებიდან გაწეული ხარჯები. შემდეგში ამ მიზნისათვის სახელმწიფო ხარჯების კიდევ უფრო გადღდება იქნება უმნიშვნელოვანესი წინამძღვრები სოციალიზმიდან კომუნისტურ თანდათანობით გადასვლისათვის.

სოციალიზმიდან კომუნისტურ გადასვლისათვის საჭიროა მტკიცედ უზრუნველყოთ მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა წარმოების საშუალებათა წარმოების უბრალოდ ზრდა. ამის გარეშე შეუძლებელია საწარმოო ძალთა მძლავრი ზრდა და მოხარების სავანთა სიუხვის შექმნა. ამიტომ შეიძლება გვევლით დასახულია მრეწველობის სავითო პროდუქციის მოცულობის გადღდება 80 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებისა 85-88 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება 62-65 პროცენტით. მთელი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის ყველაზე სრულყოფილი ენერგეტიკულ საფუძველს ქმნის ჰეყენის ელექტროფიკაცია, რომელიც მთელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლების საფუძველია. კომუნისტურ გადასვლა განხორციელდება ტექნიკის ყოველმხრივი განვითარებით, ხოლო მისი საფუძველი კი ელექტროფიკაცია, ამიტომ შეიძლება ვეგვა სახეს უდიდეს პროგრესს ჰეყენის ელექტროფიკაციის დარგში. ელექტროენერჯის წლიური გამოიმუშავება შეიძლება გააღებება 500-520 მილიარდ კილოვატ. საათამ-

დე, გათვალისწინებულია მანქანათმშენებლობის ყველა თანამედროვე დარგის, უწინარეს ყოვლისა მძიმე მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომობილების, ელექტრონიკის საშუალებათა წარმოების დამკარებელი განვითარება, კომპლექსური მექანიზაციის დამთარება. გადიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა 1,7-ჯერ. ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ასეთი განვითარება მნიშვნელოვნად გააღებებს სასურსათო სამრეწველო საქონლის წარმოებას.

ამრიგად, ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის, საწარმოო პროდუქციის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომობილური, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაციისა და კომპარტიზების საფუძველზე, წარმატებით გადაიქცება სსრ კავშირის, სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად გვევლინება ამოცანები და გადაიდგმება გადაიმუშავებოთ ნაბიჯი კომუნისტურ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საწარმოო პროდუქციის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომობილური ხელს შეუწყობს მეშების ელექტრულ-ტექნიკური დონის ამაღლებას და უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ახალ, მაღალ დონეს. ხოლო მაღალი შრომის ნაყოფიერების ბაზაზე არის შესაძლებელი კომუნისტურის აშენება. ე. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება შეიძლება ახალი საზოგადოების ძირითადი ამოცანის, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია კომუნისტურ გადასვლა. შეიძლება ვთქვათ, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება გათვალისწინებულია მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანჯარივებით, შრომის ნაყოფიერების გადიდება 45-50 პროცენტით, მშენებლობაში — 60-65 პროცენტით, კოლმურხანობებში — დაახლოებით ერთი-ორად, შეიძლება ვთქვათ, რომ სამრეწველო პროდუქციის სამი მეოთხედი მატება მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

შრომის ნაყოფიერების გადიდება პირდაპირ დამოკიდებულია მეშეის კვალიფიკაციასა და მათ ავტორულ-ტექნიკურ დონესთან. ამიტომ დიდი ღონისძიებებია გვევლით დასახული ჰეყენი სახალხო მეურნეობის მრავალრიცხოვანი კადრების მოსამზადებლად, მათი ტექნიკური და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებლად. მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ზრდა, მათი გადაიქცევა სოციალიზმისა და კომუნისტურის აქტიურ მშენებლებად თავის გამოხატულებას პოელობს შრომის სოციალისტური მეთოდების მრავალფეროვნებაში, სოციალისტური შეჯიბრებებისა და მისი უმაღლესი ფორმების სულ უფრო და უფრო ზრდაში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური შრომის ბრძოლებს, რომელიც ამათად სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება და მეშების სულ უფრო მეტი რაოდენობა ებნება.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ქალაქა და სოფელ შორის განსხვავების მოსპობა. მართალია, სოციალიზმში მოსპობა ქალაქსა და სოფელ შორის დაპირისპირებულადაა, მაგრამ არსებითი განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს, რაც უმთავრესად საზოგადოებრივი საქუთრების ორ ფორმას ემყარება. ამიტომ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქალაქსა და სოფელ შორის არსებითი განსხვავების მოსპობისა არის საკომუნისტური-კომპარტიული საკუთრების და საყოველთაო-სახალხო საკუთრების შეერთება ერთიან კომუნისტურ საქუთრებად. ეს შეერთება მოხდება არა საკომუნისტური კომპარტიული საკუთრების შეკვეთის შედეგად, არამედ საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების შედეგად ამაღლებად საკომუნისტური წარმოების განსაზოგადოების დონე, მოხდება საკომუნისტური-კომპარტიული საკუთრების დაახლოება საერთო-სახალხო საკუთრებასთან და თანდათანობით მათ შორის წაშლება ზღვარი. ამას დასტურებენ კომუნისტურ-ნობათა განუყოფელი ფონდების განვითარებული ზრდა, საზოგადოებრივი საკომუნისტური წარმოებით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მოცეა, საკომუნისტურ-ნობათა-შორისო საწარმოო ურთიერთობათა სულ უფრო და უფრო გაფართოება და ზრდა. ამავე დროს საკუთრების ამ ორი ფორმის შეერთებას ხელს შეუწყობს და დაამტკიცებს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, წარმოების მექანიზაციის და ავტომატიზაციის განვითარების შედეგად წარმოების საკომუნისტური საშუალებათა შეერთება წარმოების საერთო სახალხო საშუალებასთან, სასოფლო სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევა.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად საჭიროა მოსპობა აგრეთვე არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად და ექსპლუატაციის სისტემის მოსპობის შედეგად გაქრა ინტერესთა დაპირისპირება ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაობის შორის. მაგრამ დარჩა მათ შორის არსებითი განსხვავება. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ არ არის დამკვეთი განსხვავება მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კულტურულ-ტექნიკური დარგში. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დროს იცვლება და ეითარდება არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, არამედ ადამიანში. მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში წარმოების ტექნიკის ზემდგომი განვითარება: ელექტრიფიკაციის ფართოდ განმარტობა, შრომის მექანიზაცია, წარმოების ავტომატიზაცია და ქიმიზაცია, ადამიანის სამსახურში ატომური ენერჯის დაყენება და სხვ. ყველაფერი ეს წარმოების შემაჯობებლად მოითხოვს, როგორც საერ-

თოდ, ისე სპეციალური განათლების მაღალ დონეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით წარმოების განვითარება უზიარებლად ადამიანებს სწავლის სფეროში მუშაობის ავტორულ ტექნიკური ზრდა, თავის მხრივ უდევს გაეღრმავოს ახდენს წარმოების ტექნიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაზე. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობის მნიშვნელოვანი პირობაა მუშებისა და კომუნისტურ გლეხობის კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის პროგრამა.

კომუნიზმის დროს უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების ზრდისა და ვაჭრობების შედეგად, მშრომელთა განათლება და კულტურულ-ტექნიკური დონე ისე ამაღლება, რომ კომუნისტური საზოგადოების ყველა წევრი უაღრესად კულტურული და განათლებული ადამიანები გახდებიან, მეცნიერება და ხელოვნება სრულ აყვავებას მიაღწევენ, გაქრება არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომის ადამიანებს შორის.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა განვითარებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად მოითხოვს მშრომელთა კომუნისტური შეგების მაღალ დონეს. კომუნისტური აღზრდა — ეს ახალი ადამიანის — განათლებული, მაღალი კულტურის მქონე, კომუნისტური საზოგადოების ხსენებული ადამიანის ყოველმხრივი განვითარებაა. ეს არის მისი კოლექტივისის, შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის და პატრიოტიზმის სულსკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულსკვეთებით აღზრდა. კომუნისტური აღზრდას პარტიკულად უწყობს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას. ვინაიდან როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვაძლავს ადამიანთა ცხოვრების პირობებისა და შეხედულებების შეცვლას და დამყვებელ როლს ასრულებს რევოლუციური პრაქტიკა, მთელი აღზრდებითი მუშაობის ცენტრში ჩვენი დაყენებულია ყველა ადამიანის შრომითი აღზრდა, რათა თანდათანობით შრომა ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცეს. ეს მით უმეტეს აუცილებელია, როცა ჯერ კიდევ გახდებოდა ადამიანები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდნენ საზოგადოებრივ შრომას, ეწევიან სპეკულაციის და არღვევენ დისციპლინას და საზოგადოებრივ წესრიგს. მზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი აქვს ჩვენს სკოლებს. ამის გამო, რომ ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, პარტიამ და მთავრობამ მიიღო დადგენილება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების შემდგომ განვითარების შესახებ, რომელიც მთლიანად

შეესაბამება განათლებისა და აღზრდის შესახებ მარქსისტულ-ლენინისტურ სტრატეგიას და გზას ეკონომიკური სფეროს ნაშთი პოლიტიკისა.

სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადასვლის პროცესში ეკონომიკური განვითარებასთან ერთად განვითარდება სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, რომლის მთავარი მიმართულება იქნება დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარება, მოსახლეობის უპარტიალო ფართო ფენების ჩაბმა ქვეყნის მართვაში, ყველა მოქალაქის ჩაბმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის და პარტიის, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ავანგარდის, სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლის გაძლიერება. კომუნისმზე გადასვლის პერიოდში მოსახლეობის ფართო ფენების ქვეყნის მართვაში უფრო მეტად ჩაბმისათვის სახელმწიფო ორგანოების ბევრი ფუნქცია ასე მავალითადად: მოსახლეობის კულტურული მომსახურების ზოგიერთი საკითხი, ჯანმრთელობის დაცვის და საკურორტო მომსახურების ორგანიზაცია, ფინანსურ-საბიუჯეტო მართვასაზე ხელმძღვანელობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების უზრუნველყოფისა და ბევრი კიდევ სხვა საკითხები, სულ უფრო და უფრო გადავა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამკვლავლებაში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პროცესში სოციალისტური სახელმწიფოს როლი შესუსტდეს, პირიქით სოციალისტური სახელმწიფოს როლი ძლიერდება კომუნისმის აშენებისათვის ბრძოლაში.

თანამედროვე რევიზიონიზმი და მათი ავანგარდი იტვირთავენ რევიზიონისტები გვერდობენ სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ზრუნვის გამო, იმ მოტივით, რომ თითქოს იგი ეწინააღმდეგებოდეს მარქსისტულ-ლენინისტურ მოძღვრებას სახელმწიფოს კვლევის შესახებ. მათი მიზანი ცხადია, მათ სურთ შიდალენინისტური განაპირობება, ჩვენ სახელმწიფო ორგანოების მოსაზრებას და მივიწოდოთ მტრის მოწყალებას. მარქსისტულ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სახელმწიფო მოკვდება კომუნისმის სრული გამარჯვების დროს, როცა საყვებით ვაჭარება ჩვენს ქვეყანაზე ან ჩვენს მოკავშირე ქვეყნებზე იმპერიალისტების თავდასხმის საფრთხე. მაგრამ კომუნისმის დროს სახელმწიფოს კვლევა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნად დამკვიდრდება არაორგანიზებულობა და ანარქია, არამედ ეს იქნება შრომის ადამიანთა დიდად ორგანიზებული და შეწყობილი თანამშრომლობა.

პარტიის XXI ყრილობამ მოგვცა ღრმა შეხედულებები ახალიზი მსოფლიო სოციალისტური

სისტემის განვითარების კანონზომიერების თავისებურებისა. იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალისმის მსოფლიო სისტემაში შემავალი ქვეყნები განვითარების სხვადასხვა სტადიაშია, ზოგმა აშენა სოციალიზმი და გადავიდა გამშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში, ზოგი გამშლილი სოციალისმის მშენებლობის პროცესშია, ზოგი კი ამთავრებს სოციალისმის აშენებას, პარტიის XXI ყრილობამ დასვა საკითხი, სოციალისტური ქვეყნების განვითარებისა კომუნისმისაგან და ვასცა მას ამოწურავი პასუხი. ყრილობაზე თავის მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვი მიუთითებდა, რომ თუ განვითარდებიან მშენებლობის სოციალისტური სისტემის ეკონომიკური განვითარების კანონებს, ამოწურულად უფრო სწრაფი ევოლუციონით, რომ სოციალისმის ქვეყნები, წარმტებით გამოიყენებენ რა სოციალისტურ წყობილებაში მოკლებულ შესაძლებლობებს, მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს გადაადგენ კომუნისტურ საზოგადოების უმაღლეს ფაზაში.

მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში მოქმედი გეგმაზომიერობა, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონის ძალი, სოციალისტურ სისტემაში შემავალი ქვეყნების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შედეგით, ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყანას საშუალება ეძლევა დაეწიოს ეკონომიკურად მძლავრად განვითარებულ ქვეყნებს და მიღწეულ იქნას ყველა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული განვითარების საერთო ხაზი, დასრულდეს სოციალისტური საზოგადოების აშენება და თანდათანობით, ერთდროულად მოხდეს კომუნისმში გადასვლა.

მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში შემავალი ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის სოციალისტური მშენებლობის ჩქარი ტემპისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ვიდრე ეს ჩვენს ქვეყანას ჰქონდა. ეინაიდან, ჯერ ერთი, თუ ჩვენს ქვეყანას სოციალისმის აშენება უძღებოდა იზოლაციის ვითარებაში, ამჟამად სოციალისმის მსოფლიო სისტემის არსებობისას ასეთი იზოლაცია გამორიცხულია, მეორე, სოციალისტური სისტემის ქვეყნებს წინ მიუძღვის ისეთი ყოველმხრივ განვითარებული და მძლავრი ქვეყანა, როგორცაა სსრ კავშირი, რომელმაც უკვე ააშენა სოციალისტური საზოგადოება და შევიდა კომუნისმის მშენებლობის ახალ პერიოდში.

სსრ XXI ყრილობამ შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გენიალური პროგრამა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შედარებით მაღალ განვითარებას და დიდი ნაბიჯი იქნება კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.



3. ქორეაზილი



„ქართული ეროვნული კომიტეტი“ და ქართველი რევოლუციონერები პეტროგრადში

თებერვლის ბერკუზიელ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდისათვის ქართული თავადაზნაურობის ზედაფენები, ასე ვთქვათ — მისი „ნაღები“, თავმოყრილი იყო პეტროგრადში. აქ იყვნენ: დადიანები, დადგეყელიანები, წერეთლები, ანდრონიკაშვილები, ნაკაშიძეები, ზერქეზიშვილები, ერისთავები, ვაბაშვილები, ციციშვილები და მრავალი სხვა. ნაწილს თავადების მხიარული კავშირი ჰქონდა მეფის ზამთრის სასახლესთან, თეიფ მუფე ნიკოლოზ II-სთან და მისი ოჯახის წევრებთან (გენ. ივანე ნაკაშიძე, უჩა დადიანი და სხვ.), ბევრი იყოფებოდა ახლო კავშირში რუსი თავადაზნაურული არისტოკრატის უმადლეს წარმომადგენლებთან — გრაფ პანინთან, თავად ვოლოცინსკისთან, თავად ობოლენსკისთან, გრაფ ოლდენბურგისთან და სხვ.

ბევრი ქართველი თავადი და აზნაური პეტროგრადში ცხოვრობდა უმოკრესად საქართველოს გლეხებისა და მეშენების ხარჯზე. ნაწილი (სამხედრო პირები — ოფიცრები, გენერლები) დებულობდა ღმრთობისა და უმეტესად იმ შემოსავალს, რომელსაც ისინი, როგორც მემამულეები, ღებულობდნენ საქართველოდან, ერთი ნაწილი ეწეოდა ვაჭრობას (ღვინით, რუსტორნებით და სხვ.) და თავიანთ თავდაზნაურულ შოაბოძებულებას და კლასობრივ „ღირსებას“ ამ გზით აძლევდა განსაზღვრულ შეტერიალურ „ბაზისს“.

ბაზი უნდა გავუვსოთ იმას, რომ საგრძნობი ნაწილი თავადებისა და აზნაურებისა მოსწყდა საქართველოს, ქართველ ხალხს, მშრომელთა მსახებს, „არსებობა“ მათი პეტერბურგში არავითარ სარგებლობას არ აძლევდა არც საქართველოს, არც რუსეთს. მრავალი მათგანი გადაყვარებული იყო დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული ენა.

თავადი ალექსანდრე ზერქეზიშვილი (ზერქეზოვი 1). შემდგომი ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, რევოლუციამდე რეაქციული გაზუთის „Санкт-Петербургские ведомости“-ს რედაქციის წევრი იყო. სამოქ-

ლაქო ომის პერიოდში პეტროგრადში აშობდნენ, რომ ის ერთბაშად დასავლეთ რუსეთის ერთ-ერთ გენერალში თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. ქართული ენა არ იცოდა და სრულიად მოწყვეტილი იყო საქართველოს.

თავადები — წერტილები და ციციშვილი (ციციანოვი) გაქნილი ადერისტები იყვნენ. წერეთლის „უნარიანობა“ იმაში იხატებოდა, რომ ის ციციშვილთან ერთად „ჩუკებს“ ამზადებდა და აწერდა ხელს იმ მშობლებისას, რომელსაც ბანკში პირად ანგარიშზე ჰქონდა თავისი საკუთარი თანხა. წერეთლის ხელისმწერა ძალიან წააგავდა მენაბრის ხელისმწერას. ასეთი გზით მათ რამდენიმეჯერ გამოიტანეს პეტერბურგის ბანკებიდან საკმაოდ დიდი თანხები, როცა საქმე გაახსნა, ისინი დავიწყებს და ციხეში გადასახლეს. თებერვლის ბერკუზიელ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ წერეთელი და ციციანოვი ასევე დაუბრუნდნენ პეტროგრადს, მოიგონეს თავიანთი ძველი „ხელობა“ და 1918 წელს იმავე თაღლითური გზით გამოიტანეს ბანკებიდან დიდი თანხა, რომლის ოდენობა განსაზღვრებოდა, თუ არ ვცდები, რამდენიმე მილიონით. უნდოდათ გაქცეულიყვნენ ფინეთში, მაგრამ... საბჭოთა რუსეთის პეტროგრადის დასჯელმა ორგანოებმა მოუღეს ბოლო მათს „საქმიანობას“.

თავადი ნოდარ ჯანდიერი ყოფილი მსწავლებელი გეოგრაფიისა. თავისი საპატიო პროფესია მან ადვილად გაცვალა რუსტორან „კახეთის“ გამგებლობაზე. (რუსტორანი მოთავსებული იყო ნევის პროსპექტზე). კახეთში მას ჰქონდა მამული, საიდანაც შემოდიოდა დიდი ძალი შემოსავალი. ნოდარ ჯანდიერს როგორც ჩვეუარდა ხელში მილიონები, რომლებიც გამოიტანილი იყო ბანკებიდან წერეთლისა და ციციშვილის მიერ. უკანასკნელთა დამატობების შემდეგ ჯანდიერი, შეიქნა რა ამ თანხების პატონ-პატრონი, მზილებულ იქნა და სასტიკად დაისჯა.

თავადი ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი). სინოდთან იყო დაკავშირებული საქსახტოთ. იმ რას წერს მის შესახებ ლევ ლიბნაშვილი თავის მოგონებებში — („На чужбине“ ქურნალ „Новый мир“-ში; თავად ანდრონიკაშვილს, რომელიც ირისებდა სინოდთან, არავითარი დი-

1 ნუ შეშლით ანარქისტ ვარლამ ზერქეზიშვილის სახელთან.

დი თანამდებობა არა, უკეთესი, მაგრამ ყოველივე შეუძლია, ყველას უბრძანებს. მამა მოგვი-
თხრობს ანდრონიკაშვილზე; მე შემატობინ-
ნეს, რაშია საიდუმლოება იმის გავლენისა. ის
პოისიცილი ზოლზე შეიკრებეს! დიხ, „Правит-
ельственный Вестник“-ის უბრალო შეიკრე-
ვის, სტამბისაყენ მიმავალი შეიკრე მისთან
მასალა, განკუთვნილი დასაბეჭდად, ანდრონი-
კაშვილის აინტერესებს მხოლოდ ჯილდოები,
დანიშნულები. მაშინვე ურეკავს, ვისაც კი გაუ-
ღიმა ბედა. „მოხარული ვარ გიხიბოთ, რომ
ჩემი შეკადრებობა დაგვირგებდა წარმატებით.
ხელმწიფემ უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულუ-
ბას, ხვალ წაიკითხათ „Правительственный
Вестник“-ში ვილოცათ“. ასეთი გზით ჰქონ-
და მოპოვებული გავლენა თავად ანდრონიკა-
შვილს.

უბრწყინვალესი თავადი უნა დადიანი შეფე
ნიკოლოზ II-ის ამალაში ირიცხებოდა. იგი უმა-
ღლესი თავადანაურობის თავადთა უარყოფი-
თი თვისებების სრული განსაზღვრება იყო.
თებერვლის ბურჯებზედ-დემოკრატიულ რე-
ვოლუციას, როგორც ბევრი სხვა თავადი, მტრულ-
ად შეხვდა. ოქტომბრის სოციალისტური რე-
ვოლუციის დაუძინებელი მტერი იყო. უნა და-
დიანი თავისი მკვეთრი უარყოფითი მხარეებით
კარგად არის დახატული ფეხად ფელარია-დგე-
ბუბის ნაწარმოებში — „ოქტობრის ბეჭედი“.

თავადი იოთარ დადემკელიანი, სვანეთის ერთ-
ერთი მფლობელთაგანი, ცხოვრობდა პეტრო-
გრადში უმთავრესად თავისი მამულების შემო-
სავლის ხარჯზე. ბუნებრივია, რომ დიდი
ოქტომბრის რევოლუციას იგი მტრულად შეხ-
ვდა დიდად უყვარდა ბანქოს თამაში და ფე-
ხლების ფლანგვა ერთხელ თამაშის დროს ფე-
ხი აღარ დარჩენია, თავისი ცოლი გაუთამაშე-
ბია და წაუგია. ამის შემდეგ ცოლი განშორე-
ბია მას და თავისი შვილით — ლამაზით გაქცეუ-
ლა პარიზში.

ასეთი იყო შორალური და პოლიტიკური საბე-
რეულობა მყოფ ქართულ თავადთა დიდი ნაწი-
ლისა. არავინ იფიქროს, რომ მხოლოდ ქართუ-
ლებს ჰყვართ ასეთი გადაგვარებული და უმა-
სგავსო, ანტიხალტური ფენები თავადანაურო-
ბაში. შემუშარულ ლიტერატურაში საქმიოდ მო-
იქებნება შავაყის და კოდვე უარესი ფაქტები
თავადანაურთა და ბურჟუაზიის შორალური

გადაგვარებისა და გაბრწყინისა. სხვათა შორის
იგივე ლიბეზიციის მოგონებებიც და ბონი-
ბრეუვიჩის შემუშარებიც — („Вся власть Сове-
там“¹) საქმიო მასალას იძლევიან იმისათვის,
რომ დაეისკვნათ, თუ რაოდენ ღრმად ჰქონდათ
ფხვები გადაგვული რუს თავადანაურთა ზე-
დაფენებში საშობლოს მოლატეობას, ჯამუ-
შობას, გაბრწყინს. ზემოთ დასახელებული ერთ-
რები, სხვა შემუშარისტ-მწერლებთან ერთად,
კარგად ამუშებენ რევოლუციამდელი რუსეთის
მმართველი კლასების გადაგვარებულთა ფენე-
ბის ცხოვრებას და ამოღებობასა.

მაგრამ, არც ის იქნება მართალი, ვთქვათ,
თითქოს პეტროგრადის ქართული თავადანა-
ურთა შორის ყველა ფენა იყო ასეთი. სამართლია-
ნობა მოითხოვს აღენიშნოთ, რომ თავადანაურ-
რთა შვილები, სწავლობდნენ რა პეტროგრადის
უმაღლეს სასწავლებელში (და აგრეთვე სხვა
ქალაქებში), თებერვლის ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიულ რევოლუციის გადატრიალების დროს
ხალხთან ერთად გამოვიდნენ რომანოვების შო-
ნარქიის წინააღმდეგ, მეფის თეთმწყობილო-
ბის დაშობისათვის.

კოდვე მეტს ვიტყვი: თავადანაურთა კლასი-
დან გამოსული ერთეულები, პაროლტარული
რევოლუციის და იმის ბელადის ლენინის უშუ-
ალო ზეგავლენით დაადგნენ ბოლშევიკურ გზას,
მათ უარყვეს შემუშარეუბი და კაპიტალისტები
და ეზიარნენ ბოლშევიკები პარტიის დიდა
იღებეს. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს
ოქტომბრის რევოლუციის მოშახდენაში და
განსაკუთრებული როლი ითამაშეს სამოქალაქო
ომის ისტორიულ პერიოდში.

მაგრამ — ამაზე ჰქვითოთ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის მოშახდების პერიოდში და რევოლუციის
გამარჯვების შემდეგ ნაწილი ქართული თავად-
ანაურობის, მენშევიკებისა და სხვა გაიქცა
ბოლშევიკური პეტროგრადიდან და მენშევიკურ
საქართველოში პოვა საყდარი. სულ სხვა მი-
ზნით ჩამოვიდნენ საქართველოში გამოჩენილი
და დეწმოსილი მეცნიერები: პროფ. ალ. ცა-
ვარელი, ისტორიკოსი ფ. ჯგავიშვილი, სიმონ
ავალიანი, ახალგაზრდა მეცნიერები — იოსებ
ყფშიძე, ველო ბერძე, ა. შანიძე, ა. წერე-
თელი, დე. ყფშიძე (იოსებ ყფშიძის ძმა), ვლ.
ფუთურაძე, სილ. ლომია და სხვები. ისინი გა-
მოეშერნენ საქართველოსკენ, რათა შობილიერ
მიწაზე ვეშევათ და გამოეჩინათ თავიანთი
უნარი ისტორიის, ენათმეცნიერების, ქართული
ლიტერატურისა და სხვა სამეცნიერო დარგში.
პეტროგრადში დარჩა ქართულ თავადანაურთა
საქმიოდ დიდი ნაწილი, აგრეთვე ქართველი და

¹ „НОВЫЙ МИР“, 1957 წ., №2, გვ. 198.

2. ლეე ლიბეზიციის მამას, დემიტრი ნიკოლოზის ძეს, ეკავა დიდი ადგილი მონარქიის სხე-
ლმწიფთ წყობაში: გოფმესიტარის, სენატორის
და სხვა, ახლოს იმყოფებოდა მეფესთან და ექვს
გარეშეა, პირადად იცნობდა ქართულ თავად-
ანაურთა.

¹ „Вся власть Советам“, შ. დ. ბონი-
ვიჩი, 1958 წ.

შენშევიციბი. ესენი, ყოველა, აშკარა წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტური გადატრიალებისა.

2 (15) ნოემბერს 1917 წელს გამოქვეყნდა საბკომსაბჭოს დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“. რუსეთის რესპუბლიკის სახელთა ამ დეკლარაციის ხელს აწერენ: ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარია — იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი, სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარე — ულიანოვი (ლენინი).¹ რუსეთის ეროვნებათა საკითხის გადაჭრაში საბკომსაბჭო ამ დეკლარაციით გამოაცხადა თავისი მოღვაწეობის საფუძვლად შემდეგი საწყისები:

- 1) რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა.
- 2) რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება გამოყოფილად და დამოუკიდებლად სახელმწიფოს შექმნად.
- 3) ყველა და ყოველ ეროვნულ და ეროვნულ-რელიგიურ უპირატესობათა და შეზღუდვათა გაუქმება.
- 4) რუსეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა თავისუფალი განვითარება.

აი, ამ დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპული საფუძვლებით ისარგებლეს ქართულმა თავდაზნაურებმა, — ქართველმა ბერძენებმა და ბერძენაზიულმა ინტელიგენციამ, ქართული კოლონიის დიდმა უმრავლესობამ პეტროგრადში. მათში დაიბადა ახრი ქართული ეროვნული ორგანიზაციის შექმნისა. ინიციატორთა გვარებში და სთავონებში ასეთი ორგანიზაცია საშუალებას მისცემდა მათ ახალ ისტორიულ ვითარებაში თავი დაიკვიან რევოლუციური ქარცეცხლისაგან და შესაძლებლობის მიხედვით უცადონ იმ დროს, სინამ ბოლშევიეტი რევოლუცია დამარცხდებოდა და ისევ აღდგებოდა ძველი წყობილება. გრაფინია პანინასთან შეთანხმებით, ქართული ეროვნული კომიტეტი მოთავსდა იმის კუთხილ სასახლეში (ლიტინის პროსპექტისა და ფერშტადსკის ქუჩის კუთხეში). ამგვარად შეიქმნა ორგანიზაცია, რომელსაც უწოდეს „Грузинский Национальный Комитет“. ამ ორგანიზაციაში ჩაეწერა 500 ქართველი თუ ქართული ჩამომავლობის პირები. ამთ რიცხვში ნაწილმა ქართული ენა სულ არ იცოდა. ქართული ეროვნული კომიტეტის პოლიტიკური სულის ჩამდგმელები იყვნენ უფილი თავადები და ბერძენაზიული ინტელიგენტები. ის ფაქტი, რომ ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა თავმჯდომარედ აირჩია ყფთ. თავა-დი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, რომელიც მო-

ნარქისტულ იდეებით იყო გამსჭვალული და, ამჟვე დროს, ქართული ენა არ იცოდა, დიდად მნიშვნელოვანია.

ქართულ ეროვნულ კომიტეტს არ ჰქონდა წესდება. და, აი, დაიბადა ახრი წესდების შემუშავებისა. წესდების შემუშავების ორგანიზაციის სულის ჩამდგმელებმა საჭიროდ დაინახეს, რათა ქართული ეროვნული კომიტეტი შეენდობათ, ე. ი. გამოეყვანათ ის, როგორც უპარტიო ორგანიზაცია, და ამ გზით დაემალათ თავიანთი რეაქციულ-პოლიტიკურ ზრახვები, მიდრეკილებანი. ამ მიზნით, წესდების 1-ლი პარაგრაფის შენიშვნაში ჩაწერეს, რომ მათი ორგანიზაცია არის უპარტიო ორგანიზაცია.

1918 წელს, ივლისის ბოლოს, ეროვნული კომიტეტის მესვეურებმა მოიწვიეს საერთო კრება, რომელზედაც დასვეს საკითხი წესდების მიღების შესახებ. თანაც მიიღეს საჭირო ზომები, რათა წესდება მიღებული ყოფილიყო დიკვე სიის გარეშე. ვინაიდან ორგანიზაციის წევრთა 99 %, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტები, ზურგს უმაკრებდა ქართული ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელს, სრულიად, არ არის გასაკვირი, რომ წესდება მიღებულ იქნა უკმათოდ.¹

მეშინ ჩემ მოვალეობად ჩავთვალე საჯაროდ ამხადა ანტისაბჭოთა ნიღაბი ქართული ეროვნული კომიტეტისათვის. ამ მიზნით მე დავწერე წერილი შემდეგი სათაურით: „Открытое письмо Грузинскому национальному Комитету“. ეს წერილი დაბეჭდა ჩრდილოეთის ოლქის და პეტროგრადის საბჭოს ვახუთში „Северная Коммуна“².

აი ეს წერილიც:
„და წერილი ქართულ ეროვნულ კომიტეტს“. „არის ცნობილი თქმულბა: „დიდლომატებს ენა იმიტომ აქეთ მიცემული, რათა დამალონ თავისი აზრები“. ასეთი დიდლომატები ბრძანდებით თქვენ, ქართული ეროვნული კომიტეტის ბატონო წევრებო. თქვენ მიერ წარდგენილი და ქართული კოლონიის წინა კრებაზე ნა-

1 წესდების მიღების წინააღმდეგ ხმა მისცეს: ქეთო ჯინჭელაშვილი (შწერალ მართამ გაროყელის დამ), შალვა ჯინჭელაშვილი, პროკოფი გუჯაბიძემ, ამ წერილის ავტორმა და კიდევ რამდენიმე აშანავამ. 1917—1918 წლებში პეტროგრადში ქართული მუშები არ იყვნენ და ამით აიხსნება საბჭოთა ელემენტების დიდი სიმცირე ქართული ეროვნული კომიტეტის შემაჯავებლობაში.

2 გზა. Северная Коммуна“. ჩრდილოეთის ოლქის საბჭოეთის და პეტროგრადის საბჭოს ორგანო, 1918 წ. 15 ავისტოს მე-30 ნომრის საღამოს დამატება.

¹ „Декреты Советской власти“ ტ. 1, 25 39—40, 1957 წ.

ჩქარვად მიღებული წესდება მთლიანად ამოწმებს ამას.

საქმე ისაა, რომ, როგორც ეს ნათქვამია თქვენი წესდების პირველ პარაგრაფში, ქართული კომიტეტის მიზანია გააერთიანოს პეტროგრადის ქართველობა წმინდა უფლებებით და გეონომიერ ნიადაგზე.

მე თქვენ შეგითითეთ, რომ ამ პარაგრაფში ნათლად არ არის განსაზღვრული თქვენი კომიტეტის მიზნები და ამოცანები. მე ვამბობდი, და სხვებიც ამტკიცებდნენ ჩემს აზრს, რომ ქართული ეროვნული კომიტეტი — პოლიტიკური ორგანიზაციაა და, როგორც ასეთი, ის ვალდებული იყო თავისა წესდების პოლიტიკური მხარე განსაზღვრა ისე ნათლად, რომ ამის შესახებ არავითარი ეჭვები არ ყოფილიყო.

მე ვამბობდი საერთო კრებაზე, რომ პეტროგრადულ ქართველთა 99% (მათ შორის თქვენც, ეროვნული კომიტეტის ბატონო წევრებო) დგას ანტისაბჭოთა პლატფორმაზე და რომ შე წინადადება მივეცი კრებას, შესცვალოს წესდების 1-ლი პარაგრაფი ამ სხივით: „ქართული ეროვნული კომიტეტის მიზანია გაერთიანება ყველა პეტროგრადული ქართველებსა, რომლებიც არ იზარაბენ საბჭოთა თვალსაზრისს“ (ცინიდან ცნობილია, რომ პეტროგრადში არიან ქართველებიც, რომლებიც იზარაბენ საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისს და ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი არ საჭიროებენ ეროვნული კომიტეტის მხრივ დაიცვას და მხარ დაჭერას).

შეგარე, კრების თავმჯდომარეებო! ვერ გამოიჩინა გაბედულება და ევკასობა თუნდაც დანება ჩემი წინადადება კენჭის საყრდელად, კრების ერთერთ მონაწილის ბ. ხედაგერძის პირით ჩემი წინადადება — შეტანილ იქნეს შერტი ნათელი წესდების პირველ პარაგრაფში და ითქვას აშკარად ის, რაც არის (და არის ის რომ ქართული ეროვნული კომიტეტი როგორც პოლიტიკური დაწესებულება არის ანტისაბჭოთა ორგანიზაცია) იყო წოდებული როგორც პროვოკაციული (?).

როცა უკანასკნელ კრებაზე თქვენი კომიტეტის წევრთა შორის მომხდარი კონფლიქტის გასარჩევად იყო არჩეული კომისია, სადაც მე არ მოეხედი, თქვენ მთლიანად სოლიდარობა გამოუცხადეთ დასახელებულ ხედაგერძის, რომელმაც მე აცილება მიყო და ამ შავალითთ თქვენ ცხადდ დაამტკიცეთ თქვენი მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებასადმი. თქვენი თვის კარგად ცნობილი იყო, რომ მე ვარ კომუნისტი-ბოლშევიკი და ჩემთვის გასაგებია, რატომ ვერ დამიშვებდით ამ კომისიაში.

თქვენი წესდების 1-ლი პარაგრაფის შენიშვნაში ნათქვამია, რომ ქართული ეროვნული კომიტეტი უპარტიო ორგანიზაციაა. ჩვენთვის არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ დღევანდელი მომენტში ყოველივე ის, რაც უპარტიოა სიტუაციაში კონტრევოლუციურია: ბოლშევიკთა სპირა გაგება, რომ დღევანდელი დრო მტკიცედ მოითხოვს ჩვენგან არა ორპარტიოვან პასუხს კითხვებზე: ვის ეტყვიან მხარს და ვის წინააღმდეგ მივდივართ ჩვენ?

ეროვნული კომიტეტის ბატონო წევრებო, მე გვითხვებით თქვენ: საბჭოების მომხრე ხართ თუ წინააღმდეგე? თუ თქვენ საბჭოებს ემხრობით, კეთილ ინებეთ და და ჩაწერეთ წესდებამ 1-ლ პარაგრაფში, რომ თქვენი ორგანიზაცია მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას. თუ თქვენ საბჭოების წინააღმდეგე ხართ, გამოიხიენთ ევკასობა, აშკარად თქვათ ეს.

გარდა ამისა, მე მაქვს ცნობები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ გასულ ზამთარს ზოგიერთმა ქართველმა რომლებიც ეკემბერში არიან თქვენს კომიტეტთან, გადაწყვიტა შეაიარაღონ პეტროგრადში მაშინ შეიფი ქართველ სალდათები და გაგზავნონ ისინი ეკუასიაში ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩემთვის ცნობილია ის პირი, რომელიც იყო მაშინ ეროვნებათა საქმების კომისიართან ამ. სტალინთან, სთხოვა რა მას, დახმარებოდა ქართველ სალდათებს მათთვის იარაღის გაცემის საქმეში. გარკვეულად ყოველივე ისე იყო მოგვარებული, რომ ქართული სალდათები უნდა გამგზავრებულიყვნენ ეკუასიაში იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ ბოლშევიკურ შეიარაღებულ ნაწილებს!


რას იტყვის ამაზე ეროვნული კომიტეტი? ან და მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ამ საქმესთან?

ქართული ეროვნული კომიტეტის გარშემო რად ჯგუფდებიან ისეთი აღაშაენი, რომლებიც ნიკოლოზ შერტეს და კერენსკის დროს მოსმენაც კი არ სურდათ საქართველოს რუსეთთან გამოყოფის შესახებ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნის შესახებ, იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგივე აღაშაენები, მოკლებულნი უნარს, გამოხატონ თავი-სი აზრები ქართულ ენაზე, ერთბაშად გარდაიქმნენ პატრიოტებად, საქართველოს მოყვარულებად, სემპრატისტული აზრების ქომავებად?

მე მოვიტხოვ, რომ ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე უპასუხოს ყველა ჩემს კითხვას.

სტუდენტო კ. ქონიაშვილი.
როგორც შენაშენაში ვერა, ეს ჩემი წერილი დაიბეჭდა გაზ. „Северная Коммуна“-ს მე 80 ნომრის საღამოს დამატებაში, (15 აგვისტოს). პარასევს, 16 აგვისტოს, პეტროგრადის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეებ ამ. ურიცკიმ დაიბარა თავის კაბინეტში ეროვნული

1 ა. ზერკუნიშვილი.



კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩერქეზიშვილი და მისთვისავე პასუხი გახუთში დაბეჭდილ წერილში წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ. კვირას, 18 აგვისტოს, მოიწვევს ეროვნული კომიტეტის წევრთა საერთო კრება. ეს კრება, რომელსაც ეწვევებოდა სამასამდე ქალი და კაცი, გახსნა თვით თავმჯდომარისმა. შეხვედრა სიტყვა მან ასე დაიწყო: „Дамоклов меч висит над Грузинским Национальным Комитетом“. მან უამბო დამსწრეთ, როგორ გამოიძახა ის უტიტომ, როგორ დაემუქრა მას, რომ ქართ. ეროვნული კომიტეტი დაშლილი იქნება და კონტრარევოლუციონერები, ანტისაბჭოთა ელემენტები სასტუად დასჯილინი. კამათში გამოსული პირები ერთმანვე გამოთქამდნენ იმ აზრს (ტყუროს კი — უაზრობას), რომ ასეთი შინაარსის წერილი არ უნდა დაბეჭდილიყო გახუთში, და, ასე ვთქვათ, არ უნდა მშობლებულიყო არსი და სახე მათი ორგანიზაციისა.

მე ვხედავდი, რომ ჩემმა წერილმა დიდი ვაგვამი შეიტანა ქართული ეროვნული კომიტეტის წევრთა შორის. ბოლოს მე ავიღე სიტყვა და ვთქვი შემდეგ:

„ეროვნული კომიტეტი რომ ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან შედგება, ეს უდავოა; რომ აქ სხედან კონტრარევოლუციონერები, მემშაოთ კლასისა და გლეხობის, ბოლშევიკური პარტიის ამჟამო მტრები, ამაში ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს, რომ ეროვნულ კომიტეტში შედიან ისეთებიც, რომელნიც გუშინ მეფის მონარქიის დროს — ქართველობას უარყოფდნენ, შობილური ქართული და დაიფიქეს და ახლაც არ სტოთ იცოდნენ ეს ენა, არ უყვართ ქართველი ხალხი, დაიფიქეს თავისი სამშობლო — საქართველო და გადაგვიარდნენ“.

ჩემმა გამოსვლამ, პირდაპირ წაყენებულმა ბრალდებებმა, ცოტა არ იყოს, კრიჭა შეეკრა დამსწრეთ, ეროვნული კომიტეტის წევრებს: ასინი დუმდნენ, სათქმელი არა ჰქონდათ რა. როცა მე ჩემს გამოსვლაში ბრალდება წავეყვენე ეროვნულ კომიტეტს ქართული ენის დაიფიქვისა და გადაგვიარების შესახებ, ერთ-ერთი დამსწრე შემეკითხა იდგომიდან: „А Вы знаете грузинский язык?“. — ამის საპასუხოდ მე მაშინვე გადავედი ქართულ ენაზე, ასე რომ, სიტყვის მეორე ნახევარი ქართულად დაემათავრა.

მე ვგრძნობდი, რომ შორალერ-პოლიტიკური გამარჯვება ჩემს მხარეზე იყო. ეროვნული კომიტეტის წევრები ვაჩემებო იყვნენ. ბოლშევიკური ბრალდებები, წაყენებულნი მათ წინააღმდეგ, დაღ უმრავლესობას ისე შიხებდა გულში, როგორც ლახვარი.

სულ ბოლოს სიტყვა ითხოვა ყოფილმა თავიშვილი, ახალგაზრდა კუერის ნაიშმატე. მან პირი შობიარუნა ჩემენ და განაიხებდა, რომ გახუთში წერილის დაბეჭდვისათვის ის

მიწვევს დულში. ამნაირად, კონტრარევოლუციონერმა კუერის ნაიშმატემ თავის გამოსვლით ამჟამად გამოამკლავა ის, რაც სტეპანეს სტეპანეს მონაწილეთ — თავდაზნაურთ და ბურჟუებს, ბურჟუაზიულ-ინტელექტუებს თავში უტრიალებდით: „გულის ჯავრი“ იყარონ ჩემზე, გამისწორდნენ მე, როგორც კლასობრივ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს.

როცა მეთხველები გაცნობიან ქართული ეროვნული კომიტეტის „მოღაწეობას“ პეტროგრადში, მნიშვნელობა იმას კი არ უნდა მისცენ, რომ ეს ორგანიზაცია მართავდა კონცერტებს, საღამო-ბალებს, საღაც დღე იდგოლი ჰქონდა დათმობილი ქართული სიმღერას და ცეკვას, რომ კომიტეტს ჰქონდა დაკარგებული საკონსერვო და სასურსათო მოვალეობანი, რომ „აქ (ორგანიზაციაში) იყრიბებოდნენ ფინჯანი ჩაის ირგვლივ, როგორც კლებში სამსახალოთ“¹ და სხვ. უტრიალებდა იმას უნდა მიეცეს, რომ ქართულ ეროვნულ კომიტეტში თავს იფარებდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც გუშინ ეკუთვნოდნენ ისტორიულად გაკობრებულ თავდაზნაურთა და ბურჟუაზიულ კლასს, რომ ისინი, როგორც უტილო, ხერხემლი გადამტყდარი დედაბრები გველენიეთ სისინებდნენ და კონტრარევოლუციურ შხამს გადმოიანთხედდნენ სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის მიმართ, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, სწუტროდით რა, რომ სამოქალაქო ომის მსვლელობაში მემშაოთ კლასი და გლეხობა დამარცხებულნი, რის შედეგად გამარჯვება უნდა დარჩენილიყო რეაქციონერ გენერლებს (კორნილოვს, კრასნოვს, იუდენიჩს, დენიკინს და სხვ.) და აღდგენილიყო ძველი, კაბატალისტურ-მონარქიული წყობილება!

1917 წლის ბოლოს პეტროგრადში თავი მოთავსებს ფორტეზიდან დაბრუნებულმა ქართველმა ოფიცერებმა და სალდათებმა. იმ საბაბით, რომ ბრძოლა ეწარმოებინათ გერმანეთის შემოსევის წინააღმდეგ (იანვარი — მარტი 1918 წ.), ქართველ ოფიცერებს ნება დართეს შეედგინათ ეროვნული რაზმი, ქართული რაზმი². ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკამ მაშინ თავიდან იიცილა გერმანელთა აგრესია და პეტროგრადს საშიშროება აღარ ელოდა, ხსენებულნი რაზმი, რომელიც ჯერ კიდევ საორგანიზაციო პროცესში იმყოფებოდა, დაშალა მაიარამ ნაწილი ამ რაზმისა, შეიარაღებული შამანებათ, ეროვნული კომიტეტის მსუიერათა გადაწყვეტილებით, გახსნულ იქნა საქართველოსაყენ სულ სხვა-მიზნით: დასმარებოდნენ

¹ ზ. ავალიშვილი, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, გვ. 30.
² ზ. ავალიშვილი ამ რაზმს „იუერიალითა რაზმს“ უწოდებს.

ანტიბოლშევიტურ ძალებს და ბრძოლა ეწარმოებინათ პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ, ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ქართული რაზმის ეს ნაწილი ქალაქ არშვიანში დახრატეს? ამაში დანაშაული მიუძღვის, პირველ ყოვლისა, ქართული ეროვნული კომიტეტის ზელმძღვანელთ, რომლებიც იყვნენ შთამბგონებლები და ორგანიზატორები ქართული სამხედრო პირების საქართველოში გამგზავრებისა და კონტრარევილუციურ დავალებათა შეაარგლებლად.

ბ. ავალიშვილი წერს: „საბჭოთა ხელისუფლება პირველ ხანებში საერთო მოთმინებით ვპყრობოდა ამ ეროვნულ კომიტეტებს¹. შემდეგ, ტერორის გაძლიერებასთან ერთად, დაიწყო სხვადასხვა „შევიწროება“. მართლაც, საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები დიდ ღმობიერებას და მოთმინებას იხეზდნენ ქართული ეროვნული კომიტეტისადმი. ასეთი დიდი ღმობიერების შედეგი იყო ის, რომ, გარდა რამდენიმე უფილი თავადისა და ვაკარსკე-ქულანტისა, ეროვნული კომიტეტის წევრთა დიდი უმრავლესობა გადაურჩა პროლეტარული რევოლუციის ქარშხალს, კლასობრივი ბრძოლების ცეცხლს სამოქალაქო ომის პერიოდში და ასე თუ ისე შეინარჩუნა თავისი ფიზიკური არსებობა.

რაც შეეხება ტერორის გაძლიერებას, ამის შესახებ უნდა ვთქვა, რომ ის (ტერორი) გამოწვეული იყო თვით კაპიტალისტთა და მემამულეთა მიერ, რომლებმაც პირველბაში ასტუბის სამოქალაქო ომი, კლასობრივი ომი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მშრომელთა მასების და მათი ზელმძღვანელების — კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, ტერორი აუცილებელი გახდა ისტორიაში პირველი მეწერ-გლეხური რესპუბლიკის დასაცვალად. მას შემდეგ, რაც კონტრარევილუციურმა კლასებმა დაიწყეს სამოქალაქო ომი დასავლეთ იმპერიალისტური სახელმწიფოთა უშუალო დახმარებით.

სრუბათის სრულსაყოფად მიზანშეწონილად ვთვლი, შევიდარი ქართული თავდაზნაურობის ზედაფენები, რომლებიც „მოლვაწობდნენ“ პეტრბურგში მე-20 საუკუნის დასაწყისში, იმ ქართველ თავდაზნაურთ, რომლებიც გადახვეწილი იყვნენ მოსკოვში მე-17-18 საუკუნეში და თავს იყრიდნენ მეფისწულის ერგულეს გარშემო და არილი მეფის ირგვლივ.

¹ ბ. ავალიშვილის შედეგობაშია აქვს ეროვნული კომიტეტები (ქართული, სომხური და სხვ.), რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაარსებული იქნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში: „საქართველოს დამოუკიდებლობა“, გვ. 30 შენიშვნა.

ჩემი თემა არ იქნება საესებით ამოწურული, თუ მე არ გაეაშუქებ აქ ქართველთა ხალხის საუკეთესო შეილების როლს და მოწინააღმდეგის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში. ქართული ეროვნული კომიტეტს, როგორც თავდაზნაურთა და პოპულარული ორგანიზაციის, უნდა დავუბრუნებინათ არა მხოლოდ ის, სულ მეორე ჯგუფი ქართველებისა, რომლებიც თვით კომიტეტის „წიაღში“ აქტივობდნენ. ქართული ეროვნული კომიტეტის პარალელურად მოქმედებდა, ერთი ნაწილი ქართული ახალგაზრდობისა (უბოთრესად სტუდენტები), რომელმაც სათანადო მუშაობა გასწია ოქტომბრის რევოლუციის მომზადებას პერიოდში და განსაკუთრებით — მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში, რუს ხალხს და, აგრეთვე, სხვა ხალხების საუკეთესო შეილებთან ერთად ჩვენს ახალგაზრდობის ამ ნაწილთან საპატიო როლი შეასრულა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისა და განაწილების საქმეში.

ახლა შევხედოთ, ვინ შედიოდა ქართველი ახალგაზრდობის ამ ჯგუფში?

შევჩერდეთ მათზე სათითაოდ. ვლადიმერ ნესტროვის-მე მიქელაძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ის იყო ერთ-ერთი აქტიური დამცველი ბოლშევიკური იდეებისა. 1918 წელს ის მუშაობდა პეტროგრადის 1-ლი საბჭოთა მეთაურების სარტილტორი კერსების სამხედრო კომისრად. 1919 წლის შემოდგომაზე, როცა მტერი უახლოვდებოდა მოსკოვს, მიქელაძეს პირადი თხოვნის ნიადაგზე აგვიანიან სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე შეერთებული საცხენოსნო კორპუსის სამხედრო კომისრად. მძიმე მომენტში მოხვდა ახალგაზრდა კომისარი სამხედრო წინააღმდეგ. კარსქში მწიფდებოდა ღალატი რევოლუციისადმი. საჭირო იყო კორპუსის ნაწილების საბრძოლო უნარიანობის გაძლიერება, დისციპლინის გამაგრება. მიქელაძემ მშვენიერად შეასრულა ეს ამოცანა, მაგრამ რევოლუციის მოლაღატეთა მიერ გასროლილი ტყვის შედეგად ის მსხვერპლად შეეწირა სოციალისტურ რევოლუციას.

ილია დავითოს-მე დგებუაძე 2, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი, ლენინის დაბრუნებამ რუსეთში 1917 წ. ამირლი ამ აღმოაჩინა მოახდინა ძირითადი გარდატეხა: ის გახდა ბოლშევიკური პარტიის ცხოველყოფილი იდეების მტარებელი, 1918 წელს, სავაგულური კერსების გახსნასთან ერთად, ის ინიშნება ამ

¹ გაზ. „Заря Востока“, 1958 წ. № 47 22 იანვარი.

² ტურნ. „Красный Командир“, 1921 წ. № 14. პეტროგრადი.

ქრსების სამხედრო კომისრად და, როგორც ასეთი, ხელაძღვანელობდა წითელი მეთაურების — ავალიონიკის აღზრდა-გამოყვანას. 1920 წ. თვითდგომამდე ის დაიბრუნა პეტროგრადის ქრსაზრთა ბრიგადის პოლკოვნიკად ხელაძღვანელად და ბრიგადისთან ერთად გაიგზავნა სამხეთის ფრონტზე მახრველებისა და ვრახველის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკრაინის სამხრეთ ნაწილში ვახუშტისას ქრსისტების ბრიგადა გასლაგდა დასაყენებლად ერთ-ერთ სოფელში, აქედან დამორჩეით კ, 6-მ კოლონტრის მანძილზე, მეორე სოფელში ბრიგადის შტაბი მთელი თავის შემადგენლობით (აქ იყო აშ. დგებუაქე). მახრველებმა გაიგეს, რომ შტაბი დამორჩეული იყო ბრიგადისაგან. ღამით, როცა ყველას ეძინა, მახრველთა ბანდა თავს დაესხა იმ შესობის, სადაც შტაბი იყო განლაგებული და მთელი შემადგენლობა დახვრიტა, დაეცა. ვერც დგებუაქე გადაურჩა მახრველთა თავდასხმას: ისიც მსხვერპლი გახდა მათთან უთახასწორი ბრძოლისა. დგებუაქე (და მასთან ერთად ბრიგადის შტაბის ყველა მეთაური ჩამოსაყენეს პეტროგრადში. 8 იანვარს, 1921 წელს, რევოლუციონერმა პეტროგრადში, პარტიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, დახარისხებულ მეთაურებთან ერთად, ღრისმული პარტიით დასაფლავებს ალექსანდრე — ნეველის სასაფლაოზე.

აკაკი ვასილის ძე ბერეჟაშვილი, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი. 1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებშივე (მარტში) შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ეზიარა რევოლუციური მარქსიზმის ძველმოსილ იდეებს. 1918 წელს, მარტში, ის ინიშნება პეტროგრადის მეორე სამკოთა მეთაურების საბრტულირო ქრსების სამხედრო კომისრად. 1919 წელს, შემოდგომამდე, ბერეჟაშვილი, როგორც სამხედრო კომისარი მეორე საბრტულირო ქრსებისა, თავის ქრსანტებთან ერთად აქტიურ ბრძოლებს აწარმოებდა „Красное Село“-ს რაიონში იუდენიჩის კონტრრევოლუციური ჯარების წინააღმდეგ. 1920 წელს ის მუშაობდა საბრტულირო ავადმთის კომისრად. 1921 წელს (დგებუაქის შემდეგ) ის დანიშნა საყვარლო სკოლის კომისრად: მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე, ბერეჟაშვილს უდავოდ საბრტო როლი მიუძღვის წითელი მეთაურების გამოქვლევაში, როგორც საბრტულირო, ისე საყვარლო დარგში.

შალვა დანელია, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი. 1917 წელს იღებდა აქტიურ მონაწილეობას სტუდენტების რევოლუციური მოძრაობაში, გამოდიოდა მარტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკური სიტყვებით. იყო მტკიცე მარქსისტი. შემდეგ მუშაობდა, როგორც კომისარი, წითელი ჯარის ნაწილებში. 1920-21

წლებში იგი ასრულებდა პასუხისმგებელ სამუშაოს.

შალვა პლატონის ძე ჯინჟველაშვილი, პეტროგრადის 1-ლი საჩაიონო საბჭოს შილიციის (კომენდანტურის) მუშაკი, შემდეგ (1919 წ., წითელი ჯარის ნაწილების სამხედრო კომისარი. 1917-18 წლებში ჯინჟველაშვილი შეუბოვრად იბრძოდა პეტროგრადში კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებმაც ვერ მოასწრეს სახლგარკარეთ გაქცევა. შეიარაღებული ორი რევოლუციონერი, ის თავზარს სცემდა ბურჟუაზიის, რომელმაც კლდები და მხეგავი საზოგადოებრივი ადგილები გამოიყენა შეთქმულებათა მოწყობისათვის ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ საბრტოლველად. ჯინჟველაშვილი აწარმოებდა მედგრად გამოდიოდა ქართული ეროვნული კომიტეტის კრებებზე ქართული თავადებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ბესარიონ (ბესო) ბესარიონის ძე ლომინაძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი. იღებდა აქტიურ მონაწილეობას სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობაში. იყო რა ორგანიზაციულად დაეყვინებული ბოლშევიკურ პარტიასთან, მან რომანოვების მონარქიის დაშობის შემდეგ კიდევ უფრო გააორკეცა თავისი მუშაობა და გამოდიოდა, როგორც თვალსაჩინო პიროვნება. შემდეგ ის ბრუნდება საქართველოსა და ამიერკავკასიაში (ბაქო) და ეწევა პარტიულ მუშაობას. სამოქალაქო ომის ბოლოს (1920-1921 წ. წ.) ლომინაძე ბრუნდება პეტროგრადში და ინიშნება ვიბორგის რაიონული პარტიული ორგანიზაციის პირველ მდივად. მუ კარგად მასსოვს ლომინაძის მკვეთრი გამოსვლები მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ ვიბორგის რაიონში მუშებისა და ქრსანტ-არტილერისტების კრებებზე. პეტროგრადის მაშინდელ ვითარებაში ის წარმოადგენდა ერთ-ერთ სერიოზულ პარტიულ მუშაკს.

ვლადიმერ ვაბრიელის ძე ჯიჭია, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი. აქტიური მონაწილე სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობაში. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებშივე ის შევიდა ბოლშევიკური პარტიაში. 1918-1922 წლებში მანძილზე ის მუშაობდა, როგორც საოლქო კომისარი პეტროგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო ქრსებისა (სამხედრო სასწავლებლებისა), სამოქალაქო ომის მეორე ნახევარში ის შეთავსებით მუშაობდა, როგორც პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე. მაგრამ მთავარი ჯიჭიის მოღვაწეობაში იყო — ხელმძღვანელობდა სამხედრო სკოლებისა, სადაც იჭედებოდა წითელი ოფიცრები, წითელი მეთაურები, გამოსულნი მუშათა კლასის რიგებიდან. პეტროგრადის სამხედრო სკოლებიდან გამოშვებული წითელმა მეთაურ-

რებმა დაუქმობელი სახელი მოხვედრის კლასობრივ მტრებთან და მათ შეიარაღებულ ძალებთან ბრძოლებში და საეხებით უზრუნველყვეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უშიშროება.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით ჯიქია თვით უშეებდა სახეიმი ვითარებაში სამხედრო სკოლებიდან კურსდამთავრებულთ და ანიჭებდა მათ წითელი შეთურის წოდებას.

1918 წლის 18 სექტემბერს ლენინმა მაღალი შეფასება მისცა პეტროგრადის სამხედრო კურსებიდან (სკოლებიდან) გამოშვებულ წითელ შეთურთა პირველ ჯგუფს 400 კაცის შემაღვენლობით. რევოლუციის ბელადმა ასეთი შენაარსის ღებემა¹ გაუგზავნა სამხედრო კურსების საოლქო კომისარს ჯიქიას:

„მიეხებალემები 400 ამხანაგ მეშას, რომლებმაც დღეს დაამთავრეს წითელი არმიის შეთურთა შემაღვენლობის კურსები და რომლებიც შედიან წითელი არმიის რიგებში, როგორც ზღმძღვანელები 2. რუსეთის და შსოფლიო რევოლუციის წარმატება დამოკიდებული იმანზე, თუ რა ენერგიით შეუდგებიან მუშები სახელმწიფო მართვის და კაპიტალის უღლის დამხობისათვის მეომარ მშრომელთა და ექსპატრირებულთა ხარდლობას! ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ თთხასის მაგალითს მიბძაძავს კიდევ ათასობით და ათასობით მეშა, ხოლო ასეთი აღმინისტრატორებითა და შეთურებით კომუნაზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება“.

ამ დებეშიდან ნათლად ჩანს, თუ რა სერიოზულ როლს ანიჭებდა ვ. ი. ლენინი წითელ შეთურებს, როგორც წითელი არმიის ზღმძღვანელებს და კომუნისტების გამარჯვების უზრუნველყოფელთ, როგორც მეომარ მშრომელთა და ექსპატრირებულთა ჯარის ხარდლებს.

უდგოა, რომ 1919 წელს იუფენიის ორჯერ შემოტყვის დროს პეტროგრადის ახალგაზრდა 1919 წელს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლებში, 1920 წელს — ვრანგელის და მახონის წინააღმდეგ, არხანგელსკში — ინგლის-საფრანგეთის ინტერვენტების წინააღმდეგ, 1921 წელს კრონშტადტელ კონტრრევოლუციონერ შემაშობეთა წინააღმდეგ და სხვ. — პეტროგრადის სამხედრო სკოლებმა (ურსებმა) და წითელმა შეთურებმა, როგორც წითელი ჯარის ნაწილების ზღმძღვანელებმა, დიდი ბრძოლები

ჩაატარეს, რათა განადგურებულყვნენ პროლეტარული რევოლუციის, რესპუბლიკის საბჭოთა რესპუბლიკის შინაგარე და ვარსკვლავ მტრები. ამ დიად საქმეში ამხ. ჯიქიამ, როგორც სამხედრო სკოლების ზღმძღვანელმა, ექვს გარეშეა, განსაკუთრებულ როლი ითამაშა და ეს როლი მან დირისტულად შესრულა მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე.

საინტერესოა ცნობა, დაბეჭდილი პეტროგრადის ეურნალში „Красный Командир“³ იმის შესახებ, თუ 1922 წ. ჯიქია როგორ გააცილეს, შიმაგალი საქართველოში, სადაც ის დანიშნული იყო სამხედრო და სახლგაო საქმეების სახალხო კომისარად.

იი ეს ცნობაც: „ქრონოკ. ამხ. ჯიქიას გამგზავრება“. „ზეთშაბათს, 20 აპრილს (1922 წ.) სამხედრო სკოლების პეტროგრადის სამმართველო, იდგილობრივი მეშაეები და პეტროგრადის კურსების ყველა კურსანტი აცილებდნენ თავის უფილუფროსს — ელ. გ. ჯიქიას, მის მოადგილეს — ამხ. პ. პ. ისაკოვს, და სამხედრო კურსების სხვა მეშაეებს, რომლებიც მოგმგზავრებთან საქართველოში. გაცილების ჰქონდა განსაკუთრებული სახეიმი ხასიათი.

სანამ მატარებელი გავიღოდა, იარაღის ყველა სახეობის კურსანტი ჩამწყრვიდნენ. ოთახის ნახეარზე სადგურზე შოვიდნენ პეტროგრადის სამხედრო სასწავლებლების უფროსი — ამხ. ნ. ნ. კუზნევი, მისი მოადგილე ამხ. გუსაკოვიკი, სხვა ამხანაგები და მათი ვაგონის მახლობლად გაიხსნა გამოსათხოვარი შიტინგი.

მთელ რიგ სიტყვებში, რომლებიც წარმოთქვეს პეტროგრადის სამხედრო სასწავლებლების გამოცდელმა მეშაეებმა, ილინიშნებოდა დიდი მეშაობა, რომელიც ჩაატარა ამხ. ჯიქიამ და მისმა უახლოესმა თანამშრომლებმა, რომლებიც მოგმგზავრებთან ახლა, რევოლუციის ძახილზე, საბჭოთა საქართველოში.

პეტროგრადის სამხედრო სასწავლებლების პოლტგანყოფილების უფროსმა ამხ. შულაევმა სიტყვაში საერთო ჯამი გაუყეთა ზოელ გაყოფილ ვართობილე სამუშაოს და შოეთით: იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ამხ. ჯიქიამ ამ სამუშაოზე შეასრულა. პეტროგრადის 1-ლი ქვეითა ჯარის სკოლის უფროსმა — ამხ. კახანავამ წაიკითხა ადრესი პეტროგრადის ყველა სამხედრო სასწავლებლის სხელოთ.

სასახეო სიტყვაში ამხ. ჯიქიამ მაღლობა გადაუხადა სამხედრო სასწავლებლების კურსანტებს და მეშაეებს მთელი შსრელებელი ვართობილე სამუშაოსათვის და გამოთქვა იმედი, რომ პეტროგრადის კურსანტები ყოველ

¹ ეს დებემა პირველად დიბეჭდა გიბ. „Правда“-ში 1918 წ. 19 სექტემბერს, № 201 (ნახე ვლ. ი. ლენინი თხზულებანი, ტ. 29, გვ. 99.)
² კურსივი ჩემია.
³ კურსივი ჩემია.

¹ ეურნ. „Красный Командир“ 1922 წ. №№ 26-24, გვ. 41.

თვის იქნებიან რუსეთისა და მთელი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში.

დაბოლოს, ამხ. ჯიქიამ მოიწვია კერსანტები, სკოლების დამთავრების შემდეგ, ჩამოვიდნენ საქართველოში, რომელსაც სავანგებო გულის-იქმით უყურებს მსოფლიო კონტრრევოლუცია და სადაც პეტროგრადის წითელ მეთაურთა გამოცდილებას შეუძლია მიიღოს სათანადო გამოყენება, შესაძლოა, მომავალ ბრძოლაში.

ხმაალ შექაზილებთან — „ეაშა“ და ორ-ქისტრების დაცვასთან ერთად მატარებელი გადის სადგურიდან.

პეტროგრადის კერსები განშორდნენ თავის ხაყვარულ უფროსს — ორგანიზატორსა.

ზემოთ დახასიათებული ამხანაგების გარდა, იყვნენ სხვა ამხანაგებიც, რომლებმაც პეტრო-გრადში ოქტომბრის გადატრიალებაში, სიმო-ქალაქო ომის პერიოდში და ამით თავისი წვლილი შეიტანეს კაპიტალიზმის დამსხვრევის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვე-ბის დიად საქმეში. მაგრამ, სტატიის მიერე მოცულობის გამო მე მათზე ვერ შეგწერლები.

დეი, ჩვენმა ისტორიკოსებმა, სანამ გვიან არ არის აღუდასმით შეისწავლონ¹⁾ ოქტომბრის რევოლუცია პეტროგრადში; ამ რევოლუციაში მონაწილეთა — ქართველი ხალხის ღირსეული შეილების სათანადო მონაწილეობა, ქართველი ხალხის შეილებმა პეტროგრადში, რევოლუციის ცენტრში მასიურად მიიღეს მონაწილეობა დი-დი ოქტომბრის მომზადების და გამარჯვების საქმეში. ეს არის უცილობელი დასკვნა, გამომ-დინარე ისტორიული ფაქტებიდან.

დიდი ოქტომბრის დაწეუბადან არ გასული სამი-ოთხი წელი და სოციალისტური რევო-ლუციის ცეცხლმა მძლავრად შეანათა საქარ-ველოს მიწა-წყალზე, მისმა ცხოველმყოფელ-მა ქალებმა ღრმად ჩასცეს მახვილი ექსპლოა-ტატორულ კლასებს და, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ბრძოლებში გამობრძედილი კო-მუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მეთაურობით ლეკადირებული იქნა როგორც მენშევიკური დიქტატურა, თავდაზ-ნაურობა და ბურჟუაზია და ამით მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების ამენებას.



შეიარაღებული აჯანყება შორაპნის მაზრაში 1917—1918 წლებში

თებერვლის რევოლუციის საქართველოს მეშაათა კლასი უფრო ნაკლებად ორგანიზებული შეხვდა, ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მეფის ოხრანეები ყოველნაირად არბევდნენ, მათს ხელმძღვანელებს აპატიმრებდნენ. მენშევიკებზე კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ დამანგრეველ ომს, თვითმპყრობელობის მკაცრი რეაქცია არ მოქმედებდა. ბოლშევიკები როდესაც იატაკქვეშეთიდან ამოდიოდნენ, მაშინ მენშევიკები მზად იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ რევოლუციით შობილი მეშაათა და ჯარისკაცთა საბჭოები. რევოლუციური კერების — პეტროგრადისა და მოსკოვის სისოურე, ამიერკავკასიის ეკონომიური ჩამორჩენილობა სამრეწველო პროლეტარიატის სისუსტე, წვრილი მესაქუთურ მოსახლეობის სიჭარბე, ბატონყმური წყობილების ნაშთების სიმტკიცე — ყოველივე ეს აფერხებდა ბოლშევიკების ბრძოლას*.

მეშაათა და გლეხთა მანიფესტაციები როცა იმართებოდა და შორიმელთა ტალღას მეფის ხელისუფლების ორგანიზებულ დამანგრეველი იერიშები მიჰქონდა, იმ დროს ქართველი მენშევიკები დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან კავშირში შეეცადნენ, მეშაათა დებუტატების საბჭოების ყურადღება გადაენაცლებინათ ბურჟუაზიის რეფორმებზე, რომ ამ გზით ჩაეშოთ მეშაათა მოძრაობის დიდი მომავალი. ისინი რევოლუციის მსვლელობაში პროლეტარიატსა და გლეხობას ეკონომიური მოთხოვნებისაკენ მიუთითებდნენ და ამით ცდილობდნენ, დაეფარათ მათ მიერ პოლიტიკური მოთხოვნების აუცილებლობა, მათ არ სურდათ მასებისათვის ეჩვენებინათ, რომ გლეხთა ბრძოლას კლასობრივი ხასიათი აქვს. ხმაშაღლა გაკვიოდნენ, თითქოს გლეხებისათვის მთავარი და ვადამწყვეტი დღის შემტყარება და არა შემამულეთა მიწების კონფისკაცია.

ასეთი ნილაბით გამოდიოდნენ ქართველი მენშევიკები რევოლუციური მოძრაობის პერიოდში. ისინი, ბურჟუაზიული აგენტურის სამსახურში ჩაბმულნი, დემოკრატიული ფრაზებით ფარავდნენ თავიანთ კონტრარევოლუციურ საქმიანობას. მათ გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაე-

ლომოდათ, ჩაეხშოთ საქართველოში უკვე შემოჭრილი რევოლუციური სული, ძირშივე მოესპოთ ყოველგვარი კარგი, პროგრესული.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მეფის დამხობით აღფრთოვანებულ გლეხობა კვლავ უმოწოდ დატოვა, შემამულეთებს კი ისევ ძველი პრივილეგიები დაუნარჩუნა. მათს უფლებებში დარჩა სახნავ-სათესი მიწები, ტყეები, საძოვრები. კვლავ მეზატონის მარწყუებში დარჩა გლეხი, რომელსაც დამატებითს ექსპლოატაციას უწევდნენ სოფლის ბურჟუაზია და კულაკობა. აღესპო გლეხობის მოთმინებათა ფილა, რის შედეგადაც თვითონ დაიწყო შემამულეთა მიწების ჩამორთმევა და მისი დამუშავება.

გლეხობას ერთნაირად სტანჯავდა როგორც სახანო, ისე საერობო და სასოფლო-საოფრო გადასახადები. შავალითად, შორაპნის მაზრის გლეხობას უნდა გადაეხადა საეზოო მიწით სარგებლობისათვის წელიწადში 6 მანეთი, ზალ-გუნახზე — მოსავლის ერთი მეოთხედი, სათიბზე და სახნავ-სათეს მიწაზე — თითო მესამედი. გადასახადის ანაზღაურება ხდებოდა როგორც ფულთი, ისე ნატურით. გლეხობა რომ გაძვალტყავდა და უიმედო მდგომარეობაში ჩაეარდა, ამის უარყოფა მენშევიკებსაც აღარ შეუძლოთ. ყორანია იძულებული შეიქმნა, ასეთი რამ ეთქვა: „ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ის მთავარი, ძირითადი დამწყაოფილება, რასაც მოითხოვდა იმთავითვე და რისთვისაც იგი რევოლუციის რიგებში ჩადგა. ჩვენი ხალხი კიდევ ვერ ეღირსა აგრარული საყობის ვადჭკრას, ჩვენ მოვეგმოვიბა დეკრეტები, მაგრამ ისინი ქალღღმზე დარჩნენ... და სანამ ჩვენში არ იქნება მოგვარებული აგრარული საყობი, ანარქია თანდათან გაიზრდება და, შესაძლებელია, ანარქიამ ბოლოს და ბოლოს ჩვეიც წაგლეკოს“¹.

გლეხები კარგად გრძობდნენ მენშევიკების თვალთმაქციობას და მივიდნენ ამ შეჯახებაში, რომ შეუძლებელია აჯანყების გარეშე მათი სურაილის დამწყაოფილება. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხები თვალს აღვიწებდნენ საბჭოების ქვეყანაში მომზდარ რევოლუცი-

* აბ. კეკელიძე, ჟურნალი „ბოლშევიკი“, № 11, 1947 წ. გვ. 31.

¹ დ. ჯიბლაძე, სტატიების კრებული, სოც. დემოკრატიის გამარჯვება საქართველოში გვ. 192; 1957 წ.

ურ ამბებს ეცნობოდნენ საბჭოების მე-2 ყრილობის მიერ მიღებულ დეკრეტებს, რომელთა ძალით უქმდებოდა მიწის მემამულური საყუთრება დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე, მემამულეთა, საუფლისწულო, სამონასტრო მიწები მშრომლის ძელითა და უსასყიდლო სარგებლობაში. ნათელი შეიქმნა, რომ ამ დეკრეტის ძალით რუსეთის გლეხობამ მიიღო 150 მილიონ დეკტინაზე მეტი მიწები, რომელნიც წინათ მემამულეების, მეფის ოჯახის ვაჟთა-მონასტრების განკარგულებაში იყო.

საქართველოს გლეხობა რწმუნდებოდა ამ ღონისძიების ყოველმხრივ უპირატესობაში, სასოებით შესჭვროდა მას და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დღითიდღე ეუფლებოდა რევოლუციური აჯანყების განწყობილება.

საქართველოში ფრონტიდან გაბოლშევიკებულ ჯარისკაცების დაბრუნება დაიწყო. მათ თვალწინ მოხდა აქტივობის სოციალისტური რევოლუცია, და როცა სამშობლოში დაბრუნდნენ, რევოლუციური გამოცდილება გლეხობის სასარგებლოდ გამოიყენეს. მათი აქტიური მოქმედებით სოფელს აგარული რევოლუცია მოედო.

არ შეიძლება მენშევიკებს შეუმჩნეველი დარჩენოდათ სოფლად მომხდარი ძვრები. ისინი დემობილიზებულებზე წერდნენ: „ჯარი დღეს შინ ბრუნდება, როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგია და ჩაბერილი პოლიტიკის აზროვნების მატარებელი. ჯარისკაცების სოფლად შემოსვლამ ახალი საფრთხე შემოიტანა... ჯარისკაცები ცარიელი როდი დაბრუნდნენ შინ. მათ თან მოიტანეს ეგრეთწოდებული ბოლშევიზმი და სოფელს საჩუქრად შესთავაზეს. დღეს მცნება—ჯარისკაცო და ბოლშევიკო ერთმანეთშია გადახლართული. ეს სიტყვები სინონიმებია და ვინც ახსენებს ჯარისკაცს, მან იმავე დროს უნდა ახსენოს ბოლშევიკი“¹.

მენშევიკებს ცოფს ჰგვრიდა ყოფილ ჯარისკაცთა რევოლუციური აქტივობა სოფლად. ისინი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ მათი განიარაღებისათვის.

საბჭოების ქვეყნის საყურადღებო მაგალითმა ქართულ გლეხობას მიწების „თვითნებურად“ დატყევისათვის უბიძგა. მოხდა გლეხთა დიდი გამოსვლები დუშეთის, გორის, შორაანის და სხვა მაზრებში. მემამულეები მოითხოვდნენ მოტაცებულ მიწათა უკან დაბრუნებას და მიმართავდნენ მთავრობას, რომ მიეღოთ ზომები, დაეპატიმრებინათ „დამნაშავე“ გლეხები და ამით შეენელებინათ სოფლის ბურჟუაზიისა და მემამულეთა შემოჭობა.

ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში შორაანის მაზრის სო-

ფელ ზეარეს (ხარაგაულის რაიონი) მემამულე ქალი კორძია იტყობინებოდა ამის შესახებ, რომ გლეხები აღარ იძლევიან საიჯარუო გადასახადს, რადგან მათ მიანიათ, ტრემკერქო საკუთრება მიწაზე უკვე გაუქმებულია და მიწები გლეხების სრულ განკარგულებაში გადავიდა. იგივე მემამულე ქალი იტყობინებდა, რომ გლეხები თვითნებურად ჩაბდნენ მის ტყეს“.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მიუთითა, რომ არ დაუშვათ მიწების, წყლების თვითნებურად მიტაცება და აფრთხილებდა, მიმტაცებელნი დაესაჯათ.

• •

მენშევიკებმა მთავრობამ უკიდურეს სიღატაკემდე მიიყვანა არა მარტო გლეხობა, არამედ მუშათა კლასიც. ჩამორჩენილი, ნაკლებად განვითარებული, თითქმის დაცემული მრეწველობა აუარესებდა მუშათა ცხოვრების ისედაც გაუარესებულ პირობებს.

საგრობოლად დაცვა ჭიათურის მარგანეცის წარმოება. დაიხურა მალაროთა დიდი ნაწილი, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მარგანეცის ამოღება.

ძალზე აუტანელი იყო წარმოებაში ჩაბმულ მუშათა პირობებიც. მუშებს უხდებოდათ ჯგუფურად ცხოვრება ყოველგვარ სანიტარიას მოკლებულ ქოხმახებში. მათ ვერ აჟამყოფილებდათ ჯერ კიდევ ომის წინა პერიოდში კერძო მრეწველთა მიერ აწეებული ყაზარები.

ჭიათურის მალაროს მუშები დამცირებასა და ახლზე აგდებას განიცდიდნენ მუხატარონთა მხრივ. მათ ატყუებდნენ ეპკრობის დროს, წონა-ზომისადაც ამუშავებდნენ 12-14 საათს. არ იყო წესრიგი თვით მალაროებში. ანტიპიგიენური მღვდმარეობის მსხვერპლი ხდებოდა შრავალი მუშა.

მენშევიკებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი მუშების ინტერესებს იცავენ, მაგრამ ეს იყო ლტონი სიტყვები, ცარიელი ფრაზები, საქმით ბურჟუაზიის პოზიციებზე იდგნენ და ყოველ წუთს მუშათა კლასის პოლიტიკურად დასუსტებაზე ფიქრობდნენ. კანონი მსაათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ ჭალაღზე დატოვეს და განკარგულებასაც კი სცემდნენ, რომ ვინც მსაათიანი სამუშაოს მოითხოვდა, გაეყარათ სამუშაოდან. ისინი წერდნენ: მსაათიანი სამუშაო როგორც მოხელეებისათვის, ისე მუშებისათვის თქვენს-დაწესებულებაში გაუქმებულია. ყველა, ვინც ამას არ დაემორჩილება, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ საშსახურადან“¹.

¹ გაზეთი „სოციალ-დემოკრატია“, № 259, 1918 წ.

¹ საქ.სსრ ორცხა, ფ. 3. საქ. 180. ფურცელი 273.

შენშევეთა ასეთი განცხადებანი და თვით რეპრესიებიც კი ვერ ამიწუნებდა მეშათა კლასს. ბოლშევიკები მეშებს ჭიათურის მაღაროებში ახსნა-განმარტებას აძლევდნენ იმის შესახებ, რომ შენშევეთა დიქტატურა დაღუპვას უქადის მათ, რომ მისი მოსპობა მათ შეუძლიათ ერთიანი ძალით, შეიარაღებული აჯანყების მოწყობით.

საქართველოს მეშათა კლასი გლეხობასთან ერთად დიდი სიხარულით შეხება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში: იმართებოდა მიტინგები, სამრეწველო ცენტრებში — თბილისში, ჭიათურაში, ფოთსა და ბათუმში. გამოჰქონდათ დადგენილებანი, რომ მხარს დაეჭირათ საბჭოთა ქვეყნისათვის.

ჭიათურის მაღაროს მეშები გამოვლენდნენ ამოჯავჯავისი სახელოსნოს მეშებს და მოაწყვეს გაფიცვა ოქტომბრის დამდეგს. ჭიათურის შავი ქვის მაღაროებში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ამის გამო ოქტომბერს „ოზაოვის“ სახელზე მიღებული იქნა შემდეგი შინაარსის დეკლარაცია: „დამაკმაყოფილებელი პასუხის მიუღებლობის გამო დღეს მეშებმა და მოსამსახურეებმა შესწვევითგან შეშობა, ქონების მიმართ თვითნებობა გამოეხატა, გაყიდული მანძის დატვირთვა შეწყვეტილია.“

ჭიათურაში შეიქმნა საბჭო, რომელიც აქტიურად ეროვნად მწარმოებელთა და მეშათა ურთობრობაში, იცავდა შრომის ინტერესებს. საბჭომ აქ დახმარება გაუწია მეშებს შათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. არა მეშათა ელემენტებს არ შეუძლიათ სამუშაოზე მოეწყონ, რადგანაც ეს საქმე ახლა საბჭოს ხელშია. საბჭომ შეარჩია მეშათა ერთი მესამედი, სწორედ ისეთობი, ვინც ნამდვილი მეშაა, დანარჩენი დაითხოვეს ჭიათურიდან...“¹

მაღაროს მეშებს რევოლუციის დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული ევრო კიდევ 1905-07 წლების პერიოდში. მაშინ იმასაც კი მოადრწიეს, რომ დაამხეს ადგილობრივი ხელისუფლებას. მართალია, იმ პერიოდში მაღაროები მეშათა უფრო მეტ რიცხვს მოიცავდა, ვიდრე შენშევეთა ბატონობის დროს, მაგრამ, მიუხედავად მეშათა სიმცირისა, ჭიათურის მაღაროს მეშებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცხოვრებაში გატარებისათვის. როდესაც მაღაროები იხურებოდა, უშეშვრად დარჩენილნი იძულებულნი იყვნენ დაბრუნებოდნენ თავიანთ სოფელს, სადაც კიდევ უფრო ცუდი და აუტანელი პირობები ელოდებოდათ.

¹ ნ. მახარაძე სტატიების კრებული: სოც. რევოლუციის გამარჯვება საქართველოში გვ. 72 1957 წ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გამარჯვებულნი გახლავითნა. ჭიათურის რაიონის მშრომელებმა მოაწყვეს მიტინგი, სადაც ასეთი დადგენილება გამოიტანეს: ევროსა, 14 იანვარს ჩვენ, მთელი ჭიათურის რაიონის ჯარისკაცთა წარმომადგენლები, შევიკრიბეთ და დავადგინეთ შემდეგი:

„რუსეთის დღევანდელი მთავრობა — ეს არის მეშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მთავრობა. ჩაგრულმა ხალხმა პირველად იხილა მთელი რვა თვის განმავლობაში ნამდვილი მისი ინტერესების გამოამხატველი ორგანო, ამიტომ მას აღტაცებით ვეგებებით და აღფრთქვამით, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ყოველგვარი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მის დასაზარებელ იქნება მიმართული“¹.

1917 წლის მაისს სახეების რაიონში, (სოფელ არგვეთში) ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა მოიწვიეს კრება, სადაც დასვეს საკითხი შენშევეთა კომისარების სამუშაოდან მოხსნის შესახებ, გამოიტანეს დადგენილება, რომ კომისარად დანიშნულიყო ხარშილავი, შექმნეს სამხედრო რევოლუციური შტაბი და მის ხელმძღვანელად იირნის ფრონტიდან ბოლშევიკი ბაგრატ ხედელოძე.

1918 წელს, როგორც მაშინდელი პრესიდან ჩანს, ბაგრატ ხედელოძე ყოფილა აჯანყების ხელმძღვანელი. „სახეების აჯანყების მთელი პერიოდის განმავლობაში აჯანყებული გლეხობის რევოლუციური რაზმებს მეთაურობდნენ ბაგრატ ხედელოძე, ტერენტი კვამლაძე, სანდრო მესხარიშვილი და სხვა...“² ეს გვარები გვხვდება სხვა ვახუშტეშიც.

მოტანილი მასალები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სამხედრო რევოლუციური შტაბის უფროსი ყოფილა ბაგრატ ხედელოძე, რომელიც იმდროინდელ პრესაში დასახელებულია; როგორც აჯანყებულთა რაზმის ხელმძღვანელი. უნდა აღინიშნოს, რომ შენშევეთა სინამდვილეს მალაღდნენ და არავითარ შემთხვევაში არ დაწერდნენ, რომ სახეურში არსებობდა სამხედრო რევოლუციური შტაბი. ისინი ყოველ გამოსვლას უწოდებდნენ ხელგუნერს, ბანდიტურსა და ყაჩაღურს, სახეების გლეხთა აჯანყებას კი ნაციონალური გამოსვლაც უწოდეს, იმ ბრალდებით, თითქოს ისებმა ააპარეს იმერეთი და ქუთაისზე თავდასხმასაც აიპოვებდნენ.

სახეების რაიონში სამხედრო რევოლუციურ-

¹ გაზეთი „ბრძოლა“, № 25, 1918 წ.

² გაზეთი „ერთობა“, № 294, 1918 წ.

მა შტაბმა ფართო საავტორიტეტო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა, სამხედრო ქვეშტაბი შეიქმნა რაიონის ყველა სოფელში.

მენშევიკებმა მოიწვიეს სახმების რაიონში ფრონტიდან დაბრუნებულთა თათბირი და მოითხოვეს, დაეყოფნებოდა ვადაცაოთ მთავრობისათვის ფრონტიდან გამოყოფილი იარაღი და ტანსაცმელი. თათბირის მონაწილე იყო ბავრატ ხვედელიძეც, რომელმაც აღნიშნული საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა მოითხოვა. მან თათბირის მონაწილეებს განუმარტა იარაღის მნიშვნელობა, გაუანალიზა არსებული მდგომარეობა და სხვა. მის გამოსვლას მხარი დაუჭირა თათბირის ყველა მონაწილემ. მენშევიკებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

1918 წლის 14 იანვარს მენშევიკი ვალკო კუდელი 34 კაცისაგან შედგენილი რაზმით შეიჭრა სახმების რაიონში, გადასწვა რამდენიმე სოფელი და ბ. ხვედელიძე და ი. კესარელი დააპატიმრა. ამ ამბავმა ძალიან ააღელვა რაიონის მკვიდრნი, რომელთა ზეგავლენით მენშევიკები იძულებული გახდნენ, გაეთავისუფლებინათ დეპატიმრებულნი.

რაიონის დარბევა-აწიოკებამ უფრო მეტი ბიძგი მისცა მოქმედებისათვის რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელობას, რომელმაც საჭიროდ სცნო, კონკრეტული ღონისძიებანი შეემუშავებინა. 1918 წლის იანვარში შტაბმა მოიწვია კრება სახმების ეკლესიის ეზოში, სადაც გამოიტანეს დიდგენილება, რომ მენშევიკებს ჯარისკაცთათვის ჩამორთმეული ტანსაცმელი და იარაღი, უკანვე დაებრუნებინათ. მათ მოითხოვეს, აგრეთვე, რომ განხორციელებულიყო ყველა ის დეკრეტი, რომლებიც მიიღო საბჭოების ჩრდილოდად რუსეთის მეორე ყრილობამ. კრების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამაღეს ბოლშევიკებმა საავტორიტეტო მუშაობა. გლეხობას უმხმობედნენ ყურადღებას მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ. განსაკუთრებით მიუთითებდნენ რუსეთის ამბეზზე.

საქართველოს მშრომელები კარგად გრძნობდნენ საქართველოს რუსეთისაგან მოწყვეტით გამოწვეულ უხედურებას. ქართველმა ხალხმა იცოდა, რომ რუსეთთან ისტორიული გადაკლებლობით დაკავშირებამ იგი ბევრჯერ გადიარინა განადგურებას, რომ ქართველმა ერმა შემოხვევით არ დაეკავშირა თავისი ბედი რუსი ხალხის ბედს და ახლა, როცა რუსეთის მშრომელებმა თავისუფლება მოიპოვეს, საქართველოს მშრომელნი, რასაკვირველია, უფროადიდებოდ არ ხელუდობდნენ ამ დიად ფაქტს. დიდი რუსი ხალხისაგან კვლავ დახმარებას ელიან. უარყოფდნენ მენშევიკთა მოლაპარტე პოლიტიკას და ერთბაშად აცხადებდნენ: „ჩვენ მოვდგებით, რომ შევეუბრთოდეთ ჩვენს ძმებს, რუსებს, რუსებს, რომლებსაც მენშევიკებმა ჩამოგვაშორეს“¹.

1918 წლის ივნისში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა გლეხთა დებუტატების ყრილობა, რომელმაც მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს: „...ამხანაჯებო! დღეს წყდება ჩვენი სიცოცხლისა და სიკეთის საკითხი. ჩვენ ან უნდა დავამხოთ მემამულეებისა და მენშევიკების ხელისუფლება და ვაიგმარჯვოთ, ან სახელგანთი და გმირული სიკვდილით დავეცეთ — სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს, ამხანაჯო გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცებო, გამოუხმებურეთ ჩვენს მოწოდებას ყოველი მახრიდან, ყოველი კუთხიდან, ყოველი სოფლიდან და, ვისაც რითაც შეგიძლიათ — თოფით, ცულოთ თუ კეტებით, დახმარება გაუწიეთ საერთო საქმეს, ბრძოლა წარმოებთ მშობნისა და ერთობის დასამართლებლად, ბრძოლა წარმოებთ მუშურ-გლეხური რევოლუციის გამარჯვებით და გვიარგინებისათვის, ბრძოლა წარმოებთ იმისათვის, რომ მთელი ძალაუფლება მუშათა და გლეხთა დებუტატების საბჭოების სახით მუშებისა და გლეხების ხელთ იყოს. ძირს მენშევიკებისა და მემამულეების მთავრობა. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა რევოლუციის გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში! გაუმარჯოს რუსეთისა და კავკასიის მუშათა და გლეხთა ერთიანობას! გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“

დუშეთის გლეხთა ყრილობის ამ მოწოდებას გამოეხმებურნენ საქართველოს მაზრები, ევრაზიითარი ძალა ვერ შეაჩერებდა მოსალოდნელ აჯანყებას. გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა შორაპნის მაზრის გლეხობაც.

არ გამოპირავით მენშევიკებს, რომ სახმების რაიონის სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა ამ მიმართულებით გაცხოველებული მუშაობა გაშალა. მენშევიკები შეეცადნენ, მიეღოთ ზომები მათი მუშაობის ჩაშლისათვის. ამ მიზნით სახმების რაიონში გაგზავნეს ცხენოსანთა რაზმი შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის კ. ვაჩიხილაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც დააპატიმრა რამდენიმე კაცი და გლეხობას წინააღმდეგ მისცა, ყოველგვარი საბრძოლო იარაღი ჩაებარებინა რაზმისათვის. რაზმი დაბანაკდა სახმების რაიონის სადგურის ირგვლივ და გლეხობას სამი დღის ვადა მისცა იარაღის შეგროვებისათვის. ყველა სოფლის ქვეშტაბებს კი შეატყობინა, რომ მდგომარეობა რთულდება. სასწრაფოდ მოიწვია გაფართოებული სხდომა, სადაც დაადგინეს, აჯანყება დაწყებულიყო მილიციის უფროსის ვაჩიხილაძის რაზმზე თაღდასხმით და თალარაიკი უნდა დაეკირათ მენშევიკური გვარდიის შესახედრად. ეს დადგენილება ეცნობა ყველა სოფლის ქვეშტაბებს. გლეხობამ ამ ღონისძიებას კმაყოფილებით დაუჭირა მხარი. სახმების რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელობით აჯანყებულმა ლაშქარმა (28 ივნისს) ალყა შემოარტყეს ვაჩიხილაძის ცხენოსანთა რაზმს და მცირე წინააღმდეგობის შედეგად

¹ ვაჭეთი „ბრძოლა“, № 25, 1918 წელი.

რამი განიარაღდა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს რამდენიმე შაშხანი, ვახანი და ცხენები. ვაჩიხილამე და რამდენიმე რაზმმა კი გაქცევით უშველეს თავს.

გლებომა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერთადერთი გამოსავალი მენშევიეური მთავრობის დამხობაშია. ბოლშევიეური ორგანიზაციების 1918 წლის კონფერენციის რეზოლუციებში ვკითხულობთ: „... ორ-სამ თვეში ჩვენი სოფელი საგრძობლად შეიცვალა. მენშევიეებმა იქ ან უკვე დაიარაგეს უოველგვარი ნიადაგი, ან ამჟამად კარგავენ. ამასთან ერთად, ჩვენ ეხედავთ ბოლშევიეების გასაოცარ ზრდას, — თითქმის ყოველ სოფელში არსდება ბოლშევიეური ორგანიზაცია“. მენშევიეური მთავრობის მიერ შეიწირული გლებომა იარაღდებოდა; მენშევიეები თავიანთ სახალხო გვარდიას ხან ერთ მხარეში ვადანსროდნენ ხან შეიარაღებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, მენშევიეური გვარდია ჰიათროიდან საჩხერის მიმართულებით გაემართა. ერთი ნაწილი სოფელ სარკეში ამოქმედდა, მეორე ნაწილი კი ქორეთისაკენ გაემართა, ბრძოლით გაიარა სოფელი ჯალაურთა და არტილერის ცეცხლი დაუშინა საჩხერის „მოდინა-საჰ“ — ციხეს. ბრძოლა 12 საათს გაგრძელდა. საშხერო-რევოლუციურმა შტაბმა მოახერხა, ამ ხნის განმავლობაში შეეარჩუნებინა გამაგრებული პოზიცია, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ძალამ აიძულა, დაეტოვებინა ეს პოზიცია, რევოლუციური გლებომა ბრძოლით იხვედა უკან. საშხერო-რევოლუციურმა შტაბმა გაათვალისწინა გვარდიის იერიშები და შოახდინა ძალების დაჯანყება, დაუო ასეულუბად და გამოყო მათი ხელმძღვანელები. შტაბმა დამწყობი რაიონებში მოიბილიზაცია, აჯანყებულთა დასახმარებლად.

აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე ექვთიმე ლაზარეს-მე კვამლაძე, სკაპ წევრი, კოლმუერტნე, აღნიშნავს, რომ ჩვენს აჯანყებას ეხმარებოდნენ ოსები ისეა ხარებოვის ხელმძღვანელობით. თქმა იმისა, რომ ოსები აწიოკებდნენ ჩვენს სოფლებს, ტყუილია, ამას მხოლოდ მენშევიეები ავტყუებდნენ. ოსები ჩვენთან ერთად თავკანწირულად იბრძოდნენ. უფრო მეტიც: როდესაც ჩვენ მენშევიეური გვარდიაშ შემოვიტარა, ოსეთში გადავიდით აჯანყებულთა დიდ რაზმში. მათ ჩვენ მივვიღეს, როგორც ძმები, გვეუბნებოდნენ, ბინები მოგვცეს და პატივისცემით გვაქცეოდნენ.

აჯანყებულმა გლებომამ მოახდინა თავისი ძალების მოიბილიზაცია და უეტრად განახორციელა თავდასხმა მენშევიეურ გვარდიაზე სოფელ დარკეთისა და საჩხერეს შუა, დაეტნენ აგრეთვე სოფლებს: საიანეს ჩიხის, ორღულს, იმარწინდას. ეს იყო მოლოდინად გვარდიისათვის და ვერ წარმოედგინათ მომავალი შეტაკება აჯანყებულთა მხრიდან. გვარდიამ დასაჯლისი განიკადა. საშხერო მინისტრი, მენშევიეუი გიორგაძე აღმფოთებული იყო ამ მდგომარეობით. მისი ბრძა-

ნებით ლანჩხუთიდან სასწრაფოდ გაიხზავენა ქვემეხებითა და ტყვიამტრქევეებით შეიარაღებული 50 კაცი. გამხეციებელი გვარდია არ იწოდებოდა არც მოხეციებულთა და არც ბაეშევის. გვარდიის წევრებმა მხეტერად მოკლეს 90 წლის მოხეციებელი მხაა ქუსოშვილი. სოფელ სავანეში დააბატმირეს დიპტრი კვამლაძე, გააშინეს, ხეზე მიაკრეს, და, კონდახებით ნაცემს, ესეც კი არ აქმარეს და თვალწინ სახლ-კარი გადაუწვეს. მენშევიეების „სახალხო“ გვარდიის მიერ ჩადენილი ასეთი ბერიი მავალითის მოტანა შეიძლება.

გვარდია ახალ-ახალი ძალით უტყედა საჩხერის რაიონის სოფლებს და არაიის და არაფერს ინდობდა, სოფელი ჩიხა არტილერისა და ტყვიამტრქევის ცეცხლში გაახვია და მთლად გადაწვა. განუთი „სოკიარა-დემოკრატი“ აცხადებდა ცნობას: „ზარბაზნებმა და ტყვიამტრქევეებმა კარგი დასმარება გაგვიწიეს“. ამ „დასმარებას“ აჯანყებულები, რასაკვირველია, მთლომდე ვერ გაუტანდნენ და უკან იხვედნენ.

რევოლუციური შტაბი საჩხერიდან სოფელ ჩიხაში იქნა გადატანილი, კამანძის ბინაზე. გამხეციებულმა გვარდიის ცეცხლმა აქაც უწია და შტაბმა კვლავ გადაინაცვლა სოფელ ჰილაში. აჯანყებულები სრული წესრიგით იხვედნენ უკან. მენშევიეური მთავრობის მხეტერი მოქმედებით აღფროთიანებულმა რევოლუციურმა შტაბმა მოწოდებით მიმართა საჩხერეში მოქმედ ე. წ. „სახალხო“ გვარდიის შტაბს.

გლებომა რევოლუციური შტაბის მიმართვის „სახალხო“ გვარდიის შტაბმა მხოლოდ ზარბაზნებისა და ტყვიამტრქევის ცეცხლი უქსახლა. აღშფოთდნენ მენშევიეები. მათი წარბიანდგენელი ფხაკაძე „ოაგეიძე“ დელეგატების შეწყობისაკე კი ლამობდა. მან განუცხადა, რომ აჯანყებულებმა იარაღი დუყარონ, დიშლონ და სახლებში წაიღიდნენ. ვადას იძვროდა 11 ივლისამდე და თუ რევოლუციური შტაბი 11 ივლისს 5 საათამდე ამ წინადადებას არ განახორციელებდა, თეთომოქმედებას გამოწვევად მიიღებდა და დაიწყებდა საშხერო წინსვლას, რაც კიდევ უფრო მეტ სასჯელსა და მწუხარებას მოუტანდა წესიერებისა და თავისუფლების „მტერს“.

მოლოდინულმა იერიშებმა თავზარი დასცა მენშევიეებს, რომელთაც ულტიმატუმის დაცვლის შედეგად ბრძოლა შეწყვეტილი ეგონათ. აჯანყებულებმა სწრაფთ ტეშით შეუტრეს გვარდიას.

იშხელის გაციოვებული ბანაკი არ ინდობდა აჯანყებულებს. მან გახსნა არტილერის ცეცხლი და მოწინააღმდეგეი იძულებული გახადა, უკან დაეხიოთ. მენშევიეები განუწყვეტლად უშენდნენ ზარბაზნების ცეცხლს სოფლებს: ჩიხას, ორღულს, საკიხიას, სპეთს, საიანეს, არგვისს, ჰორილს, გორისს და სხვ. მენშევიეური ნაწილებს მაქსიმალურად შეიარაღებულმა ძალებმა აჯანყებულები იძულებული გახადეს,

დაეთმოთ მოპოვებული წარმატებანი და კვლავ მომავალი გამარჯვების იმედით მთებს შეხიზნოდნენ.

აჯანყებულნი ვეღარ უძლებდნენ არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს, რის გამოც დატოვეს ბრძოლის ველი და ნაწილი გადავიდა სამხრეთ ოსეთში, ნაწილი კი შეეხიზნა ტყეს, საიდანაც პარტიზანული ომი უნდა ეწარმოებინათ.

სახერის გლეხთა აჯანყება სრულ ერთ თვის, 28 ივნისიდან — 28 ივლისამდე, გაგრძელდა. მენშევიკებმა გააუქმეს სახერის რაიონის გლეხების საბჭოები და მოაღივნეს ისევ ყოფილი პოლიციელები და ოფიცრები.

მენშევიკებმა გვარდიამ დღე ზიანი მიიყენა სახერის შრომელებს. დაწვეს 45-ზე მეტი სახლი, ადგილზე განაჩინეს გამოუტანლად სამხედრო-საველე სასამართლოს ძალიან დახარბიერს 21 კაცზე მეტი, ციხეებში გაგზავნეს 80-მდე, ბრძოლაში დაღუპულთა, დაჭრილთა და დამახინჯებულთა რიცხვი ხომ საგრძნობი იყო...



შორაპნის მაზრის მუშათა და გლეხთა გამოცხადება 1917 — 1918 წლებში დამარცხდა, მაგრამ დამარცხებულნი მორალურად არ დაცემულან, მათ სწამდათ, რომ ბოლშევიკების ზელმძღვანელობით საბოლოოდ მაინც გამარჯვებდნენ.

„1918 წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებში საოლქო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავისი მოქმედების დერჟი ჩრდილო კავკასიაში გადაეტანა, თბილისში კი დაეტოვებინათ მხოლოდ ბიურო, უმთავრესად, კავშირის დაქვარის მიზნით. თანახმად ამ დადგენილებისა, მაისის დამლევს თუ ივნისის დამდეგს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ საოლქო კომიტეტის შემადგე წევრები: ნაზარეტაძე, ლეშმაძე, შაბარაძე, ცინცაძე, შრავინი, ქეთთარაძე და თოდარა. თბილისის ბიუროში დატოვეს მ. ცხაკაია და კასიანი. მამია ორბელიანი და მ. ოკუჯაია ამ დროს უკვე დაჭერილი იყვნენ ქუთაისის ციხეში. საოლქო კომიტეტის დანარჩენი წევრები — შაუშიანი და ჯაფარიძე ბაქოში იმყოფებოდნენ“¹.

ქართული კომუნისტების მიზანი, რომ ჩრდილო კავკასიიდან დახმარებას გაუწევდნენ საქართველოს აჯანყებულ მეშებსა და გლეხებს,

არ გამართლდა, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიაში საფრთხეში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება, ასეთი ვითარება გაგრძელდა 1919 წლის თებერვლამდე, და ამან განსაზღვრა 1918 წლის აჯანყების ბედი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის აჯანყებები არ წარმოადგენდა აჯანყების ერთიან რგოლს. აჯანყებები ხშირად ხდებოდა სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა დროს, არ იყო კონტაქტი მაზრებს შორის. ამიტომ მენშევიკური მთავრობა, უცხოელი იმპერიალისტების ხიმტებზე დაყრდნობით, იოლად აქრობდა აჯანყებებს. უფრო მეტიც: აჯანყებულები ძალზე ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, არ გააჩნდათ საომარი მასალა, არ ჰქონდათ არც ერთი ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი, მაშინ როცა მენშევიკური „სახალხო“ კავადია მაქსიმალურად იყო მოთარაღებული. თედე მეტიც: მენშევიკებმა მთავრობამ საქართველოს ზოგიერთ რაიონში გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ჩასაქრობად გამოიყენა გერმანელი იმპერიალისტების თვითმფრინავები.

მენშევიკებმა მთავრობამ ვერ გადაჭრა მუშათა საყიბი, მუშათა მოთხოვნა სამუშაო დღის შემკირების შესახებ კვლავ განუხორციელებული დარჩა.

მენშევიკებმა მთავრობამ ვერ მოაგვარა აგრარული საყიბი, რომლის გადაჭრით დინტერესებული იყო უმწიფო დარჩენილი გლეხობა. მენშევიკებმა მიწის შესახებ მრავალი დადგენილება გამოიტანეს, მაგრამ გლეხობას მაინც არაფერი მიუღია, პირიქით, ამ დადგენილებით შემამოლულები ისევ ძველ პრივილეგიურ პირობებს ინარჩუნებდნენ.

მართალია, 1917 — 1918 წლების გლეხთა აჯანყებანი დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება არ იყო მორალური. გლეხობა აყენებდა საყიბს ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის და ახალ გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ მტკიცე კავშირი შეეკრა სოციალისტურ სახელმწიფოსთან, დიდ რუსეთთან, შეეკავშირებინა თავისი ძალები და ხელსაყრელ პირობებში დაემშო მენშევიკური მთავრობა. ეს მართლაც ასე მოხდა.

წელს ქართველმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 38-ე წლისთავი. 38 წლის წინათ, 1921 წელს 25 თებერვალს, საქართველოს შრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა მოსყიდული მსახურების — საძლეველ მენშევიკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რის შედეგად ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა.

¹ ფ. შაბარაძე — საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 160.



ამიერკავკასიის მომხმ ხალხთა მემოგრუდ ოჯახში

ამიერკავკასიის ხალხები მსოფლიოში ყველაზე უძველეს კულტურულ ერებს წარმოადგენენ. ეს ხალხები საუკუნეთა მანძილზე აწარმოებდნენ ბრძოლას შინაგან მხაგერელებსა და გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ, მედგრად იბრძოდნენ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. მერამ მათი საბოლოო განთავისუფლება დაგვირგვინდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, მისი ბრძენი ბელადის ვ. ი. ლენინის მეთაურობით, დაამსხვრია რა მსოფლიო იმპერიალიზმის ბოროტები, ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში — ერა კაპიტალიზმის განადგურებისა, სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვებისა, შექმნა რეალური შესაძლებლობა განაპირა, დაჩაგრული ხალხების, ევგროფოდებული „ტუხემკების“ განთავისუფლებისათვის ექსპლოატორებისაგან და მომხმ რუსი მეშენისა და უღარობეს გლეხების გამარჯვების გამოკლილების საფუძველზე, ახალი სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის. ამიერკავკასიის მშრომელები, მათი მორგანისზედელი ბოლშევიკების მეთაურობით, მზურვალედ მიესაღმნენ რუსეთში მომხმარ სოციალისტურ რევოლუციას და აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ რუს თეთრგვარდელთა ხროვას მჭიდროდ დაეკავშირდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები: სომეხი დამნაებები, ქარაველი მენშევიკები და აზერბაიჯანელი მუსავატისტები რომლებმაც ანტანტის კარნახით 1917 წლის ნოემბერში თბილისში, ნაცლად რეაქციულ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა, შეაკოწიწეს კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი, ხოლო 1918 წლის 10 თებერვალს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც რაზმავდა ამ ეთხის ანტისაბჭოთა ძალებს. იმავე წლის მისში დაიშალა ყბადაღებული სეიმი და გერმანულ-თურქი ოკუპანტების „ლოც-ვაკურიხეთი“ ჩამოყალიბდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „დამოუკიდებელი“ მარონეტული რესპუბლიკები.

სომხეთის მშრომელებმა კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთს შეეძლო ვადაერჩინა ისინი თურქეთის, ამიერკავკასიის

მონობისაგან, ვაეთავისუფლებინა დამნაყრო წამებისაგან. საბჭოთა აზერბაიჯანის მაგალითმა ნათლად დაანახა სომხეთის მშრომელებს, რომ ერთადერთ გზას ყველა დაჩაგრული ხალხის თავისუფლად და დამოუკიდებლად არსებობისათვის წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის მშრომელებთან მჭერი კავშირი. ამ მიზნით, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით „სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი აძლიერებს პოლიტიკურ შეშაობას სომხეთის მშრომელ მასებს შორის: ყველგან იგრძობოდა მთავრობის საწინააღმდეგო განწყობილება. სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უხვად სარგებლობდა მომხმ კომუნისტური პარტიების დახმარებით, უფრო დიდი რწმენით და ვაბუდულად რაზმავდა მშრომელ მასებს ყველაჯურის მტრთა შესაშუსრავად.

რუსურ, ასრულდება რა სომხეთისა და საქართველოს თხოვნას შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში დახმარების შესახებ, მზად იყო ყოველნაირად შეეწყო ხელი რევოლუციური მასებისათვის, რათა დამყარებულიყო საბჭოთა ხელისუფლება სომხეთისა და საქართველოში. ამ მიზნით 1920 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დაავლებით, ბაქოში ჩამოდის ვ. ბ. სტალინი. ნოემბრის მეორე ნახევარში სომხეთის ხალხისადმი დახმარების აღმონენს შესახებ საკითხი განიხილა აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მიიღო, დადგენილება ვავზავნილიყო სომხეთში წარმომადგენელი იდგილობრივ კომუნისტური ორგანიზაციებისადმი დახმარების აღმოსახენად.

სომხეთში ვანუხრედა იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა. დამნაყრო მთავრობას აღმავოთებული ცნობები მისდიოდა არარტის გუბერნატორისაგან, ნორბაიხეთის, დილიგნის, ეწმისინის, ზანგეზურის მახრების კომისრებთან კომუნისტური მოძრაობის ვაძლიერების, სალდათების დეზერტირობის, ოფიცრების „ღალატის“, დამწეულ ლტოლვილთა ენერგიული პროტესტისა და გლეხთა სისტემატური ვამოსვლების შესახებ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამი წლისთავთან დაკავშირებით აღექსანდროპოლის, კარაკლისის სანაინის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს დემონსტრაცია. ყველგან ხდებოდა მუშებისა და გლეხების ვამოსვლები.

სომხეთის აჯანყებულმა მშრომელმა მასებმა, პირველ ყახახის ამბოხებულ ბოლტან ერთად,

რომელიც შედგებოდა 1200 კაციდან, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. 1920 წლის 29 ნოემბერს ყარაენასარიაში (ახლანდელი იფეანი) აღმართეს რევოლუციის დროშა, გამოაცხადეს დამხობილად დაშინაური მთავრობა და ჩამოყალიბეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც აღიარა საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში.

დაშინაელების მილიციის პოლი იფევანში გადავიდა აჯანყებულთა მხარეზე, ხოლო ნუცუბედავად გადმოსროლილა დაშინაურმა სამხედრო ნაწილებმა უარი განაცხადეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. აჯანყებულთა მიერ დილიჯანის დაეების შემდეგ, 1920 წ. 30 ნოემბერს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დებეშით აცნობა რსდსრ კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ე. ი. ლენინს აჯანყებულთა „პირველი დარტყმის“ შესახებ და სთხოვა დახმარება სომხეთის მშრომელი მასების რევოლუციურ წარმატებათა განსამტკიცებლად.

1920 წ. 2 დეკემბერს ე. ი. ლენინი თავის საპასუხო დებეშით მიესალმა... იმპერიალიზმის წაგვისასაც განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს¹. რსდსრ მთავრობამ მიიღო ზომები აჯანყებულ სომხეთის ხალხისადმი ეკონომიური და სამხედრო პოლიტიკური ეფექტური დახმარებისათვის. რსდსრ მთავრობის შიითებებით, წითელმა არმიამ თავისი მსლაერი ხელი გაუწოდა დასახმარებლად სომხეთის ხალხს. დაიწყო თურქი ოკუპანტების, ამერიკანგლის იმპერიალისტებისა და საბჭოთა სომხეთის სხვა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპი. სომხეთის მშრომელემა ყველგან სიხარულით ეგებებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს. 1920 წ. 2 დეკემბერს ერევანში დაიდო ზელშეკრულება რსდსრ-სა და საბჭოთა სომხეთის შორის მისი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ეს იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის აქტი, რამაც ნათელყო მთელი მსოფლიოსის წინაშე ძლიერამოსილება საბჭოთა რუსეთისა, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა სომხეთის ხალხს და აღიარა მისი თავისუფლება და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. გაიღო საპყრობილეთა კარები და თავისუფლება მიენიჭათ იქ დაწყებულ ტესალებს— მისი აჯანყების გამორებს და სხვა პოლიტკატორებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სომხეთში შესაძლებელი გახდა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეშვეებით. უბრუნველყოფილი იქნა სომეხი ხალხის ეროვნული განახლება, მშვიდობიანი შრომა და დამოუკიდებელი ცხოვრება. „დაე, იყოდეს ყველამ, ვისაც გუთუნის, — წერდა „პრადეში“ 1920 წ. 4 დეკემბერს ი. ბ.

სტალინი, — რომ ეგრეთწოდებული სომხეთის „პრობლემის“ გადაჭრა, რომლის გარეშეცხადეს იტებდნენ იმპერიალისტური დამპყრობლების მგლები, შეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ¹.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სომხეთში ნიშნავდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზეიშს. პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის ერთგულმა სომეხმა ხალხმა თავისი ბედი მკიდროდ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს და სხვა საბჭოთა რესპუბლიკის მოძვე ხალხებს. განხორციელდა სომეხი ხალხის საუკუნეობრივი ნატურა. საბჭოთა ხელისუფლებამ სომხეთში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გახსნა ახალი ერა სომხეთის ხალხის ისტორიაში, ხალხისა, რომელიც დადგა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ახლავარდა საბჭოთა სომხეთში მიიღო მეტად მძიმე შეშვიდროება. მან დაიწყო თავისი საქმიანობა ნანგრევებზე, თითქმის გავერანებულ, ცარიელ ადგილზე, გადაბუგული ქალაქებისა და სოფლების ფერფლზე უნდა აშენებულიყო ახალი ცხოვრება და სომხეთის ხალხის შეორქმეებითი ძალები დამდგარიყო სოციალიზმ-კომუნისმის გზაზე. საბჭოთა სომხეთის წინაშე მთელი სივრძე-სივანით წამოიჭრა შინაური ცხოვრების მოწესრიგების საკითხები, რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადაჭრას.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო აგრეთვე ურთიერთობის მოგვარება თურქეთთან, რომელიც მოითხოვდა დამხობილ დაშინაურ მთავრობისთან აღქმანდრობოლში დადებული ზელშეკრულების შესრულებას. თურქეთში მხოლოდ ფორმალურად ცნო საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში, სინამდვილეში კი ის ძალზე თითონებობდა მის მიერ სომხეთის დაპყრობილ რაიონებში, საიდანაც როგორც სამხედრო ტყვეებს ერეებოდა თურქეთის დასაღელთ რაიონებში, მოცვა-ქლეტის შემდეგ გადარჩენილი სომხეთის მშვიდობიან მოსახლეობის ნაწილს. ამავე დროს, თურქეთის საოკუპაციო ორგანოები, თავისი ანტისაბჭოური პოლიტიკის შესაბამისად, ბლომად გზავნიდნენ თავის აგენტებს ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში კონტრრევოლუციურ აჯანყებათა ორგანიზაციისათვის. ამერიკანგლისის იმპერიალისტების შთავანებით წარმოებდა ანტისაბჭოური პროპაგანდა ნიხიევანსა და აღქმანდრობოლში, მასთან თურქეთი ყოველგვარ დახმარებას უწევდა სულ-ხორციანად გაყოტრებულ დაშინაეებსა და მესსეატის ტებს.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდნენ სომხეთსა და თურქეთს შორის გამწვავებული ურთიერ-

1 ე. ი. ლენინი, თხ., ტ. 31, გვ. 409.

1 ი. ბ. სტალინი, თხ., ტ. 4, გვ. 414.

თობის მოგვარებას. საბჭოთა მთავრობამ მაშინვე გადაჭრით განაცხადა, რომ მისი საგარეო პოლიტიკა მკვიდროდ არის დაკავშირებული ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებთან. ხალხებისა, რომლებმაც დაამხეს მათთვის საქმეველი მთავრობები და დადგნენ სოციალისტური განვითარების გზას. რუსურ მთავრობამ ენერგიული პარტესტი განუცხადა თურქეთს რომელსაც მოსთხოვა ძალადობის შეწყვეტა სომხეთის ხალხის მიმართ და მასთან შევიდოდა იანი ნორმალური ურთიერთობის დამყარება. საბჭოთა რუსეთი თანმიმდევრულად იცავდა სომხეთის ინტერესებს. მაგრამ დაშნაკები სომეხი ხალხისათვის ამ ხელსაყრელ მომენტებშია შეუკადნენ, ჩვენ უნდა და დეტალირებინათ ისტორიის ხალხი და იარაღის საშუალებით ხელახლად ჩაეგდოთ ხელში ძალადუღეობა. დაშნაკებმა საიდუმლოდ ჩამოაყალიბეს შაუზერისტების შეიარაღებული ბანდები კრახულავეში, ზანგი ბასარში, ნორკში, ზანგეზურში. ეს ბანდები მკვიდროდ იყვნენ დაკავშირებული დაშნაკების ყოფილ პრეზიერ მინისტრ, ერვანში ჯერ კიდევ თავისუფლად დარჩენილ ავანტიურისტს ერაციანთან, რომლისგან ლებულობდნენ ოპერატიულ მითითებებს და ეშხადებოდნენ აჯანყებისათვის. დაშნაკები ახდენდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიული და საბჭოთა მუშაების წინააღმდეგ, აწყობდნენ მთელ რიგ პროვოკაციებს და ა. შ.

მაგრამ ასეთი მდგომარეობის მეტი ბტანა უკვე აღარ შეიძლება. რკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით, მიღებული იქნა ზომები წითელი არმიის სომხური ნაწილების უცხოელ მუშაობისაგან გასაწმენდად, გამოიგზავნა გამოცდილი კადრები სომხეთში პარტიული და საბჭოთა ორგანოების გასამტკიცებლად. ამ დროს რესპუბლიკაში ჩამოიღის კომუნისტური პარტიის ცნობილი მოღვაწე გ. ათარპიანი, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა საბჭოთა სომხეთში მტრულ მოქმედებათა აღსაკვეთად. მაგრამ დაშნაკები იხტიბარს მაინც არ იტყებდნენ და განაგრძობდნენ შხადებას კონტრრევოლუციური გამოსვლებისათვის.

ანტანტის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეექმნათ მხარე რევოლუციის წინააღმდეგ დაშნაკებისა და მენშევიკების ბრძოლის საერთო ფრონტი, სასტიკად იღვენებოდა მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლები. ამიერკავკასიაში ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ლურსა ვანუცხადა დაშნაკების პრემიერ-მინისტრს „ახლანდელი პოლიტიკური მომენტი მოითხოვს მოხდეს შეთანხმება ქართველებთან „ნეიტრალ ზონის“ საკითხის შესახებ მაინც. ეს რაიონი შეტად სამიშა ბოლშევიკური მოძრაობის თვალსაზრისით“.

ხელმძღვანელობდნენ რა რკ (ბ) ცკ კავკა-

სიის ბიუროს დირექტორებით, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები 1921 წ. იანვარში ენერგიულად აშხადებდნენ ნიადაგს რევოლუციური მასების შეიარაღებული გამოსვლებისათვის, რათა დაემოხთ მენშევიკური მთავრობის საშუალებელი რეჟიმი და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება რაკი ლორის შრომელები შხად იყვნენ იარაღით ხელში გამოსვლიყვნენ ამერკავკასიის, იმპერიალისტების, მენშევიკებისა და ადგილობრივ ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რკ (ბ) ცკ კავკასიის ბიურომ ბოლშევიკურად მოყდა ხელი ლორის მუშებისა და გლეხების აჯანყებისადმი დახმარებას. 12 თებერვალს დამის 2 საათზე ლორში გამოვიდნენ საბრძოლველად აჯანყებული რახმები. ამავე დროს, ლორის აშხადებულმა შრომელებმა მიმართეს საბჭოთა რუსეთს და წითელ არმიას თხოვნით, აღმოეჩინათ მათთვის მტერი დახმარება, რაც სასწრაფოდ იქნა შესრულებული. მენშევიკური ჯარები დაიხნენ. მათ შორის კომუნისტების იატაკქვეშ მუშაობის შედეგად საღდათები ყრიდნენ იარაღს და არ უწყებდნენ წინააღმდეგობას აჯანყებულებს. 14 თებერვალს 2 საათიდან „ნეიტრალური ზონა“ გაქმნედილი იქნა და ლორში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

რევოლუციურმა ტალღებმა უკვე მოიცვეს მთელი საქართველო. საქართველოს შრომელებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, რუსი მუშებისა და გლეხების მავალითის მიხედვით აღმართეს აჯანყების დროს მენშევიკური მთავრობისა და უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოს აჯანყებულნი მუშებისა და გლეხების თხოვნით, წითელმა არმიამ მათ გაუწია მტერი დახმარება. ამებში ვითარდებოდა განსაკუთრებული სისწრაფით. მენშევიკური მთავრობა დახმობილი იქნა, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამგვარად, საბჭოთა რესპუბლიკამ გაიმარჯვა მთელ ამიერკავკასიაში.

1921 წლის პირველ თვეებში საბჭოთა სომხეთმა განიცადა ახალი გამოცდა. ანტანტა, რომელიც დამარცხდა თავის სამ ლაშქრობაში საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ცდილობდა გამოეყენებინა ამიერკავკასიის ანტი-საბჭოთა ძალები და გადაექცია ის პლაცდარმად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაშნაკები კი ანტანტის დაეაღებით აშხადებდნენ ნიადაგს კონტრრევოლუციური აჯანყებისათვის.

1921 წლის 13 თებერვალს, როცა ლორის აჯანყებული მასები „ნეიტრალური ზონაში“ ანადგურებდნენ მტრის ჯარებს, სწორედ ამ დღეს დაშნაკური ბანდა თავს დაესხა სოფ. კეშიშენში (ახლა სოფელი მიქოიანი), მე-11 არმიის ბატალიონს. ეს თავდასხმა წარმოადგენდა სიგნალს კონტრრევოლუციური გამოსვლებისათვის მთელ რიგ სხვა რაიონებში. დაშნაკე-

რი ბანდები დაიძრნენ ერევნისაკენ. 1921 წ. 18 თებერვალს ისინი შეიკრნენ ერევანში. სომხეთში შექმნა მეტად რთული ვითარება: დაშინების მიერ ერევნის ხელში ჩაგდებაში, საბჭოთა სომხეთის მთავრობისა და მისი წითელი არმიის ნაწილების გამარჯვებულ-ნახევანის რაინიგზის ხაზზე ბლოკირებამ, კონტრრევოლუციური „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტის“ გამშვებულმა მოქმედებამ განსაკუთრებული რთული პირობები შექმნეს სომხეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლისათვის. საბჭოთა ხელისუფლება განაგრძობდა არსებობას მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც გააფრთხილეს ებრძოდნენ დაშინების.

კონტრრევოლუციური გამოსვლები კავკასიის თავისუფალი რაიონებში, მათ შორის დაშინების თებერვლის ავანტიურაჲ სომხეთში, წარმოადგენდნენ ანტირის ფართო გეგმის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას რუსეთში. დაშინებულმა ავანტიურმა დადასტურა თურქეთის აშკარა ანტისაბჭოური პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ¹. დაშინებულმა შეიკრნენ კავშირი დაშინების ქემალისტებთან საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაშინების კონტრრევოლუციური შეამბობებთან წარმატებით ბრძოლის წარმოებისათვის 1921 წლის 26 თებერვალს დილიჯანში ჩამოყალიბდა სომხეთის ჩრდილოეთის სამხედრო კომიტეტი გ. ათარბეკიანის მეთაურობით, რომელიც ხელმძღვანელობდა შეტევაზე გადასულ წილდ არმიას და ჩრდილოეთ რაიონების მშრომელთა შეიარაღებულ რაზმებს. ლორის, კარაჯისის, დილიჯანის კომუნისტური რაზმები წარმატებით აწარმოებდნენ ბრძოლას დაშინებულ ბანდების წინააღმდეგ დილიჯან-ამაღლიანის უბანზე. დაშინების მიერ დაპყრობილ რაიონებში კომუნისტური ორგანიზაციები აწარმოებდნენ იატაკქვეშ მუშაობას და რაზმებდნენ მასებს მთურებისტების წინააღმდეგ.

მალე შეიკვალა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და შენევიკების განადგურების შედეგად მე-11 არმიის სპირის ძალები ვაგზავნა საბჭოთა სომხეთში დაშინებულ ბანდების სალიკვიდაციოდ. წითელი არმია წარმატებით ავითარებდა შეტევას დილიჯანისა და ამაღლიანის მიმართულებით. მშრომელთა რაზმებთან ერთად წითელი არმიის ნაწილებმა განადგურეს დაშინებულ ბანდები და 1921 წ. 2 აპრილს ხელახლა გაათავისუფლეს ერევანი. დიპლომატიური ზემოქმედების შედეგად თურქეთი იძულებული

გახდა 1921 წ. მარტს დაედო ხელშეკრულება რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან. ქემალისტების აგრესიამ დატოვეს ალექსანდრეპოლი.

საბოლოოდ გამარჯვება სომხეთში საბჭოთა ხელისუფლებამ, გადაიშალა მის ისტორიაში ახალი ფურცელი. მეურნეობის სოციალისტური სისტემის შეოხებით რესპუბლიკის მშრომელებმა საბოლოოდ იხსნეს თავი სოციალურ ჩაგვრისგან სოციალისტური სისტემის შემოღებით. საბჭოთა სომხეთში მშრომელთა შორის დამყარდა ახალი, სოციალისტური ურთიერთობა. საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად სომხეთის ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა ძირითადი ცვლილებანი. საბჭოთა სომხეთის კომუნისტური პარტიამ და მთავრობამ ენერგიულად მოკიდა ხელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენას.

კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის წყალობით საგრძნობლად განითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, რის შედეგად ზღაპრულად გაიზარდა სომხეთ ხალხის ეკონომიკა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შესაბამისად თანდათან უფრო უზრუნველყოფილი ხდება მეშენის, გლეხების და ინტელიგენციის მედმეოდ მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება საბჭოთა სომხეთში, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკაში. საბჭოთა სომხეთში დიდ წარმატებას მიაღწია აგრეთვე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დარგში. არსებულ 1168 მასობრივ სკოლაში 1954-55 წელს სწავლობდა 300 ათასი მოსწავლე. რესპუბლიკაშია 44 ტექნიკური, 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 12 ათასი სტუდენტი. მეცნიერების გაფრთხილება საბჭოთა სომხეთში დაკავშირებულია 1943 წელს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს. სომხეთის მეცნიერებათა ცნობილი არიან როგორც უდიდეს ალმრჩენათა აკადემიები. მათ შორის აღსანიშნავი არიან ვ. ა. ამბარტუმიანი, ა. ა. ალიხანოვი და ა. ი. ალიხანანი, რომელთა შრომებს მიენიჭათ სტალინური პრემია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეტად განვითარდა სომეხი ხალხის ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური კულტურა და ხელოვნება.

დღეს საბჭოთა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელები, რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, ყოველდღიურად ზრდიან თავიანთ მიღწევებს, მთელი ჰვენი დიდი ქვეყნის ხალხებთან ერთად იცავენ მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში.

¹ სსა, ფონდი 109, აღწერა 4, სივ. 519 ფ. 1 (კავკასიის ფრონტის 1921 წ. 12 ნოემბრის ოპერ. ცნობებიდან).



შოთა რაჰიზილი



შიღერი მარქსისა და ენგელსის კონცეფციებში

(შიღერის დაბადების 200 წლისთავის გამო)

შიღერის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის, საერთოდ, ესთეტიკის ცალკეული პრობლემების მართებული გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ შენიშვნებს. ფეოდალური დეჰპორტაციის, წოდებრივი პრივილეგიებისა და კასტრი ცრუწმენების მახილებელი, კაცობრიობის უკეთესი მერმისინათვის და გერმანიის გაერთიანებისათვის მებრძოლი შიღერი საკუთარი იდეალების განხორციელების რეჟიმურ საშუალებად მიიჩნევდა ინდუიდიუალურ ბუნებს („ყაჩაღებს“), შემდეგ სახალხო აჯანყებას („ფრანკის შეთქმულება გენეშიში“) და, ბოლოს, განთავსებულ მონარქიის იდეის განხორციელებას. შიღერი თავს ესმოდა ფეოდალურ იდეოლოგიას, ამხელდა არისტოკრატის მორალურ გადაჯვარებას, მაგრამ მისი კრიტიკა ყოველთვის ატარებდა შეზღუდულ ხასიათს. აღამაინებს იგი ხან, რუსოს მსგავსად, ბუნებრივიობისა და უბრალოებისაკენ მოუწოდებდა, ზოგჯერ კი, იმანუილ კანტის ანალოგიურად, ცდილობდა გაქცეულიყო გარემომცველი უბნის სინამდვილიდან და თავი შეეფარებინა ესთეტიკურ ზმანებათა სამყაროსათვის. შიღერის ხელისაღება მარქსის იყო ბინურ მეთოდებზე განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა „ღონ კარლოსში“, რომლის ცენტრში დაყენებულია მოპოლიტიკოსო იდეალისტი მარკოზ პოზა. სურს რა დიდებულთა სინდისზე ზემოქმედებით ხალხს შეუმსუბუქეთ სავალალო ყოფა, თავიდან აიცილოს ისეთი მდგომარეობა, როცა უფლებათა დაცვა აღამაინებს უხდებათ იარაღით ხელში, ლიბერალურად მოაზროვნე პოზა მუხლებზე იჩიკებს ტახტის შემკვიდრის წინაშე და ცდილობს დაარწმუნოს მომავალი შეფე პოლიტიკური რეფორმების ჩატარებისა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ზემოდან საქმრო ცვლილებების მოხდენის ვიწროებაში. პოზა აქცია თვით შიღერის იდეების რუპორად, ხოლო შემდეგ — წინაპრად იმ გერმანელი ბურჟუაზიული ლიბერალებისა, რომელთაც 1848 წლის ფრანკფურტის პარლამენტში თავისუფლებისადმი ლაღით ზელი შეუწყეს კონტრარევიციის ზეიშს და რომელთაც შემდეგ მთლიანი

კაპიტალითა მოახდინეს იტყერობისა და ცრუკონსტიტუციური წესრიგის წინაშე! შიღერის ასეთი მთელი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობიდან ზოგი მთავარ მომენტად მიიჩნევდა — ტრფიალს თავისუფლების იდეალებისადმი და, ამდენად, მწერალში ხედავდა პროგრესულად მოაზროვნე პირივნებს, ზოგი კი აიღებდა, ან კაცებდა შიღერის მიერ მარკოზ პოზას მუშეობით ნაქადაგებ რეფორმისტულ მეთოდებს. მენცელმა, გერმანელმა რეპოტიონერმა კრიტიკოსმა, გოეთეს მატერიალისტური ტენდენციებისა და რეალისტური მეთოდის დამკვირების მიზნით, სკაცა შიღერში აღმოეჩინა „დიდად მორალური“ და „იდეალური“ პარონება. მისგან განსხვავებით, ლდვიგ ბოერნემ, ბურჟუაზიული თეოზიციის მუბლიცისტურმა წარმომადგენელმა, შიღერში დაინახა „დიდი ფილისტერი“, ხოლო ეიპელმ ტელი მიინია ზედმეტად იდიოური ფიგურად. შიღერის შემოქმედების რამდენადმე მართებულ დახასიათებას ეხვედებით ჰაინსთან. შიღერი, — აღნიშნავს იგი, — წერდა რევიოლუციის დიდი იდეების სახელით, ანგრევიდა აზრის ბასტილებს, მონაწილეობდა თავისუფლების იმ დიდი ტაძრის აგებაში, რომელშიც, ერთიანი მშერი თემის მსგავსად, უნდა გაერთიანოს ყველა ხალხი. ჰაინსეული დახასიათება არაა მოკლებული ჰემარტივებს, თეცა იგი ცალმზროვიდა და ნაწილობრივი.

შიღერის შემოქმედებამ იმთავითვე მიიქცია მარქსისა და ენგელსის ყურადღება; ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ისინი ხშირად უბრუნდებოდნენ „ყაჩაღების“ იტორს, მითითებდნენ მისი მსოფლმხედველობის ნათესა და ჩრდილოვან მხარეებზე. მარქსი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა შეეხო შიღერის სახელს ფილოსოფიური ხასიათის „ეპიკრამებში“, რომელთაც იგი რომანსების, ბალადებისა და მოგვიანო გერმანელი რომანტიზმის სტლისკეთების ლეკების პარალელურად წერდა. გერმანელთა პოლიტიკური უმოქმედობის, დამყაუბული ყოფისა და უნა-

1 Клара Цеткин, о литературе и искусстве, стр. 31, 1958 г.

ყოფი თეორიული მსჯელობის მიზნობრივად ეპირამათა ერთ ჯგუფში იყრიდა შილერი პიეტეტს, კანტისა და ფიბტეს ფილოსოფიას, აგრეთვე გოთესა და შილერის მსოფლმხედველობის ცალკეულ მხარეებზე. შილერი, მარქსის აზრით, სრულიადაც არაა უზადო; ეს ნაულებად აღიანიერო პიროვნება ზედმეტად დაფრანს ღრუბლებში და მწიერი ცხოვრებას დაჟერებს ზევიდან; მის ხელთა გრევა და მება, მაგრამ განა იცნობს იგი აღიანიერებს და მათს საღ აზრს! მარქსი აფასებდა შილერის იდეურ ნაწარმოებებს. 1839 წელს შილერის სახელს ვეფდებით ენგელსის ორ ბარათში გრებერებისადმი. ამათან პირველში (24 მაისს) ლამარკია იმ გასაოცარ მსგავსებაზე, რომელიც მოიპოვებდა შილერის „ყაჩაღებსა“ და იმ დროს ჯერ კიდევ რამდენადმე განსაღ-იდეურ პოზიციებზე მდგომი ანტირეალური პოეტის კარლ ბეკის ლექსთა კრებულს — „ღამებს“ შორის. ამ კრებულისათვის უცხო იყო ის ოპორტუნისტული სულიკეება, რომელიც შემდეგ სოციალურ ნიშანდობლივ ვაზად „ქეშმარიტი სოციალიზმის“ ბანაკში გადაბარებულ ბეკისათვის. შილერის და ბეკის ზემოსხეხებულ ნაწარმოებებში დანახულია ერთნაირი განმთავისუფლებული სული, დაეცბრომელი ფანტაზია, ახალგაზრდული ქედმადლობა და მანკები. „ყაჩაღებში“, აღნიშნავს ენგელსი, შილერი ილტვოდა თავისუფლებისადმი; ამ პიენის მან პირველი გაფრთხილება მისცა სერვილიზმით გამსქვალულ ეპოქას; მაგრამ მსგავსს მისწრაფებას იმეამად არ შეეძლო მადლო განსაზღვრული კონკრეტული ფორმა.¹ მეორე ბარათში (30 ივლისს) გარკვეული მოსაზრებით გოთეს წინაშე უბრატესობა ემღევა შილერს. მასში დანახულია „საყოველთაოდ აღიარებული“, „უდიდესი ლიბერალური პოეტი“. ენგელსის აღნიშვნით, შილერი „წინასწარ გრძნობდა, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ უნდა დაწყებულყო ახალი ერა, მაშინ როცა გოთემ ეს ვერ გაიგო თვით ივლისის რევოლუციის შემდეგაც კი“. როცა გოთემ მოეღწეებს პირისპირ ეჯახებოდა, იძულებული ხდებოდა დაეწახა რადიკა ახალის დადგომა, იგი მიდიოდა დასამშვიდებლად; გასაღებით იცეტბოდა ოთახში, რათა იქ უშფოთველად ყოფილიყო. „ეს გოთეს მებად ვნებს; მაგრამ, იგი, — დასძეს ენგელსი, — ორმოცი წლისა იყო, როდესაც იჭუბა რევოლუციამ. ამ დროისათვის იგი უკვე ჩამოყალიბებული აღიანი იყო და ამისათვის არ შეიძლება მას ეფსაყვედუროთ რაიმეში“.² 1845 წელს სტატიაში „გერმანიის მდგომარეობა“ ენგელსმა გოთესა და კანტის,

ფიბტესა და ჰეგელთან ერთად, შილერი მთავრისა „დიდ აღიანიად“, „ყაჩაღებში“ დინახა ეპოქის ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი გამსქვალული იმდროინდელი „საზოგადოებრივ წინააღმდეგ მიმართული პროტესტისა და აღშფოთების სულიკეებით; დინახა პიესა, რომელშიც შექმნილია მთელი საზოგადოების წინააღმდეგ აშკარად მებრძოლი დიდსაგადიანი ახალგაზრდა.¹ „გერმანიისა და სუვიერულის“ ღირსებად ენგელსმა 1885 წელს მიიჩნია მისი იდეურობა, ყოველივე ის, რის გამოც ეს ნაწარმოები იქცა პირველ გერმანულ, პოლიტიკურ ღრამად. „მე, — წერს იგი მ. კაუციანდში ბარათში (26 ნოემბერს), — არიეთარს შეძობვევაში წინააღმდეგ არ ვარ ტენდენციური პოეზიისა, როგორც აქეთისა. ტრაგედის მამამთავარი ესქილე და კომედოს მამამთავარი არისტოფანე, ორივე ძლიერ ტენდენციური პოეტები იყვნენ არა ნაყლებ დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „გერმანიისა და სუვიერულის“ მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი წარმოადგენს პირველ გერმანულ პოლიტიკურ ტენდენციურ ღრამს“.²

მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში, შილერის დიდი ამაგის აღიარებასთან ერთად, მარქსისა და ენგელსს არასოდეს დაუბუკათ თვალ მისი მსოფლმხედველობრივი შეუღობებისა და იდეურ-მხატვრული ნაყლების წინაშე. კანტის ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები, რომელთა გავლენას ქვეშაც აღმოჩნდა შილერი XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით თავს იჩენებს ფილოსოფიურ ლექსებში; ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი, კერძოდ „იდეალი და ცხოვრება“ (1795), ქადაგებს ბუნაევი სინამდვილიდან, რეალური ფაქტებისა და მოვლენების სამყაროდან ესთეტიკურ ხილვათა და იდეალის შარბანდელით მოცულ სამყაროში გადასახლების იდეას; ქადაგებს შეზუთველი ცხოვრების გმობას და იდეალურ სამყაროში გადასვლას. მარქსისა და ენგელსისათვის მიუღებელი იყო რეალურიდან ეთიკურ იდეალურ სამყაროში გადაბარგების კანტ-შილერისეული ცდა; მათ საპიროდ მიანდათ თვით რეალური სინამდვილის გადაქცივა იდეალურ სინამდვილედ ჩაგვრის შეკათუნეობრივი ყოფი რევოლუციური გარდაქმნის შედეგად. ამით აიხსნება ის გარბოება, რომ შრომაში „გერმანული სოციალიზმი ლქმება და პროზაში“ (1847) ენგელსი თავს ესპოდა როგორც კანტის დუალისტურ ფილოსოფიას, ასევე მის ნადაგებ აგებულ შილერის ესთეტიკას. ენგელსი დაუნდობლად აშუღდა სინამდ-

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. II, 510.
² იქვე, გვ. 528—529.

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. V, стр. 7.
² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 434.

ვილს სამყაროდან ესთეტიკურ სამყაროში გაქცევის შიღერისეულ სერვილს; მიიხვედდა მას „უხამსი უნადრეკობის“ „მალაფარდოვანი“ უნადრეკობით შეცდომის ცდად“.1 კანტის შვენიერების იდეალისაკენ და ოცნებათა სამყაროსაკენ შიღერის გაქცევაზე, მის სტრუქტურ იდეალიზმზე უფრო მეტად დასაფასებელი იყო გოეთეს რეალისტური მეთოდი. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო კლკევის მეთოდი, მიუხედავად მისი წინააღმდეგობრივი და ნახევრადელი ხასიათისა, შედარებით უფრო მოწინავე, უფრო რენესანსისტური და რეკლამისტური იყო ამიტომაც მოსწონდა ვენგელს კანტ-შიღერის უნიკალური ოცნების კრიტიკა, მოწოდებული ჰეგელის მიერ „სულის ფენომენოლოგიაში“. როგორც ცნობილია, დასრულებული იდეალისტი ჰეგელი — ფილოსოფიაში უფრო მეტად კონსერვატიული მხარისაკენ რომ იხრებოდა, დროდადრო მაინც ახერხებდა რაციონალური მოსაზრებების განვითარებას. მან დაკინების საგნად აქცია შიღერის მიერ ეთიკაში გაზიარებული კანტის „კატეგორიული იმპერატივი“, რაკ ეს უკანასკნელი იყო უნიკალური, თხოვდა შექმნულად და, ამდენად, სინამდვილეში ვერაფერს აღწევდა.

შიღერის ესთეტიკის კანტისაღრი ხასიათის კრიტიკასთან ერთად, მარქსი და ვენგელი მიუთითებდნენ მისივე მხატვრული შემოქმედების სხვა ნაელებზედაც. მავალითად, მათ შიღერის ნაელები მიიხივის იდეური მომენტის წინ წამოწევა, რეალისტური მომენტის საზიაროდ. შიღერის, ისევე როგორც შექსპირის, შემოქმედებაში გვაქვს იდეური და რეალისტური საწყისების შეხვევა, მაგრამ, ინგლისელი დრამატურგის შემოქმედებისგან განსხვავებით, შიღერთან ვერ ვხვდებით რეალისტურთან იდეურის პარაზიტულსა და თანაბარ შერწყმას. იდეური მომენტი შიღერთან ყოველთვის როდია გახსნილი სიტუაციებისა და ხასიათების დიალექტიკური გახსნის გზით. შიღერის შემოქმედების ეს ნაკლოვანი მხარე შემკვიდრებით მიიღეს მისმა წარბებურეტიზმში ეპიგონებმა და თავიანთი მხრივ შეაქსეს ინდივიდუალისტური და სტრუქტურისტური ტენდენციებით; მათ შექმნეს წერის თავისებური მეთოდი — „შიღერობა“, ხოლო პირადად შიღერი აღიარეს ფილისტერად იდეურ ბიარადად. ასე იქცეოდა, მავალითად, ლასალი. ნამდვილად კი ლასალმა ვერც შიღერის შემოქმედების თავისებურება გაიგო და ვერც მისადმი მიზაქვა შექალა.

შიღერის შემოქმედებიდან ლასალი იღებდა ამა თუ იმ პრინციპს, მაგრამ მის განხორციე-

ლებაში, იდეის მხატვრულად დამუშავებაში ვერ ახერხებდა ამაღლებას შიღერის შემოქმედებით მიღწევების დენეგაციას. ვენგელმა, კერძოდ ლასალმა, ვერ განავითარეს შიღერის შემოქმედების ღირსშესანიშნავი მხარეები, ვერ მოახერხეს დაეხატათ ხასიათების ვენებათა ძლიერი შინაგანი ღელვა და ღრმა სულებრივი განცდება, დაძაბული ფსიქოლოგიური წინააღმდეგობანი და პლასტიკურად გამოხატული ინდივიდუალური შტრიხები, ერთი სიტყვით, ვერ მოახერხეს ყოველივე იმისი ათვისება, რასაც ვგაღვდებ ოსტატურად ფლობდა შიღერი. გმირთა ხასიათების დამოუკიდებლობაში შიღერის ეპიგონებმა მიივიწყეს რეალისტური მომენტი და აქცენტს გააკეთეს იდეურ მომენტზე, რომელსაც მისცეს პუბლიცისტური სიმშაველე. შიღერის ეპიგონებმა მასწავლებლის შემოქმედებრივად იღეს „გაშიშვლებელი“ პრინციპები და მათი დამუშავება სცადეს რეალისტის მოთხოვნილებათა უგულვებლოდების გზით. სწორედ ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა, საკუთრივ ფრიდრიხ ჰებელმა, სცადეს შეეტანათ კორექტივი ინგლისელი დრამატურგის წერის მეთოდში. პირადად ჰეგელი კი შექსპირის შემკვიდრებას იფასებდა ბევრად მართებულად, ვიდრე ამას აკეთებდნენ მისი ლიტერატურული და ესთეტიკური ეპიგონები.

შიღერისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მარქსი და ვენგელი აკრიტიკებდნენ „ღონ კარლოსის“ აეტორს და კიდევ უფრო დაუნდობლად — „შიღერობის“ დამარცხებელ ეპიგონებს. ისანი თავს ესხმოდნენ ლიბერალურ და იდეალისტურ კრიტიკოსებს, მათ შორის არხოლდ რუგეს და როდერის ბენედიქსს, რომლებიც შიღერის სასარგებლოდ აწარმოებდნენ შექსპირისა და შიღერის მეტაფიზიკური ურთიერთდაპირისპირების მავნე პრაქტიკას, როდესაც რუგემ, შემარცხებელ ჰეგელიანელმა და რადიკალურმა პოლიტიკოსმა, იქყო მისი მტკიცება, თითქოს შექსპირი არაა „დრამატული პოეტი“, რაკი მას „არ გაანია ფილოსოფიური სისტემა“, ხოლო შიღერი გამოაცხადდა ნამდვილ „დრამატულ პოეტად“, რაკი იგი არის ფილოსოფიაში კანტის მიმდევარი, მანინ ვენგელისადმი ბარათში (1858 წლის 24 ნოემბერს) მარქსმა არხოლდ რუგე მოიხსენია „პირტუცად“. შექსპირთან შედარებით შიღერის გაიდვალება, რუგეს მსგავსად, სცადა ბენედიქსმა; მან გამოუშვა სქელტანიანი წიგნი, რომელშიც იგი, ინგლისის თქმით, „ზედმიწვენი ამტიკებს“, რომ „კამლუტის“ აეტორი ვერ შეედრება ვერმანელთადი პოეტებს. ასეთი აზრების გამო მარქსისადმი ბარათში (1873 წლის 10 დეკემბერი) ვენგელსმა როდერისი მოიხსენია „არამხადად“, ხოლო მისი წიგნი — „მერალ“ წიგნად. „როგორც ეტყობა, — შენიშნავს ვენგელი, — შექს-

1 K. Маркс и Ф. Энгельс, т. 3, с. 143.

პირი პირდაპირი გადმოგდებული უნდა იქნეს კვარცხლბეკიდან, რათა მის ადგილს სქელგავიანა როდერის ბენედიქტი დაჯდეს". ბენედიქსისათვის არაფერს ნიშნავდა შექსპირის პიესების ლირსული მხარეები. „მოუხეშავი რეკვენი ბენედიქსი ეს გამოჰიკიდებია რამდენადღაც სერიოზულ, იმდენადვე იაფფასიან მსჯელობას მის შესახებ, რომ შექსპირი ხშირად მოერიდებოდა და სსწრაფოდ წვეტს კვანძის გახსნას და ამით ამოკლებს მოსაწყენ, თემცა ნაშთილად აუკლებელ ყბედობას".¹ შილერს მარქსი და ენგელსი შეეხნენ აგრეთვე პოლემიკაში ლხალის პიესის „ფრანც ფონ ზიკინგენის“ გამო. დრამატურგის მთავარ ნაკლად მარქსმა მიიჩნია წერა „შილერისებურად“, ინდივიდუულებს გადაქცევა „დროის იდეების უბრალო რტპორებად“. მგვრამ მარქსის ეს მოთხოვნა არ უნდა მივიჩნიოთ შილერის უგულვებლყოფად. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დავაწვედით ფრანც შერინგის მიერ დაშვებული შეცდომის განმეორებას.

მარქსი და ენგელსი ზედადნენ ერთგვარ სხვაობას შექსპირისა და შილერის შემოქმედებით მეთოდებს შორის, მგვრამ ამის გამო ეს ორი მწერალი მათ არასოდეს დაუბრისპირებიათ ურთიერთისათვის; მით უმეტეს, შილერი არასოდეს დაუშვალუბათ მისივე ეპიგონების დონეზე. როცა მარქსი და ენგელსი მეთოდებდნენ შილერის განყენებულ მეოცნებებაზე, აბსტრაქტული იდეალებისადმი მისწრაფებაზე, პერსონაჟების გადაქცევაზე დროის სულისკვეთების უბრალო „რტპორებად“, მათ, პირველ რიგში, მხედველობაში ჰქონდათ „დონ-კარლოსი“ და ამ ყაიდის პიესების წინააღმდეგ ლაშქრობა როდღ უნდა მივიჩნიოთ შემართებლად, საერთოდ, შილერის დრამატურგისა, წერის მისებური მეთოდის წინააღმდეგ. შილერის ესთეტიკას, რომელსაც ვერდნობოდა ლასალი, მარქსი და ენგელსი მიიჩნევდნენ გერმანული იდეოლოგიის განვითარების გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიულ საფეხურად. ვსთვლთ საუენის 60-იანი წლებისათვის, როდესაც შილერის ეპიგონები ცდილობდნენ თავიანთი სულიერი წინაპრის ესთეტიკური პრინციპების აღდგენას, საზოგადოებრივი ბრძოლის არენაზე უკვე მოქმედებდა მკენიერული სოციალიზმის თეორიით შეიარაღებული რევოლუციური მუშათა კლასი. ასეთ

სიტუაციაში კი საჭირო იყო თავისუფლებისათვის მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ჩვენება, და ტრინიუტ განქვეყნებულ კრიტიკის ნაცვლად, კონკრეტული კლასობრივი მოთხოვნილებების წამოყენება. მკენიერული სოციალიზმის ფუძემდებლები აკრიტიკებდნენ შილერის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის მხოლოდ სუსტ მხარეებს, თავს ესხმოდნენ ამ მხარეთა გამართლების ყოველგვარ ცდას ეპიგონთა მხრივ. მარქსი და ენგელსი თვალისწინებდნენ, რომ ეს სუსტი მხარეები დაპირობებული იყო იმეამინდელი გერმანული ყოფის სიბუნავეით და შილერის მხატვრული შემოქმედების, აგრეთვე მსოფლმხედველობის, არსებით მხარედ მიიჩნევდნენ პოლიტიკურ იდეურობას; ერთგულებას თავისუფლების იდეალებისადმი.

ბარათში ლასალისადმი (1859 წლის 18 მაისს) ენგელსი გადაქრით მოითხოვდა, რომ ნაშთილად ხალხური, რევოლუციური დრამის შექმნისას რეალისტრთან ერთად არ უნდა იქნეს დაიწვეებული იდეალური, შექსპირთან ერთად — შილერი.¹

ამრიგად, მარქსი და ენგელსი დადებითად აფასებენ შილერის დაუცხრომელ ფანტაზიას, თავისუფლებისავე ღტოვას; ახალი ერის დადგომისათვის აბლურს აოფის უნარს და ბრძოლას ფეოდალური ყოფის წინააღმდეგ; იწონებენ პროტესტის მატარებელი ადამიანების ხატვას; მოწინავე ტენდენციების გატარებას და პოლიტიკური სულისკვეთების ნაწარმოების შექმნას; მგვრამ ამასთანავე „მინიფესტის“ ავტორები აკრიტიკებდნენ მისი მსოფლმხედველობის ცალკეულ მანკიერ მხარეებს; იდეალებით ზედმეტად გატაცებას; კავშირის გაწყვეტას რეალურ სინამდვილესთან და ესთეტიკურ ხილვათა საშყაროში გადასახლების ცდას; იწონებდნენ დროდადრო რეალისტური მომენტის საზიანოდ იდეური მომენტის წინ წამოწვეას და პერსონაჟების გადაქცევას იდეათა რტპორებად. მგვრამ უფრო მეტად მარქსი და ენგელსი თავს ესხმოდნენ ახალგაზრდა ჰეგელიანთა იდეებს — შექსპირზე მალდა დაყენებით შილერი; გაიდეალებინათ ამ მწერლის შემოქმედებიდან ყოველივე იდეალისტური, წერლ-ბურჟუაზიული და უგულვებლყოფთ შექსპირი. დრამის მომავალს მარქსი და ენგელსი ზედადნენ შექსპირისა და შილერის შემოქმედების საუკეთესო თვისებათა სინთეზში.

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 315.
2 იქვე, გვ. 114.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 116.



რუმინეთის დიდი ეროვნული პოეტი

ჩვენს ხალხს მოჰყვარებოდა რუმინეთთან შორეული მეგობრული ურთიერთობა აქვს. სულთანების სისხლთანაა უღელმა ბედით თანაზიარი რუმინელი და ჭკადველი ხალხები ერთმანეთს ურღვევი მეგობრობის უხილავი ძაფებით დააკავშირა, რაც სიმბოლურად გამოიხატა ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობაში. ჩვენი სასიძაფლო ბესიკიე ზომი, იმავე მიზეზის წყალობით, რუმინეთის მიწამ მიიზარა. დღეს სახალხო რუმინეთი სოციალიზმის მძლავრი ბანაქის საპატიო წევრია და ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის საიმედო ბურჯთაგანი, ბანაქისა, რომელსაც ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებს კავშირი მეთაურობს.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევის პირობებში, სოციალიზმის ბანაქის ქვეყნებს შორის ურთიერთობა კაცობრიობის ისტორიაში ხალხებს შორის აჩანებულ მეგობრობის ფორმებში ეითარდება და, ცხადია, ასეთ პირობებში მოჰყვარებოდა ხალხის დიდი ეროვნული პოეტის მიხაილ ემინესკუს შემოქმედების ქართულ ენაზე გამოცემას უღელსი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.



მიხაილ ემინესკუ დაიბადა 1850 წლის 15 იანვარს, ბოტოშანის მაზრის სოფ. იპოტენიტში, წყაროლი მემამულის გეორგე ემინოვიჩის ოჯახში. ემინოვიჩები ძირძველი ბოიარები რადი იყვნენ — პოეტის ბაბუა კალინესკიელი გლეხი ყოფილა ბავშვობა მომავალ პოეტს მშობლიურ სოფელში ვადტარებია. ელტერის მოყვარულ გეორგე ემინოვიჩს საყუთარ ოჯახში მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, სადაც ძველი რუმინული ქრონიკების გვერდით მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების — ვოლტერის, მოლიერის და სხ. — თხზულებებისათვისაც მოყურია თავი, რომელთა კითხვა პატარა მიხაილს ადრე დაუწყია.

მშრომელი ხალხთან სიახლოვემ, მისი ჭირვარამის ახლო გაცნობამ, ხალხური შემოქმედების მდიდარი საუნჯის შესწავლამ, მიხაილ ემინესკუს მშობლიური ხალხისადმი ღრმა სიყვარული ჩაუნერგა და მილდოვის ლად ბუნებაში აღზრდილი ყმაწვილი თავისუფლებისადმი

მისწრაფებით და ჰუმანიზმით, მშობლიური მხარისა და ხალხისადმი სიყვარულით აღრევე განმსჯევა. ცხოვრებასთან და ხალხურ შემოქმედებასთან კავშირში, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო მ. ემინესკუს ბავშვობისა და ქაბუკობის წლებში, განაპირობებს მისი საუკეთესო ნაწარმოებების ხალხური ხასიათი; სპეციალისტების აღიარებით, ბავშვობის წლებს გუთუნის უდიდესი როლი პოეტის ოპტიმისტური ხასიათის ჩამოყალიბებასა და ცხოვრებისადმი ძლიერ სიყვარულში, რომელიც მ. ემინესკუს ნაწარმოებებს ახასიათებს.

მ. ემინესკუ მამამ სასწავლებლად ქ. ჩერნოვიცში გაგზავნა, სადაც იგი წარჩინებით სწავლობდა, მაგრამ ვერ ეგუებოდა რა კაზიონერ გერმანულ გიმნაზიასა და მისი პედაგოგების ჩამორჩენილ შეხედულებებს, რომლებიც მომავალ პოეტს თავისუფლებისადმი სიყვარულს უხშობდნენ. მ. ემინესკუმ II კლასიდან გიმნაზია მიატოვა და მშობლიურ სოფელს მიაშურა. შემდეგ იგი ისევ დაბრუნდა ჩერნოვიცში, რათა ჩააბაროს გამოცდები, მაგრამ 1864 წ. გაზაფხულზე ჩერნოვიცში სავსატროლოდ ჩამოვიდა ფანი ტარდიდის თეატრალური დასი, რომელსაც ქაბუკი ძლიერ მოხიბლა. მ. ემინესკუმ გადაწყვიტა, გაჰყოლოდა თეატრალურ დასს, როგორც მოყარნაზე, და მათთან ერთად მოგზაურობდა კიდევ რუმინეთში. 1865 წლის შემოდგომაზე მ. ემინესკუ ისევ ჩერნოვიცში ბრუნდება, რათა ჩააბაროს გამოცდები. აქ მას გამოცდებისათვის აშხადებს არინ პუშნული, რომელმაც მ. ემინესკუზე კეთილისმყოფელი გაიღუნა მოახდინა.

1866 წელს მ. ემინესკუ (ემინოვიჩი) ეურნალ „ფილიაში“ („ოჯახი“) იწყებს თავისი პირველი ლექსების გამოქვეყნებას. ლექსებს პოეტი ხელს აწერდა ემინოვიჩის გვარით, მაგრამ რედაქციამ მიაწერა ემინესკუ, რაზედაც ატორის წინააღმდეგობა არ გაუწყვია.

1866 წელს 16 წლის მ. ემინესკუმ ჩერნოვიცში დაწერა ლექსი „უცხოეთიდან“, სადაც ასახულია მშობლიურ მხარეს მოცილებული პოეტის პირადი განცდები. იმავე წელს იგი შილერის გაიღუნით წერს ლექსს „იმედი“, სადაც ჩანს რწმენა უკეთესი მომავლისათვის. პოეტის აზრით, თავისუფლება შეიძლება მოპოვებულ იქნას ბრძოლით.

მ. ემინესკუს პირველი ნაწარმოებები ღრმა ოპტიმიზმით იყო გამაჰყველელი.

ახალგაზრდა პოეტს შეგნებულა ჰქონდა, რომ ხალხთან სიახლოვის მისი ცხოვრებისა და ხალხური შემოქმედების მდიდარი საუნჯის შესწავლის გარეშე, იგი ვერ შეძლებდა მოწოდების სიმალღებულ დგომას. ამიტომ მ. ემინესკუ ხელახლა იწყებს მოგზაურობას: იგი ჯერ არდელშია (ავსტრიის პროვინცია), სადაც ზერტება სოფლებში, კრებს რემინულ ხალხურ სიმღერებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. შემდეგ როგორც მოკარნახე, მოხეტიალე დღესთან ერთად კვლავ შემოივლის მთელს რუმინეთს. უახლოვდება ხალხს, ეცნობა ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით გაიგონ მან ხალხის ვრწმობები და მისწრაფებანი, რაც გახდა პოეტის შემოქმედების პატრიოტული დემოკრატიული შოტივების მდიდარი წყარო, პოეტის რეალისტური და კრიტიკული ორიენტაციის საფუძველი. ხალხის ცხოვრებას ღრმადგაცნობილი ემინესკუ აღმოფოთებული იყო სოციალური უსამართლობით. სწორედ ამითი აიხსნება, რომ ექსპლოატატორებისადმი სიძულვილითაა გამაჰყველელი ემინესკუს შემოქმედების უკეთესი ნაწილი.

1869 წ. ეტრნ. „ფაშილაში“ („ოჯახი“) ემინესკუ აქვეყნებს ლექსს „გაზარდობა“,¹ სადაც სოციალური უსამართლობით, ექსპლოატატორული კლასების პარაზიზმითა და მძარკველური ბუნებით აღმოფოთებული პოეტი სამარტხვინო ბოძე იყრახს გაბატონებულ წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობას — დსციენის მათ ზერტობას, სიმბდალეს, სიზარმაცეს, პარაზიტისმს. მ. ემინესკუს ხსენებული ნაწარმოები მძაფრი სატირია, რომლის მახვილი შექთახორა თავადაზნაურობის უზრუნველ წრეების წინააღმდეგაა მემართული. იმავე ნაწარმოების მეორე ნაწილი შეიცავს მოწოდებას — ყველამ მიიღოს მონაწილეობა ხალხის სოციალური და ეროვნული (ემინესკუს აწუხებდა ავსტრიის უღღკვეშ მოქცეული რუმინელების ბედი) განთავსიფლებლისათვის ბრძოლაში. თავისიტეება და სამართლიანობა ცარიელი სიტყვები ყ აბაა, პოეტის რწმენით იგი მომავალში ამქვეყნად უნდა დამკვიდრდეს. მაგრამ მოუწოდებს რა ბრძოლასაყენ მ. ემინესკუს სწამს, რომ გაბატონებული წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდობას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ დიად ბრძოლაში.

1869 წლის შემოდგომაზე მ. ემინესკუ ეენაში გაემგზავრა, სადაც უნივერსიტეტში ისმენდა

ლექციებს, ხოლო 1872—74 წლებში იგი სწავლას აგრძელებს ბერლინში. ამჟვერად პოეტი გატაცებულია ფილოსოფიური დისკუსიონებითა და პოლიტეკონომიით, რაც იმ დროის პოლიტიკური ამბებით უნდა იყოს გამოწვეული. ეენასა და ბერლინში ყოფნის დროს მ. ემინესკუ მუშაობს ნაწარმოებებზე „იპერატორი და პროლეტარი“, სადაც ამლავნებს თავის სიმპათიას პარიაზის კომუნისა და პროლეტარიატისადმი.

1874 წელს მ. ემინესკუ სამშობლოში ბრუნდება. იგი ჯერ ქ. ისის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორია და სკოლაში გერმანული ენისა და ლოგის მასწავლებელი, ხოლო შემდეგ სასკოლო რევიზორი. მაგრამ რეპტიკული წრეების დამოლით მ. ემინესკუმ მალე სამუშაო დაკარგა და ისეთ მძიმე პირობებში აღმოჩნდა, რომ მას ოთახის დაქირავების შესაძლებლობაც კი არ ჰქონდა. ერთერთ მეგობართან წერილში პოეტა აღნიშნავდა, რომ, მთელი ჩემი უბედურების მიუხედავად მე ბედნიერი ვიქნებოდი, უსამართლობის მზილება რომ შემძლებოდაო. მიუხედავად სიღარიბისა, მეტად ამაყი ვარ და არ მინდა მომდევნო თებამ ვაიფოს, თუ როგორ ვიტანჯებოდი ჩემი ძმებისთვისო.

ქ. ისში ემინესკუ შევიდა ლიტერატურულ საზოგადოება „კუნშიაში“ („ახალგაზრდობა“), რომლის ეტრნალ („კონფორბი რიტერარში“) („ლიტერატურული საუბრები“) თანაშრმოკლობაა. მ. ემინესკუს ნაწარმოებები მოწმობენ, რომ კონსერვატიულად განწყობილ წრეებთან თანაშრმოკლობის მიუხედავად, პოეტს მტკიცე პოზიცია ევირა ფორმალიზმისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც „ეუმიანა“ ქადაგებდა. მ. ემინესკუ თავისი შემოქმედებით უბრისპირდება რეპტიკულ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მაგრამ ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ, მიუხედავად პოეტის პროგრესული შეხედულებებისა, ეუმიონისტების რეპტიკულ წრეებთან კავშირმა უთუოდ უარყოფითი გავლენა იქონიეს პოეტზე.

1877 წლის მიწურულში მ. ემინესკუ ქ. ბუქარეშტში გადავიდა, სადაც ტ. მიორესკუს და ი. სლეაზის მეორე მიწვეული იქნა რეპტიკულ გაზეთ „ტიმბულში“, ეროვნული („დოკება“) სამუშაოდ.

„ტიმბულში“ სამუშაოდ მ. ემინესკუ ცხოვრების მძიმე პირობებში მიიუყანა, ხოლო აქ აუტანებლად შრომამ საბოლოოდ გატეხა მისი ჯანმრთელობა. მიუხედავად ამისა, რომ მ. ემინესკუ კონსერვატიულ გაზეთში თანაშრმოკლობდა, იგი კონსერვატორი არ გამხდარა. პოეტი ამ გაზეთშიაც კი გამოიჩინა ხალხის უფლებების დამცველად, ამოთრახებს მასების ჩაჯვრისა და ექსპლოატაციის საწყაროს. მ. ემინესკუს მოღვა-

¹ გრ. აბაშიძემ ამ ლექსის სათაურს თარგმნის როგორც „გარყვნილი ჰაბუეები“.

წყობის ეს პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი იყო. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი „წერილები“, რომლებიც ღრმა რეალისტურია და კრიტიკული ხასიათისაა, სადაც ნაჩვენებია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოების გადაკვარების სურათი.

მ. ემინესკეს მომდევნო ხანის ლექსები პესიმისტურია. პოეტი სულიერად ეცემა. მის ძულს კაპიტალისტური სამყარო, მაგრამ ვერ პოულობს გამოსავალს და იმედგაცრუებულია.

ცხოვრების მძიმე პირობებით ილაჯაჭვყვეტილი მ. ემინესკე სულიერად დაეცა და, საშინელ მატერიალურ სიღიწროვეში მყოფი, არსებობის საშუალებას მოკლებული პოეტი, ხალხის მიერ შეგროვილი სახარებით მყრნალობდა. 1889 წლის 15 ივნისს მ. ემინესკე გარდაიცვალა. ასეთია მ. ემინესკეს ცხოვრების გზა.

• •

მ. ემინესკე სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკ. 60-იან წლებში გამოვიდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთის მიერ წელში გატეხილი თურქეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში პოზიციებს თანდათან კარგავდა და რუმინეთი დამოუკიდებელი განვითარების ფართო სარბიელზე გამოდიოდა. თუკა უცხოელთა ბატონობის უღელს თავდაღწეული რუმინეთი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სამეურნეო და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ ველური თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის წყალობით იგი კვლავ ჩამორჩენილ, ნახევრად ფეოდალურ ქვეყანად რჩებოდა, სადაც, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მიუხედავად, წარმოების შესაბამისობებიც წესებში ბატონობდა. მართალია, დროის მოთხოვნების გამო, 1864 წელს, რუმინეთში გატარდა რეფორმები, მაგრამ რუმინეთის სუსტი ბურჟუაზია, სხალხი მოძრაობის შიშით, ფეოდალური არისტოკრატისთან შეთანხმების გზას დაადგა და მოიტყვე. ნახევრად რეფორმებს გლეხობის მდგომარეობა არ შეუშუბუტქებია. ამასთან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური მოთხოვნების გამო, რუმინეთის მშრომელი მოსახლეობა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატისა და რუმინელი და უცხოელი კაპიტალისტების ორმაგი ექსპლოატაციის ობიექტი გახდა.

მ. ემინესკეს პოეზიაში აისახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ჩაყვრის წინააღმდეგ რუმინეთის მშრომელი მასების აღშფოთება. ექსპლოატატორებისადმი სიძულვილი პოეტმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილ ლექსებში („გარყენილი კაბუკები“, „ჩვენი ახალგაზრდობა“ და სხვ.) გამოხატა.

განსაკუთრებულ უფრადღებას იმსახურებს მ. ემინესკეს ლექსი „იმპერატორი და პროლეტარი“ („ლანდები დროის ტილოზე“) ამ ნაწარმოებს თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ვენაში სწავლის პერიოდში ემინესკე შეუღდა ლექსის წერას სახელწოდებით: „პროლეტარი“ ან „პროლეტარის იდეები“. ლექსის ეს პირველი ვარიანტი, „პროლეტარის“ სახელწოდებით, დაიწერა 1870 წელს, რომელიც შეიცავდა მხოლოდ სოციალისტი აგიტატორის სიტყვას. შემდეგ, როგორც აღენიშნეთ, ემინესკე სწავლის ფარგლებს ბერლინში (1872 — 74 წწ.), სადაც ხსენებული ლექსის ახალი ვარიანტი ჩნდება სახელწოდებით — „ლანდები დროის ტილოზე“, რომელიც პარიზის კომუნის გავლენით იყო დაწერილი. ლექსის მესამე ვარიანტი, „იმპერატორი და პროლეტარი“ სახელწოდებით, დაიბეჭდა ქ. იანში 1874 წელს, სადაც ავტორის შეკვეცილი აქვს რეველუციური ხასიათის რამდენიმე სტროფი და ბოლოს გაკეთებული აქვს სექტარული ხასიათის დასკვნა, რაც ეწინააღმდეგება დანაწეისს.

ხსენებულ ლექსში პოეტი აღაპარაებს აგიტატორს, რომელიც ამიშვლებს არსებულ უსამართლო სოციალური და პოლიტიკური წყობილების სურათს:

„აბა სად არის სამართალი? მხოლოდ მდიდრების

ქონებას იცავს კანონებას მტკიცე კედელი, სასახლეებიც მათ ეკუთვნით, ბოლიც.

მინდერებიც,

ხოლო ათასებს — გამოჰმეღვლეთ მათი დიდების,

მარტო ტანჯვა და შრომა რჩებათ

განუწყვეტილი“.¹

აგიტატორი ცდილობს გაათავისუფლოს მასები ცრურწმენისაგან. იგი არწმუნებს მეშებს, რომ ღმერთი ბატონებმა გამოიგონეს, რათა ერთგულად გვემსახურონო:

„იმ ქვეყნად მიტომ აღვითქვამენ ჰელს და

რომ აქ, ამ ქვეყნად გეყყოლიონ ერთგულ მონებად,

და ხარბებით გაწევიონ მძიმე უღელი“.²

მოაგონებს რა არსებულ უსამართლო სოციალური წყობილების საშინელებას, სადაც მშრომელთა „ხეუდრია — სიღარიბე, ცრემლი, სხალდი“, ხოლო „ბატონთა ხეუდრი ღინი, სუფრა, ღვინის ნაკაი“, აგიტატორი რწმუნებს უნერგავს მეშებს, რომ ისინი, — თუ ინდომებენ,

¹ მიხეილ ემინესკე, ლექსები, სახელგამო, თბილისი, 1956, გვ. 15 (თარგმანი გრ. აბაშიძისა)

² იქვე, გვ. 16.

თვით შექცეულით გახდნენ ქვეყნის მპყრობელნი:

„ქვეყნის მპყრობელნი, თუ ინდომებთ, თვითონ გახდებით, თქვენ მრავალნი ხართ, ბატონები — თქვენზე უკეთესნი, ნუ იცავთ მკერდით, დე დამისხარვის მათი ტახტები, ნულარ აშენებთ საპყრობილეს: რატომ არ ხედებით, რომ იგი ისევ თქვენთვის არის ტანჯვის მომტანი“.¹

შემდეგ ავტობიოგრაფიული მოწოდებაზე, რათა მოსპობოლ იქნას „ქვეყნის მართვის უკუღმართული“ წესი, რომელიც ღარიბს მდიდარს „აქელენებს ფუტკვემ ცბიერად“:

„მამ მოსკეთ წესი ქვეყნის მართვის უკუღმართული, მდიდარს რომ ღარიბს აქელენებს ფუტკვემ ცბიერად; რაკი სამოთხე არ არსებობს ღეთისგან აღთქმული, დე ცხოვრებაში იყოს ყველა წელგამართული. ეიცხოვროთ მძურად, თანასწორად და ბედნიერად“.²

ამ ლექსში, პოეტი გვევლინება არა მარტო უსამართლო სოციალური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი, ჩაგრული მასების მოსარჩლე და ჭოშავი, არამედ ემინესკუ აქვე ლამარკობს აგრეთვე ბედნიერ მომავალზე როცა გაჭრება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციი, როცა „სიღარიბისაგან გაჩენილი გაჭრება სენი“ და ადამიანები იცხოვრებენ ბედნიერად.

რუმინულ ლიტერატურაში მ. ემინესკემ პირველმა უმღერა პარიზის პოლუტარიატის გმირულ ბრძოლას. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ემინესკე რუმინეთის მშრომელი მოსახლეობის განსაუკეთებელი სიუჟარტული საზღვრობდა.

საყურადღებო ნაწარმოებია მ. ემინესკეს „წერილები“, დაწერილი პოეტის მიერ გაზეთ „ტრუმული“ („დროება“), მეშობის პერიოდში. პირველი ოთხი წერილი პოეტმა გამოაქვეყნა 1881 წელს, ხოლო მე-5 გამოქვეყნდა მ. ემინესკეს გარდაცვალების შემდეგ (1890 წელს). ამ სატარულ ხასიათის ნაწარმოებებში ასახულია პოეტის სიძულელი კაპიტალისტური სამყაროსადმი, კერძოდ, პირველ წერილში ნაჩვენებია ბურჟუაზიული საზოგადოების ზიზილი შეკრებისა და არტისტის კეთილშობილური შრომისადმი; მეორეში — პოეტი გაიხივებს კაპიტალისტურ სამყაროში ტალანტის განვითარების შეუძლებლობას, რადგან ისინი

თვლიან, რომ ხელოვნება ბურჟუაზიულ საზოგადოებას უნდა ემსახურებოდესო; მეოთხე და მესამე — მიმართულია ბურჟუაზიული შრომის რალის წინააღმდეგ. ყველაზე საყურადღებოა „წერილი მესამე“, როგორც მხატვრულად ძლიერი და პოლიტიკურად მახვილი. პოეტი ებრძვის გაბატონებული კლასების ყაღბ პატრიოტიზმსა და კონსოლიდირებში, იმ მიზნით, რომ მკვეთრად გაუსვას ხაზი ბურჟუაზიული პოლიტიკოსების მორალურ დაცემელობას. მათ ყაღბ პატრიოტიზმს, ემინესკეს ბურჟუაზიული დემოკრატიის კარიკატურული პორტრეტის გვერდით მოყავს პატრიოტული სახე რუმინეთის მთავარ მიზნისი. აქ წარსული აწმყობითან შესივარეზილად მარჯვე ისტორიული მოქმედებია შერჩეული, რადგან მიზნა ისტორიული პიროვნება იყო, დიდი პატრიოტი, რომელმაც გაანადგურა თურქები როეინის ბრძოლაში 1394 წელს¹, უკუაგლო თურქების პირველი ცდა გადაეღება დენაი.

ემინესკეს შემოქმედებას შეზღუდულობის დღაც ამის. იმ დროს როცა ევროპის მეშობა კლასის კაპიტალიზმთან საბრძოლველად მიწინავე რევოლუციური თეორიით — მარქსიზმით იარაღდებოდა, ემინესკე, თუმცა იცნობდა მარქსს, მაგრამ რჩებოდა ეტროპიერი სოციალისტის მოხიციებზე. მის ლექსებში დროდდრო გაისმის უიმედობისა და პესიმიზმის განწყობილება. მაგრამ ემინესკეს ლექსების ძალა იმ განყენებული ეტროპიერი იდეალებში კი არაა, რომელიც პოეტის ცნობიერებაში იხატებოდა, არამედ მათ ხალხისადმი სიყვარულის პათოსში, მისა მტრებისადმი სძულულობა, მათ მზუნებაზე ანტიბურჟუაზიულ-მოწოდებაში, მათ სიმარტლესა და უბრალოებაში. ემინესკეს მსოფლმხედველობის ჩამორჩენილობა რუმინეთის სინამდვილით იყო გაპიროვნებული.

რუმინელი ხალხის დიდი ეროვნული პოეტის მიზი ემინესკეს ლექსების ქართულ ენაზე გამოცემა საყურადღებო მოვლენაა ორი მოძმე ხალხის ცხოვრებაში. ნიჭიერმა ქართველმა პოეტმა გრ. აბაშიძემ მის მიერ შესრულებული კარგი თარგმანებით, რომელთა უმრავლესობას ორიგინალის სიზუსტე და ელერადობა ახასიათებს. შესაძლებლობა მისცა ქართველ მკითხველთა დართო მასის, ახლო განცნობოდა რუმინელი პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლის საუკეთესო ქმნილებებს, რითაც ხელი შეუწყო რუმინელი და ქართველი ხალხების ერთმანეთთან დაახლოების საქმეს. ემინესკეს ლექსების ქართულ ენაზე თარგმნა რუმინელი და ქართველი ხალხების კულტურისადმი სამსახურია.

¹ გრ. აბაშიძეს შენიშვნებში შეცდომით უწყობაა 1384 წელი. შტრ. მ. ემინესკე, ლექსები, თბილისი, 1956, გვ. 76.

¹ იქვე, გვ. 17.
² იქვე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საჭიროდ მიგვაჩნია ქართული თარგმანის მიმაჩთ რამდენიმე შენიშვნა გავეეთთოთ:

ლექსში „ღანდები დროის ტილოზე“ დაშვებულია შეცდომები, განსაკუთრებით ერთ სტროფში დამახინჯებელია ავტორის აზრი, რაც რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის უკარგისობითაა გაპირობებული.

რუსული თარგმანი ასეა გაკეთებული:

«На деревянных лавках кобачьего при-
тона,
Где свет едва сочился сквозь тусклое
стекло,
За узкими столами угрюмо, утомленно
Сидели оборманцы рабочего района, —
Сюда их безнадежье и горе привело!»

გრ. აბაშიძეს ქართულად ასე უთარგმნია:

„ზნელ ტავერნაში, სადაც შუქი ძლივს ატანს
მურთალი,
ხის გრძელ სკამებზე სუფრებს უსხდნენ
მაწანწალები,
მათი ყავანით ირეოდა ღუქანი მურალი,
რისხვას აფრჭვედა შაბი მზერა ეშტა და
მწყრალი

და სახეები დაქანცული და ნაწეალები“².

მართალია, ლექსის მთარგმნელს ვერ მოვთხოვთ, რომ მან ზუსტად დაიცივას ტექსტი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შეგვიძლია ავტორის აზრის ან გარკვეული სოციალურ ფენასთან თუ კლასთან მისი დამოკიდებულება დამახინჯებლად წარმოვიდგინოთ. მ. ემინესკუ პარიზის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას სიმპათიით ეპყრობოდა, რაც ნათლად ჩანს ლექსის მომღვეწო სტროფებიდან, და რატომ უნდა წარმოვადგინოთ პოეტი, როგორც ანტი-პათოტიკად განწყობილი პროლეტარიატისადმი?

¹ იხ. Михаил Эминеску, стихи, Москва, 1950, стр. 20.

² იხ. მიხეილ ემინესკუ, ლექსები, სახელგამი, თბილისი, 1956, გვ. 15.

ემინესკუ პროლეტარებს „მაწანწალებს“ არ უწოდებს, დედანში არც „მათ ყავანზეა“ ლაპარაკი. ლექსის სხელებული სტროფის ზუსტი თარგმანი ასეთი იქნება:

„ღაბალ ბნელ სამიკეტნოში, სადაც ღლის შუქი ქუჭვიანი ფანჯრებს ძლივს ატანს, ხის (გრძელ) სკამებზე, გრძელი მაგიდების ირგვლივ, პირქუშად, მოწყენილი (დაღვრემილი) სახეებით, იჯდა მოხეტიალე გვეფთი პლებები პროლეტარების საწყალი სცეპტიკოსი შეილები“.

ნ. ასევეს „o ceată pribegită“ რუსულად „ობორманцы“-ით უთარგმნია, რაც არაა სწორი. Ceată“ ნიშნავს „ხალხს“, „ხალხის ჯგუფს“ („толпа“, „группа“, „множество“); იგი ნიშნავს აგრეთვე „ბანდა“-საც. მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, მის ასეთი მნიშვნელობა სრულეზითაც არა აქვს. რაც შეეხება „pribegită“-ს, „pribegit“ ნიშნავს „ხეტიალს“, „სამშობლო მხარის მიტოვებას“ („скитаться“, „блуждать из родного края“), ხოლო pribegit „მოხეტიალეს“, „მოგზაურს“, „სამშობლო მიტოვებულს“ („скитающийся“, „странствующий“, „покинувший родину“).

რა თქმა უნდა, ემინესკუ ლაპარაკობს სახლკარ მიტოვებულ პლებები პროლეტარებზე, რომელიც ლექსმა პერის საშოვნელად ქალაქს შეხიზნებია, რომელთაც ავტორი, შეგნებულ მუშა, აძლევს დარიგებას, მიმართავს მოწოდებით. რუსმა მთარგმნელმა მთლიანად უგულებელყო დედნის გამოთქმა „პლებები პროლეტარია“ და „ობორманцы“ დატოვა. გრ. აბაშიძეს რუსი მთარგმნელის შედარებით რბილი ნიუანსი „ობორманцы“ — „მაწანწალებად“ უქცევია, ხოლო შემდეგ, რატომღაც, ტექსტისათვის დაუმატებია ამ ხალხის „მურალ ღუქანში“ „ყავანიც“ რაზედაც არა. ცდ არაა ლაპარაკი ტექსტში.

ეს მცირე შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ იმ მუშაობის მნიშვნელობას, რომელიც გრ. აბაშიძეს გაუწევია ემინესკუს ლექსები, საერთოდ, ბრწყინვალეაა ქართულად გადმოცემული სიტყვის ისეთი გამოჩენილი ოსტატის მიერ, როგორიცაა გრ. აბაშიძე.



ალაგირელი ქართველები

ცარიზმის პირობებში უმიწაწელო რაჭველი გლეხები გარესამუშაოზე მიისწრაფოდნენ. ამ შემთხვევაში მათი თავშესაფარი დიდი რუსეთის (და სხვა ქვეყნების) ტერიტორია იყო.

ეს გარემოება კი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რაჭველებს, ემუშავათ და ეცხოვრათ როგორც რუსეთის, ისევე მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიის რაიონებში და ზოგჯერ მკვიდრი სოფელიც გაეშენებინათ, თუმცა 100 წელი რომ ეცხოვრათ ძველი რუსეთის ტერიტორიაზე, მაინც საბუთებში ამოიკითხავდით დამამკირებელ სიტყვებს: „დროებითი მცხოვრები“.

მიუხედავად ამისა, ქართველები მაინც რუს ხალხში ხელაღდნენ ნამდვილ მეგობარს, რაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ უტყუარ ფაქტად აქცია.

ზემო რაჭველებისათვის რუსეთისაკენ სამზადებლად შრომად ერთი უახლოესი ოსეთის სამხედრო გზა იყო, მამისონის უღელტეხილით. მგზავრობდნენ უმეტეს შემთხვევაში ქვეითად, ხოლო ზოგჯერ ოსების ურმებით სარგებლობდნენ. (ოსები სისტემატურად ეზიდებოდნენ ოსში საკლთარ სიმინდსა და პურს). სხვა სატრანსპორტო საშუალებები კი არ იყო. ზამთარში მგზავრობა მეტად შეზღუდული იყო მამისონის უღელტეხილის მრისხანების გამო.

ორი გრომის საშოვნელად მიმავალ რაჭველებს ოსეთის სამხედრო გზით კავასონის მთის კალთებზევე მდებარე სოფელ ალაგირზე უხდებოდათ გაცლა. ამ სოფელმა კი შშრომელი რაჭველების ყურადღება იმათათვე მიიპყრო და ზოგ მათგანს იქ დასახლების სურვილმაც კი გაუღელა გულში. როგორც უხვმოსავლიანი ადგილი, სადაც პური, სიმინდი, კარტოფილი და ხილი უხვად მოდიოდა, ასევე ის გარემოებაც, რომ ამ სოფელში მოქმედებამი იყო ტყვიანუკრის ქარხანა, რომელიც ბელჯიის კომპანიას ჰქონდა აღებული, — ყველაფერი ეს ხელს უწყობდა როგორც მებრველებსა და ლაბკანდებს, აგრეთვე სხვებს, თანდათანობით შეკედლებოდნენ ამ სოფელს და თავიანთი შრომით მოეპოვებინათ სარჩო-საბადებელი. ეს ასეც მოხდა.

რაჭველებმა სოფელ ალაგირში დასახლება იწყეს 1870—1880 წლებში და პირველად 15-20 კომლამდე ლაბკანდები და მებრველები დასახლდნენ 1919 წლისათვის კი აქ რაჭველები 260 კომლზე მტკს აღწევდნენ. (ჩასახლებული

იყვნენ ონის ყოფილი მახრის სოფელ უწყარიდან — მებრველები, სოფ. ბაჯიხვიციდან და ხერზინისიდან — ლაბკანდები, სოფ. ჭიორიდან — რეხვიანები, სოფ. ეამჭვიდან — თოკაძეები, სოფ. წედისიდან — მისურაძეები და სხვ.)

ალაგირი ტერიტორიულად თერგის ოლქის ვლადიკავკაიციდან (ამჟამად ქალ. თრჯონიცი) დაშორებულია 52 კილომეტრით და ცალკე სამმასახლისოს შეადგენდა. ალაგირის ძირითადი მოსახლეობა ოსებისაგან შედგებოდა, ხოლო, გარდა ქართველებისა, 120 კომლამდე რუსებიც ცხოვრობდნენ.

მომუშავე ამონაწერი ეურნალ „განათლებიდან“ (1912 წლის) სათაურით: „ალაგირელ ქართველთა ევლტურული ნაბჯი (წყაროლი ჩრდილო კავკასიიდან):“

„ქალაქ კავკაიციდან დასავლეთისაკენ 52 ვერსის მანძილზე სოფელი ალაგირი მდებარეობს. ალაგირს საზღვრავს: აღმოსავლეთით მდინარე არდონი, ჩრდილო აღმოსავლეთით სოფელი სალუგარდანი, დასავლეთით სახელმწიფო ტყე, სამხრეთით ოსეთის სამხედრო გზატკეცილი. ადმინისტრაციულად ალაგირი თერგის ოლქის კავკაიის განყოფილების შესამე საბოლით უბანს ეკუთვნის.

ალაგირი შავი ზღვის ზედაპირთან 2096 ფუტის სიმაღლეზე ძვეს და კავკასიის მთათა მწყობის კალთებზევე საუკეთესო მდებარეობის ადგილი უქირავს: მარად დეშშრიალი, ჯანსაღი, მთის ანკარა, გემრეილი კალმახით მდიდარი მდინარე არდონი, ნაყოფიერი და მოსავლიანი სისხე-სათესი მიწები, მრავალი საბაღოები, სამი მხრით შემორტყმული ვეებერთელა ტყეები. თი რა შეადგენს ალაგირელ მკვიდრთა სიამაყესა და სიმდიდრეს. სწორედ ეს უხეად დაჯილდოებული ბუნება და მასთან სახე-სათესი მიწების რაოდენობის სიმრავლე ყოფილა იმის მიზეზი, რომ უადგილობით შეწყუბებული რაჭველი გლეხთაგანამ ამ 30 წლის წინ გადმოსახლებულა ალაგირში და ჩვეულებისამებრ ხარბად დასწავებია მებრუნობას. პირველი ემიგრანტები, რომელთაც წილად ხდომიით საძირკველის გასკენა და საფუძელის ჩაყრა ალაგირში, ყოფილან თხუთმეტიოდე კომლი ლაბკანდები და მებრველები. იმ დროს ალაგირში მოქმედებდა რუსეთის კომპანიის ტყვიანუკრის ქარხანა, სადაც სადონის სამთო-მადნებიდან (35 ვერსის მანძილზეა ალაგირიდან) ეზიდებოდნენ

მადანს. ამ ქარხანას მიუზღიდავს რუსეთიდან უსაქმოდ დარჩენილი მუშები. როცა ქარხანას შემოაბოა შეუწყვეტია, რუს მუშებს აუღიათ იჯარით ხაზინიდან სახნავ-სათესი მიწები და საბალახო ადგილები, რასაკვირვებელია, თითქმის მჭკთან და მურნარნობისათვის მიუყვიათ ხელი. ვარდა იმისა, რომ თვითონ ამუშავებდნენ იჯარით აღებულ მიწას, მოთხოვნილებებზე გადამტებულ ნაკვეთებს აქირავებდნენ დესიატინობით: სახნავ მიწებს წლიურად 3 მანეთად — დესიატინას, ხოლო საბალახოს — ათ შუარად, ასეთ იაფ ფასებში ადგილებს აება ძლიერ ხელსაყრელი და სასარგებლო შეიქმნა ახლად გადმოსახლებულ შრომის მოყვარე რაჭველებსათვის. ისინი ბეჯითად და ენერგიულად შეუდგნენ ბაღებისა და ბოსტნების გაშენებას, ზენა-თესვისა და, ამ, მალოდ ეს დარგი მურნარნობისა შეადგენდა მათ ცხოვრების სახსარს, უმეტეს ნაწილად და უმთავრესად შეადგენს დღესაც. გადმოსახლებულთა რიცხვს პროგრესიულად დაუწყია ზრდა და დღეს ალაგირში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი 200 კომლამდე აღის, რაც 1000 სულზე მეტს შეადგენს (ორთავე სქესის). ქართველები თითქმის ყველა რაჭიდან გადმოსახლებულნი არიან. ზემოხსენებულ 200 კომლში შედიან: 46 კომლი ლობჯანიძე, 32 კომლი მეტრეველი, 20 კომლი რეხიაშვილი, 5 კომლი გუგუშაშვილი, 4 — ზიკვილაძე, ხიდუშვილი, ვახისიანი, ჩიხლაძე — ოთხ-ოთხი კომლი, გობეჯიშვილი, გვაშელიშვილი, ჯაფარიძე, სულთანიშვილი, ტაბუკიძე, ალაიძე, დოკუაძე, სხირტაძე, მაისურაძე — ორ-ორ კომლი, ჩაგალიშვილი — 3, საბანაძე, მინდელიშვილი, გვაგური (კახეთიდან), გამყრელიძე და სხვა თითო კომლი... თუ მივიღებთ მუდგეგობაში, რომ მიუღს ალაგირში 4550 სული მცხოვრები ითვლება... ქართველები შეადგენენ თითქმის მთელ მცხოვრებთა მეოთხედ ნაწილს.

მიუხედავად იმისა რომ დღეს საგრძნობლად აწეულია სახნავ-სათესი მიწის ფენები, (სახნავ-სათესი — დესიატინა იცემა 30 მანეთად, საბალახო — 15 მანეთად) ქართველები, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, უმთავრესად მიწის შემოაბას ეყვებიან. სიმანდი, პური, ლილიფრა, კვხა, ბოსტნეული და სხვა. ბარაქიანად შობის. აქაური ვაშლი, ქლიავი, მსხალი ხომ საუკეთესო ხილად ითვლება*.

ალაგირში არსებული ტყვია-ვერცხლის ქარხანა მოუღიდენლმა ხანძარმა იმსხვერპლა და შემდეგში აღარ აღუდგენათ. მუშები იძულებული იყვნენ სოფლის მურნარნობისათვის მიუყვიათ ხელი.

ტყვია-ვერცხლის დამუშავება ვლადიკავკაში გადართანეს, ხოლო მადანს საღონის საშოთ მადნებიდან უზღებდნენ ალაგირში დასახლებულ რაჭველებში. მათ მადანის ჩაზღიდა უზღებოდათ საღონიდან ვლადიკავკაშიმდე, რომლის შორის მანძილი 87 კილომეტრამდე შეადგენს.

ალაგირში დასახლებულ ქართველებს თავიანთი სახნავ-სათესი მიწები არ მქონდათ და სახნავ მიწებს იჯარით იღებდნენ მოთხოვრებულ ვაქარ ვაბო ბასიციუსაგან. ასევე იჯარით იღებდნენ საეკლესიო მიწებს, მაგრამ იჯარა იმდენად ღირდ იყო, რომ მოსაგლის ნახევარზე მეტ, იმდროინდელი ფასების მიხედვით, იჯარას უნდებოდა.

მაგალითად, ერთ დესიატინა სახნავ მიწაზე ბასიცი და იქაური საშლედელოება 40 მანეთამდე იღებდა იჯარას, ფული პური კი 70 კაპიტიან 1 მანეთამდე ღირდა.

ეს ვარკვეობა კი ალაგირში მცხოვრებ ქართველებში თანდათანობით აღვივებდა მეფის წყობილებისადმი სიძულელს და უნერგავდა მათ რევოლუციურ განწყობილებას.

ალაგირელი ქართველები ნათლად ხედავდნენ, რომ იჯარით აღებულ სახნავ-სათეს მიწებს არაეითარი სარგებლობა არ მოქონდა მათთვის. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ გარესამუშაოზე გადასულიყვნენ და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში სამუშაო ეძებნათ.

ვარდა რუსეთის ფარგლებისა, რაჭველებმა იწყეს წასვლა ამერკავშიც, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო.

ეს მოხდა ასე:

1911 წელს ამერიკიდან ჩამოსული იყო ერთი კომპანიის წარმომადგენელი და ჯგუფიანი მუშები. ზოგიერთი წამოიყვამის ანკესზე და ქართველებიდან, პირველმა, ბასილა სულთანიშვილმა გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ გზის ხარჯი ხომ უნდოდა წასლას? ეს კი ისე იაფი არ ჯდებოდა. ალაგირიდან ამერკავში ჩასვლას უნდოდა 200-250 მანეთი. ბასილა სულთანიშვილი იძულებული იყო თავისი საკუთარი ერთადერთი უღელი ხარი გაეყვია.

გავიდა რამდენიმე თვე. სულთანიშვილს მონატრა ალაგირი, თავისი მეგობრები და მოიწერა 100 მანეთი ნასესხები ვალის გადასახდელად. სოფელში გავარდა ხმა, რომ ბასილას ფული გამოუგზავნია, ალბათ კარგი მუშაობაა ამერკავში. ისესხეს ფული და 1912 წლის დასაწყისში გაემგზავრნენ: ლუკა გავაშელიშვილი, საღონი ჯაფარიძე, იავორ გამყრელიძე და რამდენიმე სხვა. მათი გამგზავრების შემდეგ კი მასობრივად იწყეს რაჭველებმა გამგზავრება 1912-1913 წლებში. სულ ალაგირელ ქართველთაგან წასული იყო ამერკავში 80 კაცზე მეტი (ალაგირში ცხოვრობდნენ 260-280 კომლამდე). სამგზავრო ფული ძირითადად ვაჭრებისაგან ისესხეს პროცენტებში თამასოქებით. მათ შორის მამანქიცი იყო წასული ამერკავში.

თი რას მოვითხოვობენ მაქსიმე თვალისძებ რეხიაშვილი და ექიმო იყან საბასიძე ლობჯანიძე (ამჟამად ცხოვრობენ ლავოდუში): „ჩვენ ტანჯობის მეტი არაფერი არ გვიჩაბას ამერკავში. მუშაობა გვიხდებოდა დღიურად შავ სამუშაო-

ებზე, იმდენად შეზღუდული გეონდა პირობებში სამუშაოს პროცესში, რომ დალაპარაკების უფლება არა გეონდა. თუკი ეინშე მუშაობის დროს დალაპარაკებდა, იმას საღამოზე გასწორებულ პქონდა საბოლოო ანგარიში. სამუშაოს ზედამხედველს რომ შეეკითხებოდა: რა მიზეზია, რომ სამუშაოდან მათავისუფლებო, ვიპასუხებდა, მუშაობის დროს რომ დაილაპარაკე, იმიტომ. ამ სახით განთავისუფლება იმ მუშას, რომელსაც იქაური ენა არ იცოდა, საგონებელში აგდებდა, უძნელდებოდა სხვაგან სამუშაოს შოვნა და დღეებისა და კვირის განმელობაში უმუშევრად რჩებოდა. თამბაქოს მოწევა არ შეიძლებოდა მანამდე; სანამ თუითონ ზედამხედველი არ მოისურვებდა. ასეთ პირობებში ვეიხდებოდა მუშაობა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10-12 საათი იყო, ხოლო დღიური მუშა უმნიშვნელო ხელფასს იღებდა, არ გვერდობდა ბონის ქირასა და საკმელ-სასმელში. სამუშაოებზე მოწაობილი იყო სასადილოები და ტუყის გვაპრობდნენ, საკმელი განა ჰევი სურვილის მიხედვით მოქონდათ. მათ უნდოდათ სურსათ-სანოვავე გასალეხული მუშებზე. იმიტომ სადღეზე 5-6 თავი საკმელი მოქონდათ, ასევე დესერტები, გვიქვითავდნენ ხელფასიდან და ამის შედეგად ჩვენ არაფერი აღარ ვერჩებოდა. 1913 წელს ალაგირელი ქართველები 40 კაცამდე ემუშაობდით ერთ-ერთი რკინიგზის კომპანიის ხაზით გზის სამუშაოებზე. ამ სამუშაოებზე ვიმუშავებთ დაახლოებით სამი თვე და მძიმე, აუტანელ პირობებში ვეიხდებოდა მუშაობა. დამის გათვება ვეიხდებოდა „პლატკებში“. როდესაც ჩვენზე გაპრობებულ უბანზე სამუშაო დაეამთავრეთ, ვაგვისწორებს საბოლოო ანგარიშში, დღეში შეიდ-შეიდა კაპიტი შეგახებდრეს. აი ასეთ შეზღუდულ პირობებში მუშაობის შედეგად კარგი რა უნდა გვენახა ამერიკაში. მუშაობა ვეიხდებოდა ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკაში და ნაწილობრივ კანადაშიც (ქალაქები: ვანკუვერი, სიეტლი და სხვა)“.

ამიტომ იყო, რომ ყრუ-მუნჯ ვიო ივანესძე გუგუშაშვილს, რომელიც მუშაობის დროს ლაპარაკით თავს არავის შეაწყენდა, უფლება მისცეს ბალტიის პორტ ლიბავიაში, რომ ამერიკაში წასულიყო. გემში ჩაჯდომის წინ ყველა ალაგირელი ქართველის გაპრობობა შეამოწმეს და მიხეილ ქიტცას ძე ქებაძესა და სხვებს უფლება არ მიცეს ამერიკაში წასვლისა და ლიბავიის პორტიდან უკანვე დაბრუნდნენ სოფელ ალაგირში, იმიტომ რომ მიხეილ ქებაძეს თვალზე ნეტარს წვერის ოდნა ზიანი შეამჩნიეს, მას ეს პატარა წვერითი დაბადებიდანვე თანდაყოლილი ქონდა და 40 წლის ასაკის კაცის მხედველობაზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. ენო საბას-ძე ლობჯანიძეს (ხელნობით მქედეს) უფლება არ მისცეს ამერიკაში წასვლისა იმის გამო, რომ ცოტა ელამი იყო.

ამერიკელებმა არავის წასვლის უფლება არ

მისცეს, ვისაც კი წვერი ჰქონდა. მამანქს ბეერჯერ უთქვამს: „იმდენად შეჩვეულნი ვიყავით წვერს და პატრესა ვეცმდი, რომ, როდესაც ვამოვიციხადეს, ვისაც ამერიკაში წასვლა გინდათ, წვერი გაიპარსეთო, გადაეწვერიტე, აღარ წასულიყავი და ვაპირებდი პორტ ლიბავიიდან უკან დაბრუნებას, მაგრამ შემომიჩინდნენ ამხანაგები და წამიყვანეს საპარკმებროში და გამპარსეს“. ამ მიზეზით ასევე დაბრუნებას აპირებდა თურმე ზერაბ ჩიცილაძე, ივანე ბუკისძე მებრეველი, მისია გუგუშაშვილი და სხვები.

ასევე არ უშეებდნენ ამერიკაში, თუ თან სოფლის მოსახლეობაგან ხელის მოწერა არ გვექნებოდა მათს ვინაობაზე. მე პირადად 20-30 კაცის სახელით მომიწერია ხელი, თუმცა, ასაკის მიხედვით, უფლება არ მქონდა (ვიყავი 13 წლისა). როგორც მასსოვს, ასაკის მიხედვით არანაღებ მესამედს უნდა მოეწერა ხელი, იმ დროს კი წერა-კითხვის მცოდნე იშვიათად მოიძებნებოდა.

ვისაც გზის ფული არ ჰქონდა, ამერიკაში მოუხდა დარჩენა და, სანამ, გვარი არ გამოიცვალეს მანამ იქაურ პასპორტს არ აძლევდნენ. მაგალითად, თომა ჩიცილაძე, რომელიც 1913-1958 წლებში ამერიკაში იყო, იწერებოდა: „მისტერ ჩიგლო“, პართენ ჩიცილაძე — „მისტერ ჩიგლო“, კელიძე — „მისტერ ჩელიძე“ და სხვა.

ქართველებმა ჯერ კიდევ 1914-1915 წლებში განიზრახეს წამოსულიყვნენ ამერიკიდან, დაბრუნებოდნენ თავიანთ ოჯახებს, მაგრამ ვერ შეძლეს წამოსვლა მამგზავრო ფულის უქონლობის გამო. ამ ხნის განმავლობაში, როგორც იქნა, ბევრმა შეავრთვა ფული და 1916 წელს მასობრივად დაიძრნენ ამერიკიდან. თუ აქედან ბალტიის ზღვით მოუხდათ წასვლა ამერიკაში, იქიდან ჩამოვიდნენ იაპონიაზე გამოვლით. ეს იმიტომ, რომ რუსეთი გერმანიასთან იყო ომში ჩაბმული, ხოლო იაპონია რუსეთის მოკავშირედ თვლებოდა.

1916 წელს მე სადგურ ტიბორეწკაში ემუშაობდი მოკავშირედ კერძო ვაჭრებთან, როდესაც მამანქმი, ქალაქ ცარიცინზე გამოვლით, ტიბორეწკაში ჩამოვიდა. მამანქმა ძალიან ვაჭარდა, რომ მანახა და თან ტირილი მოერია სიხარულით. მასთან ერთად 30 კაცამდე იყვნენ ჩვენი სოფლები და იმ დღესავე გაემგზავრნენ როსტოველდიაკავის მატარებლით, სადგურ დარგოხიდან ეს „ლინე-იყებით“ ან ურმებით უნდა ასულიყვნენ ილაგირში (25 ელომებტრია).

ქართველებმა, როგორც აღინიშნა, ალაგირში დასახლება იწყეს 1887-1880 წლებში და 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სკოლის ღირსი ვერ გახდნენ. ბეერჯერის დასვეს საკითხი მთავრობის წინაშე, თხოვნაც ბევრი გაგზავნეს, მაგრამ თხოვნა თხოვნილ რჩებოდა და ქართული სკოლის გახსნის უფლებას არ აძლევდნენ.

დიდი წვადებისა და ტანჯვის შემდეგ, როგორც იქნა, 1897 წელს დართეს ნება სამრეწველო სკოლის გახსნისა.

ქართულებს მოსწყინდათ ყოველწლიურად სკოლის ჭირის შეგროვება და 1910 წელს გადამწყვიტეს ავგოთ სკოლის საკუთარი შენობა.

ბოლშევიკური რაზმები სამოქალაქო ომის ქარცეცხლში თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დენიკინის კონტრარევოლუციური და, აგრეთვე, ნაიოინალური კონტრარევოლუციური ბანდები არაფერს არ ერიდებოდნენ იმისათვის, რომ ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა. ხშირი იყო ცალკეული გამოსვლები ბოლშევიკების წინააღმდეგ, ხოლო ასეთ გამოსვლებს მეფის მთავრობის ცალკეული ყოფილი მოხელეები და ოფიცრობა ხელმძღვანელობდნენ. იმ პერიოდში და, განსაკუთრებით, 1918 წელში კავკასიი ხელიდან ხელში გადადიოდა.

მეფის ჯარის ყოფილმა ოფიცერებმა 1918 წელს შეძლეს შეეცოწოწებინათ ალაგირის რაიონში კონტრარევოლუციური ბანდა, რომელიც ალაგირსა და სხვა რაიონებში ბანდოტურ თავდასხმებს აწყობდა ბოლშევიკების რაზმებზე. ისინი ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, საც, ბევრს კი წუთოსოფელს ასაღებდნენ.

ისე გამწვავებული იყო მდგომარეობა 1918 წელს, რომ ალაგირელი ქართველები მოსავლის ასაღებად ვეღარ მიდიოდნენ, თუ მათ შეიარაღებული ჯგუფი თან არ ახლდათ; გამოყოფილი იყო მცველები გზებზედაც. ასე რომ, გასაქანს არ გვაძლევდნენ არც სოფლად და არც მინდვრად. ალაგირიდან 7 კილომეტრის დაშორებით პურს ღეწავდნენ ქართველები. მიუვადდნენ შეიარაღებული ბანდოტები, ურმები დატვირთეს პურით და გლეხები დაწიოყეს.

არც მენშევიკური მთავრობის გვარდიელები ჩამორჩებოდნენ ძარცვა-გლეჯაში ჩრდილოეთულ ბანდოტებს. მოსახლეობას სისტემატურად ვადაქონდათ ურმებით სიმინდი ორში, მამისონის უღელტეხილით. 1918 წლის შემოდგომაზე ოსების დიდმა ჯგუფმა სიმინდი გადაიტანა ორში გასასვიდოდ და როდესაც უკან დაბრუნდნენ, მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით გავლნიანებულმა გვარდიელებმა ონიდან გამოიგზავრებულ ოსებს თავდასხმა მოუწყვეს და სიმინდის გაყიდვით მიღებული ფული და შექმნილი საქონელი მთლიანად წაართვეს, შემდეგ კი, გამასხარაების მიზნით, შეაჭრეს ყველანი ერთად, გააკეთეს წრე და უთხრეს: აბა, გვიჩვენეთ ოსური ცვერა როგორი არისო, და თითქმის ყველანი აცვერეს.

1918 წელს ალაგირში ჩამოვიდა საშა გეგეკიორი თავისი რაზმით (300-მდე რაზმულით), მენშევიკური მთავრობის მიერ დეინილი.

ალაგირელმა ქართველებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს საშას რაზმს სურსათ-სანოყვანოთ. გარდა ამისა, რაზმელებს მეტ ნაწილს ფეხზე

ალარ ეცვათ. ალაგირელმა ქართველებმა შეიძინეს ფეხსაცმელები და ჩააცვეს რაზმელებს. საშამ ალაგირში დარჩა საშას ტანსაცმის მისთვის სურსათის მიწოდება არ შეგვიწყვიტა.

რაზმს ჰყავდა მხოლოდ ერთი ცხენი, რომელიც საშას განკარგულებაში იყო. ალაგირში ჩამოსვლისთანავე საშას ცხენი სილღვან მტერეველმა წაიყვანა და მისთვის მოვლა-პატრონობა არ დაუკლია. საშა თავისი რაზმით ელადიკავიისაკენ გაემგზავრა.

საშა თავისი რაზმით დაბანაკდა ქართველების ორკლასიანი სასწავლებლის შენობაში და შტაბიც ამავე შენობაში ჰქონდა მოწყობილი. რაზმი მზადყოფნაში იყო ყოველთვის. ალაგირიდან ელადიკავიამდე ტელეფონის ხაზი არ მოქმედებდა და, ამრიგად, კემირი გეგეკიორი იყო ორკლა საშა თავისი რაზმით ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოვიდა, თერჯის ოლქში და მის ვაჟეთაი ძირითადი ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში იყო, ცენტრი კი — ელადიკავი (ორჯონიძე, ბუაჩიძე, მახარაძე, ორახელაშვილი და სხვები) იმყოფებოდნენ ელადიკავიკავში).

1918 წლის ზაფხულში ბოლშევიკების ცენტრში ჩრდილოეთ კავკასიაში ფ. მახარაძე გამოგზავნა ალაგირში და მან ქართველების საერთოკრებაზე მოხსენება გააკეთა, ქართველები დიდი სიხარულით შეხედნენ.

საშას რაზმის ჩამოსვლამ ალაგირში დიდ საგონებელში ჩააგდო ადგილობრივი ოსეთის ნაციონალური საბჭო, რომელიც ბოლშევიკების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებდა. შეუფოთებულმა ნაციონალურმა საბჭომ დელეგაცია გაუგზავნა საშა გეგეკიორს. ამ დელეგაციაში 16 კაცი შედიოდა. შერჩეული იყვნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები, კერძომესაკუთრები; უმთავრესად, მოხუცები. დელეგაცია მივიდა საშასთან ქართველების სკოლის შენობაში. გაიმართა მოლაპარაკება.

დელეგაციამ საშა გეგეკიორს განუცხადა, რომ ისინი გამოგზავნილი არიან იმის თაობაზე, რომ იარაღი აიყაროს მისმა რაზმმა და საამისოდ ორი საათის ვილა მისცეს. საშა ძალზე ააღელვა ამ ამბავმა, მაგრამ არ დაიბნა და განუცხადა მათ, რომ „ამისათვის არაითარი ვადის მოცემა არ არის სპორი, მე ახლავ გეგეკიორს პასუხსო“ და იძრო მუზერი და შესახა: „აკედან დიკარგეთ, თორემ ახლავ დაგზავრებთ ყველას, ვინც თქვენ აქ გამოგზავნეთ იმითაც კული დღე მოელოთო“. დელეგაციის წევრები დაფრთხნენ და მოკურცხლნენ.

საშამ ამით უფვე გაიგო ოსეთის ნაციონალური საბჭოს განზრახვა და დაავალა თავის მოადგიულე ჰევენიძეს, დაეკავებინათ საფრის გალავანი და სხვა სტრატეგიული ქუჩები და ადგილები. დაავალდა დელეგებელიც იქნა შესრულებული. ამ საქმეში საშას გვერდში ამოუდგა ქართველი მოსახლეობა.

საშა თაიის რაზმით 7 დღემდე დარჩა ალაბიკრში, შემდეგ კი, ორჯონიკიძისაგან განკარგულების მიღებისთანავე, გაემგზავრა ვლადიკავკასიისკენ. ალაბიკრელმა ქართველებმა მას დიდი დახმარება გაუწიეს გამგზავრებაშიც. აღიძრა რაზმი ალაბიკრიდან. საშამ მალეობა გადაუხადა სოფელს და აღუთქვა, რომ ალაბიკრში მუდმივ რაზმს გამოეგზავნა და ამ საყიბის სერგო ორჯონიკიძისთან შეეთანხმებო.

როდესაც რაზმი სოფლის ბოლოს ჩაეიდა, შეამჩნიეს, რომ სოფლის ბოლოს, მარჯვენა და მარცხენა მხარეზე, ჩასატრეებული იყო ცხენოსანი ბანდა, მგერამ არაფერი გამოუვიდათ. რაკი სპეციალურად ვაგზავნილმა დელეგაციამ მოლაპარაკებით საშასაგან მათთვის სასარგებლო პასუხი ვერ მიიღო, კონტრრევოლუციონერმა ბანდამ განიზრახა საშას რაზმისთვის იარაღი აეყარა, მაგრამ ეს ცდაც ჩაუფუძნათ.

სოფლის ბოლოზე რომ ჩაეიდნენ, საშამ განკარგულება გასცა, რაზმს ევლო გაშლილ, საბრძოლო მდგომარეობაში. ოსთა კონტრრევოლუციონერმა ბანდამ სროლა აუტეხა საშას რაზმს. იყო უმნიშვნელო მსხვერპლი. საშამ ამის შემდეგ უფრო მეტი სიფრთხილით განაგრძო სვლა ვლადიკავკასიისკენ, რადგან ვადაცა ვახაზების სტანიცებიც იყო გასასვლელი. რაზმს სტანიცა არხონის მისადგომებშიც მოუხდა ეახაყებთან შეტაკება.

როცა რაზმი ვლადიკავკაში შევიდა, იქ მას შეხვედრამ მოუწყო სერგო ორჯონიკიძემ, მიტინგზე მიესალმა საშასა და მის რაზმს და უსურვა გამარჯვება. მიტინგის შემდეგ სერგომ დიდი მადლობა გადაუხადა ალაბიკრელ ქართველებს საშას რაზმზე დახმარების გაწევისათვის.

არ გასულა დიდი დრო და სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით ალაბიკრში გამოეგზავნა რაზმი, რომელშიც შედიოდა 120 კაცი. ამ რაზმის შტაბი მოთავსდა ქართველების სკოლაში. რაზმის განკარგულებაში იყო ორი ზარბაზანი და ორი ტუფიამფრქვევი. რაზმის უფროსად დანიშნული იყო აფერციე, მას კი მოადგილედ ჰყავდა ქაფიანიძე. ეს რაზმი უმთავრესად ქართველებისაგან შედგებოდა.

რაზმში ალაბიკრელი ქართველებისა და რუსების მოსახლეობიდან ჩაეწერა, ვისაც კი ზღწი თოფის აღება შეეძლო. ამრიგად, რაზმი ძლიერი გახდა. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალაბიკრელ ლეარსაბ კაკიას-ძე ობოქანიძეს.

რაზმს მოუვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ალაბიკრის მახლობლად მდებარე სოფელ ბირაღანის მხრიდან საფრთხე მოელოდა-ალაბიკრში მყოფ ბოლშევიკების რაზმს და, ამ სოფელში წყაროის დაწყარების მონიხი, ბოლშევიკების რაზმის ნაწილი გაემგზავრა აღნიშნულ სოფელ-

ში. მათ სროლა აუტეხეს ბანდას. ამ სროლაში სასიყვდილოდ დაიჭრა რაზმის უფროსის შოადგილე ქაფიანიძე და ალაბიკრში ჩამოყვანილნი გახადნენ გარდაიცვალა. იყო სხვა მსხვერპლიც. ქაფიანიძის გარდაცვალების შემდეგ რაზმის უფროსის აფერციეის მოადგილედ დანიშნული იქნა ალაბიკრელი დავით ვაიაშვილი.

იმდენად გამწვავებული იყო მდგომარეობა, რომ ალაბიკრის ქუჩებსა და სტრატეგიულ ადგილებში გაეკეთდა სიმაგრეები და სასროლო თხრილები.

კონტრრევოლუციური ბანდა გრძნობდა დიდ საფრთხეს ბოლშევიკების მხრიდან, მოსახლეობაში აიტაციათ წყუროდენი—ყველის დაგზოცავენი და ალაბიკრში მცხოვრები ოსების მოსახლეობა მთლიანად გაიხიზნეს მეზობელ სოფლებსა და მთებისკენ, მდინარე არდონისა ყრუტის სოფლებში, თუმცა ბოლშევიკების მხრიდან მუვიდობიან მოსახლეობას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

ალაბიკრი მტრისაგან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, კერძოდ, ის უბნები, სადაც ქართველები და რუსები ცხოვრობდნენ. დავიკეტეს სასაშა წყალი, შეუძლებელი გახდა წისქვილებში სიმინდისა და ხორბლის წალება და დაუქვა წისქვილები განლაგებული იყო სოფლის გარეთ, მდინარე არდონზე და ეს ადგილები კონტრრევოლუციური ბანდის კონტროლის ქვეშ იყო. მოსახლეობა ხარშავდა სიმინდსა და პურის მარცვალს და ამით იკმაყოფილებდა თავს. სასაშა წყალს კი იყენებდნენ ჰაობის წყალს. ცხოვრების ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობის მასობრივი დაავადება ტიფით. გარდაცვალებულების დასაფლავება გვიხდებოდა შეიარაღებული რაზმის თანხლებით. ნაწილს კი ვასთფლავებდით საყდრის გალავანში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე გაჭირდა ვახანების შოენა. რაზმელები ვახანების სიმციერეს განიცდიდნენ. იმ პერიოდში კი ერთი ვახანა 5 მანეთი და მეტრეც ღირდა როგორც ალაბიკრის რაიონში, ისე თერგის ოლქის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ერთ შაშხანა თოფში ერთ ცხენს ან ერთ სრობას აძლევდნენ, ასე იყო გამწვავებული მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის პერიოდში, კერძოდ, ალაბიკრში.

როგორც რაზმელებს, ისე სოფლის მოსახლეობის მებრძოლებს ჰქონდათ ერთსროლიანი თოფები (ბერდანები). ამ თოფის ვახანების შოენა უფრო იოლი აღმოჩნდა. ასეთი ვახანების საკეთებელი ზელსაწყობები ჰქონდა ალაბიკრში მცხოვრებ ტყის მკველ ვასილ ივანეს-ძე მეტრეველს, რომელიც დღემდეც ამ რევენებდა და ამ ვახანების კეთებაში იყო. მას ბერდანის ვახანებით მომარაგებული ჰყავდა მებრძოლები.



შარვა ნუსხიძე



სიბრძნის ცნება ს.-ს. ორბელიანის ნააზრევში

გარდამავალ ეპოქებს მრავალმხრივი აღმავლი-
ბი სწევდა. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნა სა-
ქართველოს ისტორიაში არცთუ ისე დიდი გაქა-
ნებისა და სიღრმის ეპოქა იყო მის სოციალ-ს-
ტორიულ და კულტურულ ვითარებაში. ვახ-
ტანგ VI ხანა უკანასკნელი ცდა იყო საიმედო
პოლიტიკური ორიენტაციისათვის, მაგრამ ამან
მხოლოდ დროებითი ილუზიები შექმნა, თითქოს
საქართველო კვლავ აღორძინების გზაზე დგე-
ბოდა.

დიდი მწიგნობარ-მთაბროვნე ეპოქისა ს.-
ს. ორბელიანი, რომლის დაბადებიდან სამსამ წელ-
ში ვახელო, უშუალოდ იყო ჩაბმული ქართლის
ბედის მოგვარების საქმეში და დიპლომატი-
პოლიტიკისი შალე დარწმუნდა, რომ ირველივ,
მაშინდელ სინამდვილეში, მხოლოდ ევრაგობა
მართებულა, მან ვერა-რა არგო განწირულ
საქართველოს, მაგრამ „ევრაგობისაგან ჰქვის“
სწავლამდე მოიყვანა. აქაა პრაქტიკული ძირი
საბას მიერ სიბრძნის „როგორც სიკეთის, ვაგე-
ბისა, რომელსაც სიკრძე, როგორც „ევრაგობა“
დაუბირისპირდა და ამოსაცნობი ვახდა მხოლოდ
„მსგავსება“, რომელიც საბამ სიბრძნისა, რო-
გორც სიკეთის და სიკრძის, როგორც ევრაგო-
ბის, შუა დასაშვებად აღიარა.

ეს გარემოება ერთსა და იმავე დროს ამოკა-
ნაც იყო და განმარტებაც, რადგან მას უნდა ეჩ-
ვენებინა, რას ნიშნავს სიბრძნის ცნება, რო-
გორც სიკეთისა, და როგორი შეიძლება იყოს
მისი განმარტება. მართალია, ს. ორბელიანის
ლექსიკონში მოცემულია სიბრძნის ვითომცდა
განმარტება, მაგრამ ეს მისი მხოლოდ ერთი მხა-
რეა, რომელიც შეიძლება გააზრებულ იქნეს
მხოლოდ მაშინ, თუ გაიარებდა, როგორ იაზრება
თითო სიბრძნის ცნება. აქედან იწყება სიბრძნის
ცნება, როგორც საკვლევო საგანი. ს. ორბელი-
ანის მეთოდი აქაც ნათელია: იგი ჯერ მიმარ-
თავს საუკუნისთა განმარტებას და წყაროს, რო-
მელზეც ამოფარებითად იგი შემდეგ აყენებს სა-
კვლავს ისე, როგორც მას ესმის.

აქაც, ისე როგორც თითქმის ყველგან, ს. ორ-
ბელიანი ჯერ მოიყვანს სიბრძნის განმარტე-

ბას სახარებიდან — „ეს არს მშობელი ჰუიჩი-
და განმსინჯველი ცნობათა“. ეს განმარტება,
ცხადია, არაფრად ღირს არც ფორმალურად და
არც შინაარსით: ჰუიჩის და სიბრძნის დამოკი-
ლებულება შებრუნებულია, ხოლო მსგავლობის
„ცნობათა განმსინჯველის“ ამბავი არეულია და,
ნაწილობრივ, აგრეთვე შებრუნებული. ძნელია
იმის თქმა — ხედავდა ამას ყოველივეს ს. ორ-
ბელიანი თუ არა. მოყვანილ განმარტებას ის
მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისთვის ამოფარე-
ბინა მიზნად დასახული ვაგება — განმარტება.

აქ კი მას უწყობია: „სიბრძნე და სიეფ-
რაგე ემსგავსებიან; სიბრძნე კეთილი, ხოლო
სიეფრაგე — არა“ (ს. ორბელიანი, სიტყვის
კონა, თბ., 1949. გვ. 60). არის აქ განმარტება
მოცემული? ჩვეულებრივი ვაგებით, ცხადია,
არა, რადგან არაა ნაჩვენები არც ერთი ნიშანი
განსამარტავისა, არც ერთი სამისოდ არსებუ-
ლი წესი. ამის ნაცვლად, ვტვობილობთ ავტო-
რისაგან, რომ სიბრძნე, თურმე „ემსგავსება
სიეფრაგეს“, რაც სრულიად გაუგებარი რჩება,
რადგან არათუ მსგავსების დამამტკიცებელი ან,
ყოველწამებზევაში, მაჩვენებელი ნიშნები არაა
მოყვანილი, არამედ მსგავსების ძებნის საფუძე-
ლელ არაა მითითებული. ჩვეულებრივი, არაფი-
ლოსოფიურად მოაზროვნე აღმავანი აქ ევრაგო-
ბის განმარტებას ვერ დაინახავს, ვიდრე ავტო-
რი თვითონვე არ მიუთითებს, რომ მსგავსების
საფუძველი უნდა დამდგნილი იქნეს სიბრძნის და
სიეფრაგის წინააღმდეგობაში, რისთვისაც ის აღ-
ნიშნავს სიბრძნის „კეთილობით“, ხოლო სიე-
რაგეს — „არაკეთილობით“.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეუშ-
ვით, თითქოს ს. ორბელიანი ვერ ხედავდეს, რომ
ის არ იძლევა სიბრძნის ცნების განმარტებას,
მაგრამ მან კარგად იცის, რომ ის აყენებს სიბრ-
ძნის ვაგების ამოცანას იმ გზის ნათელყოფით,
რომელსაც უაღრესად ფილოსოფიური მნიშვნე-
ლობა აქვს. ეს ფილოსოფიური მომენტი მო-
ცემულია არა სიბრძნისა და ევრაგობის მსგავ-
სებაში, რასაც ორბელიანი სხვა გზით არც იფიქ-
რებდა, არამედ წინააღმდეგობათა, ე. ი. თით-

ლის და არაკეთილის, როგორც წინააღმდეგობათა, მსგავსებაში. სიბრძნე და სივერავე კი არ არიან მსგავსი, როგორც კონკრეტული, ემპირიული მოვლენები. ისინი „მსგავსებთან“ ერთი-მეორეს, უკეთეს გაიჩვენებენ, როგორც ერთი — მეორის მოწინააღმდეგენი — ამ შემთხვევაში, როგორც კეთილ და არაკეთილ. აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი ოდნავადაც არ არის განმარტების გამომხატველი, რადგან არ ემორჩილებიან განმარტების წესებს, რომლებიც მოითხოვენ კონკრეტ ნიშანს, რასაც კეთილ-არაკეთილ არ წარმოადგენენ, ხოლო თუ აქ გვარებობითა — მასადაამე — ზოგადი ნიშნია აღებული, იგი სპირიტუალის სახეობის ნიშანს, რომელიც ჩვენს შემთხვევაში გამოიკვლია.

მასადაამე, ს. ორბელიანის ლექსიკონში სიბრძნის ცნებისათვის არაა მოუვანილი განმარტება, არამედ მისი გაგება და ისიც, როგორც ამოცანა. უკანასკნელი შეიძლება გაიჩვენოს, როგორც რაღაც საერთო წინააღმდეგობათა, მათი გამაერთიანებელი, ანუ როგორც ორბელიანმა მიგვითითა — „მსგავსება“. ამოცანა, მასადაამე, მდგომარეობს ცნებისათვის მოწინააღმდეგის დადგენაში, მაგრამ ლექსიკონში ავტორი განმარტების სრულად თავისებურ წესზე ლაპარაკობს — წინააღმდეგობათა ერთობლიობაზე და არა განსამარტავ საგანზე. მასადაამე, ს. ორბელიანი, ნაცულად განმარტებისა, უკანასკნელს მხოლოდ წესს ეხება, რომელიც არსებითად განსხვავდება ფორმალ-ლოგიკური წესისაგან და წინააღმდეგობათა მსგავსებით ანუ ერთიანობით ღვიწდება. ეს წესიც, ს. ორბელიანის გაგებით, მოქმედებს დამოუკიდებლოც კვალზედაც მოვლენათაგან. ამ განმარტებაში გადამწყვეტია ნევაცია, მაგრამ ამით განმარტება არ ხდება ნევატიური, რაც ფორმალ-ლოგიკურად დაბალი ღირებულებისაა; აქ კი, ს. ორბელიანის განმარტება ნევაციის გზით ხდება და ის უშაღღესი ღირებულებისაა, რადგან განმარტების შესაძლებლობა მასშია მოცემული.

აშკარაა, რომ ეს განსხვავება ნევატიური განმარტებისა არის განმასხვავებელი ნიშანი ფორმალ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური განმარტების შუა. მთავარია ის რომ ორბელიანი აღგენს, რომ ნაშდევილი განმარტებისათვის საჭიროა ნევაცია — მაგ. „კეთილ“ და „არაკეთილ“, რომლის ქვეშ შეიძლება ვივლინებოდეს სიბრძნე და მისი საწინააღმდეგო — არასიბრძნე, თუმცა თვითონ ორბელიანი შენაცვლების გზით მიდის და სიბრძნეს შეანაცვლებს — „კეთილი“ და საწინააღმდეგოს — იფულისხმება არა სიბრძნეს — „არაკეთილი“. წესი ნევაციით განმარტებისა (და არა ნევატიური განმარტებისა) იძლევა საშუალებას საჭიროების მიხედვით სიბრძნეს არ მიეცეთ შენაცვლებული სახე, რაც წესს არ ეხება, რადგანაც სიბრძნე პირობითადაა „კეთილი“ აღებული ისე, როგორც სივერავე — „არა კეთილი“. არ შეიძლება ორბელიანს,

რომელიც ისეთ რთულ გარემოებაში ვერცხვია, როგორცაა ნევაციით განმარტება, არ სცოდნობა, რომ მისი წვეილეული სიბრძნე-სივერავე და კეთილ არა კეთილი არაა სწორადირებული, ე. ი. რომ არა სიბრძნე არ უდრის სივერავეს ანუ, პირიქით, არასივერავე — არ უდრის სიბრძნეს. აღარაა საჭირო განვავრტოთ ლაპარაკი, თუ რამ შემთხვევაში სიბრძნის და სივერავის მიმართებაში დაეყვება ორბელიანის ნააზრევში. ეს თავისთავად იჩვენებს, რომ სივერავე „სიმტყუფნეს“ ანუ მოტყუებას ნიშნავდა, რასაც პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი ორბელიანი ვარაუდობდა იცნობდა საქართველოსათვის გამოსავლის ძებნისას.

ორბელიანი მიჰყვება რუსთაველის სიტყვასმარტებს, რომელიც ორბირობას და სიკრუეს თანაწორად ხმარობს ცნობილ ბუქარში: „სიკრუე და ორბირობა ავსებს ხორცსა შემდეგ ხელსა“. ამ პირობებში ორბელიანი ადვილად ააბლოგებს სიკრუეს „სიმტყუფნესთან“ (სიტყვის კონა, გვ. 613). საუკეთესო ნიმუშს სიბრძნის სიკრუესთან მიმართებაში მოყვანისა წარმოადგენდა შოთას სტროფი (789), სადაც სიბრძნე, პლატონი და სიკრუე, როგორც ორბირობა, ერთადაა განვილილი.

ყველა ამის მიანც აკლია სიბრძნის ცნების, როგორც ასეთის, ე. ი. შეუნაცვლებლად, საწინააღმდეგო ცნების დადგენა. წვეილეული — სიბრძნე არასიბრძნე გარეგნული წინააღმდეგობათა, რადგან იგი უპირობისაა სიბრძნეს, როგორც სავსეობას, ცარიელ უარყოფას, ნევაციას, რაც არ გამოდგება წინააღმდეგობა „მსგავსებისათვის“, რადგან ერთი სავსეობა და მეორე სიკრუილე. ს. ორბელიანის მიერ მოტანილი „მსგავსებას“ არ შეიძლება დასაყრდენად ქონდეს მხოლოდ გამოთქვა — „არა“, რაც გარეგნულარებას, გარეგობას აღნიშნავს. უარყოფა უნდა ეხებოდეს სიბრძნის არსებას და ამისათვის არ კმარა მარტო არ სიბრძნის თქმა, რადგან იგი სიბრძნის არსებაში ჩაწვლილი უარყოფა (ნევაცია) არაა. ისეთი შეიძლება იყოს მხოლოდ არსებითი ნევაცია და არა ნევატიური ნევაცია, მხოლოდ „არა“-თი გამოხატული.

ეს გარემოება არ გამოეპარა ორბელიანს და მან სიბრძნეს დაუპირობებლად სიკრუე, რომელიც იმთავითვე სივერავის გამოხატულება იყო, მაგრამ, იმავე დროს, ფილოსოფიური თვალსაზრისით, სიბრძნის არსებითი უარყოფაც იყო, სახელდობრ, უეციობა. ეს რედაქცია ორბელიანის ნააზრევში უდევს საფუძვლად სიბრძნის იმ გაგებას, რომელიც მოცემულია ხელნაწერებში დატულ დასათავრებაში: „წივი სიბრძნე სიკრუისა“, ნათქვამი ს. ორბელიანის მიერ“ აშკარაა, რომ ორბელიანისათვის მთავარი იყო ორი მომენტი: ერთი — ჩვენება წინააღმდეგობათა „მსგავსებისა“, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა შემთხვევისათვის და მეორე იმის ჩვენება, რომ წინააღმდეგობა იყოს არა არსებობა.

თი, არამედ არსე ბაშვი. თუ სიბრძნე ჭკუის და „ცნობის განმსჯელობის“, ვ. ი. ცოდნის მამყენებელია, როგორც ამას ორბელიანი აღნიშნავს, მაშინ მის არსებობა საწინააღმდეგო იქნება უწყობა და უცნობობა, ვ. ი. არსებობა, ანუ უწყობა. მოხსნა რა ვერაფერა, როგორც სიბრძნის საწინააღმდეგოს შეტყვევება და შეეცალა იგი სიტყვით — „სიცრუე“, ს. ორბელიანმა საკითხი კეთილისა და აჯაყეთილის ზოგადფილოსოფიური დაპირისპირებიდან, სიკრუეც გაიგო, როგორც „სიმტყუენე“, ვ. ი. როგორც ტყუილი „განმსჯელობა“ და არა როგორც „ცნობათა განმსჯელობა“. ამდენად ორბელიანი დაუბრუნდა სიბრძნის საწინააღმდეგოს იმ გამოხატულებას, რომელიც „ცნობათა განმსჯელობას“ უარყოფდა ანუ უცნობობა, არცოდნა, უცილობა იქნებოდა.

ცხადია, ამ მნიშვნელობით დარჩა ორბელიანის ნააზრევში ცნება „სიცრუისა“ და იგი მოწოდებული იყო დაპირისპირებოდა სიბრძნეს არსებობის მოხსნით, მაგრამ „მსგავსებით“, ვ. ი. როგორც უცილობა. ამრიგად, რჩება სიბრძნე, როგორც „განმსჯელობა ცნობათა“ და მისი საწინააღმდეგო როგორც განმსჯელობა ცნობათა, ვ. ი. უცილობა. ორბელიანმა არა მარტო შექმნა არისის წინააღმდეგობა სიბრძნისა და სიცრუის, უკანასკნელის — „უცილობის“ მნიშვნელობით, არამედ ესეც არ ჩათვალა შესრულებულ საქმედ და აქაც ამოცანა წამოსწია წინა აღგიღებ. მან კარგად იგრძნო, რომ სიბრძნისა და სიცრუის შუა წინააღმდეგობის ნიადაგზე აღმოცენებული მსგავსება არ შეიძლება საქმის ვითარების გაგება-განმარტებად ჩითვალოს, რომ სიპირთა ამის ჩვენება. ეს კი შესაძლებელი ვახდა, და უნდა გამხდარიყო კიდევ სიცრუის, ვ. ი. უცილობის, როგორც უცილობის, გახსნით. ფილოსოფიურად ეს ნიშნავდა არცოდნის (უცილობის) ცოდნას და არისის უწინააღმდეგობა, რომელიც ქმნის სიბრძნეს. აქ კი არა ვეაქვს ცოდნა-არცოდნა, როგორც „კეთილ“ და „არაკეთილ“, რომლებიც მხოლოდ გარეგნულ წინააღმდეგობის (ფორმალ-ლოგიკურის) გამოხატულებაა, არამედ წინააღმდეგობა ცოდნის (სიბრძნის) არსებამოთა არცოდნის ცოდნა. კეთილსა და არაკეთილში არ არის მსგავსების (ვ. ი. მთლიანობის) სფერო. მისი შესატყვისი იქნებოდა ცოდნა-არცოდნა, რაც აგრეთვე მოკლებულია მსგავსების (მთლიანობის) სფეროს, რაც გარკვეული წინააღმდეგობაა და, ამდენად, სიარყოფითა; მასში არაა უარყოფილი უწინააღმდეგობის დაკვა: არცოდნა ცოდნის მოხსნა და შეტი არაფერი.

სხვა არის არცოდნის ცოდნა, რადგან, რაც მოხსნილია არცოდნაში, დაკლებულია მის ცოდნაში. ის, რაც ქმნის არცოდნის, არის საგანი ცოდნისა და, ამდენად, უარყოფითის საშუალებით მოკეპული დადებითია, სადაც დიალექტიკის

უმალესი მომენტია მიღწეული: ნეგატიური დიალექტიკის პოზიტიურობა. ამ საფუძვრამდე მივიდა ორბელიანი, მან შიინდომა ეს ეჩვენებინა. აქედან დაიბადა არაკეთილსა წიგნის იდეა, სადაც უცილობის ასახვა ისე, რომ მისი შინაგანი უცილობა ნათელი გამხდარიყო, იქნებოდა წყარო სიბრძნისა. ეს გზა ცხადია, ს. ორბელიანს არ მოუნახავს ისე, როგორც მხატვრული ჩვენებით მისი გაცხადება, რაც იცის ისტორიამ. მწელი სარკვევია დღეს, რადგან გაეცნობილია ორბელიანი იმ გზას, რომელმაც დაეზროვნების ისტორია ვიღოდა სათანადო დასკვნამდე მისასვლელად. ამდენად, ს. ორბელიანის გზა ორგანიზალური არაა, მისი საწყისები სიბრძნის იდეის ჩასახვამდე მიდის და მის განვითარებას ემთხვევა.

სიბრძნე, ზერძობა — „სოფია“, ცოდნის სინონიმად ითვლებოდა იმთავითვე, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მეცნიერება და სიბრძნე ერთმეორისაგან დაშორებული არ იყვნენ. ამ სიბრძნის მატარებელი ბრძენებელ ანუ „სოფისტებმა“ ითვლებოდნენ. მალე მოხდა საკრიტიკო ფაქტი: სიბრძნე, ცოდნასთან გაოგებებული, გაირკვა, როგორც არცოდნა და ამავე სოფისტის წამყვანი ხელმძღვანელების სახით აღიარებული იქნა, რომ ცოდნა არ შეიძლება. ეს მწვევე მომენტი, სოფისტების მიერ ფერგაგებული თავის მნიშვნელობაში, გახდა ფილოსოფიის დაბადების მომენტი. რა იქნა შეგნებული სოფისტური ყოვლისშემოდნობის კრიზისის ნიადაგზე, რამაც საფუძველი ჩაუყარა სიბრძნეს ანუ ფილოსოფიას?

ცნობილია, რომ ეს მომენტი ფილოსოფიის ისტორიაში უკავშირდება სოკრატეს სახელს და ემყარება მის განთქმულ თეზისს: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. რა მოხდა ამ ცნობილ შეხებაში ერთმეორესთან ორი მომენტისა — სოფისტებისა და სოკრატესი? ერთი მხრივ აქ არის არცოდნა, რაც ვიღაცეა და ყოვლის მტკიცების შესაძლებლობაში, ანუ სიცრუეში. სოკრატეს მხრივ კი აქ არის არცოდნის ცოდნა. აქ ჩაისახა სიბრძნე, სიბრძნისმეტყველება, ფილოსოფია, მაგრამ ეს მხოლოდ ამოსავალი იყო, რომელიც არათუბადა სამქმეს, რადგან არცოდნის და არარობის დაახლოების შესაძლებლობას ქმნიდა. ამით სარგებლობა სცადა ექვსიტენციანობაში (სარტრის სახით მის ნაშრომში — „ყოფიერება და არარობა“), რათა იგი დიალექტიკის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამან სიბრძნის ცნების შერყვას გამოიწვია, რაც იმაში გამოიხატა, რომ ექვსიტენციანობაში ფილოსოფია (ვ. ი. სიბრძნის სიყვარული) სოფიაფილი (ვ. ი. სიყვარულის სიბრძნედ) გადააქცია.

ეს დაბნეულობა იმის მიჩვენებულია, რომ სიბრძნის დაბადება, როგორც არცოდნის ცოდნა, არ იყო საქმისი, რადგან არცოდნა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ როგორც უარყოფითი, რადგან მაშინ მისი ცოდნა შექმნებ-

ლი იქნებოდა. საჭირო იყო ნეგატიურში ყოფილყო დადებითი, უარყოფაში გამოსატელი. მაშინ მისი შემეცნება შესაძლებელი გახდებოდა.

არც პლატონთან და არც ნეოპლატონიკოსებთან არ მოხერხდა ღვთაების ნეგატიური განმარტება, როგორც ამას ჰეგელი აღნიშნავდა¹. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ნეგატიურის პოზიტიურება (არანეგატიურ-პოზიტიურის დაპირისპირება) არ იყო მიღწეული ნეგატიურ დიალექტიკამდე. ეს საფუძვლი მიღწეულ იქნა ე. წ. არეოპაგისტულ წიგნებში.

ამ დებულებათა დასაბუთების დასაგებად აქ უადგილოა მთავარია იმის ცოდნა, რომ ყველაზე ნათლად ჩანს ფილოსოფიის დაბადების მომენტი, სოკრატესთან დაკავშირებული, მაგრამ აქ არცოდნა ცოდნის პოზიტიური მომენტის შემეცნელია და ამ გზით, ე. ი. არცოდნით, ცოდნისაკენ საელ გზას აჩვენებს, რაც ჯერ კიდევ ნათელი არ იყო სოკრატედან — ვიდრე პლატონ-ნეოპლატონიკოსებამდე. აქ საქმე იმაში კი არაა, რომ მე არაფერი ვიცი, არამედ იმაში, რომ მე ვიცი რომ არაფერი ვიცი, სხვანაირად: იმის ცოდნა, რომ მე არაფერი ვიცი იმაზე მეტია, ვიდრე — რომ მე არაფერი ვიცი.

აქ საქმე მარტო დიალექტიკურ დაპირისპირებაში კი არ არის. „პო“ და „არაპო“ დიალექტიკამ იმთავითვე იცოდა და იგი პლატონის თითქმის ყველა დიალოგში გეხედება, სადაც იგი გზა, მეთოდის იყო ფილოსოფიისათვის. ამ გზით ვახდა სიბრძნე ბრძნობად, ე. ი. იმის შეგნებად — როგორი გზით შეიძლება სიბრძნის, როგორც ბრძნობის, განხორციელება. დიალოგ „პარმენიდესი“ ეს გარემოება საკმაოდ ღრმად განვითარდა, მაგრამ სიბრძნე განსაზღვრული აღმოჩნდა, რადგან განუსაზღვრელი ვაგება უარყოფის გზით შეუძლებელი ვახდა და დიალექტიკა აქ დროებით შედგა, რაც ჰეგელმა ნათლად აჩვენა².

ნეგატიურის დიალექტიკის ძველი — დადებითი — უარყოფითის — ლოკატური დაპირისპირების იქით წასვლისათვის ლოკატური დასაყრდენი აღარ ყოფნიდა. მას არა ლოკატური (რაც ამოწურული იყო უკვე ნეოპლატონიზმში) არამედ ონტოლოგიური დასაყრდენი ესაჭიროებოდა. ე. ი. სუბიექტური დიალექტიკის საცვლად, ობიექტური დიალექტიკა, რომელიც არსებობის წინააღმდეგობის დასაძახებლად არსებულში, ყოფიერებაში, ე. ი. იმაში რ ა ც ა რ ი ს წინააღმდეგობის დასახვას საჭიროებდა. ამ გზით იქნა მიღებული, რომ არსებობა მეტია, ვიდრე არსებული, რომ ყოფიერება ამ შემთხვევაში მე-

ტია, ვიდრე ის, რაც ყოფიერია. ეს გარემოება აზროვნების მიერ კი არაა შეტანილი უფთხეგრების ცნებაში, რადგან ეს უფთხეგრების მხოლოდ სუბიექტური ასახვა იქნებოდა და დასახული მიზნისათვის არ გამოადგებოდა. ყოფიერება იმის გამო, რომ ის არის ის, რაც ის არის, მეტია, ვიდრე ყოფიერება. ყოფიერება, როგორც ასეთი, არის ის, რაც ის არის. ის არაა არსებულის რაიმე ნიშანი, ანუ მხარე, ის არაა არსებულის პრედიკატი, იგი ყოფნაა და მეტი არაფერია. მაგრამ, როგორც ამგვარადყოფნა იგი, ყოფიერებაზე მეტია ე. ი. მეტია, ვიდრე ის, რაც არის ის ორი მომენტისაგან კი არ შედგება, არამედ ის, რაც არის, ყოფობს, ემსგავსება იმას, რაც არ არის, არყოფობს, რადგან იმაზე მეტია, რაც არის.

ამრიგად, ყოფიერება არყოფნაშია და არეოპაგისტის ავტორმა განუხრველად დაასკვნა: ღმერთის არსებობა მის არარსებობაშია. ასეთი იყო ეს თავისებური ონტოლოგიური ძირი ნეგატიური დიალექტიკისა, რომლის მეტანათეური განმარტივებით, რაც ვერგაგებას უდრდა, ანსელმ კენტერბერგიელმა თავისი ონტოლოგიური არგუმენტი შეამზადა. მან ვერ შეამჩნია, რომ არარსებულის ანუ არსებულზე მეტის არსებობა მეტს ნიშნავდა არეოპაგისტისთვის, ვიდრე არსებულის არსებობა.

აქ უადგილოა ყოფიერების, როგორც პრედიკატის, დისკუსიაზე ლაპარაკი. იგი დღესაც აქტუალური საკითხია. ჩვენთვის დღეს საკმაო ვიცოდეთ, რომ, თუმცა არეოპაგისტის შემქმნელი ღვთაების არსებობაზე ლაპარაკობდა, რაც საკითხის ისტორიული ფაგვლებით განისაზღვრებოდა, მისი თეზისი — რომ ყოველი ყოფიერება არსებული არის და არარსებული — განისაზღვრება აღარ იყო მას შემდეგ, რაც იგი პანთეისტური მატერიალისტური სოფლგაგების შემადგენელ ნაწილად იქცა.

შეცვლილებისათვის შესაძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, რომ საქართველოში იოანე პეტრიწის სახით აღორძინებულ იქნა ანტიკური ფილოსოფიის არეოპაგისტული გადამშავება. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა იგი ჯერაონდ შესწავლილი არაა³. ჩვენ ერთი მომენტი გვესაჭიროება: პეტრიწი, ებრძვის რა თავის მოწინააღმდეგეებს, აღნიშნავს, რომ ამათი უბედურება მარტო იმაში კი არაა, რომ არ იციან ის, რაზედაც ლაპარაკობენ; მთავარი უბედურება ყოფილა ის, რომ პეტრიწის მოკამათებს არა აქვთ ცოდნა თავისი არცოდნის შესახებ. შემთხვევითი როდია, რომ ამ შენიშვნის დროს პეტრიწი იხსენიებს სოკრატეს ღებულუბას, რომელიც სიბრძნის გზად იქცა ფილოსოფიაში. პეტრიწს ერჩია, რომ მის მოკამათებს

¹ იხ. შ. ნუტუბიძე „პეგელი და ფილოსოფიის ისტორიის საკითხები“ „მნათობი“, № 11, 1957 წ.

² იხილეთ დასახელებული ნაშრომი: „პეგელი და ფილოსოფიის ისტორიის საკითხები“.

³ იხ. შ. ნუტუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II, თავი „იოანე პეტრიწის ფილოსოფიური წინამორბედნი“.

სეოდნოდათ თავისი არცოდნის, „სიკრუს“ შესახებ. ჩანს, რომ ეს სულ სხვა იქნებოდა, ვიდრე არცოდნა „სახელდობრ“, არცოდნის ცოდნა, აშკარაა, რომ არცოდნის ცოდნა ცოდნაზე მეტი, ე. ი. სიბრძნე იქნებოდა.¹ ძნელი არაა მიხვედრა, რომ აქ გამოყენებულა სოკრატეს ფორმა, მაგრამ მაშინ ჩადებული ის უფრო განვითარებული ვაგება სიბრძნისა, როდესაც არცოდნა მხოლოდ ნეგატიური ცნება კი არ იყო, არამედ იმ დადებითად შეიცავდა, რომელიც ნეგატიურის ისეთი ვაგება იყო, როცა იგი პოზიტიურის შეიცავდა, პოზიტიურის და ნეგატიურის მთლიანობის შემცველი რომ იყო, ე. ი. იმისა, რასაც ორბელთან გამოთქვამს ტერმინ „მსგავსებით“ და რაც შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცოდნა შეიცავს არცოდნის ცოდნას, რომელიც იმაზე მეტია, რაც არის. სოკრატეს სწორედ ამის თქმა ჰქონდა მიზნად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად შეიცვლებოდა მისი ისტორიულ-ფილოსოფიური როლი, როგორც სიბრძნისმეტყველების დამფუძნებლისა და მისი მნიშვნელობა ერთ-ერთ აგნოსტიკურ-სკეპტიკურ ფილოსოფიამდე ჩამოქვეითდებოდა, რაც სულ არედა ფილოსოფიურ პერსპექტივებს. არცოდნის ცოდნა მეტი იყო, ვიდრე ცოდნა, როდესაც წინააღმდეგ შემთხვევაში, სოკრატე თავის დებულებას სოფისტების აგნოსტიციზმის წინააღმდეგ ვერ გამოაყენებდა.

აშკარაა, რომ აქ უბრალო, ანუ გარეგნულ ნეგატიურზე არ იყო ლაპარაკი. ამ გზით არაერთარი სიბრძნე არ მიიღებოდა, სიბრძნე, რომელიც აგნოსტიციზმს უნდა დაპირისპირებოდა. სოკრატეს როლი ფილოსოფიის ისტორიაში აგნოსტიციზმის დანგრევა იყო და მას რომ ცოდნა-არცოდნა ისევე ვაგვო, როგორც ეს სოფისტებს ესმოდათ, მაშინ ესეც სოფიზმი იქნებოდა და, როგორც აღნიშნულია მეცნიერებაში, სოფისტური დაპირისპირების იქით აზროვნება ვერ წაივლიდა;² ცოდნა-არცოდნა, როგორც წინააღმდეგობა, ერთ მთლიანობაში ვერ შეეიდოდა, როგორც ამას ფილოსოფიის განვითარება მოითხოვდა. ხოლო თუ ასეთი მთლიანობა აუცილებელია, (და, ეს მოასწავებს ფილოსოფიის არა მარტო გაჩენას, არამედ წინსვლას), საჭიროა არცოდნაშიც იყოს ისეთივე დადებითი, როგორიც არის ცოდნაში.

ამის შეგნებამდე ფილოსოფიას დასჭირდა საკმაოდ გრძელი გზა და ეს შესაძლებელი ვახდა, როგორც ითქვა, მის შემდეგ, როცა მივხვდებოდა იქნა დიალექტიკის ონტოლოგიური დასაყრდენი, რათა იგი გადაერჩინა სოფისტური სუბიექტივიზმის გავლენისაგან.

მას შემდეგ, რაც დადგენილია არცოდნის, როგორც ნეგატიურის, პოზიტიური შინაარსი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც არის ცოდნა, როგორც ასეთი, ე. ი. მიღებული იქნა თეზისი, რომ არცოდნის ცოდნა იმაზე მეტია, რაც იყოთ. მაშინ შემუშავდა ისტორიულად ცნება შემეცნებელი, ანდა სწავლული არცოდნისა. ასეთი დიალექტიკური შედეგი სოფისტური აგნოსტიციზმის მოხსნისა და ფილოსოფიური „გნოსტიციზმის“ ანუ სიბრძნისმეტყველების დადგენისა. ამ სახით ეს მოძღვრება დასაელეთშიაც წავიდა. იგი იქ იოანე სკოტ ვრიფენანს მეოხებით (IX ს.) არეოპაგისტული წიგნების დასაელეთში გადათარგმნა-გადაყეთებასთან ერთად შევიდა, მთელი საშუალო საუკუნეები სქოლასტიკას ებრძოდა, ვიდრე რენესანსის დამდგენისას კვლავ არ დამკვიდრდა და ნიკოლა კუზანელი კუზანელი პანთეისტური მატერიალიზმის ფორმით დასაელეთის რენესანსის იდეოლოგია შეამზადა. ამ შემზადებას ნიკოლა კუზანელმა ორი პრინციპი დაუდო საფუძვლად: „წინააღმდეგობათა დამოხვევის“ (coincidentia oppositorum) და სწავლული უცილობისა (docta ignorantia). ორივე არეოპაგისტულ ნადავზე აღმოცენდა, გაიარა რა გრძელი გზა ხუთი საუკუნისა (IX ს. — XIV მეფ.).

ჩვენ ამ ვრცელ ისტორიას აქ ვერ გამოვუდგებოთ. თუ საშუალო საუკუნეების ისტორია ბელახლად, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით დაიწერება, გაიკვევა, რომ იქაც მატერიალიზმი, თუმცა პანთეისტური, წამყვანი იყო იდეოლოგიურ ბრძოლაში იდეალიზმთან და ახალი დროის პანთეისტური მატერიალიზმისაგან (სინონიმურ) გზას იკავებდა; ეს მატერიალიზმი, იმავე დროს, დიალექტიკასაც უკავშირდებოდა ზემოაღნიშნული ორი პირითადი დებულებით.

როგორც ირკვევა, სწავლული უცილობა (docta ignorantia) იგივეა, რაც „სიბრძნე სიკრუსისა“, ე. ი. სიბრძნე, მოპოვებული სიკრუსის როგორც სიკრუსის, ე. ი. უცილობის ცოდნით. ეს ორი მოვლენა ერთსა და იმავე ძირზეა ამოსული და შეიცავს ერთსადაიმევე ცნებებს. სიბრძნის ცნება ნიკოლა კუზანელისა, ისევე როგორც ს.-ს. ორბელიანისა, მომდინარეობს არეოპაგისტული ცნებიდან: არცოდნის ცოდნა, ე. ი. უცილობისაგან დაბადებული ცოდნა. დამახასიათებელია, რომ ნიკოლა კუზანელი არა მარტო ლაპარაკობს „წინააღმდეგობათა დამთხვევაზე“ (coincidentia-ზე), რაც ძალიან ახლოა ორბელიანის გამოთქმასთან, თუ უკანასკნელს ისევე ზმნის ფორმაში ავიღებთ, როგორც ეს ორბელიანს აქვს: „ემთხვევიან“ ნიკოლა კუზანელი, „მსგავსებიან“ — ს.-ს. ორბელიანი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორივე მოაზროვნე, ე. ი. ნიკოლა კუზანელი და ორბელიანი, ყურადღებას აქცევენ უცილობის (ignorantia ნიკოლა კუზანელთან, „სიკრუსი“ — ორბელიანთან) დადებითი მომენტის ხაზგასმას, რასაც არ-

¹ იოანე პეტრიჩი, შრომები, II, შ. ნუცუშიძისა და ს. ნუცუშიძის გამოცემა, თბილისი, 1937 წ. ნაწ. 3.

² В. И. Ленин, Философские Тетради, 1947, გვ. 84.

სებით მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სოკრატეს, როგორც აღინიშნა, ეს მომენტი არა აქვს გათვალისწინებული, რადგან ჯერ კიდევ გაელენა აქვს სოფისტურ მეტყვიდრობას, რომელიც სუბიექტურად უდგება ცოდნა-არცოდნის საკითხს და მათი მთლიანობა არა სწანს. არცოდნის ხაზგასმას, როგორც ნეგატიურის პოზიტიურობისა, უცვლელად ნაბიჯი იყო, სადაც არცოდნა ცოდნასთან მარტივი დაპირისპირება კი აღარ იყო, არამედ არცოდნის ცოდნის საშუალებით გაძლიერებული ცოდნა. ამიტომაც არცოდნა ნიკოლა კუზანელისათვის „სწავლული“ არცოდნა (docta) და არა უბრალო ignorantia.

განსხვავებას აქაც, ისე როგორც „დამთხვევის“ შემთხვევაში, აძლიერებს გრამატიკული განსხვავება: თუ იმ შემთხვევაში ნ. კუზანელთან გვიკონა სუბსტანტივი — „დამთხვევა“, ხოლო ჰენა ორბელიანთან — „უძველესობა“, ამ შემთხვევაში ორბელიანთან გვაქვს „სიბრძნე“ (სუბსტანტივი), ხოლო ნიკოლა კუზანელთან ადექტივი docta (სწავლული). თუ ამ შემთხვევაშიაც ორივე მოაზროვნის ნათქვამს მივიყვანთ ერთსა და იმავე გრამატიკულ ფორმამდე, შეიძლება მივიღოთ „სიბრძნე უცილობისა“ (სიბრძნისა) ანუ ბრძენი უცილობა.

მთავარი, ცხადია, არის არა გამოთქმის საშუალებანი, არამედ გამოსათქმელი, რადგანაც პირველი საშუალებანი, მეორე — მიზანი. უკანასკნელი კი ნიკოლა კუზანელთან, ისე როგორც ორბელიანთან, უარყოფითის (ნეგატიურის) დადებითი შინაარსის აღნიშვნაა, რაც აერთებს დადებითსა და უარყოფითის და მათი მთლიანობის საფუძველს ქმნის. ირაკვევია, რომ „სწავლული უცილობა“ ნიკოლა კუზანელისა, იგივეა, რაც ორბელიანის „სიბრძნე სიბრძნისა“. ორივეს ახსნილი აქვთ რომ ასეთ ცნებათა მიმართება ავტუტული წინააღმდეგობათა დამთხვევის ანუ მსგავსების ნადავზე.

ასეთი ეთაბრება დასავლეთში არეოპაგისტრული მოძღვრების ნიდავზე. აღმოსავლეთის მიმართულებით არაა საჭირო საქართველოს ფარგლებიდან გამოვიდეთ და სხვა ძველები მიმოვიხილოთ, რადგან, თუ რამე გავკეთდა იქ ღირსშესანიშნავი, ქართული აზროვნებიდანა ამ შემთხვევაში გადაღებული. ამის საბუთია „ფსევდოპარისტოტიკური წიგნი უმალესთა სიკეთის შესახებ“, რომელიც არეოპაგისტრის შემქმნელის მიერ ქართულად დაწერილი მიზეზთა შესახებ ტრაქტატის თარგმანია.

რაც შეეხება თვითონ საქართველოს, აქაც ისევე როგორც დასავლეთში, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, როგორც ვნახეთ, იოანე პეტრიწმა ათვისა არცოდნის ცოდნის დიალექტიკური გაგება. ქართული კულტურისათვის იმდენად ორგანიული იყო არეოპაგისტრული ნააზრევი, რომ სხვა დებულებათა ვარდა, ზანს, აზრი სიბრძნის ანუ ცოდნის არცოდნის ცოდნასთან დამოკიდებ-

ბულებაში დანახვის შესახებ ბუნებრივად უნდა იყოს ჩაქსოვილი რუსთაველის „ფილოსოფიურ პოეზიაში. ცხადია, პოეტურ ხუფსმუხებში დარჩენილი პრობლემაში ფილოსოფიური დებულება შეიძლება ზუსტად არ დავიხვავს ერთიგორის, მაგრამ „ფეხვისსტაისის“ სათავეთა სტროფში უნდა იყოს არცოდნის ცოდნის ერთგვარი მიმართება, სახელდობრ, მის შესახებ უკარპო: „...ქებნი წამლისა მისისა, ცოდნა ხაჰს მართ უცივისა“. მართალია, ეს ადგილი არა ნათელ კაშვირში მთელ სტროფთან, მაგრამ მას შინა კავშირი აქვს სავსებით გამართლებული, და საჭირო არ იყო მისი გარკვევითი გამართვა. რუსთაველს ის განმარტებული „მართ“ აქვს აქ ნახვარი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ცოდნა მხოლოდ არცოდნისგან იწარმოება. არც ერთი შემთხვევა სიტყვა „უცივის“ ორჯერ ხმარებისა „ფეხვისსტაისისაში“ არ ნიშნავს არცოდნის სუბიექტს, იგი ნიშნავს თვითონ არცოდნას, როგორც ობიექტურ მოვლენას.

ახლა ნათელია, რომ ორბელიანის ნააზრევი სიბრძნის ცნება გაგებულია ისე, როგორც ეს იმთავითვე ესმოდათ სიბრძნის, როგორც ბრძნობის, გაიწინასთან დაკავშირებით, ხოლო ამ გარემოების სუბიექტური გამოყენება, რაც ვ. ლენინის მოითხოვით სოფისტისკან მოასწავებდა, დაძლეულ იქნა ანტიკური ფილოსოფიის განვითარების მიწურულში. იგი, აქედან შეუთავსებელი ერთნაირად გაფორმდა აღმოსავლეთში და დასავლეთშიაც. ს.-ს. ორბელიანმა უოველ შემთხვევაში კარგად იცოდა პეტრიწის მიერ აღორძინებული გაგება, რაც ობიექტური კანონზომიერების ძალი დასავლეთის ფილოსოფიური რენესანსის მიერ სიბრძნის გაგებას დაემთხვა. ამრავად, არცოდნის ცოდნა, როგორც ცოდნაზე მეტი, ანუ სიბრძნე სიბრძნისა, თუ არ იყო მიგნებული ორბელიანის მიერ, უოველ შემთხვევაში, საერთო უკაროდან წარმომდინარე, გაგებულ იქნა ისე, როგორც ეს სრულიად დამოუკიდებლად ვაიგო დასავლეთის რენესანსის იდეოლოგიურმა მებაიბატრემ — ნიკოლა კუზანელმა.

არც ერთ დასახელებულ მოაზროვნეს ვ. ი. არც ნიკოლა კუზანელს და არც ს.-ს. ორბელიანს, თვითონ არ მოუვნიათ სიბრძნის, როგორც არცოდნის ცოდნის თემა, როგორც ეს ნათლად ვაიკვია. ქრონოლოგიურად ორივეს გზაში არის განსხვავება: არეოპაგისტრის შექმნა V საუკუნეში, ხოლო აღორძინდა საქართველოში ექვსი საუკუნის შემდეგ — XI-XII საუკუნეებში — იოანე პეტრიწის სახით, როგორც იდეოლოგიური წინამძღვარი ქართული რენესანსისა. იგივე არეოპაგისტრის შევიდა დასავლეთის აზროვნებაში

1 იხ. „ფეხვისსტაისისა“, სტროფები: 523, 706. „ცოდნა ხაჰს მართ უცივისა“ შედის 706 სტროფში.

IX საუკუნეში იოანე სკოტ ერიუგენას სახით, მაგრამ გარკვეული სახე ჰილიო მხოლოდ პანთეისტურ მატერიალისტებთან XII-XIII ს. ს. მიჯნაზე, ამდენად, ქრონოლოგიურად ერთ საუკუნეზე მეტი განსხვავება არაა ნიკოლა კუზანელისა და ორბელიანის აზროვნების პანთეისტურ მატერიალიზმთან შეხების შორის.

ასეთია პირობები ორივე მოაზროვნის მიერ გარკვეული ნაზროვნო წინამორბედის შეთვისებისა, რის საიდაგზუდაც საბოლოოდ დადგინდა მათი თეზისი სიბრძნის, როგორც უმეტერების შემეცნებისა.

რამდენადაც ორბელიანის მიერ შეთვისებული დღეულება (ისევე როგორც იოანე პეტრიწისა და, განსაკუთრებით, ნიკოლა კუზანელის მიერ) ფილოსოფიური განვითარების ფრიალ რთულ მომენტებს ეხება და მასთან შვიდრო კავშირშია, რაც მთელ რიგ სიძნელეთა გათვალისწინებას საჭიროებს, ბუნებრივია, ორბელიანის ნააზრევში სიბრძნის ცნების გარკვევა დღემდე მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე მართო ის კი არაა, რომ ს.ს. ორბელიანი, როგორც ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენელი საქართველოში, იმავე პოზიციაზე იდგა, როგორც დასავლეთის მოაზროვნე ნიკოლა კუზანელი, იდეოლოგიური ტონის მიძიქში დასავლეთის რენესანსისა. აბც ის იყო გადამწყვეტი, რომ აზრები, რომელთაც ორბელიანი იყენებდა, ხანგრძლივი ისტორიის მქონე იყო და თავისი ძირებით ანტიკურობას აკრავდა. მთავარი იყო თვით საკითხთა სიმძიმე, რომლისთვისაც უაღრესად ფილოსოფიურ თელსაზრისზე დადგომა იყო საჭირო.

ს. ორბელიანი რთული პიროვნება იყო: პოლიტიკოსი, დიპლომატი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, საეკლესიო მწერალი, ხელოვანი. ყველაზე ძნელი აღმოჩნდა მისი ფილოსოფიური საქმის კვლევა, როგორც ამას უდავოდ ამტკიცებს უნაყოფო ცდები მის ნააზრევში სიბრძნის ცნების გარკვევისათვის. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ვერც ერთმა მისმა მკვლევარმა, კომენტატორმა თუ მთარგმნელმა, ვერ მოახერხა სიბრძნის იდეის თუ ცნების, რამელოც გადამწყვეტთა ს. ორბელიანის ნააზრევისათვის, მიახლოებით მაინც გაგება. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არაა გამორიცხული ორბელიანის მიერ ნაცადი შეთოდის ანუ გზის გამოყენება, რათა დასახელებულ ცდათა უმეტერების შემეცნებით დადგენილ იქნას ორბელიანის ნააზრევში სიბრძნის სახე ანუ იდეა.

გადვილდეთ ამ საკითხის განხილვაზე. სიტყვის გაუგებრებლად შეიძლება შეეჩერდეთ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევაზე. ყველა გრძნობდა, რომ ორბელიანის ნააზრევში მთავარი სიბრძნის ცნების გარკვევა და ამიტომ ცდილობდნენ მისი მთავარი წიგნის მიხედვით სიბრძნის და სიცრუის მიმართების გარკვევას. ასეთი მიმართულება კვლევის განზე ტოვებდა ლექსი-

კონში მოცემულ ცნებას სიბრძნისა, სადაც, ბუნებრივია მეტად მოკლედ აღწერილი იყო სიბრძნის წარმოშობის წინააღმდეგობრივი გზა, რის გამოც განზე რჩებოდა ორბელიანის ნააზრევის სისტემატური ხასიათი.

აქად. კ. კეკელიძე მართალია თავის კრიტიკულ შენიშვნაში პროფ. ა. ცაგარის წინააღმდეგ, სახელოდობ, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ სიბრძნე და სიცრუეზე. მართლაც და, როგორც კარგად ვიცით, ზემოთ ნათქვამის შედეგად, — სიბრძნესა და სიცრუეს შორის, ს. ორბელიანის გაგებით არაა ისეთი დამოკიდებულება, რომლის გამოსახვა „და“-თი შეიძლებოდეს, რაც ან ჩამოთვლას ნიშნავს, ან კავშირის მინიმუმს გამოხატავს. ცხადია, რომ სიბრძნე და სიცრუე გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთისათა.

მაგრამ თავისი საკუთარი გაგების დროს, თითქოს „სიბრძნე“ ნიშნავდეს სიცრუის აზრს, კ. კეკელიძე თვითონ უშეუბნებლად შეცდომას. მართლაც და, რა „აზრი“ უნდა ჰქონდეს სიცრუეს, როგორც ანდის, რომლის გამოსახვა საჭირო იყო, და ისიც „სიბრძნის“ საშუალებით. აქად. კ. კეკელიძე ძალიან შორსაა ს.ს. ორბელიანის გაგებისაგან, ორბელიანისა, რომლისთვისაც სიცრუეს, როგორც ცალკე აღებულს, არავითარი აზრი არა აქვს თუ იგი შეგებული არაა, როგორც სიცრუე, რომლის შემდეგ ჩნდება სიბრძნე. უმეტერების შემეცნებას აქვს აზრი და არა მხოლოდ უმეტერებას, ანუ, ორბელიანის ტერმინით, „სიცრუეს“ ამდენად, აკადემიკოსი კ. კეკელიძე ვერ გრკვევა ს. ორბელიანთან სიბრძნის ცნების წარმოქმნის მეთოდსა და პროცესში.

ამის შემდეგ გასაგებია კ. კეკელიძის განცხადება: „გამორიცხული არაა, რომ თვით სახელწოდება კრებულისა „სიბრძნე (ხაზგასმა კ. კეკელიძეს ვეთუთნის) სიცრუისა“ მოგონილია „ეპარამის და იოანესათვის“ წიგნის მიხედვით, რომელსაც ქართულად „სიბრძნე (კ. კეკელიძე) ბალაგარისა“ ეწოდება“! ფრთხილად გამოთქმული, ეს აზრი მაინც გაუგებრობას წარმოადგენს, რადგან ერთი სიტყვის — „შსგავსება“-ს დამთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმაო საფუძვლად იმის სამტკიცებლად, რომ დასახელებულ ობხულებათა შორის რაიმე კავშირი დაინახოთ. საქმე ის კი არაა, ჰგავს ერთიმეორეს ორჯერ ნახმარი სიტყვა — „სიბრძნე“, — ამავე ლაპარაკი ზედმეტია. საქმე ისაა არის თუ არა შსგავსი მეორე მომდევნო სიტყვა, რაც ამ შემთხვევაში პირდაპირი საყალბოა, რადგან მოითხოვს ბრძენი „ბალაგარის“ „სიცრუესთან“ შსგავსებას.

აქ იმდენად ნაჩქარევ და გაუგებარ გარემოებასთან გაიქვს საქმე, რომ მასზე ყურადღების

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია.

შეგრება არ ღირდა, მაგრამ ასეთმა განცხადებამ ავტორიტეტული მკვლევარისა შეცდომაში შეიყვანა ინგლისელი მკვლევარი დ. შ. ლენგი. უკანასკნელი წერს ორბელიანის წიგნის — „სიბრძნე სიცრუის“ შესახებ: „ჩვენ ვაპყვებთ ყურადღებას ამ წიგნის სათაურის მსგავსებას ჯიდე ერთ კლასიკურ ძეგლთან — „სიბრძნე ბალეარისთან“, რომელიც ვახდა კარგად ცნობილი საშუალო საუკუნეების ევროპაში, როგორც ბალეარის და იოდსაფის ისტორია“¹. დამოუკიდებლოც იმისაგან, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ არ შევიყვანოთ შეცდომაში ჩვენი კულტურისადმი კეთილგანწყობილი მეცნიერნი, არსებობდა იმის შესაძლებლობის დაშვებამ, თითქოს ორბელიანის ნააზრევში სიბრძნის ცნება საეკვი გაეღწიოთ კოფილა გამოყვეული, აშკარას ხდის, რომ ს.-ს. ორბელიანის მიერ საკითხის დაყენება მიუწვდომელი აღმოჩნდა.

დ. შ. ლენგი, ბუნებრივია, თვალყურს ადევნებს, რას ამბობენ ქართული მეცნიერები, კერძოდ, ამ შემთხვევაშიც, მან კარგად იცის, რომ ამ ცნებათა მიმართებაში საკვანძო მომენტია ორბელიანის ნააზრევისა. ლენგი არ უჭერს მხარს გერმანული თარგმანის მიერ მოწოდებულ გაგებას, რომელიც გამოხატულია, Die Weisheit d. Lüge-ს ფორმით, რომელსაც, მისი გაგებით, აცდემ. ა. კეკელიძე და პროფ. ალ. ბარამიძე თანაუგრძობენ. სინამდვილეში, — ფორმობს დ. შ. ლენგი, — სიცრუის სიბრძნეზე, როგორც მის აზრზე, კი არ უნდა იყოს ორბელიანთან ლაპარაკი, არამედ სიბრძნისა და სიცრუის თავიანთობაზე პრე, როგორც ლენგი ამბობს, „ეს არის ნარევი ბრე და ბრეველ მოთხრობათა, სწორი თხრობის უაზრობასთან დაპირისპირებაში“².

აშკარაა, რომ დ. შ. ლენგს მეტად გამარტივებულად აქვს გაგებული ორბელიანის თვალსაზრისი. მისთვის სიბრძნე-სიცრუე შეიძლება „ნარევი“ იყოს სიბრძნისა და სიცრუისა, რომელთაც ერთმეორეს გვერდით „დაპირისპირების“ მეტი არაფერი ვვალეზათ ცხადია, რომ, თუ ეს ასეა, აქ შეიძლება „და“-ც გამოდგეს სიბრძნისა და სიცრუის გამოსაქმეულად და გასაგებია, რომ დ. შ. ლენგს შეუძლია ასეთი გაგების დროს მხარი დღეუჭიროს პროფ. ა. ცაგარელს და უორდრომს. მაგრამ რადგან ეს „და“ წინააღმდეგობას იწვევდა ქართულ მკვლევართა შორის, დ. შ. ლენგი კმაყოფილებით შეხედა გ. იმედაშვილის გამოსვლას, რომ ორბელიანს, როგორც დ. შ. ლენგი ამბობს, „მშვენიერად შეეძლო გაეეთ-

ბინა სათაური ქართული გრამატიკის მიხედვით შექმნილი კომპოზიტური „სიბრძნე-სიცრუის“ გვიარად“. (იქვე).

რა თქმა უნდა, გერმანული ვარიანტი არ ამართლებს საკითხს ისე, როგორც ამას სწადის დ. შ. ლენგი და, თუმცა არ ჩანს გერმანულ ვარიანტში ყველაფერი, რაც საჭიროა, მაგრამ აქ მართო დაპირისპირებაში კი არაა საქმე, არამედ სიცრუის სიბრძნეში. თუ გერმანული თარგმანის მიერ ნაჩვენებ პრაბლემას ვერ დავინახავთ და მას, მიუხედავად იმისა, რომ ის არ გამოირიცხავს ორბელიანის სწორ გაგებას განზე დავტოვებთ, მაშინ შესაძლებელი გახდება ცაგარელ-უორდრომის თვალსაზრისის აღდგენაზე ლაპარაკი. გ. იმედაშვილის მიერ ქართული კომპოზიტის მოშეღობის დადებით შედეგს ამ შეხედულებათა აღდგენაში ხედავს დ. შ. ლენგი. იგი პირდაპირ წერს: „თბილისელი მეცნიერები, როგორც ჩანს, განწყობილი არიან ამ ბოლო დროს მიდიონ ცაგარისა და უორდრომის მოსაზრება, როგორც ყველაზე მართებული. უახლოესი წეროლი მეცნიერ მეშახის გ. იმედაშვილისა... აჯამებს არგუმენტებს ძველი ინტერპრეტაციისაგან მისაბრუნებლად“ (იქვე).

შეიძლება ეს ისე იყოს, მაგრამ ეს კიდეც არ ნიშნავს ს.-ს. ორბელიანის მიერ მოწოდებულ სიბრძნის ცნებისაგან მიბრუნებას, რადგან ვერც „და“-ს ამოკეთა კომპოზიტის საშუალებით და ვერც მისი დატოვება ახლოსა არ მიდის სიბრძნის, როგორც უმეტრების შემეცნების, გაგებასთან, უორმლისოდაც იძლება მთელი თავისებურება ქართული აზროვნების მიერ ამ საკითხის დატენების, მისი ისტორიულ-ფილოსოფიური სიტუაცია და სხვ.

ნათქვამის შემდეგ ნათელია, რომ სხვადასხვა ენაზე გადატანილი სიბრძნე-სიცრუის მიმართება იზიარებს მისი ინტერპრეტაციების ბედს. იგი ერთი მთავარი არ დგას ს.-ს. ორბელიანის ფილოსოფიურ თვალსაზრისზე, რომელიც მან აიღო ისტორიულად შემუშავებული სიბრძნის ცნებისაგან. ინგლისური გამოსახვა ს.-ს. ორბელიანის ცნებათა მიმართებისა — იმავე ნაყლს შეიცავს, რასაც რუსული „Книга о мудрости и лжи“. ამაღ ვარიანტი რუსული გამოსახვის, რომელიც მოწოდებულია ეუნეღ ლოლობერძის (და ა. გ. ლენდბერგის) მიერ „О мудрости вымысла“ გონებაშეხილურია, მაგრამ სიცრუის გაკეთილშობილება ვერ ავსებს ძირითადი ვითარების ნაყლს, რომ სიცრუის თვისებრივობის აწევა არაფერს ცვლის უმეტრებაში, რომლის შემეცნება არის, ს.-ს. ორბელიანისათვის გზა სიბრძნისაგან. მასთან ერთად ირკვევა დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც უჭირავს ორბელიანს ქართული აზროვნების ისტორიაში.

¹ დ. შ. ლენგი, BSOASU ტ. XVIII, ლონდონი, 1956 წ.

² იქვე, გვ. 445.



ტექსტიური მრეწველობის ორი ტერიტორიისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გამარჯვებულმა ტარიელმა ხატავთის საგანძურებში ნახა ერთი განსაკუთრებული ქსოვისაგან გაკეთებული რიდე.

ფთანდილთან საუბარში თვით ტარიელი ასე აღწერს ამ რიდეს:

„ვერა შეეგან, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად.“

ვისცა ვეწვენი, უყვირდეს, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;

არცა ლარულად ჰგებოდა მის ქსელი, არ ორბადლად,

სამტარე ჰგანდის წმქელსა; ვთქვი ცუცხლთა შენართულად.“¹

რიდეს რუსთაველის საზოგადოებაში ატარებენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. ქართულ ლექსიკოგრაფიაში რიდე სუბსტიტუტად მრავალგვარი განმარტება მოპოვება. „ვეფხისტყაოსანის“ აკადემიური გამოცემის ლექსიკონში ვითხულობთ: „რიდე — პირსაბურავი, ანუ ჩაღრი, თავპირის დასამალავი ფარის მოსახვევი. პირბადე“.²

ეს განმარტება უახლოვდება ს.-ს. ორბელიანისას, იმ განახლებებით, რომ, საბას გავებით, რიდე არის თავსახვევი „ქედისა წილ საბურავი“.³

ყვად. ნ. შარის განმარტებით, რიდე — მანტია, ზედატანზე მოსასხელი, რასაც ქართულში ჩადარი შეესატყვისებაო!⁴

ჩვენ ვფიქრობთ, მართებული ვ. ნ. ო. ბ. ი. შ. განმარტება იმ მხრივ, რომ რუსთაველას საზოგადოების რიდეს ჩადრთან არაფერი აქვს საერთო, — აქ შესლიმანები მამადიანთა შესაბამის წესს არ მისდევენ, „დღდაყენი თავის პირისახეს არ მალავენ“. რიდე ფრთხილ უახლოვდება XIII—XIV სს. დას. ევროპაში აზი-

იდან შესულ და გავრცელებულ შლიერს, რაც, იმდროინდელი მწერლების ცნობით, შებლიდან თავზე ნაკეცად დაბურული ქვემოთქენ, ბეჭებისაგან მოხდენილად იშლებოდა და ზურგზე ეშვებოდა; ამასთანავე, რიდეს გამოიღოსაგან მოიხსენიებენ („...ებურა მოშლით პირსაგან...“) რიდე...“, სტროფი 521, ტაეი 2-521ა).

„ვეფხისტყაოსანში“, სხვადასხვა კონტექსტში, როგორც ეს სავსევბო, ისე, საერთოდ, რიდე მრავალგვანაა მოხსენებული და, როგორც წესი, იგი ძვირფასი ქსოვილისგანაა გაკეთებული. რიდეს ატარებენ არისტოკრატიული, სამხედრო, ვაჭართა წოდების აღაშიანები (იხ. სტროფები: 72, 123, 124, 460, 496, 502, 505, 515, 521, 577, 1008, 1073, 1125, 1131, 1148, 1255, 1291, 1309, 1310, 1339, 1340, 1659)“.

ხატავთიდან წამოღებული ზემოხსენებულ არაჩვეულებრივი რიდე ტარიელს იმავეთვე წესტან-ღარეჯანის საძღვრად ჰქონდა განკუთვნილი. ეს რიდე იმდენად საკვირველი და იშვიათი მასალისაგან იყო ნაკეთები რომ „...თუმცა მანებ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე“ (სტროფი 460)“.

აქედან ჩანს, რომ ტარიელმა არ იცოდა სახელი იმ ტექსტისა რისაგანაც ეს რიდე იყო გაკეთებული და, ვისაც უჩვენა, ვინაა გაკეთებული იყო, ღვთისგან ქმნილ სასწაულად მიაჩნდათ, რადგან „...არცა ლარულად ჰგებოდა მის ქსელი, არ ორბადლად“.

ჩვენი შესჯელობაც სწორედ ამ ორი ტერიტორიის, სახელობარ, ლარულისა და ორბადულიის აზრის განმარტებას შეეხება.

ფიქრობთ, რომ რუსთაველოლოგიაში აქამდე გავრცელებული ამ ორი სიტყვის ტრადიციული გაგება ზუსტი არ უნდა იყოს.

1. დაეწყეთ ლარული და ნ.
1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანის“ ვახტანგ VI მიერ დაბეჭდილ „თარგმანში“

¹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1937, თბ., სტროფი 461.

² იქვე, გვ. 373.

³ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედ. 1928.

⁴ „Тексты и разыскания...“, 1910, кн. XII, стр. XX.

⁵ ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიღონა, 1956, თბ., გვ. 275.

ნათქვამია: „ლარი ფარა აისო“. 6 პროფ. ს. კაკაბაძის განმარტებითაც ლარი ფარა ეულოზაა. 7 „ვეფხისტყაოსნის“ სათუბილო გამოცემისათვის დართული პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილ ლექსიკონში სიტყვა „ლარულად“ განმარტებულია: „ლარის ქსოვილით“ 8 და ა. შ.

„ლარისა“ და „ლარულის“ განმარტებისათვის დღემდე ყველაზე ვრცელი და მასშაბაჰე, დასაბუთებული მოსაზრებანი ეყრდნობის ვინაჲთაჲს. იგი წერს: „...ვეფხისტყაოსანში“ სიტყვას „ლარი“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს. 1. ლარი არის ქსოვილი, 2. ლარი არის ნივთიულობა, საგანძფრი, ხაზინა. „ვეფხისტყაოსნის“ ლარი ჩვეულებრივ ბაშის ან სელის ქსოვილი არაა. ამ ლარის სახელი წარმომდგარი უნდა იყოს იმ მხარედან, რომელსაც ლარი ერქვა ამ შოთხევეწი ჩვენ ორი გეოგრაფიული სახელი მოგვსთავება 1. ლარისტანი სპარსეთის ერთ მხარეა, რომლის დაბა-ქალაქს ლარი ჰქვია... იგი, ლარი, ხუთის დღის სავალითაა და-შორებული ბენდერ-აბასიდან და ორმუხდიდან, სპარსეთის ყურედან; 2. მეორე მხარე ლარი (ლაპი) არსებობს ბელჯისტანში. — შესაძლებელია, რომ სახელი „ლარი“ ქსოვილთა სწორედ ერთობით ამ მხარის სახელი იყოს“ 9.

არაინ დავიბს იმის თაობაზე, რომ „ლარული“ („ლარულად“) ნაწარმოებია სიტყვა „ლარიდან“. „ლარი“ „ვეფხისტყაოსანში“ მრავალგვარისა ნახშირი: 54, 461, 618, 1021, 1028, 1031, 1033, 1056, 1054, 1059, 1073, 1079, 1224, 1235, 1315, 1317, 1438, 1464, 1495. ამ „ლარი“ იხსენიება, როგორც საერთოდ ძვირფასი ნივთების, განმეულობის შესატყვისა: შერტლის ნაყეთობათა თუ პატროსან თვალთა და შალისა თუ აბრეშუმის ძვირფასი ტექსტილური ნაწარმის სახით.

ხოლო საერთოდ ტექსტილის (ქსოვილის) გეგმობთ „ლარი“ იხსენიება: პირველად ზემოთ შოყვანილ სტროფში (461); მეორედ, როგორც „...უსახო ლარ-სავებული“ (1056) რაც, კონტექსტის მიხედვით, ქსოვლს და, იქნებ, კერძოდ, საფენს-კვებ ძვირფას ქსოვილს, ე. ი. ნოსს, ფარდას და მისთანებს გულისხმობს; მე-

სამედ, სადაც ბაღდადეგი ვაჭრები აცხადებენ, რომ შაჰეთ დიდძალი საქონელი და... არ ლარნი ვაჭვენ ნაჭარნი“ (1031; შეადარე 1033); მეოთხედ, როდესაც აღწერილია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი ფარიდონისაგან. ამ ნათქვამია, რომ მამინ „ვაჭარულდა ძღვნობა ლარისა ლბილისა“ (1464; შეადარე: „იესო სახლი სტავრითა და ოქსინითა ლბილითა“ 1467); მეხუთედ, იმ დროს, როდესაც ცნობილი კვაბისკენ მიმავალ მეგობრებს ტარიელი უცხადებს „მე რომე ვაძღვენი ტურფათა, აქით ლარისა ქრებო“ (1496).

ამასთანავე, უდავოა, რომ იქაც, სადაც ლარი იხსენიება, როგორც ძვირფასიულობა (განმეულობის) ზოგადი სახელწოდება, სხვათაშორის, უნდა ვიგულისხმოთ ქსოვილებიც (სხვადასხვაგვარი ტექსტილური ნაყეთობანი), რაც იმდროინდელი ტრადიციით სიმოჭარათა (სარე-ქართა) სახით უაღრესად ხშირად გაიცემოდა ხოლმე როგორც მზა ტარისამოსის (მოსახაშის), ისე შეუქერავი (დაუქრევი) სახით.

„ლარი“ რომ ქალაქს (საერთოდ, გეოგრაფიული პუნქტის) სახელიდ მივიჩნიოთ, მამინ უნდა დავუშვათ, რომ რუსთაველის საზოგადოებისათვის, ე. ი. საზოგადოდ შესაუქუნებ-რივი ცივილიზაციის შესაბამისად უაღრესად განვითარებული ქართული კულტურისათვის სხვა ძვირფასი ტექსტილური ნაყეთობა, ვარდა ქ. ლარში, ანდა ორბაოში (ახ. ქვემოთ) წარმოებულისა უცნობი იყო; ანდა, ყოველ შემთხვევაში, ეს ორი ქალაქი მიჩნეული იყო ამ დანიშნულების ყველაზე ძვირფასი ქსოვილების მწარმოებელ ადგილებად.

როგორც ვიციით, ტარიელისათვის ხატურის რიდის მასალის, ქსოვილის სახელი (და მასშაბადმე, წარმომავლობაც) უცნობი იყო. იგი ამ ბოძს:

... ერთგან ენაზე საყიერელი ყაბაჩა და ერთი რიდი. თუმცა ჰნაზე, სახელი სი ცოდნასაც ინატრიდეო“.

და სწორედ ამიტომ აცხადებს ტარიელი: „ვერა შევოფნ, რა იყო, ანუ ნაქმარი (ნაყეთობა— გ. ა) რადულად ვისცა ვენწერი, უკერდის, ღმრთისაგან თქვის სსწულად“, — რადგან მას ქსელი (ნართი) არც ლარულად ჰგებოდა (ანდა), არც ორბაულად და, ამასთანავე, ნაყედის სიტყვი ჰქონდა, ციხელში შენადობს, შედღებულს (შენართულს) ჰგავდაო.

ასეთი საყიერელი ნაყეთობის შესახებ ტარიელი ვითომ ამბობს, რომ ის არც იმ წესითაა ნაქსოვი, როგორც ლარში აწარმოებენ და არც ისე, როგორც ორბაოში; ანდა ის არც ქ. ლარში მწარმოებული პროდუქტია და არც ქ. ორბაოში, ე. ი. ვაჩიოდის, თოქოს მსგავსი ძვირფასი პროდუქტის წარმოება, რუსთაველის საზოგადოების წარმოდგენით, მხოლოდ-

6. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილია აკაკი შინაძის მიერ, 1937, გვ. ტკ. და 376.

7. „ვეფხისტყაოსანი“, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1927, გვ. 198.

8. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“, 1937, ტფ., გვ. 361.

9. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანისა განკითხვა. ვეფხისტყაოსნის ფართომეტყველება“, 1954, ბუენოს-აირესი, გვ. 52.

და, (ან თუნდაც უპირატესად) ამ ორ ადგილას, ან ამ ორი ადგილის წესიამებრ იყოს შესაძლებელი და, მაშასადამე, საგულეებელიც და ეს მაშინ, როდესაც ეს პუნქტები ობიექტულად არაა ცნობილი, როგორც ამ ეპოქის ტექსტურული მრეწველობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრები.

მაგრამ არსებობს კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტი, წინააღმდეგ იმ მოსაზრებისა, თითქოს „ლარი“ იყოს იმ გეოგრაფიული პუნქტის სახელი, სადაც აწარმოებდნენ სამიგალით ოდ მიჩნეულ ძვირფას ქსოვილებსა, მსგავსად, მაგალითად, ქაშვირისა, როდესაც ნაკეთობა (ან შემთავებაში — ტექსტურული) სახელწოდებას ღებულობს იმ ქალაქისა (თუ პროვინციისა), სადაც ის აწარმოება, სადაც პირველად დაიწყო მისი წარმოება.

საქმე ისაა, რომ შ. რუსთაველის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ლაპარაკია რიდის არა წარმომავლობის (სადაერობისა), არამედ, სახელდობრ, მისი ქსოვილის ხასიათის (როგორობის, თავისებურების) შესახებ, სახელდობრ, მისი შესახებ, რომ მის ქაელის (ნათის, ძაფის) გაბმულობა ((დალაგებულობა, დაღობილობა) არ ეტყობოდა, არ აჩნდა არც ლაწულად, ე. ი. ლარის მსგავსად და არც ორხველადად.

საისტორიო წყაროებით დასტურდება, რომ „ლარი“ შ. რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ ენაზე, ამ სიტყვის წარმომავლობა მიხედვით მაინც, უპირატესად იყო ზოგადი სახელწოდება აბრეშუმის თუ შალის ტექსტურული ნაკეთობისა.

მაგალითად, იმ ეპოქის ქართული მწერლობის იესთ ძველში, როგორიცაა „თამარიანი“ ნათქვამი:

„... აღევსეს ტყეითა, ღარ პირტყეითა არ ღარა კაცი არ შოებულად.“¹⁰

რკინის ეკლესიისაღმ 1259 წ. ბოძებულ სიგელში კახა თორელი (მეურველთუბუცისი) აღნიშნავს, რომ მან, საქართველოს მეფის მიერ დიპლომატიური მისიით შორეულ ქვეყანაში — პულაგუ ყაენთან — მიმავალმა, ორტალთაგან „ლარი ოდ თეთრი“ აიღო, რათა ნასესხები საშუალებებით კომერციული ოპერაციები ეწარმოებინა („ევიარებოდლი და ევილდი თელსა მარგალიტსა და ხარქმასაო“) ¹¹.

ზუსტად იმ ხანებში, მონგოლთაგან ზაღდადის აღების დროა, სახელდობრ, 1258 წ., როგორც ქართული მემატიანე მოგვითხრობს, გამარჯვებულმა, მათ შორის, ქართველთა სექსპედლიო ჯარის ნაწილებმა იმდენად ბევრი და ძვირფასი ნაღველი ჩაიგდეს, „რო-

¹⁰ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, „თამარიანი“, 1937, გვ. 21.
¹¹ თ. გო რ დ ა ნ ი ძ ე, „ქრონიკები...“, II, 133—134.

მელ არავინ აიღებდა, თვინორ ოქროსა და ვერცხლსა, თვალთა და მარჯაღებტან ქლატთა და შესაშოსელთაგან კიდებ...¹²

ლარი უველი სუნებულ შემთხვევაში და აგრეთვე „ვისიამიანში“¹³ იხმარება, როგორც ძვირფასი ქსოვილების, ტექსტილის აღმნიშვნელი ტერმინი. საქროა აქვე აღინიშნოს ის გარემოება, რომ ღარი სწორი ხაზის, სისწორის (და, მაშასადამე, სამართლიანობის) მნიშვნელობითაა ნახმარი „აბდულ-მესიანი“:

„სჯულსა ღარი, ქვეყნის საღარი გამდიდრებელი ფრად ყოვლითა“.¹⁴

მაგრამ „ლარის“ თავდაპირველი, უპირატესი და, მაშასადამე, წარმომავლობის განმარტების თვალსაზრისით უველაზე მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო ლიტერატურის ისეთ შედეგში, როგორიცაა „ისტორიანდ და აზმანი შარავანდედთანი“, შემონახული ცნობა.

აქ ვკითხებით, რომ თამარ მეფის ქორწილის დროს „...ოქმანი... ძღუნობანი და ნიჭობანი თელითანი და მარგალიტთანი, ოქროთა პედილთა და უქვედლთანი, სიმდიდრეთა და ღართა კერულთა და უკერულთა...“¹⁵.

ამ კონტექსტში უვე ეკვივინტანლადა შემონახული „ლარის“, როგორც ტექსტილის აღმნიშვნელი ტერმინის, თავდაპირველი შინაარსი. აქ არსებითად ოფიციალური მემატიანის, როგორც მეოქმის მერ, აღწერილია ქორწილის პროცესში ძღუნობათა და ნიჭებთა (ბოძებთა) დროს გამოტანილი ძვირფასი სიმდიდრე სავსებით გარკვეული და თანამდევრული კლასიფიკაციის მიხედვით: 1. თ ე ა ლ მ ა რ გ ა ლ ი ტ ნ ი — როგორც, საერთოდ, ძვირფასი (მატიონისი) ქვევის ზოგადი სახელწოდება; 2. ო ქ რ ო ჭ ე დ ლ ი, ე. ა. სხვადასხვაგვარ სიშვეულთა, ურქულულთა და სხვ. ნაკეთობისა და ო ქ რ ო უ ჭ ე დ ლ ი — სხვადასხვა სიდიდის ზოდების ზოგადი სახელწოდების სახით (ამ შემთხვევაში ვერცხლს და სხვ. ძვ. ლითონთა მოუხსენებლობა დიდი სიმდიდრის მქონებლობის მაჩვენებელია) და, ბოლოს, 3. ღ ა რ ი (ლარები), როგორც შეყვრილი და შეუყვრივი ტექსტურული ნაკეთობის (საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის) ზოგადი სახელწოდება.

როგორც ძველ ისე თანამედროვე ქართულ-

¹² „ქართლის ცხოვრება“, მ. ბ რ ო ს ე ს გ ა მ ო ც ე მ ა, 1949, სპ, ტ. I, გვ. 385.
¹³ „ვისიამიანი“, მეორე გამოცემა, 1938, გვ. 6, 40, 145.
¹⁴ შ ა ე თ ე ლ ი, „აბდულ-მესიანი“, 1937, გვ. 38.
¹⁵ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კ ა ქ ე ე ლ ი ძ ი ს რ ე დ ა კ ც ი ი თ, 1941, გვ. 82.

შიც ლარი იხმარება სივრცეზე გაბმული, გაკუმბული თუ გასაკუმბავი სხვადასხვა დანიშნულების ძაღის, თოყის, სიმის აღსანიშნავად; 16 — შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ასეთი ვიფილყოფი ამ სიტყვის ძველი, იქნებ თავდაპირველი, გაგებაა.

სინაღროს, საომარ, თუ ბოკოეანთა (მარტულის, შამხის) საპენტ შეიღებულ გაბმულ თოყს ლარს უწოდებენ; საყრავი ინსტრუმენტის სიმებზე იტყვიან: ჩონგურს ან ფანდურს ლარები ეძევათ 17.

სევეური შეფანდურე ლექსებს აწყობს:

„ღაფურავ, ჩემო ფანდურო, ახლებს ჩაგიღებ ლარებსა, ახლად ვიამბობ ლექსებსა თემებში დასაბარებსაო“ 18

ვანის, თუთის და სხვ. მცენარეთა ლარის მიხედვით, ლარზე დარგვა გულისხმობს ამ მცენარეთა სწორ ხაზებზე პარალელურად, ერთმანეთის გასწვრივ გაადგილებას; დურგალი, სავრთოდ ხელოსანი, ხის ან სხვა მასალის სწორ ხაზზე გამოყენების მიზნით, მაგალითად, დასაბურს შორზე, დასაბურებულ ფიცარზე ლარს, ჩვეულებრივ ნაშრობის წყალში ამოვლებულ თოყს, დაარტყამს. არაა გამორიცხული შესაძლებლობა ვივარაუდოთ, რომ ტერმინი „ლარტყავ“ ლარიდან წარმოდგებოდაც, — ლარის დარტყვით გამოყენილი ბრტყელი ლარანი იყო 19. ლარში გამოყენაც გასწორებას 20, ლარის და ხაზის გაყვანა თუ გაბმა სისწორის შემოწმებასა და ჩვენებას ნიშნავს 21.

დასასრულ, არ შეიძლება უუვრადღებოდ დავტოვოთ „ლარის“ ეტიმოლოგიური გაგება. იგი წერს, რომ ამერეთში — ქართლსა და კახეთში

— აცეით ატანს კაბა ლარისა, სკლარისა ანუ ჩოხისა (= შალისა — ვ. გ); 22 რომ იმერეთში თაზე „აბურავთ მცირე რაოდენი“ ნაკრისაგან ლარათა, ვიარაკა მღებარედ თავსა ზედა“ 23; — რომ აქ „აბრეშუმს აცეთებენ და ქსოვენ ლარს არა დიდფასსა. ეოქრომეფოსა, და ხმარობენ სხეებრცა“ 24.

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი ამონაწერების მიხედვით, ვახუშტი, როდესაც მხედველობაშია ტექსტილური ნაყოფი, ლარს უწოდებს აბრეშუმის ქსოვილს. ლარის კაბა აბრეშუმის, ხოლო სკლარისა კოდუე ჩოხის, ანუ შალის ქსოვილისაგან იყრება. ამასთანავე, ვახუშტი ლარს, ცხადია, ხმარობს, როგორც, სავრთოდ, ძვირფასეულობათა აღწინაშეულ ტერმინსაც 25.

ახლა აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ რუსთაველის ეპოქის ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურულ ძეგლებში არა ჩანს, რომ ლარი, როგორც ფეიქის ხაზელავი, მხოლოდ აბრეშუმის ქსოვილს გულისხმობდეს, თუმცა ასეთი ვარაუდის გამომრიცხველი ჩვენებაც არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება შერჩინილ განმარტებებს, ამ მხრივ საუბრადღებოა ვახუშტი VI „თარგმანი“, რომ „ლარი ფაობა არისო“. რამდენადაც სპარსული „ფარა“ ოქრომქელი ნავერ აბრეშუმის ქსოვილს ნაჭერს ნიშნავს, საფუძველი არსებობს დავუშვათ, რომ ვახუშტი VI ლარის ქსოვილს სწორედ იგი უნდოდა, როგორც მის გენიალურ „უცანონო“ შეიღა.

ჩვენ დავინახეთ, რომ „ლარელი“ ნაწარმოები „ლარიდან“ და აღწინაშეთ, აგრეთვე, „ლარის“ სხვადასხვა მნიშვნელობა (შინაარსი), როგორც რუსთაველის ეპოქის სინტაქსით ძველებს, ასევე შერჩინილი ლიტერატურული და ხალხური ქართლის მიხედვით.

2. ახლა შეეჩრდეთ „ორბედილი“ მნიშვნელობაზე.

ს.-ს ორბელიანის განმარტებით, „ორხოვა“ (ორხუა) ხოლანი სიფენია 26. სხვაგან კოდუე იგი წერს: „ესე ტერი არს ქვეშაფენელი და საგებული: ორხუა (ორხოვა)“ 27. ნოხის განმარტებისას იხსილება, რომ ესაა „გრძელი ორხოვა“ 28. — „ხალიჩა სხეთა ენაა, ქართული“

16 იხ. „ქართული ენა: განმარტებითი ლექსიკონი“, აკად. ი. ან. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, გვ. 1482—1483.

17 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 106, 111—113, 173—174.

18 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1931, I, გვ. 145. იხ. აგრეთვე გვ. 273.

19 შედ. ს.-ს ორბელიანის, „ქართული ლექსიკონი“, გვ. 183; ი. ვ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ენის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946, გვ. 173.

20 „ქართულ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“, ვ. ვირსაყალაძის რედაქციით, 1958, გვ. 210.

21 ი. ვ. ჯავახიშვილი, ნაწერების სრ. კრებული, 1928, VI, გვ. 95; — VIII, გვ. 116; თ. ს. ხოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, შ. ძიძიგურის რედაქციით, 1950, I, 225.

22 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთოვრისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, თბ., გვ. 32.

23 იქვე, გვ. 144.

24 იქვე, გვ. 145.

25 იქვე, გვ. 17, 22.

26 ს.-ს ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 264.

27 იქვე, გვ. 332.

28 იქვე, გვ. 260.

ლად ძოლო ქვიანო²⁹, ძოლო კი „მცირე ორხოვა“ არისო³⁰.

როგორც ჩანს, შ. რუსთაველის „ორხელთან“ ს.-ს, ორხელთანის „ორხოვას“ ის საერთო რამ აქვს, რომ ორივე სიტყვა ტექსტოლოგიური მრეწველობის (ფართო გაგებით) ტერმინია და შესაძლებელია, ვარაუდოთ საკუთრად ხაიანის ქსოვილისა, ნართის (ძაფის) ორპირად დახვეულობასაც აღნიშნავდეს, ე. ი. აღნიშნულ ქსოვთელში მიღებული ტერმინით რომ ვილაპარაკოთ, ქსელზე (основа) ორპირად დახვეული მისასქელით (уток) ნაქსოვ მისაღასაც გულისხმობდეს.

ვ. ნ ო ხ ა ძ ი ს განმარტებით, „ეფესხისტაოსნის“ ზეენ ზემოთ მთლიანად ამოწერილ სტროფს შესაძებ ტყეში — აბრცა ლარდელ ჰეგობდა მას ქსელი, არ ორხელად — ლაპარაკია ისეთ ტექსტოლოგიურ ნაყოთობაზე, რომელიც იყო გაყეთებული არა ისე, როგორც ქსოვენ ლარს ან ორხელად...“; „... ო რ ხ ა აბის გეოგრაფიული და პოლოტიკური სახელი. ორხა, ორხა იყო ანდოეთის ერთერთი სათავადო, შუა ინდოეთში... ორხელი ქსოვილი უნდა იყოს სწორედ ამ ქვეყანაში — ორხა — დამზადებული ქსოვილი, ორპირად ნაქსოვი ხალიჩა, ანუ ხაიანის საფენი“³¹.

ორხელი რომ ორხაოა (ორხაო) წესზე ანდა ორხაში დამზადებულ ხალიჩად ან სხვა რა-მე-გვარ ხაიანს საფენად მივიჩნიოთ, მაშინ ვამოძღბს, თითქოს შ. რუსთაველი ტარეღის პირით ამბობდეს რომ სხენებული რიდე ე. ი. მოსახლში, რაც, როგორც ძვირფასი ქსოვილი მრავალგზისა „ეფესხისტაოსანში“ მოხსენებული და რასაც როგორც ქალები, ისე მამაკაცები, თითქოს უფლა შეძლებული წოდებისა, ატარებენ — ორხას ხალიჩასავით, თენდაც ნობოვით, ე. ი. იატაკზე (მიწაზე) საფენი, ანდა, თუ გნაჯუკ, კედელზე გასაქრავი ქსოვილით (რაც აუცილებლად განარჩეოდა თვისი სიმამითაც) არ იყო ნაყოთობიუ და მთელი მისი საყვარელი-ბა და სანსწრელებრივი ხასიათი ამშლია განიხილებოდაო.

ასეთი გაგება, ჩვენ ვფარობთ, არ გამომდინარეობს შ. რუსთაველს ტექსტადან, ამიტომ ჩვენ გვეონია, რომ ასეთი გაგება შეესაბამება, და თანაც, საკითხის გაობრალოება იქნებოდა და, ვტყობა, იგი მომდინარეობს შ. რუსთაველის ლექსიკონში უცხოური, არაქართული სიტყვების ძებნის გადაქარბებული მისწრაფებისაგან.

მე-18 ს. და მე-19 ს. დასაწყისის საქართვე-

ლოს ეკონომიკური ისტორიის წყაროებში მრავალგზის გვხვდება ორხაო (ორხრა, ორხრა, ორხუა). ერთს, 1785 წ. ვახუშტის „სტრატეგია“ მენტში ახსენებია ორხოვა რ ადლი სიგრძე თ და 2 1/4 ადლი განით³². სხედისხევაკარ ანგარიშებში, ანდრეძებში, ქონების თუ საქონლის საიში ვითებულობით: „ორხუა თავის თავნაბადებით“³³; „დიდი ორხუა თავის თაკაბადებით“³⁴; „ერთი ბედაური ცხენი და ორი ორხოა და ერთი თავნაბადი...“³⁵; „ტახტის პატარა ორხოა...“³⁶; სახლში გაშლილი ორხოები³⁷; „ორხოვა ბოხით“,³⁸ ორხუა ლეკურია...“³⁹; საფენი ორხუა...“⁴⁰; ამ სიებში სწირად ორხაომდე ან შერბე ცალკეა ჩამოთვლილი ხალიჩები და ფარავები⁴¹.

ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციისათვის შედგენილ ლექსიკონში ორხაო განმარტებულია, როგორც ორხაოიანი გრძელი ხალიჩა⁴². ვფიქრობთ, ამ მართებულადაა აღნიშნული ორხაოს, როგორც ორხაოიანი, ანუ, თუ გნებავთ, ორპირად ქსოვილის ხასიათი. საერთოდ, მითითებულ ლექსებში ორხაო წარმოადგენს დიდი თუ პატარა ზომის ბინაში, ოთახში გასაშლელ თუ დასაფენ, აგრეთვე, ტახტზე თუ შეჯახებულ ცხენზე გადასაფარებელ ხალიჩის მავარს ქსოვილს; იგი წარმოებრივი წარმოებულობით სხედისხენარხი. გვხვდება ლ ე კ ე რ ი ორხაოც.

აღსანიშნავია, რომ ფშავში საქსოვ უდაზე (ღებვანე) გაბმულ ლარულ ნართს (ძაფს) თხორი ეწოდება, ხოლო განიგანზე დასაქველს (დასალობს) — საზელო, რაც ცხენულზეა დახვეული. ამ ფარდავიც „ქსოვება იმავე საქსოვ უდაზე ვ რ თ პ ი რ ა ხ ე ე უ ლ ა დ“⁴³. ზურჯონიც ქსოვება ხეეულად და არა ნაზურეტად⁴⁴.

ერთ მთიულურ ლექსში ორხაო მოხსენებულია, როგორც გეოგრაფიული სახელი: ჯიბ-

³² ნ. ბერძენიშვილი, მისალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, გვ. 68.

³³ იქვე, წიგნი III, გვ. 163

³⁴ იქვე, გვ. 174.

³⁵ იქვე, გვ. 175.

³⁶ იქვე, გვ. 289.

³⁷ იქვე, გვ. 290.

³⁸ იქვე, გვ. 344.

³⁹ იქვე, გვ. 357.

⁴⁰ იქვე, გვ. 410, 500.

⁴¹ იქვე, გვ. 336 და სხვ.

⁴² მისისა ბერძენიშვილი, მისალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, დინართი, I, II, III წიგნებს ლექსიკონი და სიტყვებები, 1957, თბ., გვ. 30.

⁴³ ს. შაკალაიძე, ფშავი, 1934, გვ. 58.

⁴⁴ იქვე, გვ. 59.

²⁹ იქვე, გვ. 451.

³⁰ იქვე, გვ. 427.

³¹ ვ. ნ ო ხ ა ძ ე, „ეფესხისტაოსნის“ განკითხვანი, ეფესხისტაოსნის ფერთაბეჭდულობა, 1954, გვ. 47.

ვებს დადევნებელი ჯარჯი... ორხაოს ქალს გვიდა, არხალოს-პერანგინი⁴⁵; ტიმოთე გახაშვილის მიერ „ორხოვა“ ნახმარია, როგორც ხალისის შესატყვისი⁴⁶.

ამგვარად, ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაში, ვფიქრობთ, საყუბით გარკვეულად და ნათლად გვაქვს დამოწმებული, ჯერ-ერთი, არქაული ფორმა ტექსტ-ლერი (საფიქრო) შრეწველობის ტექნიკური გაწყობილობისა, რომელიც სატანისამოსე შალი და ფარდაგიც ერთსა და იმავე საესო დაზგაზე (უდაზე) აქსოვება და, მეორეც, ძველი ქართული ტერმინი ფარდაგის ქსოვისა — ერთპირახვეულად, რაც უკვე თავისთავად გვაგონებს და, მაშასადამე, გულისხმობს ორპირახვეულად ანუ ორხელად (= ორხველად) ნაქსოვ ტექტილურ ნაყოფობას, იქნება ის წარმოებული ფარდაგის, ნახის, თუ სატანისამოსე შალისა და აბრეშუმის ქსოვილის სახით.

ცხადია, ორპირახვეული (ორხელად) ჩვეულებრივ უფრო სქელი (შიში), ხოლო წმინდა ნართის გამოყენებისას კი მსუბუქი და ლბილი, შვარამ ამავე დროს, მტკიცე და რთულ ნახელავს წარმოადგენდა.

საერთოდ, ზემოთ წარმოდგენილი მასალა გარკვეულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტარეღის მიერ ხატვის მონაპოვარია საკვირველი ქაოელისაგან ნაკეთები შავი რიდე, რომელიც მერმე მან ნესტან-დარეჯანს აჩუქა, და, ბოლოს, რომლის კედის ერთი მონაკეთი, როგორც მისი ქაჯთა ციხეში ყოფნის დამადასტურებელი ნიშანი, ქაჯთა ტყვეობაში მყოფმა ნესტანმა ტარეღისათვის მიწერილ წერილთან ერთად ფატმანის შინს გაა-

ტანი, წარმოადგენდა შავი დის ანუ ფიფითიციის სახეობის შალის ანდა ჩავერდის სახეობის აბრეშუმის ძვირფას ქსოვილს, რომელსაც არ აჩნდა არც ლარის (ე. ი. ქსელის; სივრძილ) და არც განის (მისაქსელის), ე. ი. ორხელის (რაც ლარის ნართზე ორხველად დალობილია) ქსელი (ძაფი, ნართი)⁴⁷.

ეგრეთვე კომპრციული ცხოვრების, ეგრძოდ, ტექტილური საქონლით ვაჭრობის ისტორიიდან ცნობილია, რომ იმ პერიოდში დას. ევროპის არისტოკრატიაე გაკვირვებული იყო ჯვაროსანთაგან აღმოსავლეთიდან შემოტანილ ანალოგიურ ძვირფას ქსოვილთა ნაქეთობის მღალე ხელოვნებით, ისეთი მუდღის ანუ თითათის (აქლემის მატყლის ნართისაგან ქსოვლ) ანდა აბრეშუმის ხვევრდის, სავართოდ, მკვიდროდ ნაქსოვი, უაღრესად ლბილი და საუცხოოდ შეღებილი ძვირფასი ტექტილური საქონლით, რომელიც ფრიად ძვირად ფასობდა, მაგალითად, კონსტანტანუპოლის, ვენეციის, ფლორენციის, გენუისა და სხვ. ბაზრებზე.

⁴⁷ მეორე შესაძლებელი მოსაზრება, რომ ორხელად სავართოდ შალის, ხოლო ლარული კი აბრეშუმის ქსოვილად და, მაშასადამე, ხატური რიდე ისეთ ტექტილურ ნაკეთობად მივიჩნიოთ, რომელიც ნახელავობის (ქაოვის წესის) მიხედვით არც აბრეშუმისა და არც შალისას არ ჰგავდა, ვფიქრობთ, ნაკლებად სავარაუდოა.

ამგვარად, „ლარულისა“ და „ორხელის“ შესაბამისი ქართული სიტყვებისგან წარმოებულობის შესახებ ჩვენს მიერ 1933 წ. გამოთქმული მოსაზრება, რომ სახელდობრ ძვ. ქართულში ძირის ძაფს (ქსელს) ეწოდებოდა ლარული, ხოლო განის ძაფს (მისაქსელს) ორხელად (იხ. ჩვენი „ტექნიკის მარქსისტული ისტორია“, 1933 წ. ტფ., ნაკვ. 3-5, გვ. 59) დამტკიცებულად მიგვაჩნია.

⁴⁵ ქართულ შიიელთა ზემპისტიყვიერება, 1958, გვ. 146, 575, 583.

⁴⁶ ტ. გაბაშვილი, მიმოხილვა, 1956, იბ., გვ. 14, 153.



შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ გოგინძრის დაზინაგებულის და დაზინაგებულის აღმომჩინის შესახებ

როგორც ამ ბოლო დროს აღიარებულ იქნა, ვეფხისტყაოსნის ტექსტი, საიუბილეო თუ აკადემიის ინსტიტუტის გამოცემებისა, ხარვეზებისა და დანართების შემცველია და შემდგომ გაქმნა-გასუფთავებას საჭიროებს. ამ საპატრიო ამოცანის გადასაჭრელად დიდი წინასწარი სამუშაოები ტარდება. წინამდებარე წერილში ლაპარაკია მხოლოდ ცალკეული დაზინებულ თუ დამაზინებელი ადგილების აღდგენა-გასუფთავებაზე. უპირველესად ამ შესწორებათ და კონიექტურებს მხარს ხელნაწერები თუ არა, ამას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ უნდა ქონდეს გადაწყვეტი მნიშვნელობა.

დღეს პოემის ასამდე თუ მეტი ხელნაწერი მოგვევლება, მაგრამ არცერთი მათგანი არა თუ რუსთაველის დედანი არ არის, არამედ მე-17 საუკუნის სტილია. ამის გამო ყველაზე უძველესიც კი შეიძლება დედნის მე-7, ან, უკეთეს შემთხვევაში, მე-6 პირად მივიღოთ მხოლოდ, და არა უშუალოდ რუსთაველის ავტოგრაფიდან მომდინარედ. მაგრამ უშუალოდ რუსთაველის ხელნაწერიდან მომდინარე პირიც რომ ხელთ გვქონდეს, ვერაინ მოგვეცემა გარანტიას, რომ იგი ადექვატურად უყვებოდ პირია მისი დედნისა, რადგან შეუძლებელია გადაწყვეტის, სხვას რომ თვეი დავაინებოთ, კალმის შეცდომები არ გაპარვოდ! ამოცანად უნდა დაისახოს არა პოემის ავთოტიპური, არამედ აკადემიური ტექსტის დადგენა. პოემის ავთოტიპური ტექსტის დადგენის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან არაინ იცის, როგორ წერდა თვით რუსთაველი: გულ მდღლარი, გულ-მდღლარი, გულმდღლარი, თუ როგორც შეხედებოდა. ეს ერთი მაგალითიც კმარა იმის ნათელსაყოფად, რომ ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას აღვადგინოთ ავტოგრაფის პირი: თუ არ ხერხდება დაედგინოთ ისეთი მარტივი მომენტები, როგორცაა კომპოზი-

ციების რუსთაველური ორთოგრაფია, რა შესაძლებლობა გვაქვს დაედგინოთ რუსთაველური მართლწერა ზმნის პირის ნიშნებისა, ზმნისწინებისა, ზმნიზედებისა, ზოგიერთი სახელისა, თანდებულებისა, ან რა შესაძლებლობა მოგვეპოვება ზუსტად აღვადგინოთ რუსთაველის სინტაქსი მთელი მოსალოდნელი ლექსისებრი და ანონიმური ლექსით?

უფრო მეტის თქმაც შეიძლება.


ჩვენ კიდევ რომ ზელთ გვეპირის პოემის არა უშუალოდ ავტოგრაფიდან მომდინარე ნუსხა, არამედ თვით ავტოგრაფი, თვით პოემის ავტორის ხელიდან გამოსული დედანი, ფერისმად ვერც მას გადავავტყველოთ დ. გურამიშვილის ავტოგრაფისეული ჭკუევაზუდა, მძიჯნურსა, ღუნდოდოდათა, ძმნულა, მამცხოვრებებელია, და ბუერის სხვა ლექსის აკადემიური გამოცემის ტექსტში გასწორებულა!

და სად არის გარანტია, რომ რუსთაველის დედანი თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ნებსითი და უნებლო შეცდომებისაგან? არსად. მაშასადამე, გერჩება ერთადერთი შესაძლებლობა (და საჭიროება) დადგინდეს არა ხელნაწერებისადმი მონურად დაქვემდებარებული ტექსტი, არამედ მათი ავტორიანობის საზომი, ე. ი. ისეთი, რომელსაც შეიძლება ნამდვილი აკადემიური (და არა ავთოტიპური) ტექსტი ვუწოდოთ. თუ ოცდაათი წლის წინათ ამაზე ფიქრით კი გამბედაობა იქნებოდა, დღეს მისი განხორციელება სიმძიმის აღარ უნდა წარმოადგენდეს. ხელნაწერთაღმი მონური მორჩილება ხელნაწერთა გავტრისება, როგორც ყოველგვარი ფერისმადი, ამ საქმეში მხოლოდ შეცდომებამდე მიგვიყვანს, რის გამოც იგი ყველაზე საშიშროაო ბოლიად უნდა ჩათვალოს ტექსტის დადგენისკენ მიმართულ გზაზე, მართლაც, შეცდომა იქნებოდა უარგვეყო-თაუთების მარცვლებში შემჩნეული ღერძლის ასეთგვარობა ამ მოტივით, რომ ასე-

1 გადაწყვეტისას ნებსითი თუ უნებლო ცალი-ლებების შეტანა საეკლესიო ძეგლების კანონიკურ ტექსტებშიც, თვით სახარებაშიც კი იმდენად გარდაუვალი იყო, რომ გიორგი შთაწმინდელს საჯანგებო თხოვნა დასჭირდა მომავალი თაობებისათვის: ჩემი სახარების ტექსტს გადაწყვეტისას ნუ შეცდომი, უცვლელად გადაწერეთ, თუ ჩემი არ მოგწონთ, ძველად ნათარგმნი სახარებები გადაწერეთ.

1 დავით გურამიშვილი, დავითიანი. საქ. სსრ მეც. აკად., თბილისი, 1955.

2 ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ვლადიკონის ოლიტერატურული მოღვაწეობა, ასაში საშინელია, რომელშიც როგორც ჩანს შეასწორა, ფაქტობრივად — წარუყვანა ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი სახარებისა და სხვა ძეგლების თვით ექვთიმესეული ავტოგრაფები.



თვე ღარილი გვხვდება ხასვე ზეღელის ყველა ფენაში, კერძოდ, თუნდაც ფსკერზე.

1. 153.² ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა, მითხრა თინათინმამო, ეუბნება ავთანდილი შერამდინს.

მაგრამ რას ნიშნავს ექმარი... ხისაცა რგული-საა? რუსთველთმკოდნეობას ეს შეტყფორა ეს-მის საშობის, თუ ბაღნარის აღვად (იხ. თარგმანები).

თინათინმა კი უთხრა ავთანდილს:

ფიცით ვითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი, მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი (133)...

უშენოდ არავის შევირთო... მტკვლი ცის (მნათობი) მზეც რომ შეხვდებასო.

არ გვეგონია, რომ ავთანდილმ. თინათინის ნათქვამი შერამდინამდე სწორად ვერ მიიტანა. უ. ი. ამომხვდეს ცისაცა მრგულისაა¹.

არ შეიძლება იქვე არ გაეიხსენოთ რუსთაველის ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნაჲ (569). აგრეთვე ეპორბალი და სიმრგვლე ცისაჲ, რომელიც არისხვით გარღუბრუნდაჲ, თურმე, ქაჯებს (1415).

აღნიშნული დაზიანება, კერძოდ, ზ ბ ის ა ც აფ ნაცელად სიტყვისა ე ც ის ა ც აფ, ბანისა და ცანის ღიღი მსგავსების გამო, შეიძლება მომდინარეობდეს ნუსხური დედნიდან. ეს უაზრობა შეუძმნევიათ შემდეგში და უცლიათ კიდევ მისი გასწორება: პოემის № 205 ხელნაწერში ქუთაისის მუზეუმისა გვაქვს: ამ ბ ის ა ც ა რ გ უ ლ ი ს აა, რაც კიდევ უფრო უარესი გაუგებრობაა.

2. 435². ევამლსა შეიქმნენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგებვევიან,

უთხრეს თითქოს ტარიელს. გამოდის, რომ ტარიელს და მის რაზმს შემოეხვევა ხატაელთა ევამლ-აშეებული ლაშქარი, რაც შეუძლებელია. ნამდვილად აქ გვაქვს არა შეარწყმული, არამედ რთული თანწყობილი წინადადება, რომელშიაც ქვემდებარე გაუწინარებელია. რუსთაველი ამბობს:

ევამლსა შეიქმნენ, ლაშქარნი ყოველგნით მოგებვევიან...

¹ ულ აქ მაწარმოებელი სფოქსია, რომლის უ-საც მ რ გ უ ა ღ ის ფუძისეული უმარცვლო უ გაუძვევებია, როგორც მავალითად, სიტყვებში: რაცხუი, აღრიცხუა—აღრიცხ-უ ლ-ი, რისხუა—შერისხუა — შერისხ-უღ-ი, გუალუა—დაგუალუღ-ი და სხვ. ეს პროცესი კარგად ჩანს ახალ ქართული ორთოგრაფიის მიხედვით. რიცხვი — აღრიცხვა — აღრიცხ(ვ)-უღ-ი, შერისხვა — შერისხ(ვ)-უღ-ი და სხვა.

ეს ნიშნავს ევამლს აუშეებენ (მესტიანელნი, ამ ნიშანზე ხატაელთა) ლაშქარნი მოგებვევიან, ყოველგნით (გარემოვითაცვენ) და

რა ერთსა გვემდნენ ათასნი, ვერცა მოგებვევიანო.

მართლაც, ევამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამულავენეს; სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავენეს... ერთობილნი მომხევიენეს, მრგვლოდ შეიქმნა ომი ღიღიო (444¹⁻², 881),

გვიამბობს ტარიელი. ამრიგად, სურათი ნათელია. ევამლი შექმნეს ლაშქართათვისა გამოირიცხავს წინადადებას ევამლსა შეიქმნენ ლაშქარნიო. უნდა დაეტოვოთ: ევამლსა შეიქმნენ, ლაშქარნიო და სხვ.

3. 443. იმავე ეპიზოდის გადმოცემისას ტარიელი უამბობს ავთანდილს: განავგოძე რა გზა, ერთი ქვედიდან მინდორს მტკვრი დაეინახე. მივხვდი, რომ ეს ოღო რამაზის მოახლოების მუწყუბელი, რის გამოც ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა, დავეკაშენით, რაზმი დაეაწყვე და წავე ღიღითა სწრაფითა. მაგრამ რაზმაჲ კაცი შემოგვაგებამაცნობებდა: აბჯრითა გხედავთ, ამაღ შეგვექმნია გულნაყლულობაო. შემდეგ განავგოძობს:

შევსთვალე თუ: მზეცა ვიცი, რაცა ჩემთვის გავგვიო; თქვენ რასაცა სთათბირობდით, არ აქმნებთ, არ, იგია; ბრძანეთ, მოდით, შეგვებესით, ვითა წესი და რიგია. მზეცა თქვენად დასახოცლად ხელი ხრამლსა დამიგიაჲ (443).

დამოწმებული სტროფი ამ საბით არის შეტანილი კრიტიკული გამოცემების აბსოლუტურ უმრავლესობაში. აღარ ვლპარაკობთ სისვენ ნიშნებზე, რომელთა სხვადასხვაობაც აზრს არ აბნელებს. გამოყოფით მხოლოდ მე-3 ტაქსს: რა ბრძანოს რამაზმა? ამოდით, შეგვებენით, ვითა წესი და რიგიაო? ასე უნდა ესმოდეს ტაქსი სათუბლუო (1937 წლ.) გამოცემის რედაქციას. იქ კვათხულობთ: ებრძანეთ: მოდით, შეგვებენითო და სხვ.

მაგრამ ტარიელს არ დაურღვევია ბრძოლის წესი და რიგი. თან, არაბუნებრივია, იგი ურჩევდეს რამაზს: ჩემგან წესიერი ბრძოლის წარმოება მოითხოვე, წესრიგისაკენ მომიწოდეთ და თუ მთელი ებრძანეთ, მოდით და სხვ. ტარიელს გუთუნის, რაღა ბრძანოს რამაზმა? წინააღმდეგობათაცვე გამოსვლა უცლია დ. კარბაშვილს, რის გამოც მის 1920 წლ. გამოცემაში კვათხულობთ: ააწ მოდით და შეგვებენითო და სხვ.

ასეთი წაიხვევა თითქოს გამართლებულია: ტარიალა უფლის რამაზს, შოლი და პატიოსნად შეშებო. მაგრამ მართალი უნდა იყოს ვადამწერ-გამომცემელთა უმრავლესობა.

საქმე ის არის, რომ რამაზი ფეხქვეშ თელავს ფეოდალური ეპოქის სამხედრო მორალს, ვითაც, წესებზე, ტრადიციებზე, მას განზრახვა აქვს, დასაბუთო დაღუპოს ტარიელი. ეს უკანასკნელი კი წესრიგისაგან მოუწოდებს ვერაღ მტერს: ვიცი, რაც განვიზრახავს (ჩვენი შეტყუება და გაყვლა), მაგრამ ეს არ მოხდება. (უკუაგდეთ ვე უკადრისი აზრი, გამოდით სამალაევებიდან და საქეყნოდ) ბრძანეთ: ამოდიოთ! (ეს იქნება ვეპატრიონი საქეყელი). შეგვეგებებით, ვითა წესი და რიგია, (და რა შვავერულად, ლანრულად, მუხანათურა ხერხებით). ამეცა თქვენაო რამაზოცა ვ. ი. თქვენთან პატიოსანი ბრძოლისათვის ზეელი ზრამალა დამიგაო.

ამრიგად, დამოწმებული სტროფის შესაძენ ტაევი უნდა იყოთებოდეს ასე:

ბრძანეთ: ამოდიოთ! შევეგებებით, ვითა წესი და რიგია,

მოკლედ რომ მოკერათ, 443³ ტაევის ბრძანეთ შოლითა უნდა გაგებულ იქნას არა როგორც შერწყმული წინადადების ერთგვაროვანი წყურბები, არამედ რთულ წინადადებაში შემავალ მარტივთა შემასხენელები.

4. 565¹. თითქოს ტარიელს შეუთვლია ფარსადანისათვის:

ვერ გათნე, თქვენთან კეთილმან, აწ ვეგ
არ — მართალია:
ღმერთმან არ მოგვცა ყმა შეილი, გიზას
ერთი-ჯილია,
ხვარაზმმა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების
რა ნაყილია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდაეთს, შერტყას მე
ჩემი ხრამალია?
შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე...

გაუგებრობას იწვევს აწ ვეგ არ-მართალია და შემდეგ ორი წერტილი. გამოდის, რომ ყველაფერი მომდევნო, ტარიელის აზრით, ტყუილია. ამ მომდევნოში ტარიელი საკეთარ პოზიციას აყალიბებს და მის სამართლიანობას ასაბუთებს. ამიტომ უნდა იყოს არა ვეგ, არამედ ესე. მაგრამ რა არის ტარიელის პოზიციამ მართალი და სამართლიანი? ერთადერთი: შენი ქალი არად მინდაო. ეს კი ტაქტიკური ვესტია და ტარიელი ამის შესახებ ვერ იტყოდა ტყუილიაო: ფარსადანს ხომ ვერ შეუთვლიდა ვსაბუთად გამბობ შენს ქალზე უარს, თორემ იმასაც შე ვეპატრონებოო. ამის გამო უ. ი. აწ ვესე არს მართალია. ვერ გათნე ვ. ი. თქვენთან კეთილმან, აწ ესე არს მართალია ნიშნავს: ვერ ჩაივდინ პირმოთხოვბას, ვერ ვიქნები მლოქნელი, ვერ ვაგებ, ვფიცავ თქვენს კეთილყოფას, ეს არის

მართალი: ინდოეთი ჩემია, თქვენი ქალი კი ვიყავ ვიღა, იოას ვიყავო.

5. 589⁴. კაცსა ღმერთი არ ვაწიროვს ასრე მისგან განაწირსა. უნდა იყოს: ასრე თვისგან განაწირსა; ნიშნავს: ასე, როგორც შე გამწირა ღმერთმა, ის არ გაწირავს თავმობეზრებულ აღმანისაც.

6. 687². სმა ვარდაბა, თავის-თავის ვაიყარნეს მამელი შინა. დიდებულნი არ გაუშვეს, ყმა დაისვეს ახლოს წინა...

გამოდის, რომ სამეფო ნაღიშე მოწვეულს ვოფილან პროფესიონალი მამელები არადიდებულთა წრიდან, ნაღიშის დასასრულს ისინი ვაუშვით, დიდებულნი კი დაუტოვებთ, რაც მომდევნო ტექსტით არ მართლდება.

მთელი მომდევნო საუბარი მიმდინარეობს მხოლოდ როსტევანსა, თინათინსა და ავთანდილს შორის და მას არ ვსწრება არც ერთი სხვა პირი. რუსთაველის განზრახვა ნათელია. მას სურს აღნიშნოს, რომ ოფიციალური ნაღიშის შემდეგ როსტევანი, თინათინი და ავთანდილი ერთმანეთს შეხედნენ ინტიმურს ვითარებაში:

დიდებულნი არ გაუშვეს, ყმა დაისვეს ახლოს წინა;

მეფე კეთილხაგს, იგი კვადრებს, რაცა ვირი დაუთინა მერმე მისი, უცნობოსა, რა ენახა რა ესმინა...

7. 785⁴. მქელს რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს. უ. ი. არად არ შესწონდეს.

8. პოემის ერთი უშუალომწავესი თავი, ცენობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გამარეისა 19.34 წლ. და მომდევნო გამოცემით სამართლიანად იწეება სტროფით:

813: აწ ამავეი სხვა დავიწყო, ყმასა წაქეყნე წამავალსა. არ შეექნა დარბაზობა მას დღეს როსტვანს გულგამწერალსა: რა ვათენდა, ქუში იდგა, ჰკავს თუ ადენს პირით აღსა, ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრალსა. რა ვაზირი მოწეწებით დარბაზს ნახა შემოსრული და სხე.

მაგრამ სტროფის პირველი ტაევი, როგორც კუხდავთ, წინააღმდეგობაშია როგორც დანარჩენი სამი ტაევის, ისე მთელი თავის შინაარსთან: აქ მოთხრობილია არა წამავალი ყმის ამავეი, არამედ ის, რაც მოხდა სასახლეში საგარტის მოციქულების მეორედღეს. წინამკვალთაეებში კი ავტორმა სწორედ ავთანდილს ოპარვის შესახებ გვიამბო: ავთანდილმა შერმადის დაუტოვა ანდერძი როსტევანისათვის ვადასაცემად, თვითონ კი ილცაო ბოლოს, არა ილცა, ცხენსა შეჯდა, მიღვით კარნი ვაიარნა

და აშერმადინცა დაბარუნაო (212). ამრთად, თუ პოეტი წამავალ ყმას წაყუებოდა, იგი 813 სტროფით დაწყებულ თავში უკან, სასახლეში კი არ უნდა დაბრუნებულყო, არამედ ქვაბში წაყოლოდა ავთანდილს.

შედებულა ზოგიერთი ძველი გამოცემის, აგრეთვე პ. ინგოროყვას ყუმასა წაეცყევე წარმავალსაჲ, რაც ნიშნავს: ახლა სხვა ამბავი გიამბოთ, ყუმას უკვე წაეცყევი წამავალსო, რადგან ამით შექმნილია ახალი წინააღმდეგობა: სინამდვილეში პოეტი აგრ წამავალ ყმას არ წაყოლია, იგი მან ამხანად მხოლოდ გზაზე დააყენა და გაუშვა.

ეს წინააღმდეგობანი იხსნება, თუ დამოუშვებელი სტროფის პირველ ტაყს ასე წავეთხოვო:

აჲ ამბავი სხვა დავიწყო, ყმას არ წაეცყევე წამავალსა...

ახლა ჯერ გიამბობთ სასახლეში რა მოხდაო, გუუწყებს აჲ პოეტი. ეს შენიშვნა ბუნებრივად ხერხავს ავთანდილის გამარჯვებულსა. ავთანდილის თავგამდაგამს გაპარვის შემდეგ კი იგი გიამბობს მომდევნო თავში და ამის შესახებ იქვე საგანგებოდაც შენიშნავს:

აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავალბასაო (831).

9. 985⁴. თითქოს ავთანდილმა შედოვალა ფრადონს:

ვარ ძმიაო ტარიელისი შეყრად ფრადონის მქისსად.

მქისი პოემაში რამდენჯერმე გვხვდება და ყველაზე უარყოფითის, ცუდის მნიშვნელობით. არსაიდან არ ჩანს, რომ ავთანდილი ჯერ უნახავ ფრადონს ასე შეგუბრებოდა. პ. ინგოროყვა, აღბათ იმავე მოსაზრებით, ასწორებს: ფრადონის ძმისისადა.

მაგრამ ასეთი შესწორება ეწინააღმდეგება სტრასაც (ორი ძმა ერთ ტაყში) და შინაარსსაც, რადგან პ. ინგოროყვა შესწორებულ სიტყვას მძიმით არ გამოყოფს, რის გამოც გამოდის, რომ ავთანდილი ფრადონის რომელიღაც ძმის სახანავად მოსულა

ყველაფერი გასწორდება, თუ დავუშვებ: რომ ტექსტში უნდა იყოთბოლდეს „შეყრად ფრადონის, მტკიცისადა“.

10. გადავღვივართ ერთი მეტად სერიოზული დამახინჯების გასწორებაზე.

პოეზის, უკეთ—მისა აკადემიის გამოცემის ტექსტში, რომელიც სტროფული შედგენილობით სათებლებო გამოცემის ვინაობაა, ლახტი გვხვდება ორ სტროფში, სახელდობრ, 655 და 1109 სტროფებში. პირველი მათგანი, რომელიც ქართველი მეფის 1888 წლ. გამოცემის რელაქციამ ვაზტანგის გამოცემაში შეპარულ ნაწარად მიიჩნია და ტექსტში არ შეიტანა, ანუთადვე იცნო საუბოლგო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კოთისიამ, რის გამოც იგი

ტექსტში არც მან შეიტანა. მაგრამ გ. კიკინაძის დაყენების წყალობით ხსენებულ სტროფში გამოცემაში მაინც მოქცა!

აი ეს სტროფი წინამდებელი და მომდევნო სტროფებით. ტარიელი უამბობს: ავთანდილს ავადდასავალს, და ამთარებს:

ესე ქვაბნი უკაცური ვბოვენ, დევთა შეკადუნეს; შემოვები, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მებახუნეს.

მათ მონანი დამხოცუნეს, ვაჰქუნი ავად მოვქაუნეს.

საწუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა შეცქაუნეს (654).

დევთა ყვიარლა, ზახილა, ზეცამდის აიწყოდა; მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შირაყვიოდა; მზე დახანელეს მტვერითა, ალვის შტო შვირხეოდა,

ასა ერთ ვერძოთ მომიხდეს, დავფრიწე, დაიხეოდა (655).

აჲ, ძმიაო, მაშინდლითგან აჲ ვარ და აჲ ვეუღობო;

ხელი მინდორს გაევიტრები, ზოგჯერ ეტარ და ზოგჯერ ვზნდები,

ესე ქალი არ დამაგდებს, — არს მისთვისვე ცეცხლანდები, —

ჩემად ღონედ სიყვილისა მგტსა აჲს არ ვეუღები (656)!

რომე ვეფხი მშვენიერი (657)...

აჲ სიტყვას იღებს რუსთაველი: ჰირსა იცა გაიხეთქა დაწეო ტარიელშო (6593) და სხვ.

თელის ერთი გადავლებაც საეპარისაო, რომ დამოუშვებულ კონტექსტში ყალბი სტროფი ვიცნოთ.

მაგრამ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვეფხისტყაოსნისა ლახტი არის არა გვრძელა უტარო მათხაზი მაგარი თისისსაგან, ანუ დედისაგანა როგორც მას ფეტისა ლეშსიკონსე განმარტავს იუს. აბულაძე, არამედ უშუკეთლო საცემი იარაღი, როგორც განმარტავს საბა, კეტი (ოლონდ მსხვილთავიანი), როგორც შვაბ ნაშესა ლეშსიკონში ხსნის იგივე იუს. აბულაძე, და რომელსაც რუსულად ეწოდება була. па. აჲ იგი განიმარტება, როგორც ударило туноем оружие, набадавшник, палица с шаром или утолщением на конце. მას წარმოშობისა და გამოყენების ურცელი ისტორია მოეპოვება და აქვს სახესხვაობანი. ყოველ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნისა დანართი 655 და 1109 სტროფების ლახტი სწორედ ასეთ იარაღს გულისხმობს. ამას ბეჭდითურადად აღასტურებს ის ვარეშობა, რომ ტაყის თამბისაგან ვაქვთებულ საცემ იარაღს თუ ნიღოს, თუნდაც იგი იყოს ლემსხოსი მკლავისა (85),

1 ს. იორდანიშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1953, გვ. 88 — 87.

რუსთაველი მითრახს უწოდებს. ამაზე ჟღერს სოსო კი არაერთი ტყავის ლახტი არ შეიძლება იყოს. ამ მითრახს პოემაში მხოლოდ ტარიელი ხმარობს, მაგრამ არა როგორც საომარ იარაღს, — იგი მას არც ერთ სერიოზულ ბრძოლაში არ გამოუყენებია, — არამედ აბეზარი ადამიანების კუთხის სასწავლებლად, რომელთათვისაც ხმლის მოქნევას არ კადრულობს. კერძო შემთხვევაში ავთანდილი იყენებს ტყინის ვეტს, მაგრამ არა ხალხის დასაბოცად, არამედ ზომილის დასაღწვად (1042):

ამთავრებს რა ტარიელი საკეთარ თავგადასავალს, რომელიც ესოდენ დამატრეზით არის სასუკე, ბუნებრივია, რომ მას არ შეუძლია და არ შეუძერის იგი დაასრულოს ოპტიმიზმის, გმირობის გამომხატველი ომახიანი ფინალით. ტარიელის ობრობის ხასიათი აქ მართლაც უაღრესად მინორტულია. წამოველი რა ფრიდონისგან იმედგადაწყვეტილი, ვიპოვე ეს უყაცური ქებათ, რომელიც დევებს შეეკათვარ. შეეგები მათ, ამოწყვეტე, თუმცა მათაც დამიბოცეს შემორბენილი მონები: საწუთრომ დამეც ინა, მომატყუა, ხელიდან გამოსხლტა (654). აქ, ძალი, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვეოდები, მხოლოდ ასმითი არ მტოვებს. მე კი სიკვდილის მეტს აღარას ვცდილობო (656).

ამ ორ სტროფს შორის ჩაჩხვრილი დღევთა ყვირილი, ზახილა (655) არღვევს შილილი ეპიზოდის უღარესად მინორტულ, მელანქოლიურ დრამატრეზიულ სასუკე. ურადურეს პესივისტურ განწყობილებას, რი მლითაც იხერება და უნდა დაიხუროს კიდევ ტარიელის ვრცელი ტრადიციული მყვირალა, ბრიალა, რიხიანი, ოპტიმისტური სტროფი, რომელსაც არაერთი სახალღე არ შეაქვს მოვლენათა მსვლელობაში, ან ხასიათების განვითარებასა და განსაზღვრაში, და მხოლოდ ბუკივით გაკვირის ტარიელის ჩვენთვის კარგად ცნობილი ვაგაკობისა და გმირობის შესახებ, სრულიად არ შეუფერება ამ ადგილის ობრობის სტილს, არღვევს მის ბუნებრიობას და აქარწყლებს მთავებდილებას.

ამ ასე თუ ისე შიანი პოპოთეტურ მოსაზრებას მზარს უჭერენ მტკიცე ფაქტებიც. ასე, ტარიელი ვადმოგვეცეს, დევებსო

შემოვება, ამოწყვეიდენ, ყოლა ვერას ვერ
შეხატუნს...

მომდენო სტროფი კი ვვაწყევებს, თითქოს ტარიელმა ამას დაუმატა:

დევთა ყვირილი, ზახილა ზეყამდის ამოვოდა. განა დასაჯერებელია, რომ თვით რუსთაველი ასეთ წინააღმდეგობას დაუშვებდა? ალღვის შტო შეირბეოდა დევებთან ბრძოლაშიო, უთქვამს

ტარიელს. ალღვის შტოა მეტად რაცოთ თავის ქებაა, რაც ტარიელს არ ახასიათებს. ეს არაფერი. თურმე ნუ იტყვიო, ეს ალღვის შტოა, ზატეითის, მელაზანზარის, ქაჯეთის გმირი, დევებთან ბრძოლაში შე რ ხე ე ჯ. განსხვავებულრა რუსთაველის დევების ხასიათიც. ეს დევები ზღაპრული არსებანი კი არ არიან, რომელიც იცნობენ ფოლკლორი, ამირანდარეჯანიანი, ჯშა-ნამე, მისი მიზანძვანი და აღმოსავლური ტიპის სხვა სადევ-გმირო თუ საბრძოლო ძეგლები. ამ დევებს ზოგს სამი თავი აქვს, ზოგს — ცხრა, ზოგსაც — ასი, თვლით ცალი, ან სამი, ხახა უზარმაზარი, და ძალა — ქვეყნის შემარყველი. იმათ ჯადოქრული უნარი გააჩნიათ, ზოგჯერ ადამიანებს მტრობენ, ზოგჯერ — არა, ემსახურებიან კიდევ და სხვ. რუსთაველის მოყრდინებელი დევები გამოქვამულში ცხოვრობენ და არც არავის აწუხებენ. მათ არც ცხრა თავი აქვთ, არც ასი. ისინი ველურებს, უკეთ — ბარბაროსებს უფრო მოგვგონებენ, — რაც ზედმიწევნით შეუფერება რუსთაველის შემოქმედების რეალისტურ მენარას, — ვიდრე ზღაპრულ — ფანტასტიკურ არსებათ.

ამრიგად, ყველა ზემონათქვამის შემდეგ აშკარაა, რომ 655 სტროფი შინაარსობრივად პოეტისთვის ხორცმეტია.

სამაგეროდ, შინაარსის თუ ფორმის მხრივ იგი ჯშა-ნამესა ქართული ვერსიების (ეროსტომიანისა ქირაშვილი). მხოლოდ ერთ თავში, აქა პირველი ომი როსტომისა და გამარჯვება, რომელიც 37 სტროფისაგან შედგება, 7-ჯერ გეხედება ლახტი, მაგრამ მათ წინამავალ 2054 სტროფშიც ვკითხულობთ:

როსტომ ჩაიყვა ზაბრაბი, რაშს ბარგისტანი
შეაბა,

პაპისა ლახტი აიღო!

და საომრად წაივლიაო.

პოეტურის მხრივ კი დევებთან ბრძოლა ტრის ცემა ქვეყნის შემოყველი და გამანადგურებელი ძალა, ცამდე მისაღწევი ღრალი ამ შეტაკებათა დროს, შზის, ცის, სინათლის დაბნელება ბრძოლაში ავარდნილი მტკერისაგან ხომ სწორედ როსტომიანისა პოეტური აქსესუარის საგანძერიდანაა.

და განა შეიძლება შემთხვევითად ჩავთვალოთ ის გავრთვება, რომ პოეტის ვახტანგისეულ რედაქციამ ამგვარი შინაარსისა და პოეტური აქსესუარის სტროფი მხოლოდ ერთი გუბვება?

! ჯშა-ნამე, ქართული ვერსიები, თბილისი 1916 წ.



ნ. ბარათაშვილის „მერანის“ მსთეტიკურ-მნტიფიკატური ანალიზი¹

„მოკვდავსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“

ნ. ბარათაშვილი.

I

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ უდავო შედევრია ქართული პოეზიისა. „მერანი“ დიდი სტილის ნაწარმოებია მსოფლიო პოეზიის თვალსაზრისითაც. პოეტი ეიზონერი, მოგვი და ბრძენი ერთმანეთს ეცილებიან პირველობაში კლასიკური ნაწარმოების ამ უებრო ძეგლის შექმნის დროს. ლექსის წარმტაც ფორმისა და მომხიბლავ მუსიკის ორგანულად შეერთების მაღალი შთაგონება შინაარსისა. უიმედობის ტონი მისი პანგისა შესრულების პროცესში იქცევა მარადისობის ხილვის იმედად და ლექსის პესიმისტური დასაწყისის მთავრდება სიცოცხლის პოეზიულად და გაპარჯეების რწმენით.

ამავე დროს, ეს ლექსი ქართველური მოღმების უკვდავების მონუმენტია. ზოგადდამიანური თავისი ბუნებით, იგი უღარესად ნაციონალურია თავისი შინაარსითა და დანიშნულებით. ამ ლექსით გენიალურმა პოეტმა განსაზღვრა უსასრულობა და დამკვიდრა ქართული განცდა მარადისობისა, რამელიც ამ შემთხვევაში არის უმადლესი პროდუქტი სიმშობლის სიყვარულისა და შედევრი პატრიოტიკისა, დაწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი და მეობის შერყევის ეპოქაში.

როგორც ლექსი, დაწერილი მომხიბლავი და სრულქმნილი ფორმით, „მერანი“ აჯადოებს მკითხველს მაღალი იდეურობით და ცხოვრების ფილოსოფიის საკითხების ადამიანის ინტერესის ცენტრში დასმით.

„მერანი“ ადამიანის აზრის სიღრმეიდან უშუალოდ გადმოქვებს და გენიალურად ნახატი პოეტური სახეები ეკობრება მარადიულ პრობლემას კლასიკური პოეზიისა, ბრძოლას ადამიანისა

თავისი ბედისმდევართან. თავისებურება ამ ლექსისა, როგორც მხატვრული კომპოზიციისა, იმაში მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, რომ მის შთაგონებას ადამიანის აზრი შემოქმედების ცენტრში მოუქცევია და მხატვრული სახე უშუალოდ კონსოლიდირებულია შემეცნებად. ამიტომ თავისი შინაარსით ეს ლექსი არის ფილოსოფიური ტრაქტატი, რომლის თემა არის ზოგადდამიანური მოტივი და რომლის დიამეტრიული საყვაველითი და საზოგადო პრობლემებს შეეხება ერთი შეხედვით, ინდივიდუალური სამშობლოს სიყვარულისა და მამა-პაპათა ხალხულის მყუდროების მიმართ, პოეტი დაინტერესებულია ადამიანის ინდივიდის ბედითა და არსებობის აზრით, იგი ეძებს კაცის სოციალური უოფის დანიშნულებას. ამ ლექსის აზრი არის ის კომპოზიტიური და პანთეისტიური ხორალი, რომლის პარმონით დამძიმებულსა და დაბნეულს ადამიანს ელვიძება თავისი ნაციონალური მეობისა და პატრიოტული თეითენობიერებას სრული შეგნების სიმადლუხ.

ეს ლექსი შესრულებულია კონტრასტების სტილით და ამიტომ მისი მხატვრული ათვისებისა და შთაგონების პროცესში სასოწარკვეთილება ქრება და ბრძოლის წყურვილი იზადება, უიმედობის ადგის იჭერს იმედი, სიცოცხლის უარყოფის ფილოსოფია კი უველა სასიცოცხლო ძალის კოლოსალური კონცენტრაციით მთავრდება. ეს შემოქმედებითი მოტივი ამ ლექსს კლასიკური მუსიკის იმ ცნობილ მოტივთან აერთებს, რამელიც სწორედ იმ დროს შექმნეს მოცარტმა, ბეთჰოვენი და შოპენმა, როცა ძველი საქართველოს სახელმწიფოს უკანასკნელი დიდი ნაშთები ნალექში ამოწმებული კალმით წერდა „მერანის“ სტრუქტურებს, წარსული დიდების დაღუპვას დასტიროდა, მაგრამ შორეული იმედით გასხვიონებული, ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ახალ საქართველოს.

რუსთაველი და ბარათაშვილი ამართლებენ ჰეგელის მიერ „ესთეტიკაში“ წამოყენებულ დებულებას, რომ მრავალი ხალხი თავის უმადლეს სიბრძნესა და რეფლექსიას, ე. ი. ამ ხალხის სულისათვის ბუნებრივ ფილოსოფიას და მსოფლ

¹ მ. გოგობაჲნიძის (1897 — 1949 წ.) გამოკვლევები პროსთაველის ესთეტიკის საკითხებზე დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ (1956 წ. № 10; 1957 წ. № 8 და 1958 წ. № 1). ქვემოთ ეაქვეყნებთ მის წერილს ნ. ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ.

ავტორის ხელნაწერის შავი (1947 წ.), რომლის თეორი დაარგულია, დასაბეჭდად მოამზადა და რედაქციას წარმოუდგინა ი. შეგარელიძემ.

შედეგობას, აღწევს მხატვრული ფაქტის გაფორმების საფეხურზე და თავის თეორიულ აზროვნებას აფორმებს პოეზიის სახით.

ნ. ბარათაშვილის „მერანი“ ერთ-ერთი ყველაზე უგამომჩინილესი ძეგლია ქართული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის განვითარების ისტორიაში, იგი არის არა მარტო ქართული მხატვრული სიტყვის შედეგები, არამედ ქართული აზრისა და ფილოსოფიის ეპოქალური მედლიტაცია. ნ. ბარათაშვილი არის არა მარტო უნებრო პოეტი, არამედ გამოჩენილი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ქართველთა შორის. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ისტორიის მას ვერადს ვერ აუღლის ვერსადგროს და „მერანიში“ დასძლულ ზოგადსაეცობრიო, ცხოვრების ფილოსოფიისადმი აზრისა და შინაარსის მიმკემ იდეებს ჯეროვანი კვლევის გარეშე ვერ დატოვებს.

„მერანი“ არა მარტო ფორმის მიხედვით არის შესრულებული კონტრასტების სტილის მხედველით არამედ შინაარსითაც, და ამიტომ ფერობრივი განმეორებით და წრეების კონცენტრული ზრდით მისი პარამონია ვიშაჯადობებელი ზღაპრის მსგავსად ინტენსიურდება და მასში გამოთქმული აზრების დენა განვითარების მწვერვალთან ამოსავალი წერტილისა და დასაბამის სრულ წინააღმდეგობად იქცევა. შემოქმედებითი სტილის ეს თავისებურება რელიეფურადაა მოცემული „მერანის“ ძირითადი იდეის გაშლის პროცესში, რომელშიც ლექსის მუსიკა და აზრის მიზანგანი ხილვა აღმაშენებელი შთაგონებას იმდენად იზიარებს, რომ მას მთლიანად გადაეფაროს თვითონ ნაწარმოების ამოსავალი იდეისა და მხატვრული პანგის საწინააღმდეგო ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, ბარათაშვილის პოეზიის ამოსავალი პრობლემა არის „ბედი ქართლისა“. პოეტის შემოქმედების სოციალური საფუძველი და უმთავრესი ლეიტმოტივი პატრიოტიზმი; სიყვარული მშობელი მიწისა, სულიერი ტანჯვა მისი აწმყვისა და ზრუნვა მომავლისათვის არის დასაბამი მისი შემოქმედებისა. შემოქმედების აქტი თავის შესრულებისა და სრულყოფის პროცესში შინაგანად ინტენსიურდება და დასრულებისას ამოსავალი წერტილის სრულ მიპირისპირედ კონსოლიდირდება. ამიტომ პესიმიზმის ადგულს იჭერს ოპტიმიზმი, რწიდედუალიზმისა — უნივერსალიზმი, ნაცთონალიზმისა — კოსმოპოლიტიზმი, უიმედობისა — იმედი, მიწიერობისა — მეტროი და სხვა.

ამ ლექსის შინორული მელოდიის მუსიკა მოგვაგონებს ტბილ პანგს დარბაისელა, ერთგული, ჰვიანი ქალისა, რომელმაც საყვარელი ვაჟაკი ქმარი ცეც სამარეს შიბაბა, თაზარა დაკემული სასაფლაოზე თავის ქმარს უკანასკნელად რომ ეთხოვებოდა და გათბრილ სამარეში ჩაბტომის ლამობდა, მაგრამ უეცრად წინორი მშვენიერი ქაბუტი შეილი ვადაელობა, სიყ-

ვარული ქმრისადმი უცებ ვადავიდა შეილებზე და იგი გაასკეცდა კლეც, ამ მომენტში უმედლობა იქცა იმედად, შავი აწმყე შეიკვალა ნათელი მომავლით, სასოწარკაყენილება — სნაშით, სიყვლილი — სიციცხლით.

ასეთს შთაგონებას და ასეთს იმედს უცვლადებისა ჰკერის „მერანი“ იმას, ვისაც ძალუქს განიცადოს მისი მუსიკა და ათევისოს მისი მადალი იდეა.

ამიტომ „მერანის“ იდეა, ვითომ პესიმ-სტერი, სინამდვილეში არის ოპტიმიზმის უმაღლესი ფორმა; მისი მსოფლგაგება, ვითომ უკიდურესი ინდივიდუალიზმი, სინამდვილეში არის უნივერსალიზმი, თავისი დასაყრდენით და ლეიტმოტივით ერთობელი და ქართული, იგი თავისი შთაგონებით არის ინტერნაციონალური.

სხვა ქართველი მოაზროვნე და პოეტი ახალდროში შემოქმედების იმ დედაბრეი სიმალღეზე არასდროს არ ასულა და ხელოვნებისა და სიბრძნის ესოდენი სრული ნაწარმოები არ შეუქმნია, როგორც ნ. ბარათაშვილმა მუსიკა ქართველობას თავისი შეღვერის — „მერანის“ — სახით. შეიძლება მეტის თქმაც, როგორც ცალკე აღბეული ძეგლი, იგი კონკურსგარეშე დგას, ალალი ხელოვნების ამ უბადლო მონუმენტის ძნელად თუ შეედრება მეორე რაიმე თვით ძიელ საქართველოში. მეტაც: „ვეფხისტყაოსანშიაც“ ძნელად მოინახება რომელიმე ცალკეული ლექსი, რომელიც ესოდენ გენიალურად იყოს შთაგონებული იდეის ინტენსიურობით და მარადისობის განცდის თვალსაზრისით. არც „ლოცვა აეთანდილსა“, არც „წერილი ნესტანისა“, ქაჯევისი ციხიდან მიწერილი ტარიტისადმი, მიუხედავად მთელი თავისი სრულყოფისა, არ აღის პოეზიის მეშვეობით დახატული სიტყვისა და სიბრძნის, მუსიკისა და კომპოზიციის, ფილოსოფიისა და იდეის იმ მწვერვალზე, რომელზედაც ბარათაშვილის გენიამ ქართული შემოქმედების სტიქიონი „მერანი“ ათევა.

პოეზიის მსოფლიო ისტორიაში „მერანი“ თუ ყველაზე სრულქმნილი ლექსი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაგონებითა და ღრმა განცდით დაწერილი ლექსი ერთ ათეულზე მეტე არ მოიპოვება ძველსა და ახალ დროში. სრულყოფა ფორმისა და სიდიდე იდეისა ამ ლექსის შთაგონებისა და განცდის პროცესში ისე კონცენტრულად იზრდება, რომ აღმაშენის წარმოსახვის საზღვრებს ვადადის და მარადისობისა და უსასრულო ზეცას უერთდება.

„მერანის“ არსების ენტიფიკატორთ ანალიზი უნდა დაეწყოთ შინაარსისა და იდეის კონცენტრული ზრდის განხილვით. ამ ნაწარმოების ძირითადი იდეის ზრდა შესრულებულია იმ ხერხით, რა ხერხითაც კლასიკური მუსიკა ასრულებს კონტრაპუნქტს. როგორც მუსიკალური კონტრა-

პენტის შემთხვევაში ფენობრივი გახშირებით და ზრდით ღრმავდება და ინტენსიურდება ამოსავალი ძირითადი მატერული სახე, მუსკულური ტონი, ისე აქად ნაწარმოების შინაარსის იდეა, ანუ კონსტრუქციამდებელი იდეა, სულ მეტად და მეტად იზრდება განვითარების პროცესში და კონტრაპენტისდაგვარი განმეორების საშუალებით ლაგდება, როგორც ერთგვარი კონცენტრული წრეების სისტემა. პირველი წრე ასეთი მუსკულური სახისა თავისებური მაღალი ტონირებით შერწყმულია თუ გადასულია მეორე მასზე უფრო მაღალს და მისდაგვარი მელოდიის შქონე ტონირებაში, მეორე წრე — მესამეში და ასე სულ, რამდენი მაღლა მივდივართ, იმდენად წინა საფეხურის ტონის, პარამონიას თუ მატერულ სახეს უფრო რელიეფურად, უფრო ძლიერად ავითვისებთ და შთავიწინებთ: მუსკის მიერ მოვერილი მშენიერების ათვისება ინტენსიურდება, სიაშოვნება არსებობისა იზრდება, ტონი და პარამონია უფრო და უფრო მქედება და, ასე ამრიგად, ჩვენს ვანცლასა და შთავონებაში მომჭირის უცვლელობა ქრება და უსასრულოა იმადება, როგორც აქტიური პროცესი. უკეთ თუ ვიტყვი, ადამიანის სული და ვანცლა იწყებს ინტენსიურ შეზრდას უსასრულო პროცესში, მის წარმოსახვაში იქნება მატერული იდეისა მარადისობის ნივთობრივი ვანცლისა.

მარადისობის ვანცლის ილუზიის ასეთი ინტენსიობით ადამიანის სულში არაფერი არ იწყებს, როგორც მუსკულური პარამონიის კონტრაპენტები. ამიტომ უველა სხვა მატერული სახე, თავისი ბუნებით მარადისობის ვანცლასთან დაკავშირებულ, უსათუოდ კონტრაპენტის ანალოგიით შენდება. აქ შემეცნება უდრის მუსკის სმენის ინტუიციას.

რაც შეეხება პოეზიას, აქ, ცნობილია, რომ ლექსის დაწერა შემოქმედების ამ ხერხით მეტნაწილად ეხება ფორმის, ლექსწყობის, ე. ი. მუსკულურ ფერს და სისტემაში მოდის კონტრაპენტული დაოპოეზიები, რომლებიც შეადგენენ ლექსის ფორმის ელემენტებს, როგორცაა რიტმი, ალიტერაცია, მარჯამა და სხვა.

ქართულ პოეზიას თავის ისტორიის საღაროში მოგპოვება კონტრაპენტური ნაწილი ლექსის შედგენი. ეს არის რუსთაველის ლექსი, შესრულებული ლექსწყობის ფორმალური ხელოვნების უმაღლესი ინსტაბობით და ბერა შემთხვევაში შესრულებული სხვა კონტრაპენტის მუსკულური მომხიბლავი ფერადებით. თვით ქართული ეოკალური ხალხური მუსკა კონტრაპენტის შედგენის წარმოადგენს. „მერანის“ შესრულება აქ ქართული პოეზიისათვის და ქართული სახალხო მუსიკისათვის ჩვეული ფორმით რასაკვირველია, ჩვენს გავირეებას არ იწყებს.

გენილობა ამ ლექსისა, უპირველეს ყოვლინა, მდგომარეობს არა ლექსის ფორმის კონტრაპენტულად განლაგებულ მუსკულურ გაფ-

რადებაში, არამედ ლექსის იდეისა და მასში ჩასვლილი სიბრძნის კონცენტრული ზრდაში. რომელიც მოგვაგონებს მუსკალური კონტრაპენტის შესრულებიდან გამოწვეულ კვამპადამიანის ცნობიერებაზე.

ამ ლექსის მატერული ფორმისა და შინაარსის ათვისების პროცესში ხდება მკობველში ერთგვარი კონცენტრირებული ზრდა ლექსის ძირითადი იდეისა, იზრდება და ღრმავდება მისი სიბრძნე, ჩვენს შთავონებაში ღრმავდება და ვითარდება მისი წამყვანი მსოფლმხედველობა და, დასრულების საზღვართან მისული, იგი ქველს უსასრულო პროცესად, დაიკავებს ადამიანის აზროვნებისა და სულიერი ცხოვრების თითოეულ პოზიციას და აქცევს ნეგატიურს პოზიტიურად, უნაშრობს — იმედად, პესიმინს — ოპტიმიზმად.

როგორც უოველი ადამიანის აზრისა და სულის პირველწყაროდან გადმოიქცეფარე ცნების ბუნება, ისე ამ ლექსის მოტივი და სიბრძნე არის ნეგატიური და პოზიტიური ერთსა და იმავე დროს, უარყოფითი პროცესის დასაწყისში და მოყოფითი მის დასასრულში.

„მერანის“ წამყვანი იდეა არის ადამიანის ბრძოლა თავის ბედისმდევართან, ამ იდეის გადმოცემისათვის ავტორი ხატავს წარმტაც სახეს: თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შორეული ფანტაზია ტიტანური პიროვნებისა, მერანზე მეტადი უგზოუცვლოდ მიფარინავს უსასრულო სიერეში, — ადამიანს სწყურია გადალახოს საწუთროება უველა მისი დაბრკოლება-უსიამოვნებითა და შეუერადღეს მარადისობის ეამისა და უსასრულობს სიერეს, მომგერელს იმედისა და შთამერგველს ბრძოლისა და გამარჯვების წურველასა. ეს არის ცენტრი, იდეა, რომლისაგან კონცენტრული განვითარება იწყება.

ახლა შეხედეთ თავისუფლების მაძიებელი ტიტანური პიროვნების ტრავედას. მის, აღსაქებს ბრძოლისა და წინსვლს წურველით, მოიქცელს თავისუფლებასა, ესმის ხმა ბედისმდევრის, რომელიც განსახიერებელია შავი ყორანის საზარელ ხმაში და ეს „თვალბუდითი შავი ყორანი“ მასხივის ეკან ადამიანს და ჩასიბინებს, რომ გამარჯვება იმთავითვე აღკვეთილია, რომ თავისუფლება მიუწოდომელია, რომ მიშავალი უფრო მშავად იქნება, ვიდრე არის აწყუა. ამრიგად, პირველი წრის ვამოლისას მერანის გაბედულ მხედარს წინ ეიობება ბედისმდევრის მიერ შექმნილი და თოქმის შემოუღველი წინააღმდეგობის მთელი შთა.

ექვე იწყება მეორე-წრე. მხედარი ახსენებს თავის მერანს, იგი უნატებს ქცნებას, გაბედული აბრბნს წინააღმდეგობათა უმაღლეს მწვერულზე. სიმავიროდ, ბედისმდევარიც ახსენებს უხედურებას, აბთულებს წინააღმდეგობას და შთავონებს თავისუფლებისა და მომავლს

მაძებელ სულს აღაშინებს, რომ ამ გზით სარბოლის გამო მხედარს მოაკლდება სიბოძო და მშვენიერებს თავისი მამულისა, დაჯარგავს წიროსა და მეგობარს, ველარ იხილავს მშობელთა და ვერც სატრფოს „ტვიზლ მოუბარსა“, იგი დაჯარგავს სამშობლო მიწას და მოსვენებას, ამიერიდან უსასრულო სიერეც იქნება მისი ბინა და საღვთო. დასვენებასა და ორიენტაციამოკლებულს იქ გაუთვლებს, სადაც დაუღამდება და ამ უსასრულობაში არ არის გარკვეული ფაზი და იდგილი. კენესა გულისა იზრდება, სასოწარკვეთილება მატულობს, სიყვარული იფერფლება, მოსვენება და იმედი ზღვის ღრუას უფრთდება და უიმედობა საეჭვოინაციო წერტილიან მიდის. მფარვამ თავისი უფლების მაძებელი სული ინდივიდუალისა არ შედრკება, პირიქით, იგი ძალას იკრებს ახალი გადახტომისა და ახალი ბრძოლებისათვის. ბარათაშვილის გენია შესახებებს მერანს: „გამსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი“¹ და ამით გამხსნეველი სული აღაშინებს, რომელმაც ახლა უფრო თქვა სატრფოს, მშობელზე, მამულსა და მეგობარზე, ერთი საფეხურით კიდევ უფრო მაღლა ადის შარადისობის უსასრულო გზის ყოფის კიბურზე და უკანასკნელი ძალების კონცენტრირებით შეეცდება იგი ზელო იფლოს გამარჯვების სადავე და იგვიმოს თავისუფლება.

საპასუხოდ ამისა, ბედისმღევარი ათასებს საშინელებას და განსაცდელს, ამუქებს კაეშანს და უიმედობას. უღმობელი შავი ყორანი, მთვლეი უბედურებისა და ექვის, მოციქელი ბორბოტი ბედისმღევრისა ახალ პოეზიებზე გადის და აღაშინებს, გენიას, მკვდომარეს შეუბოიარ მერანზე, ჩასნიიხებებს: აღსრულდება განაჩენი, სიცოცხლის მაძიებელი! მაღე პოეზებ სიყვილს და იცოდე, რომ შენი საფლავი გათხრება უცხო ქვეყანაში, შორს მამა-მამათა საფლავთაგან, შე თოითონ გაგთხრი საფლავს, ერთგულ ნათესავთა გლოვისა ნაცვლად, სივი მუვიარი ივალალებს შენსა დაღუქვას, სატრფო გულისა არ დაფრთხილებს და მწუხარების ცრემლებს არ დაფრქვევს შენს ცხედარს.

ბედისმღევრის ასეთი მძაფრი შემოტევის გამო სასოწარკვეთილების საზღვართან მისული გენია თავისუფლების მაძიებელი აღაშინებსა უკანასკნელ ძალებს მოიკრებს, უკანასკნელ ბრძოლას გაუმართავს ბედისმღევრის მოციქულს — შავ ყორანს და ბარათაშვილის ლექსი გაუწევებს მებრძოლის გადაწყვეტილებას:

„გამსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი,

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აქ ემონოს შენი მხედარი“.


მაშასადამე, კვანძი ვახისნა აღაშინებს გენიამ უარი თქვა, როდესმე დაემორჩილოს ბედისმღევრის გადაწყვეტილებას. ბრძოლისა და გამარჯვების სტიქიამ მიადწია კონცენტრირების იმ წრეს, სადაც პროცესი გაკლუჯს თანდათანობას და იშვება წინააღმდეგობა, როგორც მამოძრავებელი ძალა და სტიქიონი განვითარებისა. სამყაროს მოპირისპირე ძალეუნი ერთი ნახტომით ერთმანეთში გადაკლენ, პოზიციები შეიცვლება, უკანანი დაიკვირნ წინანის ადგილს, უარყოფა იქერს პოეზიის პოზიციას და პირიქით შესრულდება განაჩენი და აღმოჩნდება, რომ დღესვენარმა სულმა მებრძოლის ბედისმღევარი უკან მოიქცია. აღაშინებს გენია საბოლოოდ გადაწყვეტს, რომ არ დაემორჩილოს მღევარს მისი ბედისა, არ ემონოს შავ ყორანს. მონა დამახზერეებს ბორკილებს, თავისუფლების მაძიებელი სული აღაშინებსა იწყებს მონობის წგრევისა...

ათასი წლების მანძილთ შემხზერებელი (შექადარავებული) ინსტრუქტი მონობისა იწყებს წგრევა. გამარჯვების იმედით ანთებელი აღაშინი ლამობს თავისუფლების აღამის ზელოვდებას... ბარათაშვილი არ არის ისე უღმობელი, როგორც იყო ფილოსოფოსი ჰეგელი, რომელმაც უთხრა კაცობრიობას, რომ თავისუფლების გამარჯვების უკანასკნელს მომენტში მოხდება ადგილის შეცვლა: მონა გახდება ბატონი. უკვე — მზარანებელი, და ბატონი კი — მონა, უკეთ შემსრულებელი.

ბარათაშვილი არის არა ფილოსოფოსი იდეალისტი, აბრის მიყვანი და უყოღრუესობამდე, სადაც აზროვნება აღაი აიხს საქორი, არამედ იდეალების მოციქული პოეტია. ამიტომ ამ მომენტში „მერანისა“ იდეის კონცენტრირება აბრტალერ უსასრულო პროცესად იქცევა და კონტრაპუნქტი მისა ლექსისა იწყებს ახალ მანკს. სიმღერა იქცევა ბრძოლის გალობად, რომელიც ქუბს, ვითარცა გრავალი მთისა, და ბარს რომ მოედება, დაემსგავსება ოკეანიდან მოვარდნილ ქარიშხალს და ყიფინას გუნერალური შეტევისა. ამ მომენტში აღაშინის გენია თავს გამოაცხადებს ბედის მღევრისა და მისი მოციქული შავი ყორნის ჯვალად და ამჟამად ამცნობს ქვეყანას, რომ ამიერიდან აღაშინის ილარ ეშინია ბედისწერისა და მის მიერ მოვლენილი ურჩხელისა, თუ ბედშავითი შავი ყორნის მხავილისა.

აქ კონტრაპუნქტი ბარათაშვილის ლექსისა ერთხელ კიდევ შემობრუნდება — და გამხსნეველად მოეტი, აღვზნებული ბრძოლის ცეცხლით, ერთხელ კიდევ შესახებებს თავის შეუპოვარს მერანს, აღაშინის არსებობის აზრი ახალ წრეს შემოავლებს სამყაროს და სიცოცხლეს, თავისუფლების მაძიებელი ინდივიდუალში, შინაგანი

¹ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1939 წ. გვ. 29. ქვემოთაც ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ. რედ.



იღმარადი ძალებით გამხვევად, სმონტანურად აღმოაჩენს, რომ აღმართის გამარჯვება ბედისმღევარზე უზრუნველყოფილია, მისთვის ნათელი გახდება, რომ გამარჯვება უზრუნველყოფილია იმით, რომ აღმართის ბრძოლის პროცესში თითონ შექმნა ახრი ბრძოლისა, არსებობს გენერალ შტაიფე დასაყრდენი, ახრითა და იღვით აივსო ყოფა, უიმედობა არსისა იქცა იმედად არსებობისა. ამრიგად ინდივიდუალური ბრძოლა აღმართისათვის ბედისმღევართან ყოფის უნივერსალური არსებობის შეგნებით დამთავრდა, სოციალური სულისკვეთება აღმართის არსებობის იქცა ყოფის ქავეთობად, ამიტომ ბარათაშვილის გენია მერანზე მკვდომარე იწყებს სოციალურ სიმღერას მსოფლიო მოქალაქისა:

• ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს
განწირულის სულის კვეთებამ
და ვაჟი უვლი, შეგან თელავი, მერანო
ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიმწელე
გზისა გუაღდეოდეს,
და შეუბოვრად მას ქუჩე თვისი შავის
ბედის წინ გამოუქროლდეს!*

ასეთი მაღალი შთავგონებით, ასეთი მშვენიერი ფორმით, გოეთეს ვარდა, ჯერ არც ერთ პოეტს არ ეთქვა ჰაინე სოციალური ფილოსოფიისა, რომელიც მაღაყვებელია კოლექტივიზმისა და უნივერსალის იდეის გამარჯვებისა პარტიკულარიზმისა და ინდივიდუალიზმის იდეაზე. პლატონსაც კი არ უთქვამს ამ შთავგონებით სიკეთის გამარჯვების პიქნი და ამ გავებით არ უდიდება სუბიექტურის მიმართ ობიექტურის ამაღლებულება და უპირატესობა.

„მერანი“ დაიწყო, როგორც ტიტანური ბრძოლა ინდივიდუალისათვის თავის ბედისმღევართან, თავისუფლების მამიებელი ინდივიდუალიზმის დაუმორჩილა ბედის შწარე განაჩენს, მწვავე ბრძოლის პროცესში ინდივიდუალის მიხედვით, რომ გამარჯვებისა და თავისუფლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი იყო განდობა. ამ მაღალი იდეის შესრულებასათვის ინდივიდუალიზმმა მსხვერპლად მიიტანა თავისი ინდივიდუალიზმი კოლექტივის საკეთილდღეოდ და ამით აღმოაჩინა მან თავისუფლებისათვის ბრძოლის ახრი და იზიმა ეს აღმოჩენა, რომელიც იყო ინდივიდუალის და მისი ბრძოლის ახრის აღმოჩენა. ეს ახრი არის აღმართის ყოფის სოციალური მომენტია. ამრიგად, ნ. ბარათაშვილის „მერანი“, დაიწებულ ინდივიდუალის განხილვით ტრადიციის მ-მართ და შეუბოვარი ბრძოლით ბედისმღევრის წინააღმდეგ, დამთავრდა ბრძოლის სოციალური ახრის აღმოჩენით, რომლის განვითარების პროცესში სოციალური ბრძოლა ინდივიდუალისა იქცევა სოციალურ ფილოსოფიად.

ინდივიდუალში აღმოაჩენს, რომ მის ბრძოლას თავისუფლებისათვის ახრი, მჭიდროდ შემთხვევაში აქვს, თუ ამ ბრძოლის შემდეგ პიროვნებას ექნება უფლება თქვას, რომ ვიბრძვი, რათა ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიმწელე გზისა გუაღდეოდეს.

ეს რწმენა არის ახლა ინდივიდუალის შინაგანა კეასარობა, და ეინც თავისი ბრძოლის ახრის განიცდის, როგორც შინაგან ჰუმანიტეტებას არსებობისა, იგი უსათუოდ არის უბედნიერესი და უმშვიდესი აღმართი.

აღმართის წინააღმდეგ ამხედრებული თვალბედითი შავი ყოჩანის დამარცხება, მისმა ჩხვილმა აღმართისათვის ახრი დაკარგა; სოციალური იდეით შეიარაღებულ მებრძოლს ყოჩანის არ ეშინია. აღმართმა აღმოაჩინა, რომ ბრძოლამ უშედეგოდ არ ჩაიარა, რომ განწირულის სულისკვეთება ცუდად არ ჩაივლის, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, უპიქველია, მომავალ თაობას გადაეცემა ვაჟა, გათვლილი შეუბოვარი მერანის მიერ და ამ თაობას სიმწელე ამ გზაზე სვლისა გუაღდეოდება. ეს შინაგანი შთავგონება სოციალური ღირებულების უპირატესობისა ყველა დანარჩენ ღირებულებებზე გახდა საფუძველი აღმართის სულის სიმწვილისა და კმაყოფილებისა. ამით კი აღმართის არსებობამ მოიპოვა ახრი. ცხოვრება ახრიანს შეიქმნა, ბრძოლა ბედისმღევართან გამარჯვებით დამთავრდა, აწმყოს უიმედობა შეეცვლა მომავლის იმედმა, შინორული ტონი შეიცვალა მავროთი.

აი ასეთია ამ ლექსის სოციალური ახრი. იგი სოციალურობის ინტერესის დაცვისათვის დაწერილი ხორალია, შესრულებული მაღალი მხატვრული ოსტატობით და ანალოგიური მუსიკალური კონტრაპუნქტის პანგისა. ლექსის არქიტექტონიკისა და იდეური დაფუძნების მიხედვით „მერანში“ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ფენა: ტიტანური ბრძოლა ინდივიდუალისა ბედისმღევართან თავისუფლებისათვის და ბრძოლის პროცესში ინდივიდუალის შთავგონება, რომ თავისუფლების გამარჯვება მოიქვლის საქმეა, რომ მისი მიღწევებისათვის აუცილებელი ინდივიდუალის ინტერესისა და ბრძოლა თავისუფლებისათვის შეუბოვლეს კოლექტივის ინტერესს. ამიტომ ინდივიდუალშია, რომელმაც უარი თქვა თავის ინდივიდუალურ ბედნიერებაზე და სიამოვნებაზე, აღმოაჩინა, რომ მან თავისი ბრძოლით ახრანი გახდა სოციალური სინამდვილე და მისი არსებობა.

ამოსავალი იდეის კონტრაპუნქტის ანალოგიური ზრდა შესრულებულია ჩინებულად. შინაარსი კონცენტრირების შემეგობით უსასრულობის აღსაყვას ყაბებთან მიტანილი ბრძოლა ინდივიდუალისა გამარჯვებით არის დაგვირგვინებული, ტანჯვის ჯვარი ატანილია ლავენ-

დარულ გოლგოთას მთაზე. ამიტომ ამ მარადისობის ქვეყანაში უკვე შესრულებულია ოცნება ამ ანტიურთ ბრძენისა, რომელმაც შეგობრებს სთხოვა, მისი ცხეღარი პირველ დაემარხათ მიწაში. გაკვირვებულთა შეკითხვაზე მან უპასუხა, მალე ვეღლაფერი შეიკვლება და გადაბრუნდება; მე სამარეში უკვე სამარადისო უოფის ბუნებრივი პოზა მექნებაო. ე. ი. აქ იღვია იქცა რეალურ და მატერიალურ ძალად, ინდივიდუალური და სოციალური გაერთიანდა, წინანი უცინანი არიან და უცინანი წინანი. ახლა გაიმარჯვა ადამიანის გენიამ ბედისმდევრის განაჩენზე, სიკეთემ — ბორბტებაზე. სოცოცხლე ვახდა სასიამოვნო, რადგან მან მოიპოვა აზრი. ამ შეგნებით ბაბათაშვილის მხედარი კიდევ ერთხელ ეტყვის თავის შეუპოვარ მერანს:

„გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქეს
სამძლვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შვიად
მღელვარი“

III

პრობლემა ბრძოლისა ადამიანსა და მის ბედისმდევარს შორის იყო ცენტრალური თემა ბერძნული ანტიურთობისა. პოეზიის ფუძემდებელმა პოპეროსმა ბედისმდევრის იღვია მოქმედების განვითარების მიზნად და მოელენეს სადმი შინაარსის და მიმართულების შემცემ ინსტანციად მიიჩნია. სეკ-ბედისა თუ ბედისმდევრის იღვიაზე შენდებოდა თავიდან ბოლომდე ანტიურთი ტრავედია და არა ნაყლებად ანტიურთა ფილოსოფია. ტრავედია, როგორც ცნობილია, ბედის განაჩენის წარმოდგენაა. მისი მოქმედებას გაშლისა და დამთავრების ეენიმი ბედისა და განგების მიერ დადგენილი განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესში ზორცივლდება, როგორც ამოსავალი და მოსავალი წერტილი არსებობსა, როგორც მიზანი.

კლასიკური სპერძენტის შიდასა და ღრმა ცოცხლობისა საკითხი ბედისა და ღმერთის ურთიერთობის შესახებ ასე გადაჭრული დარჩა, როგორც ეს საკითხი გადაჭრული იყო კლასიკურ პოეზიის ფუძემდებელთან. — პოპეროსთან. „ილიადას“ შესწავლის ნადავზე არ შეგეძლია საბოლოოდ მიჩნეულად ვლიონართ საკითხი ზეესასა და ბედის დამოკიდებულების შესახებ. ასევე გარკვეულია ეს საკითხი ბერძენთა უდიდეს მოაზროვნე არისტო-

ტელესთან, — თეოლოლოგის მიერ კელსესთან. ბედი, როგორც მიზანი, მუხნეს განამდებლუბა არის ღმერთი, მაგრამ, ამავე არისტოტელეს აზრით, ღმერთი, როგორც დასაბამთა დასაბამი, უნდა განსხვავდებოდეს არსებობის მიზნისაგან, როგორც ბედის განაჩენის განმარტებულისაგან. სტოელბრს „პეიმარმენე“, რომელიც იყო საკულმინაციო სობრძნე ბერძნული თეოლოლოგიატრისა მსოფლგაგებებისა, როგორც ცნობილია, ღმერთის ადგალს დაიჭერს ბერძნული კაობრიობის შეგნებაში და, რადგან დასაბამთა ვიფიქროთ, რომ ნ. ბარათაშვილის კლასიკური ბერძნული მსოფლმხედველობის ცოდნა არ აკლდა, — უოველმუშებევეამო, ამ სახით, რა სახითაც ეს მსოფლმხედველობა დაყული იყო ფეოდალური საქართველოს შიდაარ ლატერატურულ ძეგლებში, — ამიტომ მისი ბრძოლა ბედისმდევარსა და სეუს განაჩენის გადალბვის მისი მსოფლმხედველობა შესაძლბელია გავოგოთ, როგორც ბრძოლა ადამიანისა ღმერთის წინააღმდეგ, როგორც ჯანუი ამასწლოვანი ტრადიციის წინააღმდეგ.

ეს პრობლემა ანტიურთობამ ვერ გადატრა იმიტომ, რომ მან სოციალური ბრძოლისა და თავისუფლების იღვია ვერ შექმნა, იქ საკეთის გამარჯვება ინდივიდუალიზმის პირობათა შილობლოდ.

მართლაც, ბარათაშვილის „მერანო“ ნამდველს რეკორდული ახლდუნს არა მარტო ტრადიციულ გაგებაში ბედისწერისა, არამედ ადამიანს არსებობის აზრისა და დანიშნულების საკითხშიც. ამის სადემონსტრაციოდ საკირია განვიხილოთ კლასიკური გაგება ბედისმდევრის პრობლემისა, რომელიც ბერძენებს შემდეგ ტრადიკია იყო დასაველთის ცოვილობის შემდგომს განვითარებაში და რომლის თავისებურ განმტებებს წარმოადგენდა ქრისტიანობა კლასიკური-ბერძნული თვალსაზრისით, „პეიმარმენეს“ ექვემდებარება არა მარტო ადამიანი, არამედ ბუნებაც და თვით ღმერთიც კი.

ადამიანის ცხოვრება არის ბრძოლა ბედის განაჩენთან, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ყოველთვის მარცხდება. ბრძოლა ბედისმდევარსა და ადამიანს შორის შეთოგენდა ბერძნული ტრავედის ეენამს, მაგრამ დასაბოლოო ეენიმი იხსნიბა ადამიანის დამარცხებოთ. ბედისმდევარი იმარჯვებ. ადამიანს ზაბაზზე და სუტვილზე. „ბედის ეურსად დაეშალბა!“ — ჩასჩინებმდა ადამიანს ცნობილი ფორმულა სტოელთა ფილოსოფიური სკოლისა.

(გაგრძელება იქნება)



ა. წმკეთელი კატკოვის წინააღმდეგ

1882 წლის 20 იანვარს თბილისში ქართული დასის მიერ დიდი წარმატებით იქნა წარმოდგენილი დავით ერისთავის „სამშობლო“. დ. ერისთავმა ეს ნაწარმოები ვადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარდუს (1831-1903) დრამიდან „Patrie“ (ამ დრამების ურთიერთობის შესახებ იხ. ნიკო ტატიშვილი, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, საქანდიდატოს დისერტაცია (ვაშოუქვეყნებელი), სერგო გერსამია, დავით ერისთავი და მისი პიესა „სამშობლო“, შესავალი წერტილი, რომელიც წინ უძღვის დ. ერისთავის „სამშობლოს“ 1947 წლის გამოცემის, გვ III-XVI).

სექტაკლმა ქართული საზოგადოებაზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მუენარგია წერდა: „მე პირველად ამ საღამოს გამიარა ტანში გრძანტელმა და ვიგრძენი ჭეშმარიტი ემაყოფილება ქართული ხელოვნებისაგან. საფაროსისა, ავალშივისა. აბაშიძე, ვაბუნიძე, მესხი, მესხიშვილი, ყიფიანი — ერთიერთანერთზე უკეთესნი იყვნენ. თეატრი იმტერეოდა შეუღლებული ხალხის ტანისკრისა და ვაშის ძახილისაგან.“

თბილისის შემდეგ წარმოდგენები გაიმართა ქუთაისს, ბათუმს, ფოთს და სხვ. ქუთაისის საზოგადოების თხოვნით ერისთავი ქუთაისშიაც დაესწრო პირველ წარმოდგენას თეატრში მყოფმა საზოგადოებამ აქაც ამგვარი პატრიოტიზმი ავგო ბედნიერ ავტორს, როგორც თბილისში. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მესამე მოქმედებაში ყიფიანმა მუხლი მოიყარა და საქართველოს დროშით ხელში დაიწყო ილია ჭავჭავაძის:

ღმერთო მალალო, ეს ქვეყანა შენი ხეუდრია... ერთი წილი საზოგადოებისა ფეხზე წამოდგა. ეს იმის ნიშანია, რომ შერჩადი თითოი სწვდა მსმენელის გულში პატრიოტულ სიმებას.

„სამშობლოს“ წარმოდგენას მარტო ესთეტიკური სიამოვნება კი არ მოუგვრია ქართული საზოგადოებისათვის, „სამშობლო“ იმიტია განსხვავებულ ყველა სხვა დრამატული თხზულებიდან, რომ ამ დრამამ დაამთავრა ის პატრიოტული აღზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებაში“ დაიწყო და „დედაენამ“ ვერ მოითავა. „სამშობლოში“ სამშობლოს სიყვარული განავრძობ, ამ წრებშიც, რომელთაც კითხვა არ იყოდნენ და მარტო თვალ-უბრი ჰქონდათ ამ ხეყვარულის სცენაზე დასანახად და გასაგონად

(ი. მუენარგია, ქართული მწერლები, I, ს. ციი-შვილის რედაქციით, 1954, გვ. 395-397). ეს ასეა, მაგრამ სვიმონ ლიონიძის მიერ სცენაზე ქართული დროშის აღმართვამ და ილია ჭავჭავაძის სიტყვათა თრთოლუთ წარმოთქმამ:

ღმერთო ძლიერო! შენთვის პარძოდნენ ქართლისა ძენი
დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა.
იკმარე სამლოოდ მათ პატრიენი და სისხლის ძღვენი
თუ რომ შეგკოდეს, შეისყიდეს, ტანჯილი შენდობა!
სახელოვანი ვანებალე წარსულთ დღთ ყოფა,
მამაპაბერი სული, გული მოჰმადლე შეცნა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოციე ძალი დავტოდომილსა ეკლავ
აღდგომისა!

ბევრ შავრამელსა და მონარქისტში გამოროტება გამოიწვია და ამაში დაინახა ქართველ ერის მისწრაფება რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფისა. ამიტომაც ქართველი ხალხის წინააღმდეგ ღვარძლით სავსე წერილების ბეჭდვა დაიწყო. ამაში თავი ისახელა „Московские Ведомости“-ს თბილისელმა კორესპონდენტმა С. Р.-მ და მისმა შეუფმა მ. ნ. კატკოვმა. „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენიდან სამი კვირის შემდეგ (1882 წლის 13 თებერვალს) კატკოვის მონარქისტულმა ვაზუთმა „М. В.“ (№ 41) გამოაქვეყნა С. Р.-ს ბინტური კორესპონდენტია, რომელიც ასეთი შინაარსისაა. „Два вечера здесь шло с необыкновенным успехом представление на грузинском языке драмы «Родина», переданной новым редактором газеты «Нанка» кн. Д. Г. Эристовым, известной французской драмы Сарду Patrie и примененной к истории нашего персидского шаха Ага-Магомед-хана на Тифлисе в 1795 г.“

Крайне странное, еще небывалое явление — переделка французских патристических драм на грузинские нравы и применение их к истории старой Грузии, до подчинения ей России. Но у здешних молодых патристов, настроненных к возвращению всего их родного, отжившего, шпеса встретилса самый восторженнейший

прием: автор, (если можно его так назвать) был вынесен из театра на руках и провожаем ночью громадной толпой, по грязи, при падавшем снеге с бенгальскими огнями и восторженными криками до квартиры. Много бы вечеров продолжалось еще это упоение молодых туземных патриотов, если бы, наконец местный цензурный комитет, в виду ожидавшегося приезда нового начальника края, не побоялся ответственности за причинение беспорядков разрешением этой странной пьесы и не запретил дальнейших ее представлений. Озлобление патриотов сильное, так что цензорам угрожает обыкновенная в таких случаях в этом крае кара, о которой рассказывается в № 5 финишского сатирического листка «Гусли», на стр. 11.

Жаль затрат, сделанных на постановку пьесы: во она, кажется, могли бы окушаться от продажи декораций, костюмов и грузинских знамен в здешний цирк братьев Годфруа, где, в виде пантомимы пьеса могла бы скорее быть разрешена и быть там весьма эффективна, с высокими бараньими шапками действующих лиц, персиян и грузин.

Кто-то, неучастный местному патриотизму и сепаратизму, так сострил над этой переделкой князя Д. Г. Эристов:

В порыве молодечества,
В патриотическом чаду,
Не отыскав отечества,
Его ты занял у Сарду.

შემდეგ კორესპონდენტი ასეთივე უსვავგოს ტონით შეურაცხყოფს სომეხთა ეროვნულ გრძნობას, პროვოკაციულად უპირისპირებს ერთმანეთს ქართულ, სომხურ და რუსულ თეატრებს და მოქცეა: «Калко, конечно, такое преобладание туземных театров над русским, тем более, что такое положение дела здесь совершенно иное. Со времени князя Барятинского до отъезда Его Высочества Великого князя Михаила Николаевича из края, здесь всегда были хороший русский театр и итальянская опера, и повсе не было туземных сцен».

პროვოკატორული სულით გაყვნილია ამ წერილში უდიდესი აღწევება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, მის მოწინავე შეკლებში. აღმშრომლებელი იყენენ რუსი პროგრესული საზოგადო მოღვაწენიც.

კატკოვისა და მისი გავრთის „მოსკოვსკიე ვედემოსტის“ წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა შაქრო მაღალაშვილმა. იგი აღმშრომლებით კითხულობდა: „რომელი დროში უნდა გადაეცეთ

ციტის, რომელ დრომებზე ლაპარაკობს „მოსკოვსკიე ვედემოსტი“, ამ უტყუარეს უტყუარეს არა, რომელსაც მთელი თორმეტჯუჯუჯუ მტრმანძილზე ამჟამად ატარებს ქართველი ხალხი, თვის შეილებს მიერ დაღვრილი სისხლით პატრონსად იყავდა მას, არაის წააბილწინა იგი დასე შეურცხველად მიიტანა მეცხრამეტე საუკუნის ბუებამდე“ (გაზ. „Голос“, №70, 1882 წ.).

ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის ცნობილი „კატკოვის პასუხად“ (გაზ. „დროება“, 24 თებერვალი, 1882, № 40).

ილია წერდა: „... დამქაშების შემწეობით ბ.ს. კატკოვის დიდი ზალე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში. ...რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მის დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მიედინება ბ.ს. კატკოვისკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავდახრილ და პირ-მობეულ აუზში, რომელსაც „Московские Ведомости“ ჰქვიან“ (ტ. II, გვ. 146). ილიამ გამოაშქარა და მიწასთან გაასწორა მონარქისტული გაზ. „მოსკოვსკიე ვედემოსტის“ რედაქტორ-კატკოვისა და მისი კორესპონდენტის ზოლოტიკოვი შვიანიზში, რასაც ქადაგებდნენ ისინი პატარა ერების მიმართ რუსულ საზოგადოებაში, შავრამ უმრავლეს შემთხვევაში მ.ზანს ვერ აღწევდნენ. მოწინავე რუსი მოღვაწენი სასტიკად ილაშქრებდნენ კატკოვისთან არაშაღდების წინააღმდეგ.

ცნობილი პუბლიცისტი ნ. კ. მიხაილოვსკი გამოეხმურა „სამშობლოს“ დაღმასთან დაკავშირებულ ინციდენტს, სასეხებით დაუჭირა მხარი შ. მაღალაშვილის აღმშრომლებას და აღნიშნა, რომ ერთა შორის მეგობრულ და კეთილ დამოკიდებულებას კატკოვის მსგავსი უციინი უთბრიან ძირსო. „...ჩვენ მხოლოდ ფრანგები გუაფუქებენ საქმეს? რას ბრძანებთ, რომელი ფრანგი? ფრანგი კი არა, აქ სრულიად უბრალოდ უნდა ვთქვათ, თვის ბატონი კატკოვი აფუქებს საქმეს“ (Сочинения Н. К. Михайловского, Петербург, 1897, т. V, стр. 604. მოგვყავს ს. გერსამიას ზემოაღნიშნული წერლის მიხედვით, გვ. XII, ნ. მიხაილოვსკის კითხვა: „ჩვენ მხოლოდ ფრანგები გუაფუქებენ საქმეს?“ ველისსმობს კორესპონდენტის ფარისეულ გაციორვებას: „Крайне странно еще непыпало явление — переделка французских патриотических драм на грузинские нравы“).

აქამდე ჩვენ მხოლოდ შ. მაღალაშვილი, ი. ჭავჭავაძის და ნ. მიხაილოვსკის გალაშქრების შესახებ ვიცოდით კატკოვის მიმართ გამოხდომის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს უნობილი გახდა, რომ კატკოვის წინააღმდეგ სასტიკად გუაფუქებია ქართველი ხალხის დიდ პოეტს აკაკის გაზ. „Кавказ“-ში (1882, № 55, 28 თებერვალი) ქრონიკაში გამოაქვეყნა აკაკის წერილი.

«Известный грузинский поэт, кн. Ака-

кий Церетели, просит нас напечатать нижеследующую заметку:

В 44 № «Московских Ведомостей» помещена возмутительная корреспонденция из Тифлиса, в которой возводятся разные клеветы на грузин.

Мы уверены, что на благомыслящих и честных русских она произвела отрицательное впечатление. Автор корреспонденции, зло надеваясь над настоящим грузин, затрагивает даже прах их предков. Означенный корреспондент может не знать, что в продолжении нескольких столетий под грузинским знаменем собирались прославленные воины, проливавшие кровь за христианство, — ибо это относится к прошедшим векам; но непростительно не знать ему, что это самое знамя в настоящее время с честью служит России и не раз удостоивалось оно Высочайших наград и знаков отличия...

Послать-же это знамя, обогрешное кровью светочей христианства, в цирк Годфруа могут нам советовать только люди неблагонамеренные.

В ожидании приезда нового начальника края, все те, которые мечтают ловить рыбу в мутной воде, желая доказать, что они пострадали не за свои собственные деяния, а вследствие интриг за их энергическое служение высокому идеалу патриотизма, хором начали распевать перемлады. Поводом ко всему этому послужила известная драма Викторiena Сарду «Родина» в переделке на грузинский язык. В пьесе этой весьма рельефно изображается, как Шах-Абаз, покорив Грузию, предаёт все огню и пламени, разоряет Тифлис, жжёт, вешает, сажает на кол без всякого сожаления христиан и так далее...

Одним словом, рисуется полная картина народного бедствия и ужаса. После представления подобных пьес у зрителя невольно рождается чувство благодарности к судьбе, что эти ужасныя времена миновали и ничего подобного не видит он в настоящее время. Кажется, человеку здравомыслящему другого вывода и нельзя сделать, но корреспондент «Моск. Вед.» увидел в этом со стороны грузин желание вернуться «к отжившему» времени. Другое дело, если бы пьеса эта изображала нам одну из счастливых эпох жизни

грузинского народа! Тогда подвзрешье этого господина имело-бы хоть какое-нибудь основание, но теперь в данных случаях трудно даже чем-нибудь и оправдать его...

Очевидно, что корреспондент не видел этой пьесы, незнаком с содержанием ея, а подхватил одно только слово «Родина» и, подобно одному господину, который, в давно прошедшие времена, принял шалеровский «Колокол» за герценовский, забил в набат.

Ак. Церетели

იგივე წერილი რუსულად დაბეჭდიდან გვესი დღის შემდეგ გამოაქვეყნა გაზ. „დროებაში“ (1882 წ. № 45. 4 მარტი) ასეთი სათაურით: „უფრა ხედავთ?“ და შენიშნით: „ეს სტატია შემოკლებით იყო დაბეჭდილი ვაზუთის „კავკაზში“. ამ უფრო სრულად ვბეჭდავთ“¹

განსხვავება მათ შორის მართლაც არის და ისინი ერთმანეთს აესებენ. მაგალითად, რუსულად დაბეჭდილი აკაკის წერილის ბოლო აბზაც „დროებაში“ არ არის გამოქვეყნებული. „დროების“ ტექსტი კი ასე მოაგრდება. „ეჰ, ასე თამამად მისთვისა გეწამებენ ცილს, რადგანეუ იციან, რომ როგორც უნდა და როგორც გეშარტლებით, მისთანა პასუხს არავენ გვათქმევიენებ, თორემ მაშინ დავემტკიცებდით, რა შეილებიკა ბრძანდებთან და რადგანაც აქაურობა არ მოსწონთ — უტყვენებდით — საღ შემგერისთ ბინა“.

ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ წერილების დასაწყისიც. ა. წერეთლის თხზულებათა VI ტომში, (სახელგამი, 1957 წ. ლ. ასათიანის რედაქციით და კომენტარებით) შეტანილია აკაკის „უფრა ხედავთ?“² სამწუხაროდ, მას არავითარი კომენტარი არ ერთვის. „დროების“ შენიშვნაც არაა სადმე მოხსენებული. ეს გარემოება კი წერილს უარავებს იმ პოლიტიკურ სიმახვილეს, რომელიც მას ჰქონდა თავის დროზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

იუცილებელია, ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნეს აკაკის თხზულებათა შემდეგი გამოცემის დროს.

¹ მეგრამ უნდა შევნიშნათ, რომ აკაკის წერილი „დროებაშიც“ არ უნდა იყოს შილიან საბით დაბეჭდილი, ვინაიდან გამოთქმა „უფრო სრულად“ არ ნიშნავს შილიანად და უცვლელად წერეთლის წერილის დაბეჭდვას.

² გაზ. „კავკაზის“ ტექსტს VI ტომის რედაქცია არ იტოვებს.



მ. გოზალიშვილი



ნიკო ნიკოლაძის წერილები სერგეი მესხისადმი*

VII წერილი.

19 იანვარს 1872, ქუთაისს.

ძმაო სერგეი „დროების“ პირველი № მოვიდა. ის კარგია, თუმც ტიპოგრაფიული მხარე ძლიერ და მეტის მეტათ მოსაწონი არ არის. მაგალითათ ასომთავრულებში არეულ დარეული ასოები 20 და 24 №№, ფელტონი დანარჩენი ტექსტიდან საკმაოთ გაყოფილი არ არის თეთრი ქაღალდით და შეცთომავები ბევრია. მაგრამ ეს ყოველი ფერი გასწორდება. თუ ღმერთი ვწამს რუსულ სიტყვებს კარგათ დააკვირდი, ასეთ შეცთომავებს ნუ დატოვებ, როგორც „Тифлиси“ თორემ ესლა — ხომ იცი — მოდაში შევედით და დიდი კაცები გვათვალიერებენ!

შე აქ ვრჩები ათ-თორმეტ ან თოთხმეტ დღეს. პაპოს არც ფული გამოუგზავნია, არც კაცი. ამის გამო ახალ საშუალებებს ვეძებ: აქ მზათ მაქვს (თითქმის) ორას ორმოცდაათი თუმანი, და ერთი ამდენის იმედით მაქვს. თუ მომიხერხებ მანდ, რომ ამ გაჯირკვების დღეს ცოტაოდნათ მაინც დამაზარებინებ სტეფანეს!), დიდათ დამეზარები. მართლაც, სირცხვილი როგორ არ არის, რომ ამისთანა დიდ და ხეირიან საქმეს არიგებდეს კაცი, თავს აუღავეს, და არც ერთმა სულეირმა ერთი ნამცეცა შემწეობა არ მისცეს! ვანა არ შევიძლება, რომ სტეფანე!) მართო ზემ ვეწიოს ენდოს და ბილეთები გამოიგზავნოს! რომ იყო დღე; რამსიღე შემწეობას მომცემდა ეს. ბილეთები ესლა ხელში რომ მქონდეს! პროცესმა ჩემმა ხომ ყელში დანა ვამიყარა, იმ მხრით, რა საეკირველია, რომ ყველა შევიწიდა. ასე განიხჯე ვისაც ჩემი ეილი ემართა, ისიც კი აღარ მაძლევს ფულს! ღმერთმა უწველოს იმთა, ვისიც შე ვილი მემართა, რომ არ მომავლენ ყინყიტობზე. საეკირველი საქმე იყო ეს პროცესი: ზ) შე ვაკერქვედი, და სულში ხმა არ ამოვიღე, როცა ნოვოსილსკოზე ლაპარაკი არ მაქალეს, და მთელი საზოგადოება იმ დღეს შეინძრა — ზოგს გულ-

ხარდა (უმეტესს ნაწილს), ბევრმა იმედი დაკარგეს ჩემში, და თითქმის ყველამ გულგრილათ თქვეს: ე, ვინ ნოვოსილსკი და ვინ ნიკოლაძეო. მაგრამ ჩემმა ბროშიურამ და გულგრილობამ დიდი საქმე მიქნეს. რაკი საზოგადოებამ გაიყინო, რომ სიმაართლე ჩემსკენ ყოფილა, რაკი ყველა ხედავდა, რომ ჩემში არაფერი ცვლილება არ მოხდა, და უწინდელივით ვისკასობდი, ქალებს ვებრფოდი და დაესვიარნობდი, მაშინ გავიარდა საზოგადო ხმა, ეს უსამართლობაო, მიდგომით გადაწყვიტესო, არაფერიაო, საქმე კარგათ წავიო და სხვა. და დღეს შე ისევ მოდაში ვარ, ისევ კარგი ბიჭი და ისევ სადღო პირი ვარ. რა ადვილი იყო, რომ იყოღე, ამ საზოგადო გაციებ-გაცხელების მაჯის შინჯვა. მაგრამ ამას მაშინ გეტყვი როცა გნახავ.

„დროება“ გამოუგზავნე და გავგზავნე წელს:

1. სტეფანე პავლეს ძეს შეფისოვს.
2. ელისაბედ კოსტანტინეს ასულს კანდელაკისას ქუთაისს.
3. გიორგი სიმონის ძეს ჩიქოვანს.
4. ლუკა დავითის ძეს ქორქაშვილს (ხონს).
5. ლევან ივანეს ძეს ქურთოვეს (ქუთაისს).
6. თ. პეტრე ნავაშვილს (ოზურგეთს).
- და 7. აი ადრესით ანტონ კამპოკასს: (ქუთაისს) „Антону Алонзовичу Де-Кампокассо, антон алоиზის ძეს დე კამპოკასს“.

ჯვარიანებისაგან ფული მივიღე.

შენი მ. ნიკოლაძე

VIII წერილი.

სტამბოლი, 7 (19) თებ. 1873 წ. საღვარელო ძმაო სერგეი!

გვგზავნი ხელდახელ კორრესპონდენციას. თუ ძმა ხარ ეს რუბრიკა: „სხვათა შორის“!) არ წაშალო, რადგანაც ამნაირი ზედ წარწერით მინდა მგზავრის შთაბეჭდილებები ვწერო. სხვა, ვადარჩებდა ეს სტატია ცუნზურას, თუ არა, არ ეიცი: მაგრამ იმას კი გთხოვ, რომ შე მაინც და მაინც ბევრი რამ წაშალოს ან თლათ ნუ დაბეჭდ, ანა და შენ თეთონ ავესე წაშლილი იდგილები ისე, რომ აზრის ერთობა არ დაიკარგოს და ნაეწწ-ნაეწწათ სტატია არ გამოვიდეს.

* გაგრძელება. იხ. „ნათობი“ № 9.

ამას საზოგადოთ ამ სტატიაზე კი არა, ყველა ჩემ სტატიაზე გწერ, და ვთხოვ ნუ დაიზარებ შემდეგში რისი სამი ფრანკის ჩამატებას, წამლის მადიერ, ისეთისას, რომელსაც აზრის გადაბრალება შეეძლოს.

„ღროების“ კოლექცია მოგპარე. ვიცი გეწყინება, მაგრამ რა ენა, შენ თვითონ მოთხარის, შეიძლება, — ამისი ოთხი მოწმე შეყავს. რასაკვირვებელია ცუდი იქნებოდა ამ საქმის ჩადენა მანდელის პუბლიკერ ბიბლიოთეკაში რომ არ იყოს მადიერ კოლექცია. მაგრამ რადგანაც მე დავრწმუნდი კატალოგიით რომ ეს კოლექცია მანდ არის, მე სინდისმა ნება მომეცა და შენც ნუ იწყენ.

ასს მანდის გიორგი 2) მოგცემდა, რადგანაც იმისთვის 600 უნდა მიმეცა და მე შეიძლება მერი დაუტოვებ, თუ არ მოგეცეს მომწერე, და ან შენვე გამოგვზავნი, ან ჯადარბიჭს 3) ვადავსევს, ან რასაც მომწერ იმას ვიზამ, მაგრამ მგონია, რომ მოგცემდა, რადგანაც წინიც საგანგებოთ მოესწერე. ამ სჯავნე.

„კრებულისთვის“ 4) კრიტიკა ნამეტანთ გრძელი გამოდის, და ამის გამო სანამ არ ვათავებ პირველ ნაწილს (1857 — 1862) ვერ გამოვზავნი. ეს სტატია მოუფე კირილეს უსათუთო 28 თებერვალს (მედილი სტილით) თუ აღერა. ეს იმის გამო მომიხდა, რომ ზღვაში „ციხურები“ ვერ ჩაივადე ხელში, რადგანაც გადაეწი მოქველუყენენ. ვხლა კი იმედია, საქმე აღარ დაგვიანდება.

შენი ნ. ნიკოლაძე.

(ცოდებე მინაწერი)

შენ იცი როგორ ხშირათ მომწერ რასმე. უბირო ხარ, ვიცი, მაგრამ იქნება იმან შინც ავადიბინოს კალამი წიგნის მოსაწერათ, რომ ჩემზე ქართული წიგნის წაყითხვას უცხოეთში საკვირველი გაელენა აქეს ვამადიდებელი და აღმტაცებელი. ვინ იცის რამდენი ფელტონი დაიწერება შენი წიგნის წაყითხვის შემდეგ! (მოგიქრთამე?).

(თავზე მინაწერი)

კირილეს 5) ასობების დაწერა და გამოვზავნა არ დაევიწყო, თუ ძმა ხარ, აგრეთვე როგორც „კრებულის“ 4) სათაურის თუ „ღროებისთვის“ ვინდა დამიხატეთ და იმასაც მოვაპრევი-ნებ.

შენი ნ. ნიკოლაძე.

IX წერილი.

თბილისი, 8 ივლისი 1873.

საყვარელო ძეო სერგეი!

რომ იცოდე, რა ვუნებაზე ვიყავი შენზე, შენი წასვლის შემდეგ სწორეთ რომ ხელში ჩამვარდნიდი, ისე ვაგლანძღავდი, როგორც

შეეფერება „ругательством“ господина Николадзе“, მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს.

ამბები: კირილე 1) ჯერეც არ დაემტკიცებიათ და შენ ჯერეც ქუთაისს ხარ (იკრძე) 2) 3) 4) 5) 6) 7) 8) 9) 10) 11) 12) 13) 14) 15) 16) 17) 18) 19) 20) 21) 22) 23) 24) 25) 26) 27) 28) 29) 30) 31) 32) 33) 34) 35) 36) 37) 38) 39) 40) 41) 42) 43) 44) 45) 46) 47) 48) 49) 50) 51) 52) 53) 54) 55) 56) 57) 58) 59) 60) 61) 62) 63) 64) 65) 66) 67) 68) 69) 70) 71) 72) 73) 74) 75) 76) 77) 78) 79) 80) 81) 82) 83) 84) 85) 86) 87) 88) 89) 90) 91) 92) 93) 94) 95) 96) 97) 98) 99) 100) 101) 102) 103) 104) 105) 106) 107) 108) 109) 110) 111) 112) 113) 114) 115) 116) 117) 118) 119) 120) 121) 122) 123) 124) 125) 126) 127) 128) 129) 130) 131) 132) 133) 134) 135) 136) 137) 138) 139) 140) 141) 142) 143) 144) 145) 146) 147) 148) 149) 150) 151) 152) 153) 154) 155) 156) 157) 158) 159) 160) 161) 162) 163) 164) 165) 166) 167) 168) 169) 170) 171) 172) 173) 174) 175) 176) 177) 178) 179) 180) 181) 182) 183) 184) 185) 186) 187) 188) 189) 190) 191) 192) 193) 194) 195) 196) 197) 198) 199) 200) 201) 202) 203) 204) 205) 206) 207) 208) 209) 210) 211) 212) 213) 214) 215) 216) 217) 218) 219) 220) 221) 222) 223) 224) 225) 226) 227) 228) 229) 230) 231) 232) 233) 234) 235) 236) 237) 238) 239) 240) 241) 242) 243) 244) 245) 246) 247) 248) 249) 250) 251) 252) 253) 254) 255) 256) 257) 258) 259) 260) 261) 262) 263) 264) 265) 266) 267) 268) 269) 270) 271) 272) 273) 274) 275) 276) 277) 278) 279) 280) 281) 282) 283) 284) 285) 286) 287) 288) 289) 290) 291) 292) 293) 294) 295) 296) 297) 298) 299) 300) 301) 302) 303) 304) 305) 306) 307) 308) 309) 310) 311) 312) 313) 314) 315) 316) 317) 318) 319) 320) 321) 322) 323) 324) 325) 326) 327) 328) 329) 330) 331) 332) 333) 334) 335) 336) 337) 338) 339) 340) 341) 342) 343) 344) 345) 346) 347) 348) 349) 350) 351) 352) 353) 354) 355) 356) 357) 358) 359) 360) 361) 362) 363) 364) 365) 366) 367) 368) 369) 370) 371) 372) 373) 374) 375) 376) 377) 378) 379) 380) 381) 382) 383) 384) 385) 386) 387) 388) 389) 390) 391) 392) 393) 394) 395) 396) 397) 398) 399) 400) 401) 402) 403) 404) 405) 406) 407) 408) 409) 410) 411) 412) 413) 414) 415) 416) 417) 418) 419) 420) 421) 422) 423) 424) 425) 426) 427) 428) 429) 430) 431) 432) 433) 434) 435) 436) 437) 438) 439) 440) 441) 442) 443) 444) 445) 446) 447) 448) 449) 450) 451) 452) 453) 454) 455) 456) 457) 458) 459) 460) 461) 462) 463) 464) 465) 466) 467) 468) 469) 470) 471) 472) 473) 474) 475) 476) 477) 478) 479) 480) 481) 482) 483) 484) 485) 486) 487) 488) 489) 490) 491) 492) 493) 494) 495) 496) 497) 498) 499) 500) 501) 502) 503) 504) 505) 506) 507) 508) 509) 510) 511) 512) 513) 514) 515) 516) 517) 518) 519) 520) 521) 522) 523) 524) 525) 526) 527) 528) 529) 530) 531) 532) 533) 534) 535) 536) 537) 538) 539) 540) 541) 542) 543) 544) 545) 546) 547) 548) 549) 550) 551) 552) 553) 554) 555) 556) 557) 558) 559) 560) 561) 562) 563) 564) 565) 566) 567) 568) 569) 570) 571) 572) 573) 574) 575) 576) 577) 578) 579) 580) 581) 582) 583) 584) 585) 586) 587) 588) 589) 590) 591) 592) 593) 594) 595) 596) 597) 598) 599) 600) 601) 602) 603) 604) 605) 606) 607) 608) 609) 610) 611) 612) 613) 614) 615) 616) 617) 618) 619) 620) 621) 622) 623) 624) 625) 626) 627) 628) 629) 630) 631) 632) 633) 634) 635) 636) 637) 638) 639) 640) 641) 642) 643) 644) 645) 646) 647) 648) 649) 650) 651) 652) 653) 654) 655) 656) 657) 658) 659) 660) 661) 662) 663) 664) 665) 666) 667) 668) 669) 670) 671) 672) 673) 674) 675) 676) 677) 678) 679) 680) 681) 682) 683) 684) 685) 686) 687) 688) 689) 690) 691) 692) 693) 694) 695) 696) 697) 698) 699) 700) 701) 702) 703) 704) 705) 706) 707) 708) 709) 710) 711) 712) 713) 714) 715) 716) 717) 718) 719) 720) 721) 722) 723) 724) 725) 726) 727) 728) 729) 730) 731) 732) 733) 734) 735) 736) 737) 738) 739) 740) 741) 742) 743) 744) 745) 746) 747) 748) 749) 750) 751) 752) 753) 754) 755) 756) 757) 758) 759) 760) 761) 762) 763) 764) 765) 766) 767) 768) 769) 770) 771) 772) 773) 774) 775) 776) 777) 778) 779) 780) 781) 782) 783) 784) 785) 786) 787) 788) 789) 790) 791) 792) 793) 794) 795) 796) 797) 798) 799) 800) 801) 802) 803) 804) 805) 806) 807) 808) 809) 810) 811) 812) 813) 814) 815) 816) 817) 818) 819) 820) 821) 822) 823) 824) 825) 826) 827) 828) 829) 830) 831) 832) 833) 834) 835) 836) 837) 838) 839) 840) 841) 842) 843) 844) 845) 846) 847) 848) 849) 850) 851) 852) 853) 854) 855) 856) 857) 858) 859) 860) 861) 862) 863) 864) 865) 866) 867) 868) 869) 870) 871) 872) 873) 874) 875) 876) 877) 878) 879) 880) 881) 882) 883) 884) 885) 886) 887) 888) 889) 890) 891) 892) 893) 894) 895) 896) 897) 898) 899) 900) 901) 902) 903) 904) 905) 906) 907) 908) 909) 910) 911) 912) 913) 914) 915) 916) 917) 918) 919) 920) 921) 922) 923) 924) 925) 926) 927) 928) 929) 930) 931) 932) 933) 934) 935) 936) 937) 938) 939) 940) 941) 942) 943) 944) 945) 946) 947) 948) 949) 950) 951) 952) 953) 954) 955) 956) 957) 958) 959) 960) 961) 962) 963) 964) 965) 966) 967) 968) 969) 970) 971) 972) 973) 974) 975) 976) 977) 978) 979) 980) 981) 982) 983) 984) 985) 986) 987) 988) 989) 990) 991) 992) 993) 994) 995) 996) 997) 998) 999) 1000)

ხელ კირილე 1) პირველჯერ იწყებს ნორის შედგენა. უნდა სცადო თქო, უთხარი, და ესეც არის ეხლა გარდავეცი რაც კარგისონდენციები მქონდა მოსულა. ვნახათ როგორ მოუხერხებს ამ გაჭირების თავიდან აცილებას. კორესპონდენციები ბლომათ მოდის, მაგრამ ზაღბულის ცვალი კიდევ ატყვია ვაუთუბილიერ ბევრს ლაპარაკობენ, და ჩვენს პოლემიკა 4) ამ თვის განმავლობაში ყველა ის სადაპარაკო მასალათ მქონდა. „კრებული“ იბეჭდება საშინელი სისწრაფით. იმედი მაქვს, პირველ სექტემბრამდე გამოვეცემთ № 4, 5, 6, 7 და 8, მაგრამ ამაში დარწმუნებული ვერ არა ვარ, ამიტომ რომ ექვთიმე 5) ერთობ მისულა; ორი ბიჭი „დაეღალა“ და ამბობს, თავს ხომ ვერ მოვიტოვო. ლავრენტიაც ავთ გამიხდა; დილას რომ ოთხს საათზე ვაგდებდი ჩიის გასაკეთებლათ, უბილობას ვერ ვაქლო, მერმე ხილიც ბევრი სჭამა, და ცხებუბა დამეპარა, მაგრამ ეხლა უკეთ არის, და მორჩება კი უსათუთო. „კრებულის“ დაბეჭდება, სხვათა შორის, ძლიერ გამოსადეგი სტატია „ევმონტის“ 6) გარჩევა. მიიქციე იმას შენი და მანდაურების უურადლება, რადგანაც ეს სტატია უფრო პუბლიცისტიკური იქნება, ვინამ კრიტიკულა. მეოთხე წიგნი 7) იქნება ჩემი „სხვათა შორის“, რომლის ზოგიერთი ნაწილამ გვარიანს გამოვიდა. მეხუთეში და მეექვსეში (ერთ წიგნათ) იქნება ევმონტის პირველი ნაწილი; 8) „გვართა ბრძოლა“ 9) „მგზავრის წიგნები“ (წერეთლის); 10) ვაჟავაძის „გლახის ნამბობის გარჩევა“ 11) და ჩემი პასუხი ფურცელაქეს 11). ამას გარდა, თუ იღვილი დავტრის, შეგე იქნება „რუსეთის ცხოვრების“ 12) მიმოხილვა. მეშვიდეში იქნება ევმონტის მეორე ნაწილი 9), „მგზავრის წიგნები“ (გაგრძელება) 10) და შინაური მიმოხილვა 13), თუ იღვილი დავტრისა — ევმონტის გარჩევა. 9) მერვეში დაბეჭდილია — სკაბენის ცულუტობა (მოლოთი). 14) — ბეჭდება ივანეს სტატია 15), რომელიც გუშინ მივიღე. ევმონტის გარჩევის გაგრძელება 6) და შინაური მიმოხილვა 13), აი მასალა, თუ მოგეფიდა რამე მეცხრე წიგნისთვის იქნება.

შენ წასვლაზე რომ ფელტონი მინდოდა და

მწერა, ის ჯერეც თავიდან არ მომიცლებოდა ისე შემიყვარდა, რომ ან ძლიერ და ნამეტანად კარგი რამ გამოვა, ანა და სულ გროსად არ ივარგებს. ამას ვერ დაებეჭდო, ვინემ კიბილეს¹⁶⁾ არ დავემტკიცებენ. მაშინდამ, სანამ ვაზნუთნე შენი სახელი აწერია რედაქტორთან და სანამ ის ფელტონი არ დაიბეჭდებდა, იცოდე რომ ვაზნუთნე განსაყვებული არ ასცილებია და ყოველწამს მისი მოსაზრება შესაძლებელი იქნება.

შენ აქ შე ძალიან მაკლხობარ. შე ეხლა ბიბლიოტეკაში ვცხოვრობ. კირილეს¹⁶⁾ გამოვეჭეცი, ამიტომ რომ ის სულ თავიზიანობდა და რიცა ან თავიზიანობდა — რწილების სრესით და მათი ონიზობის მოთხრობით მკლავდა. ვიორგი¹⁷⁾ კარგათ არის, მაგრამ კინალამ მოგვიყვდა, დაემართა ზოლერა. იცი რისგან? ლოლბერი-შემ¹⁸⁾ დაბატოვა ისა და კირილეს¹⁶⁾ თავის განსაზრებულათ და ზაბურზაეი და ნესეი აჰმა-ვიორგმა¹⁷⁾, როგორც იცი, მისდგა თურმა თავისი დალოცვილი მადლი, და რადგანაც ბ. ლოლბერიძის¹⁸⁾ არგუმენტები არ ექანადა, ნესეი ერთობ მოიწონა (შედარებით, რასაცირველია) და გაძალ თავისებურათ. მოვიდა შინ, და შენს მტერს იმისთანა იმას დავმართა. კირილეს რწილების ქერაც დაავიწყდა და დაძინების საათიც, ასე ვასიჯე! «კვდებიო» დაიფინა თურმე ვიორგმა, მაგრამ შორშია. შენს მტერს, კრებულს მაშინ საქმე დაემართებოდა. რომ იცოდე როგორ შრომობს ეს კაცი დღე და ღამ, მოხუცენარათ, ვაწმარბეულათ, აუღვამულათ, კირილეს თავებრ ეხვევა ამისთანა ნიადავი კალმის ჭრიკინისაგან! Дер-ჯი იაშუ!

იმ დღეს ბებუთოვი¹⁹⁾ ჩამაცვდა, ბორჯომს მივდივარ, და ორი ნაშეკრი შენ გამოუშვიო. მეც — რა ექნა! — ვერ გაუძიქვ ამ განსაყვლეს და შევაღვინე, ნახე, ზემიანსკი²⁰⁾ ჭალს გამოართვი და წაიკითხე 80 № ფელტონში მანშერაეებზე²¹⁾. ეს ხებრული და ხსურეში ფელტონი ისეთი გამოდგა, რომ მეტი არ შეიძლება. წარმოიდგინე, მთელმა ქვეყანამ თავის თავზე მიიღო. შეიქნა ერთი ყიფინი, ლაღადება, ბულვარზე ხმაშალდა კითხვა, ტეატრში სოკოლოვის ოხუნჯობა იმ ფელტონში მასხარათ ავღებულ ბირებზე და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, როგორც ვეროპში ამბობენ, მოხდა სენსაცია — ამისთანა სისულელეზე. ეს კი არაფერია, ორლოვისკის დობროვოლსკისთვის უთქვამს Н[и]-ко[л]а[и]шев[ы]м за[па]хло-ო, და აწი რა იქნებაო. ლეთის მადლით მეორე ფელტონი, ზეირიანი, (ჩემის აზრით) წაშალეს, და ბებუთოვიც¹⁹⁾ მოვიდა. შოიტანა დ. ერისთავის²²⁾ ბიბლიოგრაფია კრებულზე, რომელიც ზვალ დაიბეჭდებდა. შე-ეს ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ შევიძლია წარმოიდგინო შეგ რა უნდა იყოს.

„მნათობს“ ნახავდი — მე ის გურამიშვილს

გამოუგზავნე. მაგ სტატის პასუხი უნდა დაეწეროს, იცი რისთვის? ჭუთაისში ლოლბერიძეები, დამარცხების შემდეგ, პირდაპირ ეწერიან, რომ ნიკოლაე მახუროცი, ქურდი და ავაზაიათი, დასამტყელებლად ამოსკოვის უწყებების²³⁾ სტატის და სერნოსოლოგიების ბროშურას ხმარობენ. აუცილებლათ საჭიროთა, რომ შე ნება არ მიეცე ჩემი პიროვნების გალანძლით და დატალახიანებით დაამცირონ ჩვენი მიმართულება და მწერლობა. ეს, მგონია, შენი აზრიც უნდა იყოს. ამის გამო შე წირილმან შენიშვნებს თავს დაეანებებ, და პირდაპირ ჩემს საფუთარ პიროვნობას გამოეყვიან სენსაზე, ვიტყვი, რომ რაკი საფუძველი არაფერი აქვს ამ ვაებატონების წინააღმდეგობას, ჩვენი პიროვნობის გათქვით ცდილობენ ჩვენი მიმართულების დაეყვას და ენახოთ, ანა, ამ მხრითაც რა საფუძველი აქვთ თქო. მგონია, რომ ასე უნდა მოვიქცე, მაგრამ ამ საგანზე, სანამ პირველ სტრეიონს დავსწერდე, ბევრს ვიფიქრებ, რომ არც აჩვენება და არც პიროვანი გულის მოსვლა მომერიოს, თუმც, გეფიციები, არც ერთი იოტის ვულშოსულობა არ აღძრავს ჩემში არც ფურცელამის სტატის, არც ამ ვაებატონების ლაღადს.

რატომ არას იწერები „დროებაზე“. აი ეხლა, შე ოხერო, ძვირფასი შენი აზრი და დაფასება. ეს კი იცოდე, რომ ჯერ-ჯერობით კრებული იმოდნათ გეტანჯავს და დროს გეართმევს, რომ დროებისთვის ყურადღება ზეირიანათ ვერ მიიხიოვება. რა ექნა, მშობრევე, ეს უმთავრესი საქმე როდია ეხლა, ეხლა კრებულის შესახებ დამარცხების ასრულებით უნდა წამოვადგეთ ფეხზე, თორემ ვაი სირცხვილო, სირცხვილოო მაშინ იქნება.

შენი ფული ამ წიგნის მოსვლამდე უსათუოთ მოვდა. რომ იცოდე, რები შეშემთხება, — (ორასი მანეთი ფოთში დავკარგე, და ფსონი კინალამ დამირჩია ამ მიზეზით), მაგრამ ამის მიღებაში ფული ჯიბეში გექნება უსათუოთ. — ივანე და ვველანი მომიკითხე. წიგნი მომწერე უსათუოთ.

შენი ნ. ნიკოლაე.

X წერილი.

თბილისი 18/30 აგვისტოს 1873.

საყვარელო ძმაო სერგეი!
ჩვენ, ილხაის მადლით, კარგათ ვართ ჯერ, და სულც, როგორც ხედავ, ვეიდვია. „დროებას“ ჯერ არა ვაპირებია რა. მინდ შენ იქნება ხანდახან მისი შინაარსი არ მოგეწონოს, მაგრამ აქ ყოველ მის ნომერს შფოთი და ლაპარაკი მოსუყვება. რასაცირველია, შენ ვერც კი წარმოიდგენდი, რომ № 31-ში დაბეჭდილი კორექტორულენია სილნალიდამ (მგზავრისა) შესანიშნავი იქნებოდა, და აქ კი მთელი ქვეყანა შენაწრია!). სასტიკი გამოიძება დანიშნეს, შე-

ქნა ერთი დღეშემის რააკარუჯი, და ვინ იცის რაები მოხდეს, „Шумни, брат, шумни! თუ სხვას ევრას ვახერხებთ...“

ეს არაფერია. შინდა ამაზე უფრო საამო აშბავი გამახარობლო. უკანასკნელი ორი ნომერი თავიდან ბოლოში კირილემ? შეადგინა და თითოთვის თითო სტატიის მეტი არ მოუთხოვია ჩემგან? საშინლათ განწელდა გამებედღეინებია მისთვის ერთი სტრაიქონის დაწერა კი არა, ვადმოთარგმნა. ევრაფრით ვერ გავებუდებინე. ხან შოტეღეღობა, ხან ქუთაისში წასვლა მოვიგონე, მაგრამ არა გამეწყურა, ბოლოს, ავთ რომ გავებდა და ვიარგი? სოფელში იყო წასული, ვთხოვე ორიოდ ცნობა ვადმოთარგმნა, და გებედა. რაკი ნახა, რომ ბეჭდვის დროს სტატიას არ დაუყვირია კირილეს ნაშრომი არ მინდაო, მეორეჯერ უფრო ადვილათ მოჰკიდა ხელი საქმეს, და მესამეჯერ მითათ ნომრის შედგენა იქასრა, იმ პირობით კი, რომ ფულტონი მე დამეწერა. როგორც ხედავ საქმე კარგათ მიდის, და მალე გაიწავება ეს ახირებული მიმინო. საქმე ეხლა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მიინც და შინც ჩინებული და შროიანი ნომრები გამოვსეო. ამას შემდეგშეიც მოვესწრებით. ამაზე უფრო საჭირო დღეს ის არის, რომ რაც შეიძლება ვავაძრავლოთ იმ პირების რიცხვი, რომელთაც ჩვენი დახმარება და მხარში შემოდგომა შეეძლოთ. ასეა, ხომ. მაშასადამე, წინათვე დარწმუნებული ვარ, რომ არ დამეზღურები ამ „დროების“ ვითომ მიტოვებას, რადგანაც იმას ჩემი აზრით „დროების“ სარგებლობა და საჭიროება მოითხოვდა.

აუცილებლათ საჭირო იყო, ამასთანავე, რომ მე არ გავრეოდი კირილეს განკარგულებაში და წერაში, რაც შეეხება თითოეული ნომრის და სტატიის შინაარსს, ხომ იცი მისი აშბავი, „*послушай не мешай, ты мне мешаешь*...“ — ამას რომ შორიდებოდი, საქმე დაინერგოდო. ამათ სხვათა შორის ის მინდა ავხსნა, რომ ეს დალოცვილი ჯერ-ჯერობით ნამეტანს პატრეს სცემს სხვა და სხვა კორრესპოდენტების ორგინალს და მათ ნაწერს ვერ ეხება, მაგრამ შემოკლებას და შეფერვადაც მალე ისწავლს, იმედი იქონიე ამისი.

კრებული იცი როგორ მიდის? მეოთხე წიგნის ოთხი ფორმა დამჩნა დასაბუღი (ორგინალი სტამბაში) მეხუთე და მეექვსე (ერთათ) მხათ და დაბეჭდილია, და ავერ სამი დღე რაც ცენზორის აქვს, შემივიდეს ბეჭედა გუმწინე დაეიწყეთ (ორგინალი 12 ფორმის მხათა) და მერვეში დაბეჭდილია 10 ფორმა. ორი ფორმა ნახვარის ორგინალი მხათ არის კიდევ. ვეაქლია ორიოდ ფორმის დაწერაც. მაშასადამე, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ 1 სექტემბერს გათავებული გვექნება რვა წიგნი, როგორც განზრახვაც გვექნა. ამითი სირცხვილიდამ მიინც ამოვჭერებით, და თუმი მისი (სირცხვილის)

ტლამო ცოტადენი კიდევ შეგერჩება, ეცადლოთ, რომ შემდეგმა წიგნებმა გავებანოს და ვავებუნანოს. მანდურების შეწყვეთ ეს ძღვილი საქმე უნდა იყოს, ასე ვგონია, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი სუსტობენ მაგ დალოცვილები, და შემდეგის კი ღმერთმა მალაშა უწყის რა იქნება.

იცი, რომ მეცხრე და მეთათე წიგნის ორიგინალი თითქმის მხათა გვაქვს? ღმერთმანი, დაწერის მეტი არა უკლია რა. მე ჩემი ისეთი მოგზაურობის დღიური ეპოვე და ასეთი ლაზათიანი „მოებში“ მივიქვ თავში, რომ დერ-ДЖИ-ი მუღი გ. წერეთელი? სოფელში, შამფურს აშბადეს, რომ ზედ ნ. ლოლიბერაძე წამოაგოს, და „მზავარის წიგნებში“ შესწვას ნელ ნაკერცლებზე. ამის მეტს არას ვავიხებ, რომ სიურპრიზი უკეთესი გამოვიდეს. შენგამ კი სიურპრიზს არ ველო, ვიცი რომ ზარმაცი ხარ ვითარცა მწერალი და უმაღური, — ვითარცა შევეარებული. დაუმატოთ ამას რომ უთავილო ხარ ვითარცა ქართული მზავარი, და ჩვენს იმედს ერთიანათ ბოლო მოეღება.

ფულის მხრით დღი ვაქირვებები მადგია. რაც უფრო ნაკლები დღეები დამჩნა ფულის მიღების ვადამდე (დღეიდან კიდევ ცამეტი ოცდაათსაათიანი დღე დარჩენილა), იმოდნათ უფრო და უფრო მივიჩის გროშის შოენა. ბანკში ვექსილი ვეკონდა „ნახლავორთევი“, მოელი ქვეყანა შეეძარით, მაგრამ უკანასკნელი პასუხი დღესაც არ მიმიღია, ორშეფათს სამშეფათისათვის მპირდებთან. ამატენმა ფული გარდებდა, მაგრამ მე კი ზევ სახლის გაყიდვას მიქვადან, და რამე შეიძლებელი სასწაველი თუ ვერ მოვახდინე დღესა და ხვალ, არ ვიცი რა იქნება. ფულათ უფრო დღეს გროში რომ იტყვიან არა გვაქვს. გ. წერეთელი გიბანარა, ი პადლეუცი, და არ ვიცი თომელ სოფელში ან რომელ ფაცხაშია დაამალული ველოთ, ვითარცა ოდესმე მე მელოდით თურმე. (უკეთესი შედარება ვერ ვიპოვე. რადგანაც კარგათ იცი, რომ ურბები დღეს მესას ისე გამწარებათ აღარ მოელია). ეპ, როგორც იქნება იმ უკანასკნელ ვაქირებასაც ავიტანო, რომ სიტუბომა შემდეგ უფრო ტბილათ გვეჩვენოს.

ბოტიანს უთხარი „Тиф. Вестник“-ი გარევენოს. შიგ მე და შენ გვარბიანათ ვადმოგვარეს. ჩინებული მოძრაობა მოახდინა აქ ამ ვაზეთის უკანასკნელმა ნომრებმა. მაქსიმოვიჩი? ფრინავს, „შე უკლეოთვის ვამბობდი, რომ რუსული ვაზეთებილამ ბევრი ხვირიანი რამეების ვადმობეჭედა შესაძლებელიაო, ხვირიანათ რომ იცოდეს კაცმა მათი კითხვაო“ აშბობს, მაგრამ ბეზუთოვი ერთობ ზარმაცი, შეადარე Общар печати 80 და 81 №№-ს უწინდელს და შემდეგებს, და გაიგებ, რომ ეს დალოცვილი არც კი კითხულობს იმ ვაზეთებს, რომლიდანაც



ცნობებს იღებს ზოლზე. შენ როგორ მოგეწონა „ბოტინის“ ფელტონები?²⁰ ვაიცნებ კი ცოტას. ვასილიევის ქალმა (აქტრისმა) შემომითვალა, რომ მართალია, შე აქტრისა ვარ „На затылку, да только не для востра“—ო. მეც უნასუბე, რომ არაფერი მისი პასუხი ისე არ დაამაღონებდა და პირდაპირ გულში არ მეცემოდა, როგორც ეს შეიქი, ტუთილია, თუ?

რა მოგეწონო კიდევ? დაღაღული ვარ ისე, რომ წარმოადგენა არ შევიძლია. თითები ლამის უნარს შეტყვევს წერისას. — მაგრამ აქიერ ამბებს მაინც მოგეწონა: შენიგისას ყოველ საღამოს გაცხარებული литературный собрания-ბია, ყველა რედაქციებისა (имя же им легион). არწრუნი¹¹ ფხუეურობს, გ. ჩიქოვანი¹² ქადაგობს და ცქუტუეს, ზ. ლილიბერიძე — წარმოადგენს, რომ ველარ გეშორდება — ყმაწვილობს, კირილი მოაზრობს (умозаключает), ბეუთოვი ჭენებს და მე ჩაის ესამ ჩძოთა და სუხარეზით — და ქალებს ვათვალერებ, ჩემებურათ, მაგრამ ვხლა კი პლატონიერათ. რომ იცოდე რანარბი ბერ-მოლაზონი შევიქენია შენი წსავლის შემდეგ ორჯერ არ დაღაღაბარებულვარ ქალს, დომპროესკის ქალს გარდა, მაგიერათ ავიშვა თავი, და შერმე ვშეჩივი ველარ ჩამაბავს წერა-ბეჭდვაში. ვია, ვაშინ, კირილეს ბრალი, ის ვადმიხდის ამდენ თავდაკაეებას.

შაბი¹³ გუშინ წინ მოვიდა და ზვალ მიდის. თფილისში დიდი ამბებია. მაგრამ, წარმოადგიენი, შაბი — აქ ჩემსავით ვაკოტრებული მობრძანდა, და ჩემსავით ფულს ვერ შოვნილობს. მასასადამ დღეს მე მეფელ-მეფეებთან მარტო ის საერთო თვისება კი არა მაქვს, რომ იმთავით „ჩენს“ ვხმარობ, „მეს“ მაგიერ: იმათ დღეს ჯიბის პლეკინაზობითაც ვეშვავსებო. სუბედუროთ, იმის ბრილიანტების ფოლაქები არა მაქვს, თორემ მალე უჩვენებდი ცეიქების და მისი ჩაფთარებული ქალიშვილის სახლისკენ გზასა და კვალს.

ივანეს¹⁴ მისი დაპირება ვაახსენე: მისი სტატის შედეგი: და სხვა წვერების ნაშრომი მე დღემდინაც არ მიმიღია. ნუ დაივიწყებს რომ მისი სტატის მეორე ნაწილი მეტბრე ნომერში იქნება, რომელიც უსათლო 15 სექტემბერს უნდა გამოვიდეს, მამ 7 სექტემბრისთვის მიინც მოგეწოდოს თავისი სტატია, ათ ღმერთი და „კრებული“ სწამს. შენც თუ რამე არ გამომიგზავნე „კრებულისთვის“ იცოდე დაგარჩობა. ხომ იცი, რომ დღეს შენი სული ჩემს ხელშია, მით, რომ შენ ადგილზე წამოსვლას მოვიდნომებ და შენ ჩენის ადგილზე გამოვითხოვს, ХОТЯ-МЫ ПО ЭТАПУ.

მოიწერე შე უხვირო, დაწერილებითი ამბები მანდაურებისა. ხომ იცი, რომ კარგი იყოს გინდ ცუდი, მაინც მიამება.

შენი ნ. ნაკოლაძე.

XI წერილი

6 ნოემბერს 1873, ქუთაისი

საყვარელო ძმად სერგეი

რა ხანია შენთვის წიგნი არ მომიწერია. ან რისი მოწერა შემეძლო? ფული ვერ ვიშოვეთქო? ეს შენ თვითონ ჩემზე უფრო კარგათ იცოდები იმით, რომ ფული შენ ჩემგან არ მოგდიოდა. ეხლა, როგორც იქნა: ცოტაოდნათ ვაგმდიდრდი და ასი მანეთი გამოვიგზავნე, დანარჩენს ას ოცს ამ თვის 20 გამოვიგზავნი ყოელის უარის უთქმელათ და გადაუღებლათ, იმავე ზნით, როგორითაც ვხლა გამოვიგზავნე (ზეშინასკის სახელზე¹), ამიტომ რომ არ ვიცი შეიჩინე შენ პარიგის ოთახი, თუ არა.

ვხლა სხვა რამეებზე მოგვლაბარებო. „დროება“ ვიცი, არ მოგეწონებოდა, რადგანაც საყვარელო სხვა და სხვა ფერობა არა აქვს, და ამ მხრით მეც არ მომწონს ვაზეთი. მაგრამ, მეორეს მხრით რაც შეეება საზოგადოების ყურადღების მიქცევის, საყოველთაო ყავანს, ლანძღვის და ქებას — მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ „დროება“ ჩინებულათ მიდის. ამ უკანასკნელ სხეთ თვის განმავლობაში ყოველგან ნიდავ „დროებაზე“ დამარაკი, სჯა, ბაასი, დავა, და ორჯერ-სამჯერ მთელი საზოგადოების მხრით მოგვესმა სრული მადლობა და თანხმობა. „ეს ღიღით სასიამოვნო გარემოებაა“ ჩვენი ვაზეთისთვის, და იმედო მაქვს, რომ დღეს იქით ის ნამდვილ ძალათ შეიქნება ჩვენებურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ მარჯვეთ ვიქენით ჩვენ ყველანი და ნამეტნათ არ დავრწმუნდებით, რომ რაც ვასაკეთებელი იყო ვაკეთებულა.

რაკი ეს სასიამოვნო მხარე დავიხატე ჩვენი ვაზეთისა, მინდა ვხლა ვერთი საშინელი ბრალმდებითი წერილი დავიწერო. რას მივდ-მოვდებო შენ ვაკო? მოსვენება გამოვინია, სიზარმაცე გამომიცლია, ქეიფის თავის მიცემა ხშირათ მიწვევია, მაგრამ შენს ვაყუტჩებას და ხმის ამოუღებლობას მაინც ვერ ვივებ და ვერ ვხსნი, რას ნიშნავს, რომ აქამდე ერთი წერილიც ვერ მოსწერე „დროებას“? რას ვაგეს ეს დავიწყება მიქელაძის² ნიდავ „აქურატნისტობისა“? ეს კიდევ არაფერი. ათასჯერ უფრო ვასაკვირველო ისაა, რომ 5 ნოემბერს, როცა პარიგში მონახობის რესპუბლიკის ვაწამაწია უნდა ვაღამ-წყდარიყო, შენ პარიგში მიგიტოვეხია და ცოტაონში წამოსულხარ, რას ვაგეს ეს? (მართალია გითხრა, ჩემი მხრით კი ძლოერ მიამა შენგან გიგვარი მოქცევა: მე რომ მექნა ვაგ, ხომ მომკლავდი ბრალის დაღებით და ვამტყუნებით, ხომ ამკიდებდი — ცუდლუბი ხარო, ქალებში ვიდგა სული და სხე და სხე. დღეს იქით შენ ამავებუ ხმა აღარ ამოგვლებს). ერთი სიტყვით, ჯერჯერობით „დროება“ დაღ უსიამოვნებას და ვაფრთხილებას უტყალებს თავის პა-

ტივემულს რედაქტორს და უბათივემულ კორრესპონდენტს.

სხვა? სტეფანე² მოვიდა, მის შემდეგ მიქელაქე². მიქელაქე მე ერთი დღის მერე არ მივინახავს თფილისში, მაგრამ მალე ვინახავ. საქმე ჩინებულაა წავა აქ. შენ დარდი ნურაფრისა გაქვს, ნურაფრებზე ფიქრთ აქაურზე, გაზეთი ჩინებულათ წავა, ფული საკმაო იქნება, ხელის მომწერლებიც, მასალაც, ყველაფერი ერთი სიტყვით, გაზეთი და „კრებული“ ჩინებულ მდგომარეობაში არიან და იქნებიან. მაშასადამე შენის მხრით შენ მარტო იმზე უნდა ფიქრობდე. 1) თუ როგორ და რაინაირათ გამოიყენო სანადავით სასარგებლოთ ის ერთი წელიწადი, რომელიც სამზღვარის გარეთ დარჩები. ამ ვადაში ფრანცუზული ენა, რომ არ შეისწავლო და თანამედროვე ისტორია (1815 დამ.) კარგათ რომ არ გაიციო, ნუ იზამ, იცოდე, და თანამედროვე ლიტერატურასაც გაუსწორდი, რამდენათაც ეს შეიძლება იდეს. ამ მხრით რასაკვირველია, დარჩება საქარო არ არის შენთვის, მაგრამ მე მიინდ მინდა მოგწერო, რომ ეს შენი მოვალეობა იქნება, და ჩვენ ყველანი ამის ვერაფერს ვერ გავაძლიერებთ. 2) მეორე შენი მოვალეობა კორრესპონდენტების წერაში მდგომარეობს. მარტო ესა აღმოჩნდა, რომ „დროების“ მკითხველებს გემო გაუღაათ მიქელაქის² წერილებისა და ამ უკანასკნელი ნომრების ცალიერობა. ამ მხრით ძლიერ ბევრს არ მოსწონს და ბევრს აცლია. ვნახოთ, აბა, როგორ მოახერხებ ამ მეორე მოვალეობის შევსებას.

ჩემი საქმე კარგათ მობრუნდა ორი უცნაური და მოულოდნელი პირობის და ცუდათ წამართვის შემდეგ. დღეს დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ აწი აღარა მიშავს რა, რაც უნდა მოხდეს და რაც უნდა დამეხაროს მარტოველ კამპანიაში. დარწმუნებით ამაზე არაფერს მოგწერ, მარტო იმიტომ, რომ ამ თვის დამლევის მე თვითონ წამოვიღე და პირად ნახვის დროს შევატყობინებ ყოველნაირ მდგომარეობას.

იქნება შეიტყობდი: 1) რომ ანტ. ფურცელაძემ რვეილები შესროლა და ამოიღო; 2) რომ მე „ნაღობრო“ დამინაშნეს, შემკერს ხელითა და ფეხით, მაგრამ მალე ხელახლავ ამხსნიან, „принимая в соображение что это было „недо-розумение“. 3) რომ „კრებულის“ წიგნები დროზე გამოვიდნენ (მოკაყვე თითი, შე თომა ურწმუნო). 4) რომ იანვრის დამლევის „დროების“ კალენდარი⁴) უნდა გამოვიდეს, რომელსაც შენი სტატები მოხვდება განსაკუთრებით თუ რასმე მხატვს, სუბუქსა და სახეიაროს დასწერ თითოღე ვერაღზე. 5) იცოდე, რომ იანვრის

კრებულისთვის⁵ შენი სტატი⁶ უნდა მოვეთვიდეს რამე.

იმედი მაქვს მალე პირად ვინახავ და ბევრს გაცივებ აქაურობაზე, მაგრამ არ შემიძლია ერთი „კანკანი“ არ მოგწერო: ამას წინათ ივანოვი და შვედროვი შეეტაკენ ერთმანეთს ქუჩაზე, შუალამის დროს, იცი რისთვის? შვედროვს არ მოეწონა, რომ ივანოვი მარია ალექსანდროვნას ემუსიაფებოდა შვედროვმა ივანოვს დარჩინა მონდომა, ივანოვს ხელში უშველებელი ბროწული ეკავა, ზღურთა თავში, პრიწაული გასკდა, წამოვიდა მისი წითელი წვენი და გადაესხა შვედროვს პირზე, ივანოვს ეს წვენი სისხლათ ეჩვენა და ლამის გული წაუვიდა, მერმე მოხდა კრივი, მარია ალექსანდროვნის კვილითურთ, ხალხის შეყარობით და სხვ. გვინია შენ აღბათ, რომ საქმის კომისში ამით თავდავ? არა. ეს ამბავი მოხდა იმ სახლის ბალკონის წინ, საცა ივანოვის დუღიწივია, შიტიის ქალი, იღგა. დანარჩენი ამბავი შემდეგ შეუარაზე გეამბებახომ კაი „კანკანი“ ეს?

ივანოვი ამ თვეში პეტერბურგს მიდის. ბიბლიოთეკა ჩამარდა პეტერ წულუციქის⁶ ჩინებულ მდგომარეობაში, უვალთ და უდარდით. საქმე ჩინებულათ გაიწმინდა. ეს ისეთი ამბავია, რომ ამაზე უკეთესი არა იქნება რა, მგონია, მით უფრო, რომ ესა ამავე ნაირათ გაიწივა აქ ყველა ჩვენი საზოგადო საქმეები. ყოველ განსაკუთრებულ საქმეს — „დროების“, „კრებულს“ მომავალ სტამბას, ბიბლიოტეკას და შკოლას თავისი საკუთარი მმართველი ეყოლება, რომელსაც მარტო საქმე, შრომა ებარება ხელში. ფულის საქმე კი ესე იგი შემოსავალი და გასავალი ერთს პირს ებარება ყველას: კრილუ ლორთქიფანიძეს, რომელიც ვაჩენილია ამ გვერი საქმისთვის, ის იქნება ჩვენი ფინანსების მინისტრი და კონტროლერი; და თითოეულს რედაქტორს ან მმართველს თავისი შრომის მერი დარდი არა ექნება რა. ამ ორ კვირაში ეს საქმე ჩარხსავით გაიწივა ისე, რომ უკეთესის წარმოღვევაც შეუძლებელი იქნება. იმედი მაქვს, ამავს შენ სრულებით მოიწონებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა აქ დაბრუნდები და შენი საკუთარი თვლით და სხეულთ გაცივობ იმ მდგომარეობის ლაზათს, რუმელსაც შენ წერისა და კითხვის მერი არაფერი მოგთხოვება გაზეთის გამოხატულათ.

დამაიწუდა ახალი ამბავი მომეწერა: გოგებაშვილმა⁷ თავი მოიკლა, ესე იგი გაქვია სხლაც. წიგნი კი დატოვა თავს ვიკავო.

სხვა ნახვამის წიგნს მე ნუღარ მომწერ, შენი ნ. ნიკოლაძე



მონოგრაფია რეფორმადელი აზნაზეთის ეკონომიურ განვითარებაზე



აქტორიის შეცნობებთან დოქტორის გ. ძიძარის გამოკვლევა მიძღვნილია მნიშვნელოვან თემისადმი — რეფორმადელი პერიოდის აზნაზეთის გლეხობისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის შესწავლისადმი.

წიგნი ქვეყნის სხვადასხვა აქტივში მოპოვებული დიდალი ფაქტობრივი მასალის შესწავლისა და შეცნობილი ანალიზის საფუძველზე ავტორმა შექმნა მონოგრაფია აღნიშნული მხარის სოციალ-ეკონომიური განვითარების შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შექმნილ დებულებებზე დაყრდნობით გ. ძიძარამ შემოიღო სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა დამახასიათებელი ნაშენების გარკვევა და XIX საუკუნის აზნაზეთის ეკონომიური განვითარების სრული და, ძირითადად, სწორი სურათის მოცემა. ამავე დროს, მის მიერ წამოყენებული დებულებები, ცალკეული გამოკვლევების გარდა, მტკიცედ არგუმენტირებული, შეცნობილად დასაბუთებული და სავსებით დამაჯერებელია. ამ თვისებებით განირჩევა მისი გამოკვლევა რევოლუციონადელი და ნაპოვითა დროის ავტორების ბევრი სხვა შრომისაგან აზნაზეთის ისტორიაში.

მონოგრაფიის შესავალში (გვ. 3-14) ავტორი გიშორავს საქართველოსა და, კერძოდ, აზნაზეთის რუსეთთან შეერთებასა და მასთან დაკავშირებულ დეტალებს. აქ დახასიათებულია აღნიშნული მხარეში შექმნილი ვითარება შეერთებამდე. ამ პოლიტიკური აქტის მნიშვნელოვან დახასიათებისას ავტორი მიუთითებს, რომ მისი წყალობით აზნაზმა ხალხმა შეინარჩუნა ფეოდალური არსებობა და შიშობა შემდგომი კლასტრულ-ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა.

შრომის პირველ თავში გ. ძიძარია იძლევა აზნაზეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მოკლე მიმოხილვას, წარმოგიდგენს მხარის აღმინასტრაციული დაყოფის სურათს და

გვიჩვენებს მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობის დინამიკას.

ამის შემდეგ, შრომაში მოცემულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის აზნაზეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის, შინამრეწველობისა და ხელოსნობის დაწვრილებით მიმოხილვა (იხ. თავი II).

საინტერესოა მესამე თავი (გვ. 80-140), სადაც განხილულია რეფორმადელი პერიოდის აზნაზეთის ეკონომიკაში მომხდარი ძვრები. აქ მოტანილია მკაფიო ფაქტები სასაქონლო წარმოების ზრდისა და სავაჭრო-კომერციულ ოპერაციებში მოსახლეობის ჩაბმის შესახებ — უმთავრესად გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ მნიშვნელოვანი დებულების დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს დიმიტრი შარვაშიძის შამულის მმართველის პაპომოვის შემდეგი სიტყვები: აზნაზეთის „მცხოვრებნი თანდათან ხედებოდნენ, რომ ხელსაყრელია არა მარტო დღიური ლექმის მოპოვება, არამედ პროდუქტის ერთგვარი ნაშენისა გასასყიდად. საკუთარი შეზღუდვებისადაც მოსახლეობის ეს ახალი შეხედულება, ცხადია, საქართველოში წახალისებულ იქნას“ (გვ. 107). კიდევ უფრო საინტერესოა ს. პუშკაროვის ცნობა, რომელიც განეკუთვნება 1854 წელს. უკანასკნელი ირწმუნება, რომ მას უნახავს, თუ როგორ იყებოდა ოჩაჩირის ბაზარი აზნაზი ქალებით, რომლებიც ყიდდნენ აბრეშუმს, აბრეშუმის პარკს და საკუთარი ხელსაქმის სხვა ნაწარმს და ყიდულობდნენ ჩითსა და სხვა საქონელს.

სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტი — სიმინდი, ღვინო, თაფლი, სანთელი, თხილი, კაკალი, ჩაი, თამბაქო, ბამბა, ციტრუსები და სხვ. თანდათან იღებდნენ სასაქონლო ხასიათს. შედარებით გამოცოცხლდა შინაგანი ვაჭრობა, გაიზარდა სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვა (გვ. 125), გაუმჯობესდა მიწისთვის საშუალებები; შესამჩნევად გაიზარდა ეკონომიური მნიშვნელობა სანაგავადგეო ქალაქ სოხუმისა, რომელიც უფრო და უფრო იზიდავდა რუსეთის და, აგრეთვე, უცხოეთის გემებს (გვ. 125—129).

გ. ა. ძიძარია, სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობანი აზნაზეთში XIX საუკუნეში (1870 წლის საგლეხო რეფორმამდე), სოხუმი, 1958.

შრომში ერთ-ერთი ცენტრალური თემა — მეოთხე — ფეოდალური აფხაზეთის კლასობრივი სტრუქტურა“ (გვ. 141—359), რომელიც არკვევს სოციალურ ურთიერთობას XIX საუკუნის აფხაზეთში. გ. ძიძარია აღნიშნავს, რომ აფხაზეთის, როგორც ყოველი ფეოდალური ქვეყნის, საზოგადოება შედგებოდა ორი ანტიკონსტრუქციული კლასისაგან — ფეოდალებისა და გლეხებისაგან. უკანასკნელი წარმოადგენდა მატერიალურ სამდიდრეთა მთავარ მწარმოებელსა და ისტორიული პროცესის გადამწყვეტ ძალას.

მემამულური მეურნეობის დასახაობებისას გ. ძიძარია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთლიანად ის სუსტად იყო დაკავშირებული ბაზართან და მის მიერ წარმოებული სასაქონლო პროდუქტთა უმნიშვნელო ოდენობისა იყო. მემამულურ მეურნეობათა სახნავე ფართობიც უმნიშვნელო იყო. „ნატურალური რენტის ბატონობა და მეტად განასაზღვრული ფულადი რენტა, — წერს გ. ძიძარია, — ახასიათებდა აფხაზეთის მემამულური მეურნეობის მთელ ჩამორჩენილობას. აფხაზეთის მემამულეთა საკუთარი მეურნეობა არ განირჩევიდა ფართო ხასიათით, საბატონო სახნავეები უმნიშვნელო იყო. თვით მთავრის მამულშიც ეს საკუთარ სახნავ — სათესებს ეჭირა სრულიად უმნიშვნელო ადგილი და ემსახურებოდა მხოლოდ მთავრის, — მიხეილ შარვაშიძის, — ოჯახის მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას“ (გვ. 172). წინწკლებში მოქცეული უკანასკნელი სიტყვები ეკუთვნის პოლოგნაე კონიარს. ის დაწერილია 1866 წელს).

გადადის რა უშუალოდ გლეხობის შესწავლაზე, ავტორი ლაპარაკობს მათ ცალკეულ კატეგორიებზე, როგორცაა: ანხიუ, ახოუი და ახაშვალა. ზოგიერთი ოფიციალური პირისა და რევოლუციამდელი ისტორიოგრაფის წარმომადგენელი (დუბროვინი, ვედენსკი, ესაძე და სხვ.) მტკიცების ხაზინააღმდეგოდ, გ. ძიძარია ანხიუს კატეგორიის გლეხებს თვლის ეკონომიურად და იურიდიულად დამოკიდებულ ადამიანებად. ავტორის მსჯელობის თანახმად, აღნიშნული კატეგორიის შრომელები ფეოდალური გადასახადების მიმომ ტვირთს ატარებდნენ და წარმოადგენდნენ მემამულური ექსპლუატაციის ობიექტს, თუმცა მთლიანად ყმურ მდგომარეობაში არ იყვნენ და რამდენიმე უკეთეს პარობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე სხვა კატეგორიის გლეხები აფხაზეთში. ეს დებულება საყვებით შესებაშეუბა სინამდვილე-საკუთრივ ყმა გლეხების კატეგორიას აუთენტიკებს ავტორი ახოუიუს, თავისი მასით რომ შეიქმნა შონებისაგან (ახაშვალა), რომელთაც ოჯახის შექმნის უფლება მოიპოვეს, და, აგრეთვე, ტყვეებისა და ანხიუს დაკაბლების ხარჯზე. გ. ძიძარია დაწერილებით იყვლება ამ

კატეგორიის გლეხთა საადგილმამულო უფლებებს და მიდის ამ დასკვნამდე, რომ მათ მეურნეობით დაუმჯავებელი მიწები ეკუთვნოდათ მათ არა ეკრძო საკუთრების, არამედ შემეკიდრობით მფლობელობის უფლებით. აკრიტიკებს რა სოხუმის წოდებრივ-სადგილმამულო კომისიის შეხედულებას, რომლის მიხედვით ახოუი აღიარებულა თავის განკარგულებაში მყოფი მიწების სრულფასობაზე მეტატონედ, ავტორი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ახოუი ესახლა თავის მიწაზე და ეწვეოდა საკუთარ მეურნეობას, ის არ იყო ამ მიწის მესამკუთრე-ახოუი, მაშასადამე, წარმოადგენდა ამ მიწების მხოლოდ მემკვიდრეობით მფლობელს და მეტატონეს უხდიდა ზედმეტ პროდუქტს“ (გვ. 290).

ახოუიუს სოციალური არსის გაგებისათვის პრიციპული მნიშვნელობისაა ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ მისი ვალდებულების ძირითადი ფორმა იყო შრომამოგებით რენტა, განსხვავებით პროდუქტისაგან, რომელსაც უპირატესად იხდიდნენ გლეხები ანხიუ. ეს ვარაუზება ახოუის უფრო მეტად ფეოდალური ექსპლუატაციის მიჩვენებელია იმევე დროს ავტორი, აღნიშნავს რა ბევარის (შრომამოგებით რენტის) ხვედრითი წონის უფრო და უფრო მეტად ზრდის ფაქტს ანხიუს ვადსახადთა საერთო მასაში, უკავშირებს ამ მოვლენას სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ფეოდალური მეურნეობის ზრდას რეფორმამდელ პერიოდში.

გლეხთა ძირითადი კატეგორიების განხილვა მთავრდება ყოველგვარ ქონებრივ და იურიდიულ უფლებებს მოკლებული ახაშვალის დასახაობებით (გვ. 307 — 320).

სამკაო ყურადღებით არის ნაშრომში განხილული 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს ავტონომიის ლიკვიდაცია. მას დათმობილი აქვს მე-5 თავი (გვ. 360 — 369), ავტორი აღნიშნავს და უხვი მასალებით გვიჩვენებს ამ მოვლენის უდიდეს მნიშვნელობას აფხაზი ხალხისათვის.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა, როგორც ეს გ. ძიძარიას მიერ მოყვანილი საბუთებიდან ჩანს (გვ. 365), სრულიად დამსუფთვებით, „უღრტინეველად“ შეხვდა სამთავროს ლიკვიდაციას.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მეექვსე თავი — „აფხაზეთის შრომელთა ბრძოლა ფეოდალური და კაპიტალიური ჩაგვრის წინააღმდეგ“ (369 — 495). ამ განყოფილების პირველ პარაგრაფში განხილულია კლასობრივი და ანტიკაპიტალიური ბრძოლა 1866 წლამდე, მეორეში — 1866 წლის აჯანყება.

1866 წლის აჯანყების შესახებ საბუთო და რევოლუციამდელი ავტორთა შრომების მოკლე კრიტიკული მიმოხილვის შემდეგ ავტორი გ-

დადის ამ ფრიალმნიშვნელოვანი მოვლენის მიზეზების გარკვევაზე. სახალხო მოძრაობის საერთო მიზეზები გ. ძიძარას დადგენილი აქვს თავისი გამოკვლევის მეორე, მესამე და მეოთხე თავებში, სადაც მოცემულია რეფორმამდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დასაბამები. მშრომელთა მიერ შეტანილი და უფლებრივი მდგომარეობა, შეპირობებული მხარეში ფეოდალურ-ბატონყმური წესების არსებობით, ფეოდალი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად 40-50-იანი წლებიდან გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება და ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის ანტიხალხური ხასიათი — ასეთია, ავტორის აზრით, ეს საერთო მიზეზები.

რაც შეეხება აჯანყების უშუალო მიზეზებს, ავტორი ასეთად თვლის, პირველ რიგში, მხარეთელობის არადამკამყარებელ ორგანიზაციას, რომელიც შემოღებული იქნა მხარეში სამთავროს გაქვების შემდეგ. ახალი დაწესებულებები, ს. ესაქის სიტყვებით, „წარმოიშენენ ადგილობრივ მოთხოვნილებებთან შეუთანხმებლად და შექმნილ იქნენ, ნაქარვამდ პოლიტიკური მოსაზრებების შესაბამისად, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეცვლილ იყო სამთავროს ავტონომიური მმართველობა“. მხარის საზოგადოებრივი წყობილების სპეციფიკა უნდა იყო ქვეყნის მმართველად გამოგზავნილი რუსი მოხელეებისათვის. უველფერი ეს, როგორც გვიხვეწებს ავტორი, იწვევდა ხალხის მძლავრ აღშფოთებას, ხალხისა, რომელიც ახალ პირობებში მოელოდა დასვენებასა და სიმშვიდეს „დიდი გაცივებისა და ავტონომიის შემდეგ“.

წინააღმდეგ იმ პეკლევართა, რომლებიც ვერ ამჩნევდნენ 1866 წლის აჯანყების ანტიფეოდალურ ხასიათს, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ის, პირველ ყოვლისა, მიმართული იყო ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. ასევე დასკვნის სასწორებს ადასტურებს ნაშრომში მოყვანილი მრავალრიცხოვანი ფაქტი აჯანყებულთა მიერ შემამულეთა სამფლობელოების დაბრუნება. ამასვე მოწმობენ აჯანყებულთა მიერ წამოყენებული მოთხოვნისა.

ამასთან ერთად, გ. ძიძარია არ ივიწყებს აჯანყების მეორე მხარესაც — მის ანტიკოლონიალურ ხასიათს. იბრაძენდნენ რა კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ, აფხაზეთის მშრომელთა მასები, როგორც სწორად მიუთითებს ავტორი, სრულებითაც არ ისახავდნენ ზუსტობისაგან გამოყოფის მიზანს.

სარეცენზიო ნაშრომში კარგადაა დასაბუთებული ის დასკვნა, რომ აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა გლეხობა. რაც შეეხება ფეოდალებს, ისინი არ იყვნენ და არც შეიძლება ყოფილიყვნენ ასეთი. პრი-

ვილეგიური წოდების წარმომადგენლები, ავტორის აზრით, მოძრაობაში მონაწილეობდნენ იმ მიზნით, რომ გამოეყენებინათ ის თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის: აფხაზეთის რუსეთისაგან ჩამოშორებისა და მხარეში მთავრის დრომოქმედ ხელისუფლებას აღდგენისათვის. გლეხთა და ფეოდალთა ინტერესების შეერივებლობით ხსნის ავტორი უკანასკნელთა განდგომას მოძრაობისაგან მისი განვითარების ყველაზე ვალდამწვევტ პერიოდში.

სარეცენზიო შრომის დასმული და გადაწყვეტილია თითქმის ყველა საკითხი, რომელიც გამოკვლევის თემააანაა დაკავშირებული. გ. ძიძარას ნაშრომი გვიხატავს მხარის ეკონომიური მდგომარეობისა და სოციალური ურთიერთობის ნათელ სურათს (XIX ს.). ამ შრომით შევსებულია დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთის ისტორიის შეცნირებულ შესწავლას საქმეში დღემდე არსებული ერთი დიდი ხარევი.

გადვიდეთ შრომის სუსტი მხარეების განილვაზე.

1. ნაშრომის სერიოზული ნაკლია მისი მტრისმეტად გაზიანებულობა. საკითხის ფართოდ განილვის უღისას ავტორი ხშირად ლაპარაკობს, და თანაც ძალზე დაწვრილებით, ისეთ მოვლენებზე, რომელთაც შრომისთან არა აქვთ პირდაპირი კავშირი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გ. ძიძარია ცდილობს თავის შრომაში მოაქციოს აღებული ხანის აფხაზეთის ისტორიის ყველა ფაქტი, რაც კი მისთვის ცნობილია. საქმისათვის უნებლად შეიძლება და შრომის მნიშვნელოვნად შექცირება. მაგალითად, პარაგრაფისა, რომელიც ნიძღვნილია გლეხთა კატეგორიის ანაიუსა და, ასევე, 1866 წლის აჯანყებისადმი, განსაკუთრებით, თუ შედევლობაში მივალბთ აღნიშნულ საკითხზე სპეციალური გამოკვლევის არსებობას, რომელიც ჩვენს ავტორსავე ეკუთვნის.

2. ანაიუს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის განილისას გ. ძიძარია დაწვრილებით ლაპარაკობს ამ ფენის გლეხთა საადგომიშელო უფლებებზე. მოყვება რა ამასთან დაკავშირებით ბუკრი, ერთმეორის გამოშროცხველი, მონაცემი, ავტორი, სამწხაროდ, ნათლად ვერ გამოხატავს თავის შეხედულებას თემის ამ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგრამ, ნაშრომის შესაბამისი ადგილების გულმოდგინედ წაკითხვა გვიჩვენებს, რომ იგი ემზრობა და იზიარებს იმ აზრს, რომელიც უარყოფს ანაიუს მიწაზე საკუთრების უფლებას. ავტორი, როგორც ჩანს, თვლის, რომ გლეხების იმ ფენას, რომელიც ანაიუს მიეკუთვნება, არ ჰქონდა საკუთარი მიწა და რომ მათ მიერ დასამუშავებელი ნაყოფების შეპირებლობათ ყველა შემთხვევაში ფეოდალები გამოდიოდნენ.

ასეთი მტკიცება, ჩვენი აზრით, არა სწორია.

თვით გ. ძიძარას მიერ მოტანილი მასალა კი მოწმობს არა მისი თეზისის სისარგებლოდ, არამედ პირუტყვ, იმ აზრის სისარგებლოდ, რომელიც ანხილუს აღიარებს მიწის შესაყურად. ავილოთ, თუნდაც, ფაქტი შემამულეების მიერ ხსენებული კატეგორიის გვლებზეა აგებული მიწის შეყიდვისა. ასე, მაგალითად, 1840 წელს თავად თ. ანჩაბაძემ სოფ. ტაგლიონში ანხილუს (პიონის) კერძ პაპასკარისაგან იყიდა სახალე ნაკვეთი, გადაუხადა რა 100 მანეთი ფული (გვ. 244). ათი წლის შემდეგ ანჩაბაძე გ. ეშმაძემ აღნიშნული კატეგორიის გლებს გ. ბაჩუასაგან იყიდა ნუგახი, რაშიც გადაუხადა 60 მანეთი (იქვე). ანხილუსგან შესყიდვით შეიძინეს მიწის ნაკვეთები და ვენახები, აგრეთვე, კ. მარლიანამ, ზ. ჩქორტაძემ, ბ. ანჩაბაძემ, ხ. შარვაშიძემ, კ. ზეანაძემ, ბ. ემვაჩაძემ და ბევრმა სხვა ფეოდალმა. დამახასიათებელია, ამივე დროს, რომ, ავტორის განცხადების თანახმად, გლებებმა მიწის ეს ნაკვეთები მაჰყიდეს როგორც თავის საკუთარ შემამულეებს, ისე სხვებს.

ვისი აყო ეს მიწები? ვინ ითვლებოდა ბოლოს და ბოლოს მათ შესაყურად? ბუნებრივია ვითვქროთ, რომ მიწები ეკუთვნოდა გლებებს. მართალია, გ. ძიძარა მითითებებს იმ ფაქტზე, რომ გლებების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვა ყოველთვის არაა იმის მაჩვენებელი, რომ ის ეკუთვნის მის გამყიდველს სრული საკუთარი უფლებით, მაგრამ, ჩვენ გვგონია, ეს არაა საფუძვლიანი პასუხი. რთუთ ავტორი სერიოზულად ფიქრობს, რომ გლებები — ანხილუს ასე დაუზღველად ყიდდნენ და ავირყვებდნენ სხვის, შემამულეების მიწებს? რატომ არ აჯანყდნენ ამ უკანონოების წინააღმდეგ ფეოდალებში და არ აიძულეს მთავრობა ჩარეულიყო ამ საქმეში, მით უმეტეს, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო? ავტორის ლოგიკას რომ ვაყვეთ, გამოვა, რომ ანხილუსის ფეოდალები დამწვევებით უმზურდნენ მათი კუთვნილი მიწების მასობრივად გაყიდვას და, ხშირად თვითონვე ყიდულობდნენ რა ამ მიწას, სიამოვნებით იხილდნენ მოთხოვნად ფასს.

3. თანმიმდევრობით ავითარებს რა თეზისის იმის შესახებ, რომ ანხილუს არ გაანდათ მიწაზე საკუთრების უფლება, გ. ძიძარა მიიღის დასკვნამდე, რომ მათი დამოკიდებულება შემამულეებისაგან აყო, პირველ ყოვლისა, საადგილმამულო დამოკიდებულება, თავისი თეზისის თეორიულად დასაბუთებისას იგი მიუთითებს მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილ დებულებაზე, რომლის თანახმად ფეოდალური ურთიერთობის საფუძველია მიწაზე ფეოდალური საკუთრება. მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორის შექანიერად ესმის ამ ფუძემდებელი მითითების არსი, როდესაც ფაქტობს, თითქოს ბატონყმობის დროს არ არსებობს და არც შეიძლება

არსებობდეს სხვა დამოკიდებულება, თუ არა ეკონომიური, საადგილმამულო.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თვითონ გლებებს — ანხილუს სჯეროდათ და ლაშქარს სწამდათ, რომ მათი დამოკიდებულების საფუძველია არა ეკონომიური მომენტები. ერთ სახალხო კრებაზე (1866 წ.) თავად მარლიანის ცინიკური განცხადების გამო იმის შესახებ, რომ ანხილუს დამოკიდებულები არიან შემამულეებისაგან მიწით, გლებმა გავლით დაიყვირა: „ტყუებიარ. ჩვენ მიწით არ ვყავით დამოკიდებულნი“. გლები ანხილუს შემამულეებისაგან დამოკიდებულების მიზეზების ყურადღებით შესწავლამ აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს დასკვნამდე ვარეკონომიური იძულების გადამწყვეტი როლის შესახებ. ამ ფაქტს თითქმის არც კი ითვისებდნენ ავტორი, რაც ჩვენ მისი გამოკვლევის ერთ-ერთ არსებით ნაკლად მიგვაჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მომენტს ვ. ი. ლენინი. „შემამულეს, — წერს იგი, — რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალუფლება გლებს ბიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სისარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მურენობას ეწვეა. საჭიროა მამასადავად ავარეკონომიური იძულება“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 208, ვამ. მე-4)

4. სარეცენზიო შრომაში ლაპარაკი გლებობის დაშლად მხარის ასიერთო სამეურნეო განვითარების შედეგად“. ამის დასამტკიცებლად ავტორს მოუყავს ისეთი ფაქტები, როგორცაა სოფლის ზედაფენის ხელში ყვებისა და მონების მოკალათება, ზოგიერთი გლების მიერ მიწის ყიდვა, რომლის ფართობი ზოგჯერ 12 ლესტინისა აღწევდა და ა. შ. მაგრამ ეს და ამის მსგავსი ფაქტები მოწმობენ არა გლებობის კლასობრივ დაშლას, არამედ მათ შორის ქონებრივი უთანაბრობის არსებობას. ანალიტიკური მოკლევნის გზადებით ადრეც, ვთქვით, XVII სოკუნეში, მაგრამ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვილაპარაკოთ რაღაც ეკონომიური აღმავლობისა და ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარების შედეგად იმ დროს გლებობის კლასობრივი დიფერენციაციის შესახებ. სოფლის მისახლეობის სოციალური დიფერენციაციის ყველაზე სწორი მაჩვენებელია თვისიუფალი დაქირავებულო შრომის გამოყენების ფაქტი, რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ფეოდალური წარმოების წესის რღვევასა და კაპიტალიზმის ჩასახვას. ამიტომ გლებთა კლასის დიფერენციაციის საკითხის განხილვისას საჭირო იყო პირველ რიგში ისეთი მასალის შიკანა, რომელიც ვეჩვენებდა სოფლის მდიდართა მურენობებში თავისუფალი დაქირავებული სამუშაო ძალის გამოყენებას.

5. ანხილუსის სოფელში კლასობრივ ბრძო-

ლის დამახასიათებელ ფაქტებს შორის გ. ძიძიას მოყვას (იხ. გვ. 394) გლეხების—ღაბრისა და ჩანბას მიერ ფეოდალების მოყვლის შემთხვევა, რაც გამოიწვია უკანასკნელთა მიერ პირველი ღამის ბარბაროსული უფლებით სარგებლობის ცდამ. მაგრამ ეს ფაქტი უადგილოა, რადგან ხსენებული მკვლელობა მოხდა არა იმ საუკუნეში, რომელსაც ჩვენი ავტორი სწავლობს (XIX ს.), არამედ, დაახლოებით, XVIII საუკუნის შუა ხანაში.

იგივე თქმის მეორე მაგალითის — თავადი ცანბას მოყვლის შესახებ. ა. ვედენსკის სიტყ-

ვით ცანბა მოკლულ იქნა „ოთხი თარბის წინ“ (გვ. 394 — 395). თითო თარბას მხოლოდ 25 წელი რომ დაეუთმოთ, მაინც ხსენებული მკვლელობა არ შეიძლება მომხდარიყო უკვიანეს XVIII საუკუნის 70-იანი წლებისა.

მონოგრაფია, რომელიც ავტორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, მთლიანად, სათანადო მეცნიერულ-თეორიულ დონეზე დგას და წარმატებით ავსებს ერთ დიდ ხარვეზს ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

პროფ. შ. ჩხეტიანი,
პროფ. ი. ანთონაძე

წიგნი ბორჯომის ხეობაზე



სახელგამა გამოსცა პროფ. სერგი მაკალათიას წიგნი „ბორჯომის ხეობა“, სადაც ავტორი გვაწვდის ისტორიული თორის ანუ დღევანდელი ბორჯომის რაიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას. ავტორი აღნიშნავს თორის, როგორც ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარის, ისტორიულ მანძინელობას საქართველოს სამხრეთი საზღვრის დასაცავად. ეს მხარე თორის სახელწოდებით ცნობილია ჩვენს ისტორიაში მე-7-9 საუკუნეებშიდან მე-15 საუკუნემდე, შემდეგ კი ეს სახელი შერჩა მხოლოდ დაბა თორს, რომელიც დღესაც ამ სახელწოდებითაა ცნობილი ბაქრაიანის ახლოს.

თორის შესახებ მე-8-9 საუკუნეების მიანილობაზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გიორგი მერჩულე, რომ თორის მხარე არაბებს გაუზღვერებიათ, მაგრამ მისი განხილვა-აღდგენა დაწვებულა მე-9 საუკუნიდან. თორი მე-12-13 საუკუნეში გადაიქცა დად საერისთავოდ, რომელიც აერთიანებდა ტერიტორიას დაწვებულ დღერიდან ტაშისკარამდე, ე. ი. მთელ ბორჯომის ხეობას. მის ტერიტორიულ საზღვრებში გარკვეულ დროს შედიოდა ჯაფარიძეთა აქედან იყვნენ სახელგანთქმული მოღვაწეები და სარდლები: გამრეკელი თორელი, შალვა თორელი, თამარის დროინდელი ზაქარია და ივანე მხარგრძელნი (თორელნი) და ა. შ.

თორი მონღოლთა შემოსევების (მე-13-14 საუკუნეები) დროს დაიღვა დაეწმადეცინების გზას. ხოლო მე-16 საუკუნის ბოლო პერიოდში თურქებმა მთელ სამხრეთ საქართველოსთან ერთად იგიც დაისაკუთრეს. მართალია, ქართველთა შედეგებმა ეს მხარე მე-17 საუკუნეში სოფელ დღერამდე თურქთა ბატონობისაგან გაათავისუფლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ აიღა თურქთა და ლეკთა ავაზაკების აუარებელ თავდასხმებს. თორის მხარე მთლიანად ახალიციხე-ახალქალაქთან ერთად დღეს-სამშობლო საქართველოსთან შეერთებულ

ლი იქნა 1828 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ.

წიგნში დამატებულად არის მოცემული ბორჯომის რაიონში არსებული მრავალი მეტეორიული კვლტურის ძეგლის (თავდაცეითი მნიშვნელობისა თუ საკულტო) შესახებ მეტად სკიპრო და სიანტერესო ცნობები. წიგნის ბოლო ნაწილში ლამაზაია ბორჯომის რაიონის ეკონომიკისა და კვლტურის აღმავლობის შესახებ.

ზემოთაღნიშნულ დიდებით მხარებთან ერთად ნაშრომს აქვს ნაკლიც. რამდენიმე ადგილის ძირითადი ფაქტობრივი მასალა ზოგან დამახინჯებულია, ზოგან კი არასწორადაა გადმოცემული. მაგალითად: ავტორი შრომის დასაწყისში (გვ. 3) წერს: „აღმინისტრაციულად თორი შედიოდა მეოთხე სასპასეტოში, რომელი იწვეობდა თბილისიდან-ტაშისკარამდე“. იქვე ავტორს ავტორიტეტს თქვით: „ხოლო არის მეოთხე სასპასეტო ტბილისიდან ვადრე ტაშის-კარამდე“, უფრო ქვემოთ (გვ. 55) დასძენს: „ავტორიტეტს აღწერით მეოთხე სადროში თავდებოდა. ტაშისკარით, რომელიც წარმოადგენდა ძნელად გასაყულ ვიწრო კარს“. მაგრამ თუ მეოთხე სასპასეტოში შედიოდა თბილისიდან ტაშისკარამდე არსებული ტერიტორია, ხოლო ტაშისკარი საზღვარი იყო თორისა და ქართლს შორის, თორი კი ტაშისკარის სამხრეთით მდებარეობდა, საიდან შევიდოდა თორი მეოთხე სასპასეტოში. თორი ისტორიულად ეკუთვნოდა სამხრეთ საქართველოს და ყოველთვის მასთან ერთად ქმნიდა ერთ სადროშოს.

ავტორი აღნიშნულ საკითხში ვახუშტის სწორად არ იშველიებს, ვინაიდან საქართველოს სადროშოებად დაყოფაზე ჩვენი-სახელმწიფო ისტორიკოსი თავის საქართველოს გეოგრაფიაში (1941 წლის გამოცემა გვ. 84) წერს: „ხოლო ტაშის-კარსა და აღიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე სამნი ესე სასპასეტონი: შემარცხენე მუხრანისა, შემარჯვენე ქართლისა,

მეფის თანამყოფი“. მისივე მტკიცებით, მთელი შიდა ქართლი თბილისის ზემოთ და ზემო ქართლი ფარავნმდე პირველად იყო ერთი სასპასმეტო, თანაჲ მეფის შემდეგ პერიოდში კი გაიყო რამდენიმე სადარომოდ და „შემოდგომად განყოფის ესრე სამ სადარომოდ იქმანა“.

სერგი მკვალათას აზრით (გვ. 5), თორიციხისგუჯარზე გადადიოდა და დღესაც გადადის რაი სავაქრო გზა, ერთი გუჯავთილიდან ცხრაწყაროს უღელტეხილზე ქართლში, მეორე — მტკვრის ზეობით სამცხიდან ქართლში. მკვრამ მტკვრის ზეობით სამცხიდან ქართლში გადასასვლელი გზა თორზე კი არ გადაიოდა, არამედ — მის დასავლეთით მდინარე მტკვრის ზეობაზე.

წიგნის ავტორს მტკვრის ზეობაში არსებული სლესის ციხე ჰგონია ბორჯომის რაიონში (გვ. 6), მაშინ როდესაც იგი ნამდვილად ახალციხის რაიონშია. მკვარია, აგრეთვე, ბორჯომის ზეობად ჩათვლა მდინარე მტკვრის ზეობისა ბორჯომიდან ახალციხემდე. ბორჯომის ზეობა ეწოდება მდინარე მტკვრის ზეობას სოფელ აწურლიდან (უფრო სწორად, სლესის ციხიდან) ბორჯომამდე. ავტორის მიერ ორ ადგილას (გვ. 25 და 45), ასევე შეცდომით მოხსენიებულია სამცხის მთავარი ეპისკოპოსის — მამყვერელის მავიერ სამცხე — საათაბაგოს კათალიკოსი.

სერგი მკვალათია ედება ბორჯომის სახელწოდების წარმოშობის საკითხს და სწორად აღნიშნავს, რომ ბორჯომის სახელწოდების პუნქტი ადრე მესხეთში არსებობდა, მკვრამ ვერ არკვევს მესხეთში არსებულ ნასოფლარ ბორჯომის ადგილმდებარეობას.

ს. მკვალათიას მტკიცება — „ამგვარად, ირკვევა, რომ ბორჯომი მდებარეობდა სოფელ სოფელ, კი არა ქალაქ დ. კ) ახალციხესთან და თურქების ბატონობის დროს იგი მცირე სოფელი ყოფილა“ (გვ. 11) სიმართლეს მოკლებულია. სოფელი ბორჯომი ხუთი კომლით „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დაეთარში“ (გვ. 12) მოხსენებულია კუპარაქის რაიონში (ახალციხის ლივა) სოფელ ანდრიაწმინდასთან ცუნქის ანუ ურავლის ზეობის მარცხენა მხარეს. იგი ქალაქ ახალციხის სამხრეთით 18 კილომეტრის მანძილზეა. ახლანდელ ნასოფლარი ბორჯომი არის სოფლების ანდრიაწმინდასა და ანდას შორის, მას შუაზე ჩაუდის ხევი, რომელსაც ეძახიან მიღმა ხეეს, ხოლო მის ზემოთ არსებული ხეეს კი გუარახეეს. ნასოფლარ ბორჯომ-

ში აქამამდე შემორჩენილია წმინდაიგორგის სახელობის დანგრეული ეკლესია. მტკვრის მოხუცებულთა კეებით და გუჯავთილიდან ლავანში არსებული ძველი საფლავებით. აქვეა მიწისქვეშა ზვრელი-დარანი (ხელოვნური სამალავი), რომელსაც შესასვლელში ქონია ქონია კარები, რაოდ, დაახლოებით, 20 წლის წინათ წილიათ სოფელ ანდრიაწმინდაში, და შემდეგ დაიარგულა. ახლანდელ ბორჯომამდე, მესხეთში ყოფილა ასეთი სახელწოდების სოფელი, რომელიც სხვა ზეერ ძველ სოფლებთან ერთად თურქების ამ ეთხებში ბატონობის დროს გავრანებულია, მოსახლეობის ნაწილი თურქებს ამოუხოცათ, ნაწილი კი, რაჲ ველარ ატრანიათ თურქთა ბატონობის მიძიმე უღელი, გაქცეულია საქართველოს სხვადასხვა ეთხებებში. საერთოდ, მესხეთიდან გაქცეულ მოსახლეობას თავიანთი სოფლების სახელწოდება ახლად დასახლებული პუნქტებისათვის მიუკუთვნებიათ. ამის მრავალი მაგალითი მოგვეპოვება მთავალითად, მესხეთის დასახლებული პუნქტების სახელები გვხვდება: ახალქალაქი, ახალციხე და კუპარაქი კასპის რაიონში; ორპოცი გორის რაიონში, ჩორჩანი ხაშურის რაიონში, გუჯავთიანთ კარი ღუშეთის რაიონში, ვარძია და ვარძანა ორჯონიკიძის რაიონში, სამესხიო წალენჯიხის რაიონში და ასე შემდეგ. ამრიგად, მე-17-18 საუკუნეებში თურქთა ატრანიელი ბატონობისაგან შეწუხებული მოსახლეობა მესხეთის ნასოფლარი ბორჯომიდან გაქცეულია და დასახლებულია დღევანდელ ბორჯომში. ახლად დასახლებულებს ამ პუნქტისათვის სახელი შეუტეულით და დაურქმევიათ თავიანთი შობლიერი სოფლის ბორჯომის სახელი. ასე უნდა მიეღო დღევანდელ ბორჯომს თავის სახელწოდება.

რაც შეეხება ახლადმის სახელწოდებას, იგი ადრე არსებობდა და დღესათვისაც არსებობს მესხეთში, ურავლის, ხეოთის დასაწყისში. იგი გურჯისტანის ვილაეთის დიდ დაეთარში“ (გვ. 13) მოხსენებულია, როგორც სათესველი ახლადმა კუპარაქის რაიონში (ახალციხის ლივა) სოფელ ტბეტთან.

მიუხედავად აღნიშნული შენიშვნებისა, სერგი მკვალათიას ნაშრომი დაბარების გაუწევს ბორჯომის ზეობით დაინტერესებულ მკითხველებს.

დ. კოშორიძე

კახუხის კახუხი



„მნათობის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ვ. კახანაძის საპასუხო წერილი ჩემს რეცენზიაზე.

ვ. კახანაძე წერს:

1. რეცენზიის ავტორი ამბიჯებს წიგნის წინასიტყვაობაში გამოთქმულ აზრს. წინასიტყ-

ვაობაში ნათქვამია: „Некоторые сельскохозяйственные термины все же пришлось внести в словарь, но это такие термины, которые общеизвестны и не могут вызвать споров и недоразумений.“

რეცენზენტს შეუცვლია სიტყვა „общеизвестны“ სიტყვით „общеприняты“, სიტყვა „недоразумений“ შეუცვლია სიტყვით „возражений“.

რალა თქმა უნდა, ყოველი ციტირება უნდა ხდებოდეს ტექსტის სიზუსტის დარღვევებელად. ამიტომ მადლობით ვიღებ ამ შენიშვნას. ასევე მისაღებია შენიშვნა სიტყვათა „аир“-ის, „напрост“-ისა და „страда“-ს შესახებ.

მაგრამ ვ. კაპანაძემ აღნიშნული წინასიტყვაობიდან მხოლოდ სამი უკანასკნელი სტრიქონი მოიყვანა, ხოლო მთავარი, რაც ნათქვამია წინასიტყვაობაში და რაც აღნიშნულია ჩემს რეცენზიაში, ვ. კაპანაძემ დაუმალა მკითხველს.

თი რას ეწერდი რეცენზიაში: „ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორები დაეკვიდრებოდნენ საკუთარ ძალ-ღონეში, ამიტომაც თვითონვე ხაზი გადარსებულ თავიანთ „შემოქმედებას“ შემდეგი გულბრველი განცხადებით, რომელიც მოთავსებულია ლექსიკონის პარაფრაზის წინასიტყვაობაში: *составители избегали вносить в него (в словарь) сельскохозяйственные термины (термины авторов) — а. б.*). Разработка и установление содержания (?) сельскохозяйственных терминов — это дело специалистов. Научный термин должен иметь одно четко очерченное значение. Раскрыть это значение — дело сложное и трудное.“

სავსებით მკვერამეტყველია და კომენტარებს არ მოითხოვს ეს „Чистосердечное признание в делах моих“.

2. „კურიოზად ა. ნეიმანს მიაჩნია „ორინტოლოგია“, ნაკლებად „ორინტოლოგისა“, გვედგება ვ. კაპანაძე. აქაც მართლწერის დარღვევაა: არ არსებობს არც „ორინტოლოგია“ და არც, მით უმეტეს, „ორინტოლოგია“, ალბათ, ეს დამახინჯებაც კვლავ კორექტორის დაეკისრება. მეორეც, ამ ტერმინის ორთოგრაფიის ხელშეკრულ და უარესი დამახინჯების გამო იძულებული ვარ აღნიშნო: ვ. კაპანაძეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ კომპოზიციას „Орнитология“-ს პირველი ნახევარი წარმოქმნილია ბერძნული სიტყვისაგან „ორნის“ (ფრინველი), რომლის ნათესაობით ბრუნდა „ორნიოსი“. შესაშვ, რაც მთავარია, კურიოზად ჩავთვლი არა მართლწერის დარღვევა (ეს უფრო უცუოდინარბაა!), არამედ თვით ტერმინის განმარტება. ლექსიკონში სწერია: „Орнитология“ — ზოოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის მეფრინველეობას“ (ზაზი ჩენია ა. ნ.). ამ მართლაცდა კურიოზული განმარტების გამო აღნიშნე: „მეფრინველეობის კი არ სწავლობს, არამედ თვით ფრინველს, სახელ-

ლობრ, მის მორფოლოგიას, ეკოლოგიას, ფიზიოლოგიას, სისტემატიკას, ბიოგეოგრაფიას“.

3. „ა. ნეიმანი უმართებლოდ ეტყობა, თითქოს ჩვენ ლექსიკონებით არ ვვისარგებელია, პირაქით „სიტყვების თარგმნის დროს ჩვენ ვეყარდნობოდით შემდეგ ლექსიკონებს“ — გვისაყვედურებს ვ. კაპანაძე და მოჰყავს 15 ლექსიკონისგან შემდგარი სია.

მე ეწერდი: „ზნირ შემთხვევაში შემდგენელნი საკუთარ ავტორიტეტს ეყარდნობიან, საჭიროდ არ თვლიან არცერთ ლექსიკონებს ან სწავილისტებს მიმართონ. ხოლო თუ რამე წყაროს დაიხმარებენ, იქიდან ამოღებული დამახინჯებით შეაქვთ თავიანთ ლექსიკონში“. ამის საილუსტრაციო მასალა ლექსიკონში უხვად მოიპოვება. მაგალითად, ლექსიკონში ვკითხულობთ: *Ос്മдматъ* — უნაგიობის დადგმა, შეკავშვა, ზურგზე შეკდომა. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სჯობდა ამ შესაშვ შესატყვისის წინ ყოფილიყო მიწერილი ჩანაწერი, რომ ეს გამოთქმა გადატანითი მნიშვნელობისაა. უმართებლო *Ос്മдматъ* კორექტორის ბრალი არაა. ჩანს, შემდგენელს არ ჩაუხედავთ სიაში მოხსენებულ უშეკრავის ლექსიკონში, სადაც სწერია *Осддматъ* და გადატანითი მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოყვანილია ფრაზა — *Осддматъ мужа*. მეორე სახის მაგალითი: დოც. ა. მავაშვილის ბოტანიკური ლექსიკონიდან ამოღებული „კაქების საყვაველი“ სარეცენზიო ლექსიკონში „კაქების სათლად“ გადაიქცა.

აღნიშნულ წყაროებთან შემოწმების შედეგად თუ ავტორთა საკუთარ ავტორიტეტზე დაყრდნობითა შეტანილი ლექსიკონში არაერთი დამუშავებული შეუსაბამოა და კურიოზი, როგორცია, მაგალითად, შემდეგი:

1. Шелуха — ჩენო, ნაფტკენი, ნაჭუჭი. ნაფტკენისაც რომ თავი დაეანებოთ, ნაჭუჭი აქ უადგილოა, მისი რუსული შესატყვისისა სკოპულა, რაც თავის ადგილზე მართებულადაა შეტანილი ლექსიკონში.

2. Пахтáнный масло — ღო. რუსულად „ღო“ არის *пахта* ან *пахтáнь* და არა უალაგო ილავას დასმულ მახვილიანი *пахтáнное* масло (იხ. უშეკრავის ლექსიკონი).

3. Малоподный край — შშრალი ქვეყანა. რატომ „შშრალი“ და არა „წყალმყივე“?

4. Растущий — მოზარდა. მოზარდის, როგორც არსებითი სახელის რუსული ეკვივალენტი იქნება *подросток*, როგორც მიმლეობისა — *подрастающий* (подростающее поколение მოზარდი თაობა). ხოლო ქართულად *растущий* არის შშარდი და შშარდი და *растущая* потребность рынка ბაზრის შშარდი (მეზარდი) მოთხოვნისა.

5. Вибрион — (ზოოლ.) ვიბრიონი. ვიბრიონი ხომ მიკრობის ერთ-ერთი სახეობაა. მასმასადაც, მიკრობიოლოგიის ტერმინია და არა ბიოლოგისა.

6. ლექსიკონის მიხედვით, **майорат** მიიჩნევა არის და ნაყრდელი. რატომ შეიქმნა არე-დარევა ავტორებს? მათსავე ლექსიკონში ხომ სწერია, რომ ნაყრდის რუსული შესატყვისი მხოლოდ **заповедник** — ია!

7. **Водоперица** — ბოტანიკური ცნება ენ-ტომოლოგიურადაა გამოცხადებული (იხ. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია).

8. **Узколистный** — ეს ზოგადი ზედსართავი სახელი ავტოროფთოლიანი¹ არსებით სახელ „ქალაქმატადა“ თარგმნილი. უნდა ყოფილიყო **узколистный лох**. — ვიწროფოთლიანი შეიძლება სხვა მცენარეც იყოს, მაგალითად, ხანჯკოლა — **узколистный лютик** (იხ. დოც. ა. მაყაშვილის „მემცენარება“, 1932).

9. **Валлиснерия** (ბოტანიკ.) ლექსიკონის მიხედვით, „წყალმცენარის სახეა“, ხოლო საბჭოთა ენციკლოპედიის კლასიფიკაციით, ყვავილოვანი მცენარეა.

10. **Стопущий** — მოფენილი, მოდებუ-ლი, მხოხავი. ეს შესატყვისები უმართებულაა. მისი სწორი ქართული ეკვივალენტია — გარ-თხმული.

11. რომელ ლექსიკონში სწერია, რომ „**насть**“ „უფსკრულსაც“ ნიშნავს?

12. ავტორთა „აღმოჩენათ“, ზურგიელი (ნა-ლიკ) თერმე თევზია, ხოლო დროში (тешка) ზოოლოგიურ ტერმინი. თუ ასეა, მაშ, „სუცი“ და მისგან მომზადებული „მწვადიკ“ ბიოლოგიური სახელწოდებები ყოფილა და არა სამზარეულო-გასტრონომიული.

13. ერთი „აღმოჩენათ“. **ОМОНИТ** (ცლავ ბე-დითი კორექტურა: **ОМОНИМ** უნდა ყოფილიყო) — მაჯამა, არც მეტი, არც ნაკლები — ბო-ტანიკური ცნება ყოფილა!

ვ. კაპანაძე არ თანხმდება, რომ ლექსიკონში შეტანილია ბევრი ისეთი სიტყვები და ტერმინები, რომელსაც სოფლის მეურნეობის დისციპლი-ნებთან კავშირი და დამოკიდებულება არა აქვთ. ასო ნ-ზე, მაგალითად, შემდეგი ზედმეტი სი-ტყვებია: **набат**, **набело**, **наволоотбойщик** უნდა ყოფილიყო **навалоотбойщик!**), **наде-жда**, **надежный**, **надзвездный**, **надоумить**, **надуমানый**, **накануне**, **намериваться**, **на-перевес**, **напрямик**, **наперебой**, **напеть**, **напя-лить**, **парзан**, **насморок** (?!), **нахлебник**, **на-циональный**, **нация**, **небо**, **небосвод**, **неве-жа**, **невежда**, **невеста**, **непестка**, **неволь-ник**, **негр**, **недолёт**, **нонпарель**, **непотреб-ство**, **неологизм** და სხვა და სხვა.

ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება არასწორი დამწერლობა ან მიწერილი არასწორი შესატყვისი, ანდა ორივე სახის შეცდომა ერთდ, როგორც, მაგალად, **начетник** (უნდა ყოფილიყო **начетчик!**), არასწორი შესატყვისით **начёт-ничество** მედლეინებთან (?). არასწორი დამ-წერლობით და შესატყვისით საეკლესიო გამო-თქმა **неопалимый** (ცლავ შეცდომა! ჯეროვა-

ნი **неопалимый**) — ცეცხლგამძლე, აქ უნდა ყო-ფილიყო „დაუწვავი“ ან „უწვავი“, ვინაიდან ცეცხლძალე (ანუ უფრო მართებული ცეცხლ-გამძლე) რუსულად არის **огнеупорный**.

მავე ასოზე „ლექსიკონში არ არის შეტანი-ლი მრავალი საჭირო და აუცილებელი სიტყვა, როგორცაა: **навоз** (конский, коровий, пе-репрелый, полупрелый, свежий), **навозная жижица**, **навозохранилище**, **навозники**, **навозные землявладение**, **на корню над-ломка ветви**, **надсемядольное колено**, **налет** (восковой, сизый), **наперстянка** (наперсток საითუე კი შეტანილია!), **напльи**, **недозапель-ный лист**, **незрелый**, **нектароносное рас-тение**, **нервация листа**, და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნინაბი და ბარი სხვადასხვა მასალისგან ეთოლება, სხვა-დასხვა მოყვანილობისაა და სხვადასხვა გამოყენება-დანისწულუბისაა, მათ ავტორი იმედნად აიგივებს, რომ ბარის, სოფლის-მურჩნეობის ამ მნიშვნელოვან აბრადის რუსულ-ლი სახელწოდებაც კი (**заступи**), არ შეიქმნა თა-ვის ლექსიკონში. გარდა ამისა, ნინაბის კინობით სახელს (**лопатка**) მიწერილი აქვს შემდეგი შე-სატყვისები, გადმოწერილი 1937 წ. ლექსიკონი-დან: ნინაბი, ბარი, აქანდაბი, ფოთბი. ნუ თუ არც ერთი შემდგენელი არ დაეცვდა რა აქვს საერთო ამ ორ უკანასკნელ შესატყვისს ბარსა და ნინაბთან. ავტორს თავი რომ შეეწუხებინა და 1937 წლის გამოცემაში ზაებედა, 968 გვერ-დზე წაიკითხავდა, რომ აქანდაბის, ფოთბისა და აგრეთვე ყოჩის რუსული შესატყვისია **совок** და არა **лопатка**.

ასევე უნდა ითქვას, „ხმელ ზილზე“. 1937 წლის გამოცემის მიხედვით, ხმელი ჭერამია, ხოლო, 1936 წლის გამოცემის თანახმად, „ჭერამის ჩი-რია“. ვინაშემ რომ თქვას, „სუფრაზე ხმელი ხილი მოიტანეს“, ქართლის მართებულად მყოფნე იმას კი არ იგულისხმებს, „ხმელი ვაშ-ლი“ მოიტანესო, არამედ ფსტას, ნუშს, ქალაზ-ბადამსა და სხვ.

ამ საკითხში ვ. კაპანაძე, 1937 წლის გამო-ცემის გარდა, დოც. კ. მაყაშვილსაც იმორწმებს: „**მაყაშვილი** კი „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (თბილისი, 1949, გვ. 73) გადმოგვეცხა ჭერამი **курага**, **урюк**, **оба** названия чаще отно-сятся к сушеным опощам და მერე ამ მითი-თებულ წყაროში სად სწერია „ხმელი ჭერამი“?

ვ. კაპანაძე შედავება, აგრეთვე, შემდეგ ზემ მერე მითითებულ სიტყვების შესახებ და წერს **болезнетворный будяк** (**бодяк**), **канатик**, **ость**, **грубое сукно**, **растения зараженные**, **лужайка** და სხვ. სიტყვის მართლწერაც იხ. ზემოთმოყვანილ ლექსიკონებში².

მართლწერა კი არა, არამედ ქართული შესა-ტყვისად დაეწერნე რეცენზიამ³. შევამოწმით ყველა ჩამოთვლილი სიტყვა სათითაოდ.

1. **Болезнетворный** ავადმყოფობის

გამომწვევი. ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის ნაცლად შეეთავაზე ტერმინი „დამაავადებელი“.

2. Будяк (бодяк). მის შესახებ ვერდი, რომ ეს სიტყვა „არც „შეი“ არის და არც „უხა“. პირველის შესატყვისი რუსულად არის канатик, ხოლო მეორისა — „ость“.

3. Грубое сукно — მსხვილი მადლი. კორექტივი შევიტანე და ვთქვი: ამისთანა შემთხვევაში მადლისა და სხვა ქსოვილის შესახებ ამბობენ „ხამი“.

4. Растения зараженные — დაავადებული მცენარეები. სამედიცინო ლექსიკონზე დაყრდნობით შევიტანე შემდეგი განმარტება-შესწორება: „ამ შემთხვევაში მედიცინა ხშირად ტერმინებს დასენიანებულ, სენოვებულ (კონტაგეზური, ვადამდები ავადმყოფობით დაავადებულ)“. ნუთუ არასწორი დასაბუთებაა?

5. Мушкетер — ამის შესახებ ვთქვი: „პატარა მინდორი ეს არა, აქ უნდა ყოფილიყო ველობი“. სადავოა ეს შესწორება?

ვ. კაპანაძე ამბობს: „უმართებლო შენიშვნებია სიტყვებზე: налог, баран, шерсть, разрастаться, пар, залежь, вытащить, размахивать ორივე სტრიქონის შემდეგ კვლავ ვამტკიცებ: „არასწორი შენიშვნები აქვს რეცენზენტს სიტყვებზე: мыт, понос, кабакчок, окись, гидра, მაგრამ არ მოჰყავს არც ერთი საბუთი ან დამტკიცება ჩემი „უმართებლო“ და „არასწორი“ შენიშვნების გასაბათილებლად. შევუდგეთ უაღრესად სწორი სიტყვის შემოწმებას.“

1. ნუთუ налог — ხარკია და არა дань?

2. განა баран-ის გამო სრულიად ვარკვევით არ დაწერე: „ვერძი, ყოჩი, ვრცემალი, სამივე შესატყვისი სწორადაა მოყვანილი?“, ხოლო იქვე აღნიშნული დასახელება (баран) დაუბიძრისობრივ მის აბსოლუტურ სინონიმს — სიტყვის олен და შივეცი საემარისად ვრცელი განმარტება, რომ დაუშვებელია სხვადასხვა სქესისა და ასაკის ცხოველთა — ვერძისა და შიშვაცის სინონიმიზაცება.

3. რა აქვს დასაწერი შერсть-ის ჩემს განმარტებას? ის ხომ არა, რომ რუსულად იგი ამბობება ყველა ცხოველის მიმართ, ხოლო ქართულში სხვადასხვა ცხოველის შესახებ არსებობს სხვადასხვა სპეციალური სახელწოდებანი და აღნიშნე ეს სახელწოდებანი ეს ხომ ქართული ენის სიმდიდრეა, და რატომ არ უნდა იყოს მოხარდი თაობის ცნობად ასახული ლექსიკონში?

4. სიტყვისათვის разрастаться, აღწერითი ფრაზეოლოგიის ნაცლად, სპეციალური შესატყვისი „გაბარდნა“ მივაწოდე.

5. ვინ არ იყის, რომ пар მხოლოდ ანუელია

და არა ნისევენი, რომლის რუსული შესატყვისია залежь?

6. თუ სოფლის მეურნეობის ტერმინებს გურბის ვ. კაპანაძე, როგორც რუსული ენის სპეციალისტმა, უნდა იცოდეს, რომ, როგორც აღნიშნე, вытащить და перетанить პრევერბების გამო სხვადასხვა ნივანისაა, ხოლო размахать, размахивать სრული და უსრულო ასპექტისაა.

7. Мыт არც ფაღარათია, როგორც ლექსიკონშია, და არც ქოთი, როგორც 1937 წ. ლექსიკონშია, ვინაიდან ქოთიას უკუკეცივით თარგმანი მოვეცემს სიტყვას саш. ზოოვეტერინარიაში мыт ცნობილია „მალას“ სახელწოდებით.

8. Окись — ამის შესახებ შემდეგი მაქვს ნათქვამი: „Окисел ეანგუელი. ჭვევით ცალკე სტრიქონად შეტანილია ОКИСЬ — ეანგი. საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, აღნიშნული ორი რუსული სიტყვა იდენტურია“.

9. დასასრულ, უკანასკნელი ამონაწერი: „гидра“ — რა საჭირო იყო ეს ასტრონომიული და ზოოლოგიური ტერმინი, რომელიც ქართულადაც ასევეა, ოღონდ ლათინური დაწერილობით — „ჰიდრა“? მის შესატყვისად ლექსიკონში შეტანილია ვეულეშაბი, მაშინ როდესაც უნდა ყოფილიყო ბერძნული წარმოშობის „ადრაკონი“ (იხ. ქართ. განმარტებითი ლექსიკონი“).

შენიშვნა эндосперм-ის შესახებ დაფუძნებულია თანამედროვე რუსული ლიტერატურულ ენისა და მეტყველების ანტიტურის სექტორის განმარტებაზე: „...традицией закреплены написания эндосперм и перисперм“.

პასუხს ვ. კაპანაძე ამთავრებს შემდეგი სტრიქონებით: „...კორექტურული შეცდომები მართლად გაპარულია ლექსიკონში (მართა კორექტურული შეცდომები? ა. ნ.), მაგრამ ეს „აღმოჩენა“ ა. ნეიმანს არ ეუფლებინს. ამის შესახებ „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „საბჭოთა აგრონომში“ თავის დროზე იყო მითითებული“.

რეცენზიაში კორექტურული შეცდომებისა და სხვადასხვა სახის არაერთი შეცდომა-დამახინჯებაზე მითითებისას ვებმძღვენლობდი არა „აღმოჩენილობის“ სურვილით, არამედ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების შეგნებით.

რეცენზიასა და ამ წერილში მითითებული ყველა შეცდომა რომ გავითვალისწინოთ, საცხებით საკმარისი იქნება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: რუსული ენის კათედრის კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელის ვ. კაპანაძის მიერ უპასუხისმგებლოდ შედგენილი ლექსიკონი მიუღებელია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

დოცენტი ა. ნიშიანი

ახალი წიგნები



გამომცემლობა „საბავოთა საპარტიზოლო“

- სულხან-საბა ორბელიანი — თხზულებანი ტ. I. გამოსაცემად მომზადებულია ს. ყუბანეიშვილისა და რ. ბარამიძის მიერ. გამომცემლობის რედაქტორი რ. ბეჟანიშვილი. გვ. 369, ფასი 19 მანეთი 30 კაპიკი.
- აკაკი წერეთელი — ტომი VII. სოლომონ ხეციშვილის რედაქტორობით. გვ. 835, ფასი 31 მანეთი. შედეგად დადიანი — ტომი II. სარედაქციო კოლეგია: ბ. ელენტი, ა. შირატულავა, ვ. მგალობლიშვილი, გამომცემლობის რედაქტორი რ. ბეჟანიშვილი. გვ. 329, ფასი 12 მანეთი.
- სოლომონ თაყაიძე — შიასის განთიადი. რედაქტორი რ. ბეჟანიშვილი, გვ. 607 ფასი 11 მანეთი 70 კაპიკი.
- კოსტა ხეთაგაიძე — ლექსები და პოემები. რედაქტორები: შ. აფხაიძე, ვ. ბესთაუთი. გვ. 261, ფასი 7 მანეთი 40 კაპიკი.
- დავით ავალიანი — ახალი პორიზონტი. ტომი II, ნაწილი III-IV. რედაქტორი ხუტა ბერუღავა. გამომცემლობის რედაქტორი რ. ორჯონიძე. გვ. 437, ფასი 5 მანეთი 30 კაპიკი.
- სიკო ფაშალიშვილი — ერთრომეული. რედაქტორი ვიორჯი ლეონიძე. გამომცემლობის რედაქტორი ვ. ციციშვილი. გვ. 300. ფასი 6 მანეთი. 15 კაპიკი.
- ელიზბარ შიასურაძე — ისევე შევსებული. რედაქტორი რ. ბეჟანიშვილი. გვ. 129, ფასი 2 მანეთი.
- დავით სულაბერიძე — ჩემი ბილიკი. რედაქტორი ვ. ჯავახიძე. გვ. 93, ფასი 1 მანეთი 60 კაპიკი.
- შოთა ლომსაძე — დაკარგული რადსოდეები. რედაქტორი რ. ორჯონიძე, გვ. 73, ფასი 1 მანეთი 30 კაპიკი.
- ოთარ კუპრავე — ახალი ლექსები და პოემები. რედაქტორი თ. ვოგოლაძე. გვ. 64, ფასი 1 მანეთი 15 კაპიკი.
- ხოსოკა (ვლადიმერ ბერაძე) — პოლიანდრე რეკვიამე. რედაქტორი ბ. შირატულავა. გვ. 103, ფასი 1 მანეთი 50 კაპიკი.

პოლიტიკური ლიტერატურის რედაქცია

- მიხეილ გაფრინდაშვილი — კომუნისმის მშენებლობის დიდებული პროგრამა. რედაქტორი დ. ჯაბუა. გვ. 73, ფასი 80 კაპიკი.
- ვ. ი. მიღუქაძე — საქართველოს სახალხო მურწუნობისა და კულტურის განვითარება შეიღწეულში. (1959-1965 წ. წ.) რედაქტორი მ. კორძაია. გვ. 63, ფასი 75 კაპიკი.

ღარგობრივი ლიტერატურის რედაქცია

- ე. მარტოვი — მონადირის მოგონებანი. რედაქტორი ირ. არაბული. გვ. 360, ფასი 6 მანეთი 20 კაპიკი.
- ზ. კურდღელაშვილი — ქართული სტამბის ისტორიიდან. რედაქტორი ერასტი ტოროტაძე. გვ. 102, ფასი 4 მანეთი 50 კაპიკი.
- ფ. არჯენიაძე — ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ადგილი ჭეთისსა და მის მიდამოებში. რედაქტორი ი. არაბული. გვ. 101, ფასი 1 მანეთი 50 კაპიკი.
- ქ. დათაკაშვილი — ქართულ-რუსულ ლექსიკონი. რედაქტორები: დ. კანდელაკი, ე. ტოროტაძე. გვ. 583, ფასი 14 მანეთი 30 კაპიკი.
- ი. შ. იაბლოჩკინა — ფიზიკური კულტურა მოხეტეებლობის ასაკში. მთარგმნელი ბ. დარსაძე. რედაქტორი ი. არაბული. გვ. 180, ფასი 2 მანეთი და 50 კაპიკი.
- 1960 წლის მაგიდის კალენდარი — შემდგენელები: ე. ტოროტაძე, გ. აბაიშვილი, ს. აბულაძე, ბ. დარსაძე, კ. ჩიხლაძე. რედაქტორი ზ. ჯამასპიშვილი. ფასი 2 მანეთი 90 კაპიკი.
- ბ. გ. რეზნიკოვი — რა უნდა იცოდეს წიგნის გამყიდველმა. რედაქტორი ა. ფარულავა. გვ. 135, ფასი 3 მანეთი.
- მელქონოზი. შეჯიბრების წესები. მთარგმნელი ლ. გიორგაძე. რედაქტორი ბ. დარსაძე. გვ. 143, ფასი 2 მანეთი.
- ვ. ჯაოშვილი — ჭიათურა. რედაქტორი ე. ტოროტაძე. გვ. 89, ფასი 2 მანეთი 60 კაპიკი.
- გ. ს. ათანელაშვილი — სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში. 562-590 წ. წ. რედაქტორი პროფ. ს. ვუხჩიშვილი. გამომცემლობის რედაქტორი გ. ზურაბიანი. გვ. 93, ფასი 2 მანეთი 50 კაპიკი.

№ 8 8 8.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»